# დ

| | |
|---|---|
| ᲓᲐᲑᲐᲮᲘᲫᲔ | 0 |
| ᲓᲐᲑᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 159 |
| *თბილისი* | *55* |
| *გურჯაანი* | *7* |
| *რუსთავი* | *2* |
| ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔ | 6928 |

**ᲓᲐᲑᲐᲮᲘᲫᲔ//ბარბაქაძე** (1832 წ.), სავარ. ხელობა-საქმიანობის ტერმინიდან **დაბაღ-ი** (არაბ.) (ძვ.) – ტყავის გამომყვანი მუშა. **დაბახანა** (არაბ.-სპ. ძვ.) – ტყავის დასამუშავებელი ქარხანა (ქეგლ., 164); საკ. სახ. **ბარბაქა,** გვარში: **ბარბაქაძე** (ალ. ღლ., 82); **გაბო დაბახიძე** (იგივე) **ბარბაქაძე**, მეუღლე დარეჯანი, ქალიშვილები: **მაია, სალომე** იხსენიებინა 1823 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83).

**ᲓᲐᲕᲐᲠᲣᲨᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1679 წ.), რთული შედგენილი სახელიდან **დავა,** მეტსახელი გვარში: **დავაძე** (ალ. ღლ., 110); საკ. სახ. **რუშა** (გ. ლეონ., სახელები). აქედან **დავა+რუშა**).

**დავარუშასშვილი დათუნა** მოიხსენიება 1679 წ. ყმების ნასყიდობის წიგნში როგორც მოწმე (დოკ., I, 63). (არდისუბანი).

| | |
|---|---|
| ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 3590 |
| ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 72 |
| ზაალიშვილი | 1741 |
| ელიზბარაშვილი | 2072 |
| შანშეშვილი | 0 |
| ლეონისშვილი | 0 |

**ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ//ზაალიშვილი//ელიზბარაშვილი//შანშეშვილი//ლეონისშვილი – დავით** (ძვ. ებრ.) „საყვარელი“, სხვაგვარი გააზრებით – „წინამძღოლი“, „შეყვარებული“. დ. მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანთა სახელია, რომელსაც აღნიშნავდა ეკლესია 5 მარტს, 12 აპრილს, 2 მაისს, 25-26 ივნისს, 5, 6, 19 ივლისს (Кавказский календарь, 1914წ. გვ. 15); დ. ქართულში ერთ-ერთი გავრცელებული სახელია. ამას ადასტურებს ისტორიაში ცნობილი სახელები და მისგან ნაწარმოები გვარები, მაგალითად:

**დავით I** კურაპალატი (გ. 881 წ.), ბაგრატ I-ის უფროსი ძე. ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი.

**დავით I** (გ. 1602 წ.), კახეთის მეფე 1601 წწ., ალექსანდრე II-ის ძე.

**დავით II** (გ. 937 წ.), ქართველი მეფე 923-937 წწ. ადარნასე II-ის ძე.

**დავით II** (გ. 1795 წ.), იმერეთის მეფე 1784-1789 წწ. გიორგი VII-ის ძე, სოლომონ I-ის ბიძაშვილი.

**დავით II,** იმამყულიხანი (გ. 1722 წ.), კახეთის მეფე 1703-22 წწ., ერეკლე I-ის ძე.

**დავით III** დიდი კურაპალატი (გ. 1001 წ.), კახეთის მეფე 1703-22 წწ., ერეკლე I-ის ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ტაოს მეფე.

**დავით IV** აღმაშენებელი (1073-1125 წწ.), საქართველოს მეფე 1089-1125 წწ., გიორგი II-ის ძე.

**დავით V,** საქართველოს მეფე 1155, დემეტრე I-ის უფროსი ძე.

**დავით VI ნარინი** (დაახლ. 1225-1293 წწ.), საქართველოს მეფე 1245 (1247), რუსუდან მეფის ძე.

**დავით VII ულუ** (გ. 1270 წ.(, საქართველოს მეფე 1247 წწ. გიორგი IV ლაშას უკანონო შვილი.

**დავითისშვილები** იყვნენ თავადები. **„აწინდელთა მთავართა გვართათვის“** ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ...**ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდან, ხოლო რამაზის-შვილი და დავითის-შვილი არიან ავ-გიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩენა მეფემან და არიან მიერითგან აქა“** (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 18).

„**დავითის შვილები** გვარით **ბაგრატიონები** არიან, რომლებიც სახლობენ ნულის ხეობაში, კერძოდ ცხინვალში ესახლნენ ორ სახლად: 1) **ზაალის შვილებად** და 2) **ელიზბარის შვილებად,** ხოლო მათი განაყოფები (მდაბიონნი არა თავადნი) ესახლნენ ფცაში **შანშეშვილებისა** და **ლეონისშვილების** გვარით“ (საანდაზო ლექსები... 18); **მიხა ნანიას ძე დავითაშვილი,** მართლმადიდებელი სარწმუნოების, ქართველი (პატრონიმიული სახელი ნინიკაანი), შვილი თედო მოიხსენიება დიდ ენაგეთს 1873 წელს (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220); ქიტესა დავითაშვილი მოიხსენიება სოფ. ვაშლოვანში 1823 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 99-107); **გურგენ სოლომონის ძე დავითაშვილი** (მოგვიანებით რუსული გაფორმებით **დავიდოვი**) მოიხსენიება 1881 წელს პატარა ენაგეთში, როგორც ანდრია ადომელის ძე მესტვირიშვილისა და მისი მეუღლე ბარბარე გიორგის ასულის პირმშო გიორგის მიმქმელი (მომნათვლელი) („მეტრიკის წიგნი4,( არქ., 182, 1, 1881 წ.); ჩხიკვთაში 1881 წელს სახელმწიფო ყმას დიმიტრი ანდრიას ძე დავითაშვილს და მის

მეუღლე სოფა ლაზარეს ასულის შვილს მარიამს უნათლავს ამავე სოფელში მცხოვრები სახელმწიფო ყმა იაკობ ივანეს ძე ჭავაძე (იქვე, 182, 1, 1881 წ.); 1883 წელს სოფ. ასურეთში მცხოვრები გიორგი დავითის ძე დავითაშვილი შვილს უნათლავს სოფ. ასურეთში მცხოვრებ გაბრიელ ივანეს ძე ხადურს (სცსსა, ფ7 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

**დავითიდან** ნაწარმოებია გვარები: **დავითაძე, დავითიძე, დავითაია, დავითიანი, დათიაშვილი, დათაშვილი, დათებაშვილი, დათუაშვილი, დათუკაშვილი, დათუნაშვილი, დათუნაიშვილი, დავითელაშვილი, დავითულიანი, დავითურნი** და სხვა. **დავითურნი** სოფელია მთიულეთში ენეგეთელი დავითაშვილთა მცირე ნაწილი დღესაც დავიდოვადაა ჩაწერილი და ეროვნება სომეხი უწერია. სასურველია დაიბრუნონ მამაპაპური გვარი – დავითაშვილი ი. ა.). (დუშეთის რ.) (იხ. ზ. ჭუმბ., 142; ილ. მაისურ., 53) (ასურეთი, ენაგეთი, ვაშლოვანი, თეთრი წყარო, მუხათი, ჩხიკვთა).

ᲓᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘᲫᲔ 442
*თბილისი 309*
*ამბროლაური 35*
*ზუგდიდი 23*
ᲓᲐᲕᲚᲐᲫᲔ 619

**ᲓᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘᲫᲔ,** საკ. სახ. **დავლა** (ალ. ღლ., 110); დავლა მეტსახელი გვარებში: **დავლაძე, დავლაშელიძე** (რთულფუძიანი საკ. სახ. დავლაშერ (დავლა+შერ) (შდრ.: ი. მაისურ., 53); ნ. დავლიანიძე ლიანა, ქრონიკების სამივე წიგნის საძიებლების შემდგენი (იხ. ქრონ., III, 082); დავლიანიძეები სოფ. ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფ. შხივანადან. ამავე ძირისაა: **დავლაძე** (ასურეთი).

**ᲓᲐᲕᲠᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1658 წ.), საკ. სახ. **დავრეშა. დერვიში** (სპ.) **ბერი, მწირი, გლახა, მათხოვარი.** „... როსტომ მეფემ პაპუნა ბარათაშვილს 1658 წელს აჩუქა ფერიაშვილისა და მირაქას მამული ზედ მოსახლე დავრეშათი და თამაზითურთ“ (ისს. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. I და II); **დავრეშაშვილი,** ენაგეთი 1769 წ. (ქსძ, VII, 152); შდრ. ბერიშვილი, გლახაშვილი, მწირიშვილი.

ამავე ძირისაა: **დავრიშაშვილი** (ენაგეთი) (და არიან ქართველი ებრაელებიც).

ᲓᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(იხ. გვარამაძე) 1036
*თბილისი 386*
*გორი 288*
*კასპი 135*

**ᲓᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), საკ. სახ. **დათა** (საქ. სიძვ., III, 15); ნ. **დავით** (ებრ.) „საყვარელი“. ქართულში ერთ-ერთი ძალზე გავრცელებული სახელია. ამას ადასტურებს მისგან ნაწარმოები გვარების სიმრავლეც: **დავითაძე, დავითიძე, დავითაშვილი, დავითაია, დავითიანი,**

**დავითური, დათაძე, დათებაშვილი, დათვასშვილი, დათიაშვილი, დათიშვილი, დათისშვილი, დათიბაშვილი, დათოსშვილი, დათუაშვილი, დათუაძე, დათუკაშვილი, დათუკიშვილი, დათუნაშვილი, დათუნიშვილი, დათუნაიშვილი, დათურასშვილი, დათეშიძე, დათუშიძე** (არხოტა კოდა).

ᲓᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1195
*ქუთაისი 245*
*თბილისი 198*
*ზესტაფონი 170*

ᲓᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1781 წ.) საკ. სახ. **დათია** (დოკ., I, 16); შდრ. **დავითაშვილი**.

**ივანე დათიაშვილი** მოიხსენიება დიდ ენაგეთს 1823 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5№18); „კოდას მცხოვრებმა იოსებ დათიაშვილმა 1829 წელს იქორწინა **თამაზ მიქელაშვილის** ასულ 16 წლის ნინასთან. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა **იოანე აღნიევმა** (აღნიაშვილი). თავსმდებნი იყვნენ: **იოსებ ქრისტესიაშვილი, თათუა დოლმაზაშვილი, ქიტესა ლაზარეიშვილი, დავით მღებრიშვილი, ნონია ასლანიშვილი**“ (489, აღწ. 6, №76, ფურ. 4).

ᲓᲐᲗᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 0
ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1254
*თბილისი 441*
*გურჯაანი 283*
*ქუთაისი 90*

ᲓᲐᲗᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1721 წ.), საკ. სახ. **დათონა.** შდრ. **დათუა, დათინა, დათუნა. დათონა** – დავითის მოფერებითი (ცნინობითი) ფორმაა (იხ. **დავითაშვილი**).

**დათონა,** ახჩა ბექანის ძმა. 1721 წ. აღწ. **ოთარ ყაფლანიშვილის** უყმო აზნ. ანდიკაში; **დათუნაშვილი ბექან** – 1721 წ. აღწ. **იესე სოლაღაშვილის** უყმო აზნაური კუმისში; **დათუნაშვილი ბერია** – 1701№11 წ. დვ 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების ყმა ბურვილში (ის. ლორთქ., ქვ. ქართ., 371); **დათონაშვილი აზნაური** ენაგეთში (85): „აწ. მიუხდა ენაგეთს გერმანოზს და მისთა ძმათა ... ერთწილად **დათონაშვილი:** / /კიდევ **დათონაშვილი**“, 1523 წ. ბარათაანთ გაყრის სიგელი (ქრონ., II, 349); ამავე ძირისაა: დათუნაშვილი, დათუნიშვილი (ენაგეთი).

ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1710 წ.), საკ. სახ. **დათუა.** იხ. **დათუა,** დოლმაზა შანშიაშვილის შვილი (ეს ის დოლმაზაა, რომლისგანაც გაჩნდა გვარი დოლმაზაშვილი) იხსენიება 1677 წ. მამულის ნასყიდობის წიგნში, გაცემული შაღუბათა ბეროაშვილის მიერ დოლმაზა შანშიას-შვილისადმი (დოკ., I, 55); დათუა, დათა, დათია, დათიკო, დათუკა, დათუნა და სხვა. დავითის მოფერებით (ცნინობით) ფორმებად ითვლება.

**დათუაშვილი ზურაბა,** ენაგელი, – 1710 წ. (დოკ., I, 144); **დათუას შვილი,** – 1738 წ. თუმანიანთ ნოქრის ხარჯის ნუსხა (დოკ., I, 284); „ქ. მიტაშენს მსახლობელი 1721 წ. როსტომა დათუაშვილი“ (ვახუშტი, 334); **„კოდაზე მცხოვრებმა გიორგი დათუაშვილმა 1828 წლის 3 იანვარს იქორწინა ლოუბანში მცხოვრებ ზურაბ აბუაშვილის ასულ ნინასთან.** თავმდებნი იყვნენ: **აზნაური როსტომ მორთულაძე, ზაზა კორღელიძე, მათე ჯილავდრისშვილი, გიორგი პოჩიკაშვილი**“ (489, აღწ. №6, 57, ფურ. 34) (ბოგვი, გუდარეხი, ენაგეთი, კოდა, მირტაშენი, ლოუბანი).

| | |
|---|---|
| ᲓᲐᲗᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 66 |
| *თბილისი* | *40* |
| *გურჯაანი* | *15* |
| *გორი* | *4* |

**ᲓᲐᲗᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **დათუკა** (დოკ., II, 18); **დათუკ-ი** (საეკლეს. საბ., 1, 128).

„ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღანბარისა ბეთანიას: ...**დათუკაშვილი ოსიყმე**“ (ვახუშტი, 54) (ამლივი).

| | |
|---|---|
| ᲓᲐᲗᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 1424 |
| *თბილისი* | *386* |
| *გურჯაანი* | *379* |
| *გორი* | *153* |

**ᲓᲐᲗᲣᲜᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ., **დათუნა** (ისტ. დოკ., I, 30). მისი ეპონიმებია: დათ, დათა, დავით, დათან, დათგ-ი, დათება, დათეშ, დათვა, დათუკელა, დათოა, დათილ-ი. დათინა, დათუ, დათუა, დათუკერი, დათულია, დათუჩია (ა) (ალ. ღლ., ქართ. საკ. სახ. გვ. 110); **„დავით ჯანდარისშვილო!** ამ არზით რომ ასე მოუხსენებიათ ამათი მოწმე[ე]ბი... დათუნა აქ ჩვენთან უნდა მოიყვანო სამართალში“ (1794 წ. 21 სექტემბერი, სცსსა, ფონდი, 1450, დავთარი №24, საბუთი №53); „კიდევ მოწამე **დათუნა**“ (იხ. თავდახსნილობის წიგნი პაპუა თურქისტანიშვილისა იასე ადუასშვილისადმი, 1706-1707 წწ. (სცსსა, ფონდი №1448. საბუთი №942); „არის ამის მოწმე და დამხდური ბაზიერთუხუცესი **დათუნა**“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1537); 1791 წ. 21 სექტემბრის არზით **ზაზა ამირეჯიბისა** ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით ირკვევა, რომ დათუნასშვილი ზ. ამირეჯიბის მამულში ყოფილა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1094). „ამავ მამულის კაცები (იგულისხმება ასურეთი ი.ა.) დათუნასშვილები იასე თავისის ძმით და შვილებით... ესენი თქვენ დაგახსნევინეთ და მოგეცით...“ (1721 წ. დეკემბერი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 14623); **„ქ. ყორღანაშვილის თაყასი** ვანათს: **დათუნაშვილი ბერია**“ ვახუშტი, 93).

**დალაქიშვილი 2904**
*თბილისი 929*
*თეთრიწყარო 341*
*მცხეთა 322*

**დალაქიშვილი** (1817), **დალაქი//ვარსამი** (I თავის მპარსველი, სისხლით გამომშვები) (საბა). **ტალაქ** (თურქ.) მეაბანოე.

**დალაქი,** საკ. სახ. 1701-11 წლ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე ორმოზანში (ისს. ლორთქ., III-IV, 371); **დალაქი** სვიმანას შვილი, 1705 წ. ვენახის შეწირულობის წიგნი, მიცემული დავით აბაშიშვილის მიერ მაცხოვრის ხატისადმი (დოკ., I, 380); ვახუშტით: ორზმნას მსახლობელი **დალაქი** (300).

„ბ.ქ. დალაქიშვილის სახლკარი, კალო-საბძელი და ვენახი ორი დღისა"; „თუმანიშვილების (თუმანიანთ) მამულების ნუსხა 1700-1719 წწ." (საქ. მუზ., №11-101, Hd); სოლომონ და დავით მეფეს შორის 1789 წელს სამდურავი ჩამოვარდა. მიზეზი ის გახდა, რომ სოლომონმა კლდიდან გადმოგდებით მოკლა **ბუჭუა მასხარაშვილი,** საყვარელი მონა მეფე დავითისა. აღვიდა დავით ახალციხეს, და შემოკრიბნა ლეკნი და, ჩამოსულსა იმერეთს, მიერთვნენ იმერნიცა. ამჟამსა ვაკელმან **დალაქიშვილმან** დაჰსცა ბუკსა ამბოხისასა და აღადგინა შფოთი დიდი იმერეთს. რომელ ამა **დალაქიშვილსა** ეპყრა მხარე მეფის დავითისა, ... ჰსძლო მეფესა სოლომანს და დაიპყრა იმერეთი 1790 წელს" (მასალები საქართველოს ისტორიისათვის... 39); თავად მაიორ ლუარსაბ ორბელიანის მამულში სოფ. კოდაში იხსენიება გლახა დალაქიშვილი (სცსსა, ფ. 254, №2); ნინია, სიმონ, დათია, დავით... დალაქიშვილები სოფ. კოდაში ჩანან 1860 წ. (სცსსა, ფ. 55, საქმე 39, ფურც. 23-27); **დათუა დალაქიშვილი,** მეუღლე **შუშანა,** ვაჟიშვილები **გასპარა, ბაღდასარა, დათია, სოლომონი, მიხო, ალექსი,** გადმოსულან ქ. თელავიდან დიდ ენაგეთში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, 1823 წ. ფურ. 5-18); ბეჟია გეოს ძე დალაქიშვილი შვილები დავითი, გუერქა, ზაქრო, პეპუა გეოს ძე დალაქიშვილი, შვილები საქო, ალექსი, ზურაბ გეოს ძე დალაქიშვილი, შვილი თომა მოიხსენიებიან დიდ ენაგეთში 1873 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №115, 136, ფურ. 189-220); იაგორ შიხიაშვილის სიძე ისაი დალაქიშვილი, შვილები ამბარცუმა, ზაქარია, არშაკა საცხოვრებლად გადადის სოფელ დიდ ენაგეთში 1867 წელს (საიდან, არ ჩანს) (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220); დიდ ენაგეთში 1874 წელს მოიხსენიებიან ივანე პეტრეს ძე დალაქიშვილი და ალექსა გრიგორის ძე დალაქიშვილი (ფ.

489, აღწ. 9, თ/წ. 1); **დალაქიშვილი ალექსანდრე იოსების ძე, ვაჟი ზაქარია, ქართველები, მართლმადიდებლები, მიწათმფლობელები, შინაური ენა ქართული** (ფ. 254, საქმე 1623, 1886 წ. ფურ. 104); მიხეილ სიკოს ძე დალაქიშვილი, ივანე სოსიას ძე დალაქიშვილი, გიორგი სოსიას ძე დალაქიშვილი, ალექსანდრე დალაქიშვილების ძმები მართლმადიდებლები, შინაური ენა ქართული (იქვე, ფურ. 105); **დალაქიშვილი.** შდრ. **ვარსიმაშვილ-ვარსემაშვილს**. **რაჭაში დალაქიშვილები აზნაურები იყვნენ** (ი.ა.). (ერტისი, დიდი ენეგეთი, კოდა, მუხათი, ჯორჯიაშვილი).

| |
|---|
| დანელაშვილი 23 |
| *ახმეტა 15* |
| *თბილისი 2* |
| *თელავი 6* |

**დანელაშვილი** (1584 წ.), **დანიელ** (ებრ.) „ღვთის სამსჯავრო“, სიტყვასიტყვით: „ღმერთი – მსაჯული ჩემი“. დ. მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანთა სახელი, იდღესასწაულება 16 თებერვალს, 4 მარტს, 7 აპრილს, 10 ივლისს, 30- აგვისტოს, 11, 17 დეკემბერს (Кавказ. калрь, გვ. 15); საკ. სახ. **დანელა** (დოკ., I, 340); **დანიელ** (ტბეთის მატიანე, 18; ალ. ღლ., 111); **დანიელ** (საქ. სიძვ., II, 1691; **დანიელა** (დოკ., I, 13).

**დანიელ ალექსანდრეს ძე** (1261-1309 წწ.), მოსკოვის მთავარი, ალექსანდრე ნეველის შვილი, მოსკოვის მთავართა დინასტიის ფუძემდებელი; **დანიელი,** ერთ-ერთი წინასწარმეტყველი ბიბლიაში. ბიბლიური ტრადიციით, ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ დ. ბაბილონში გადასახლებულ ტყვეთა შორის ყოფილა. **დანიელ რომანის ძე გალიჩელი** (1201-1264) გალიჩისა და კოლიჩის მთავარი. **დანიელ ჩორნი** (დაახლ. 1360-1430 წწ.) რუსი ფერმწერი; **დანიელაშვილი** იხსენიება 1584 წ. 7 ივლისს, ყმისა და მამულის წყალობის წიგნში, გაცემული ალექსანდრე მეფის მიერ არსლან ჯანდიერიშვილისადმი დოკ., I, 361); „ქ. ციციშვილის ბაადურაშვილის ზაალისა სამღერეთს 1721 წელს ა. დანელაშვილი“ (ვახუშტი, 31); შდრ. **დანიელიანი, დანიელონი, დანიბეგაშვილი, დანილოვი, დანიელოვსკი.**

| |
|---|
| დარახველიძე 1141 |
| *თბილისი 364* |
| *ქუთაისი 234* |
| *ამბროლაური 199* |

**დარახველიძე** (1817 წ.. **პეტრე დარახველიძე** მოიხსენიება სოფ.ბორბალოს 1817 წლის აღწერით (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფურ. 269-270); მანგლისში 1879 წელს მოიხსენიება ნიკოლოზ ივანეს ძე **დარახველიძე** (სცსსა,

ფ. 489, აღწ. 9. თ/წ. №1).

დარბიაშვილი 102
კასპი 77
თბილისი 20
ქუთაისი 5

**დარბიაშვილი** (1713 წ.), სავარ. მიღებულია ზნიდან **დარბი-ს** გრდუვ. სირბილით დადის// ჩქარი ნაბიჯით დადის (ქეგლ); **დარბიაშვილი** მოიხსენიება ენაგეთის ახალშენს 1713 წ. გაყრილობის წიგნში. მიცემული კათალიკოზ დომენტის მიერ ამილბარ და **ახუა** მაღალაძეებისადმი (საქ. მუზ. Hd X8257). შდრ. სირბილაძე (ენაგეთის ახალშენი).

დარსაველიძე 888
თბილისი 258
სამტრედია 219
ქუთაისი 178

**დარსაველიძე** (1873 წ.), სავარ. რთული შედგენილი სახ. **დარსა,** ქალის საკ. სახელი (ალ. ღლ., 266); **ველია** (დოკ., ī, 37).

**სოლომონ და იორდან დარსაველიძეები** მოიხსენიებიან სოფ. ბორბალოს 1873 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №1, საქმე 477).

შდრ. **დარსალია** (ბორბალო).

დარჩიაშვილი 1104
თბილისი 407
გურჯაანი 109
ახმეტა 91
დარჩია 1819

**დარჩიაშვილი** (1676 წ.), მშობლისმიერი საკ. სახ. **დარჩია** (ი. მაისურ., ონომასტიკის სამყაროში, მნათობი, №1, 1978); საკ. სახ. **დარჩ-ი** (ქართლ. ცხ., I, 177); **დარჩა** (დოკ., I, 357); **დარჩია** (ქრონიკ., II, 246; ფშ., ს. მაკალ., 147; ალ. ღლ., 111); **დარჩი-ს** მოფერებითი ფორმებია: **დარჩილ-ი, დარჩინა, დარჩო,** შდრ. (სპ.) **დარჩინ** ჩინური ხე (ქართ.) **დარიჩინი**; დარჩა ღანუკელი (დოკ. I, 13); დარჩია გიგასშვილი (იქვე, 231), შდრ დარჩი, მდინარე მესტიის რაიონში; დარჩიაშვილი თევდორე, 1676 წ. გარდაწყვეტილობის წიგნი, მოცემული ლაზარე და მათე ბერისშვილების მიერ ზურაბ და სხვა თუმანისშვილებისადმი (საქ. მუზ. №1013 Sd); ქ. ბოცოეთს ყაფლანიანთი: დარჩიაშვილი ბერია. დარჩიაშვილი პაპია, 1721 წ.“ (ვახუშტი, 168); 1818 წლის 8 ნოემბერს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ჯვარს იწერს ადომელ მესტვირიშვილის ქალიშვილი ნატალია. მის თავდებად მოიხსენიება **დავით ზაქარიას ძე დარჩიაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); 1873 წლის აღწერით ენაგეთის ახალშენს აზნაურ ანტონ ყორღანაშვილის მამულში მოიხსენიებიან: დათია შაქროს ძე დარჩიაშვილი, შვილები ანტონი, არსენა, დათიას ძმა გიგოლა, სიმონ შავერდას ძე დარჩიაშვილი, შვილები: გიორგი,

ზაქარია; ივანე შავერდას ძე დარჩიაშვილი, შვილები: არტემა, ბაღდუა: მიხა შავერდას ძე დარჩიაშვილი, შვილი არშაკა: არსენ შავერდასძე დარჩიაშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, . 189-220); ზოგჯერ **დარჩის** აიგივებენ **დაჩი**-სთან. ეს სახელი ქართულში უძველესი დროიდან გვხვდება; მაგალითად, **დაჩი** ერქვა **ვახტანგ გორგასლის ვაჟს** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 33); **დაჩი** X ს-ში იყო ქართველი მწიგნობარი და მთარგმნელი; დარჩიაშვილი ვლადიმერ (ლადო) ივანეს ძე (1872-1916 წწ.), ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი; ამავე ძირისაა: **დარჩიძე, დარჩიძეები** სოფელია აჭარაში, შუახევის რაიონში. „უწინდელ დროში ვაინობის დროს ჩუენში ჟამნობა გაჩენილა თურმი. სოფლიერი ხალხი თლათ გაჟუჟვილან და მარტო იმ სოფლის ხალხი დარჩენილან მეგერ, რომელცხას ახლა „დარჩიძიეფს" ვეძახით. ამი გამეიეს დიერქვა იმ სოფელ დარჩიძეები (ქართ. დიელექტ., I, 400).

შდრ. **დარჩაშვილი, დარჩია. დარჩიბეგაშვილი** (ბოცოეთი, ენაგეთის ახალშენი, ჯორჯიაშვილი).

**დარჩიბეგასშვილი** (1445 წ.), **დარჩიბეგა,** რთული შედგენილობის სიტყვაა, საკ. სახ. **დარჩა, დარჩია, დარჩინა** და საკ სახ. **ბეგა, ბეგი.** აქედან **დარჩიბეგა (დარჩიბეგაშვილი).** შდრ. **ალიბეგი,** აბდულაბეგი, ადიბეგა, ათაბეგა, აქედან გვარები: ალიბეგიშვილი, ადიბეგაშვილი, ათაბეგიშვილი, დარჩიბეგისშვილი დავითი მოხსენიებულია 1445 წლის საბუთში, სახელდობრ: დიმიტრი მეფე აძლევს ნასყიდობის წიგნს ზაქარია და დავით დარჩიბეგასშვილებს და მის შვილს ბასილს (სცსსა, ფ. 230, დავთ, 1, №292, ფურ. 69) (კრწანისი).

| | |
|---|---|
| ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ | 1124 |
| *მარტვილი* | *356* |
| *თბილისი* | *271* |
| *ქუთაისი* | *92* |

**ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ,** ნაწარმოებია სახელისაგან **დარეჯან. დარეჯან** წარმოადგენს მეორე ნაწილს სახელისა **ნესტან-დარეჯან** („სწორუპოვარი") მისი მოფერებითი ფორმებია: **დარია, დარო, დარიკო. დარეჯანისაგან** ნაწარმოებია გვარი **დარჯანია** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 383) (ასურეთი).

| | |
|---|---|
| ᲓᲐᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 37[illegible] |
| *დმანისი* | *171* |
| *თბილისი* | *130* |
| *ბოლნისი* | *38* |

**ᲓᲐᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1696 წ.), საკ. სახ. **დაუთ** (თუშ. ჯოყოლო, ახმეტის რ., ალ. ღლ., 111); **დავით დაუთაშვილი** მოიხსენიება 1696 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნში, როგორც ნაზარილახაანის კარის **მდივან-მწიგნობარი.** მისი ხელითაა

შედგენილი სოფლების ღვევისა და ზირბითის ყმა-გლეხებთან დაკავშირებული წიგნი (ღვევი, ზრბითი).

დონდუაშვილი 57
*თბილისი 16*
*თეთრიწყარო 12*
*გარდაბანი 11*
დონდუა 192
დუნდუა 1541

**დანდუაშვილი//დონდუაშვილი** (1883 წ.), საკ. სახ. **დონდუა** (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 38; ალ. ღლ., 114); **დანდუა** ბაქუზანაშვილი მოიხსენიება 1823 წელს სოფ. ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 99-1-5); 1823 წ. აღწ. დიდ ენაგეთს კაპიტან გიორგი ბარათაშვილის (ბარათოვის) გლეხებად მოიხსენიებიან გაბრიელ დონდუაშვილი, მეუღლე ნათელა, შვილები იოსები (სოსია), ნონია, ავაგა. დიმიტრი ბარათაშვილის (ბარათოვის) გლეხად თოთი დონდუაშვილი, მეუღლე მარიამი, ვაჟები: ივანე, ავეტიკა, ქალიშვილი ქეთევანი; **გეო დანდუაშვილი,** მეუღლე შუშანა, დისშვილები – **ნიკოლაშვილები.** (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18); მიხა დონდუაშვილს, ძმას იაგორას, 1873 წელს უცხოვრიათ ენაგეთის ახალშენში (სცსსა, ფ. 254, 3, საქმე 115, №136, ფურ. 189-200); დიდ ენაგეთში მცხოვრები მალხაზ და გიორგი დონდუაშვილები შვილებს უნათლავენ ენაგეთელ სვიმონ იმერლიშვილს და ბოგველ ბერუა კიკოლაშვილს (489, 6, №31, №25); დიდ ენაგეთს 1873 წელს აღრიცხულნი არიან ვართან მიხეილის ძე დონდუაშვილი, დისშვილი ალექსი და შაქარა გეოს ძე დონდუაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); ამავე ძირისაა: **დონდუა, დუნდუა** (ალბათ, **დონდარაშვილიც,** სახელიდან **დონდარა**) (ბოგვი, დიდი ენაგეთი, ენაგეთის ახალშენი, ჯორჯიაშვილი).

**დევლახაშვილი** (1817 წ.). საკ. სახ. **დევლახი** (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ, I, 177); წარმომდგარა მეტსახელიდან **დევილახია** (საუბ. ძლიერი, ღონიერი); **გ. დევლახაშვილი** მოიხსენიება სოფ. მუხათში 1817 წლიდან (სცსსა, ფ. 1449, საბ. №460); ხელნ. ინსტ. Hd 5885). მხოლოდ მუხათში ცხოვრობს3 კომლი.

დევსურაშვილი 163
*თბილისი 82*
*თეთრიწყარო 27*
*გარდაბანი 17*

**დევსურაშვილი** (1873 წ.), მეტსახელი **დევსურა,** აქედან გვარი: **დევსურაშვილი** შდრ. **დეველა,** მეტსახელი გვარში: **დეველაშვილი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 36); **დევისმა** (გ. ლეონ., სახელები), **დევნოზა,** მეტსახელი გვარში: **დევნოზაშვილი, დევრისა,** გვარში: **დევრისაშვილი** (ი. მაისურ., 55) (ორბეთი, თონეთი).

| | |
|---|---|
| დეკანოზიშვილი | 391 |
| თბილისი | 226 |
| თელავი | 29 |
| ახმეტა | 25 |

**დეკანოზაშვილი //დეკანოზიშვილი** (1558 წ.) ნაწარმოებია ეკლესიის მსახურთა სახელწოდებიდან – **დეკანოზი. დეკანოზი** – ქართული ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი. საქართველოს მთიანეთის ზოგ კუთხეში ძველად – ხატის მსახური (ქეგლ).

**დეკანოზიშვილი//დეკანოზიშუილები ფარნაოზად, ონისიმედ** და **ფილაროზად** იხსენიებიან 1558 წ. სასახლის ნასყიდობის წიგნში, რომელიც დეკანოზიშვილებს თავიანთ განაყოფ ლომისასთვის მიუციათ (ქსძ, VIII, 827); „საციციანოს ხეობის **აზნაური დეკანოზიშვილების** წინაპარნი საბერძნეთიდან მოსულან ბაგრატ მეფის დროს 1028 წ., მოყოლილი ზითევში ბერძენთ მეფისა ელენესი ლვდლად და ყვა მას შვილნიცა და იწოდებოდა მღვდელი იგი **დეკანოზად**. ამის გამო გაუგვარდათ გვარი ასე. ესენი არიან ზოგნი ქართლს მოსახლენი, ზოგნი კახეთს და ზოგნი იმერეთს და იყვნენ ამათნი წინაპარნი. დროსა მეფისა ბაგრატისასა, წელსა 1028 და არიან ტრაქტატსა შინაცა მოხსენიებულ" (საანდაზო ლექსები... 95-96); „ქ. ხოსროხანიშვილისა კწანისს 1721 წ. ოტია დეკანოზიშვილი" (ვახუშტი, 23); სოფ. წრუელეთის სიგელ-გუჯარების შემდგენელმწიგნობრად მოიხსენიება **ოსე დეკანოზიშვილი** (1737 წ., დოკ., I, 272). შდრ. ეკლესიის მსახურთა სხვადასხვა სახელწოდებისაგან მიღებული გვარები: **დეკანოსიძე, დეკანოიძე, წინამძღვრიშვილი, მრევლიშვილი, მღვდელაძე, პაპავა** (პაპა მეგრულად ნიშნავს „მღვდელს", ასე რომ პაპავა იგივეა, რაც მღვდელაძე), **ხუციძე, ხუციშვილი, ნახუცრიშვილი, დიაკონიძე, ჯაკონია,** (მიღებულია დიაკონისაგან), **მალაზონი** (იგივეა, რაც მონაზონი), **კანდელაკი** (ასე ერქვა ეკლესიაში სანთლის მნეს: მნათეს), **მგალობლიშვილი** და სხვანი (იხ. ზ. ჭუმბ., 309) (კრწანისი, სამშვილდე, წრუელეთი, წყურვილეთი).

| | |
|---|---|
| დეკანოსიძე | 800 |
| თბილისი | 396 |
| ხარაგაული | 139 |
| რუსთავი | 54 |

**დეკანოსიძე** (1886 წ.), **დეკანოზი,** ქართული ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი. საქართველოს მთიანეთის ზოგ კუთხეში ძველად – **ხატის მსახური.**

**დეკანოსიძე ერასტი ფარსადანის ძე** 1886 წელს შორაპნის მაზრის სოფელ ამაშუკელებიდან გადმოდის სოფელ თეთრ წყაროში (სცსსა, ფ. 254, აღწ. 3, 1610, ფურ. 98-99).

## ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2516
*თბილისი 1110*
*კავპი 214*
*რუსთავი 204*
ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲫᲔ 685
ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 27

(1781 წ.) //**დემეტრაძე** (ბერძ. დემოს-მეტერ – ხალხის დედა. ანტიკური მითოლოგიის მიხედვით „მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთია“ (იგივე ცერერა) (ისტ. დოკ., I, 15); **დემეტრა** (საქ. სიძვ., I, 67); **დემეტრე I,** აფხაზთა მეფე, ძე ლეონისა (ქართლ. ცხ., I, 258); **დ.** II, მეფე აფხაზთა (იქვე, 270); **დ.** I, ძე დავით აღმაშენებლისა, საქართველოს მეფე (იქვე, 363); **დ.** შვილიშვილი დემეტრე I-ისა (იქვე, გვ. 366); **დ.** ძე გიორგი I-ლისა (იქვე 291); **დ.** კახეთისა და კუხეთის ერისთავი ვახტანგ გორგასლის დროს (იქვე, 174); **დ.** ძე გურამ კურაპალატისა (იქვე, 221); **დ.** ძე სტეფანოზ I-ლისა (იქვე, 252); **დ.** კლარჯი, ძე გურგენ კლარჯისა (იქვე, 259); დემეტრე ძე ქართლის მეფის დავით X-ისა (ქართლ. ცხ., II, 353; ალ. ღლ., 112).

**დემეტრე** წარმოშობით და მნიშვნელობით იგივეა, რაც **დიმიტრი,** სადაც **ე** ხმოვანს ენაცვლება **ი** (ეს ცვლილება ბერძნულშივე ხდება). ასეთივე ცვლილება გვაქვს სახელებში: **ელია – ილია, ჰერაკლე – ირაკლი, ესაია – ისაია** და სხვა. უფრო ძველი ფორმები დაცულია გვარებში: **დემეტრაძე, დემეტრაშვილი, ელიაშვილი, ელიაძე, ელოშვილი, ელიავა** და ა.შ. **დემეტრესა** და **დიმიტრის** შემოკლებული ფორმებია: **დიტო, მიტო, დუტუ** (ზ. ჭუმბ., 143).

**დემეტრასშვილი იოანე** მოიხსენიება XII-XIII სს.-ში. (იხ. ტბეთის სულთა მატიანე, 1977, !6); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. რაფაქეთს 1721 წ. დემეტრაშვილი სამებისა მოლაშქრე“ (ვახუშტი, 58); კოდაზე გიორგი დემეტრაშვილი 1818 წელს ნათლავს ქალიშვილ ნინოს. მიმქმელად მოიხსენიება მამუკა მათოხასშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ); იქვე, იმავე წელს ივანე დემეტრაშვილს ვაჟს, ბერას უნათლავს კოდელი გიორგი აბუაშვილი (იქვე); „კოდაზე მცხოვრებ იოსებ დემეტრაშვილს დაებადა ქალი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა აბრამმა, სახელი ეწოდა ეფემია. ნათლიად იყო კოდაზე მცხოვრები ასლან არაზასშვილი“ (489, №6, 57, 1828 წ. გა. 8); ივანე დემეტრაშვილი ამავე წელს ნათლავს შვილს სოლომონს (იქვე, ფურ. 9); „კოდაზე მცხოვრებელ გლეხს, აზნაურ გიორგი ჩაჩიკაშვილის ყმას გიორგი დემეტრაშვილს 1831 წელს სიჭლექით მოუკვდა ცოლი ნინა მამუკას ასული და დაიმარხა ამავე სოფლის სასაფლაოზე. აღსარება

ათქმევინა და აზიარა წმინდათა საიდუმლოთა მღვდელმა იოსებ ხუროვმა“ (სცსსა, ფ. 489, აღწ. №6, 1, 21 ბ, ფურ. 21); ენაგეთში 1882 წელს სახელმწიფო ყმა სვიმონ ვასილის ძე დემეტრაშვილი ცოლად ირთავს სალირაშენში მცხოვრებ აბრამ ზაქარიას ძე კეკელაშვილის ასულ სიდონიას. სასიძოს თავდებად მოიხსენიებიან: გიორგი გრიგორის ძე აღდგომელაშვილი, ზაქარია ნინიკას ძე დემეტრაშვილი, თომა ღვთისიას ძე მეჯერიაშვილი, სასძლოს მხრიდან: თევდორე ბესარიონის ძე გრძელყელიშვილი, იოსებ და გივი ივანეს ძე ჩადუნაშვილები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); პატარა თონეთში მცხოვრები ელიზბარ პეტრეს ძე დემეტრაშვილი 1884 წ. ცოლად ირთავს ჩხიკვთაში მცხოვრებ ზაქარია ზურაბის ძე ბაიდარაშვილის ასულ ბარბარეს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); კოდაში მცხოვრებ **დემეტრაშვილთა** ნაწილი **დიმიტრაშვილად** ეწერება (ენაგეთი, თეთრი წყარო, კოდა, პატარა თონეთი).

**ᲓᲔᲛᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **დემურა**. შდრ: **დემუა დემუაშვილი**“ (ვახუშტი, 141).

| | |
|---|---|
| ᲓᲔᲛᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 318 |
| *ბოლნისი* | *162* |
| *თბილისი* | *55* |
| *თელავი* | *35* |
| ᲓᲔᲛᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 284 |

| | |
|---|---|
| ᲗᲝᲠᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 86 |
| *თბილისი* | *18* |
| *გორი* | *10* |
| *ბოლნისი* | *8* |

**ᲓᲔᲛᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ//თოროსაშვილი** (1692 წ.), **დემურ//თემურ** (თურქულ-მონღოლური) „რკინა“. ეს სახელი ერქვა მონღოლთა ურდოების წინამძღოლს თემურ-ლენგს (ე.ი. „კოჭლ-თემურს“), რომელსაც რუსები ტამერლანს ეძახდნენ; სახელი თემური მონღოლურიდან გადასულა თურქულში და ამ უკანასკნელის მეშვეობით ჩვენშიც გავრცელდა (ზ. ჭუმბურ. 343); საკ. სახ. **დემურ** – 1677 წ. მოიხსენიება მამულის ნასყიდობის წიგნში გაცემული შალუბათა ბერუაშვილის მიერ დოლმაზა შანშიას-შვილისათვის (საქ. მუზ., №10, 252, Hd; დოკ., I, 55).

**დემურ მოსეს ძე თაზისშვილი,** 1750 წ. პირობის წიგნი, მიცემული ერთობით კრწანელთა მიერ მოურავ პაატასადმი (დოკ., 1, 350); იოვანე **დემურაშვილი** 1782 წ. თავნასყიდობის წიგნი, მიცემული იოანე სოხოაშვილის მიერ გიორგი ბატონიშვილისადმი (დოკ., II, 124); ასლანას და მის ძმებს ამირხანას, ამზასშვილს, ალიბეგ დემურაშვილებს 1692 წ. მეფე გიორგი ჰპირდება როგორც კი ქართლს

დაიბრუნებს მათ სოფელ თავდიდიანს აჩუქებს (ისს. ლორთქ., ნაწ. III და IV, § 71-267); წატურა დემურაშვილი 1701-11 – წ. აღწ. ყაფლანიშვილების ყმა ხულში (იქვე, § 16); „ქ. მიტაშენს მსახლობელი ზურაბის ყმა, 1721 წ. ვართანა დემურაშვილი" (ვახუშტი, 334); 1843 წ. პატარა თონეთში მოიხსენიება ვახტანგ **დემურაშვილი**, იგივე **თოროსაშვილი** (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურც. 310-329).

იხ. **თოროსაშვილი** (დურნუკი, კოდა, მირტაშენი, პატარა თონეთი, სამშვილდე).

| | |
|---|---|
| საგინაშვილი | 1035 |
| *თბილისი* | *410* |
| *საგარეჯო* | *377* |
| *თელავი* | *634* |
| მებატონე-მემამულენი ქვ. ქართლში | |

| | |
|---|---|
| დესპოტაშვილი | 83 |
| *თეთრიწყარო* | *52* |
| *თბილისი* | *24* |
| *მარნეული* | *4* |

**ᲓᲔᲡᲞᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ//საგინაშვილი** (1742 წ.), საკ. სახ. ქალის **დესპ-ი//დესპინე** (ბერძ.) ქალბატონი (სვან. 4, ლენტეხი, ალ. ღლ., 267); შდრ. **დესპო** (სტუდ, კოლექცია, ალ. ღლ., 267); აქედან კნინ. ფორმა **დესპოზი.** შდრ. **ბესპაზ, საფათ, იოსაფათ, ინდო, საგინაშვილები** (იხ. საგინაშვილი); **დათუნა დესპოზაშვილი-საგინაშვილი** მოიხსენიება სოფელ ბოგვში 1742 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული დათუნა საგინაშვილის მიერ თავის განაყოფ დურმიშხან ეშიკლაბაშის შვილის გიორგისა და სხვათადმი (სცსსა, ფ. 226, №3934);

**დესპოტაშვილი** (1873 წ)., ზედმ. სახ. **დესპოტი** (ა). **დესპოტი** (ბერძ. დესპოტეს). ძველი აღმოსავლეთის მიწათმფლობელურ მონარქიებში: უმაღლესი მმართველი, რომლის ხელთ იყო განუსაზღვრელი უფლებები. (გადატ.) თვითნება ადამიანი, რომელიც სხვებს აიძულებს მის ნებაზე იქცეოდნენ, რომელიც სხვის სურვილს არაფრად აგდებს; ტირანი (უცხო სიტყვათა ლექს., 101).

შდრ. **გაროზაშვილი-გოროზაშვილი** (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. I, 232); **გოროზი,** ზოგ. მნიშვნ. მედიდური, ამპარტავანი (ძეგლ.).

1873 წელს სოფელ კოდაში მოიხსენიებიან ივანე, გიგოლა, გიორგი და დავით **დესპოტაშვილები. გიგოლა აბრამის ძე დესპოტაშვილი** ამავე წელს გადადის საცხოვრებლად ტიფლისში (სცსსა, ფ. 254, №3, 119, საქმე №56, ფურ. 437-439); დიდ ენაგეთში მცხოვრები იასე ივანეს ძე დესპოტოვი (დესპოტაშვილი) 1873

წელს შვილს უნათლავს თანასოფლელ იაკობ პეტრეს ძე უსიტაშვილს (ფ. 4898, აღწ. 9, №6, თ/წ. 1); 1879 წელს დიდ ენაგეთში მცხოვრები ზაქარია იოსების ძე დესპოტაშვილი ნათლავს ელისაბედს. მღვდელია ზაქარია ბარნოვი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, ფურ. 2); 1883 წელს სოფ. ენაგეთში მოიხსენიება ზაქარია ივანეს ძე დესპოტაშვილი. იმავე წელს ნათლავენ შვილს მაკრინეს, მიმქმელია აზნაური რაჟდენ იასეს ძე ზაქარიევი (სცსსა, ფ. 89, აღწ. თ/წ. 1; იქვე, 1883 წ.); დიდ ენაგეთში მცხოვრებმა ზაქარია ესტატეს ძე დესპოტაშვილმა 1885 წ. ცოლად შეირთო გლეხის გიორგი ჭონქაძის ქვრივი მარიამი (იქვე, 1885 წ.); იასე ნონიას ძე დესპოტაშვილი ყოფილა დიდ ენაგეთში მცხოვრებ გიორგი ივანეს ძე სუხიტაშვილის ასულ მარიამის მომნათვლელი (იქვე, 1885 წ.); 1892 წელს თბილისში გადადიან საცხოვრებლად გიგლა და სოლომონ აბრამის ძე დესპოტაშვილები (საქმე №470, 91); დავით დესპოტაშვილი ვაჟით აბრამა 1899 წელს საცხოვრებლად ასევე გადადის ქალაქ თბილისში (საქმე №651/18) (დიდი ენაგეთი, ენაგეთი, კოდა).

| | |
|---|---|
| დვალი | 3135 |
| *თბილისი* | *1075* |
| *ქუთაისი* | *474* |
| *ამბროლაური* | *330* |

**დვალი, დვალები,** იბერიულ-კავკასიური ტომი ძველ საქართველოში. ანტიკურ წყაროებში (პლინიუს უფროსი, პტოლემე) პირველად მოხსენიებული არიან ახალ წ. აღ. I-II სს-ში **თალის, ვალის, უვალის** სახელწოდებებით, სახლობენ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში – დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის, ისტორიულ დვალეთში. ისტორიულად ცნობილია დვალები, ქართველი კალიგრაფები, დვალეთი, ისტორიული მხარე, დვალეთის ქედი.

დ. ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ კაჩაეთიდან.

**დიარაშვილი** (1721 წ)., საკ. სახ. **დია** (ს. მაკალ. ხევსურეთი, 192); **დია** – ქალის საკ. სახ. (გ. ლეონ., სახელები).

**პაპა დიარაშვილი** იხსენიება 1752 წ. მამულის ნასყიდობის წიგნში გაცემულ ზაალ და ზურაბ გოსტაშაბიშვილების მიერ ეშიკაღასბაშ დიმიტრი ყაფლანიშვილისადმი (დოკ., II, 44); ნოდარა დიარაშვილი ბოგანო (ვახუშტი, 105); შდრ. **დიაური** (ხახაბო, დუშეთის რ.).

დიასამიძე 8017
*ხელვაჩაური 1723*
*ბათუმი 1358*
*ქობულეთი 1094*

**დიასამიძე** (XII ს.), საკ. სახ. **დიასამ,** იხსენიება 1676 წ. მაისის „დამდეგს". ყმის ნასყიდობის წიგნში, გაცემული იესე ხერხეულიძის მიერ პაპუნა გერმანოზის შვილისადმი, მოწმედ დასახელებულია **დ[ი]ასამ დ[ი]ასამიძე**. (დოკ., I, 53).

დიასამიძის სახლი მაწყვერელის სამწყსოშია მოხსენიებული. „მაწყვერელი გჳრგჳნ-ბისონიანი არს: მისი სამწყსო ყვიბისი და სადგერი არს, სულ აწყვერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი გურიის წასადგომამდი" (იხ. დავით აღმაშენებლის ანდერძი, **1125 წ.**, II, 53); კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ მისცა ახალშენი საეკლესიო მოხელეთაგან ხელშეუვალობის წიგნი (1697 წ. IV.23. სოც. დოკ., 1, №142); **დიასამიძე ვახუშტი,** XVI ს. შუა წლების სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე მხარს უჭერდა ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის პოლიტიკას (ალგეთი, ახალშენი, ენაგეთი). (დ. სამშობლო მესხეთია).

**დიასახლისაშვილი,** სოციალური მდგომარეობა **დიასახლისი. დიასახლისი** მოსახლე (საბა, 98).

შდრ. **მწერლიშვილი.** ხელსაქმიანობის სიტყვა მწერალი, წიგნების გადაწერა ძველ საქართველოში საგანგებო პროფესიად ითვლებოდა. წიგნის გადამწერს მწერალი ეწოდებოდა (ივ. ჯავახიშვ., ქართ. პალეოგრ. 1949, 47-60); **მოძღვრიშვილი – მოძღვარი,** სასულიერო პირი, განსწავლული ბერი, მასწავლებელი, აღმზრდელი, ხელმძღვანელი (ქეგლ).

დიდებულიძე 250
*თბილისი 152*
*გორი 20*
*ყვარელი 16*

**დიდებულიძე** (1871 წ.), დ. გადმოცემით სადგერიდან წამოსულან, თან წამოუღიათ სასწაულთმოქმედი „დიდებული ხატი" (ი. მაისურ., 56); **დიდებულ-ი, ჩინებული, მშვენიერი, არაჩვეულებრივი, წარმტაცი, საუცხოო** (ისტ.). ფეოდალურ საქართველოში – დიდი ხელისუფლების მქონე, მაღალი თანმდებობის პირი (ქეგლ); ვარდისუბანში 1871 წელს მოიხსენიება **მიხეილ იოანეს ძე დიდებულიძე**. იგი შვილს უნათლავს თავისსავე სოფლელს ისაკ გიორგის ძე ობოლაძეს, (სცსსა, მეტრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, №6, თეთრი წყარო 1, ფურ. 3).

მდივნიშვილი 550
*თბილისი 215*
*გარდაბანი 56*
*ხარაგაული 47*
მდივანოვი 113
(იგივე მდივნიშვილები)

**დივანაშვილი//მდივნიშვილი//თუმანიშვილი** (1690 წ.), საკ. სახ. **დივანა, დივა, დივნა, მდივანი.** თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი (ნუკრიანი) (ალ. ღლ., 113); „**დივანაშვილები** არიან გვარით **დვიანთის** გვარისა **თუმანის შვილებთაგანი,** გილანიდამ მოსული. ამათმა გვარმა პირველმა განითვისა **თუმანიშვილობა** და მეორემ **დივანიშვილობა**“ (საანდაზო ლექსები... 126); **გოლუა დივანაშვილი** (გულოა) იხსენიება დავით სოლოღაშვილის ნასყიდობის წიგნში, სოფ. კუმისში 1690 წ. (საქ. სიძვ. II, 407); დივანი დავითა (დოკ., I, 386), **დივანბეგი** ერასტი, პაპუა (იქვე, 138, 417); ათაბეგა დივანიშვილი შეტანილია საქუაშვილის მიერ შედგენილ ნასყიდობის წიგნში, კუმისში 1696 წ. (საქ. სიძვ., II, 437); „ქ. სოლოღაშვილის ასლამაზისა ქ. კუმის, 1721 წ. **აზნაური დივანაშვილი ბექუა,** ბოგანო ამისი ბერუა“ (ვახუშტი, 148); **დივანაშვილი** 1721 წლიდან **მდივნიშვილი,** XIX საუკუნის ბოლოს რუსული დაბოლოებით მდივანოვი. ამავე ძირისაა: მდივანი (სამღერეთი, არდისუბანი).

**დილარგეთისშვილი** (1477 წ.), საკ. სახ. **დილარგეთ-ი** (გ. ლეონ., სახელები).

**დილარგეთისშუილი** მოხსენიებულია 1477 წლის საბუთში, სახელდობრ: ნიკოლოზ და სხვა პალატისშვილთა მიერ გოგიტა არდაშერასშვილისადმი მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ., 1, 4); „ესევე გვარი, დილარგეთისშვილი, მოხსენიებულია 1703 წლის საბუთში ნაზარალიხანის მიერ“ (იქვე, 4) (კრწანისი).

დოდიაშვილი 43
*თბილისი 28*
*გორი 7*
*გარდაბანი 6*

**დოდიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **დოდია** (ტბეთის მატიანე, 500). **დოდა** (სვან., 6. ქიბიანი); **დოდია** (ალ. ღლ., 113); შდრ. ქალის საკ. სახ. **დოდო.**

„ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ლოუზანს... **იორდანე დოდიაშვილი**“ (ვახუშტი, 140); **სიმონი დოდიაშვილი,** მეუღლე მართა, ვაჟი ბერუა, ქალიშვილები ანა, სალომე, ნინო, დისშვილები – იოსები, მეუღლე მარიამი, ვაჟი გლახა, ქალიშვილები: ბარბარე, ფეფელა, გაბო, მეუღლე მაია, ქალიშვილი თამარი; **მათე თევდორეს ძე დოდიაშვილი.** დედა თინათინი, დისშვილი გიორგი (ლოუბანი, 1823 წ. სცსსა ფ. 254, 1, 802, ფურ. 83092); ამავე ძირისაა: **დოდაშვილი, დოდელია,**

**დოდოლაშვილი, დოდუა** (დოუბანი).

**დოლდაშვილი** (1781 წ.), სავარ. საკ. სახ. **დოლდა.** „აქავ კოდაზედ ტერფილიპეს ყმა **დოლდაშვილი მატია,** ამისივე ყმა **დოლდასშვილი არუთინა**“ (ივ. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. I, 173); სავარ. რომ **მატია დოლდაშვილმა** დაუდო სათავე ამავე სოფელში **მატიაშვილებს** (მოგვიანებით რუსული გაფორმებით მატინოვების) გვარს (კოდა).

| დოლენჯაშვილი 461 | |
|---|---|
| თბილისი | 136 |
| გურჯაანი | 129 |
| საგარეჯო | 101 |

| დოლენჯიშვილი 86 | |
|---|---|
| თბილისი | 51 |
| ადიგენი | 9 |
| სიღნაღი | 3 |

**დოლენჯიშვილი//დოლენჯაშვილი//თვაური//ჯაჯანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **დოლენჯი.** „ქ. სამნაშვილი სამებას არის: ...**დოლენჯი მამია**“ (ივ. ჯავახ., სეიმ, I, 32); **დოლენჯი** (საქ. სიძვ., I, 424); დოლენჯიშვილები წარმოშობით არიან მესხეთიდან: „აწ გადმოსული მესხეთიდამ“ (ქართ. ცხ., IV); „**თავადი დოლენჯისშვილი, ძირით სომხითის თავადნი არიან** და მიიღეს გვარად სახლისა გამო დოლენჯისა მეფობისა ვახტანგისასა ქრისტეს აქეთ 1703 წ. და მუნითგან იწოდებიან **დოლენჯისშვილებად**. ამათნი წინაპარნი ცნობილნივე იყვნენ დროსა მეფისა სვიმონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1624 და მათი გვარნი რომელნიმე არიან ახალციხის ნაწილთა შინა“ (საანდაზო ლექსები... 29);

**იოთამ დოლენჯიშვილი** 1721 წ. აღწ. **მებატონე,** ცხოვრობდა დმანისში, ყმები ჰყავდა სამღრეთსა და სამღერეთის ახალშენში (ის. ლორთქ. ქვ. ქარლ., ნაწ. III და IV, 223); **ზაალი დოლენჯიშვილი** 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა დმანისში, ჰქონდა მამულები და ჰყავდა ყმები (ის. ლორთქ., ქვ. ქართლ., §§ 83, 132, § 76, §§ 142, 134, 135, 140); **დოლენჯიშვილი ზალია,** სამღერეთის მემამულეა (იქვე, 223); **დოლენჯიშვილი მოურავი ჯიგრაშენისა** (ბეთლემისა) (იქვე, § 71-922-ა); დოლენჯიშვილი აზნაურია სამღერეთში. „ქ. დოლენჯაშვილის იოთამისა სამღერეთს, 1721 წ. მაზმიშვილი როსტომა (ვახუშტი, 72); არსენ დოლენჯაშვილმა მანგლისის არხიეპისკოპოსმა 1713 წელს დოლენჯაშვილთა გვარის ღალის გადასახადისაგან გაათავისუფლა მანგლისის მცხოვრებნი (**დ. ფურცელაძე,** Груз. крест. Гр-та, გვ. 10);

თვაური. **ჯაჯანაშვილი** დოლენჯაშვილების შტო-გვარებია. (ტბისი, სამღერეთი, ბოგვი).

ᲓᲝᲚᲘᲫᲔ 8449
*თბილისი 2192*
*ოზურგეთი 1442*
*ჩოხატაური 1073*

**ᲓᲝᲚᲘᲫᲔ** (1970 წ.), საკ. სახ. **დოლ-ი, დოლა. დოლე** (სტატ. ცნ., XVIII ს., 423); გ. ლეონიძის სახელები; ა. შან., (ხევსურ, 164., ალ. ღლ., 114).

ზ. ჭუმბურიძის ვარაუდით **ეთნონიმური** წარმოშობისა უნდა იყოს. შდრ. **დოლიები, დოლიონები,** პელასგური ტომი პროპონდიტაში (იხ. ურუშაძე, ძვ. კოლხეთი, არგონავტ. თქმულებანი, 124...); ზოგი მკვლევარი პურეულის ჯიშის ტერმინთან აიგივებს: **დოლის პური** (გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრებული „მესხეთ-ჯავახეთი", თბ., 1972, 15); ნ. **დოლაძე მამუკა** (ქრონ., II, 339) ამავე ძირისაა: **დოლბაია, დოლბაშვილი, დოლბაძე, დოლიაშვილი, დოლიკაშვილი, დოლიშვილი.** ჩოხატაურის რაიონში მცხოვრებ დოლიძეთა შტო-გვარებად ილ. მაისურაძე გამოყოფს: **მოხელიშვილს, ოქრუაშვილს, ზაქარეიშვილს, ხარაზს, მიხაბაშვილს, ხოსრუაშვილს** (იხ. ილ. მაისურ., 57).

**დოლიძე** სოფელ კოდაში **აზატაშვილების** შტო-გვარია.

ᲓᲝᲚᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 249
*თელავი 66*
*თბილისი 56*
*გურჯაანი 9*
ᲓᲝᲚᲛᲐᲖᲝᲕᲘ 93

**ᲓᲝᲚᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ//შანშიაშვილი//პაპიაშვილი//გოგიბაშვილი//მარტუილოზაშვილი//გლახაშვილი** (1699 წ.), **დოლმაზ, დონმაზ** (თურქ.) დაუბრუნებელი, აუვსებელი. საკ. სახ. **დოლმაზა,** „ბარათაანთ გაყრის წიგნით, 1523 წ. იოთამს ხვდა წილად კარაშგარს დოლმაზა (ს. კაკაბ., საისტ. მოამბე, 1924, 185); **დოლმაზ-ი** (გ. ლეონ., სახელები); დონმაზა 1646 წ. (დოკ., I, 30); დოლმაზა 1639 წ. ებოძა სომხითის სოფელი ახოთა (ისს. ლორთქ., ქვ. ქართლ., III და IV ნაწ. § 71-78); დოლმაზა, სახაბაზოს მოხელე (ხაბაზი) (ბარათაანთ გაყრის წიგნი 1536 წ.); **დოლმაზა მერაბაშვილი,** სალაროს ჩაზირი (სამეურნეო ფუნქციების მქონე („დასტურლამალი"), ქსძ., V, 651); დოლმაზა შანშიასშვილი, 1677 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი (საქ. მუზ., №10. 252 Hd); **დოლმაზა შანშიასშვილი,** 1693 წ. ხოსრუა და სხვა ასლუაშვილები აძლევენ მამულის ნასყიდობის წიგნს (დოკ., I, 93); დოლმაზა თულბაში როსტომ მეფის კარის მდივან ბირთველ იასაულ-ბაშთან ერთად მონაწილეა ატენში

საზღვრის საქმეზე აღძრული დავის გარიგებისა (სიგელი როსტომ მეფისა, 1650წ. საქ. სიძვ., II, 129).

**დოლმაზა** – ... „დოლმაზასთან ხელი ნუ გვაქვს, თავისთვის მოხნან, ამისთვის გვიბოძებია, დათუ რამ სალაპარაკო საქმე გქონდეს, ამ ჩვენს კარზედ იუბნეთ“ (ბრძანება მარიამ დედოფლისა, 1659-1681, საქ. სიძვ., III, 535); დონმაზა-ყიფჩიბაში სოფელ სკრაში (დღევ. ქარელის რ.) მონაწილეობს როგორც მომრიგებელი მიწისა და ქონების გაყოფაში (განჩინება როსტომ მეფისა, 1634-1658, საქ. სიძვ. , II, 124); დონმაზას სვიმონ მეფემ 1639 წ. 25 მარტს უბოძა ახოთა, ხანდაკი და თალმარა (საქ. სიძვ., II, 410); **დოლმაზა ირალაშვილი** – 1679 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სოღროანთ მამაჯანას მიერ მელიქ შარმაზანასადმი (სცსსა, ფ. 226, №320; დოკ., I, 60); **დონმაზა** – მეფე როსტომის კარის ყაფიჩბაში, 1646 წ. აპრილის 3-ს სამი წლით სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ დონმაზასადმი“ (დოკ., I, 30); **დოლმაზაშვილი//შანშიაშვილი,** 1699 წ. სექტემბრის 27-ს ქვემო ახალშენში, მამულის გაცვლილობის წიგნი, მიცემული ხოსუა და სხვა ალუაშვილების მიერ ნასყიდა და სხვა დოლმაზაშვილებისადმი (საქ. მუზ., №10257 Hd; დოკ., I, 107); აქვე მოხსენიებული არიან: როსტომა, ავთანდილა, დავითა, მანდენა, ავთანდილა **დოლმაზაშვილ-შანშიაშვილები** (გვ. 107); დოლმაზაშვილი ნასყიდა არის მოწმე 1698 წ. შუა ბოლნისის ვენახის ნასყიდობისა (საქ. სიძვ., II, 120); დოლმაზაშვილი ხოსროვო 1702 წ. ბისოთულაშვილი სულხანისა და მანდენამისაგან ყიდულობს მათ წილ მიწას (ნასყიდობის წიგნი, ხოსრო დოლმაზაშვილისა) (საქ. სიძვ., II, 437).

**შანშიაშვილი დოლმაზა//დონმაზა** – მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შაღუბათა ბეროაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისადმი (1677 წ. საქ. მუზ., №10.252 Hd; დოკ., I, 55); **შანშიაშვილ-დოლმაზაშვილ იოსებს**, არჩილ მეფის სიგელით 1736 წ. კვლავ უბოძეს „ჭიპექი თავისის მთითა, ბარითა, შესავლითა და გასვლითა“ (საქ. სიძვ., II, 387); **დოლმაზა,** 1630 წ. ებოძა სომხითის სოფ. ახოთა. იხ. შანშიაშვილი დოლმაზა (ივს. ლორთქ., ქვ. ქართლ, ნაწ. III და IV, § 71-78); დოლმაზა, 1721 წ. აღწ. მეფის უყმო აზნაური ქვ. ბოლნისში (იქვე, § 78); **დოლმაზაშვილები:** დავით, როსტომ, მანდენა, პაპა, 1716 წ. ყიდულობენ ვენახებს ზემო ბოლნ-

ისში და ქვემო სახუნდარში (იქვე, § 71-120, 593-4).

**შანშიაშვილები:** ალიხანა, თამაზა, მირიანა, ოთარი, ოსეფა, საფარა (მეორე), შაველა, შანშე დამოუკიდებელი უყმო აზნაურები სახუნდარში (§§ 32, 77, 83, 126, 131, 71-593-4); **შანშიაშვილები:** გიორგი, მიქელა, ნაზარა, პაპა, ახვერდა, ქაიხოსრო, 1721 წ. აღწ. მებატონეები (§ 132), ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სომხითში (§§ 76, 126, 34); დასტურილ ქაიხოსრო-მერიქიფე, გიორგი და პაპა – სუფრაჯები, ნაზარა – იასაული (იქვე, 474).

**დოლმაზა შანშიაშვილმა სათავე დაუდო დოლმაზაშვილების გვარს.** ისტორიაში ცნობილნი არიან დოლმაზაშვილები: ბახუტა, გაბრიელა, გაბრიელა (მეორე), დავით, ზურაბ, კაცუა, დავით, როსტომ, მანდენი, პაპა 1726 წ. ყიდულობენ ვენახებს ზემო ბოლნისში და ქვემო სახუნდარში (ისს. ლორთქ., § 71-120); **დოლმაზაშვილი დავითა (შანშიაშვილი)** – 1703 წლის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მდივანბეგი ლევანის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისადმი (საქ. მუზ. №10, 244, Hd; დოკ., I, 122); დოლმაზაშვილნი – ბახუტა, გაბრიელ, გაბრიელ, დავით, ზურაბ, კაცუა, პაპა, სვიმონ (საქ. სიძვ., I, 303, 304, 305, 306, 307).

**დოლმაზაშვილები** (იგივე **შანშიაშვილები**) დავით, როსტომ, მანდენა, პაპა, 1716 წ. ყიდულობენ ვენახებს ზემო ბოლნისში და ქვემო სახუნდარში (ისს. ლორთქ., ქვ. ქართლ., III და IV ნაწ. § 71-120); დოლმაზაშვილი შანშიაშვილების შტო-გვარია. იხ. **შანშიაშვილი//დოლმაზასშვილი ავთანდილა** (საქ.. სიძვ., I, 301, 302); **შანშიაშვილი//დოლმაზასშვილი დავითა** (იქვე, 302); **შანშიაშვილი//დოლმაზაშვილი მანდენა** (იქვე, 301, 302); **შანშიაშვილი//დოლმაზასშვილი როსტომა** (298, 301, 302).

შანშიაშვილების შტო-გვარებია: **პაპიაშვილი, მარტიროზაშვილი, (შემდგომში, მოგვიანებით მარტიროსოვი) გოგიბაშვილი** (იქვე, თაყაიშვილი, საქ. სიძვ., საძიებლები); **შანშიაშვილები, პაპიაშვილები, დოლმაზაშვილები, ნაზარა** (ერთად), 1721 წ. აღწერით **მებატონეები** (§ 132) ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სომხითში §§ 76, 126, 34); შანშიაშვილი ზაალი, პაპუა, როსტომ, შვილი დოლმაზისა, ძმა ნასყიდასი, მებატონეები: ყმები ჰყავდათ თრიალეთში, თრიალეთის ხოირეთში, თალას (თელას), ზემო ბოლნისში (იქვე, 474); კოდაში მოიხსენიებიან 1781 წლიდან; „...აქავ მდივანბეგის მამულში დოლმა-

ზასშვილები გოგია და გლახა" (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 179); „**გიორგი გლახაშვილი** იგივე **დოლმაზაშვილი,** შვილები: მათე, იაგორა, მიწათმოქმედნი, **ქართველები, მართლმადიდებლები**" (სცსსა, ფ. 254, №1, 2-43, 1843 წ. ფურ. 275); ქართველების გრიგორიანული წესით მონათვლის გამო 1890-იანი წლებიდან დოლმაზაშვილები სომხად მონათლეს, ხოლო რუსული დაბოლოებით **დოლმაზოვებად** ჩაწერეს (კოდა).

ᲓᲝᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 33
*გორი 16*
*თბილისი 13*
*მცხეთა 2*
ᲓᲝᲛᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 67

**ᲓᲝᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1823 წ.), საკ. სახ. **დომელა-ი** (საქ. სიძვ., II 172); დიდ ენაგეთში მემამულე ივანე საგინოვის გლეხად 1823 წ. აღწერით მოიხსენიება სოსია დომელაშვილი, რომელიც თელავის მაზრიდან გადმოსულა ძმა ნინია, დედა ბარბარესთან ერთად (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18) (დიდი ენაგეთი).

ᲓᲝᲜᲐᲫᲔ 840
*თბილის 291*
*ოზურგეთი 116*
*ამბროლაური 84*

**ᲓᲝᲜᲐᲫᲔ,** საკ. სახ. **დონა: დონა** სააკაძე (გ. ჯამბურია, გ. სააკაძე, თბ., 1964 წ. 22); **—დვანაძე** (ი. ქავთ., მნათ., 1971, №9, 174); ამავე ძირისაა: **დონაური, დონგაძე (~დონიკაძე)** (ილ. მაისურ., 57). ასურეთში ცხოვრობენ 1941 წლიდან. გადმოვიდნენ სოფელ თლუღიდან (ამბროლაურის რ-ნი).

**ᲓᲝᲜᲓᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **დონდარ** (საქ. სიძვ., II, 99); **დონდარა** (იქვე, 253). „ქ. ნოდარ სუფრაჯის ყმა ქ. ანდრიას ლომიტა **დონდარაშვილი** 1721 წ." (ვახუშტი, 114).

**ᲓᲝᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **დოლა** (სვან., 8, მულახი); **დოლა, დოლია** მეტსახელი (ქსნის ხეობა, ლარგვისი, ალ. ღლ., 114); **დოლ-ი** (თურქ.), (ცხენების შეჯიბრება ჰენებაში (ქეგლ, 214). შდრ. მარულა. „ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა ღოუბანს: ...საქუა **დოლიაშვილი**" (ვახუშტი, 143). შდრ. **დოლაძე.**

ᲓᲝᲮᲜᲐᲫᲔ 632
*თბილისი 260*
*ამბროალური 116*
*ტყიბული 56*

**ᲓᲝᲮᲜᲐᲫᲔ,** სავარ. საკ. სახ. **დოხნა (დოხანა);** ი. ჯავახიშვილის აზრით, თანამედროვე სიტყვა **თოხის** წინარე სახე **თოფანი** უნდა ყოფილიყო (საქ. ეკ. ისტ. V, 212); დოხნაძეში წარმოდგენილი ფუძე ემთხვევა თოხის სავარაუდო არქეტიპს. შდრ.

აგრეთვე **თოხაძე** (ი. მისურ. 58).

დ. ასურეთში ჩამოსახლდნენ 1941 წელს ამბროლაურის რ-ნის სოფ. კაჩაეთიდან.

**ᲓᲣᲜᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **დუნჯია**, „აქ არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს: მელქუა **დუნჯიაშვილი**“ (ვახუშტი, 103).

**ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1728 წ.) **დურმიშხან** (თურქ.) „მდგომი“, „დამდგარი“ (იგულისხმება „კაცად დამდგარი“, „დავაჟკაცებული“ (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 334); **დურმიშხან** (დოკ., I, 126); **დურმიშხანა** (იქვე. 108).

**როსტომა დურმიშხანისშვილი** 1738 წ. ენაგეთში იხსენიება მოწმედ (დოკ., I, 281).

# ე

შდრ.
ებალაშვილი 96
*ახმეტა 75*
*თელავი 15*
*თბილისი 5*

**ებალაშვილი//ებალაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ებალა** (საქ. სიძვ., I, 66). შდრ. მეტსახელი **ებალა, ბალია, ბალა, ებალა ებალაშვილი** (დოკ., I, 310); **ებალა,** ვარდუა ედიშერაშვილის განაყოფი (261); **ებალაშვილი ებალა,** თევდორე, სიყმოა. ქიტოა (იქვე, 250); „ქ. ციციშვილის ბაადურაშვილ ზაალის ყმა, ქ. სამღერეთს, 1721 წ. **შიუა ებალაშვილი**" (ვახუშტი. 31).

ებიტაშვილი 249
*დუშეთი 89*
*თელავი 43*
*თბილისი 38*

**ებიტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ებიტა** (საქ. სიძვ., II, 241); **ებიტა,** დათუნა მეკონდახეს ძმა (დოკ., I, 46); **ებიტა** ხოსიტაშვილი (51); ზურაბა, ბაღდასარა **ებიტაშვილი** იხსენიება 1702 წ. გიორგი და სხვა ხეჩუაშვილების მიერ სოღიურთ ფასუასადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 116); „ქ. დოლენჯაშვილის ზაალისა სამღერეთს, 1721 წ. ელიზბარა ებიტაშვილი" (ვახუშტი, 71); შდრ. ეპიტაშვილი.

**ეგაზაშვილი** (1721 წ.), რთული შედგენილი სახელია. **ეგა** (მეტსახელი გვარში: **ეგაძე**), **ზა,** ქალის საკუთარი სახელი. „ქ. საკარისის ორსავეში 1721წ. ვარდანა **ეგაზაშვილი**" (ვახუშტი, 375).

ეგრისელაშვილი 185
*თბილისი 127*
*დმანისი 43*
*ბოლნისი 5*

**ეგრისაშვილი** (1721 წ.), სადაურობის სიტყვა **ეგრისი. ეგრისი, ეგრი, ეგური** ფართო მნიშვნელობით, დასავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდება; წარმოდგება ეგრისის ტომის სახელიდან. იგივეა, რაც კოლხიდა (კოლხეთი) და ლაზიკა; „ქ. იარალაშვილის როსებისა სამაჩვეთს 1721 წ. აზნაურიშვილი **გიორგი ეგრისელაშვილი**" (ვახუშტი, 63); **ეგრისი** იყო სოფელი აგრეთვე ბერდუჯის (დღევ. ბოლნისდმანისის) მხარეში. (სამაჩვეთი).

**ᲔᲓᲘᲨᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** 1308
თბილისი 663
გორი 165
მცხეთა 141

**ᲔᲓᲘᲨᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1698 წ.//1935 წ.), საკ. სახ. **ედიშერა.** იხ. 1698 წ. ზურაბ ერისთავიშვილის მიერ საამ კობიაშვილისთვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 105).

იქვე, **ედიშერ** მდივანი (344), **ე.** რევაზ ერისთავის ძმისწული (20), ე. როჭიკაშვილი, ნაზარი (196). **ე.** საამისშვილი (224), **ე.** სახლთხუციშვილი (374). **ე.** ჩოლოყაშვილი (393), **ე.** ციციშვილი (41) (1736 წ.); გიორგა, ვარდუა, პაპუნა, სუმბათა, სუნბატ, ქაიხოსრო **ედიშერაშვილი** (დოკ., I, 260, 520). **„ედიშერასშვილნი არიან ედისიდგან მოსულნი ხეობასა შინა ძველადვე აზნაურნი“** (საანდაზო ლექსები... 127); ვახუშტის მიხედვით, მებატონე მუსხელიშვილი ნაზირი ედიშერ (37). ყორღანაშვილი ედიშერ (95). ციციშვილი ედიშერ სახლთუხუცესი (29).

დავით ედიშერაშვილი (1935 წ.), ზედსიძედ ჩასახლდა მუხათში არტემ მურადაშვილთან. გადმოვიდა გომარეთიდან (დმანისის რ-ნი) (მუხათი). შდრ. **ედიშერიძე, ედიშეროვი** (იგივე **ედიშერაშვილი**).

**ᲔᲕᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), რთული შედგენილი სახელი – **ევან+გულა** (ევანგულა). შდრ. **ევაგრე, ევადემოზ, ევანეზა, ევნა** (ევნაძე), **გულა** (გულაშვილი); სავარ, სიტყვიდან **ევანგულე. სახარება, ევანგელე** (ბერძნ. – ხარება, სასიხარულო ამბის უწყება). სახელწოდება ახალი აღთქმის პირველი ოთხი წიგნისა, რომლებიც შეიცავენ ხარებას ქრისტეს შობის, ცხოვრების, ვნებისა და აღდგომის შესახებ (ქეგლ) (სამშვილდე).

**ᲔᲕᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲔᲕᲐᲜᲔᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ევანეზა.** იხ. **ევანეზა** ვარდიგულაშვილი, ანდრიელი; 1721 წ. გიორგი სოლოღაშვილის მიერ ევანეზა ვარდიგულასშვილისადმი მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 151); **ევანეზა** – მამასახლისი ტაშირში (იქვე, 75); **ათანა ევანეზაშვილი,** 1738 წ. საამ მაღალაძის მიერ თავის ბიძაშვილ გიორგი და სხვა მაღალაძეთადმი მიცემული ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი (საქ. მუზ., №1783 Ad; დოკ., I, 280); „ქ. ციციშვილის ბაადურიშვილის ზაალის ყმა, 1721 წ. ქ. დიდალეთს... გივი ევანეზაშვილი“ (ვახუშტი, 33); „ვაშლოვანს დემეტრე ეშიკღაბაშის ყმა **ბეჟანა ევანესაშვილი,** 1781 წ., აქავ ვაშლოვანს ხიზანი საამიშვილის აზნაურიშვილის ლამაზაშვილის ბეციას ყმები: პაპა, ნონე ევანეზაშვილები“ (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 167).

**ᲔᲚᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1882 წ.), **ელენე** (ბერძნ.) მანათობელი, ნათელი (ქართ. ცხ. I, 79); საკ. სახ. **ელენე** (ალ. ღლ., 268); გრიგოლ ნიკოლოზის ძე **ელენაშვილი** მოიხსენიება სოფ. კოდაში 1882 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1).

ᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1261
*თბილისი 309*
*ქარელი 286*
*გორი 258*

**ᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ელია** (ბერძ.) „მზიური“, „მზიანი“. იგივეა ილია (ძველი გამოთქმით **ელია**) ებრაულად „სიმაგრე ღვთისა“ (სიტყვასიტყვით: „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“, ანდა „ღმერთი ჩემი – იეღოვა“). ებრაულიდან შევიდა ბერძნულში, სადაც მიიღო მნიშვნელობა „მზიურისა“, „მზიანისა“. კნინობითი ფორმებია ქართულში: **ილია, ილო, ილიკო** (ზ. ჭუმბ., 145, 151).

**ელია გოლიათიძე,** შალიკაშვილის ყმა – 1601 წ. (დოკ., I, 14); **ელიაშვილი,** თარხნიშვილის ყმა – 1711-1747 წწ. ერთ-ერთი თარხნიშვილის ყმების გამოსავლის ნუსხა (დოკ., I, 302); „აქავ ხიზანი როსტომ საგინაშვილის ყმა, 1781 წ. ქიტია, ბეჟუა, ივანე, ელია ელიაშვილები (ვახუშტი, 170); „ქ. დრიანეთს, 1721 წ. გულია ელიაშვილი (, 170); „ქ. ვარაზაშვილის ლუარსაბის ყმა ქ. ვერხვნალას გელუა ელიაშვილი (იქვე, 137); „ქ. გერმანოზიშვილის ოთარის ყმა ქ. კოხტას, 1721 წ. ივანა ელიაშვილი“ (იქვე, 135).

ამავე ძირისაა: **ელიავა.** შდრ. **ელიაობა,** ამინდის ღვთაების – ელიას სახელობის დღესასწაული (ბურვილი, დრიანეთი, ვერხვნალა, კოხტა, მარაბდა).

ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ 1329
*თბილისი 500*
*გორი 258*
*გარდაბანი 130*

**ᲔᲚᲘᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ//სომხიშვილი** (1671 წ.), ჰქონდათ მეორე გვარიც – **ელიაზარაშვილი. ელიაზარ** (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა“, „ღვთის შემწეობა“ (სიტყვასიტყვით: „ღმერთის შემწე“). ამ სიტყვიდან მომდინარეობს სახელი **ლაზარე** და გვარები: **ლაზარიშვილი, ლაზარიაშვილი, ლაზარია** (ზ. ჭუმბ., 336).

1673 წელს **ამირანა სომხიშვილი** დასახელებულია მოწმედ სოფელ ენაგეთში, ბარათაშვილებისა და გოსტაშაბიშვილების მიერ აქ მამულების გაყოფასთან დაკავშირებით (საქ. სიძვ., I, 68); **ზურაბა** და ბერუა სომხისშვილები მოიხსენიებიან XVIII ს. პირველ ნახევარში, ამილახვარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხაში (დოკ., II, 30); გიორგი სომხიშვილი, შვილი ელიაზარაშვილი მოიხსენიებიან 1828

წლის იანვრის 1-ლს. სათუმანიშვილოს ყმა-მამულისა და გამოსაღე-ბის ნუსხაში, „აქავ ტფილისში გიორგი მეხანჯლე სომხიშვილი და იმისი შვილი ელიაზარაშვილი“ (დოკ., II, 257); 1721 წ. აღწერით, სოფ. ერტისში მოიხსენიებიან ზურაბა, ზურაბა (მეორე) და ბერუა სომხიშვილები. (ენაგეთი, ერტისი, მარაბდა).

ელიზარაშვილი 106
*გურჯაანი 56*
*თბილისი 30*
*რუსთავი 10*
ელიზაროვი 144

**ელიზარაშვილი** (1721 წ.), **ელიაზარ** (ძვ. ებრ.) – „ღვთის წყალობა“, „ღვთის შემწეობა“. სიტყ-ვასიტყვით: „ღმერთის შემწე“. **ელეაზარ//ელია-ზარ** (საქ. სიძვ., III, 344, 434; ქართლ. ცხ., I, 372); „ქ. მირტაშენს შაჳერდა ელიზარაშვილი“ (ვახუშტი, 159); შდრ. ელიზარაშვილი, ელიაზაროვა, ილიზაროვა, სომხ. ელიზარიანი, იხ. ელიზარაშვილი (მირტაშენი).

ელიზბარაშვილი 2072
*თბილისი 855*
*გურჯაანი 249*
*თელავი 220*
ელიზბარიშვილი 23

**ელიზბარაშვილი//ელისბარაშვილი** (1766 წ.), საკ. სახ. **ელიზბარ** (ისტ. დოკ., I, 19); **ელისბარა** (დოკ., I, 123); ელიზბარის ეტიმოლოგია არაა დადგენილი. ცნობილია 1659 წ. ქართველთა აჯანყების ერთ-ერთი **მეთაური ელიზბარ ერისთავი, რომელიც მამასთან და ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად სპარსელებმა სიკვდილით დასაჯეს და წმინდანად იქნა შერაცხული.**

**ელიზბარ ქსნის ერისთავი** XVI ს. 60-70-იან წლებში. 1569 წელს, როდესაც ქართლის მეფე სიმონ I სპარსთა წინააღმდეგ ფარცხისთან ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა, ელიზბარ ქსნის ერისთავი და ბარძიმ ამილახვარი კავთისხევს მდგომ დედო-ფალს თავს დაესხნენ. მისი ქონება ხელთ იგდეს.

**ელიზბარ** იხ. 1738-41 წწ. ელიზბარის მიერ ბასილა ჯოხაძისად-მი გაცემული წყალობის წიგნი (საქ. მუზ. Hd №2647); ელიზბარ მოლარეთუხუცესი, 1773 წ. იოსებ გლურჯიძის მიერ ერეკლე II-სადმი გაცემული არზა (საქ. მუზ., ფ. Hd №2891); პაპუა ელიზბარაშვილი მოხსენიებულია 1766 წ. თაყაანთ ლესესშვილის პაპუასი და სხვათა მოწმობის წიგნში თუმანიშვილების წისქვილის თაობაზე (გოკ., II, 66); ელისბარ დავითაშვილი, ე. წენგოანთ ლარაძის შვილი ელიზბარ თაზისშვილი, ე. მოლარეთუხუცესი, ე. ყაფლანიშვილი და სხვა. (დოკ., I, 522); ელისბარაშვილი გიორგი, მამასახლისი, გორელი, 1750 წ. ზაალ ყაფლანიშვილის მიერ იესე ამილახორის შვილისადმი გაცემული

ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი (დოკ., ტI, 345); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. კამარეთს 1721 წ. აფხაზა ელიზბარაშვილი" (ვახუშტი, 57); „ქ. მიტაშენს მსახლობელი ზურაბის ყმა, 1721 წ. ელიზბარაშვილი შავერდი" (იქვე, 334); „ქ. ნამანგლელევისშვილის როსტომისა და გუგუნას მამულ ქ. ორთაშუას 1721 წ. ელიზბარაშვილი ბერუა" (იქვე, 121). (კამარეთი, კოდა, ორთაშუა). (ელიზბარაშვილები არიან რამდენიმე დიდებული საგვარეულოს შტო-გვარებიც, მათ შორის ბაგრატიონ-დავითაშვილებისა ი.ა.).

| | |
|---|---|
| ელიჭაშვილი | 750 |
| *გორი* | *305* |
| *გურჯაანი* | *199* |
| *თბილისი* | *174* |
| ელიჭიშვილი | 20 |

**ელიჭაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ელიკა** (საქ. სიძვ., II, 185). „არიან ამის მოწმენი, დამხდომნი, შემრიგებელნი და გარდამწყვეტნი თარხნის აზნაურიშვილი სეხნია ჯორიშვილი, მისი შვილი ელიკა" (ნასყიდობის წიგნი 1700 წ., საქ. სიძვ., —, 183); ელიკა ჯაშიაშვილი (1698-1712 წწ.), დიდი მოურავის შვილისშვილის ავთანდილის მიერ არუთინა მანველაშვილისადმი გაცემული ვენახის წყალობის წიგნი (დოკ., I, 107); „ქ. ლონენა თურქისტანიშვილის ყმა ქ. მუხათს, 1721 წ. **ელიკაშვილი**" (ვახუშტი, 82). (მუხათი, მარაბდა).

| | |
|---|---|
| ელისაშვილი | 706 |
| *თბილისი* | *278* |
| *გურჯაანი* | *73* |
| *ბორჯომი* | *44* |

**ელისაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ელისა** სახ. არქ., 1449, №523); **ელისა** (დავთრ, II, 122); ამავე ფორმისაა: **ელისე** (ბერძ. ძვ.) „ვისიც მხსნელია ღმერთი", „ღვთისაგან ხსნილი". **ელისე**, მღვდელმონაზონი (საქ. სიძვ., I, 427); **ელისე** ურბნელი ეპისკოპოსი (იქვე, 329); ბერი ელისე ჩაჩიკაშვილი, 1690 წ. (დოკ., I, 86); ელისე ალექსიძე, ელისე დმანელი და სხვა. (იქვე, 221, 106); **ელიოზ ელისეშვილი** (1708 წ.), მამუკა აბულაძისა და დათუნა კოსაძის მიერ დეკ. არდაშელ ზუბულიძისადმი გაცემული ბიჭის დახსნილობის წიგნი (დოკ., I, 137); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. ...**ელისაშვილი მელქუა**" (ვახუშტი, 104); „ქ. ხოსროხანიშვილის ყმა ქ. სამშვილდეს 1721 წ., ...დათუნა **ელისაშვილი**" (იქვე, 24). (წინწყარო, სამშვილდე).

| | |
|---|---|
| ელუაშვილი | 65 |
| *გორი* | *37* |
| *თბილისი* | *9* |
| *თეთრიწყარო* | *5* |

**ელუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ელუა** (დოკ., –, 449). შდრ. **ელია** (ბერძ.) „მზიური", „მზიანი". იგივეა **ილია**. აქედან მომდინარეობს გვარები: ელიაშვილი, ელიაძე, ელიავა. ელო, გვარში:

**ელოშვილი** (ი. მაისურ., 60); „ქ. დათუნა გერმანოზიშვილის ყმა მცოვრეთს, 1721 წ. **გიუა ელუაშვილი**" (ვახუშტი, 133); „ქ. ღონენა თურქისტანიშვილისა, 1721 წ. ერტის: ...**ივანა ელუაშვილი**" (იქვე, 82). (მცოვრეთი, ერტისი).

ენაგელი 60
*თბილისი 39*
*რუსთავი 8*
*მარნეული 3*

**ენაგელი**. გვარადქცეული სადაურობის სიტყვა: **ენაგეთი** სოფელია თეთრი წყაროს რაიონში (ი. მაისურ., 60); იგულისხმება პატარა ენაგეთი. წყაროებში ენაგეთი XV ს-დან იხსენიება. (ენაგეთი).

**ენდრონიკაშვილი//ანდრონიკაშვილი, ენდრონიკე//ანდრონიკე** (ბერძ.) „მამაცი", „მამაკაცთა დამმარცხებელი". ეს სახელი დღეს იშვიათია, მაგრამ გვაქვს მისგან ნაწარმოები გვარი (ზ. ჭუმბ., 134).

„**ენდრონიკასშვილი** იტყვის **ანდრონიკესაგან,** რომელი მოვიდა პირველვე კეისრისა გვარისა" (ვახუშტი, გეოგრ., 26); **ანდრონიკე** მოვიდა საქართველოში თამარ მეფის მამის მეფობის დროს. ქართლის ცხოვრებაში (გვ. 271) ვკითხულობთ: „მოვიდა ოდესმე (ერეკლეს სიით 1144 წელს) წინაშე გიორგი მეფისა (1156-1184) ანდრონიკე კომნინიანოსი ცოლითა სახემშვენიერითა და ბრწყინვალითა, შვილებითა და დისწულითა. და ვითარ ჰმართებდა, შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყვისი სახლის შვილობისა მისისა, მისცა ქალაქი და ციხენი, კმასაყოფელნი მისნი და დაუდგნა საჯდომნი საყდრისა თვისისა, პირისპირ მამის დისწულისა თვისისა ალსართანისა, რომელი იყო მეფე მოვაკანისა და შარვანისა და ზღვი პირისა დარუბანდით ხილხახალამდის (ვართაშნამდის). ალსართანი იყო შვილი დავით აღმაშენებლის ასულის თამარისა, გიორგი მეფის მამისადმი. დარუბანდის ლაშქრობაში გიორგი მეფემ თან წაიყოლა ზემოხსენებული ანდრონიკეც".

ოთარ და გოსტასაბ ჯანაოზის ძე ენდრონიკაშვილები მოიხსენიებიან 1698 წ. შედგენილ სიგელში, სადაც აღნიშნულია, რომ იასე ბარათაშვილმა მიჰყიდა ყმები პაატა ღონიაშვილი და მახარა დათუნა შვილებით (ქრონ., II, 509).

პაპაშვილი 2101
*თბილისი 659*
*მცხეთა 244*
*გარდაბანი 162*

**ენიპაპაშვილი//პაპაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **პაპა** (დოკ., II. 251); **პაპა** (გ. ჟორდანია, მეხურელნი, 1956, 158); **პაპა** (თუშ., ზ. ცოცან); კოდაში **ენიპაპაშვილი პაპაშვილთა** შტო-გვარია. **ენიპაპა,** მეტსახელი გვარში: **ენიპაპაშვილი**. შდრ. ენა-

**კოლოფა**, მეტსახელი გვარში: **ენაკოლოფაშვილი, შავდათუა, შავდათუაშვილი, შავდემეტრა//შავდემეტრაშვილი...**

„...სოფ. ლოუბანში 1717 წ. თავად ასლან ორბელიანის ყმაგლეხებად მოიხსენიებიან: **კონა და ოთარ ენაპაპაშვილები**" (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 96-108). (კოდა, ლოუბანი).

ენუქიძე 1935
თბილისი 774
სამხერე 246
ქუთაისი 145

**ენუქიძე, ენუქ** (უცხ.,) მადლი, გინა ფშვა, ანუ სატუფრება, გინა დღესასწაული (საბა).

საკ. სახ. **ენუქ** მოიხსენიება (1685-1695 წწ.), გივი ამილახვრის მიერ პაპუნა ორბელიანისადმი მიცემულ პირობაში (საქ. სიძვ., II, 176); **ენუქი** (ქართლ. ცხ., II, 244); ენოქ ალ. ღლ., 118).

ენუქიძეები ამბროლაურის რაიონის სოფ. ხოტევიდან ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს. ამავე ძირისაა: **ენუქაშვილი.** (ასურეთი).

**ეპიაშვილი** (1721 წ.), **ეპიფანე** (ბერძ.) „გამოჩენილი", „სახელგანთქმული". კნინობითი ფორმაა საკ. სახ. **ეპია** (ალ. ღლ., 118); შდრ. **ეპინა.** (ანდრია).

**ერაპეტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ერაპეტა//ერაპუტა** (დოკ., I, 106). ერაპეტა იხსენიება 1796 წ. ყმების ნუსხაში ერეკლე II-ის ოქმით (საქ. მუზ., ფ. Hd №10394; დოკ., II, 180);

„ქ. არის ყაფლანიშვილის მამული ქ. შავსაყდარს, 1721 წ. **თამაზა ერაპეტაშვილი**" (ვახუშტი, 213); „ქ. ოთარ გერმანოზიშვილის ყმა ქ. აბელიას, 1721 წ., **ბექუა ერაპეტაშვილი**" (იქვე, 135); (შავსაყდარი, ანდრია).

ერასტიშვილი 0
რევაზიშვილი 2155
თბილისი 819
გორი 194
მცხეთა 158
რევაზოვი 126
(იგივე რევაზიშვილები)

**ერასტიშვილი//რევაზიშვილი** (1738 წ.), **ერასტი** (ბერძ.) „საყვარელი", „მოსაწონი", „მშვენიერი".

**ერასტი** ბარათაშვილ-ითამიშვილი (1706 წ.), ვახტანგ VI-ის მიერ ოთარ ბარათაშვილისადმი გაცემული ყმისა და მამულის წყალობის წიგნი (დოკ., I. 130); **ერასტი** აბაშიძე (იქვე, 460), ერასტი ყაფლანიშვილი (108) ერასტი ჯავახიშვილი (188) და სხვა.; **მოსე, რამაზ ერასტის – შვილები** 1738-1744 წ. მოსე მაღალაძის მიერ თავის განაყოფ სახლთუხუცეს გიორგი მაღალაძისადმი გაცემული ყმისა და მამულის

ნასყიდობის წიგნი (დოკ., –, 286); ადამ ერასტიშვილი, იასაული, განჩინების წიგნი მეფის ძის გიორგისა გივი ავალიშვილისა და რუსთველის ყმაზე დავის გამო (საქ. სიძვ., III, 517); **ერასტიშვილი რევაზიშვილის შტო-გვარია.** „აქავ კოდაზედ გოგია ერასტიშვილის ყმა ღარიბა დავითაშვილი“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I. 173). (კოდა).

| ერთგულაშვილი | 53 |
|---|---|
| *ახმეტა* | *46* |
| *თბილისი* | *5* |
| *თელავი* | *1* |

**ერთგულაშვილი** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **ერთგულა** (ი. მაისურ., 61); **ერთგულა,** მეტსახელი გვარში: **ერთგულაშვილი** (ალ. ღლ., 119). „ქ. ნოდარ სუფრაჯის ყმა ქ. უკანდაღეთს, 1721 წ. ...**გიორგი ერთგულაშვილი**“ (ვახუშტი, 113). (დიდი დაღეთი) (ძვ. უკან დაღეთი).

| ერისთავი | 854 |
|---|---|
| *თბილისი* | *399* |
| *ქუთაისი* | *128* |
| *ვანი* | *103* |

**ერისთავი** (ძვ. ქართ., „**ერი**“, ხალხი, ჯარი და „თავი“, უფროსი გამგებელი). სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლი ძვ. საქართველოში. ერისთავობა გვაროვნული წყობილების წიაღში შექმნილი ინსტიტუტი ჩანს. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის მეფე ფარნავაზის (ძვ. წ. III ს.) მიერ განწესებულ ერისთავს შორის ერთ-ერთი განაგებდა სამშვილდეს, ტაშირსა და აშოცს.

შდრ. **ამილახვარი, ამირეჯიბი, ციხისთავი, მდივანი, სახლთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი...** ენათესავება სამოხელეო ტერმინებისაგან მიღებული გვარები: მელიქიშვილი, მელიქიძე (მელიქი ერქვა სოფლის ან ქალაქის მმართველს) **მამასახლისი, გზირიშვილი, ნაცვლიშვილი, ნაცვალაძე, მებალიშვილი, მემარნიშვილი, მეზვრიშვილი, მენალარიშვილი, მებუკე, მზარეულიშვილი** და ა.შ. (იხ. ზ. ჭუმბ., 34).

**ერისთავები** ამბროლაურის რაიონის სოფ. ლისეთიდან ასურეთში გადმოვიდნენ 1957 წელს. (ასურეთი).

**ერნოზაშვილი** (1721 წ.), **ერნაზი//ერნოზი,** მეტსახელი (ალ. ღლ., 119). „ქ. არის საბარათაშვილოში ბატ:ანის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. ...**გიორგი ერნოზაშვილი**“ (ვახუშტი, 103). (წინწყარო).

| ამურველაშვილი | 100 |
|---|---|
| *თბილისი* | *49* |
| *თეთრიწყარო* | *41* |
| *გურჯაანი* | *6* |

**ერწველიშვილი//ერწოელი//ერწოული//ერწოულიშვილი/ამურველაშვილი** (1818 წ.), ერწო სოფელი ალგეთში, ღლევ. თეთრი წყაროს რაიონში. „ერწო – ალგეთში, ლაკუის ხევის მარცხენა მხარეზე, ფუტრევის აღმოსავ-

ლეთით 1523 წ. (ჟორდ. ქრ. II-349); ქავთარ ბარათაშვილის შვილებს იქ ჰყავდათ ყმები 1591-1808 წ. (სიძვ. I, 337, 345, 303, 392, 410); მებტონეები გოსტაშაბიშვილები 1713 წ. ჰყავდათ 5 ყმა. 1721 წ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (გოსტაშაბიშვილი, ზაზუნაშვილი, თაყაშვილი), 6 გამომღები და 1 ბოგანო ყმა" (ივ. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. Iდა II, 306); 1818 წელს დიდენაგეთელმა **გრიგოლ ერწოულმა** ქალიშვილი ეკატერინე გაათხოვა ფარცხისელ ნიკოლოზ პეტრეს ძე ადოლაშვილზე. სარძლოს მხრიდან თავდებად იყვნენ: თევდორე გრიგორის ძე **ერწოულიშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); ზაქარია გლახოს ძე **ერწველიშვილი,** შვილი ვანო, ძმები: იაგორა, ალექსი; ივანე გიგოლას ძე ერწველაშვილი, ძმები: იოსები, თედო, ალექსი, მართლმადიდებლები, ქართველები მოიხსენიებიან ენაგეთის ახალშენში (იგივე დიდი ენაგეთი) 1873 წელს (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136 ფურ. 189-220); დიდენაგეთელმა იოსებ გიორგის ძე **ერწოელმა** 1882 წ. ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა ქალიშვილი მარიამი (სცსსა, მეტრიჩ. წიგ. 489. აღწ. 9, თეთრი წყარო 1); იმავე წელს, თევდორე გიორგის ძე ერწოელმა ვაჟიშვილი მიხეილი (იქვე); ზაქარია გლახას ძე ერწოელმა კი ქალიშვილი თალალე, გიორგი გლახას ძე ერწოელმა კი ეკატერინე მონათლეს (იქვე).

**ერწველიშვილი-ერწოელები** შემდგომში **ამურველაშვილებად** იწერებიან. გვარს სათავე დაუდო **ამურველა ერწველაშვილმა.** დღესაც **ამურველაშვილებს ერწველაანთ** ეძახიან.

იხ. **ამურველაშვილი.** (ენაგეთის ახალშენი, დიდი ენაგეთი, ჯორჯიაშვილი).

| | |
|---|---|
| ესაიაშვილი | 193 |
| *საგარეჯო* | *113* |
| *თბილისი* | *45* |
| *ქუთაისი* | *24* |
| ისიაშვილი | 40 |

**ესაიაშვილი//ისაიაშვილი** (1781 წ.), **ესაია** (ებრ.) „ხსნა უფლისაგან", „ღვთისაგან მოვლენილი დახმარება", საკ. სახ. **ესაია** (საქ. სიძვ., I, 198); შდრ. ბიბლიური საკ. სახ. **ესაია,** მერმინდელი ფორმაა **ისაია** (დოკ., I, 162); **ესაია,** დედოფლის კარის დეკანოზის შვილი, საბუთის დამწერი (დოკ., I, 162); **ისაია** გორგაშვილი, ისაია ხუდავერდასშვილი, გორელი (დოკ., V, 349, 269); ესაია, გორის მამასახლისი (დოკ., II, 205); თომა ისაისშვილი შადინათი, მოხსენიებულია მოწმედ ვალის აღების წიგნში, 1787 წ., (საქ. სიძვ., III, 523); „ვაშლოვანს 1781 წ. დემეტრე ეშიკლაბაშის ყმა, ესაიაშვილი არუთინა და ყაზარა" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 166);

შდრ. **მესა, მოსე, მოშე, მესია** (მაცხოვარი). (ვაშლოვანი).

**ᲔᲡᲢᲐᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. რთული შედგენილი სახელია. ესტა, მამაკაცის სახელი (ალ. ღლ., 119), ანჯო, ქალის სახელი (იქვე).

„ქ. ზურაბ სოლაღაშვილის ყმა ქ. გუდელის, 1721 წ. **სეხნია ესტანჯაშვილი**" (ვახუშტი, 146). (გუდელისი).

**ᲔᲡᲢᲐᲢᲔᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ესტატე** (ბერძ.) „კარგად (მტკიცედ) მდგომი", „მედგარი", ამ სახელის ძველი ფორმაა **ევსტათი** (ერქვა VI ს. ერთ-ერთ ქართველ მოწამეს – ევსტათი მცხეთელს). შდრ. უკრაინული **ოსტაპი,** რუსული **ევსტაფი** (გვხვდება ქართულშიც: **ევსტაფი, ეს-ტაფი**). მოფერებითი ფორმაა **ტატე,** საიდანაც მიღებულია გვარი: **ტატიშვილი** (ისტ. დოკ., I, 23); **ესტატა** (დოკ., I, 106); **ესტატ-ი** (საეკლ. საბ., I, 13); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღაბარის ქ. ელფიას 1721 წ. **თამაზა ესტატეშვილი**" (ვახუშტი, 53). (ელფია).

| | |
|---|---|
| ᲔᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 154 |
| *თეთრიწყარო* | *97* |
| *თბილისი* | *53* |
| *მარნეული* | *2* |

**ᲔᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1851 წ.), საკ. სახ. **ეუა** (**ეუა** მოლაშქრე, ვახუშტი, 236); ქართველური საკუთარი სახელი **ეუა** გვხვდება ვახუშტი ბატონიშვილთან. ქვემო ბოლნისში აღრიცხულია მოლაშქრე **ეუა.** თავდებობის წიგნში, რომელსაც 1680 წელს როსტომა მაზმნიშვილის მიერ ზაალ ციციშვილისადმი გაცემულ თავდებობის წიგნში ვკითხულობთ; „...თუ ეს თქუენი ყმა მნათაშვილი ოთია და შვილები ლამაზა, ბერი და ეუა წაგვივიდნენ სადმე..."-ო. სახელი **ეუა** დასტურდება სხვა წყაროებშიც.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვემო ბოლნისში მოხსენიებული ეუა განერიდა ამ კუთხის ხშირ რბევა-აოხრებას და სოფელ მუხათს გადახიზნულა.

ხ. ეუაშვილი, ვ. ეუაშვილი მოიხსენიებიან მუხათის 1851 წლის აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №1, 1274, ფურც. 65-72); 1883 წელს მუხათელმა სახაზინო ყმამ მიხაილ იოსების ძე ეუაშვილმა დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ქალიშვილი მოანათლინა ფარცხისელ დავით გიორგის ძე ადოლაშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1). (მუხათი). (ზოგ წყაროში გვხვდება ევუაშვილიც ი.ა.).

| | |
|---|---|
| ᲔᲤᲠᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 32 |
| *თბილისი* | *13* |
| *ზუგდიდი* | *8* |
| *ქარელი* | *2* |

**ᲔᲤᲠᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ეფრემ** (ებრ.) „ნაყოფიერი", „მდიდრული", „მზარდი". **ეფრემი,** საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ახსნილია, როგორც „ნაყოფიერი". შდრ. (კარპე, პოლიკარპე); სულხან-

საბა ორბელიანის განმარტებით, ნიშნავს „აღორძინებას“, ან „ ნუგ-ეშისმცემელს“; სხვაგვარი ეტიმოლოგიით, მომდინარეობს ძველ ებრაელთა ერთ-ერთი სახელწოდებიდან (იხ. ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 337).

**ეფრემი** (XIII-XIV სს.) ქართველი მინიატურისტი და კალიგრაფი 1300 წ. მთავარეპისკოპოსის დანიელის შეკვეთით გადაწერა მოქვის ოთხთავის სახელით ცნობილი სახარება, რომელიც ერთ-ერთი უმდიდ-რესი ქართული ხელნაწერია მინიატურებისა და მორთული საზედაო ასოების რაოდენობის მხრივ (152 მინიატურა, 531 საზედაო ასო).

ეფრემ მწყვერელი, აწყურის ეპისკოპოსი 845-885 წლებში, დაიბადა ქართლში, იყო გრიგოლ ხანძთელის მოწაფე.

**ეფრემ მცირე,** XI ს II ნახევრის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი (ქსე, ტ. 4, 246-247). ამავე ძირისაა: **ეფრემაძე,** შდრ. **ეფრემოვი** (რუს.) გეოგრ. ტერმ., **ეფრემოვი** (ქალაქი რსფსრ ტულის ოლქში). **ეფრემოვკა** (სოფ. ნინო წმინდის რაიონში, გორელოვკის საკრებულო). (არდისუბანი).

| ეშმაკურაშვილი | 147 |
|---|---|
| *გორი* | *92* |
| *თბილისი* | *47* |
| *კასპი* | *5* |

**ეშმაკურაშვილი** (1781 წ.), **ეშმაკურა** (თიან., ღულელები; მეტსახელი გვარში: **ეშმაკურაშვი-ლი,** ალ. ღლ., 120);

„აქავ მარაბდას სულხან მდივნის ყმა 1781 წ. ეშმაკურაშვილი სტეფანე“ (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 170). გორელი **ეშმაკურაშვილები სიდამონიძეები** გახდნენ. (მარბდა).

**ეჯთაშვილი** (1765 წ.), საკ. სახ. **ეჯა** (ალ. ღლ., 120); **ეჯია** (იქვე), სავარ. აქედან მომდინარეობს **ეჯთა**.

გარისის ბატონ ლუარსაბის ყმებად 1765 წ. ბატონყმობის წიგნში მოიხსენიებიან **თურაზა** და **ყაზარა ეჯთაშვილები** (საქ. მუზ., ფ. Hd №2709). (გარისი).

**ეჯიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ეჯია** (კოლხ. 75, წარჩე; ალ. ღლ., 120).

„ქ. გარისს ...**ეჯიაშვილი ელიზბარა**“ (ვახუშტი, 118). (გარისი).

# ვ

**ვაიწაშვილი** (1781 წ.), მეტსახელი **ვაიწა**. შდრ. **ვაიტა, ვაიტაძე** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 63);

„ქ. გარისს ...ეჯიაშვილი ელიზბარა" (ვახუშტი, 118). (გარისი). **ვაიწაშვილი პაპა**" (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 167). (ერტისი).

| | |
|---|---|
| ვალიშვილი | 1180 |
| თბილისი | 310 |
| გორი | 274 |
| მცხეთა | 238 |

**ვალიშვილი** (1607 წ.), საფუძვლად უნდა ედოს სახელი **ვალა** და მისგან მომდინარე ფორმები: **ვალე, ვალერი, ვალო,** რომ ამ გვარის ძირი შეიძლება უკავშირდებოდეს **ვალს**. სესხად აღებული ფული..., რომელიც უნდა გადაიხადოს (ქეგლ).

**ვალიშვილი მამუკა,** მოხსენიებულია 1607 წ. ჯავახიშვილების ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 26); შდრ. გლახაშვილი, უნაფქოშვილი, იტყუილაშვილი, წამალაშვილი, წიწაკაშვილი და სხვა.

**ვალიშვილი** სოფ. შეხვეტილაში მოიხსენიება 1873 წ. (შეხვეტილა).

| | |
|---|---|
| ვარამაშვილი | 488 |
| თბილისი | 217 |
| სიღნაღი | 89 |
| რუსთავი | 70 |
| ვარამიშვილი | 145 |

**ვარამაშვილი** (1628 წ.), **ვარამ** (თურქ.) „დარდი", „ნაღველი", „ჭლექი". შდრ. **ვარამი. ვარამ** (იერუსალიმ., 85); **ვარამა** (ალ. ღლ., 121).

ვარამ დიასამიძე, 1710 წ. დიასამიძეების მიერ გიორგი და სხვა ადუაშვილების სახელზე გაცემული სითარხნის წიგნი (დოკ., I, 143); **გიორგი ვარამაშვილი,** მოიხსენიება 1628 წ. თებერვლის 19-ს. იხ. გიორგი ვარამაშვილის მიერ სახლთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი გაცემული ბატონყმობის წიგნი (დოკ., I, 20); დათუა, ლომიტა ვარამაშვილები, წყალობის წიგნი, 1622 წ. (საქ. სიძვ., I, 108); 1628 წ. თებერვლის 19-ს გიორგი ვარამაშვილის მიერ სახლთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი გაცემული ბატონყმობის წიგნი (სცსსა, ფ. 121, 117); „ქ. სოლოღაშვილის იესეს ყმა ღოუბანს, 1721 წ. ...**ვარამაშვილი ლომიტა, ვარამაშვილი ებალა**" (ვახუშტი,

140); 1817 წ. სოფ. ღოუბანში მოიხსენიება პრაპორშჩიკ, თავად ლუარსაბ ორბელიანის მამულში, დავით ვარმაშვილი (სცსსაკ, ფ. X254, №1, 2043, ფ. 271); 1843-1858 წწ.-ში გოგია ვარამაშვილი, კაცია ვარმაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 96-108); „ქ. საამისა და ედიშერისა ქ. ზემო ოძის, 1721 წ. ვარამაშვილი მორჩენა“ (ვახუშტი, 119); ღოუბნელმა დავითა ვარამაშვილმა 1818 წ. მონათლა ქალიშვილი თამარი, მიმქმელი იყო ვინმე ოთარას ცოლი ნინო (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №24, ფურ. 144);

იხ. **ოქროა ვარამაშვილი,** მეუღლე **ბარბარე,** ვაჟები **გოგია, ნინია, თამაზი, პავლე,** ქალიშვილი **ნინო; დავით ვარმაშვილი,** მეუღლე **თამარი, მაია;** ძმები **კაცია ვარამაშვილი,** მეუღლე **ბარბარე,** ვაჟები: **ზურაბი, იოსები, ნიკოლა, ზაქრო, შიო,** ქალიშვილი **ანა; პეტრე ვარამაშვილი,** მეუღლე **სალომე,** ქალიშვილები: **ეფემია, ანახანუმა, პელაგია,** დედა **ხოშრევანი,** სულ 23 სული: მამაკაცი 10, ქალი 13 (ღოუბანი, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 83-92);

ღოუბნელმა **კაცია ვარამაშვილმა** 1826 წელს მონათლა შვილი ბართლომე. მიმქმელი იყო თევდორე გულუაშვილი იესეს შვილი (489, 9, №31, X25, 1826 წ.). მოსე სიმონის ძე ვარამაშვილი. 1891-1940 წწ. რევოლუციონერი. (არდისუბანი, ზემო ოძისი, ღოუბნი).

ვარდანაშვილი
545
*თბილისი 311*
*გორი 45*

**ვარდანაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ვარდანა. ვარდან** (ქართლ. ცხ., I, 216; პ. ინგორ., ვან., 2, 120); **ვარდანა** (საამილახვრო დავთ. 16; ძვ. საქ. IV, განყ. III, 58); **ვარდენ** (კოლ., 95, სუჯუნა, ალ. ღლ., 21); **ვარდია** (სცსსა, 1449, №660); **ვარდენა** (ალ. ღლ., 121); მოგვიანებით, **ვარდო, ვარდუა** – **ვართანა.** 1823 წელს მარტყოფის მღვდელი ქართველია. სახელებიც ქართულია. პეტრე ვარდანაშვილი (და არა ვართანაშვილი), ძმები სიმონ, ნონია, სოლომონ ვარდანაშვილები, ებიტა ვარდანაშვილი, შვილები ზაალი, სოლომონი, ქალიშვილები მარიამი, ელისაბედი, ოსანა, დისშვილები თომა, ზაქარია, სოლომონი, მოსია. გიგოლა ვარდანაშვილი, ვაჟი ივანე, ქალიშვილები, ბარბარე, ანა.

**ზურაბ ვარდანაშვილი** ჩაწერილია რუსულად Вартанашвили (სცსსა, ფ. 254, 1, 802, 1823 წ. ფურ. 244); ვარდანაშვილი მოიხსენიება 1881 წელს ვარდისუბანში (იგივე შავსაყდარი). დიმიტრი ვარდანაშვილის ასული მართა ივანე თევდორეს ძე ფეიქრიშვილის ვაჟის

ალექსანდრეს მიმქმელი იყო. (მეტრიჩ. წიგ. არქ., 182, 1, 1881 წ.); **ვარდ[თ]ანაშვილი//დღევ. ბაჯიაშვილები. იხ. ბაჯიაშვილი.**

შდრ. **ვარდიაშვილი, ვარდოაშვილი, ვარდუაშვილი, ვარდიშვილი** (სომხ). **ვართანიანი. ვართაპეტოვი.** (ვარდისუბანი, ვაშლოვანი, მუხათი).

ვარდიაშვილი
1475
*თბილისი 552*
*სიღნაღი 208*
*რუსთავი 165*

**ვარდიაშვილი** (1509 წ.), უნდა უკავშირდებოდეს სახელებს: **ვარდუას** (მოიხ. XV ს.), **ვარდოს (ვარდიკოს), ვარდენს, ვარდიას, ვარდიგულას.**

საკ. სახ. **ვარდია** (სახ. არქ. 1449, №60; ალ. ღლ., 121); როგორც ვაჟის, ისე ქალის სახელია. ვახუშტის მიხედვით, „გომარეთს ბატონის დედოფლისა, ...ბოგანო **ვარდია** მოლაშქრე“ (109) „ქ. დარბაზს, ვართანეზაშვილი ვარდუა“ (64); გრიგოლა ვარდიაშვილი მოიხსენიება 1509 წ. სუმბაძეების მიერ მარკოზ დედაბრიშვილის სახელზე გაცემულ სავენახე ნასყიდობის წიგნში (ხელნ. ინსტ. Sd 136; ქსძ. VIII, 823); ასლამაზა, პატარკაცი ვარდიაშვილი 1687-1700 წწ. (საქ. სიძვ. 380, 38 Hd); აღდგომელა ვარდიაშვილი (დოკ., I, 525).

„ქ. თულაშვილი ასლანის ყმა, 1721 წ. ქ. ზრბითს ...**ვარდიაშვილი დათუნა**“ (ვახუშტი, 85);

„ქ. თაყაშვილის გიორგისა ქ. ანდრიას, 1721 წ. ვარდიაშვილი როსტომა“ (ვახუშტი, 77); ნინია იოსების ძე სოლოღოვის გლეხად 1823 წელს სოფ. ბორბალოს მოიხსენიება ვანო ვარდიაშვილი (სცსსა, ფ. 254, 1, 802. ფურ. 77-83); ქართველების მიერ გრიგორიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ ზოგი სომხად იწერება და სახელი ვარდუა **ვართანად,** ხოლო ამ ძირიდან ნაწარმოები გვარი **ვართანაშვილით** იცვლება.

შდრ. გვარები: **ვარდანისძე, ვარდიძე, ვარდოშვილი, ვარდანაშვილი, ვარდუაშვილი...** (ანდრია, ბორბალო, ზრბითი).

**ვარდიგულაშვილი** (1781 წ.), **ვარდიგულა,** მეტსახელი გვარში: **ვარდიგულაშვილი** (ალ. ღლ., 121); „აქავ სარდალ-სახლთხუცის ყმა ანდრიელი მამაჯანა ვარდიგულასშვილი, 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 176). (კოდა).

ვარდუაშვილი
265
*თბილისი 85*
*თელავი 62*
*დუშეთი 43*

**ვარდუაშვილი//ვარდოაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ვარდუა,** მოიხსენიება 1413 წ. 12 მაისს ანდრია დეკანოზის მიერ დემეტრე წითლიძის სახელზე შედგენილ კერძო-სამართლებრივ აქტში (ქსძ, VIII, 817); ვარდო ახუაშვილი, ვარდო დევლახაშვილი, ვარდო პაპაშვილი, ვარდო ეუაშ-

ვილი, ვარდო ბაჯიაშვილი, ვარდო ბაღდასარაშვილი//ნონიაშვილი მოიხსენიებიან მუხათში; „აქავ კოდაზედ ჩაჩიკაშვილის ზურაბის ყმა... **ვარდუაშვილი ოთარა,** 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 179); „მარაბდას გერმანოზიშვილის სულხანის ყმა, 1781 წ. **ვარდუაშვილი ნინია**“. (ივ. ჯავახ., სეიძ. V, 169). იხ. **ვარდიაშვილი.** (კოდა, დიდი თონეთი, მარაბდა).

**ვარნოზაშვილი** (1721 წ.), რთული შედგ. სახ. **ვარ-ნოზა,** შდრ. **ვარზმან-ი, ვარზმარ-ი, ვარსამა, ვარსამიძე, ვარყმა, ვარხანა, ვარლია, ვარჯანა...**

„ქ. საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. **ვარნოზაშვილი თამაზა, ვარნოზაანთ** მაქანდარა, **ვარნოზაანთ** მელქუა, **ვარნოზაანთ** მოსესა“ (ვახუშტი, !01). (წინწყარო). შდრ. **ვარნაზოვი.**

| ვარსემაშვილი 230 |
|---|
| *თბილისი 161* |
| *სიღნაღი 23* |
| *გურჯაანი 12* |

| ვარსიმაშვილი 715 |
|---|
| *თბილისი 236* |
| *სიღნაღი 122* |
| *დუშეთი 113* |

**ვარსიმაშვილი//ვარსემაშვილი//ვარსამაშვილი** (1705 წ.); ზგდი. მნიშვნ, **ვარსამა//ვარსემი//დალაქი** (საბა). შდრ. **დალაქიშვილი.**

**ვარსამა,** მეტსახელი, შემონახულია გვარში: **ვარსამაშვილი** (ი. მისურ., 64); **ვარსიმე** (საქ. სიძვ., I, 21); **ვარსიმე** (ალ. ღლ., 121); ვარსიმაშვილი, 1705 წ. დავით აბაშიშვილის მიერ მაცხოვრის ხატისადმი გაცემული ვენახის შეწირულობის წიგნი (დოკ., I, 380); ბექანა ვარსიმაშვილი (ვახუშტი, აღწ., 1721 წ.); პაპა ვარსიმაშვილი, 1736 წ. იასე სოლოღაშვილის მიერ ოქრუა ამილბარას-შვილის სახელზე გაცემული თავდახსნილობის წიგნი (დოკ., I, 248); „...ქ. სოლოღაშვილის იასეს ყმა ქ. ტაგნაგეთს... **ვარსიმაშვილი პაპა, ვარსიმაშვილი აბრამა**“ (ვახუშტი, 141); „აქავ ბორბალოს იესე მდივნის ყმა 1781 წ., **ვარსიმაშვილი თევდორე,** აქავ მისი ყმა ვარსიმაშვილი მამუკა, ვარსიმაშვილი ძულია“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 168); ... სოფ. ღოუბანში 1886 წ. მოიხსენიება ალექსი ვარსიმაშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, 1613, ფ. 23-40, 114); „ქ. სოლოღაშვილის ქაიხოსროს ყმა ქ. მონასტერს 1721 წ. ვარსიმაშვილი გიორგი“ (ვახუშტი, 144); „ძირად ხევსურობას ამბობენ: XVII ს. ვარსიმაშვილების (სოფელი ვარსიმაანთკარი) ნაწილი“ (როლანდ თოფჩიშვილი, აღმ. საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. 1984,

გვ. 60); ვარსიმაანთკარი, სოფელი დუშეთის რაიონში (დუშეთის საპრეფექტო); „**ბექან ვარსიმაშვილი**, მეუღლე **ბარბარე**, შვილები **ვარსემა, ზაქარია, გაბრიელი, გრიგორი, ნინო**; ძმა **ვასილ ვარსიმაშვილი**, მეუღლე **ელისაბედი**, ვაჟები **იოსები, სოლომონი, იაკობი**, ქალიშვილი **მართა**; მეორე ძმა **პაპა ვარსიმაშვილი**, მეუღლე **თამარი**, ვაჟები **შიო, ლუა**, ქალიშვილები **ანა, მარიამი**; ძმა **დავით ვარსიმაშვილი**, მეუღლე **ბარბარე**, ვაჟები **მამუკა, მათე**, დისშვილები **თევდორე, გიორგი**, დედა **ეთერი; ნონია ვარსიმაშვილი**, მეუღლე **სოფიო**, ვაჟი **გოგია**, ქალიშვილები: **ანა, ნინო, სალომე**; ძმა **აბრამი**, მეუღლე **ანახანუმი**, შვილები **ვარსიმა, დავითი, ბარბარე, მართა, თამარი; გოგია ვარსიმაშვილი**, მეუღლე **მარიამი**, ვაჟი **ნინია**, უფროსი ძმა **სოსია**, მეუღლე **ელისაბედი**, უმცროსი ძმა **სიმონი**, დავით ბარათოვის გლეხებად მოიხსენიებიან 1823 წ. სოფ. ბორბალოში" (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83);

ბორბალოელმა **პაპა ვარსიმაშვილმა** 1826 წელს შვილი მოუნათლა ენაგეთელ სვიმონ იმერლიშვილს (489, 6, №31, №25); ბორბალოელმა ვასილ იაკობის ძე ვარსიმაშვილმა 1884 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შვილი მოუნათლა გოლთეთელ შიო პავლეს ძე ყაზიშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9. თ/წ. №1); **ვარსიმაშვილები** ლოუბანში გადავიდნენ სოფელ ტაგნაგეთიდან. (ბორბალო, მონასტერი, სალირაშენი, ტაგნაგეთი, ლოუბანი).

| |
|---|
| **ვარძელაშვილი 497** |
| *ქარელი 226* |
| *თბილისი 157* |
| *გორი 77* |

**ვარძელაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ვარძელა** (საამილახვრო დავთ., 22); **ვარძიელა** (დოკ., I, 61); (ალ. ღლ., 21); **ვარძელი** (ილ. მაისურ., 64); ვარძ ძირის შესახებ (Xიხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 164-167); შდრ. **ვარძელაძე, ვარძიაშვილი, ვარძიელი, ვარძუკაშვილი;** „...ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს (1721 წ. **ვარძელაშვილი ხეჩია**" (ვახუშტი, 102); აქედანაა ნაწარმოები ვარძელაძე, ვარძიაშვილი, ვარძიელი, ვარძუკაშვილი. (წინწყარო).

**ვასილიშვილი-ვასილაშვილი** (1817 წ.), **ვასილ** (ბერძ.) „სამეფო", „მეფისა". ქართულში ხშირად გვხვდება შემოკლებული ფორმით: **ვასო.** აქედან ნაწარმოებია ქალის სახელი **ვასილისა;** საკ. სახ. **ვასილ,** ბებუთოვის ძე, (საქ. სიძვ., III, 122); **ვასილ,** მღვდელ-

მონაზონი (დოკ., II, 456), **ვასილ ბარნოვი,** ცნობილი ქართველი მწერალი: **ვასილიშვილი** მოიხსენიება დიდ ენაგეთს 1823 წელს თავად ქაიხოსრო ბარათოვის გლეხად (სცსსა, ფ. 254, –, 802, ფურ. 5-18). (დიდი ენაგეთი, კოდა, მარაბდა).

ვაშაკიძე 3915
*თბილისი 1339*
*სამტრედია 1323*
*ქუთაისი 458*

**ვაშაკიძე** (1823 წ.), საკ. სახ. **ვაშაკ-ი** გვარში: **ვაშაკიძე** (ალ., ღლ., 122); დიდი გვარია, ცალკეულ შტოებს აქვთ შერქმეული სახელები (ადგ. გამოთქმით, საგინებლები): **ღორპარსიები, უმარ-გელეიშვილი, ტარტარეიშვილი, ჩხაურეიშვილი, ბერეიშვილი, დალაქიშვილი** (ი. მაისურ., 64); **სიმონ ვაშაკიძე,** მეუღლე **მარიამი,** შვილები **ხიკოლოზი, იოსები, გაბრიელი** მოიხსენიებიან სოფ. დიდ ენაგეთში 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, №803, ფურ, 1-3). შდრ. **ვაშაძე**. (დიდი ენაგეთი).

**ვაშაყმაშვილი** (1721 წ.), რთულფუძიანი საკ. სახ. **ვაშაყმა:** ვაშა+ყმა: მოხსენიებულია XI ს. წარწერაში: „განუსვენე სულსა მამისა ვაშაყმისა..." (ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან, (ი. მისურ., 65); შდრ. **ვაშალომი (ვაშალომიძე)**. ამავე ძირისაა: **ვაშაყმაძე**. (ტბისი).

ვახტანგაძე 435
*ქუთაისი 117*
*თბილისი 88*
*ამბროლაური 49*

**ვახტანგაძე** (1843 წ.), **ვახტანგ** ქართულში ძველითგან ცნობილია. ეს სახელი ერქვა საქართველოს არაერთ მეფესა და გამოჩენილ პიროვნებას. თბილისის დამაარსებელს ვახტანგ გორგასალს V ს.(. წარმოშობით უკავშირდება ირანულ ენებს და ნიშნავს „მგლისტანიანს", „მგელას" (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 339); აქედანაა ნაწარმოები გვარები: **ვახტანგაძე, ვახტანგიშვილი, ვახტანგიძე, ვახტანგაშვილი, ვახტანგოვის** ფორმითაც გვხვდება. თელავის რაიონში ნაწილი ვახტანგიშვილები, ხოლო მცირე ნაწილი კი ვახტანგოვებად არიან ჩაწერილი. სამხრეთ საქართველოში ყველა ვახტანგიშვილია. (ბოგვი). (ვახტანგიშვილი ორბელიანების შტოგვარიცაა).

ველიაშვილი 192
*თბილისი 45*
*ქუთაისი 44*
*ახმეტა 20*

**ველაშვილი//ველიაშვილი//ველუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ველია** (დოკ., I, 37); „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში. ქ. წრაურთს, 1721 წ. ერიჭანა ველაშვილი, ველიაშვილის ობოლი" (ვახუშტი, 159);

„აქავ ქ. წობას **ველუაშვილის ნასყიდი**... 1721 წ.“ (იქვე,170). (წობა, წრაურთი).

**ველიხანაშვილი** (1781 წ.), ·სავარ. მეტსახელი **ველიხანა**. შდრ **ველიჯანა**, გვხვდება გვარში: **ველიჯანაშვილი, გოგიჯანა//გოგიჯანაშვილი**... ამ კომპოზიციის პირველი ელემენტი არაბულად „წმინდას“, მეორე – **ხანი** კი მეფეს ნიშნავს. შდრ. **ველიჯანაშვილი (ველიჯანოვი), კულიჯანაშვილი (კულიჯანოვი)**. (დოკ., I, 37); **ხანი, ხანია** (ხევს., ს. მაკალ., 168); „აქავ კოდაზედ სარდალსახლთხუცის ყმა წიფორელი ველიხანას შვილი შეუძლებელი, 1781 წ. (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 176). (კოდა).

**ველუაშვილი** (1721 წ.) საკ. სახ. **ველია** (დოკ., I, 37); აზნ. **ველუაშვილი** მოიხსენიება 1721 წ. წრაურთასა და ჯვარა-დმანისს (ის. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 230). (წრაურთა, ჯვარადმანისი).

**ვეისაშვილი//ვესიაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ვეისა**; „ქ. ბოცოეთს ყაფლანიანთი... **ვეისაშვილი ბერია**, 1721 წ.“ (ვახუშტი., 168); „ბოცოეთს მსახლობელი **ვესიაშვილი** თევდორე, 1721 წ.“ (იქვე, 332). (ბოცოეთი).

**ვერეგილაშვილი** (1817 წ.), სავარ. მეტსახელი. შდრ. **ვერმიშა, ვერულა; ვერგილაშვილი გიორგი** მოიხსენიება სოფ. ბორბალოს 1817 წ. (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფურც. 269-270). (ბორბალო).

| ვეფხვიაშვილი | 20 |
|---|---|
| *თელავი* | *7* |
| *თბილისი* | *3* |
| *რუსთავი* | *2* |

**ვეფხიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ვეფხია** (დოკ., I, 13); **ვეფხია** (ხევსურ., ხახმატი; **ვეფხო**, სტატ. ცნ. XVIII ს. 463, ალ. ღლ., 123); „ქ. ბურდიაშვილის კრწანისს 1721 წ. **ვეფხიაშვილი მამულა**“ (ვახუშტი, 88); შდრ. **ვეფხვაძე, კვერნაძე**, მელაძე, **მხეიძე** (მხეცაძე), **ფოცხვერაშვილი**... (კრწანისი).

# ზ

ზაალიშვილი 1741
*თბილისი 730*
*თელავი 465*
*გორი 84*
ზალიაშვილდი 77

**ზაალიშვილი//ზალაშვილი//ზაალაშვილი///ზალიაშვილი** (1690 წ.), **ზაალ** (სპ.) „მოხუცი“. ეს სახელი ჰქვია ფირდოუსის „შაჰნამეს“ ერთ-ერთ გმირს, როსტომის მამას, რომელიც თეთრი თმითა და წარბწამწამით დაიბადა და მამამისმა **საამმა** სწორედ ამიტომ დაარქვა „მოხუცი“. სხვებმა უწოდეს აგრეთვე **ზარ** – „ოქროსი“. ამ ორი სახელის შეერთებით მიღებულია **ზაალ-ზარ**, საიდანაც მიღებულია **ზაზა**. ზაალის კნინობითი ფორმებია: **ზალიკა**, **ზალიკო**. აქედანაა გვარები: **ზაალიშვილი, ზალიკაშვილი** (ზ. ჭუმბ., 340).

**ზაალი** გავრცელებული სახელი იყო. ზაალიშვილები მეწინავე სადროშოს ბატონების ბარათაშვილების ჩამომავლები არიან. ამ გვარის მესვეური იყო **ზურაბ ბარათაშვილის ძე ზაალი** (1690 წ.); იხ. ზურაბიშვილები.

**ზაალი,** 1721 წ. აღწ. ტფილელის უყმო აზნაური ზემო ღოლოვანში (ისს. ლორთქ., § 78, იხ.პაპუა ზაალის განაყოფი); **ზაალიშვილი** პატარა **ზურაბი,** იხ. ბარათაშვილები, ზურაბიშვილები.

**ზაალიშვილი,** აზნ. 1721 წ. აღწ. მეფის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სომხითში (ისს. ლორთქ., §§ 134, 126); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა თოფრაყლას 1721 წ. ბეჟუა მახნუაშვილი, ივანა მახნუაშვილი, ოქრუა ჩექურაშვილი, იესე ჩეკურაშვილი, ბოგანო ოქრუა მოლაშქრე; ქ. ნაქალაქევს: ბასილი ზაქარიშვილი, ბოგანო ნაზარა მოლაშქრე. ყმები ჰყავდა: ქ. ირაგას, კამარეთს, ლიყურეთს, კაზარეთს, მონასტერს, ბალიჭს, ქაგარიანს, ქვეშს, ბაბილაშენს, კვირაცხოველს, კიანეთს, ბერთაქარსა და წობას“ (ვახუშტი, 57-60); „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა ქ. ელფიას 1721 წ. კავთუა ზაალიშვილი“ (ვახუშტი, 121); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. ლიყურეთს: ... ზაალიშვილი გიორგი“ (იქვე, 58); ზაალიშვილები მოიხსენიებიან XVIII ს-ის შუახანებში ქაიხოსრო ზაალიშვილის მიერ

პაპუნა წერეთლისადმი გაცემულ ყმის გირავნობის წიგნში. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ზაალიშვილი ვალის გირაოდ აძლევს წერეთელს მზარეულიშვილ სეხნიას, კაპანაძე კაციას, გოგიას ცოლ-შვილით, მამულითა და ალაგით ბეგარ-ყალანით (იხ. მუზ. №510 sd); ზაალიშვილი არის აგრეთვე მებატონე სოლოღაშვილთა შტო-გვარიც. „1728 წ. გიორგობისთვის 9. ჰეჯუბაშვილი ხახუა ყიდულობს ტაბახმელას ზაალიშვილებისაგან მამულს. **ზაალიშვილების ერთ-ერთი შტო მოდიან თავად სოლოღაშვილისაგან და ნასყიდობის წიგნშიც ასე არიან შეტანილი“... სოლოღაანთ ზა[ა] ლისშვილმან გიორგიმა,** ძმამან ჩემმან სულხან, ქავთარ და პატარკაცმან“ (ნ. საქ. სიძვ., ტ. II, გვ. 512); ზაალიშვილები იყვნენ აზნაურებიც და ყმა-გლეხებიც. ზაალიშვილი//ზაალაშვილი სოფ. კუმისში (გარდაბნის საპრეფ.) რუსული გაფორმებით – ზაალოვი.

**ზალიაშვილები (ზაალიშვილი ბარათაშვილ-ზურაბიშვილთა შტოცაა.)** სახელი ზაალი გვხვდება მხოლოდ ქართველებში და სპარსელებში. ტერტერამ ზ. ზოგ ადგილას სომხად მონათლა და **ზალიანცად** ჩაწერა. (კუმისი, ქართვ. გრიგორ., შავშელისა, იქვე გვ. 105, (ახალშენი, ელფია, ლიყურეთი, მარაბდა).

ზადიკაშვილი
ოცზე ნაკლებია

**ზადიკაშვილები** (1672 წ.) საკ. **ზადიკა** (არქ., 1886, ნიგოითი, გურია, მამ. 24., ალ. ღლ., 124);

**ზადია,** გვხვდება გვარში: **ზადიაშვილი.** აქედან ნაწარმოებია **ზადიკაშვილიც** (ი. მაისურ., 66; ალ. ღლ., 124); დავითა ზადიკაშვილი 1672 წ. იხსენიება მითარას მიერ ალავერანა საფარიშვილის სახელზე გაცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 48; სცცა, ფონდ 226, №361); ნასყიდა ზადიკაშვილი, ძმილაშვილ მამუკასა და მანუჩარ თუმანიშვილის გარდაწყვეტილობის წიგნში (1717, თებერვლის 17. საქ. სიძვ., III, 413); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, 1721 წ. წინწყაროს, ... ზადიკაშვილი პაპუა“ (ვახუშტი, 104); შდრ. **ზადიშვილი//ზვადიშვილი//ზადიკაშვილი** (ენაგეთი, წინწყარო).

ზაზაშვილი 647
ადიგენი 241
თბილისი151
თელავი 64

**ზაზაშვილი** (1690 წ.) **ზაზა** (ებრ.) „სიუხვე“ სხვაგვარი ახსნით „ბრწყინვალე“. ზოგიერთი ხურიტანულ სახელად მიიჩნევს, როგორც შენიშნავს ზ. ჭუმბურიძე, მნიშვნელობა დაუდგენელია (148); **ზაზა** (სხვადასხვა), **ზაზა** ამირეჯიბი, ქაიხოსროს ძმისწული (დოკ., I, 104); ზაზა ბარა-

თაშვილი-იოთამაშვილი (იქვე, გვ. 130); ზაზა ბოქაულთუხუცესი (193; ზაზა გედევანიშვილი, სარდალი (158); **ამირა ზაზაშვილი** – იარალის, ვახუშტისა და ასლამაზის ყმა. 1683 წ. იხსენიება იარალისა და მისი ძმების მიერ სალმახანა მელიქსეთაშვილის სახელზე გაცემულ ყმების ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 74); მატია ზაზაშვილი (იქვე, 74);

ზაზაშვილი ზაქუმბეგ ალიყულიშვილის გლეხი, 1690-1716 წწ. ზაქუმბეგ ალიყულიშვილის მიერ ავთანდილ დიასამიძის სახელზე გაცემული ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 88); „ქ. ოთარი გერმანოზიშვილის ყმა, 1721წ. ქ. ანდრიას: ...ზაზაშვილი შერმაზანა" (ვახუშტი, 135); ზაზა თამაზის ძე ზაზაშვილი, შვილები: იაგორი, გიგოლა; მიხეილ თამაზის ძე ზაზაშვილი, ძმა სარქისა მოიხსენიებიან ენაგეთის ახალშენს 1873 წ. (სცსსა. ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-200); ამავე ძირისაა: **ზაზაძე, ზაზიაშვილი, ზაზიკაშვილი,** (აბელია, ენაგეთის ახალშენი).

ზაზანაშვილი 44
*თბილისი 12*
*გორი 2*
*ახმეტა 1*

**ზაზანაშვილი** (1736 წ.), საკ. სახ. **ზაზანა,** შდრ. **ზაზალა** (ი. მაისურ., 66). **ზაზუა, ზაზუნა, ზაზუტა** (დოკ., I, 528); ზაზანაშვილი მოიხსენიება სოფ. ჩხიკვთაში 1736 წელს თამაზა საგინაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ იორამ ანდერმანისშვილისადმი გაცემული ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 261); „**ნინია ზაზანაშვილი,** მოიხსენიება სოფ. მუხათში 1817 წ. „აღწერაში" (სცსსა. ფ. 524, №1, საქმე 477, გვ. 40-45) (მუხათი, ჩხიკვთა).

ზაზიაშვილი 41
*თბილისი 38*
*თეთრიწყარო 3*

**ზაზიაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ზაზა** (დოკ., I, 118).

იაკობ ზაზიაშვილი მოიხსენიება სოფ. ერტისს, 1823 წელს როგორც ირემაშვილების შინამოსამსახურე (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 93-98); სოფ. ერტისში მცხოვრებმა იაკობ ზაზიაშვილმა 1826 წელს თანასოფლელ ნინია ჯოეშვილს მოუნათლა შვილი (489, 9, №31, №25, ფურ. 155). იგივე ი. ზაზიაშვილმა შვილი მოუნათლა სესია გიორგაშვილს (იქვე) (ერტისი).

**ზაზუაშვილი//ზაზიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ზაზუა. ზაზუა** დუზელი (დოკ., I, 320); ზაზუა მანთაშაშვილი – მოხსენიებულია სოფ. ღვევში, 1742 წ. მანუჩარ თულაშვილის მიერ საქართველოს ვექილ ქაიხოსროსადმი გაცემულ ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 304);

ნ. ზაზა, ზაზუ, ზაზუნა, ზაზუნიკი (ალ. ღლ., 124); „ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს, 1721 წ., ... ზაზუნაშვილი ელიზბარა“ (ვახუშტი, 25); „აქავ თურქისტანიშვილის თამაზის ობლების ყმა ზაზიაშვილი დათუნა, 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 167); „ქ. ხოსროხანიშვილისა კწანისს, 1721 წ. ზაზუაშვილი ხოსიტა“ (ვახუშტი, 23); შდრ. **ზაზაშვილი, ზაზუტაშვილი, ზაზუნაშვილი,** ზაზიაშვილი, ზაზიკაშვილი, (დურნუკი, ერტისი, კწანისი).

**ზაზუტაშვილი** (1721 წ.), საკ, სახ. **ზაზუტ**-ა (გ. ლეონ., სახელები); **ზაზუტა**-ი (საეკლ. საბ., I, 71);

„ქ. ყორღანაშვილის თაყასი, 1721 წ. ვანათს: ...**ზაზუტაშვილი პაპუნა**“ (ვახუშტი, 93) ვანათი (ვანეთი).

**ზაკოაშვილი** (1721 წ.(, საკ. სახ. **ზაკა** (მეგრ. უქნარა, კოლხ. ს. მაკალ., 276; ლ. ღლ., 24); შდრ. **ზაკოლია** (იქვე);

„ქ. საკარის მსახლობელი 1721 წ. **ზაკოაშვილი**“ (ვახუშტი, 312) (საკარისი).

**ზალაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ზალ** (ისტ. დოკ., I, 90), **ზალ**, საბუთის დამწერი (დოკ., I, 76); **ზალ** – თამაზა ქემაროზაშვილის განაყოფის როსტომას შვილი (იქვე, 60); **ზალ მუსხელიშვილი** (69) და სხვა.

„ქ. სოლოღაშვილის იესეს ყმა ქ. ასურეთს 1721 წ., ...**ზალაშვილი ბერუა**“ (ვახუშტი, 140).

იხ. **ზაალი//ზაალიშვილი** (ასურეთი).

**ზალუნაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ზალია** (ათაბ., 273); **ზალიკა** (ისტ., დოკ., I, 1-9); **ზალინა** (დოკ., I, 205); **ზალუა** (სახ. არქ., 1448, №4379); შდრ. ზალინაშვილი. საკ. სახ. **ზალინა** (ზაალ+ბლსრთი ინ-ა, ი. მაისურ., 67); ქიტესა ზალუნაშვილი, ვაჟი ვასილი, მოიხსენიებიან 1843 წ. აღწერით, სოფ. კოდაში (სცსსა, ფ. 254, I, 2043, ფურ. 275) (კოდა).

**ზამანაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ზამან** (საეკლ. საბ., I, 21; ალ. ღლ., 124) (კოდა).

**ზამუკაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ზამუკა//სამუკა**. იხ. ახალკაციშვილი ზამუკა (sic) თოით (საამილახვროს დავთარი, მე-17 ს-ის მეორე ნახევრისა) (კოდა).

**ზამურაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ზამურა** (სოფ. კოდა, სცსსა. ფ. 254, 1, 802, ფურ. 45-60);

დათია **ზამურაშვილი,** მეუღლე **ნინო,** ვაჟები: **ზამურა, სოსია,** ქალიშვილები: **მარიამი, თამარა,** დათიას დედა **თინათინი,** ბიძაშვილი **გოგია,** მეუღლე **ბარბარე,** დედა **ანა** (სცსსა, ფ. 254, 1, 802., ფურ. 43-60) (კოდა).

ზანგურაშვილი 506
*თბილისი 235*
*ვზელგორი 97*
*გორი 78*

**ზანგურაშვილი** (1873 წ.), **ზანგურა** სიშავისათვის დარქმეული მეტსახელი (**ზანგ**+ბლსრთი ურ-ა) (ილ. მაისურ., 67); ზანგი კაცი, შავი (საბა, 126); შდრ. **ზანგო, ზანგულ**. განსხვავებული ძირისაა: **ზანგაშვილი, ზანგალაძე**.

„წინათ ზანგურები ცხოვრობდნენ ქსნის ხეობაში მდებარე პატარა სოფელ გრუშში, ახლა იქ ერთი კომლიღა დარჩა. არიან აგრეთვე ოკაში" (კასპის საპრეფ. ინფორმატორი ევგენია როსტომის ასული ზანგური-დვალი, 5. III. 1977); 1873 წ. აღწ; სოფ. ღვევში მოიხსენიებიან ზაქარია ზანგურაშვილი, ვაჟი მამუკა, ძმები: ბესო, ანდრო, გიორგი, გიორგი ზანგურაშვილი, ვაჟები: დავითი, ვანო (სცსსა, ფ. 254, №3, 112, საქმე 74, ფ. 17-181) (ღვევი). შდრ. **ზანგური** (247 სული).

**ზარიპაშვილი** (1817 წ.), სავარ. მეტსახელი **ზარიპა,** აქედან ნაწარმოებია გვარი: **ზარიპაშვილი**. შდრ. მეტსახელი **ზარილა, ზარბაზანა,** ვხვდებით გვარებში: **ზარბაზანიძე, ზარბაზანაშვილი** (ი. მაისურ., 67); **ზარნა,** გვარში: **ზარნაძე**.

1817 წ. სოფ. კოდაში კონსტანტინე ორბელიანის პორუჩიკის ყმად მოიხსენიება **კოხია ზარიპაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 4--43) (კოდა).

ზარიძე 2007
*თბილისი 800*
*ოტანეთი 167*
*რუსთავი 136*
მოსიაშვილი 2228

**ზარიძე//მოსიაშვილი** (1873 წ)., **ზარ** (სპ) – ოქრო: **ზარი,** მეტსახელი, ვხვდებით გვარებში: **ზარიძე, ზარიშვილი, ზარიაშვილი, თავზარაშვილი//თავზიშვილი გიორგი** (ალ. ოლ., 124); **ზარი,** სამგლოვიარო გუნდური სიმღერა – ტარილი. „ზარი", ს-დ. მიმართულების ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1905-07 წლებში.

**ზარიძე** – 1722 წ. პაპუნა თაზისშვილის მიერ ზაალ უმეკასშვილის სახელზე გაცემული მამულის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 197); **ზარიძე** – 1797 წ. წყალობის წიგნი, ზურაბ გარაყანაძის მიერ იაბერ

დავითაშვილის სახელზე გაცემული (დოკ., II, 186); 1818 წელს ლოუბნელი გლახა პეტრიაშვილის ქალიშვილმა ნინომ მონათლა აბრამა ზარიძე (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №24, ფურ. 145); „კოდაზე მცხოვრებ **ზარიძე-მოსიაშვილს** დაებადა ქალი, სახელი ეწოდა ქეთევანი, ნათლიად იყო თანასოფლელი ნინია ბაჩიაშვილის ცოლი ელისაბედი" (489, №6, 57, 1828 წ. ფურ. 9); **ზარიძეები** (ყოფ. ჩიტაურთ კარი), სოფელი თიანეთის საპრეფექტოში (ქსე, ტ. 4, 486).

შდრ. (სომხ.) **ზარიანი** (ლოუბანი).

შდრ. ზარხოშაშვილი 136
გორი 139
თბილისი 17
ქარელი 11

**ზარხოშაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ზარხოშა**. შდრ. **ზარალა, ზარბაზანა** (ალ. ღლ., 124). მოდის სპარსული სიტყვიდან **ზარხოშ**, შდრ. ქართულ **ზარხოშ** (ნასვამი, სმისაგან ხასიათზე მოსული).

„ქ. საჩინოშვილის ფარსადანისა ეშვის წყაროს, 1721 წ. **ზურაბა ზარხოშაშვილი**" (ვახუშტი, 75, ეშვისწყარო).

ზაქაიძე 1347
თბილისი 387
დუშეთი 354
მცხეთა 212

**ზაქაიძე** (1873 წ.), საკ. სახ. **ზაქა**, შემოკლ. **ზაქარია, ზაქარა** (ძვ. ებრ.) „ღვთის მიერ დაუვიწყარი" (სიტყვა-სიტყვით „ღმერთს ახსოვს").

**ზაქაიძეები** გარისში გადმოსულან სოფლებიდან: ზაქათკარიდან და წკარადან. „ხადის ხეობის სოფელ წკერეს მაცხოვრები ზაქაიძეები იყოფიან გივიანად და კაციანად, ამავე ხეობის მეღურის მოსახლენი – ყატკუიანად და ჯაბიანად, ბეგოთკარისა – ზაზიანად და ვაჩალდიანად" (ჰყონია, ქორწ., ინსტ. მთიულეთში; 131).

შდრ. ზაქარაშვილი, ზაქარიძე, ზაქიძე, ზაქარია, ზაქარაია, ზაქარეიშვილი, ზაქარიაძე, ზაქროშვილი (ორბეთი).

ზაქარაშვილი 603
ზაქარიშვილი 387
ზაქაროვი 26

**ზაქარასშვილი//ზაქარიაშვილი/ზაქარიევი** (1707 წ.), **ზაქარია** (ებრ.) „ღვთის მიერ დაუვიწყარი" (სიტყვასიტყვით: „ღმერთს ახსოვს"); მოფერებითი ფორმებია ქართულში" ზაქრო, შაქრო, შაქარა.

**ზაქარია** სვეტიცხოვლის დეკანოზი – 1696 წ. ქადაგის არქ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილის სახელზე გაცემული საალაპო წიგნი (სცსსა, ფ. 226, №5060; დოკ., I, 99); აბისონა ზაქარიაშვილი – მცოვრელი გლეხი – 1707 წ. სამართალი ვახ-

ტანგ VI-ისა პაპუა გერმანოზის-შვილის ბუშის ბექურას საქმეზე (საქ. მუზ. №2085 Hd; დოკ., I, 133); ელისბარა, დათუნა ზაქარასშვილი, 1737 წ. ივანე საავაძის მიერ მგელი და სხვა ბერინასშვილების სახელზე გაცემული ყმის შვილის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 269).

„ქ. იარალაშვილის როსების სამაჩვეთს 1721 წ. ზაქარაშვილი მამისიმედი“ (ვახუშტი, 63); 1882 წლის 20 მარტს გარდაიცვალა თბილისის მაზრის სოფ. დიდ ენაგეთში მცხოვრები შტატგარეშე დიაკონი იესე ზაქარიაშვილი (ზაქარიევი). (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); 1883 წელს დიდ ენაგეთელ სახაზინო ყმას ზაქარია იესეს ძე დესპოტაშვილის შვილმა მონათლა აზნაური რაჟდენ იესეს ძე ზაქარიევი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); ზაქარასშვილები კოდაში მოიხსენიებიან 1873 წლიდან.

შდრ. **ზაქარია, ზაქარეიშვილი, ზაქარიაძე, ზაქარაძე, ზაქრაძე, ზაქროშვილი...** (დიდი ენაგეთი, კოდა).

ზაქუტაშვილი 90
*თბილისი 38*
*გარდაბანი 22*
*გორი 1*

ზაკუტაშვილი 152
*თბილისი 52*
*ქარელი 53*
*ბორჯომი 14*
ზაკუტოვი 84

**ზაქუტაშვილი//ზაკუტაშვილი** (1721 წ) საკ. სახ. **ზაქუტა** (დოკ., I, 110);

**ზაქუტა კაკაშვილი** იხსენიება 1700 წ. 27 აგვისტოს, ურბნელ იოსებ ჯავახიშვილის მიერ რევაზ ქორქოლაძის სახელზე გაცემულ წყალობის წიგნში. (დოკ., I, 110); ზაქუტა, ბოგანო: შუბით მოლაშქრე (საამილახვროს დავთარი, XVII ს-ის მეორე ნახევრისა, გვ. 5); **ზაქუტა**, ქ. წინაგარაზას, თამაზისა, სამნიაშვილი, მშვილდით (იქვე, 5); „ქ. ვერხვნალას, ქიტუაშვილი **ზაქუტა** (134); ბექუა ზაქუტაშვილი, იხსენიება №I— ს. პირველ ნახევარს ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხაში (დოკ., II, 30); ზაქუტასშვილი – XVIII ს. გაყიდული (იქვე, 203); სოფ. ვერხვნალას, 1721 წ. **ზაქუტაშვილი ივანა** (ვახუშტი, 137); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღაბარისა ქ. ანდრიას 1721 წ. ...**ზაქუტაშვილი ბექუა**“ (ვახუშტი, 56); „ვაშლოვანს დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმები **ზაქუტაშვილი მამაჯანა** და თათულა, ზაქუტაშვილი სარქისა და შაქრუა, 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 166); „ქ. ვარაზაშვილის ლუარსაბის ყმა ქ. ვერხვნალას 1721 წ. ზაქუტაშვილი ივანა“ (ვახუშტი, 137); ოჰანეზა ზაქუტაშვილი, მეუღლე მათუა, ვაჟი სარქისა,

ქალიშვილები ელისაბედი, ნატო, ხანუმა; გლახა ზაქუტაშვილი, შვილები პეპანა, გიორგი, ქეთევანი, მეუღლე ხორეშან; სიმონ ზაქუტაშვილი, მეუღლე მარიამი, ვაჟები თათუა, თათულა, პეპანა მოიხსენიებიან 1823 წ. აღწერით, სოფ. ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 99-195).

მოგვიანებით, რუსული გაფორმებით **ზაკუტოვი** (ანდრია, ვაშლოვანი, ვერხვნალა).

**ზახარიძე** (1873 წ.), საკ. სახ. **ზაქარია//ზაქრო//შაქრო//შაქარა.** სოფ. მუხათში არის მეტსახელი **ზახარა.** აქედან ნაწარმოებია გვარი: **ზახარიძე** (დრე, ვანეთი).

| | |
|---|---|
| ზედგენიძე | 933 |
| *თბილისი* | *317* |
| *რუსთავი* | *83* |
| *ახალციხე* | *54* |

| | |
|---|---|
| ზედგინიძე | 1407 |
| *ასპინძა* | *613* |
| *ახალციხე* | *371* |
| *თბილისი* | *122* |

**ზედგენიძე//ზედგინიძე//ზევდგინიძე,** საკ. სახ. **ზედგინი, ზევდგინ** (იხ. **ამილახორი** ზედგინ, ქრონ., II, 22);

**ზედგენიძეები** იგივე **თავად ამილახვრიანთა** ჩამომავლები არიან: „ამათნი უკვე გვარნი იყვნენ მოსრულნი იტალიიდგან ძველად მხედარნი, რომელთანი ოდეს მოვიდა მხედართა მძღვენი პომპიოს საქართველოსა შინა მხედრობითა თვისითა და დაიპყრო საქართველო წელსა დასაბამიდან 3939... საქართველოსა შინა მოვიდნენ სუმბატ მეფის დროს და დაეშენნენ რომელნიმე ამათ ხალხთაგანი ქართლსა შინა და ახალციხეს მესხეთსა შინა და ესენი მიიღო სუმბატ მეფემან აზნაურობის ხარისხითა და უბოძა გვარად ზედგენისძეობა და მამული მისი ბეითალმონი. ხოლო რომელთათმე ამათ გვართა, წარჩინებულისა გამო, მიიღეს თავადობა დროსა გიორგი მეფისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1150 წ. და იწოდებოდნენ ზედგენიძეთ. ამილახვრობა ებოძა მას შემდეგ, რაც შეთქმულების გამო, მეფის ნაცვლად შეცდომით მოკლეს **იორამ ზედგენიძე.** ამის ჯილდოდ შვილებს უბოძა. ზევდგინიძე-ზედგინიძე ვახუშტი ბატონიშვილიც გვარს წარჩინებულთა შორის მოიხსენიებს (ქართლ. ცხ., IV, 35); ამ გვარეულობამ მიიღო ამილახვრობა( იქვე, 34);

ისტ. ცნობილი არიან: **ზედგენიძე – ამილახვარი ავთანდილ** (სხვადასხვა, ქრონ., II, 218, 225, და სხვ.); ზ-ე, ამირინდო, ზ-ე, დოლარსლან ყოფილი დამიანე **ზ-ე**, ზავრად, **ზ-ე**, ზ-ედგინ, **ზ-ე**, თაყა (იქვე, 225, 383, 272, 356); ზევდგინიძე ვახტანგ (217), ზევდგინიძე

მამია (704), ზევდგინიძე-ამილახორი იქვე, 704); ზედგინიძე თაყა, ზედგინ (იხ. ზედგენიძის ნასყიდობის გუჯარი, 1698 წ. ქრონ., III, 23).

მესხეთსა და იმერეთს გარდა უცხოვრიათ გარისის მიწაზეც (ჯიგრაშენი).

ზედელაშვილი 876
სიღნაღი 378
თბილისი 190
რუსთავი 106

**ზედელაშვილი//ზედალაშვილი** (1721 წ.), **ზედელა,** მეტსახელია გვარში: **ზედელაშვილი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 78).

„ქ. გერმანოზიშვილის ოთარის ყმა, ქ. ენაგეთს, 1721 წ. ...**გიორგი ზედელაშვილი** (ვახუშტი, 135).

შდრ. **ზეიდალასშვილი, ზეგელაშვილი, ზეგულაშვილი** (ენაგეთი).

ზეიკიძე 269
თბილისი 98
დუშეთი 85
მცხეთა 71

**ზეიკიძე** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **ზეიკა.** „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო ქ. კუჭიაშვილის ლიპებში (1721წ). ვარდუა ზეიკიძე" (ვახუშტი, II). ზეიკიძე ზედგენიძეთა გვარიდანაა მიღებული.

**ზითუაშვილი** (1781 წ.), საკ. სახ. **ზითანა** (არქ. 1889, უშგული, სვან., დედ., 7; ალ. ღლ., 125); **ზითანას** კნინობითი ფორმაა **ზითუა,** აქედან ნაწარმოებია გვარი **ზითუაშვილი.**

„... ეკლესიას ბატონის სახასო აკოფა **ზითუაშვილი** და მისი ძმა რამაზა, 1781 წ." (ივ. ჯავახ. სეიძ., I, 170, მარაბდა).

ზირქაშვილი 901
ზირაქაძე 501
ზირაქიშვილი 328
ზირაქიძე 328

**ზირაქიშვილი,** საკ. სახ. **ზირაქ.** (ქართლ. ცხ., I, 256);

ამავე ძირისაა: **ზირაქაძე** (კლდეისი).

ზოსიაშვილი 330
ქუთაისი 138
ტყიბული 112
თბილისი 16

ქავთარაძე 7494
თბილისი 2393
დუშეთი 881
მცხეთა 431

**ზოსიაშვილი-ქავთარაძე** (1873 წ.), საკ. სახ. **ზოსია** (კოლხ., 108, ზუგდიდი, ალ. ღლ., 126); შდრ. **ზოსიმე** (ბერძნ.) ცხოვრების უნარიანი (საეკლ., საბ., I, 1); 1873 წ., აღწ., სოფ. ლასტისციხეში მოიხსენიება **ფილიპე ზოსიაშვილი-ქავთარაძე** (სცსსა, ფ. 254, №3, 241, ფ. 593-596, 1873 წ.); ამ რეგიონში ორი და მეტი გვარით პიროვნებები ხშირად გვხვდებიან (იხ. ქავთარაძე, ლასტისციხე).

ზუბიაშვილი 733
თბილისი 282
გორი 226
კასპი 104

**ზუბიაშვილი** (1688 წ.), საკ. სახ. **ზუბია** (ალ. ღლ., 126); ზუბია ბესალიაშვილი, შოშიას ძმისწული – 1609 წ. შანშე ჯავახიშვილის მიერ გიორგი ცალქალამანიძის სახელზე გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნი (საქ. მუზ. X 7567 hd; დოკ., I, 15); „აქ ცხოვრობდა (ერწოში) დურმიშხან ფალავანხოროს-შვილის ყმა მამუკა ზუბიაშვილი (1688 წ.); გაბრიელ ზუბიაშვილი საბუთის დამწერი 1723 წ. თუმანიანთა პაპუას მიერ ჩარჩიანთ ქრისტესიას სახელზე გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკ., II, 23); ბერი და სეხნია ზუბიაშვილები – 1728-1750 წწ. პაპუნა ბედიაშვილის მიერ სეხნია ზუბიაშვილის სახელზე გაცემული შვილის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 227); „ქ. მანგლელის ყმა ქ. მანგლის: ...ზუბიაშვილი პაპუნა, 1721 წ. ...ზუბიაშვილი გიორგი" (იქვე, 48); შდრ. **ზუბაშვილი, ზუბულაშვილი, ზუბალაშვილი. ზუბის** ციხე ლეჩხუმში. იქვეა სოფელი ზუბი. **ზუბიაშვილი არის აგრეთვე თუმანიშვილების შტო-გვარი.** (მანგლისი, უკან დაღეთი, ერწო).

ზუბიტაშვილი 195
თბილისი 36
თელავი 22
რუსთავი 5

**ზუბიტაშვილი** (1704 წ.), საკ. სახ. **ზუბიტა.** ზუბიტა როსტიაშვილი, მოხსენიებული მოწმედ 1643 წ. ქიტია მთიულიშვილის მიერ თარხან იორამ მოურავისშვილის სახელზე გაცემულ ბატონყმობის წიგნში (დოკ., I, 27); იქვე მოხსენიებული არიან: ზუბიტა მიქელაშვილი, ზ. ფიროაშვილი, ზ. ფირუასშვილი, ზ. ფირუაშვილი (371, 44, 63, 68); ფასია ზუბიტაშვილი, ნასყიდობის წიგნი ზაზა მახვილაძისა (1704 წ. საქ. სიძვ., II, 199); გოგია ზუბიტაშვილი, მცოვრელი გლეხი – 1707 წ. სამართალი ვახტანგ VI-ისა პაპუა გერმანოზიშვილის ბუშის ბექუას საქმეზე (დოკ., I, 132); ზუბიტაშვილი – 1739 წ. აბიბო რუსიშვილის მიერ ელო ჩაბარუხის სახელზე გაცემული წიგნი (დოკ., I, 403); „მემამულე ზუბიტაშვილი შერმაზანა ქ. კოჟორზედ, 1721 წ. ამისი კაცი შინდის ბადურაშვილი არაქელა" (ვახუშტი, 158); „ქ. დმანის-ჯვარას, 1721 წ. ყაითამაზაშვილების ყმა... **ზუბიტაშვილი ხოსიტა**" (ვახუშტი, 169).

**ზუბუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ზუბუა. ზუბუა** გრიგოლასშვილი – 1695-1703 წწ. ვარაზა გერმანოზიშვილის მიერ შერმაზან ყორღანაშვილის სახელზე გაცემული საზღაურის მიცემულობის წიგნი

(დოკ., I, 97); ასრათა ზუბუაშვილი – 1740 წ. პაპა შიოსშვილის მიერ ქაიხოსრო და სხვა ზაალისშვილების სახელზე გაცემული მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 290); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო წინწყაროს: ...ნასყიდა ზუბუაშვილი, 1721 წ.“(ვახუშტი, 102).

შდრ. ზუბია, ზუბიკა, ზუბიტა, ზუბა (წინწყარო).

ზუმბულიძე 299
*გორი 168*
*თბილისი 104*
*ხარაგაული 7*

**ზუმბულაძე** (1871 წ.), თხზული საკ. სახ. **ზუმ-ი** (არქ., 1900, ლახამულა, სვან., დედ., 9; ალ. ღლ., 12); **ბულა** (სტატ. ცნ XVIII ს., 414); **ბულა** (ალ. ღლ.,); **ბულა, ბულ-ი** გვხვდება გვარებში: **ბულაშვილი, ბულია.**

1871 წელს დიდი ენაგეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი ბლაღოჩინად მოიხსენიება **ალექსანდრე ზუმბულაძე** (სცსსა, მეტრ. წიგ. ფ. 489. აღწ. 9, თეთრი წყარო №1, დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესია).

ზურაბაშვილი 1733
ზურაბიშვილი 1344
ბარათაშვილი 1521
ხიდაშელი 939

**ზურაბაშვილი//ზურაბიშვილი//ბარათაშვილი//საგინაშვილი-ხიდაშელი** (XVII ს.). **ზურაბ** ქართულში დამკვიდრებული ფორმაა სპარსული სახელისა **(სურხაბ//სუხრაბ),** რომელიც სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც „წითელი წყალი“, მაგრამ ძველად ის ნიშნავდა აგრეთვე წითლად მოელვარე ძვირფას ქვას – **ლალს**. სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძვლად ადამიანის სახელს. ზურაბი ერქვა ლეგენდარული ირანელი გმირის როსტომის ვაჟს. ჩვენში ფართოდ გავრცელდა „შაჰ-ნამეს“ სხვა გმირთა სახელების მსგავსად. მისი კნინობითი ფორმებია: **ზურაბა, ზურა, ზურია, ზურიკო**; აქედანაა ნაწარმოები გვარები: **ზურაბიშვილი, ზურაბაშვილი, ზურაშვილი, ზურიკაშვილი, ზურაბიანი** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 314). საკ. სახ., **ზურაბ** (ისტ. დოკ., I, 23); **ზურაბა** (დოკ, I, 100); დონდოლაშვილი ზურაბ, 1721 წ. აღწ. მებატონე (ვახუშტი, 155); ზაალიშვილი პატარა ზურაბ, 1721 წ. აღწ. მებატონე (ვახუშტი, 155); ზაალიშვილი პატარა ზურაბ (იქვე, 57); თარხნიშვილი ზურაბ (იქვე, 88); ლარაძე ზურაბ (89)... „თავადი ზურაბისშვილნი, ჩანს მეფე ბაგრატის დროიდან (1064 წლიდან). ცნობილნი არიან ზურაბ და ნაზარ ზურაბისშვილნი. ცხოვრობდნენ და მამულები ჰქონდათ ლორის

ხეობაში, ახპატში, „მარაბდაში“ (საანდაზო ლექსები, 29).

**ზურაბიშვილები ბარათაშვილების** განაყოფები არიან. ასევე საგინაშვილთა შტო-გვარია. იხ. საგინაშვილ-ბარათაშვილი.

**ზურაბიშვილები,** ფეოდალური საგვარეულო ქართლში, XVII ს. შუა წლებში საბარათიანოს სარდალი ზურაბ ბარათაშვილი გამოეყო სახლიკაცებს და ცალკე სათავადო-**საზურაბიშვილო** შექმნა.

**ზურაბიშვილები, მებატონეები, ბარათაშვილების ერთ-ერთი შტო,** ამ გვარის ფუძემდებელია ზურაბ ბარათაშვილი, სარდალი, რომელიც იხსენიება 1634, 1637 წწ. ქ. თაკუს ზურაბაშვილი სიყმია“ (ვახუშტი, 76); „ქ. თაყაშვილის გიორგისა ქ. ზემო ოძისს 1721 წ. ზურაბაშვილი ბერუა, ზურაბაშვილი გოდერძა“ (იქვე, 76-77); „ქ. სოლოღაშვილის ქაიხსროის მამულში ქ. ტაგნაგეთს, 1721 წ. ზურაბაშვილი დავითა“ (იქვე, 144).

კოდაზე მცხოვრებ ტეტია ზურაბიშვილმა 1822 წ. იქორწინა იობაშვილის ქალ ხამფეროვანთან, რომელსაც გვირგვინი უკურთხა აბარამ ხუროშვილმა. თავსმდებად იყვნენ: სარგის ადუაშვილი, იოსებ ნიკოლოზაშვილი, სოსია ლუკმიაშვილი (ფ. 489, №6, 1 ბ. №27, ფურ. 105).

**ზურაბიშვილი-ხიდაშელი** კიკოლა, მეუღლე ელენე (ბორბალო, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83); 1826 წელს ბორბალოში მოიხსენიება გიგოლა ზურაბიშვილი (489, 6, №31, 25); (თაკუ, ზემო ოძისი, კოდა, ტაგნაგეთი, მუხათი).

ზურაბიშვილები არის აგრეთვე სხვა რამდენიმე წარჩინებული საგვარეულოს განშტოება.

# თ

ᲗᲐᲑᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ 603
*კასპი 313*
*თბილისი 161*
*გორი 61*

**ᲗᲐᲑᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1854 წ.), საკ. სახ. **თაბუ** (სვან., 6, ქიბიანი, ალ. ღლ., 127); გვხვდება **თაბუ**-ს სხვადასხვაგვარი სახეცვლილებაც: **თაბუა** შემონახულია გვარში, შდრ. **თაბუნია**. (საეკლ., საბ. I, 116; ალ. ღლ., 127) (შეხვეტილა, ახოტა).

**ᲗᲐᲕᲐᲥᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1783 წ.), მეტსახელი **თავაქალა** – იტყვიან დაუდევარ კაცზე.

შდრ. (თურქ.) **tevekkel**, სალაპარაკო ფორმაში დაუდევარი, უზრუნველი, ალალბედს მინდობილი. შდრ.: **თავქარა, თავბერა,** თავ-**დიდი, თავალექა, თავზარა, თავსივა, თავფქვილა, თავყელი...**

**გიგოლა თავქალაშვილი** მოიხსენიება ენაგეთს (1783 წ.) არუთინა უსტაშვილის მიერ ერასტი გოსტაშაბიშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში (დოკ., II, 127).

შდრ. **თავქარაშვილი** (XVII ს.) ქართველი პოეტი, კალიგრაფი, მხატვარ-მინიატურისტი (ენაგეთი).

**ᲗᲐᲕᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1826 წ.), საკ. სახ. **თავბერა** (სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 127); **თავბერ** (იქვე), შდრ. **თავდიდი, თავდუმა, თავზარა, თავსივა, თავსოლო, თავფქვილა, თავყელი, თავშავა...**

კოდელმა **ნინია თავბერაშვილმა** 1826 წ. სოფლის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა ქალიშვილი ანახანუმა. მიმქმელი იყო მუხათელი ყაზარა ტერტერაშვილი (489, 6, №28, 1826 წ.ფურ. 172).

შდრ. **თავდიდიშვილი,** მეტსახელი-ეპითეტი (ირონიით) თავდიდი; შემოკლებით **თავდიშვილი; თავშავაძე,** მეტსახელი **თავშავა.** ამავე ძირისაა **თავშავიშვილი... თავბერიძე.** (კოდა).

**ᲗᲐᲕᲘᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ), სავარ. მეტსახელი **თავითი, თავითა.** შდრ. **თავდიდ-ი,** მეტსახელი, ფშ., მაღაროსკარი; შემონახულია გვარში: **თავდიდიშვილი** (ი. მაისურ., 71); **თავდუმა,** მეტსახელი, შემონახულია გვარში: **თავდუმაძე** (ალ. ღლ., 127); **თავზარა,** მეტსახელი,

შემონახულია გვარში: **თავზარაშვილი** (იქვე). **თავსივა, თავსოლო, თავურჩაგ, თავფქვილა, თავყელი, თავშავა** და სხვა.

„ქ. ხოსროხანაშვილის ყმები ქ. სამშვილდეს... **თავითიშვილი შაშუა**, 1721 წ.“ (ვახუშტი, 24). შდრ.: **თავიდაშვილი.**

**თავსუბუქი** (1831 წ.), მეტსახელი **თავმსუბუქი.** შდრ. **თავბერი, თავდიდი, თავსივა, თავფქვილა, თავშავა** (ალ. ღლ., 127);

„თონეთში 1831 წ. **ესტატე თავსუბუქი** ჯვარს იწერს ბერუა დოლისშვილის ასულ მარიამზე. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ. თავმდებნი იყვნენ სასიძოს მხრით გელაძე მამუკა ათუაშვილი, ზაქარია მიზანასშვილი, სასძლოს მხრით თომა მასურასშვილი, ჩერქეზა მანასაშვილი“ (ფ. 489, აღწ. 6, საქ. №121 ბ, ფურ. 37) (თონეთი).

**ᲗᲐᲕᲥᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1756 წ.), მეტსახელი **თავქალა,** გვარში: **თავქალაშვილი.** შდრ. **თავბერა** (თავბერიძე), **თავდიდი** (თავდიდიშვილი), **თავდუმა** (თავდუმაძე), **თავზარა** (თავზარაშვილი), **თავრია,** მეტსახელი, შემონახულია ხუცისშვილის გვარის სახინჯარში: **თავრიაანი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 45); **თავსივა, თავფქვილა,** მეტსახელი, შემონახულია იასეშვილის გვარის სახინჯარში: **თავფქილაანი** (იქვე, 53); **თავყელი,** მეტსახელი, გვარში: **თავყელიშვილი, თავშავა,** მეტსახელი გვარებში: **თავშავაძე, თავშავაშვილი** (ალ. ღლ., 127); ი. მაისურ., 71); **გიორგი თავქალიშვილი,** იხსენიება 1756 წ. ენაგეთში (საქ. სიძვ., I, 95).

ᲗᲐᲗᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 858
ᲗᲐᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1537
ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 200

**ᲗᲐᲗᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ//ᲗᲐᲗᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲗᲐᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **თათრა** (კოლხ., 38, სალხინო, ალ. ღლ., 128); **თათირა** (საქ. სიძვ., II, 370); **თათარა** (ქრონიკ., III, 250). მომდინარეობს სხვა ტომის თათრის სახელწოდებისაგან.; შდრ.: **არაბიძე, ოსიძე, ჩერქეზია.**

გადმოცემით **თათარიშვილების** ადრინდელი გვარი **ქავთარაძე** ყოფილა. ერთ-ერთი ქავთარაძე თათრებს მთიულეთიდან გაუტაცნიათ. დიდი ხნის შემდეგ ტყვეობიდან თავი დაუხსნია და მცხეთაში დასახლებულა. მის ჩამომავლობას ამის გამო თათარაშვილობა მიუღია (ი. მაისურ., 71); თათარაშვილები//თათრიშვილებს უცხოვრიათ სოფ. დიდ დალეთში (გაყოფისას მამულითურთ წილად შეხვედრიან თავად ყაფლან ორბელიანს); „ქ. ხოსროხანიშვილისა კწანისს, 1721 წ.

თათარაშვილი ბერია (ვახუშტი, 24); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო ქ. ლიპებს: **თათრიშვილი ბერუა**" (იქვე, 10)

კუმისიდან დიდ ენაგეთში საცხოვრებლად გადასულა მიხეილ ჯაშიაშვილის სიძე პაშა თათარაშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, აქმე 115, №136, ფურ. 189-220); ენაგეთელ პეტრე თათარაშვილს შეეძინა ვაჟი, რომელსაც სახლი გაუნათლა და მონათლა მღვდელმა მიტროფანე ჭონქაძემ. სახელი უწოდა იოსებ. მიმქმელად იყო თანასოფლელი გიორგი ფარაშვილი (489, 6, 1 ბ, 1822 წ. №27, ფურ. 101); თონეთელ ალავერდა თათრიშვილს (1828 წ.) დაებადა ვაჟი, სახელი ეწოდა ალექსი. მიმქმელად იყო გლახა მჭედლიშვილი (489, აღწ. №6, 57, ფურ. 14); ...იმავე სოფლელ გლეხს გოგია თათარაშვილს (1829 წ.) დაებადა ვაჟი. მონათლა მღვდელმა აბრამა თეთრაძემ, სახელი უწოდა იოვანე. ნათლიად იყო თანასოფლელი როდამ, იოანე მღვდლის ასული (489, აღწ. 6, №76, ფურ. 11); იმავე წელს მოსე თათარაშვილს დაებადა ქალი, სახელი ეწოდა გრიგოლ. ნათლიად იყო თანასოფლელი მოსია ლამაზაშვილი ...იქვე მცხოვრებ ივანე თათარაშვილს დაებადა ქალი, სახელი ეწოდა თეკლე. ნათლიად იყო თანასოფლელი რამაზა მაჩაიძე" (489, №6, 98, 1830 წ. ფურ. 38); კოდელი თავადის, იაკობ ორბელიანის ყმას, იოსებ პეტრეს ძე თათარაშვილს (1832 წ.) დაებადა ვაჟი პეტრე, მონათლა მღვდელმა იაკობ ხუროშვილმა, მიმქმელი იყო თანასოფლელი, თავად სამარაგდო ორბელიანის გლეხი დავით ივანეს ძე სეხნიაშვილი (ფ. 489, აღწ. 6. 150. ფურ. 22); ამავე ძირისაა **თათარაძე, თათარაიძე** (დიდი დალეთი, დიდი ენაგეთი, თონეთი, კოდა, კწანისი, ლიპები).

**ᲗᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1843 წ.), საკ. სახ. **თათია** (ტბეთის მატიანე, 426); **თათა** (კოლხ., 93, ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 127); სახელის კნინობითი ფორმაა **თათო, თათე,. თათიკა, თათუა, თათუკა** და სხვა.

| |
|---|
| ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1532 |
| *თბილისი 418* |
| *საგარეჯო 204* |
| *ქობულეთი 126* |
| ᲗᲐᲛᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ 55 |

**ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1695 წ.), **თამაზ** (ირან.) „ძლიერი ცხენი", „ძლიერი ცხენის პატრონი" (ეტიმოლოგია საეჭვოა) (ზ. ჭუმბ., დედაენა ქრთ., 341); **თამაზ I**, შაჰ-თამაზი (1513-1576 წწ.), ირანის შაჰი სეფიანთა დინასტიისა (1524-76 წწ.), ისმაილ I-ის ვაჟი.

საკ. სახ. **თამაზ** (იხ. თამაზ ბარათასშვილი, გოსტაშაბიშვილი პაპუნას ძე, 1689 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემუ-

ლი ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ პაპუნა ბარათაშვილისადმი (დოკ., I, 67); თამაზ ვაჩნაძე, თამაზ გოსტაბაშვილი, **„ყაფლანიშვილი ბატონი სარდალი თამაზ“** (დოკ., I, 532-533); დავითა, პიპია თამაზაშვილები, 1695-1703 წწ.) აძლევს ქსნის ერისთავსა და დავით მჭედლიძეს (დოკ., I, 96); ვახუშტი თამაზასშვილი, იხსენიება ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (1743 წ.), რომელსაც თამაზა საგინაშვილი აძლევს თავის განაყოფ როსტომ ბეჟანისშვილს (დოკ., I, 316); 1719 წ. მანგლისის ეპისკოპოსმა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა და მისმა ძმამ ივანემ თამაზაშვილს მიჰყიდეს ტერტერაშვილისაგან ადრე ნაყიდი ვენახის დიდი ბაღი მარნიანათ. ეს ბაღი შემდგომში თამაზაშვილმა აჩუქა მანგლისის ეკლესიას (დ. ფურცელძე, Груз. крст. гр-та. გვ. 10); „ქ. ბატონის ტფილელისა 1721 წ. ქ. ღოლოვანს... სეხნია თამაზიშვილი“ (ვახუშტი, 47); „ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს 1721 წ. ...თამაზაშვილი გიუა“ (იქვე, 25); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღაბარისა ქ. ერდოს თამაზაშვილი ბერი, თამაზაშვილი გიორგი“ (იქვე, 55). **ევსტაფი თამაზაშვილი,** მეუღლე ნანუა, ვაჟი გიორგი, ქალიშვილები: **თინათინი, ხამფერა** მოიხსენიებიან 1823 წელს სოფ. ერტისში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 93-98); „ნონია თამაზაშვილი, მეუღლე დარეჯანი, ქალიშვილი ბარბარე“ (იქვე, 99-107) (ბორბალო, დურნუკი, ერდო, ერტისი: კოდა, საღირაშენი, ღოლოვნი, ღორისთავი). **თამაზაშვილი ბევრ თავადური საგვარეულოსაგან იღებს სათავეს ი.ა.).**

ᲗᲐᲜᲒᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1721 წ.), საკ. სახ. **თანგუა, თანგულა** (ათაბ., 277; ალ. ღლ., 128).

ამავე ძირისაა: **თანგიაშვილი** (დოკ., I, 534).

ᲗᲐᲜᲓᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
850
*თელავი 271*
*თბილისი 204*
*სიღნაღი 79*

ᲗᲐᲜᲓᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1721 წ.), საკ. სახ. **თანდილა** (დოკ., I, 46); **თანდილო** (თუშ., ალვანი, ალ. ღლ., 128); **თანდილა** ქარ.) ავთანდილის შემოკლებული ფორმა უნდ იყოს; საკუთარ სახელად გვხვდება მხოლოდ საქართველოში. აქედანაა გვარი **თანდილავა** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 342); „ქ. საგინაშვილის ზურაბიშვილის ყმა ქ. ირდასუბანს: ...**თანდილაშვილი მაყა** (ვახუშტი, 154); „ქ. ბატონიშვილის ვახუშტისა 1721 წ. ქ. მონასტერს: **თანდილაშვილი ივანე**“ (ვახუშტ 22); ვარდისუბანში (იგივე შავსაყდარი) მცხ. ივანე გიორგის ძე თანდილაშვილი

1874 წ. ნათლავს შვილს გიორგის. მიმქმელი ყოფილა ვარდისუბნელი ზაქარია გიორგის ძე ჩომახაშვილი (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1).

ამავე ძირისაა: **თანდაშვილი** (შდრ. საკ. სახ. **თანდა. თანდო**), **თანდელაშვილი, თანდილაური, თანთიში (–თანდიში)**, სარფი (ხელვაჩაურის რ); ჭანური გაფორმებით: **თანთ+იშ-ი** (ი. მაისურ., 77) (ვარდისუბანი, ირდისუბანი, მონასტერი).

**თანდურყულაშვილი** (1721 წ.), სავარ. რთული შედგ. სახ. **თანდულ+ყული (ი.ა.)=თანდურყულა.**

„ქ. იარალაშვილის როსებისა ქ. ლიყურეთს 1721 წ. **თანდურყულაშვილი ბერი**" (ვახუშტი, 63).

შდრ. (თურქ.) **თანდირ, თანდურ, „თონე", ყულ „მონა"** (ლიყურეთი).

| |
|---|
| თარხნიშვილი 553 |
| *თბილისი 234* |
| *გურჯაანი 61* |
| *ოზურგეთი 48* |
| თარხანოვი 74 |

**თარხანაშვილი//თარხნიშვილი** (1721 წ.), **თარხან** (თურქულ-მონღოლური) „თავისუფალი", განთავისუფლებული ყმა. **თარხანი** სხვათა ენაა, თავისუფალს ჰქვიან (საბა, 137). საკ. სახ. **თარხან**. ბატონი თარხანი იხსენიება (1702 წ.) ვენახის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც გოგია და სხვა შაქარასშვილები აძლევენ ზაზა და სხვა ჩივაძეებს (დოკ., I, 118); ასლან თარხანი, იხსენიება 1711 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (711 წ.), რომელსაც ქაიხოსრო ვაჩნაძე აძლევს პაატა ჯანდიერისშვილს (დოკ., I, 384); **„თარხნიშვილები,** ძველად **ჭანკაანად** წოდებულნი, დაღესტნის მხარის თავადები იყვნენ. 767 წლის შემდეგ მოვიდნენ ქართლში, საქართველოს მეფემ უბოძა მათ თეძმის ხეობა და კლდეკარის მოხელეობა. გიორგი მეფის დროს (1503 წ.) ებოძათ მოურავობა და ხარისხით მესამე თავადობა. 1622 წ. შაჰ-აბასმა დაუმტკიცა გიორგი სააკაძეს და უბოძა თარხანობა" (რომელი არს თათრულად თავისუფლება) და მუნიდგან იწოდებიან თავად თარხნისშვილებად, რომელნიცა აწ მოსახლეობენ გაღმა მხარს ახალქალაქსა ადგილსა შინა: **1) ბეციას შვილები. 2) ზაზას შვილები, 3) გლახას შვილები, 4) პატარა ბეციას შვილები** და სხვანი. სააკაძენი სახლობენ აზნაურად ტანის ხეობასა ზედა რაოდენსამე სახლად (საანდაზო ლექსები, 26).

**თარხნიშვილები,** სათავადო სახლი ქართლის სამეფოში. დამაარსებელია გ. სააკაძის შვილი **იორამი,** რომელსაც როსტომ მეფემ XVII

საუკუნის 30-იან წლების ბოლოს სააკაძეთა საგვარეულო სამფლობელო აღუდგინა, სხვა მამულებიც უბოძა და თარხნობა დაუმკვიდრა. ამის შემდეგ **იორამის ჩამომავლებს თარხნიშვილები ეწოდათ.** ისტორიულ საბუთებში ისინი ზოგჯერ **მოურავიშვილებადაც** იხსენიებიან. **აზნაურ სააკაძეთა გვარის ამგვარი შეცვლა მათ გათავადების ნიშნავდა,** თარხნიშვილების სათავადო მოიცავდა თეძმის ახალქალაქსა და მის მიდამოებს (ქსე, ტ. 590); თარხანაშვილები, ქვემობოლნელები, ბირთველ თუმანიშვილების ყმები – 1721 წ თუმანიშვილების საკომლოების ნუსხა, ამოწერილი 1817 წელს ვახტანგ VI-ის დავთრიდან (საქ. მუზ., №3122 Hd; დოკ., I, 124); ქაიხოსრო, ბეჟან, გიორგი, დავით, ზეშთელ, ზეშთერ, მამუკა, მზექაბუკ, ზაზა, ლუარსაბ, მამუკა, ზურაბ თარხნიშვილებს" (1721 წ.) ეკუთვნოდათ ყმები: ლისში, ქვემო ნახშირის გორას და ზემო ოძისს (ვახუშტი, 38-39).

**თარხანაშვილი//თარხნიშვილი,** შდრ. **აზატაშვილი** (კლდეისი). **აზად** (იგივეა თავისუფალს ნიშნავს).

**ТАქТАქИშВИЛИ** (1627 წ.), **თაქთაქი** (თურქ.) „მარტოდმარტო". **თაქთაქი** მეტსახელი გვარებში: **თაქთაქიძე, თაქთაქიშვილი.** თ. ძველი ფეოდალური საგვარეულო სამცხეში. ვახუშტი ბაგრატიონი მთავართა და წარჩინებულთა შორის მოიხსენიებს. „ხოლო კუალად მესხი **ამილახორისშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი** და **თაქთაქისშვილი** შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ" (ქართლ. ცხ., IV, 34); **„თაქთაქიშვილები პირველად სამცხის თავადები იყვნენ.** მათმა წინაპარმა მაჰმადიანობა მიიღო და **თაქ-ალა** უწოდეს. თეიმურაზ მეფის დროს (1627 წ.) მართლმადიდებლობა მიიღეს და ნაწილი ცხინვალთან დასახლდა. იქიდან მოყოლებული მომდინარეობს გვარი თაქთაქიშვილი, **თავადად** მიღებულნი, ამათნი სახლნი არიან: **1) ელიზბარის შვილები, ივანეს შვილები** და სხვანი" (საანდაზო ლექსები, 20); **არდაშელ თაქთაქიშვილი** იხსენიება (1738 წ.) ყმის გირავნობის წიგნში, რომელსაც არადაშელ თაქთაქისშვილი აძლევს იორამ ფავლენიშვილს (დოკ., V, 279); 1873 წ. აღწერით, დიდ თონეთში მოიხსენიებიან ანანია, ბესარიონ, აბრამ, გრიგოლ, სოლომონ თაქთაქიშვილები (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №1237, აღწ. №819, ფურც. 175-209); ქართლის თავადი ელიზბარ თაქთაქიშვილი (1765 წ.) ცნობილი როგორც ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულების მონაწილე.

**ᲗᲐᲤᲣᲜᲙᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1886 წ.) სავარ. რთული შედგენილობისაა და მიღებულია საკ. სახ. **თაფუ** (სვან., 1, მესტია, ალ. ღლ., 129), საკ. სახ. **კარა** (კოლხ., 81, რუჩხი, იქვე, 139).

**ᲗᲐᲥᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1882 წ.), საკ. სახ. **თაქო** (ალ. ღლ., 274) აქედან კნინობითი ფორმა თაქლა. **თაქუანთ სირანა** (სოფ. მუხათი), **თაქლაანი** კოდელ სეხნიაშვილთა სახინჯარია.

**სვიმონ გიორგის ძე თაქლაშვილი** მოიხსენიება სოფ. კოდაში 1882 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

**იაგორ და მიხეილ თაფუნკარაშვილები** მოიხსენიებიან დიდ ენაგეთს 1886 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, 1609, ფურც. 51-62).

| | |
|---|---|
| ᲗᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 0 |
| ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 197 |
| ᲗᲐᲧᲐᲘᲫᲔ | 23 |
| ᲗᲐᲧᲐᲫᲔ | 438 |
| ᲗᲐᲧᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 305 |

**ᲗᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1523 წ.), საკ. სახ. **თაყა** (ასე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაყაო (ქართ. ანდაზა). **თაყა** 1721 წ. აღწ. შერმადინიშვილის უყმო აზნ. გულაურში (ისს. ლორთქ., ნაწ. III და IV, § 78); **თაყა** ერქვა ერთ-ერთ ასანბეგიშვილს, ბარათაშვილს, ფალავანხოსროშვილს (ბარათაშვილები), თუმანიშვილს, ოღუზაშვილს, სააკაძეს, ყორღანაშვილს (იქვე, 499), ქავთარ ბარათაშვილს ჰყავდა შვილები გუგუნა, გერმანოზ, თაყა, ქუმსი, გოსტასაბი, ფალავან ხოსრო. 1523 წელს ძმები იყოფენ ყმებსა და სოფლებს და თაყა სათავეს უდებს **თაყაშვილების** გვარს. ცნობილი არიან: დემეტრე **თაყაშვილი,** 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა ალგეთში, 1725 წელს ყიდის საკეცეს. 1732 წელს სესხულობს 21/2 თუმანს და აგირავებს ნიაწარს და ქვათეთრს. 1732 წ-მდე გაუყიდია პატავნის სასახლე (ისს. ლორთქ., დასახ. ნაშრ., 386).

**ქაიხოსრო თაყაშვილი,** 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა ალგეთში, ყიდის ბუქლულეთს, დავაში წაავო ელფია. ყიდის პატივანის სამკვიდრო მამულს (იქვე, § 71-524); ვახტანგ თაყაშვილი 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ალგეთში (იქვე, § 132, 386).

თაყა აქვს ფუძედ გვარებს: **თაყაიშვილი, თაყაძე, თაყფიაშვილი,** (ერტისი).

**ᲗᲐᲧᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1829 წ.), **თაყა,** ქართული სახელია, მაგრამ გაურკვეველი მნიშვნელობისა. ქართულიდან სომხურშიც არის შესული. მისგან მოდის გვარები: **თაყაიშვილი,** (ბარათაშვილების შტოვარი), **თაყაშვილი, თაყაძე, თაყფიაშვილი, ტაკნიაშვილი** (რუსულის ზეგავლენით).

„თონეთში მცხოვრებ საბა **თაჭიაშვილს** დაებადა ვაჟი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ, სახელად ეწოდა სოლომონ. ნათლიად იყო თონეთს მცხოვრები თევდორე გოგიაშვილი" (489. აღწ. 6, №76, ფურ. 12, 1829 წ.); „დიდ თონეთში 1843 წ. აღწერით მოიხსენიებიან: ივანე თაჭიაშვილი, ძმები: გიორგი, აბრამი; შვილი ზაქრო; დისშვილი სოლომონი" (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 310-322). თაჭიაშვილები ცხოვრობენ გომარეთში.

**თაყუნაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **თაყა** (დოკ., I, 39); **თაყონა** (დოკ., I, 292); **თაყო,** გვარში: **თაყოშვილი//თაყოაშვილი** (მასალ., II, 65; ალ. ღლ., 129); აქედანვე – **თაყუნა** (ი.ა.). „ქ. ჩხეიძის სეხნიასი ღორისთავს, 1721 წ. ... თაყუნაშვილი იესე" (ვახუშტი, 37).

თეგაძე
თეთრიწყარო 52
თბილისი 40
გორი 3

**თეგაძე//თეგაძისშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **თეგ-ი** (პ. ინგორ., სვან., 2, 127); თეგა, მეტსახელი გვარში: თეგაშვილი; თეგო, მეტსახელი (კოლექცია, 2; ალ. ღლ., 129).

ქვემო ქართლში თეგაძე მოიხსენიება 1721 წელს. ვახუშტით საამისა და ედიშერის ყმად სოფ. ხოზეთს მოიხსენიება **სეხნია თეგაძე** (ვახუშტი, 119); იქვე, თომა კანჭაშვილის ყმა თოფილა თეგაძე (119); ვარდისუბანში (დღევ. შავსაყდარი) 1823 წელს მოიხსენიებიან: სულხან პეტრეს ძე თეგაძე, მეუღლე მისი ბარბარე, ვაჟები: კონია, გიორგი, იოსები, ქალიშვილი ნინო; თევდორე თეგაძე, მეუღლე ელენე, ვაჟიშვილები: ლაზარე, სოლომონი, ქალიშვილი მართა (ფ. 254, 1, 802, ფურ. 24-26); 1843 წლის აღწერით ვარდისუბანში აღინიშნებიან: კონია თეგაძე შვილებით – ნიკოლოზ, პეტრე ლუარსაბ, გიორგი,სულხან, მიხეილ თეგაძეები, თევდორე და მისი შვილები: ლაზარე და სოლომონი (ფ. 254, 1, 2-43, ფურ. 267); „ნიკოლოზ ანტონის ძე თეგაძეს (1872 წ.) დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მოუნათლავს ქალიშვილი მარიამი, მიმქმელი იყო მართა დიმიტრის ასული" (ფ. 489,. მეტრ. წიგ., აღწ. 9 თ"წ.1); სოფ. ვარდისუბანში 1875 წელს მოიხსენიება **სულხან თეგაძისშვილი,** რომელიც ქალიშვილს ათხოვებს კუმისში მცხოვრებ ზაქარია დავითის ძე კახელაშვილზე. თავმდებად (მეჯვარეებად) ყოფილან: იაკობ ლაზარეს ძე თეგაძისშვილი, დავით გიორგის ძე თეგაძისშვილი და გიორგი დავითის ძე ფეიქრიშვილი (ფ. 489. აღწ. 9, №6, თ/წ. 1); ვარდისუბანში მცხოვრები დიმიტრი კონიას ძე თეგაძე

დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს შვილს საბას (ფ. 489, აღწ. 9, 1884 წ. თ''წ. 1); გადმოცემით (მთხრ. **თემურ თეგაძე**, 36 წ.), თეგაძეები თელავის საპრეფექტოს სოფ. იყალთოდან არიან გადმოსული. მათი გვარი **შიმშანიშვილი** ყოფილა. ამ გვარისანი დღესაც სახლობენ იყალთოში და ერთმანეთში. აქვთ მიმოსვლა. იყალთოს თეთრი გიორგის სალოცავში დღემდე დაიარებიან შავსაყდრელი თეგაძეები.

კონიას გამო თეგაძეების (ერთ შტოს) კონიანთს ეძახიან.

**შენიშვნა:** დასავლეთ საქართველოდან თუ მთიულეთიდან ქართლში გადმოსახლებული გლეხები გვარს ხშირად შვილს უმატებდნენ. მაგ., ცქრიალაძე ეწერებოდა ცქრალაძეშვილად, ზარიძე — ზარიძეშვილად, გეორგაძე — გერგაძეშვილად, ბერიძე — ბერიძეშვილად, ბექაური — ბექაურიშვილად, აფციაური — აფციაურიშვილად და ა.შ.

ამავე ძირისაა: **თეგაშვილი** (ვარდისუბანი, შავსაყდარი, ხოზეთი)

თეგეთაშვილი 130
*თბილისი 53*
*გარდაბანი 33*
*თეთრიწყარო 20*
შდრ. თეგეტაშვილი 182

**თეგეთაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. თეგი-ი, მეტსახელი **თეგა, თეგო, თეგათა. ამავე ძირისაა** **თეგაძე, თეგაშვილი.**

სოფ. წვერში დროებით ვალდებულ გლეხებად აღნიშნული არიან ელიზბარ, გაბრიელ, პარში, გიორგი, საბა, ვანო **თეგეთაშვილები** (სცსსა, ფ. 254, №3, №3, 131, 1873 წ. საქ. №355. ფ. 184-190).

თედიაშვილი 1580
*თბილისი 426*
*ბორჯომი 286*
*საგარეჯო 264*

**თეგეთაშვილი** მოიხსენიება 1817 წ. ზრბითშიც (ზრბითი, ორბეთი, წვერი).

„ქ. თაყაშვილის გორისა ქ. ზემო ოძის 1721 წ, თედიაშვილი გულია" (ვახუშტი, 77); კოდაში მცხ. პაპუნა თედიაშვილი 1826 წ. ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს შვილს ალექსის. მიმქმელი ყოფილა ამავე სოფლელი ბალდასარა მლებრიშვილი (489, აღწ. 9, №1).

თედიაშვილი 1580
*თბილისი 426*
*ბორჯომი 286*
*საგარეჯო 264*

**თედიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახელი **თედია** (საქ. სიძვ., II, 165). შდრ. თედორე, თევდორე.

თევდორაშვილი 1703
*გურჯაანი 552*
*თბილისი 474*
*საგარეჯო 163*
თედორაშვილი 134

**თევდორაშვილი//თედორაშვილი** (1721 წ.), **თედორე** (ბერძ.) „ღვთის მომნიჭებელი", „ღვთის ნაჩუქარი".

თეოს ბერძნულად ნიშნავს „ღმერთს", **დორონ** – „საჩუქარს". აქედანაა მიღებული ძველი ფორმა – **თეოდორე**, მისი რედუქციით კი – **თევდორე** და ბოლოს – **თედორე**. იმავე სიტყვებს შებრუნებული რიგით შეიცავს სახელი **დოროთე**. როგორც ერთის, ისე მეორისაგან ნაწარმოებია ქალის სახელებიც: **თეოდორა, დოროთა**. ამ სახელებთან დაკავშირებით მოგვაგონდება აგრეთვე თეო-ს შემცველი მრავალი სხვა სახელი: **თეა, თეო** („ღვთაება"), **თეკლა, თეკლე** („ღვთის დიდება"), **საეოდოსია, ფეოდოსია** („ღვთისადმი შეწირული"), **თეოდულა** („ღვთის მონა"), **თეოლინე** („ღვთის მოყვარე"), **თეფილაქტე** („ღვთის მცველი") და ა.შ.

**თევდორე**-საგან ნაწარმოებია გვარები: **თევდორაძე, თევდორაშვილი.** ამ სახელის კნინობითი ფორმაა **თედო, თედუა.** საქართველოს ისტორიული წარსულიდან კარგად არის ცნობილი თავდადებული მღვდელი **თევდორე.** მან შემოსეულ თურქთა ლაშქარს გზა აუბნია, რისთვისაც ხმლით აკუწეს, მაგრამ ქვეყანა კი იხსნა განსაცდელისაგან (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 342).

„ქ. აბაშიშვილის დავითის ყმები ქ. ფარცხისს: **თევდორაშვილი თამაზა,** 1721 წ. (ვახუშტი, 116); „ქ. ბურვილის თევდორაშვილი ოსიყმე, თევდორაშვილი დათუნა, 1721 წ." (ვახუშტი, 170); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღაბარისა ქ. ერწოს 1721 წ. თევდორაშვილი თამაზა" (იქვე, 54); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. ლიყურეთს 1721 წ. თევდორაშვილი გიორგი" (იქვე, 58); მარაბდაში მცხოვრებმა იოანე თევდორაშვილმა 1818 წელს იქორწინა ლოუბნელ მარიამზე. თავდებად იყვნენ: ბერა ოძელაშვილი, გიორგი ბახუტაშვილი, გოგია სულხანაშვილი (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, ფურ. 149); დიმიტრი ბარათოვის ყმად დიდ ენაგეთს 1823 წ. აღწერაში მოიხსენიება დიმიტრი თედორაშვილი, მეუღლე ქეთევანი, ვაჟები თევდორე, სოსია, სიმონი, დათია, ქალიშვილი თინათინი (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18); სოფელ წინწყაროში მცხოვრები **თევდორაშვილები** 1873 წ. აღწერით ჯერ **თევდოროღლებად,** ხოლო 1886 წელს **ფეოდოროვებად** მონათლეს, ეროვნებითაც ბერძნად ჩაწერეს (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 246-259; ფ. 254, №1, საქ, №356. ფურც. 191-240).

შდრ. (რუს.) **Божидар**. ამ სიტყვის შებრუნებული ფორმაა დოროთე (Дарбож).

თეზელაშვილი 299
თეზელიშვილი 105
თეზიაშვილი 75

**თეზელაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **თეზი** (ხაიში, ა. გელოვანი); **თეზია** (უწერა, ონის რ.); **თეზო** (სვან., 1, მესტია; ალ. ღლ., 130); მისი კნინობითი ფორმაა **თეზიკო, თეზელა.**

**იასე თეზელაშვილი** 1873 წლის აღწერაში სოფ. წვერში მოხსენიებულია როგორც დროებით ვალდებული გლეხი (სცსსა, ფ. 254, №3, 131, საქმე №355, ფ. 184-190); 1864 წ. დუშეთის მაზრიდან სოფ. ღვევში გადმოდის **გიორგი თეზელაშვილი** (სცსა, ფ. 254, №3, 1613, ფ. 23-40, 1886 წ.) თეზი სოფელია კასპის რაიონში, ხოლო **თეზამი** მცხეთის საპრეფექტოში. გვარიც სადაურობას უნდა აღნიშნავდეს).

შდრ. თურქ. **თეზელ** – „ჩქარა გააკეთე". (თეზოლ).

თეთრაშვილი 521
*მცხეთა 204*
*თბილისი 139*
*გარდაბანი 26*

**თეთრაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **თეთრა, თეთრაძე თეთრ,** 1784 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული გაბრიელ მარინდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძესადმი (საქ. მუზ. ფ. Hd №2443; დოკ., II, 130); **დავით, დემეტრე, ივანე, მახარებელ, შიო თეთრაძეები** (იქვე, დოკ., 130); 1874 წელს მოიხსენიება იოსებ თეთრაძე **თეთრასშვილი** (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1).

საინტერესოა ფერებზე აგებული გვარების მთელი სიმფონია, რომელიც მკვეთრად ვლინდება ქართულსა და რიგ სხვა ენებში. ქართველებთან თეთრაძე, თეთრაშვილი, თეთრაული, თეთრუაშვილი. რუს. ბელიაევი, ბელოვი; ინგ. აით; ქართ. შავიძე, შავიშვილი; რუს. ჩერნიხ, ჩერნოვი, ჩერნიევი, ჩერნიშევსკი; ინგ. ბლეექ; გერმ. შვარც; ქართ. წითლიძე, წითლანაძე, წითელაშვილი; რუს. კრასნოვი (სხვა ენებში წითელზე გვარი არაა), ქართ. რუხაძე; ინგლ. გრიინ (მწვანე); გერმ. გრიუნ; ინგლ. ბრაუნ (ყავისფერი). გრეი „რუხი", „ნაცრისფერი", „ჭაღარა", შდრ. ოსკარ უაილდის ცნობილი ნაწარმოები „დორიან გრეი", რუს. Серов, Седих; ქართ. **ყვითელაშვილი.**

ამავე ძირისაა: თეთრაძე, თეთროშვილი, თეთრუაშვილი, თეთრუკაშვილი, თეთრაქალაშვილი, თეთრაული. (კოდა, მარაბდა).

თეთრაძე 1431
*თბილისი 837*
*დმანისი 156*
*ბოლნისი 85*

**თეთრაძე** (1781 წ.), საკ. სახ. **თეთრა** (ჰქვია როგორც მამაკაცს, ისე ქალს, სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 275); **თეთრო** (გ. ლეონ., სახელები);

თეთრუა (ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, 137; ფშ., მაღაროსკარი); თეთრუა-ი (სვან., 8, მულახი, ალ. ღლ., 275).

**თეთრაძე** იხსენიება (1781 წ.) შედგენილ შეკრებულობის სამართალში ნიკოლოზ გერმანოზიშვილისა და **ლომიტაშვილ-ბერძენაშვილის** საქმეზე (დოკ., II, 115); დავით, დემეტრე, თეთრა, ივანე, მახარებელ, შიო თეთრაძეები იხსენიებიან (1784 წ.) გაბრიელ მარინდაშვილის მიერ **თეთრა თეთრაძისადმი** მიცემულ ნასყიდობის წიგნში (საქ. მუზ. ფ. Hd №2443; დოკ., II, 130); „ქ. აბაშიშვილის დავითისა ქ. ოშეთს, 1721 წ. გოგია თეთრაძე" (ვახუშტი, 117).

**პატარა თონეთელმა** ჩინოვნიკის შვილმა ლეონ დიმიტრის ძე თეთრაძემ 1885 წ. იქორწინა ტბისში მცხოვრებ თავადის, შერმაზან ჩერქეზოვის ასულ დარიაზე. სასიძოს მხრიდან თავდებნი ყოფილან აზნაური ბეჟან როსტომის ძე საგინოვი, აზნაური დიმიტრი როსტომის მხრით, აზნაური ნიკოლოზ ზურაბის ძე საგინოვი, გლეხები: ივანე ანდრიას ძე ბაიდარაშვილი და გიორგი ივანეს ძე სუხიტაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1885); სოფელ კოდაში 1874 წელს მოიხსენიება იოსებ თეთრაძე-თეთრასშვილი (ფ. 489. აღწ. 9. თ/წ. 1); თეთრაძეთა შტო-გვარისანი არიან კოდელი **მინასაშვილ-მინაშვილები**.

ამავე ძირისაა: თეთრაული, თეთროშვილი, თეთრუაშვილი, თეთრუკელაშვილი, თეთრაქალაშვილი. შდრ. თეთრაშვილი, მღვდელი ილია თეთრაძე (პატარა თონეთი, ოშეთი, ორბეთი, დიდი ენაგეთი).

| თეთრუაშვილი | 639 |
|---|---|
| *თბილისი* | *237* |
| *დუშეთი* | *166* |
| *ქარელი* | *86* |

**თეთრუაშვილი//ბეგთათაშვილი** (XVI ს.). საკ. სახ. **თეთრა** (მამაკაცის), **თეთრუა** (ქალის); **თეთრუა** (ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, 137); **თეთრუა** (ფშ., მაღაროსკარი); **თეთრუა-ი** (სვან.6 8. მულახი; ალ. ღლ., 275). „XVII-XVIII სს. გადმოსახლებულან მთიელები არანისში. ძირითადად ხევსურები არიან არანისეული თეთრუაშვილები, რომელთა ძირ-გვარი არის ბუჩუკური, თუმცა მათი წინაპარი ბუჩუკურები ჯერ მთიულეთში გადმოსახლებულან" (რ. თოფჩიშვილი, ალმ. საქ. მთიულთა მიგრ., 58); **თეთრუაშვილები, მართლმადიდებლები, ქართველები მოიხსენიებიან დუშეთის რაიონის სოფელ არანის-ში 1820 წლის დოკუმენტებში.** „არანისს მცხოვრებს თეთრუაშვილს ბერს დაებადა ვაჟი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა დიმიტრი თეთრუაშვილმა და სახელი ეწოდა სვიმონ. ნათლია... იყო

იმავ სოფლის მცხოვრები ოსყოფილი ნინია; გრიგოლ თეთრუაშვილს დაებადა ქალი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა დიმიტრი თეთრუაშვილმა და სახელი ეწოდა ნინა; მღვდელ დიმიტრი თეთრუაშვილს ამავე წელს გაუნათლავს, **თითიაშვილის, უთურგაშვილის, ჭინჭარაშვილის, ლომაშვილის, მიძმანაშვილის,** ჩინთს მცხოვრები **ბართლომე ქისტაურის, გიორგი მანგოშვილის** ბავშვები: ნინა, ბარბარე, ელისაბედ, ქეთევან, იოსებ, ბარბარე (მეორე), ნინა (მეორე)" (სცსსა, მეტრიკ წიგ, ფ. 489. აღწ. №6, №5, 1820 წ. ფურც. 257); გლახა თეთრუაშვილი, მეუღლე მარიამი, შვილები გიუა, არშაკა, ქალიშვილ ბარბარე მოიხსენიებიან სოფ. ხატის თელეთში (დღევ. ზემო თელეთი) 1823 წლის აღწერაში (სცსსა. ფ. 254. აღწ. №1, 803, ფურ. 25); მემამულე ყორღანაშვილის მამულში 1823 წელს დიდ ენაგეთს მოიხსენიება დავით თეთრუაშვილი, იგივე ბეგთათაშვილი, მეუღლე სარა, შვილები: გლახა, გიორგი, მაია (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18); გიორგი დავითის ძე თეთრუაშვილი, შვილი დათია მოიხსენიება დიდ ენაგეთს 1873 წელს (სცსსპ, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); დიდ ენაგეთში 1873 წ. კამერალური აღწერის საოჯახო სიაში მოიხსენიება ზაქარია ელიზბარის ძე თეთრუაშვილი, შვილები: მაია, იოსები, ძმები; ზაქარია, იაგორა, თათო თეთრუაშვილები, იაგორის შვილები ილიკო, ივანე მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე ქართველები (ფ. 254, №3, 133, ფურ. 200).

ამავე ძირისაა: **თეთრაძე, თეთრაული, თეთროშვილი, თეთროაშვილი, თეთრუკელაშვილი, თეთრაქალაშვილი** (ი. მასიურ., 74).

შდრ.; **ბეგთათაშვილი**. (დიდი ენაგეთი, ჯორჯიაშვილი, კოდა).

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 35
*თბილისი 23*
*გარდაბანი 3*
*დედოფლისწყარო 2*
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲝᲕᲘ 176

**ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.1, **თეიმურაზ** (ირან.) „სხეულით ძლიერი". როგორც ფიქრობენ, მისი უძველესი ფორმაა ინდური თაჰმაურუპა („ძლიერი მელა"), მაგრამ შემდეგ ხელახლა იქნა გააზრიანებული და სახეშეცვლილი ირანულში. ეს სახელი ჰქვია „შაჰნამეს" ერთ-ერთ გმირს, ირანის ლეგენდარულ მეფეს. საქართველოში ამ სახელით ცნობილია ორი მეფე – პოეტი **თეიმურაზ I, თეიმურაზ II** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 343).

თეიმურაზის მოფერებითი ფორმებია: **თემო, თემუკა, თემუკო, თემიკო.**

„ვაშლოვანს დემეტრე ეშიკალაბაშის ყმა **თეიმურაზიშვილი** ფარსადანა, **თეიმურაზიშვილი** მიხეილი, 1781 წ." (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 166). მოგვიანებით რუსული გაფორმებით **თეიმურაზოვი** (ვაშლოვანი). თეიმურაზოვები იგივე ქართველი **თეიმურაზიშვილები** არიან.

ᲗᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 714
*თბილისი 206*
*გორი 116*
*ახმეტა 75*

ᲗᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1873 წ.), საკ. სახ. **თვალია**, „,,..**თვალია** გაბოძე, თვალიაშვილი ქიტესა, გაბრიელი, დემეტრე, 1800 წ." (დოკ., II, 205); „იაკობ თვალიაშვილი, 1791 წლის დამლევს, პირობის წიგნი, გაცემული მღვდელ კოკარაშვილის მიერ როსტომ და გიორგი დავითაშვილებისადმი" (დოკ., II, 161).

**ვანო თვალიაშვილი,** მეუღლე **მაია,** ვაჟები: **გიორგი, სოლომონი, სიმონი,** ქალიშვილი **ელისაბედი;** ძმა **სტეფანე თვალიაშვილი,** მეუღლე **თინათინი,** ქალიშვილი **ქეთევანი,** უმცროსი ძმა **შიო თვალიაშვილი,** დედა **ანახანუმა** მოიხსენიებიან 1823 წელს. ბორბალოს (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83); „ბოგვში მცხოვრები **ახუა თვალიაშვილის** ცოლი მოუკვდა და აკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ" (489, 6, №31, №25).

ამავე ძირისაა: **თვალაძე, თვალაშვილი, თვალაბეიშვილი, თვალავაძე, თვალთვაძე, თვალოძე.** (ბოგვი, ბორბალო, კოდა).

ᲗᲕᲐᲣᲠᲘ 1841
*თბილისი 852*
*გორი 355*
*კასპი 209*

ᲗᲕᲐᲣᲠᲘ // **დოლენჯაშვილი** //**ჯაჯანაშვილი** (1873 წ.) მთიულეთი (–თვაური); თვაური მოხსენიებულია 1250 წ. სიგელში: ბასილი თვაური (თ. ჟორდ., ისტ. საბ. შიომღვ., 61); **თვაურები** სოფელია კასპის რაიონში.

ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 231
*გურჯაანი 173*
*თბილისი 35*
*კასპი 6*

ღვევის სასოფლო საზოგადოების სოფ. ბევრეთში 1873 და 1886 წწ. აღწერაში მოიხსენიებიან **ზაქარია თვაური** (იგივე **დოლენჯაშვილი**). გიორგი და ივანე თვაურები (იგივე დოლენჯაშვილები). ეფრემ თვაური (იგივე დოლინჯაშვილი), დიმიტრი თვაური (იგივე ჯაჯანაშვილი), დავით და იაკობ თვაურები (იგივე ჯაჯანაშვილები); (სცსსა, ფ. 254, 3, 1609. ფურ. 118-132); შდრ. დოლენჯიშვილი, ჯაჯანაშვილი (წყრულეთი, ღვევი).

ᲗᲘᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ 957
*თბილისი 380*
*გარდაბანი 93*
*ახმეტა 77*

ᲗᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ //ᲗᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲗᲘᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ (1843 წ.), საკ. სახ. თებ-ი (პ. ინგორ., სვან.,

2, 127); **თეგა**, მეტსახელი გვარში: **თეგაშვილი** (ალ. ღლ., 129); **თეგო** (მეტსახელი, კოლექც. 2, ალ. ღლ., 129). 1843 წ. აღწერით ბოგვში მოიხსენიება **მოსე თიგაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №1, 1274. ფ. 142-148); გოლთეთელი **ნიკოლოზ ივანეს ძე თიგიშვილი**, შვილები ალექსანდრე, გრიგორი, მიხეილი მოიხსენიებიან დიდ ენაგეთში 1873 წელს (სცსსა, ფ. 254. №3. საქმე 115, №136, ფურ. 189-220); ენაგეთში მცხოვრებ სვიმონ ივანეს ძე კიკოლაშვილის შვილის მიმქმელად მოიხსენიება ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თიგიშვილი (სცსსა, ფ. 489. აღწ. 9. თეთრი წყარო 1); იგივე 1881 წ. შვილს უნათლავს გოლთეთელ გიორგი პავლეს ძე ყაზიშვილის (იქვე).

| | |
|---|---|
| თორთლაძე | 413 |
| *თერჯოლა* | *130* |
| *ქუთაისი* | *127* |
| *თბილისი* | *68* |

**თოთლაძე, თორთლაძე, თორთლა**, მეტსახელი გვარში: **თორთლაძე** (ალ. ღლ., 132).

ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს.

**თომაძე//თომიაშვილი//თომაური** (1250 წ.), **თომა** (უცხ.) უფსკლური, გინა მარჩბივი. „თომა მოციქული, მარჩბივი, გალილეველი იყო. ქრისტე იქადაგა სპარსეთს, მიდიას, ფერსიას, ირკანიას, ბაქთრიას და მერე ინდოეთს წავიდა და მუნ მეფის ბრძანებით კალმინე ქალაქს ისრითა მოკლა“ (საბა, 141); **თომა** (ძვ. ებრ.) „მარჩბივი“ ანუ „ტყუპის ცალი“ (ტყუპთაგან ერთ-ერთი), აქედანაა გვარები: **თომაძე, თომაშვილი** (ზ. ჭუმბურ., 343); შდრ. **თომა აკვინელი** (1225 ან 1226 წწ. სამხრეთ იტალია), **თომა არწრუნი,** X ს. სომეხი ისტორიკოსი, ჩამომავლობით სომხეთის ცნობილი ნახარართა (მსხვილ ფეოდალთა) არწრუნთა გვარიდან, **თომა მაგისტროსი,** ბიზანტიელი ფილოლოგი. **თომა მეწოფეცი,** XV ს. სომეხი ისტორიკოსი; **თომა ნეტარი,** იერუსალიმელი პატრიარქი, 934 წ. (ქრონიკ. I, 88); **თომა ახალშენაშვილი** (დოკ., I, 411); თომა ბარათაშვილი (იქვე, 252); თომაძეთა ადრინდელი გვარი ყოფილა **თომაური**. შიო მღვიმის სიგელში, №38 (1250-1260 წწ.) აღნიშნულია: („...საკურთხეველისა) სახლი დაშლილი იყო. აღარ იყო და შენ ზოსიმეს გამზრდელსა იესეს ერთნი ნაშვილებნი, სახლნი და ერთნი მამულნი ეკლესიის ქუე (sic) დაუსხენით და მისად სანაცვლოდ თომაურნი სახლნი მოგცენით“ (ქრონიკ., II, 150).

| | |
|---|---|
| თომაძე | 400 |
| *თბილისი* | *166* |
| *ამბროლაური* | *93* |
| *რუსთავი* | *10* |
| თომიაშვილი | 20-ზე ნაკლებია |

**თომაძეები** ასურეთში ამბროლაურის რაიონის სოფ. გორი-დან 1941 წელს ჩამოსახლდნენ.

**თომიაშვილი** (1523 წ.), **თომა** (ძვ. ებრ.) „მარჩბივი" ანუ „ტყუპის ცალი" („ტყუპთაგან ერთ-ერთი"). **თომა ნეტარი,** 934 წ. (ქრონიკ., I, 88).

საკ. სახ. **თომა** (ბარათაშვილი) 1736 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იესე სოლაღაშვილის მიერ ქაიხოსრო ორბელისშვილისადმი (დოკ., I, 252); თომა მეითრისშვილი, 1781 წ. თავდახსნილობის წიგნი, მიცემული პაატა მეითრისშვილის მიერ მანველა სანველაშვილისადმი (დოკ., II, 119); მეფე დავით X-ის განჩინებით ბარათაშვილთა გაყრისას (1523 წ.) გერმანოზს, მის ძმებს თაყას, გოსტასაბს და ფალავანხოსროს ენაგეთს შეხვედრია... **თომიაშვილი** (იხ. ხელნ. ინსტ-ტი Ad 1299; ქრონიკ., II, 349); ამავე ძირისაა თომაძე, თომაშვილი (ენაგეთი).

ᲗᲝᲗᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 41
*ყარდაბანი 28*
*თბილისი 11*
*გორი 2*

**ᲗᲝᲗᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1886 წ.), საკ. სახ. **თოთა** (ა. შან., ხევსურ., 236); თოთა (ქართული ხალხური პოეზია, IV, 273); **თოთია** (ალ. ღლ., 131); **თოთო** (ტბეთის მატიანე, 504); აქედან კნინობითი ფორმა **თოთურა.** (თოთრა).

**დავით თოთურაშვილი** მოიხსენიება სოფ. ვაშლოვანში 1886 წ. (სცსსა, ფ. 254, 1, №3, 1611, ფურ. 29-84).

**ᲗᲝᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ.-დან **თორღა** (ქართლ. ცხ., II, 215); **თორღა-ი** (ხევ. ს. მაკალ., 168); **თორღვა** (ფშ., ს. მაკალ., 147; თუშ., გ. ცოცან); **თორღუა** (არქ., 1888 ჭოხი, ღედ., 8; ალ. ღლ., 132).

„ქ. ციციშვილის-ბაადურიშვილის ზაალის ქ. დიდდალეთს, 1721 წ. **თორელაშვილი ბერი**" (ვახუშტი, 32).

ᲗᲝᲠᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 86
*თბილისი 18*
*გორი 10*
*ბოლნისი 8*
ᲗᲝᲠᲝᲖᲝᲕᲘ 57

**ᲗᲝᲠᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲓᲔᲛᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1843 წ.), საკ. სახ. **თოროზა,** შდრ. საკ. სახ. **თოროსა** (სტატ. ცნ., XVIII ს. 371); მეტსახელი, **თოროსა** (ალ. ღლ., 132); არუთინა თოროზაშვილი, შვილები ზურაბი, გიორგი, ივანე იხსენიებიან დიდ თონეთში 1843 წ. (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, 1843 წ. ფურც. 310-32); ნონია თოროზაშვილი, შვილი ლომსაძე, დავით თოროზაშვილი, პატარა თონეთს, 1843 წ. (სცსსა,

ფ. 254, 1, 2043, ფ. 323-329); „ქ. ციციშვილის-ბაადურიშვილის ზაალისა, ქ. სამღერეთს, ...თოროზაშვილი ლამაზა, 1721 წ. (ვახუშტი, 32); 1843 წ. აღწერით პატარა თონეთში მოიხსენიება **ვახტანგ დემურაშვილი,** იგივე **თოროსაშვილი** (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურ., 310-329); მოგვიანებით, რუსული გაფორმებით **თოროზოვი.** შდრ. დემურაშვილი. (დიდი თონეთი, პატარა თონეთი, სამღერეთი).

**ᲗᲝᲤᲠᲐᲧᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1818 წ.), რთული შედგ. სახელი, **თოფრა** პატარა ტომარა, **ყალ-ი** მარხილის მსგავსად შეკრული ფიცრები თოვლში თივის სათრევად (იციან ფშავში, ქეგლ); **მიხაილ თოფრაყალაშვილი** 1818 წელს სოფელ წინწყაროს ნათლავს შვილს ლაზარეს, მიმქმელი ყოფილა იქვე მცხოვრები კ. **ქართველიშვილი** მოგვიანებით **გურჯიევი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ, ფურ. 184-187). (წინწყარო).

**ᲗᲝᲥᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1822 წ.) რთულფუძიანი სახ. **თოქი** (თურქ.) და **ბელა** (ქალის საკ. ახ. ლათ. ლამაზი), შდრ. გვარი: თოქმაჯიშვილი, თურქ. ჩამომსხმელი, თითბერზე მომუშავე ხელოსანი (ი. მაისურ., 76); სოფ. ბოგვში მცხოვრები **ბარბარე თოქბელაშვილი** 1822 წ. შვილს უნათლავს იქვე მცხოვრებ ბერუა ბოგველაშვილს (სცსსა, ფ. 489, 6, 1ბ, №27).

ᲗᲝᲥᲛᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ 51
*ბაღდათი 34*
*თბილისი 8*
*ადიგენი 5*

**ᲗᲝᲥᲔᲕᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), მეტსახელი **თოქევრა,** გვარში: **თოქევრაშვილი.** შდრ. **თოქმაჯი, თოქმაჯიშვილი** (ი. მასიურ., 76); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ., **თოქევრაშვილი დათუნა,** ამისი ბიძაშვილი ზალია" (ვახუშტი, 104).

ᲗᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 135
*თბილისი 51*
*გორი 31*
*რუსთავი 11*
ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 2433

**ᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//სიმონიშვილი//ბახუტაშვილი//დონდარაშვილი** (ჯს.), საკ. სახ. **თულა** (ალ. ღლ., 132); სამწევრისის ტაძრის წარწერაში (XI ს.) მოხსენიებულია მამასახლისი **გიორგი თულაისძე** (ილ. მაის., 76-77); **თულაშვილები** იყვნენ საბარათიანოს მებატონეები, რომლებსაც ყმები ეკუთვნოდათ: ღვევს, ზრბითს, აწუფის, ბევრეთს. 1696 წელს ჩამოართვეს თულაშვილებს ღვევის გლეხები, რომლებიც „ორიანობის" დროს მეფე ერეკლეს მეითრის შვილისათვის წაურთმევია და თულაშვილებისათვის მიუცია.

**თულაშვილები** – ბაგრატ, ბახუტა ბერი, გურგენ, ზურაბ,

იესე, იასე (მეორე), მანუჩარ, ოთარ, ტარიელ, ასლან, ზაზა, ნავროზა, გიუნა, ლუარსაბი, 1721 წ. აღწ. ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ ალგეთში, სკვირეთში.

საბუთებში მოიხსენიებიან: **თულაშვილი-სვიმონიშვილი, თულაშვილი-ბახუტაშვილი გივი, თულაშვილი-დონდორაშვილი** (ივ. ლოროთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III-IV, 387-388). სიტყვა **„თულა“** გვხვდება აზერბაიჯანულ ლექსიკონშიც. ნიშნავს „ძაღლის ლეკვს“. ამავე ძირისაა: **თულაძე, თულიანი, თულოშვილი** (ღვევი, ზრბითი).

| |
|---|
| თუმანიშვილი 434 |
| *თბილისი 139* |
| *ალიგენი 133* |
| *ახალციხე 32* |

**თუმანიშვილი//თუმანაშვილი//ბეჟანიშვილ//თაყაშვილი//ბარათაშვილი...** (XVII ს.), **თუმანი//ქურური** (ქურური სპარსთა ენა არს, ერთი **ქურური** არის ათასი ლაქი, ხოლო ერთი ლაქი არის ასი ათასი რუფია, ხოლო თითო რუფია ათშაურიანი ფული; ხოლო სხვებ შვიდასი ათასი თუმანი ერთი ქურურია (საბა, 374); **თუმან-ი** (თუმნისა) [სპ.] ათი მანეთი (ქეგლ); **თუმანი,** 1. ფულის ერთეული, მონღოლურად 10 000-ს ნიშნავდა და 10000 დინარს უდრიდა. XVII ს-ის დასაწყისში თ. 10 მინალთუნს შეიცავდა, თვით მინალთუნი კი 5 აბაზს უდრიდა და 1000-ით აღინიშნებოდა. ქართული თ. შეიცავდა 10 000 ნახევრადრაქმიან სპილენძს. რაოდენობრივი შემადგენლობით ქართული თ. მონღოლურისაგან არ განსხვავდება, მაგრამ მონღოლური თ-ის ძირითადი ერთეული იყო ოქროს დინარი, ქართული თ-ისა კი – ნახევრადრაქმიანი სპილენძი. 2. XVIII-XIX სს. ირანული ოქროს მონეტის სახელწოდება უდრიდა 3 მან. (3 მინალთუნი). 3. თუმანი ამჟამად 10 მანეთის აღმნიშვნელად იხმარება (ქსე, ტ. 5, 8); შდრ. რუს. Тьма денег აურაცხელი ფული, тьма ქართ. უშტარი (ასიათასი), უშქარი (ათი ათასი); ბევრ (ათი ათასი). ძვ. ასი ათასი (რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III).

საკ. სახ. **თუმანა** ბერინასშვილი, 1682 წ. ვალში ყმის მიცემულობის წიგნი, მიცემული ფარსადან ჯავახისშვილის მიერ იაგულაანთ გასპარასაღმი (დოკ., I, 70); თუმანა (ვახუშტი); „**თუმანისშვილები** კილიკიიდან გადმოსულან ვანის მიდამოებში, შემდეგ დასახლდნენ ხელთუბანში. 1720 წლებიდან ისინი მეფეთა მდივნებად მსახურობდნენ და რამდენიმე გვარით სახლობდნენ: **ნიკოლაოზისშვილები, სულხანისშვილები, მანუჩარისშვილები, ბირთველისშვილები, ეგნატესშვილები, ბირთველისა** და სხვათა“ (საანდაზო ლექსები... 21); 1679 წელს მკათათვის

1-ს არაქელაშვილები თუმანიშვილებს აძლევენ ფიცის წიგნს (საქ. სიძვ., III, 564); ოუმანიშვილი გივი მდივანი, 1721 წ. აღწ. მოურავი ტაშირის ნასოფლარების ათაქლუასი, აჩასი, ბუზჩაის, ლაჟვარდლის, ოთურბულაღის, სარუყალას, ქურთყალას, ყარაყალას, წარუკას, წყლის გაღმა, იეჩის (ისს. ლორთქ., ქვ. ქართ., § 71-17, 59, 136 და სხვა); დასტურლამალით მოურავი თრიალეთში: ქვემო ანტრაპის და ვარდისუბნისა (§ 71-83,237), ტაშირში: აიდერბეგისა, ბარქადარასი, ბოცხორისა, იეჩისა, ურუტისა, ყათირლუსი, ყიზილ ზიარათისა (§ 71-18, 134, 3-4), ყაიყულში; ბეგის სოულისა (ბეგქამთი). 1703 წ. ებოძა მოურაობა ტაშირის ბარაქადარისა. 1713 წ. სომხითში **თეიმურაზ მელიქიშვილი** აძლევს მოურაობას. 1697 წ. იგი და მისი შვილები დავით და ზურაბა ყიდულობენ ნასოფლარ შამირზას. 1721 წ. აღწ. მებატონე, ამ აღწერაში მოქცეულია გივი თუმანიშვილის მეოთხე სადროშოს სოფლის წოდორეთის ყმებიც (ისს. ლორთქ., იქვე, 38)8.

**თუმანიშვილი ზურაბ,** მდივანი სულხან, ყალანდარა, ლიპარიტი, შვილები: გივი, დავით, შიოში, მანუჩარი 1677-81 წწ. ყიდულობენ ჯავახიშვილის ყმების სულხანიშვილების მამულს წოდორეთში (იქვე, 388); თუმანიშვილი ოთარი, მდივანი, მოურავი ყაიყულის ხატის სოფლისა, ტაშირის ზარიაქანდის, სარუყალასი, ყირხიბულახისა, გამგეელის სოფლებისა და თაბუნებისა: მასხუდეს, ქაფანქჩი აჯი მამადასი, ქოსალუ გოგჯასი, დაბნეული ელისა. 1721 წ. აღწ. მოქცეულია მეოთხე სადროშოს სოფ. წოდორეთში მცხოვრებნი მისი ყმებიც (იქვე, 388);

თაყა, ბირთველა, მანუჩარ, დავით, თუმანიშვილების შვილებს: ბაინდურასა და გორჯასპის 1626 წ. ჯილდოდ ებოძათ სომხითის სოფელი დარბაზი. ბირთველა, მდივან, მანუჩარ, მორდარ, ჯიმშიტა თუმანიშვილებმა 1653-58 წწ. გაიყვეს ზემო ქართლის მამულები; თუმანიშვილი თაყა, ბირთველა, მორდარ, მანუჩარ, ჯიმშიტა, ბაინდურ, გიორგი, ზურაბ, ნასყიდა, პაპა, ბექან, სულხან, ზაქარია, ქიშვარდ, გორჯასპ, ყალანდარ, ზაალ თუმანიშვილებს 1658 წ. ბოლნისის ხევში უმკვიდრებენ სოფ. ბერდიკს: **თუმანიშვილები-ბექანიშვილები:** იესე, ფირანა, თაყაშვილი მამუკა, 1721 წ. აღწ. გარეშე მებატონეები. ჰყავდათ ყმები (იხ. დასახ. ნაშრ. § 126, 34 შენ. 300-301); დასტურლამალი. ფირანა – ყაფიჩი. **თუმანიშვილ-თაყაშვილი ზაალი.** 1721 წ. აღწ. გარეშე მებატონე, ჰყავდათ ყმები (იქვე, გვ. 145); თუმანიშვილი ბირთველა, მდივანი. 1721 წ. აღწ. მოქცეულია ბირთველ თუმანიშვილის მეოთხე სადროშოს სოფ. წო-

ორეთში მცხოვრები ყმებიც; თუმანიშვილები: მანუჩარი, მორდარი, ქიშვარდ მდივანი. 1721 წ. აღწ. გარეშე მებატონეები. 1721 წ. აღწ. მოქცეულია თუმანიშვილების მეოთხე სადროშოს სოფ. წოდორეთის ყმებიც (იქვე, 388-389); **„ქ. მემამულე მუსხელიშვილის იესეს სამღერეთს 1721 წ. თუმანიშვილი ბერუა“** (ვახუშტი, 40); ვახუშტის ამოუწერია ბარათიანთ ანუ თუმანიანთ გუჯრებიდან (ქრონიკ., II, 183); **თუმანიშვილი, ბექანიშვილი, თაყაშვილი, ბარათაშვილთა შტო-გვარი უნდა იყოს. თუმანიშვილების შტო-გვარია აგრეთვე ზუბიაშვილი.**

**თუმანიშვილები,** საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობრების გვარი. ზაქარია XV ს-ში გიორგი VIII-ისა და კონსტანტინე მეფის კარის მდივან-მწიგნობარია. ნასრი – XVIII ს. დასაწყისში ლუარსაბ II-ის კარის მწიგნობარი. ბირთველი XVII ს. მეორე ნახევარი როსტომ მეფის მდივან-მწიგნობარი, გიორგი XII-ის კარზე მოღვაწეობდნენ ძმები – ზურაბი და სულხანი. მათი შვილები და შვილიშვილები იყვნენ: გივი ზურაბის ძე, დავით გივის ძე, შიოშ სულხანის ძე, ულხან, შიოშის ძე და სხვა. ამათგან ყველაზე ცნობილია გივი თუმანიშვილი. მისი ნამუშევრები S–424, კრებული; H–3061 ვეფხისტყაოსანი; Q–164, ვახტანგის სამართალი (ხელნაწერთა ინსტიტუტი). XVIII ს.-ში მოღვაწეობდნენ გიორგი ბირთველის ძე, გორჯასპი, სულხანი და მანუჩარი, პაპუა იესეს ძე: ერეკლე II-ის კარზე მდივნად იყვნენ იოსები და ეგნატე ბაინდურის ძე (1746-1820); დიდ ენაგეთში მცხოვრებ გიორგი გლახას ძე ერწოელი, მეუღლე მაკრინა კიკოლას ასული ნათლავენ შვილს სიმონს. მიმქმელი ყოფილა ამავე სოფელში მცხოვრები თამაზ ანდრიას ძე თუმანიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1 (ვარდისუბანი, დიდი ენაგეთი, სამღერეთი).

**თუმანბეგასშვილი** (1477). **თუმანბეგა** რთული შედგენილობის სიტყვაა, საკ. სახ. **თუმან, თუმანა, თუმინ** (დოკ., I, 70; საქ. სიძვ., II, 518); საკ. სახ. **ბეგა, ბეგი** (ქართლ, ცხ., II, 296, ელ. ღლ., 86); სადათიერ თუმანბეგისშვილი მოხსენიებულია 1477 წლის საბუთში, სახელდობრ: ნიკოლოზ და სხვა პალატისშვილთა მიერ გოგიტა არდაშერასშვილისადმი მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 4); იხ. თუმანიშვილი, ბეგაშვილი (კრწანისი).

**თურაბაშვილი//თურაზაშვილი** (1670 წ.), **თურაბ** (არაბ.) „ნიადაგი“. საკ. სახ. **თურა [ბ]ა, თურა[ზ]ა** (დოკ., II, 59); **თურაზა** (ქსძ, VII, 473).

**თურაზასშვილი** გიორგი, ვახტანგ, 1670 წ. ნასყიდობის წიგნი გიორგი თურაზასშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისადმი (დოკ., II, 10); „ქ. იარალაშვილის ვახტანგის ქ. ირაგას, **თურაბაშვილი** მოლაშქრე, 1721 წ.“ (ვახუშტი, 66).

**თურქესტანიშვილი**
28
თბილისი 19
დედოფლისწყარო 2
გარდაბანი 1

**თურქესტანიშვილი//თურქისტანიშვილი//პაპოაშვილი** (XVIII ს.), საკ. სახ. თურქისტან, თურქისტანი 1558 წელს ყიდის სოფ. მუხათს (ისს. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, § 71-459); **თურქისტანიშვილი გოდერძა,** 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა თრიალეთში, 1738 წელს ყიდის მამულს უკან გორში; თურქისტანიშვილები: სეხნია, ფრანგისტან, ქაიხსორო, ღონენა 1721 წ. აღწ. მებატონეები, ცხოვრობდნენ თრ-ში. დასტურლამალით ქაიხსორო – მეთოფეთ უზბაში (იქვე, 389); **თურქისტანიშვილი თურქისტან,** 1721 წ. აღწ. მებატონე, დასტურლ-ყაფიჩბაში; **თურქისტანიშვილები ბარათაშვილების შტოგვარია.**

**თურქისტანიშვილი ბადური** (ბორის) XVIII ს. I ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. მონაწილეობდა ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ს შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში. 1721 წ. თავის ნათესავებთან ერთად რუსეთში გაჰყვა ვახტანგ VI-ს (ქსე, ტ. 5, 19); **თურქისტანიშვილი ერასტი** (დ. წ. უცნობია, 1735 წ.), ქართველი მწიგნობარი, ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში. 1721 წ. მეფის დავალებით რუსულიდან ქართულად თარგმნა „აპოფთეგმატა“, რომლის ორი რედაქცია ვახტანგ VI-მ გალექსა და „სიბრძნე მალაღობელი“ უწოდა (იქვე, 19); **თურქისტანიშვილების შტოგვარია პაპოაშვილი** (დოკ., I, 491). (მუხათი).

**თურქიაშვილი**
249
თიანეთი 75
ახმეტა 55
თბილისი 35

**თურქიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **თურქა** (მაკალ., ფშავი, 147); შდრ. ეთნონიმი **თურქი**: ამავე ძირისაა: **თურქაძე, თურქია, თურქიშვილი, თურქოშვილი** (ი. მაისურ., 77); „...წობას 1721 წ. ველუაშვილის ნასყიდი თურქიაშვილი გულივარდი“ (ვახუშტი, 170); „ქართულ გვარებში გამოიყოფა აგრეთვე მრავალი სხვა ტომისა და ხალხის სახელწოდება, როგორიცაა: **არაბი, სპარსი, ოსი (ალანი), ებრაელი, ფრანგი, ჩერქეზი, ჩაჩანი, ქაშაგი, ლეკი, ქისტი, ხაზარი...** გავიხსენოთ გვარები: **არაბიძე, სპარსიაშვილი, თათარაშვილი, თათარიშვილი, თათრიშვილი, თათარაიძე, თათარაძე,**

თურქაძე, თურქია...“ (ზ. ჭუმბურ. 311).

თუშმალიშვილი
95
თბილისი 63
გარდაბანი 14
გორი 7

**თუშმალიშვილი//თუშმალაშვილი** (1738 წ.) **თუშმალი** (სპარს.) „სამზარეულოს მოხელე“ (ქეგლ). აქედან: **თუშმალბაჟი** „მზარეულუხუცესი“ (საბა). **თუშმალაშვილი:** სოფელ მარტყოფში არის თუშმალაანთ საგვარეულო კოშკი (ილ. მაისურ., 77): **თუშმალი** მეტსახელი გვარში **თუშმალიშვილი** (ალ. ღლ., 133). ალავერდა თუშმალიშვილი, როგორც მოწმე, მოიხსენიება სოფელ ენაგეთში 1738 წელს (დოკ., I, 281).

**თუხნიაშვილი** (1851 წ.), მეტსახელი **თუხნა, თუხნია**. შესაძლოა იყო საკუთარი სახელი **თუხნია** (შდრ. მეტსახელი თხუპნია). თოხნია კოდაში მოიხსენიება 1851 წელს.

**თუჯიაშვილი** (1721 წ.), საკუთარ სახელად ქცეული ლითონი. **თუჯ**-ი, ნახშირბადის შემცველი ლითონი, რომელიც გამოდნობილია რკინის მადნიდან. ფოლადზე უფრო მყიფეა და მასზე ნაკლებად ჭედადი.

**თუჯია თუჯის** მომცრო ჭურჭელი (იციან იმერეთსა და გურიაში. (ქეგლ. 242); „ქ. ბურვილს სახასო... თუჯიაშვილი ვარდანა. 1721 წ.“ (ვახუშტი, 374); სიტყვა „თუჯ“ სომხურშიც ამავე მნიშვნელობით გვხვდება. გვარი არ აღირიცხება. (ბურვილი).

**თხმელაშვილი** (1721 წ.), **თხმელა, მურყანი ხე,** (საბა,144). შდრ. ბალამწარაშვილი, ბზიშვილი, ბიაშვილი, თელია, თხილავა, კიპაროიძე, (–კვიპაროსიძე), ლაფანაშვილი, მუხაძე, ჭყონია (ჭყონი კოლხურად მუხას ნიშნავს), ეკალაძე, რცხილაძე, ტყემალაძე, მსხალაძე, სხულუხია (სხული მსხლის კოლხური შესატყვისია), ჩალაძე, ჩირგვაძე, ჭილაძე, ჭილაია... ბალახაშვილი, ბალახაძე, ბარდაძე, ბაიაძე, კეჟერაძე, კვახაძე, მახაშვილი (მახა პურეულის ჯიშია), ქობალავა. ქობალია (ქობალი კოლხურად ხორბალს ნიშნავს), ხორბალაძე, ნაფეტვარიძე, ნერგაძე, ნიორაძე, პარკაძე, ფურცელაძე, ფხალაძე, ჭარხალაშვილი, ჭინჭარაული, ჭინჭარაძე, ხახვიაშვილი... არდიაშვილი, ვარდოაშვილი, ზამბახიძე, მაჩიტაძე, ნარგიზაშვილი, ყვავილაშვილი. ყვავილაძე... (ზ. ჭუმბ., დედა ენა ქართ., 316); „ქ. საგინაშვილის პაპუასი ბოგვს: **სვიმონ თხმელაშვილი, ასლამაზა თხმელაშვილი,** მოიხსენიება 1721 წ.“ (ვახუშტი, 150). (ბოგვი).

# ი

> ИАГАНАШВИЛИ 252
> *გურჯაანი 183*
> *თბილისი 38*
> *რუსთავი 19*

**ИАГАНАШВИЛИ** (1620 წ.), საკ. სახ. **იაგან** (ალ. ღლ., 133). შდრ. ნარდში **იაგნები,** მოდის სპარსული სიტყვიდან **„იაქ"** – ერთი.

**იაგანა ქანანაშვილი-სულხანაშვილი** – 1678 წ. **იაგანა** ქანანაშვილის მიერ თამაზ ყაფლანიშვილისადმი გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 58); **იაგანა,** 1670 წ. ბოლნელი ეპისკოპოსის, იოსებ რევიშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისადმი გაცემული მამულის ნასყიდობის წიგნი (საქ. მუზ. Hd № 5242; დოკ., II, 11); **იაგანა** (§ 80, 1721 წ. აღწ.), ბაქარ მეფის ყმა – მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სომხითში (ისს. ლორთქ., §§ 79, 134); **ზურაბა იაგანაშვილი,** ნასყიდობის წიგნი ორბელიანთა, 1620 წ. (საქ. სიძვ., II. 253); სამშვილდესა და სამღერეთში მოიხსენებიან 1721 წლიდან (სამშვილდე, სამღერეთი, კოდა).

> ИАГОРАШВИЛИ 128
> *თბილისი 43*
> *თელავი 32*
> *გურჯაანი 24*

**ИАГОРАШВИЛИ** (1900 წ.), **იაგორ** გავრცელებული სახელია რუსეთში; მომდინარეობს სკანდინავიურიდან, სადაც **იანგვარ** ნიშნავს „ინგვეს მცველს" (**ინგვე** ძველ ისლანდიელთა ღვთაების სახელია და ადამიანის სახელადაც იხმარება. მისი შემოკლებული ფორმაა; **იაგო, იგო, იგორ** (იხ. ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 344); **იაგორ-ი,** სარეკომ. სია. 17: **იაგორა** (კოლხ., 51, გეჯეთი, ალ. ღლ., 133); **იაგორაშვილი** (ჯორჯიაშვილის საკრებულო, 19/VIII 86 წ.) **იგორი, ეგორი და იაგორი,** რომლებიც ამ გვარს საფუძვლად უდევს, პარალელური ფორმებია (ბოგვი).

**ИАГУЛАШВИЛИ // ИЕГУЛАШВИЛИ** (1781 წ.), რთული საკ. სახელი **ია;** მამაკაცსაც ჰქვია და ქალსაც. **გულა** (იხ. სოფ. მარაბდა, გულა., იხ. სოფ. მარაბდა, გულა ფიჩხულაშვილი) **იაგულ-ი** (კოლხ., 3, ქვ. ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 133) შდრ. **იაშვილი, იაღანაშვილი, იასაშვილი...**

„აქავ მუხათს, 1781 წ. იაგულასშვილის ყმა“ (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 177): გოდერძა დათუნა, დურმიშხან, კახუნა, ოთარი იაგულაშვილები, 1721 წ. აღწ. **მებატონეები** ყოფილან, ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სომხითში (ისს. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV. §§ 132. 76, 121): შდრ: იევანგულაშვილი (მუხათი).

ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1498
*საჩხერე 476*
*თბილისი 394*
*დედოფლისწყარო 109*

**ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **იაკობ** (ებრ.) სიტყვასიტყვით ნიშნავს „კვალს“. გადატანით „მიმყოლს“ (ტყუპთაგან მეორედ დაბადებულს), შემდეგ მიეცა მნიშვნელობა **ღვთის მიმყოლის,** ანუ **ღვთის მიმბაძველისა,** ღვთის კვალზე მავლისა, შემოკლებული ფორმებია: **ია, კობა,** იაკობ-ისაგან მიღებულია გვარები: **იაკობიძე, იაკობაშვილი, აკობიააკობიძე; ია**-საგან – **იაშვილი, იაძე,** კაცის სახელად ია გვხვდება ცნობილ პირთა შორის, როგორც იტყოდნენ: მწერალი – **ია** ეკალაძე, კომპოზიტორი – **ია** კარგარეთელი.

**იაკობ ხუცესი, იაკობ ცურტაველი, იაკობ ბერი, იაკობ ეპისკოპოსი, იაკობ მოძღვარი, იაკობ შემოქმედელი, იაკობ წმიდა** (ქრონიკ., III, 660) 1721 წ. აღწ. ჩხიკვთაში მოიხსენიება **ნასყიდა იაკობაშვილი** (ვახუშტი, 248). შდრ. **იაკობას ძე** (XIII ს. ტბეთის სულთა მატიანე, 17); **იაკობი,** ბიბლიის მიხედვით, ისრაელთა მოდგმის ერთ-ერთი პატრიარქი, ისააკის ძე, დედის, რებეკას, შემწეობითა და ცბიერებით, თავისი ტყუპის ცალის, ესაკისათვის, პირმშოობა წაურთმევია. მის ცოლებსა (ლიასა და რაქილს) და ხარჭებს მისგან თორმეტი ძე უშობიათ, რომლებიც შემდგომ ისრაელიტელთა თორმეტი ტომის მამამთავრები გამხდარან. ღმერთთან შეჭიდების შემდეგ იაკობს მეორე სახელი – ისრაელი (სიტყვასიტყვით ღმერთთან მებრძოლი) მიუღია, შვილიშვილებისათვის კი „ისრაელის ძენი“ უწოდებიათ (დაბ. 32, 28; ქსე. ტ. 5, 38-39); შდრ, **იაკობსენი, იაკობსონი, იაკობ შემოქმედელი** (სამებელი, გვარად დუმბაძე), **იაკობ ცურტაველი** (ხუცესი), Vს II ნახევრის ქართველი მწერალი, ჰაგიოგრაფი, **იაკობ ბერი, იაკობ წმიდა** (ქსე, ტ. 5. 40; ქრონიკ., III, 660).

**იაკობაძეები** ცხოვრობენ სოფელ აჭარის რეგიონის ხულოს რ-ში (დიოკნისის საკრებულო). იაკობაშვილთა შტო-გვარადაა მიჩნეული **ავქაფაშვილი, ავქოფაშვილი.**

**ᲘᲐᲠᲐᲘᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **იარაიზა.** შდრ. **იარაზიხა**

(თურქ.) „ძვირფასი სატრფო, მეგობარი“. **იარალა,** მეტსახელი იარუ, **იაროს** (ალ. ღლ., 133-134); **იარაზა//იარიზიზა** (საქ. სიძვ., II, 426), „ქ. დოლენჯაშვილის იოთამისა ქ. ახალშენს, 1721 წ. **იარაიზაშვილი იანა**“ (ვახუშტი, 72). (სამღერეთის ახალშენი).

**ᲘᲐᲠᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1740 წ.), **იარყულა** რთული შედგენილი სახელია. შდრ. საკ. სახ. **იარ-ი** (სპ-თურქ.) „მეგობარი“, „სატრფო“, (ალ. ღლ., 133); საკ, სახ. **ყულ** (თურქ.) „მონა“ (საქ. სიძვ., II, 405); **თამაზა იარყულაშვილი** მოიხსენიება სოფ. ენაგეთს 1740 წ. (დოკ., I, 290).

**ᲘᲐᲡᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **იასონ,** ბერძ. „მკურნალი“ (საქ. სიძვ., II, 541); „ქ. დრიანეთს 1721 წ. იასონაშვილი დათუნა“ (ვახუშტი, 170).

**ᲘᲐᲚᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ // შავშიშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **იალი** (1074 წ. ხელნაწ., 239); **იალა** (საქ. აიძვ., II, 518); **იალივა** (ალ. ღლ., 134); საკ. სახ. **იალანა** (ი. მაისურ,. 78); აქედან ნაწარმოებია გვარი: **იალანაშვილი.** იხ. **შავშიშვილი.** **„ივანე იალუნაშვილი** (იგივე შავშიშვილი) მოიხსენიება დიდ თონეთის 1873 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, № 3, საქმე № 127, აღწ. № 319, ფურც. 175 – 209). (შდრ: იალანაშვილი 73 სული).

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2122
*თბილისი 1153*
*ქუთაისი 127*
*ქუთაისი 127*
*გარდაბანი 102*

**ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1432 წ.), საკ. სახ. **ია** გამრეკელი, ია კარგარეთელი.

იხ. **იაშვილი კაცია, გიორგი, დათუნა,** მოიხსენიებიან 1680 წ. ბაგრატ მეფის მიერ ქაიხოსრო და სხვა წერეთლებისადმი გაცემული ყმისა და მამულის წყალობის წიგნში (საქ. მუზ. №2001, Hd); იაშვილები **წარჩინებული ფეოდალური საგვარეულოა რაჭასა და იმერეთში** (ქართლ. ცხ., IV, 36); იაშვილთა სათავადოს ჩამოყალიბებას ვარაუდობენ XV ს. მიწურულს, პირველად მოიცავდა სადმელს, ძირაგვეულს, კლდისუბანსა და ბეთლევს. ყველაზე ადრინდელი ცნობა დაცულია 1432 წ. სიგელში (დაწვრილებით იხ. ო. სოსელია, ნარკვ., 120, 133); ამავე ძირისაა იაძე (ნ. ილ. მაისურ., 78); „ქ. გოსტაშაბიშვილი ამილახორის... ქ. მარიამს 1721 წ. იაშვილი ქიტია“.

ასურეთში **იაშვილები** გადმოვიდნენ ამბროლაურის რაიონის სოფ. სხვავადან 1951 წელს (ასურეთი, მარაბდა, მარიამი).

**ᲘᲐᲮᲗᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲘᲐᲮᲐᲗᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), „ქ. ავთანდილ სუფრაჯის ყმები ქ. უკანდალეთს, 1721 წ. აზნაური **იახთუნაშვილი** უყმო **იახათუნაშვილი თამაზა, იახათუნაშვილი შერმაზანა**“ (ვახუშტი, 115).

**ᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **იბა**. შდრ. **იბადი, იდა, იზა, ირა, ინა, იკა, ითა** და მისთ.

„ქ. ნამანგლელევისშვილის როსტომისა და გუგუას ყმა, 1721 წ. ქ. საღირაშენს... **იბაშვილი ბერი**" (ვახუშტი, 120).

**ᲘᲑᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1851 წ.), საკ. სახ. **იგუტი** (კოლხ., 93, ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 134). (კოდა).

**ᲘᲔᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲘᲐᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲘᲕᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲘᲐᲜᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1620 წ.), **იაგელო** (რაჭა, ზნაკვა); **იაგულ-ი** (კოლხ., 63, ალ. ღლ., 133): აბრამ, გიორგი **იაგულაშვილები,** ნასყიდობის წიგნი, 1732 წ. (საქ. სიძვ., I, 135); ალავერდა, დურმიშხან **იაგულაშვილები,** ნასყიდობის წიგნი ორბელიანთა, 1620 წ. (საქ. სიძვ., II, 253); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახორისა 1721 წ. ქ. ანდრიას... **ივგულაშვილი ელიზბარა**" (ვახუშტი, 56), (ანდრია, ელფია, დმანისი-ჯვარა).

**ᲘᲔᲦᲘᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **იედიგარ.** შდრ. **იეგანა, იევანგულა, იეზდანა, იელყან, იერონიმე... იედიგარაშვილი მაჰმად უსეინბეგი** (1793 – 1795 წწ.); არზა ვახტანგ, ზაალ და ლუარსაბ ყაფლანიშვილებისა (ორბელიანებისა) მეფე ერეკლე მეორესთან (საქ. სიძვ., II, 535); „ქ. იარალაშვილის თაიმურაზისა, 1721 წ. ირაგას: „იედიგარაშვილი ელიზბარა მოლაშქრე" (ვახუშტი, 68); შდრ, იადგარი, (ირაგა).

**ᲘᲔᲕᲐᲜᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲘᲔᲑᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), რთული შედგენილი სახელი, შდრ. **იეგან//იეგანაშვილი, იევტეხ, იელყან** და სხვ.

**იეგულაშვილები:** დათუნა, დურმიშხან, გოდერძა, ოთარ, კახუა იყვნენ მებატონეები და ჰყავდათ ყმები სოფლებში: ცოვრეთში, აკანათში, ვასაკაში, ხოროსოფელში, ჩორათანში, ვანქში, ვასაკა სოფელში; შდრ. ქაი ყუბათაშვილი, ღან ბარაშვილი, პოლო იკაშვილი, პოი ლარაშვილი, ფარე მუზაშვილი, ქირ ბეგაშვილი, ამინ დარაშვილი და სხვ. „ქ. ციხიას; იევან გულაშვილის ყმა; სვიმონა, გიორგი, 1721 წ." (ვახუშტი, 96). (ცოვრეთი).

ᲘᲕᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 485
*სანხერე 172*
*გარდაბანი 156*
*ქიათურა 44*
ᲘᲕᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ 20
სულზე ნაკლებია

**ᲘᲕᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲘᲕᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ // ᲘᲝᲕᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), ივანე (ებრ.) „ღვთის წყალობა" (სიტყვა-სიტყვით „ის, ვისაც ღმერთი სწყალობს"). სახელის საწყისი ფორმაა **იოჰანაან.** ქართულში ძველად გვხვდებოდა **იოვანე** და **იოანე** იხ. **იოვანეშვილი.**

**ივანე** (გ. ლეონ., სახელები); **იოვანა** (საქ.

სიძვ. II, 315); **ივანა ბოგანო** (საქ. სიძვ., II, 336); **ივანასშვილები** მოიხსენებიან 1686 წ. ზურაბ ჯავახიშვილის ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 102); „ქ. ფიტარეთს წინამძღვრისა, 1721 წ. **იოვანეშვილი დეკანოზი ლაზარე**" (ვახუშტი, 171); „ქ. ხოსროხანიშვილისა, 1721 წ. ქ. სამშვილდეს... **იოვანეშვილი ხუცესი**" (ვახუშტი, 24); **ქიტესა პეტრეს ძე ივანაშვილი,** მეუღლე მართა, დისშვილი ზურაბი, მოიხსენიება 1823 წ. აღწ. სოფ. ერტისში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 93-98); ერუა ივანეშვილი, ვაჟი თამაზი, მეუღლე ტასო, ვაჟები: ვანო, აბო, იოსები, ქალიშვილები: დარეჯანი, თინათინი, ნინო მოიხსენებიან 1823 წ. აღწ. სოფ. ერტისში (სცსსა. ფ. 254, 1, 802, ფურ. 93-98); გოგია ივანეშვილი, მეუღლე **ახუა,** შვილები: სოლომონი, ზაქარია, ქალიშვილები: კეკელა, მართა, ელენე, დისშვილი ივანე დათიაშვილი მოიხსენებიან დიდ ენაგეთს 1823 წ. აღწერაში (სცსს, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18); **გიორგი ივანაშვილი // ზარიძე** სოფ. ლოუბანში გადმოსულა იმერეთიდან. მასთან ერთად მოიხსენებიან მეუღლე მაია, ქალიშვილი ბარბარე, ძმა აბრამა **ივანაშვილი,** მეუღლე ელისაბედი, ქალიშვილები მარინე, სოფიო, დედა ანა (სცსსა, ფ. 254, № 1, 803, 1823 წ. ფურ. 17). **(ივანაშვილი აგრეთვე ბარათაშვილი-ვირშელიშვილების გვარის შტო-გვარია).**

ამავე ძირისაა: **ივანიძე-ივანური, ივანეიშვილი, ივანელაშვილი, ივანაძე, ივანიკაშვილი, იოვანეშვილი** (სოფ. ერდოში მოიხსენიება 1628 წ. III – 30).

1803 წ. ზოგი **ივანაშვილი** რუსული გაფორმებით ივანოვი გახდა (ახალშენი, დიდი ენაგეთი, ერდო, ერტისი, სამშვილდე, ფიტარეთი, ლოუბანი).

**ივანეზაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ივანე** (საქ. სიძვ., III, 7); **ივანე, ვანო, ვანე** (გ. ლეონ. სახელები); **ივანიკა** (ისტ. დოკ., I, 87); **ივანელა** (საეკლ. საბ., I, 117); **ივანეზა** სომხურთან მიახლოებული ფორმაა.

**ბექან ივანეზაშვილი,** მეუღლე ელენე, ვაჟი ზალია მეუღლე ანა, მოიხსენებიან 1823 წელს სოფ. ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურც. 99-105).

**ივგულაშვილი** (1721 წ.), სავარ, შედგენილი სახელი, **ივლა.** შდრ. **ივაკიმა, ივანელა, ივარგე, ივარდანა, ივსიხი.**

„ქ. გოსტაშაბიშვილი ამილღანბარისა ქ. ანდრიას 1721 წ.

იეგულაშვილი ელიზბარი" (ვახუშტი, 56).

**ილური** (1721 წ.), საკ. სახ. **ილურ-ი** (სტატ. ცნ. XVIII ს. 421). „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო, ქ. კუჭიაშვილის ლიპებში... **ილური ბერუა**" (ვახუშტი, 11);

შრდ. **ილაური, ილაშვილი, ილიაიძე, ილიაშვილი, ილურიძე.** (ლიპი).

ილურიძე 2005
თბილისი 712
კასპი 462
გორი 262

**ილურიძე** (1818 წ.), საკ. სახ. **ილურ-ი** (სტატ. ცნ., XVIII ს. 21); დიდ თონეთში მცხოვრებ გიორგი ილურიძისა და შემანიშვილი სოფიოს ოჯახის შვილის მიმქრმელი იყო **გრიგორ ბუნტური** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6. 1 ბ. №35, ფურ. 386-388).

იმედაშვილი 1177
თბილისი 380
ახმეტა 165
გურჯაანი 124

**იმედაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **იმედა** (ძვ. საქ., IV, განყოფ. III. 48).

ვახუშტის მიხედვით, **იმედა** მურადაშვილი (8), ოქრუაშვილი **იმედა** (31), ბერია **იმედაშვილი** (157); იხ. **იმედა.** შერდიკელი, ბირთველ მდივნის ყმა (124), იმედა იმნაძე (85). იმედა იმნაძე, კავთისხეველი (17), იმედა ლიქოკელი (424), იმედასშვილი იასე, იასე იმედაშვილი (285) (1738 წ.), თუმანიანთ ნოქრის ხარჯის ნუსხა (დოკ., საქ. სოც. ისტ. ნ. ბერძნ. რედ. 1940).

კოდელმა **ივანე იმედაშვილმა** 1826 წ. ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა ქალიშვილი **თინათინი.** მიმქრმელი იყო თანასოფლელი რამაზ ლაზარეშვილის მეუღლე ანახანუმი (489, 9, № 1, ფურ. 173); შდრ. ბიბლიური სახელი ნადექდა.

ი. კოდაში 1817 წ.-დან. ცხოვრობენ.

კოდელი იყო ცნობილი ქართველი მსახიობი ალექსანდრე (საშა) იმედაშვილი.

1860 წელს თავად ლუარსაბ ორბელიანის ყმად მოიხსენიება საშას მამა – სოსია (იოსებ) იმედაშვილი (სცსსა, ფ. 254, № 2).

ამავე ძირისაა: **იმედაძე** (კოდა).

იმერლიშვილი 2679
თბილისი 636
გურჯაანი 377
თელავი 241

**იმერლიშვილი** (1826 წ.), გვარადქცეული სადაურობის სიტყვა **იმერელი.**

ბორბალოელმა სიმონა იმერელმა 1822 წ. მონათლა შვილი თინათინი. მიმქმელი იყო თანასოფლელი ამავე სოფლის მებატონე ზაზა

სოლოღოვი (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, № 27); ბორბალოელ კვირია იმერლიშვილს შეეძინა ვაჟი, მონათლა მღვდელმა გიორგი აზარიაშვილმა, სახელი ეწოდა პავლე, ნათლიად იყო თანასოფლელი პაპა ვარსიმაშვილი, (489, აღწ. № 6, საქ. 31, ფურ. 166, 1826 წ.), აქვე პეტრე იმერლიშვილს შეეძინა ვაჟი, სახელი ეწოდა ივანე (166); ენაგეთელ სვიმონ იმერლიშვილს შეეძინა ვაჟი, სახელი ეწოდა გიორგი, ნათლიად იყო ენაგეთში მცხოვრები მალხაზ დონდუაშვილი (იქვე, 166); 1826 წელს სოფელ ბორბალოში მოიხსენიებიან კვირია და პეტრე იმერლიშვილები (489, 6, № 31, № 25). (ბორბალო, ენაგეთი). (იმერეთიდან გადმოსულ გეორგაშვილიდან (იმერელი) გაჩნდა გვარი იმერლიშვილი ი. ა.).

**ინათოზელი-მახაროზელიძე** (1873 – 1886 წწ.), საკ. სახ. **მახარობელი, მახარებელი** (ალ, ღლ., 160).

ივანე ინათობელი-მახარობლიძე მოხსენებულია სოფ. შამთაში დროებით მოსახლედ (სცსსა, ფ. 254, №3, 1635, ფ. 15-32).

ინასარიძე 2382
*ახალციხე 714*
*თბილისი 614*
*ასპინძა 166*

**ინასარიძე,** საკ. სახ. **ინასა** (ტბეთის სულთა მატეანე, 17); **ინასარ ინასარიძე** (ელ. მეტრევ., მასალ., ალაპი №151); **ინასარიძე, წარჩინებული ისტორიული საგვარეულო რაჭაში,** მოხსენებულია 1401 – 1431 წწ. „...ამილახუარმან გვიჩივლა (მცხეთას და კ,ზს)... ვითა პატრონისა ამირინდო ამილახურისა ჟამსა შიგან პატრონმა მეფემან ბაგრატ შუა დამხუდომად ღულაბერიძე და ინასარიძე გუიბოძნა" (ქართლ. ცხ. IV, 36; ქრონიკ., II, 205).

**ინასარიძენი. ინანუს** იყო სომხთა მეფეთა თანმხლებელი ბაგრატიონთა გვარისა, თავადად მიღებული 3984 – 5183 წელსა და ამათნი გვარნი მოვიდნენ იმერეთს და იწოდნენ ინასარიძეებად (საანდაზო ლექსები... 135); **ინასარიძე პეტრე** მოიხსენიება დიდი თონეთის 1873 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, № 3, საქმე 127, აღწ. № 319, ფურც. 170-209).

**ინასარიძეები** ამბროლაურის რაიონის სოფ. კრიხიდან ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წ. (ასურეთი, დიდი თონეთი).

ინაშვილი 1013
*თბილისი 467*
*დუშეთი 133*
*სიღნაღი 128*

**ინაშვილი** (1711), საკ. სახ. **ინა** (იერუსალ., 148, 222); **ინა** წითლად შემღებავი (საბა).

ინაძე 283
*ინაური 481*
*ინალიშვილი 191*
*(შდრ. ინალი)*

იხ. ხიმშია, გიორგი ინაშვილი 1711 წ. ივლისის 5-ს. ბერუკა აბრამიშვილის მიერ დომენტი ბუნიათიშვილისადმი გაცემული ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 146); „საამაშვილების მამულში (მარაბდას 1781 წ.) ინაშვილი მახარობელი, ინაშვილი დავითა, ინაშვილი იესე, ინაშვილი ოთარა, ინაშვილი გოგია, ინაშვილი დათუნა" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგ., I, 169 – 170); ვარდისუბნელმა დიმიტრი ინაშვილმა 1818 წელს თანასოფლელ სოლომონ დავითის ძე კედელაშვილს მიათხოვა ასული სოფა. სარძლოს მხრიდან თავდები იყვნენ... ივანე დიმიტრის ძე ინაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); ვარდისუბნელმა იოსებ ინაშვილმა 1829 წ. ჯვარი დაიწერა თანასოფლელი ყაზარა ოჰანეზაშვილის ასულ თამარაზე, გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. თავდებნი იყვნენ ვარდისუბნელები: იოსებ კედელაშვილი და ლაზარე თეგაძე (489, აღწ. 6, № 76, ფურ. 4); დიდ ენაგეთში ალექსი თევდორაძის ძე ხუციშვილს 1874 წ. შვილი მოუნათლა ვარდისუბნელმა გრიგორ იოსების ძე ინაშვილის ასულმა სოფამ (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. № 1); 1874 წ. აღწ. სოფ. შავსაყდარში (იგივე ვარდისუბანი) მოიხსენიებიან პეტრე, დიმიტრი, გიორგი, ლაზარე, ივანე, მიხეილ ინაშვილები (სცსსა, ფ. 254, № 3, № 112, საქმე № 76, ფურ. 168 – 176); ამავე ძირისაა: **ინაძე, ინაური, ინაიშვილი, ინალიშვილი.**

**ᲘᲜᲓᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1692 წ.), საკ. სახ. **ინდო,** (საქ. სიძვ., I, 11); **ინდო-ი** (ინგორ., 2, 120); **ინდუა** (საქ. სიძვ., III, 128; სახ. არქ., 1448, №5029); **ინდუა** გამყრელიძე (საქ. სიძვ., II, 129); **ზაქუტა ინდუასშვილი** წყალობის წიგნი ტატიშვილისა, 1692 წ. (საქ. სიძვ., II, 162); „ქ. ციციშვილის ბაადურიშვილის ზაალისა, 1721 წ. ქ. დიდაღეთს: ინდუაშვილი ნასყიდა (ვახუშტი, 33); „ქ. აბაშიშვილის დავითისა, 1721 წ. ქ. გოლთეთს... ინდუაშვილი მამაჯანა" (ვახუშტი, 1116); „ქ. ბატონის ტფილელისა, ქ. ერტისს, 1721 წ. ინდუაშვილი მახარა" (იქვე, 47); „ქ. თაყაიშვილი დემეტრესი კობალას 1721 წ. ინდუაშვილი ბერუა" (იქვე, 127).

| | |
|---|---|
| ᲘᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 1201 |
| *ქიათურა* | *211* |
| *თბილისი* | *238* |
| *თელავი* | *189* |

**ᲘᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), **იობ-ი** (ძვ. ებრ. „დევნილი", „მომნანიებელი"), საკ. სახ. **იობი** (დოკ., I, 106; ქართლ. ცხ., I, 373); **იობა-ი** (ხევს. გერგეტი, ალ. ღლ., 136); **იობ წინამძღვარი** – 1717 წ. ორბელიანთა სასახლის ნასყიდობის წიგნი (საქ. სიძვ., II, 300); **იობ მღვდელი, იობ სახლთუხ-**

| | |
|---|---|
| ᲘᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 47 |
| *იობაძე* | *403* |
| *იობიძე* | *1826* |
| *იობაია* | *40* |

**უცესი, იობა ნიკოლოზის შვილი** (დოკ., II, 322); **იობ** მთავარეპისკოპოსი (ქრონიკ. I, 49);

„ვაშლოვანს დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმა, 1781 წ., ...**იობაშვილი გოგია**“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 167); „ქ. თარხნის ლუარსაბისა ქ. ზემო ოძისს 1721 წ. **იობაშვილი ბასილა**“ (ვახუშტი, 39); სახელიდან **იობ**-ი ნაწარმოებია კიდევ რამდენიმე ქართული გვარი: **იობიძე, იობიშვილი, იობაია, ჯობავა** (–იობავა), **ჯობაძე** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 345). იობაშვილები იყვნენ აზნაურებიც.

ᲘᲝᲕᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ (1721 წ.), **იოვანე ივანეს** უძველესი ფორმაა. **ივანე** (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა“ სიტყვა-სიტყვით „ის, ვის მიმართაც ღმერთი მოწყალეა“, „ვისაც ღმერთი სწყალობს“. ქართულში ძველად გვხვდებოდა **იოვანე** და **იოანე**, აქედან მივიღეთ **ივანე** – შემოკლებული ფორმაა **ვანო**. შდრ., სომხ. **იოჰანეზ**. (ოჰანეზ, ოგანეს). იოვანე (გ. ლეონ., სახელები); **იოვანა** (საქ: სიძვ., II, 315)...

„ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. ლიყურეთს 1721 წ. **იოვანეშვილი ბერი**“ (ვახუშტი, 58). **იოანე** – საქართველოს (ქართლის) კათალიკოსი VII ს. დასაწყისში, ადარნასე ბაკურის ძის ერისთავობაში; იოანე საქართველოს (ქართლის) კათალიკოს VIII ს. შუა ხანები. კათალიკოსად უკურთხებია ანტიოქიის პატრიარქს თეოფილაქტეს (744 –51 წწ); **იოანე,** საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი XII ს. პირველ მეოთხედში; **იოანე,** საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი XIII ს. 10-იან წლებში;

**იოანე** (გვარად **ავალიშვილი**), ალმ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1612 – 16 წწ.), მწიგნობარი, კალიგრაფი, მხატვარი; **იოანე** გვარად **დიასამიძე**, ალმ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1688 – 92 // 1695 – 1700წწ.); **იოანე** გვარად **ჯორჯაძე** (გ. 1763 წ.), ქართველი სულიერი მოღვაწე, მწიგნობარი, დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი 1736 – 63 წწ.

**იოანე ანჩელი,** XII – XIII სს. ქართველი სახელმწიფო მოღვაწე და სხვ. (ლიყურთა).

ᲘᲝᲗᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ (XVI ს.) **იოთამ** (ებრ.) „წმინდა არს ღმერთი“, საკ. სახ. **იოთამ** (ქართლ. ცხ., I, 372); **იოთამ** (ისტ. დოკ., I, 58); **იოთამა** (საქ. სიძვ., II, 26); **იოთამ ამილახორი** (იქვე, 142), **იოთამ** ბარათიანთ თაყას შვილი (198), **იოთამ,** ბექუა მამასახლისის ძე (178); **იოთამისშვილი**

ერასტი – ნასყიდობის წიგნი დემეტრე ყაფლანიშვილისა, 1738 წ. (საქ. სიძვ., VI, 394); **იოთამისშვილები** იხ. **ბარათაშვილები // იოთამის შვილები.** გვარს სათავე დაუდო **იოთამ ბარათაშვილმა** (იხ. ბარათაანთ გვარის წიგნი, 1536 – 1538 წწ.). (კოდა). ი. ბარათაშვილთა შტო-გვარია

იორამიშვილი 159
*თბილისი 35*
*თელავი 21*
*რუსთავი 3*
იორამაშვილი 745

**იორამაშვილი//იორამიშვილი** (1721 წ.), **იორამ** (ებრ.) „ღმერთი მაღალია", ესე იგი „სიმართლე ღვთისა".

„**იორამიშვილი**, გვარით, ბერძენნი **იორის შვილები,** მოსრულნი ძველადვე საბერძნეთით და მუნიდგან იწოდებიან იორამიშვილებად, აზნაურად მიღებულნი" (საანდაზო ლექსები... 131); საკ. სახ. **იორამ** (ქართლ. ცხ., I, 372); **იორამ** (ისტ. დოკ., I, 23); „ქ. აბაშიშვილის დავითისა, 1721 წ. ქ. გოლთეთს **იორამაშვილი ელიზბარა**" (ვახუშტი, 116); იორამ, საბუთის დამწერი (დოკ., I, 137); **იორამ** ზაალ ბარათასშვილის შვილი (იქვე, 59); **იორამ,** „მოურავის შვილი თარხანი ბატონი იორამ" (27); **იორამა,** 1721 წ. აღწ. თეიმურაზ იორამისშვილი, გიორგის ძმა (1708 წ.) ქაიხოსრო ბარათას-შვილის მიერ სიონის ეკლესიისადმი გაცემული ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 136); იორამაშვილი შავერდა, ქიშვარ თუმანიშვილის ყმა (1721 წ.), თუმანიშვილების საკომლოების ნუსხა (დოკ., I, 123). (გოლთეთი, ელფია).

იორდანაშვილი 241
*თბილისი 59*
*კასპი 55*
*გარდაბანი 46*
იორდანიშვილი 434

**იორდანაშვილი // იორდანეშვილი // იორდანიშვილი** (1609 წ.), **იორდანე** (ძვ. ებრ.) – „მდინარე" „მდინარება". ეს სახელი ჰქვია მდინარეს პალესტინაში, აქედან ნაწარმოებია გვარები: **იორდანიშვილი, ჟორდანია (–იორდანია)** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 346); **იორდანია.**

**იორდანე ერგელისძე ძე** (ტბეთის მატიანე, XIII ს. 18); **იორდანე ჰიტაძე** (იქვე, 432); **იორდანა-ი** (საქ. საძვ., II, 405); **იორდანიშვილი დავით,** ხანდაკელი (1609 წ.), ნასყიდობის წიგნი სააკაძეთა (საქ. სიძვ., II, 51); **იორდანიშვილი იორდანე** (1666 წ.), ნასყიდობის წიგნი ჯავახიშვილებისა (საქ. სიძვ., II, 90); იორდანესშვილი ბარნაბე (1697 წ.), ნასყიდობის წიგნი მიქელიშვილებისა (საქ. სიძვ., II, 242); „ქ. ყარაბუდახიშვილი თამაზისა კლდეისას: 1721 წ. იორდანიშვილი სოლო-

მონ გიორგის ძე (1898 – 1953 წწ.).

ᲘᲝᲡᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ 723
თბილისი 179
თელავი 165
გორი 88
ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲔ 207
ᲘᲝᲡᲔᲑᲐᲫᲔ 25

**ᲘᲝᲡᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **იოსებ** (ებრ.) „გამრავლება", „მატება". სიტყვა-სიტყვით: „ის (ე. ი. ღმერთი) გაამრავლებს", „შეჰმატებს". კნინობითი ფორმებია: **სოსო, სოსია, სოსიკო, ოსიკო. იოსებ**-ისაგან ნაწარმოებია ქართული გვარები: **იოსებაძე, იოსებიძე, იოსებაშვილი, იოსეფაშვილი, იოსეფაიშვილი, ოსეფაშვილი** და სხვ. (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 346); **იოსებ-ი** [ა] ქართულში მეტად გავრცელებული სახელია. **იოსებ** – საბუთის დამწერი (დოკ., I, 146); **იოსებ** მთავარ დიაკონი, საბუთის დამწერი (იქვე, 417); **იოსებ** ურბნელი დეკანოზი (330); **იოსებ** ქარუმიძე (393); **იოსებ** მანგლელი, ჯავახიშვილი გოშპარის ძმა (საქ. სიძვ., I, 246); **იოსებაშვილი** საბა, მღვდელი (საქ. სიძვ., I, 331); **იოსებაშვილი** ელუა, მორჩენა (1721 – 1740 წწ.), ონელი ებრაელების: **ოსა არონაშვილისა** და სხვების მიერ ქაიხოსრო და სხვა წერეთლებისადმი გაცემული სათავდებო წიგნი (დოკ., I 449); „ქ. ციციშვილის ბაადურიშვილისა ზაალისა, 1721 წ. ქ. დიდაღეთს: ...**იოსებაშვილი გიუა**" (ვახუშტი, 33); „ქ. ბატონის ტფილელისა, ქ. ღოლოვნას 1721 წ. **იოსებაშვილი გოდერძა**" (იქვე, 47); კოდელმა **ანდრია იოსებაშვილმა** 1829 წელს ჯვარი დაიწერა თანასოფლელ აზნაურ **თადა ძაბილაშვილის** ასულ ელენაზე, გვირგვინი უკურთხა მღვდელმა აბრამა ხუროშვილმა. თავდებნი იყნენ სიმონ ზურაბაშვილი, სვიმონ ძაბილაშვილი, პავლე თათარაშვილი (489, აღწ. 6, № 76, ფურ. 5). (არდისუბანი, დიდი დაღეთი, კოდა, ლიყურეთი, მარაბდა, მონასტერი, ღოლოვნა, შავსაყდარი).

ᲘᲠᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2112
თბილისი 1036
მცხეთა 340
კასპი 176

**ᲘᲠᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1707), საკ. სახ. **ირემა** (საქ. სიძვ., II, 62). შდრ. ფოცხვერა, კურდღელა, ქურციკა, ტურია და სხვ.

ნ. **ირემა** ბექნიაშვილი, ქორდელი 1616 წ. კათალიკოზის ზაქარიას მიერ დავით და სხვა გედევანიშვილებისადმი გაცემული წყალობის წიგნი (დოკ., I, 16); „ქ. გერმანოზაშვილის ოთარის ყმა ქ. ვერხვნალას 1721 წ. ირემაშვილი" (ვახუშტი, 136); „დათუა ირემაშვილი, მეუღლე მართა, ვაჟები ვანო, გიორგი, ქალიშვილები ელისაბედი, ანახანუმი; სოსია ირემაშვილი, ძმა გიორგი ირემაშვილი, დები ბარბარე, თამ-

ერ, დედა მარიამი. ირემაშვილი, ბერო, მეუღლე ხორეშანი, ძმა სიმონ ირემაშვილი, დედა ნინო, ქალიშვილები: ტასო, დარეჯანი, სალომე, ბაბუა, მაია“ (ბორბალო, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, ი, 802, ფურ. 77 – 83); ერტისელმა დავით ირემაშვილმა 1826 წელს მონათლა ქალიშვილი სოფიო (489, 6, № 31, № 25); ბორბალოელმა სვიმონ ირემაშვილმა 1826 წელს ჯვარი დაიწერა ლოუბნელ გულუაშვილის ასულ თამარზე. თავდებნი იყვნენ ბორბალოდან: შოშიაშვილი თევდორე (489, 6, № 31; № 25); ერტისელ დავითა ირემაშვილს ეყოლა ქალი, მონათლა მღვდელმა გიორგი აზარიშვილმა. სახელი უწოდა სოფია. ნათლიად იყო ქალაქში მცხოვრები ივანე მებალიშვილი (489, № 6, საქ. № 31, ფურ. 154, 1826 წ.); კოდელ ქიტესა ირემაშვილს 1828 წელს ეყოლა ვაჟი, სახლი განთლა და მონათლა მღვდელმა აბრამმა, სახელი ეწოდა ნიკოლაოზ, ნათლია იყო თანსოფლელი აზატასშვილი (489, №, 6, 57, გვ. 8); კოდელმა ირემაშვილმა გრიგოლმა ჯვარი დაიწერა ტაბახმელელ ნინია გვარამის ასულ ანაზე. თავსმდებნი იყვნენ: დავით ეგაძე კიანელი, ისაია აზატაშვილი (489, № 6, 57, 1828 წ. ფურ. 22). (ბორბალო ერტისი, ვერხვნალა, კოდა).

| | |
|---|---|
| ირემაძე | 4554 |
| *ჩოხატაური* | *513* |
| *ოზურგეთი* | *480* |
| *ქობულეთი* | *435* |

**ირემაძე** (1721 წ.), საკ. სახ. **ირემა** (საქ. სიძვ. II, 62); **ირემია** (საამილახვ., დავთ., I); **ირმისა** (ალ. ღლ., 136); გიორგი ვარამაშვილის ძმა **ირემა**, **ირემა** ჯიმითელი, **ირემა** ბერიშვილი და სხვ. (დოკ., I, 543); ამავე ძირისაა: ირემაშვილი, მცოვრელი 1707 წ. სამართალი ვახტანგ VI-ისა პაპუა გერმანოზაშვილის ბუშის ბეჟუას საქმეზე (დოკ., I, 132).

**დიდ ირაგასა და ჯიგრაშენში ირემაძეები ბერძნებად იწერებიან.**

**ისაზაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ისა** (თუშ., ცოცან.), **ისა** (ა. გვენც., ქისტაური; ალ. ღლ., 136). შდრ. ისიდა, ისმახან, ისმილათ (ალ. ღლ., 278).

1817 წ. აღწ. სოფ. ვაშლოვანში თავად დიმიტრი ორბელიანის ყმად მოიხსენიება **პეპია ისაზაშვილი** (სცსსა, ფ. 254, № 1, ფ. 73 – 81).

**ისარლიშვილი,** წარმოშობით მესხეთიდან, თანამდებობის ტერმინი ისარელი (თურქ. ციხის მფლობელი, ციხისთავი), ადგ. გამოთქმით **ისარლიანთი** (ი. მაისურ., 80).

**ისრაელი** // ისარიელა ელჩი (ქრონიკ., III, 774). ისარლიშვილი (ისარლოვი) მომდინარეობს **ხურსიძე-ხურციძეთა** საგვარეულოდან, **ისარლიშვილიდანაა** გვარი **ციხისთავი**.

**იქნაძე** (1721 წ.), სავარ. მეტსახელიდან **იქნა** (ზმნიდან), „ქ. გერმანოზაშვილი დათუნას ყმა ქ. ვერხვნალას **იქნაძე თამაზა**" (ვახუშტი, 134). **იშხანაშვილი** (1721წ.) **იშხანი** – კ. მეფე ჰერეთისა, დისწული გურგენ ერისთავთ-ერისთავისა (ქართლ. ცხ., I, 266); **იშხანი**, თევზი ორაგულისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია სევანის ტბაში. **იშხანიკი**, ჰერეთის მეფე 943 – X ს. 60-იან წწ., ადარნას პატრიკის ძე.

| | |
|---|---|
| იშხნელი | 150 |
| *თბილისი* | *116* |
| *თელავი* | *7* |
| *ზესტაფონი* | *5* |
| იშხანიშვილი | 51 |

**იშხნელები**. დები იშხნელები, ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელთა ოჯახი, ვოკალური კვარტეტი დების: **ნინო** (1898 – 1967 წწ.), **თამარ** (დ. 1900 წ), **ზინაიდა** (1902 – 68 წ.) და **ალექსანდრა** ი.-ის (1904 – 1955 წწ.) შემადგენლობით 1955 წ.-დან ალექსანდრა ი. შეცვალა მისმა დამ **მარიამმა** (1889 – 1973 წწ.). ანსამბლი ოფიციალურად ჩამოყალიბდა 1941 წელს (ქსე, ტ. 5 288).

**იშხან-ა**, საქ. სახ. სოფ. მუხათი (იშხან ახუაშვილი).

„ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახბარისა ქ. აგვდანეთს: „**იშხანაშვილი ბადურა**" (ვახუშტი, 53). იშხნელები იმერეთში აზნაურები იყვნენ.

**იხვიშვილი** (1721 წ.), ფრინველთა სახელისაგან **იხვი** ნაწარმოებია გვარი. შდრ. **კოკონაშვილი** (ჰქვია იხვის ჭუჭულს), **გვრიტიშვილი, გნოლიძე, კაკაბაძე, კარანაძე** (ყარანაძე), **ყარანაშვილი, მიმინოშვილი, შევარდენაძე, კაჭკაჭიშვილი, მალაღურიძე, ქათამაძე** და მისთ. (იხ. ზ. ჭუმბ., 38).

„ქ. ქირმანის ხანისა, 1721წ. დურნუკს: „**იხვიშვილი თამაზა**" (ვახუშტი, 25).

კავთელაშვილი 72
თბილისი 23
ქარელი 16
ქუთაისი 12

**კავთელაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **კავთელა**, კავთელა საღორელი (1622 წ.), **ალათანგი** ხერხეულიძის მიერ ელფეხა გიორგისადმი გაცემული მამულის ნასყიდობის წიგნი (საქ. მუზ. Hd №2803); ამავე ძირისაა: **კავთიაშვილი, კავთიევსკი.**

**კავთელაშვილი** (1800 წ.), გიორგი XII-ის მიერ გიორგი ციციშვილისადმი გაცემული ეშიკაღასბაშობის წყალობის წიგნი (დოკ. II, 207). ამავე ძირისაა: **კავთიაშვილი.**

„ქ. გუდარეხს: ...კავთელაშვილი თამაზა“ (ვახუშტი, 135). (გუდარეხი).

კავთელიშვილი 111
თბილისი 53
დუშეთი 40
საგარეჯო 14

**კაკალაშვილი // ლაპიაშვილი** (1826 წ.), საკ. სახ. **კაკალა,** ამავე ძირისაა: **კაკალაძე, კაკალია** (ი. მაისურ., 82); სოფ. თონეთში ნინია იასეს ძე გარაძეს შვილს უნათლავს გიორგი კაკალას ძე კაკალაშვილი (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, გვ. 50); კოდელმა გიგია კაკალაშვილმა 1826 წელს თანასოფლელ ტეტია ლაზარეშვილს ქალიშვილი მოუნათლა (489, 9, №1); **ბადალა ლაპიაშვილი (კაკალაშვილი)** მოიხსენიება დიდ თონეთში 1843 წ. (254, 1, 2043, ფურ. 323 – 329).

კაკალაშვილი 613
თბილისი 301
კასპი 64
გურჯაანი 52

**კაკაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **კაკა** (საქ. სიძვ., III, 229); **კაკა** გერმანოზაშვილი მოიხსენიება 1797 წ. ბატონიშვილის ალმასხანის წერილში დედოფალ დარეჯანთან (საქ. სიძვ., III, 229).

„ქ. თულაშვილის ზაზასი ღვევს, 1721 წ. **კაკაშვილი**“ (ვახუშტი, 87); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო ქ. ქვემო ანტრაფს, 1721 წ. **კაკაშვილი ბერუა**“ (ვახუშტი, 7).

კაკაშვილი 1472
სიღნაღი 266
თბილისი 262
ქარელი 248

ᲙᲐᲙᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 70
ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ 2803
*ზუგდიდი 766*
*თბილისი 567*
*მარტვილი 307*

**ᲙᲐᲙᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **კაკოზა** იონაშვილი (იქვე, 154). (შდრ. ღლევ. კაკოზოვები).

**კაკოზაშვილი მამუკა** (საქ. სიძვ., II, 218) შდრ. აკაკი, კაკო (გუდარეხი).

**ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ,** ხურიტული სახელებია (კაკო-კაკუი გვხვდება აგრეთვე ფირდოუსის „შაჰ-ნამეში"). ამავე რიგში დგანან: **კაკა, კანკა, კიკა, კიკი, კიკო, კიკოლა, კაკული, კუკუ** და სხვანი. აქედან ნაწარმოებია გვარები: **კაკაშვილი, კაკიაშვილი, კანკავა, კიკნაძე, კიკიანი, კიკოლაშვილი, კაკულია, კუკულაძე** და სხვანი (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 266). (ასურეთი).

**ᲙᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. სახელი, წარმომდგარია ხელობამოსაქმეობის ტერმინიდან **კალა** (მკალავი). იგივეა მკალავიშვილი. **კალალა // კალა+ლი**. ენათესავება გვარს – **მაჭკალაშვილი** (იხ. **მაჭიკალი // მაჭკალაშვილი**). ფუძე იგივე მკალავია (მანგლისი).

ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ 977
*თბილისი 386*
*კასპი 134*
*თელავი 34*
ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘ 286

**ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), ხელობა-საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა **კალატოზი**.

**კალატოზი** თამაზა, გიორგი ქავთარაძის მემკვიდრე ყმა, 1720 წ. გიორგი ქავთარაძის მიერ ლევან რიკაძისადმი გაცემული ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 186; **კალატოზი** სანველა ჩიტოასშვილი (1736 წ.), იესე სოლაღასშვილის მიერ ქაიხოსრო ორბელისშვილისადმი გაცემული ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი (სცსსა, ფონდი 226, №4570); ბერუკა **კალატოზიშვილი** (1714 წ.), ზაალ ელიოზიშვილის მიერ ამილბარ მაღალაძისადმი გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნი (საქ. მუზ., № 1811); **კალატოზიშვილი** მელიქსედეკ – კონსტანტინე დავითაშვილის ვალის აღების წიგნი, 1727 წ. თებერვლის 22-ს (საქ. სიძვ., II, 339); „ქ. ფარემუზიშვილის ბეჟანის ყმა ქ. ჩხიკვთას, 1721 წ., **კალატოზიშვილი** გოგიტა, **კალატოზიშვილი** ბერია, **კალატოზიშვილი** ადუა. საწურბლეს ჩხიკვთიდამ ასული თარხანი ხატის ყმა: **კალატოზიშვილი** ბერუა, **კალატოზიშვილი** სეხნია" (ვახუშტი, 152 – 153).

ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲔᲚᲘᲫᲔ 1176
*თბილისი 495*
*ქარელი 220*
*ქუთაისი 100*

**ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲔᲚᲘᲫᲔ,** საკ. სახ. **კალმახი, კალმახელი**; საკმაოდ ცნობილ გვარს, **კალმახელიძეს** ფუძედ **კალმახელ**-ი აქვს გამოყენებული, აქ თევზის აღმნიშვნელ სიტყვა **კალმახ**-ს დართული აქვს სადაურობის მაჩვენებელი დაბოლოება **-ელ**. რაც იმ-

აზე მიუთითებს, რომ **კალმახელი** ამ შემთხვევაში გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს (სადაური? – **კალმახელი**).

ეს მართლაც ასეა. „ქართლის ცხოვრებიდან“ და სხვა ისტორიული ძეგლებიდან ირკვევა, რომ **კალმახი** დიდი ციხესიმაგრე და სამოსახლო პუნქტი იყო ძველ მესხეთში, კერძოდ ტაოში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე). ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს: **„ოორთომის მთიდან გამომდინარე წყალი ერთვის ჭოროხს, მიდის აღმოსავლეთით. ამ ხევზე არს ციხე კალმახისა დიდშენ, მაღალი და შეუვალი, იყო საერისთაო ტაოსი“.**

**კალმახის მფლობელი ერისთავები კალმახელებად იწოდებიან.** რა საფუძველზე უნდა დარქმეოდა ამ ციხეს კალმახი? იმ მთის მდინარეს, რომლის ხეობაში ხსენებული ციხე იყო აგებული, პირველად კალმახის წყალი ეწოდებოდა აქ თევზის სიმრავლის გამო. შემდეგ კი უშუალოდ კალმახი დაერქვა (ჩამოცილდა საზღვრული წევრი სიტყვა „წყალი“). მოხდა ისე, რომ მდინარემ თევზის სახელი მიიღო, ციხემ კი – მდინარისა. აქედან წარმოიშვა კალმახელი, ეს უკანასკნელი შემდეგ ადამიანის სახელად იქცა და გვარშიც ჩაექსოვა (კალმახელიძე).

სადაურობის გამომხატველი სიტყვის საკუთარ სახელად გადაქცევის მსგავსი შემთხვევები ქართული ონომასტიკის (სახელთამცოდნეობის) ისტორიაში უცხო არ არის. ამის დამადასტურებელია გვარები: **ორბელიძე, ბირთველიშვილი, ფავლენიშვილი, სურამელაშვილი** და სხვ.

წინაპართა სახელების, კაციას, ხოხიასა და თვალიკას მიხედვით, ქვედა ჟაშქვაში არის შტო-გვარები: კაციანთები, ხოხიანთები, თვალიკაიანთები (იხ. ი. მაისურაძე, კალმახელი, სოფელ. ცხ., 11. XII, 1979).

თევზებისა და მწერთა სახელებია წარმოდგენილი გვარებში: **თევზაძე, კალმახელიძე, კალმახიძე, კოღუაშვილი, კოღონია, მურღულია** (მურღული ერთგვარ მწერს ჰქვია მეგრულად: „ბუზარა“), **მუმლაძე, ქინქლაძე, ფუტკარაძე, ჯინჭველაშვილი**... (იხ. ზ. ჭუმბ., 316); ...იყო აგრეთვე მონასტერი **კალმახი** (საქ. სიძვ., II, 97);

შიო მღვიმის სიგელი (№ 38), 1250 – 1260 წწ. „...მოწამენი არიან ამასა დაწერილსა... მნათე: ელია: არსენი, კალმახელთა მწირველი: თევდოსი, ბასილი, გიორგი, გაზრდილი მათე ელიასძე და ყოველნი კრებულნი“ (ქრონიკ., II, 153). (მანგლისი).

კალანდაძე 5281
თბილისი 1714
ჩოხატაური 932
ოზურგეთი 520

**ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ** (1886 წ.), საკ. სახ. **კალანდა** (ალ. ღლ., 138); ზგდი. მნიშვნ. ახალი წელი (ლათინ.). ამავე ძირისაა **კალანდია, კალანდარაშვილი, კალანდარიშვილი** (ი. მაისურ., 82).

**მაკა კალანდაძე,** 1886 წ. აღწერით მოიხსენიება დიდ ენაგეთში (დლ. ჯორჯიაშვილი). მოგვიანებით გადასულან თბილისში (სცსსა, ფ. 254, 1609, ფურ. 51 – 62); შდრ. **ნავროზაშვილი** (დ/ენაგეთი).

კალაძე 1085
სამტრედია 427
თბილისი 316
ვანი 82

**ᲙᲐᲚᲐᲫᲔ** (1721 წ.), საკ. სახ. **კალა, კალე,** შემოკლებული ფორმა უნდა იყოს სახელებისა – **კალენიკე** ან **კალისტრატე**: შდრ. **კალა,** სოფელი და ისტორიული ძეგლი სვანეთში.

**კალაძეები** სოფლებში ირაგა (რეხა, წალკის რ-ნი), წინწყარო **კალაიჩევად** და ბერძნებად იწოდებიან. (არიან ჩაწერილები).

ამავე ძირისაა: **კალაშვილი** (პატარა ირაგა, წინწყარო).

კაპანაძე 18550
ჭიათურა 331
თბილისი 3066
ზესტაფონი 1667

**ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ** (1658 წ.), საკ. სახელი **კაპანა. კაპანა,** გვარში: **კაპანაძე** (ალ. ღლ., 139).

**კაპანა** (დავთ., II, 109); ზგდ. მნიშვ-ის სიტყვისაგან **კაპანი,** კლდოვან-ღორღიანი ფერდობი, „ქვაღოჯი" (საბა); **კაპანაძეები** სოფელია საჩხერის რაიონში (ილ. მაისურაძე, „ვეფხისტყაოსანი" მესხური რეალიები, ძეგლის მეგობარი, №8, 1966. 53 – 60; მისივე, ჩვენი გვარები და სახელები (გაზ. სოც. რუსთავი, 18. III. 1978); ხშირად **კაპანაძე** გვარს ერთოდა, მაგ. **კაპანაძე გიორგისშვილი გიორგი, კაპანაძე სეხნიაშვილი** სიმონა – XVIII ს. II ნახევარი. სოფ. არბოს მორიგეთა ნუსხა (საქ. მუზ., ფ. Hd №7865; დოკ., II, 81); ნასყიდა კაპანაძე, სისხლის ზღვევის წიგნი შაჰნავაზ პირველის დროისა, 1658 – 1651 წწ. (საქ. სიძვ., II, 135); ბოგვში მოხსენებულნი არიან 1851 წლიდან.

ქვ. ქართლში 1721 წ. აღწ. მოხსენიებულია სოფელი **კაპანეთი** (ვახუშტი, 70).

კაპრაშიძე 30
თბილისი 18
კასპი 11
გურჯაანი 1

**ᲙᲐᲞᲠᲐᲨᲘᲫᲔ** (1721 წ.), მეტსახელი **კაპრაშა.** შდრ. **კაპრანა** (ალ. ღლ., 139).

„ქ. გოჩაშვილისა, ქ. ლიპს, 1721 წ. (სამღერეთი) კაპრაშიძე მოლაშქრე" (ვახუშტი, 41).

**კარაბედაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **კარაბედა** (კოლხ. ს. მაკალ., 276, ალ. ღლ., 139). (სამღერეთი) საკ. სახ. (ქართლ. ცხ., I, 291); **კარიჭა,** გვარში **კარიჭაშვილი** (ალ. ღლ., 139); (სამღერეთი).

კარიჭაშვილი 259
გორი 190
თბილისი 64
რუსთავი 3

**კარიჭაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **კარიჭა** (კოლხ., ს. მაკალ., 276: ალ. ღლ., 139);

**კარიჭაშვილი ბერი** ატენელი (1729 წ.), ზაქარია გიორგაშვილის მიერ იორამ თარხნიშვილისადმი გაცემული პირობის წიგნი (დოკ., I, 229); „ქ. ციციშვილის-ზაალიშვილის ქაიხოსროსი სამღერეთს, 1721 წ. **კარიჭაშვილი მამაჯანა**" (ვახუშტი 34).

შდრ. **კარსუკანაშვილი** (სამღერეთი).

კასრაძე 1666
თბილისი 735
გორი 626
რუსთავი 111

**კასრაძე** (1885 წ.), წარმომდგარი ჩანს ტოპ. ჭურჭლის სახელწოდება – **კასრი.** შდრ. **გუდაძე, ტომარაძე, ჩაფიძე, ჩარექიშვილი, ჭურაძე...**

პატარა ენაგეთში მცხოვრებმა ივანე გიორგის ძე კასრაძემ შვილი მოუნათლა ალექსი ივანეს ძე მესტვირიშვილს (სცსსა, ფ. 4389, აღწ. 9, თ/წ.) დიდ ენახეთში მცხოვრებმა შალვა ნოეს ძე კიკო ტოაშვილმა ცოლად შეირთო თანასოფლელი სოფა გიორგის ასული კასრაძე. თავდები იყო ივანე გიორგის ძე კასრაძე (იქვე).

კაციაშვილი 1076
თბილისი 331
კასპი 303
გურჯაანი 156

**კაციაშვილი // ადამაშვილი** (1721 წ.), **კაციაშვილი** (1721 წ.) კაცია (ქართ.) საეკლესიო კალენდარში მიჩნეულია **ადამ**-ის შესატყვისად (მნიშვნელობით შეედრება ბერძნულ არსენს, „მამაცი", „ვაჟკაცი", გერმანული კარლ (ნიშნავს „მამაკაცს"). ფრანგული **შარლ,** ინგლისური – **ჩარლზ.** შდრ. ქართული **კაცია,** მეგრული **კოჩა.** გვქონდა სახელი – **კაცობა** (შდრ. მეგრული **კოჩობა**). აქედან მომდინარეობს გვარი **კაცობაშვილი. კაციასაგან** ნაწარმოებია გვარები: **კაცია, კაცაძე, კაციაშვილი** (იხ. ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 348-349); **კაც-ი** (საქ. სიძვ., I, 27); **კაცია** (დოკ., I, 104); (ქ. ცხნარს, ვახუშტი, 126); „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა, 1721 წ. ქ. ანდრიას, **კაციაშვილი ლამაზა**" (ვახუშტი, 121); ბელიკლიურში (დღევ. თეთრი წყარო) 1871 წელს მოიხსენიება **ნიკოლოზ ივანეს ძე კაციაშვილი (კაციოვი)** (სცსსა, მეტრ. წიგ., ფ. 489. აღწ. 9, თეთრი წყარო №1). (ანდრია, თეთრი წყარო).

| | |
|---|---|
| კაციტაძე | 1860 |
| *თბილისი* | *815* |
| *ჭიათურა* | *205* |
| *ამბროლაური* | *153* |

**კაციტაძე,** საკ. სახ. **კაციტ**-ა (საეკლ. საბ., I, 128). **კაციტა** მიღებულია სახელიდან – **კაცია**. **კაცია** (ქართ.) საეკლესიო კალენდარში მიჩნეულია **ადამ**-ის შესატყვისად. **კაციას** კნინობითი ფორმაა **კაციტა**, რომელიც დღეს შემონახულია მხოლოდ კაციტაძის გვარში. იხ. კაციაშვილი.

**კაციტა** მოხსენებულია მეფე სოლომონ II-ის მიერ კარის მღვდლის რაჟდენ ჯაფარიძისთვის ბოძებულ წყალობის წიგნში 1808 წ. ივნისის 14 (საქ. სიძვ., III, 263, 255).

**კაციტაძეები** ასურეთში გადმოსახლდნენ სხვავადან 1951 წ. (ამბროლაურის რ-ნი). (ასურეთი). რაჭაში ცხოვრობენ სოფლებში: ბარეული, ბუგეული, თლუღი, მიქარწმინდა, მუხლი, სორი, სხვავა, ჩორჯო, წედისი, ჭიბრევი, ხოტევი, ჯვარისა.

| | |
|---|---|
| კახელიშვილი | 171 |
| კახელაშვილი | 230 |
| კახეთელაძე | 21 |
| კახეთელიძე | 411 |
| კახელაძე | 27 |

**კახელიშვილი** (1885 წ.), სადაურობის სიტყვა **კახელი**. ამავე ძირისაა გვარები **კახელი, კახეთელიძე. კახელაშვილი, კახელაძე, კახეთელაძე**.

დიდ ენაგეთში 1885 წელს ივანე აბრამის ძე უსტიაშვილის თავდებად (ხელის მომკიდედ) მოიხსენიება **ბესარიონ დიმიტრის ძე კახელიშვილი** (სცსსა, ფ. 254, აღწ. 9, თ/წ. №1).

| | |
|---|---|
| კახიშვილი | 420 |
| კახაშვილი | 130 |
| კახიანი | 1315 |
| კახიაშვილი | 224 |
| კახიძე | 4848 |
| კახაია | 131 |

**კახიშვილი** (1692 წ.), საკ. სახ. **კახა, კახი** (ქართ.), საფუძვლად უდევს ქართველთა ერთ-ერთი სატომო სახელი **კახი**. შდრ. **ქართლოს, ივერი** და სხვანი (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ. 349); **კახა** (ალ. ღლ., 141). **კახი** (ფშ., ს. მაკალ., 147); **კახია** (საეკლ. საბ., I, 1); **კახია** (საქ. სიძვ., I, 27); **კახო** (თუშ., ს. მაკალ. 163); **კახა**-საგანაა ნაწარმოები **კახაბერ**-ი. ამ სახელით საქართველოს ისტორიაში ცნობილია არაერთი გამოჩენილი პიროვნება (იხ. გვარი ბერიშვილი); კახი იასე (1743წ.), ბერი ფარაღათასშვილის მიერ დავით გოსტაშაბიშვილისადმი გაცემული პირობის წიგნი (საქ. მუზ., №14, 218, Hd; დოკ., I, 314); **კახო საყურაძე** თუში (დოკ., I, 424); **კახიშვილი** – შინდელი, 1692 წ. ფიფინაშვილების მიერ ბერძენიშვილებისადმი გაცემული მამულის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 91); „ქ. კანჭაშვილის თომას ყმა ქ.მოძღვრეთს, 1721 წ. **კახიშვილი ბერუკა**“ (იქვე, 139); ბერია კახიშვილი მოიხსენიება ბოგვში 1714 – 1729

წწ. ზაზა საგინაშვილის მიერ ამილღაბარ გოსტაშაბიშვილისადმი გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 165).

ამავე ძირისაა: **კახაძე, კახიძე, კახაშვილი, კახიაშვილი, კახაბრიშვილი. კახ**-ძირისეულია აგრეთვე: გვარები – **კახაია – კახაილიში** (გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, 230), **კახეთელიძე, კახელი, კახელაშვილი, კახელიძე, კახიანი, კახიანიძე, კახნიაშვილი, კახოიძე, კახოშვილი, კახუაშვილი, კახურაშვილი** (ილ. მაისურ., 86):

„ქ. გერმანოზაშვილი დათუნას ყმა, 1721 წ. ქ. აბელიას: **კახიაშვილი**" (ვახუშტი, 132). (აბელია, ბოგვი, გუდარეხი, დვალთა).

**ქახნიაშვილი 1650**
*გორი 573*
*თბილისი 431*
*ზესტაფონი 378*

**ᲙᲐᲮᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1725 წ.), სავარ. საკ. სახ. **კახნია.** შდრ. **კახია** (საეკლ. საბა. I, 1): **კახნია** (საქ. სიძვ., I, 27); **კახო** (თუშ); ნ. **კახაბერ** (ალ. ღლ., 141).

**კახ** ძირისეულია: **კახაია, კახაილიში** (გ. კარტოზია, ლაზური, ტექსტები, 230), კახიში (ს. ჯიქია, ქართულ-თურქული ლექსიკონი, 1973, 270); **კახეთელიძე, კახელი, კახელაშვილი, კახელიძე, კახოიძე, კახოშვილი, კახუაშვილი, კახურაშვილი** (იხ. ილ. მაისურ., 86).

ბერი თევდორე და სეხნია კახნიაშვილები იხსენიებიან 1725 წ. 7 ივლისს ლევან მაჩაბლის მიერ გივი ამილახორისადმი გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 215).

**კახნიაშვილები** მარაბდაში ცხოვრობენ 1853 წლიდან... (მარაბდა).

**ᲙᲐᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ 135**
*მცხეთა 60*
*თბილისი 38*
*დუშეთი 23*

**ᲙᲐᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სახ. **კახია,** (ალ. ღლ., 141); **კახუა** (საქ. სიძ., I, 124), შდრ. **კახაბერი** შდრ.: **გოგიბერიძე, დოლაბერიძე** და სხვ. //**კახაბერიძე**; ამავე ძირისაა **კახაბრიშვილი; კახეთელიძე, კახელი, კახელაშვილი, კახელიძე, კახიანი, კახიაშვილი, კახიანიძე, კახიძე, კახნიაშვილი, კახოიძე, კახოშვილი, კახუაშვილი** (ი. მაისურ., 86); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა მონასტერს 1721 წ. **კახუაშვილი სეხნია**" (ვახუშტი, 58).

**ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 460**
*თბილისი 132*
*დუშეთი 98*
*დედოფლისწყარო 71*

**ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1474 წ.), **კედელა** მეტსახელი (ალ. ღლ., 141); საბა კედელასშვილი, მწიგნობარი, 1474 წ. (ქრონიკ., II, 293);

ამავე ძირისაა: კედელაძე. იხ. კედელაძე ბერუკა, საყვარელი (დოკ., II, 61): კედელაძე იესე (იქვე, 61).

კედელაძე 42
გორი 34
თბილისი 5
ბათუმი 2

„ქ. საგინაშვილის პაატას ყმა ქ. ხოპის: 1721 წ. **კედელაშვილი ბერია**" (ვახუშტი, 150): 1818 წელს სოფ. ვარდისუბნელმა სოლომონ დავითის ძე კედელაშვილმა ცოლად შეირთო დიმიტრი ინაშვილის ასული სოფა. თავდები იყო ივანე გიორგის ძე კედელაშვილი (სცსსა, ფ. 489 აღწ., 9, თ/წ. № 1); 1823 წლის აღწერით, სოფ. ვარდისუბანში (დღევ. შავსაყდარი) ივანე ბარათოვის ყმებად მოიხსენიებიან: ნინია კედელაშვილი, მეუღლე ნინო, ვაჟიშვილები: პაატა, გიორგი, გიგოლა, ქალიშვილები: ბარბარე, მართა. მამასახლისი ბერუა კედელაშვილი, მეუღლე მართა, ქალიშვილები — ნინო, ელისაბედი; სოსია კედელაშვილი, მეუღლე მართა (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 24-26); 1883 წელს ვარდისუბნელმა ივანე გიორგის ძე კედელაშვილმა შვილი მოუნათლა თანასოფლელ სოლომონ დავითის ძე ღვთისიაშვილს (სცსსა, ფ. 489. აღწ. 9, თ/წ . №1)

ვარდისუბნელმა სახაზინო ყმამ სოლომონ პაპას ძე **კედელაშვილმა** 1884 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა ვაჟი სვიმონი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1)

**კედელაშვილები** იგივე **კედელაურებია.** გადმოსულან მლეთის სოფელ გოგნაურიდან.

იხ. **კედელაშვილი, გოგნაური** (ს. მაკალ., მთიულეთი, 9). არდისუბანი, ვარდისუბანი, ხოპისი).

კეკელაშვილი 252
თბილისი 125
გორი 65
კასპი 35

კეკელიშვილი 123
თბილისი 68
გორი 39
ბოლნისი 2

**კეკელაშვილი // კეკელიშვილი** (1881 წ.), **კეკელა,** შემოკლებით **კეკე**, ქართული სახელია, ნიშნავს „მშვენიერს", „ლამაზს", „ტურფას" (შდრ. კეკლუცი). წინათ როგორც ქალს, ისე კაცსაც ერქვა (აქედან მოდის გვარები: კეკელაშვილი, კეკელიძე, კეკელია). ახლა თითქმის აღარ გვხვდება რადგან კეკელამ უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა („პრანჭია", „მეშჩანი ქალი") (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 391); საქ. სახ. ქალის **კეკელა** (მუხათი, **კეკელა დევლახაშვილი,** გ. 1938 წ.), ცნობილია მამაკაცის სახელი აშოტ (გ. 867 წელს) ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენილი, **აშოტ I,** კურაპალატის ძის ადარნასეს შვილი.

„აბრამ ზაქარიას ძე კეკელა(ი)შვილი, მოიხსენიება სოფ. საღირაშენის 1873 წლის კამერალურ აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №126, აღწ. №289. ფ. 675-686); საღირაშენში 1881 წ. ივანე ბეჟანის ძე ჩადუნაშვილის ქალიშვილ ანას მომნათვლელად მოიხსენიება თანასოფლელი იაკობ ზაქარიას ძე კეკელიშვილი (მეტრიჩ. წიგ., არქ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1, 1881 წ.);

საღირაშენელმა კეკელაშვილმა 1881 წელს მონათლა ვაჟი. მიმქმელი იყო გოლთეთელი ვასილ ზურაბის ძე ხრიკული (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); ფარცხისელმა ნიკოლოზ პეტრეს ძე კეკელიშვილმა მონათლა შვილი ალექსი, მიმქმელი იყო თბილისელი სიდონია თომას ასული, მღვდელი გიორგი პატარკაციშვილი (სცსსა, ფ. 48, აღწ. 9, თ/წ., 1, 1881 წ.) საღირაშენელმა იოსებ აბრამის ძე კეკელაშვილმა 1884 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა ვაჟა მიხაილი, მიმქმელი იყო გიორგი ბესარიონის ძე მჭედლიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ., 9, თ/წ. №1).

კეკენაძე 429
კეკიშვილი 214
კეკოშვილი 188
კეკუა 392
კაკუტია 720

**წინწყაროელი კეკელაშვილები ბერძნებად არიან ჩაწერილნი.**

**კეკეშვილი** (1873 წ.), **კეკი // კეკა, კეკე,** გვარებში: **კეკეშვილი, კეკაძე** (ი. მაისურ., 86).

„სოფ. საღირაშენში, 1873 წ. აღწ. მოიხსენიებიან: **ისაკ კეკეშვილი** და **კიკოლა კეკეშვილი**“ (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №126, აღწ. №286, ფ. 675-686).

ამავე ძირისაა: **კეკელია, კეკვაშვილი, კეკეიშვილი, კეკენაძე, კეკოშვილი, კეკუა, კეკუტია** (საღირაშენი).

კენკებაშვილი 334
*თბილისი 201*
*თეთრიწყარო 60*
*რუსთავი 33*

**კენკებაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **კენკება** (კენკიბა; კენკი + ბლსთი – ბა (ი. მაისურ., შდრ. საკ. სახ. **კენკია** (ალ. ღლ. 141); **კენკა** ფრინველთაგან მარცვლის ჭამა (საბა, 166).

„ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ლოუბანს, 1721 წ., **კენკებაშვილი იორდანე**“ (ვახუშტი, 140).

კენკებაშვილები სოფ. მარაბდაში გადასახლდნენ ლოუბნიდან დიდი სამამულო ომის შემდეგ.

კოდაში **კენკებაშვილი** ჩნდება 1781 წ. „ქ. ლოუბნელი **კენკებას შვილი** თევდორე“ (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 177); ლოუბნელმა

გიორგი **კენკებაშვილმა** 1818 წელს მონათლა შვილი ელენე მიმქმელი ყოფილა სოლომონ სომხიშვილი, მღვდელი გიორგი აზარიაშვილი (სცსსა, 489, 6, I, ბ.24. ფურ. 144); იგივე წელს კენკებაშვილმა მონათლა ვაჟი ისა, მიმქმელი იყო კაცია ვარამაშვილი (იქვე); გლახა კენკებაშვილი, მეუღლე ელისაბედი, ვაჟები: სოლომონი, იოსები, ისაკი. იაკობი, ძმა დიმიტრი მოიხსენიებიან 1823 წელს სოფ. ღოუბანში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ, 83-92); გიგოლა კენკებაშვილი, მეუღლე ელისაბედი, ვაჟი თევდორე, ქალიშვილები მართა, მარიამი, ანა, გიგოლას ძმა ბექან, მეუღლე ნინო, ვაჟი ზურაბი, შუათანა ძმა ვანო, მეუღლე ხანუმა, ქალიშვილები სოფიო, სალომე, უმცროსი ძმა დავით, დისშვილი დარეჯანი, დედა ნინო (ღოუბანი, 1823 წ. სცსსა, ფ. 1, 802, ფურ. 83-92); ღოუბნელმა ბექანა კენკებაშვილმა 1826 წ. მონათლა შვილი იოსები. მიმქმელი იყო თანასოფლელი ყულბერაშვილის მეუღლე (489, 9, №31, №25); ღოუბნელ ბექან კენკებაშვილს ეყოლა ვაჟი, მონათლა მღვდელმა გიორგი აზარიაშვილმა, სახელი უწოდა იოსები. ნათლიად იყო თანასოფლელი ყულბერაშვილის ცოლი მარიამი (489, №6, საქ. №31, ფურ. 154, 1826.); „ღოუბნელ დავით კენკებაშვილს 1828 წელს შეეძინა ვაჟი, სახელი ეწოდა სოლომონი. ნათლიად იყო გიორგი ბარამაშვილი" (489, აღწ. №6,57, ფურ. 57); ღოუბნელ გლახა კენკებაშვილს 1829 წელს შეეძინა ვაჟი, სახელი უწოდა გლახა (489, აღწ. №6, №76, ფურ.2); ღოუბნელმა ალექსანდრე კონიას ძე კენკებაშვილმა 1881 წელს შვილი მოუნათლა ერტისელ გიორგი თამაზის ძე მანაშვილს (სცსსა, ფ. 489. აღწ. 9, თ/წ. №1).

**კენკებაშვილები** ახალ მარაბდაში გადავიდნენ დიდი სამამულო ომის შემდეგ. (კოდა, ახალი მარაბდა, ღოუბანი).

**ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ** უნდა მომდინარეობდეს სახელიდან **კერა** (კოლხ., 25 ჯიხასკარი; **კერა-ი**, პ.ინგორ., 2, 135; ალ. ღლ., 141); **კერე** (კოლხ., 93, ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 141).

„სოფელ ბოგვში ალგეთისპირა ერთ-ერთ ბაღს ახლაც ეძახიან **„კერესელიძეების ბაღს"**. იტყვიან **„კერესელიძეების წისქვილსაც"**, რომელმაც მხოლოდ ამ 10-12 წლის წინათ შეწყვიტა მუშაობა, რადგან შეცვალა სოფელ ჯორჯიაშვილში აგებულმა ელექტროწისქვილმა. ეს წისქვილი საუკუნეზე მეტხანს ემსახურებოდა ბოგვსა და ახლომახლო სოფლებს. არის „კერესელიძეების სახლიც", მაგრამ

ამ სახლს თავისი პირვანდელი მფლობელის სახელი ვერ შერჩა, ხალხის ხსოვნამ მისი უკანასკნელი მფლობელის საგინაშვილის სახელი შემოინახა“.

... **ივანე კერესელიძე** იყო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი პოეტი, ქართული თეატრის ამაგდარი, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე და ქართული კულტურის ხალხში გამტანი.

1854 წელს ივანე კერესელიძემ ბოგვში შეიძინა ორასი დღიური მიწა, სახნავ-სათესი, პატარა ტყე. მოაშენა ვაზი, აიშენა ბინა, წისქვილი, შეიძინა საქონელი (**შალვა ამინაშვილი**, გაზ., „დიდგორი“, 1972 წ. №136, 14 ნოემბერი).

ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ 2330
*თბილისი 616*
*სამტრედია 454*

**ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ** საკ. სახ. **კვანტა** (კოლხ., 95, სუჯუნა); **კვანტალა** (მეტსახელი, ქვ. გომი, კასპის რ., ალ. ღლ., 142).

შდრ. **კვანტ-ი** (კუთხ.) იგივეა, რაც სარმა (საღირაშენი). შდრ. კვანტაშვილი, კვანტაძე, კვანტიძე.

ᲙᲕᲐᲮᲐᲫᲔ 466
*მცხეთა 195*
*თბილისი 125*
*ტყიბული 25*

**ᲙᲕᲐᲮᲐᲫᲔ,** საკ. სახ. **კვახა.** შდრ. **კვახო** (ალ. ღლ., 142); **კვახი // აყირო** (ბალ.) „ესეცა სამგუარნი არიან: აყირო, გოგრა და ხაპი“ (საბა, 27, 168).

ამავე ძირისაა: **კვახიაშვილები,** 1796 წ. 13 ოქტომბერი, არზა იოსებ ყორღანაშვილისა დაკარგული საბუთების განახლებაზე, ერეკლე II-ის ოქმით (ქსძ., VIII, 390).

**კვახაძეები** ასურეთში გადმოსახლდნენ 1941 წ. ზნაკვადან (ამბროლაურის რ-ნი). რაჭაში ცხოვრობენ სოფლებში: ზნაკვა, პატარა ონი, ხიმში, ჯვარისა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 265
*თბილისი 669*
*ქუთაისი 337*
*ცაგერი 260*

**ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **კვირიკე** (ბერძ.) „უფლისა“. ქართულში ადრიდანვე გვხვდება არაერთი ისტორიული პირის სახელად. მისგან ნაწარმოებია გვარები: **კვირიკაძე, კვირიკაშვილი, კვირიკეიშვილი, კვირიკიძე, კვირკველია, კვირკვაია, კვირკვია, კვირკვინია;** კვირიკეს შესატყვისია უფლისა (აქედან გვარი უფლისაშვილი). სომხურში ეს სახელი დაცულია **კირაკოს**-ის ფორმით. საერთოდ, უნდა აღინიშნოს რომ ბერძნული სიტყვა **კვირიოს** („უფალი“, „ბატონი“),

საიდანაც ნაწარმოებია **კვირიკე**, საფუძვლად უძევს აგრეთვე არაერთ სხვა სახელსაც, როგორიცაა, მაგალითად, კაცის სახელები: **კვირიონ** (კირიონ), **კვიროსი** (კიროსი), **კირიაკ, კირიან** და მათგან მიღებული ქალის სახელები: **კირა, კირიაკა, კირიანა** და სხვანი (იხ. ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 349); **კვირიკე** (საქ. სიძვ., III, დამატ. 3); **კვირიკე** (ქართლ., ცხ., 1, 263); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახორისა, 1721 წ. ქ. ვაკეს **კვირიკაშვილი** პაპუა, **კვირიკაშვილი** თამაზა, (ვახუშტი, 54).

| | |
|---|---|
| ᲙᲕᲘᲪᲐᲫᲔ | 56 |
| *თბილისი* | *26* |
| *თეთრიწყარო* | *20* |
| *რუსთავი* | *6* |

**ᲙᲕᲘᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲙᲕᲘᲪᲐᲫᲔ** (1860), საკ. სახ. **კვიცა** (ალ. ღლ., 140); ამავე ძირისაა **კვიცაშვილი, კვიციაშვილი, კვიციანი**. შდრ. **კვიწინაშვილი, კვიწინაძე, კვიწინია**.

სოფ. კოდაში დღევ. **კვიცაძეები** 1873 წ. აღწ., იყვნენ **კვიციაშვილები**. კვიციაშვილი გიორგი, შვილები, აჰაიე, იოსები, ზაქარია. გადმოსულან არაგვის საერისთაოს სოფელ ეთვალისიდან (დღ. დუშეთის რ.).

**ᲙᲕᲠᲘᲜᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), სავარ. მეტსახელი **კვრინუხა** ნაწარმოები ჩანს ქართული სახელიდან **კვირია** (კვირისა), ნიშნავს „კვირას დაბადებულს“ კვინუხა კვირიას („უფალი“), კვირინეს, კუერას (გ. მელიქიშვილის აზრით, კვირია უკავშირდება ურარტულ ღვთაებას **კუერას** და მისი პარალელური კნინობითი ფორმა უნდა იყოს (კოდა).

| | |
|---|---|
| ᲙᲘᲙᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 359 |
| *თბილისი* | *151* |
| *ყარელი* | *62* |
| *გარდაბანი* | *35* |

**ᲙᲘᲙᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. **კიკოლა**, იხ. **კიკოლა ბაჭვაძე, კიკოლა რაზმიშვილი** (დოკ., I, 288,65).

„აქავ საგინაშვილის კიკოლას ყმა ხოპელი კიკოლა“ (ივ. ჯავახ., სეიძ., I,173); **კიკო, კიკოლა, კიკოლიკი** ქართულში გავრცელებული სახელებია, გვხვდება ლიტერატურულ გმირთა სახელადაც (კიკოლაა. წერეთლის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ გმირია. კიკოლიკი ჰქვია გ. წერეთლის მოთხრობის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ პერსონაჟს. **კიკო** მაყვალა მრევლიშვილის საბავშო პოემის „ჭანჭიკელას“ გმირია. წარმოშობით ხურიტული სახელებია (ზ. ჭუმბ., 153); **კიკოლა** (1796 წ.), სია ახლად მოსული განჯელი სახასო ყმებისა გიორგი მეფის ოქმით. კიკოლას, დავითსა და ტეტიას

ივალებენ უპატრონონ განჯიდან მოყვანილ ყმებს (დოკ., II, 179); კიკოლა მღებარი (1802 წ.) ფარსადან ესიტაშვილის მიერ ნასყიდელასადმი გაცემული პირობის წიგნი (აქვე, 218); კიკოლა რაზმიაშვილი, დავით დავითისშვილის ყმა, რუისელი (დოკ., 1,65); **კიკოლაშვილი ბერი,** წყალობის წიგნი ზაალ დავითაშვილისა, 1804წ. (საქ. სიძვ., II, 507); **„ქ. ბალახაურს: აზნაურშვილი კიკოლაშვილი, 1721 წ."** (ვახუშტი, 337); 1818 წელს სოფელ ფარცხისში მოიხსენიებიან ილია ისაკის ძე და დავით ბერიას ძე **კიკოლაშვილები,** ხოლო **მიხეილ ზაქარიას ძე კიკოლაშვილი** ყოფილა დიმიტრი ინაშვილის ქალიშვილი სოფას თავდები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1) ენაგეთელ **მახარე კიკოლაშვილს** ეყოლა ქალი, მონათლა ანტონ ციმაკურიძემ, სახელი ეწოდა მაია, ნათლიად იყო თანასოფლელი გიორგი დონდუაშვილი (489. აღწ. 6, საქ. 31 , ფურ. 167, 1826 წ.) **ნიკო შიოს ძე კიკოლაშვილი,** ძმები **დათუნა, შალვა კიკოლაშვილები, შალვას** შვილი **სოლომონი,** ბიძაშვილები არსენ ზაქარიას ძე, სიმონ ივანეს ძე, მართლმადიდებელი სარწმუნოების, ქართველები მოიხსენებიან დიდ ენაგეთს 1873 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ., 9, თეთრი წყარო 1); ენაგეთელმა სვიმონ ივანეს ძე კიკოლაშვილმა მონათლა ვაჟი ივანე. მიმქმელი იყო ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თიგიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ., 9, თეთრი წყარო 1); დიდ ენაგეთელმა **შალვა შიოს ძე კიკოლაშვილმა** და მისმა მეუღლემ ქეთევან აბრამის ასულმა 1881 წელს მონათლა შვილი გიორგი, მიმქმელი იყო ბოგველი იოსებ გიორგის ძე ყრიალაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ., 9, თ/წ. №1); ფარცხისელმა **დავით ბერუას ძე კიკოლაშვილმა** 1885 წელს შვილი მოუნათლა თანასოფლელ დავით გიორგის ძეს ლომსაძეს (სცსსა, ფ. 489, 9, თ/წ. 1); მიხეილ ზაქარიას ძე კიკოლაშვილი 1885 წელს ირთავს ცოლს, მეჯვარედ მოიხსენიება დავით შიოს ძე ჯოიაშვილი, იქვე, 1885 წ.); ამავე წელს ქორწინდება შალვა შიოს ძე კიკოლაშვილი (იქვე). (ბალახაური, ბოგვი, დიდი ენაგეთი, ენაგეთი, კოდა, ფარცხისი).

**ᲙᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ** (1886 წ.), საკ. სახ. **კიკოლა** (დოკ., I, 288); კიკოლია (ალ.ღლ., 144). შდრ. **კიკოლაშვილი.** (კიკოლაშვილების წინარე გვარია არსაკიძე (არსაკაძე, ასრაკაძე ი. ა.).

**თედო კიკოლაძე** 1885 წ. გადმოსულა სოფ. ენაგეთში ქუთაისის მაზრის სოფ. ობედათიდან (სცსსა, ფ. 254, №3, 1609, ფურც. 51-56).

| | |
|---|---|
| კილასონია | 2514 |
| სენაკი | 539 |
| თბილისი | 416 |
| მარტვილი | 325 |
| კილასონიძე | 23 |
| კილოსანიძე | 22 |

**კილიასანიძე** (1858 წ.), რთული სახელი, **კილა, კილია** (გვარში **კილაძე**, კოლხ., 110, გალი; ალ. ღლ., 144); **სან-ი** (ქალის სახ. თუშ., ჯოყოლო, ახმეტის რ., **სანა,** სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 296); აქედან მომდინარეობს კილია+სანი. „1858 წ. აღწ. ბორბალოში მოიხსენიება სპირიდონ კილიასანიძე" (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 269-270).

შდრ. **კილასონიძე, კილოსანიძე, კილასონია** (ბორბალო).

| | |
|---|---|
| კირაკოზაშვილი | 187 |
| საგარეჯო | 116 |
| თბილისი | 48 |
| რუსთავი | 10 |

**კირაკოზაშვილი** (1698 წ.), საკ. სახ. **კირაკოზ** მომდინარეობს ბერძნული სახელიდან **კირიაკ** („უფლისა"). **კირაკოზა** მურაჩაშვილი, რეხელი (დღევ. წალკის რ. ქართ. სოფელი) შეტანილია თუმანაანთ ყმების მამულის ნუსხაში, 1700-1719 წწ. (დოკ., 1, 113); **კირაკოზაშვილი** შავერდა მოწმეა 1698 წ. ზურაბ ყარჩიხაშვილის მიერ, ვალის დაფარვის მიზნით, ელესე დმანელისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნის (დოკ., I, 106); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახორისა ქ. აგვდანეთს, 1721 წ., ბოგანო **კირაკოზაშვილი** მოლაშქრე" (ვახუშტი, 53); „ქ. ციციშვილის-ზაალიშვილის ქაიხოსროსი, 1721 წ. ქ. სამღერეთს **კირაკოზაშვილი** მერაბა" (იქვე, 34).

შდრ. სომხ. **კირაკოსიანი, კირაკოსოვი. კირაკოზოვი** 248 სული, არიან ქართველებიც და სომხებიც. (აგვდანეთი, სამღერეთი, ლიპი).

| | |
|---|---|
| კერვალიშვილი | 777 |
| თბილისი | 340 |
| ონი | 139 |
| ამბროლაური | 83 |

**კირვალიძე // კერვალიძე** (1721 წ.), გვარად ქცეული პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა **მკერავი**. შდრ. „ქ. არის გიორგი წმინდას ბატონის ყმა: **მკერვალის შვილი გიორგი**" (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 9).

| | |
|---|---|
| კერვალიძე | 123 |
| თბილისი | 59 |
| დუშეთი | 16 |
| ახმეტა | 7 |

„ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო, ქ. ზემოანტრიფს, 1721 წ. **მკერვლიშვილი გიუა**" (ვახუშტი, 8).

| | |
|---|---|
| მკერვალიშვილი | 147 |
| მკერვალიძე | 109 |
| მკერვალი | 28 |

ამავე ძირისაა: **მკერვალიშვილი, კერვალიშვილი.**

**მკერვალიშვილი** იყო ორბელიანთა შტოგვარიც. 1823 წლის

აღწერაში სოფ. კოდაში მოიხსენიება პოდპოლკოვნიკი **ლუარსაბ ორბელიან-მკერვალიშვილი** (ცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 43-76).

„კუმისს მცხოვრებ **მებატონე-აზნაურის ზურაბ მკერვალიშვილის** 22 წლის ყმამ პირველითა ქორწინებითა 1832 წელს იქორწინა წავკისში მცხოვრები მებატონის ანდრია ყარაევის (ყარაშვილის) ყმის 16 წლის ელისაბედ გიორგი დავითაშვილის ასულთან, გვირგვინი უკურთხა მღვდელმა იოანე აღნიევმა" (ფ. 489, აღწ., 6, საქ. 150, ფურ. 43).

**მკერვალიშვილი დათუნა დანიელის ძე,** იასე, შიო, ბერა, დანიელა, თამაზა, კიკოლა, შიო მკერვალიშვილები იხსენიებიან (კოლ. 1448, 4396, 4586,5323).

ვაშლოვანში მცხოვრებ აზნაურს, ზაალ კერვალიშვილს, 1822 წ. დაებადა ვაჟი. სახელი განათლა და მონათლა ერტისის სოფლის წმინდა გიორგის ეკლესიის შტატის მღვდელმა გიორგი აზარიაშვილმა. სახელი უწოდა იოსები. ნათლიად იყო თავადი ზაზა სოლოღოვი (სოლოღაშვილი) (ფ. 489, №6, 14, ფურ. 15-26). (ასურეთი, კოდა, ვაშლოვანი)

**ᲙᲜᲘᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), **კრიაზი** (რუს.) თავადი (იგივეა, რაც თავადიშვილი).

„აქვე ბოგანო კნიაზაშვილი მარქარა და ბექანა" (ვახ., სეიძ., I, 167). (ვაშლოვანი).

ᲙᲝᲑᲐᲘᲫᲔ 1831
*თბილისი 686*
*დუშეთი 219*
*თეთრიწყარო 190*
ᲙᲝᲑᲐᲫᲔ 146

**ᲙᲝᲑᲐᲘᲫᲔ** (1774 წ.), საკ, სახ. **კობა,** სარეკომ. სია, 18; **კობა-ი,** ხევ. (ს. მაკალ., 168). **კობა** (თანამედრ. ქართ. სალიტ. ენის ნორმები, 1986, 233): გვარის თიკუნებია: **ბექანიანი, ლაბიანი, მახარიანი, მაგლიანი** (მაკალ., მთიულ., 78); „**კობაიძე** უძველესი გვარია, ხალხური თქმულება მას ვახტანგ გორგასლანის ხანას უკავშირებს. მათ წინაპარს მთიული ქალი შეურთავს და კობათკარში (ჩირიკი) დასახლებულა" (ს. მაკალ., მთიულეთი, 1930, 80); ამავე ძირისაა: **კობალავა, კობალაძე, კობაური, კობაჩიშვილი, კობაძე,** (ადრინდელი გვარია კოპასძე), **კობელაშვილი, კობეშავიძე, კობიაშვილი, კობინაშვილი, კობაიძე:** კობიანთკარი სოფელია დუშეთის რაიონში (იხ. ილ. მაისურ., 89-90); ვახუშტის მიხედვით, 1774 წ. ცხაოტს მოიხსენიებიან ჩირიკის არაგვის ერისთავის ყმა ამისივე სახელო: ქ., **კობაიძე ერისშვილი,** ლომი, თითილა, ავთანდილ, ამონა, ელისბარ, გივი; აქვე

კობაიძე-ციხელაშვილი ივანე და მოსია და სხვ. (454) (ასურეთი).

**ᲙᲝᲑᲐᲫᲔ** (1886 წ.), საკ. სახ. **კობა** (სარეკ. სია, 18); მოიხსენიება სოფ. ვარდისუბანში (იმავე შავსაყდარში, 1886 წ.) (სცსსა, ფ. 254. №3, 1611, ფურც. 155-173). გადასულა სოფ. ბორბალოდან 1886 წ. ივნისში (ვარდისუბანი იგივე შავსაყდარი). როგორც ითქვა **კობაძე კოპაძედან** მოდის.

ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ 7271
*თბილისი 2350*
*ზესტაფონი 1086*
*ამბროლაური 645*

**ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ,** სავარ. საკ. სახ. **კობა**-დან უნდა მომდინარეობდეს. „კობახიძენი იმერეთს ჩანან, იმერეთიდამ ქართლს, მოვიდნენ იმერეთს 902 წ. და შერაცხილ იქნენ აზნაურად" (საანდაზო ლექსები... 136). იხ. გაბრიელ და ვასილ კობახიძეები, 1793 წ. 27 ნოემბერი, არზა გაბრიელ და ვასილ კობახიძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით (ქსძ. VIII, 249); **კობახიძე გაბრიელ აზნაურაშვილი,** მღვდელი (იქვე, 250); „ბოგველმა ბერიკა კობახიძემ (1828 წ) ჯვარი დაიწერა ენაგეთელ გოგიას ასულ მართაზე (489, ალწ. №6, 57, ფურ. 29).

**ასურეთში კობახიძეები გადმოსახლდნენ 1941 წ. ხოტევიდან (ამბროლაურის რ-ნი).** რაჭაში ცხოვრობენ სოფლებში: ამბროლაური, ახალსოფელი, ბაჯი, ბუგეული, თლუღი, თხმორი, კაჩაეთი, კვაცხუთი, ნიკორწმინდა, სამთისი, სხარტალი, სხიერი, ქედისუბანი, **ხოტევი,** ჯვარისა.

ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ 2628
*თბილისი 1055*
*გორი 221*
*ჭიათურა 196*

**ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ** (1779 წ.), ამ გვარის მაწარმოებლად ზ. ჭუმბურიძეს სიტყვა **ბერი** მიაჩნია, ისევე როგორც **ძე** და **შვილი** (ბერე ჭანურად „შვილს", „ვაჟს" ნიშავს). ასე რომ, გვარი იქნებოდა **კობირეკოიძე,** ისევე როგორც **გიორგბერე** (გიორგიშვილი ბერე — „გიორგის ძე", შდრ. გიორგაძე, გიორგიძე); ასევე: გოგიბერე (გოგიძე, გოგიშვილი) და ა. შ.

**„კობერი".** როგორც ტაძარი, მოიხსენიება 1292 წ. შეუკეთებია გიორგი ბერს (ქრონიკ., II 168).

„**კობერი** და **ამუჯი** მაშინ ქართველთ სოფელი იყო, აწ გასომხებულნი" (იქვე, 168).

**ფეშანგი კობერიძე,** მოხსენებულია 1779 წ. 4 მარტს (სცსსა, ფონდი 1450, დავთარი №31, საბუთი №73).

**ივანე კობერიძე** მოხსენებულია 1789 წლის 22 სექტემბერს, არზაში ივანე კობერიძის გამოსაღების თაობაზე, ერეკლე II-ის ოქმით (ქსძ, VIII, 21); კობერიძე, 1796 წ. 25 ივლისი (საქ. სიძვ. I, სძ., VIII, 932); მოიხსენიებიან გიორგი, დათუნა, ზაქარია, თაზუნა, ივანიკა,

კაციელა, კაციტა, დათუნა, მამუკელა, მახარე, ნინიკა, ნინუკა, პაპუნიკა, რამზიკა, როსტევან კობერიძეები (სცსსა, კოლექცია, №1448. ნაწ. III). შდრ. **კობერაული** (იქვე).

ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
1875
*თბილისი 630*
*თელავი 366*
*გურჯაანი 330*

**ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1714 წ.), საკ. სახ. **კობა** (სარეკომ. სია, 18); **კობა-ი** (ხევს., ს. მაკალ., 168); **კობია** (ალ, ღლ., 145).

**კობა** (ქართ.) მიჩნეულია **იაკობ-**ის შემოკლებულ ფორმად, მაგრამ ამგვარი დაკავშირება გვიანდელი ამბავი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში. კობა ქართულში დამოუკიდებელ სახელად არის ქცეული, ეს სახელი ჰქვია ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის" გმირს.

„კობიაშვილი მოიაზრება კახთა უფროსად, გამოჩენილი გმირობისათვის ამისი ყუბილახანის მეფეთა მიიღეს **აზნაურად 1253 წ.** და იწოდებიან **კობიაშვილებად**" (საანდაზო ლექსები... 128); იოსებ კობიაშვილი მოწმედ მოიხსენიება ირდისუბანს 1714 წ. ზაზა საგინაშვილის მიერ ასლამაზ ჩაჩიკასშვილებისადმი გაცემულ ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ. I, 164).

ამავე ძირისაა: **კობაიძე, კობიძე** (ირდისუბანი).

ᲙᲝᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 98
*თბილისი 40*
*რუსთავი 34*
*მცხეთა 6*

**ᲙᲝᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **კოკა** (ი. მაისურ., 90): **კოკა** (კოლხ., 51, გეჯეთი: სტუდ, კოლექცია, ალ. ღლ., 145); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო, ქ. სამეხრეოს (დლევ. წინწყარო), **კოკაშვილი ყაზარა**, 1721 წ". (ვახუშტი, 10); ამავე ძირისაა: **კოკაია** (ლეკოკაიე, სენაკის რ.), **კოკაური, კოკელაშვილი, კოკელაძე, კოკიაშვილი, კოკილაური, კოკილაშვილი** (იხ. ი, მაისურ., 90. სამეხრეო (წინწყარო).

ᲙᲝᲙᲐᲘᲐ 499
*მარტვილი 357*
*სენაკი 285*

**ᲙᲝᲙᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **კობა**, სავარ. მეტსახელი. „ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა მონასტერს (ალგეთის) 1721 წ. **კოკბაშვილი შალვა**" (ვახუშტი. 144). შდრ. კოკობი მონასტერი (ალგეთის). **კოკა+ბა+შვილი** (ი. ა.).

ᲙᲝᲙᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 453
*ქარელი 152*
*თბილისი 98*
*თიანეთი 85*
ᲙᲝᲙᲝᲖᲝᲕᲘ 55
(იგივე კოკოზაშვილი)

**ᲙᲝᲙᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ, საკ. სახელი **კოკოზა**, შდრ. კოკოლა, კოკონა, კოკორა,

კოკოში (ალ. ღლ., 146) „ქ. მიტაშენს მსახლობელი ზურაბის ყმა 1721 წ. **კოკოზაშვილი შავერდი**“ (ვახუშტი, 334).

**კოკონაშვილი** (1721 წ.), **კოკონა,** პატარა იხვი (ფრინ. საბა); საკ. სახ. **კოკონა** (დოკ., I, 128); **კოკონა** იასაშვილი (1680 წ.), გიორგი და სხვა იასეშვილების მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი გაცემული ყმების ნასყიდობის წიგნი (საქ. მუზ., №2239 Hd; დოკ. I, 433); „ქ. მანგლისის ყმა მანგლის: **კოკონაშვილი აბრამა** 1721 წ.“ (ვახუშტი, 110); „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში, ქ. ბალახაურს, 1721 წ. აზნაურიშვილი ხოსრო კოკონაშვილი“ (ვახუშტი, 159) (მანგლისი ბალახაური).

კოლაშვილი 69
*თბილისი 38*
*გარდაბანი 13*
*თელავი 7*

**კოლაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **კოლა,** დამოწმ. სოფ. მუხათში **კოლა ბაჯიაშვილი, კოლა გიგოლაშვილი** (ი. ა.). **კოლა** ნიკოლოზის კნინობითი ფორმაა. **კოლა** (ხევსურ., ხახმატი, ალ. ღლ., 146); **კოლია** (საეკლ., საბ., I, 105); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო, 1721 წ. ქ. სამეხრეოს (წინწყაროს) **კოლაშვილი ბექუა**“ (ვახუშტი, 10); გოლთეთელმა ალექსი ივანეს ძე კოლაშვილმა 1883 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა შვილი გიორგი, მიმქმელად იყო სადირაშენელი გლეხი მიხაილ გიორგის ძე ცქრიალაშვილის ცოლი სიდონია პავლეს ასული (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ №1) (გოლთეთი, სამეხრეო, დღევ. წინწყარო).

კონიაშვილი 359
*თბილისი 138*
*საგარეჯო 132*
*კასპი 52*

**კონიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **კონა** (ტბეთის მატიანე, 227); **კონია,** მოიხსენიება 1798 წ. გიორგის შვილ სვიმონას ვახტანგ ყაფლანიშვილისადმი გაცემულ ნასყიდობის წიგნში (დოკ., II, 196); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახორისა ქ. მარიამს 1721 წ. **კონიაშვილი ბასილა, კონიაშვილი გიორგი**“ (ვახუშტი, 55); **პავლე გიორგის ძე კონიაშვილი** 1871 წელს მოიხსენიება სოფელ ვარდისუბანში მოსახლედ (სცსსა, მეტრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1, დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესია (ვარდისუბანი, მარიამი).

**კონჩაძე // კოჩაძე** (1843 წ.), საკ. სახ. **კოჩა** (ალ. ღლ., 148); **კოჩა** (ქართ.) კაცია კოლხური ფორმაა. მნიშვნელობით უკავშირდება **არსენას, კარლოს** (არსენ. ბერძ. — ჯანმრთელი, უვნებელი,

უცნებლად დარჩენილი); **კარლო** იტალიური ფორმაა ძველი გერმანული სახელისა და მამაკაცს ნიშნავს.

| | |
|---|---|
| კოჩაძე | 890 |
| *ხარაგაული* | *167* |
| *ქუთაისი* | *166* |
| *ბაღდათი* | *127* |

**ᲙᲝᲩᲐᲫᲔ** – 1782 წ. როსტევანაშვილის საიკასა და სხვათა მიერ მირზა იბრეიმასშვილი გოგიასადმი გაცემული ბატონყმობის წიგნი (დოკ., II, 125).

**კოჩაძე ოსიაურელი** (1789 წ.) გიორგი მირზა იბრეიმასშვილის მიერ ერეკლე II-ისადმი გაცემული არზა (იქვე, 151); „**საბა კონჩაძე**" (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფურც. 271).

ამავე ძირისაა: **კოჩებაშვილი** (კოჩიბაშვილი) **კოჩინაშვილი. კოჩუაშვილი.** შდრ. **კაციტაძე, კაციაშვილი** (ლოუბანი).

| | |
|---|---|
| კორიაშვილი | 670 |
| *თბილისი* | *156* |
| *სიღნაღი* | *136* |
| *ლაგოდეხი* | *128* |

**ᲙᲝᲠᲘᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1826 წ.), საკ. სახ. **კორე** (თუშ., გ. ცოცანიძე); **კორია** (მეტსახელი, შემონახულია გოგიაშვილის გვარის განშტოებაში: **კორაანთი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 330; მარაბდელმა იოსებ კორიელაშვილმა 1826 წ. სოფ. კოდის წმ. გიორგის ეკლესიაში მონათლა ვაჟი ივანე (489, 6, №28, 1826); „1832 წელს მარაბდელ თავად გიორგი ბარათოვის გლეხს იოსებ ივანეს ძე კორიელაშვილს შეეძინა ვაჟი თევდორე, სჯულიერის ცოლ თამარს შიოს ასულთან. სახელი განათლა და მონათლა მღვდელმა იაკობ ნამაზაშვილმა" ამავე ძირისაა კორაშვილი, კორახაშვილი (ფ. 489, აღწ., 6, საქ. 150, ფურ. 22). **ნამაზა** გიორგი ეუაშვილის მეტსახელი (მუხათი, მარაბდა).

**ᲙᲝᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.) მეტსახელი **კორიკა.** ქსნის ხეობა, ლარგვისი (ალ. ღლ., 146). „ქ. ციციშვილის-ზაალიშვილის ქაიხოსროსი სამღერეთს: – **კორიკაშვილი მამუკა**" (ვახუშტი, 34).

| | |
|---|---|
| კორახაშვილი | 134 |
| კოსტანიშვილი | 35 |
| *ახალციხე* | *31* |
| *ადიგენი* | *1* |
| *გურჯაანი* | *1* |

**ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), ლათ. „უმტკიცესი", „ურყევისა", „მედგრისა" (იგულისხმება: „შვილი"). შემოკლებული ფორმებია: **კოტე,** კნინობითი ფორმაა **კოტეტი, კოსტია, კოწია, კოწო** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 351); **კოტია, კოტიტა** (ალ. ღლ., 147); კონსტანტინეს კნინობითმა ფორმამ კოსტიამ, კოსტამ მოგვცა გვარი **კოსტანაშვილი,** იხ. ზურაბა კოსტანაშვილი, წილკნელი (საქ. სიძვ., I, 344).

ამავე ძირისაა: **კოტეტიშვილი, კოსტავა** (მუხათი).

| | |
|---|---|
| კოტეტიშვილი | 101 |
| *თბილისი* | *88* |
| *კასპი* | *7* |
| *მცხეთა* | *2* |

**კოტეტიშვილი** (1703 წ.), საკ. სახ. **კოტეტი** (იხ. ნ. ბერძენიშვილი. მასალ. საქ. ეკონ. ისტ., III, 204), **კოტა+ბლსრთი ეტ**; შდრ. **კოტაშვილი, კოტია, ჟოტარია, კოტიშაძე, კოტუა** (ი. მაისურ., 92); „**აზნაური კოტეტის შვილი.** ამათ წინაპარს ეწოდა სახელად კონსტანტინე. გარნა ეძახდნენ კოტეტსა და ამის გამო გაუგვარდათ შთამომავლობათა მათთა **კოტეტის შვილობა,** ესენი არიან ძველი აზნაურნი, არამედ მეფემან თეიმურაზ 1703 წ. უბოძა მღვდელსა კოტეტსა და შვილთა მისთა აზნაურობა, რადგან კარის ეკლესიის დეკანოზი იყო, აწ **კოტეტის ეკლესიად წოდებული ტბილისსა და შვილთა მისთა აზნაურობა,** რადგან კარის ეკლესიის დეკანოზი იყო, აწ კოტეტის ეკლესიად წოდებული ტბილისსა შინა სამეფო სასახლის ადგილსა და არიან მოხსენიებულ ტრაქტატსა შინა" (საანდაზო ლექსები... 75); **ვახტანგ ილიას ძე კოტეტიშვილი** (24.X. 1893, სოფ. დიდი თონეთი, 1937), ქართველი ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე. **ვახუშტი ვახტანგის ძე კოტეტიშვილი** (დ. 4. VIII. 1935, თბილისი), ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ირანისტი, მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. **ვლადიმერ (ლადო) ილიას ძე კოტეტიშვილი** (22.XI.1894 წ., სოფ. დიდი თონეთი; 18.11.1940, თბილისი), ქართველი ექიმი, ნევროპათოლოგი, ქართველი მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი (დიდი თონეთი).

| | |
|---|---|
| კოტორაშვილი | 894 |
| *მცხეთა* | *298* |
| *თბილისი* | *235* |
| *ახმეტა* | *106* |

**კოტორაშვილი** (1721 წ), საკ. სახ. **კოტორა** (ისტ. დოკ., I. 19); **კოტორა** (ძვ. საქ. IV, განყ III, 48 ალ. ღლ., 147); დანელა კოტორაშვილი, 1749 წ. ვარამ დიასამიძის მიერ ივანე ნასყიდაშვილისადმი გაცემული აზატობის წიგნი (დოკ., I, 340).

„...ქ. საღირაშენს ამათი (როსტომისა და გუგუნას, ი. ა.) ყმა ...კოტორაშვილი (ალ. ღლ., 147). ამავე ფუძისაა: **კოტორეიშვილი.**

| | |
|---|---|
| კოღუაშვილი | 759 |
| *ქუთაისი* | *349* |
| *წყალტუბო* | *271* |
| *თბილისი* | *76* |
| კოღუა | 213 |
| კოღოშვილი | 76 |

**კოღუაშვილი** (1713 წ.), **კოღუა,** მეტსახელი გვარში: **კოღუაშვილი** (ალ. ღლ., 147): Комаров (Никонов, 194; ი. მაისურ., 92); ბერუა კოღუაშვილი მოიხსენიება ენაგეთის ახალშენს

1713 წ. კათალიკოს დომენტის მიერ ამილბარ და სხვა მაღალაძეებ-ისადმი გაცემულ გაყრილობის წიგნში (საქ. მუზ., Hd №8257). ამავე ძირისაა: **კოლუა, კოლოშვილი.**

**კოციაშვილი** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **კაცია**-ს კნინობითი ფორმა **კოცია.** საკ. სახ. **კაცია** (ვახუშტი, 422). „ქ. ავაზას მსახლო-ბელი (1721 წ.), დეკანოზი რომანოზ, ამისი განაყოფი **კოციაშვილი**" (ვახუშტი, 3332) (ავაზანი).

| | |
|---|---|
| კოხაძე | 26 |
| კოხოძე | 661 |
| *ბაღდათი* | *383* |
| *ქუთაისი* | *124* |
| *თბილისი* | *48* |

**კოხაძე // კოხოძე** (1843 წ.), **კოხ**-ი მეტსახელი (ა. გვენც., ანაგა; ალ. ღლ., 148); **კოხო,** მეტსახე-ლი გვარში **კოხოძე** (ალ. ღლ., 148); „სოფ. პა-ტარა თონეთის 1843 წ. აღწერაში მოიხსენიებ-ან სოსია და მურად კოხაძეები (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 323-328).

ამავე ძირისაა: **კოხია, კოხიაშვილი,** „კოხიაშვილი ზაალ, ქაი-ყუბათის ძე, კოხიაშვილი ქაიყუბათ, მოლარეთუხუცესი" (საქ. სიძვ., III, 547) (პ. თონეთი). **კოხოძე-კოხაძე** გვარამაძეთა განაყოფი გვარებია (ინფ. ივანე გვარამაძე, 1881 წ.).

**კოხტაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **კოხტა** (საქ. სიძვ., II, 192); **კოხტა** (კოლხ., 105, ნაბაკევი, გალის რ; კოხტაია, კოლხ).

**სიმონ კოხტაშვილი** მოიხსენიება დიდი თონეთის 1873 წ. აღწ-ერაში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, ფურც. 73-209).

იყო სოფელიც — **კოხტა. კოხტაშვილი 524** სული. თბილისი 166, საგარეჯო 156, დედოფლისწყარო 54. (დიდი თონეთი).

**კოჭლაშვილი** (1882 წ.), **კოჭლა // კოჭლავა,** გვარში: **კოჭ-ლავაშვილი** (ალ. ღლ., 148); შდრ. **კოჭი, კოჭა, კოჭია, კოჭლი, კოჭლამაზა...**

დავით პავლეს ძე კოჭლაშვილი მიხეილ იოსების ძე ბედიანაშ-ვილის თავდებად მოიხსენიება 1882 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1). მონათესავე ძირისაა: **კოჭლამაზაშვილი, კოჭაძე** (კოდა).

| | |
|---|---|
| კრიალაშვილი | 85 |
| *თბილისი* | *55* |
| *თეთრიწყარო* | *24* |
| *რუსთავი* | *6* |

**კრიალაშვილი** (1873 წ.), **კრიალა,** მეტსახელი გვარში: **კრიალაშვილი,** შდრ. **ცქრიალა // ცქრი-ალაძე, წკრიალა // წკრიალაშვილი, კოჭლამაზა // კოჭლამაზაშვილი** და სხვ.

სოფ. ბოგვში დრ/ვალდებულ გლეხებად

1873 წ. აღწ., მოიხსენიებიან: **გლახა კრიალაშვილი.** შვილები: გიორგი, იოსები, დიმიტრი, ნიკოლოზი, იოსებ შერმაზანის ძე **კრიალაშვილები,** ძმა სოლომონი" (სცსსა, ფ. 254, აღწ. №3, 111, ფურ. 162-171); იოსებ და გიორგი კრიალაშვილები (იგივე **ყრიალაშვილი**) მოიხსენიებიან 1886 წ. (იქვე, №3, 1609. ფურ. 170-183) (ბოგვი).

| ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 3051 |
|---|---|
| *ტყიბული* | *862* |
| *ქუთაისი* | *833* |
| *თერჯოლა* | *494* |

**ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** საკ. სახ. **კუბლა** გვარებში – **კუბლაშვილი, კუბლაძე** (ლაგოეთის ტოპონიმია, 1982, 46, ალ. ღლ., 149). შდრ. კუბულაშვილი, კუბლაშვილი, კუბიაშვილი (ილ. მაისურ., 93) ასურეთი.

**კულაშვილი** (1881 წ.) საკ. სახ. **კულა** (კოლხ. 93, ჩხოროწყუ) კულა იყო მეტსახელიც. ქსნის ხეობა, ლარგვისი, ალ. ღლ., 199). გავიხსენოთ ცნობილი ქართველი მოჭიდავე, ფალავანი კულა გლდანელი.

- ფარცხისელი იაკობ ნიკოლოზის ძე გონგაძის ვაჟიშვილის მიმქმელად 1881 წელს დასახელებულია გოლთეთელი ალექსი გიორგის ძე კულაშვილი (მეტრიკ. წიგ., არქ., 182, 1, 1881 წ.).

| ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ | 137 |
|---|---|
| *გარდაბანი* | *87* |
| *თბილისი* | *29* |
| *გორი* | *15* |

**ᲙᲣᲞᲐᲫᲔ // ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1823 წ.), მეტსახელი **კუპა** (ლიკანი, ბორჯომის რ-ნი; ალ. ღლ., 149).

**სტეფანაშვილი – კუპაძე** მოიხსენიება 1823 წ. აღწ., დიდ ენაგეთს (სცსსა. ფ. 254, 1, 802, ფურ. 5 –18).

**ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1713 წ.), საკ. სახ. **კურდღელა** (ფშ., მაკალ., 147); **კურდღელა** (მეტსახელი, სოფ. მუხათი).

პაპუნა და ოთარა კურდღელაშვილები მოიხსენიებიან 1713 წ. ენაგეთის ახალშენს გაყრილობის წიგნში (დოკ., II, 18). (ენაგეთის ახალშენი).

**ᲙᲣᲪᲣᲠᲘ** (1873 წ.), **კუცუა,** მეტსახელი (ქსნის ხეობა, ლარგვისი, ალ. ღლ., 150) (ლვევი).

**ᲙᲣᲭᲐᲘᲫᲔ** (1873 წ.), საკ. სახ. **კუჭა** (კოლხ., 79, ბარღები); მეტსახელი კუჭის ოპერაცია გაკეთებული კაცისა, არაშენდა, გურჯაანის რ. (ალ. ღლ., 150).

ამავე ძირისაა: **კუჭაშვილი, კუჭავა, კუჭაძე, კუჭიაშვილი, კუჭოშვილი, კუჭუშვილი, კუჭუხიძე** (ჯორჯიაშვილი).

ᲙᲣᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 77
თბილისი 36
ქასპი 5
მცხეთა 36

**ᲙᲣᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **კუჭა, კუჭია,** (კოლხ., 79, ბარლები, ალ. ღლ., 150); **კუჭია,** მეტსახელი, შემონახულია ფოლადაშვილის გვარის სახინჯარში: **კუჭიაანი** (ალ.ღლ., ქიზიყის ტოპონომია, 1982, 73); **კუჭია** (ცხრაწყ, ზესტაფონის რ., ალ. ღლ., 150); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო, ქ. კუჭაშვილი ლიპებში. **კუჭიაშვილი მოლაშქრე ბოგანო,** 1721 წ." (ვახუშტი, 11); **კუჭიაშვილები იყვნენ მებატონეებიც და ყმა-გლეხებიც** „ქ. კუჭიაშვილის ყმები ლიპებში, ერანსა და ვარდისუბანს: მამასახლისი ოქროა, ვარდუა, მამაცაშვილი გვარულა, არადელი ბასილა და სხვ." (ვახუშტი, 11); „ქ. კუჭიაშვილის ყმები ლიპებში: **კუჭიაშვილი მოლაშქრე ბოგანო**" (იქვე,11).

# ლ

**ლაბაძე** (1744), საკ. სახ. **ლაბა** (ჩუმლაყი, გურჯაანის რ., ალ. ღლ., 151); **სვიმონ ლაბაძე** მოხსენებულია კაცხის ტაძრის წარწერაში (**XI** ს.); ბერი, დათუნა და ივანე ლაბაძეები იხსენიებიან 1709-1744 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნში, რომელსაც ზურაბ აბაშიძე აძლევს ბერ წერეთელს (დოკ., I, 444); ლაბაძეები 1941 წ. გადმოსახლდნენ ამბროლაურის რაიონიდან სოფელ ასურეთში.

ამავე ძირისაა: **ლაბაური, ლაბაძე, ლაბახუა, ლაბუჩიძე,** (ასურეთი).

**ლაბრიანაშვილი** (1881 წ.), საკ. სახ. **ლაბა** (ჩუმლაყი, გურჯაანის რ., ალ.ღლ., 151); **ლაბია, ლაბლა** (იქვე), სავარ. აქედან მეტსახელი **ლაბრია.**

**ღარიბა ლაბრიანაშვილი** 1818 წ. მოიხსენიება წინწყაროში (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ, №29, ფურ. 184 – 187).

ლაზარაშვილი 952
თბილისი 251
გორი 269
ბოლნისი 70

ლაზარიშვილი 214
ლაზაშვილი 498
ლაზიაშვილი 46
ლაზიშვილი 665

**ლაზარაშვილი // ლაზარიაშვილი** (1721 წ.), **ლაზარე** (ებრ.) „ღმერთია მოწამე“, „ღვთის წყალობა“.

**ლაზარე** მონასერიძე, ხიზანასშვილი (დოკ., I, 77); **ლაზარე** – საბუთის დამწერი (იქვე, 441); ლაზარე მჭედელი, მეტსახელი (65). ლაზარე ოქრომჭედელი (327); **ფოლადა ლაზარეშვილი** – 1741 წ. იხსენიება თავდებობის წიგნში რომელსაც ფოლადა ლაზარესშვილი აძლევს დავით თარხნიშვილს; იორამ ლაზარაშვილი – 1751 წ. წყალობის წიგნში (საქ. მუზ., №14, 197, Hd; დოკ., I, 298); „ქ. ხოსროხანიშვილის ყმად (1721 წ.) ქ. სამშვილდეს, „ლაზარაშვილი ბერია“ (ვახუშტი, 24); „ქ. გერმანოზაშვილი დათუნას ყმა 1818 წელს კოდელი პეტრე ლაზარეიშვი-

ლი ნათლავს ვაჟს გრიგორს. მიმქმელი იყო სტეფანე მჭედლიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ,): კოდელი ტეტია ლაზარეშვილი 1826 წელს კოდის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ქალიშვილ ნინას. მიმქმელი იყო თანასოფლელი გიგია კაკალაშვილი (489, 9, №1); ივანე იმედაშვილის ქალიშვილი ამავე წელს მონათლა რამაზ ლაზარეშვილის მეუღლე ანახანუმმა (იქვე, ფურ. 173) (გუდარეხი, კოდა, სამშვილდე).

**ლაზიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახელადქცეული ეთნონიმი **ლაზი; ლაზია** (ალ. ღლ., 151)

„ქ. მანგლელის ყმა მანგლისს: ...**ლაზარიაშვილი ბერია**“ (ვახუშტი, 110);

შდრ. **ლაზაშვილი, ლაზვიაშვილი, ლაზიშვილი, ლაზუაშვილი**: შდრ: — ქართველიშვილი, ფრანგიშვილი, კახეთელიძე, გურული, ქართლელი და სხვ. (ასურეთი, მანგლისი).

ლაიშვილი 64
ამბროლაური 20
თბილისი 19
თეთრი-წყარო 9

**ლაიშვილი,** სავარ. საკ. სახ. **ლაილა.** შდრ. **ლაილა** (ათაბ., 281): ალ. ღლ., 281); **ლაიშვილები** ამბროლაურის რაიონის სოფ. მორიდან ასურეთში გადმოვიდნენ საცხოვრებლად 1941 წლის სექტემბერში.

გადმოცემით. ლ. წარმოშობით მესტიის რაიონის სოფ. ლაიშიდან არიან. (ასურეთი).

ლალაზაშვილი 46
თბილისი 27
თეთრი წყარო 11
გარდაბანი 1

**ლალაზაშვილი,** საკ. სახ. **ლალაზა** (დოკ., I, 196); შდრ. **ლალუ, ლალია,** გვარში: **ლალიაშვილი, ლალუა,** გვარში: **ლალუაშვილი** (ალ. ღლ., 151) (ვაშლოვანი).

**ლალაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლალა** (ისტ. დოკ., I, 138): ლალა-ი (ხევ., გერგეტი, ალ. ღლ., 151).

„ქ. ზაზუნაშვილი ბექანისა 1721 წ. ქ. კველთას: ლალაშვილი“ (ვახუშტი, 125). (კველთა).

ლალიაშვილი
1552
თბილისი 625
დუშეთი 189
გარდაბანი 159

**ლალიაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ლალია,** ამავე ძირისაა **ლალაშვილი (ლალასშვილი). ლალებაშვილი, ლალუაშვილი, ლაიშვილი (ლალიშვილი)** (ილ. მაის., 95); „ივანე და სოლომონ ლალიაშვილები მოიხსენიებიან დიდ თონეთში 1873 წ.“ (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ.

№320, ფ. 218-244).

კოდაში **ლალიაშვილებს ლალიანთს** ეძახიან.

| |
|---|
| ლამაზაშვილი 47 |
| *თბილისი 14* |
| *რუსთავი 8* |
| *დედოფლისწყარო 7* |

**ლამაზაშვილი** (1705 წ.), „**ლამაზი** ესეცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ **კეკლუცი** არს სახე უკლებლად განწყობილი; კეკელა სილამაზისა და მოკდომის მცდელი; მწყაზარი სიკეთეზედ (სილამაზეზედ) მეტი; შუენიერი ყოვლის კეთილით შეფერებული; სანდომი კეკლუცი იყოს, თუ დუხჭირი, მაშინაც კაცს სანახავად ეამოს; სახნიერი რომელსა ყოველი სახე გაწყობილი ჰქონდეს და საქმითაც კეთილმოქმედი იყოს; ჰაეროვანი რომელი ხატკეთილობით მოკდომი იყოს" (საბა, 182).

**ლამაზა,** მეტსახელი გვარში: **ლამაზაშვილი** (საქ. სიძვ., II, 318, ალ. ღლ., 151); **ლამაზო** (სახ. არქ., 1449, №864).

საკ. სახ. – **ლამაზა** კაციასშვილი, ანდრიელი (დოკ., I, 151); ლამაზა ლამაზაშვილი (იქვე, 260).

ავთანდილ ლამაზაშვილი იხსენიება (1705 წ.) ვენახის შეწირულობის წიგნში, მიცემული დავით აბაშიშვილის მიერ მაცხოვრის ხატისადმი (დოკ., I, 380); ავთანდილა და პაპუა ლამაზაშვილები 1710 წ. იხსენიებიან ენაგეთში (საქ. სიძვ., I, 97): ლამაზაშვილი ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, №1, 477, ფ. 36); ლამაზაშვილი ნასყიდობის წიგნში 1736 წ. (დოკ., II, 102); **„მარაბდას საამაშვილების ყმა აზნაურშვილი, 1781 წ. ლამაზაშვილი ბეცია"** (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 169); „აქვე ვაშლოვანს ხიზანი საამიშვილის აზნაურშვილის ლამაზაშვილის ბეციას ყმა ევანეზაშვილი პაპა, ნონე, 1781 წ. (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. I, 167): **ლამაზიშვილი აბრამ პეტრეს ძე,** ძმა გიორგი შვილები: დავითი, გრიგოლ, ალექსი, მართლმადიდებელი სარწმუნოებისანი, ქართველები მოიხსენიებიან 1873 წელს სოფელ დიდ ენაგეთში (სცსსა, ფ. №3, 133, ფურ. 191).

შდრ. **ასლამაზაშვილი, დედალამაზაშვილი, ალხაზიშვილი, ლამაზოშვილი, ლამაზუნაშვილი** (მარაბდა, ვაშლოვანი, დიდი ენაგეთი).

**ლამაზუნაშვილი** (1721 წ.), **ლამაზა** (მეტსახელი, გვარში **ლამაზაშვილი**: საქ. სიძვ., II, 381; ალ. ღლ., 151); ლამაზო (სახ. არქ., 1449, №864). კნინობითი ფორმა ლამაზუნა.

„ქ. ზურაბიშვილის ბექანისა მონასტერს 1721 წ. **ლამაზუნაშვილი შერმაზანა**" (ვახუშტი. 61).

| |
|---|
| ლაპიაშვილი 429 |
| *თბილისი 173* |
| *დედოფლისწყარო 165* |
| *რუსთავი 29* |

**ლაპიაშვილი // კაკალაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ლაპა** (ქრონ. II, 271), **ლაპინა** (გ. ლეონ., სახელები), **ლაპუნა**, მეტსახელი (კარალეთი, გორის რ. ალ. ღლ., 151); **ლაპია**, გვარში; **ლაპიაშვილი** (იქვე, 151).

**ბადალა ლაპიაშვილი, იგივე კაკალაშვილი** დიდ თონეთში მოიხსენიება 1843 წ. (სცსსა, ფ. 254, №2043, ფ. 323 – 329).

შდრ. კაკალაშვილი (დიდი თონეთი).

| |
|---|
| ლარაძე 0 |
| ლარიაშვილი 46 |
| პაატაშვილი 248 |

**ლარაძე // პაატაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლარი** (სახ. არქ., 1448, №7404; ალ. ღლ., 151); **ლარი** ალყა, **ბალი, ლარი** კუმაში, ფარჩა, ლარი წელი შეგრეხილი (საბა, 183): ლარი გაჭიმული ბაწარი, თოკი, ძაფი... სხვადასხვა დანიშნულებისა. კედლის ასაყვანად გაჭიმული ლარზე გაბმული ვაზი (ქეგლ. 275): გიორგი ლარაძეს გადმოცემით (1792 ე.) მის წინაპრებს მეფისაგან ჯილდოდ უშოვიათ დარუბანდი, თხილნარა, ირაგა, ქციის ჯიგრაშენი (ისს. ლორთქ., ქვემ. ქართლ., ნაწ. III და IV, 397).

**პაატა ლარაძე**, 1721 წ. აღწ. არის **მებატონე**, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ყარაბულაღში. 1727 წ. უკვე გარდაცვლილი ყოფილა (ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, 398).

**პაატა ლარაძედან მოდის გვარი პაატაშვილი** (იქვე, 439; ირაგა, ჯიგრაშენი).

| |
|---|
| ლასურაშვილი 219 |
| *მცხეთა 143* |
| *თბილისი 54* |
| *საგარეჯო 19* |

**ლასურიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლასური. ლასურ ლასურიძე** (საფარის წარწერა, XIV ს. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955, 56); იოანე კუმურდოელი ლასურისძე ერთგულების პირობას აძლევს მცხეთის კათალიკოზს დავითს. XV ს. (თ. ჟორდ., ქრონიკ., II, 268, ბერძენიშვ. საქ. ისტ. საკ. III, 216); ამავე ძირისაა **ლასურაშვილი** (თბ., 20, 1, 1969, 1); შდრ. **ლასულიძე** (იმერხევი, იხ. ქართ. დიალექტოლ. 1, 375; ილ. მაის., 95); „ქ. თაყაიშვილის გიორგისა ქ. აბრამეთს, 1721 წ. **ლასურიშვილი დათუნა**" (ვახუშტი, 77).

| |
|---|
| ლაშქარაშვილი 598 |
| *თბილისი 217* |
| *გორი 102* |
| *კასპი 51* |

**ლაშქარაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლაშქარა. „ლაშქარა** ქართული სახელია (თვით სიტყვა ლაშქარი წარმოშობით **სპარსულია** (ზ. ჭუმბ., 155)

შდრ. **ლაშქარა** (Symphytym), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაშქარასებრთა ოჯახისა. აქვთ ღია ყვითელი, იისფერლურჯი, იშვიათად თეთრი ყვავილები, კაკლუჭა ნაყოფი.

ლაშქარი, ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობისგან (უმთავრესად მოხალისეებისგან) შექმნილი სამხედრო ფორმირება.

ლაშქარ-ნადირობა, ძირითადად ვასალური მოვალეობა ფეოდალურ საქართველოში.

საკ. სახ. **ლაშქარა** (ქართლ., ცხ., II, 518).

„ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს, 1721 წ. „... **ლაშქარაშვილი ოსეფა**" (ვახუშტი, 25): „ქ. საგინაშვილი ზურაბიშვილი ყმა ქ. ჩხიკვთას, 1721 წ. ლაშქარაშვილი გოდერძა, ლაშქარაშვილი შარმაზანა, ლაშქარაშვილი თამაზა" (ვახუშტი, 154); „ქ. დრიანეთს 1721 წ. ლაშქარაშვილი ბერია" (ვახუშტი, 170); ლაშქაროვი (ბიბილური) პავლე სერგეის ძე (გ. 1853) რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. 1812-14 წწ. სამამულო ომის აქტიური მონაწილე. შევარდინოს გმირი. ლ-ის ბაბუა, ქართველი აზნაური. ლაშქაროვი (ბიბლიური) სერგეი ლაზარეს ძე (1739 – 1814 წწ.), რუსი დიპლომატი, წარმოშობით ქართველი (ქსე, ტ. 6, 149); ლაშქარაშვილთა ერთ ნაწილს მიუღია სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და კამერული აღწერის სიაში სომხად მოუნათლავთ (სოფ. მუხათში). შდრ. ლაშქარავა, ლაშქარაძე, ლაშქარეიშვილი.

**ლაშხიშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ლაშხი** (პ. ინგორ., სვან., 2125); **ლაშხია** (გ. ლეონ., სახელები); ოთარ ლაშხიშვილი, მეუღლე ზენალა, ვაჟები გოგია, თედო, ვანო, ქალიშვილი ელისაბედი (1823 წ. სოფ. ვაშლოვანი, სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ, 99 – 105); შდრ. **ლაშხი ლაშხირიძე, ლაშხიძე**. (ვაშლოვანი).

ლალიაშვილი 160
*თელავი 62*
*გორი 56*
*თბილისი 38*
ლალიძე 887

**ლალიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლალია** (სახ. არქ., 1448, №7385; ალ. ღლ., 152).

**ლ.** კოდაში დღესაც ცხოვრობენ.

ამავე ძირისა: **ლალაძე, ლალიძე ლალოშვილი** (კოდა, საღორისი).

**ლალარაძე** (1826 წ.), **ლალ-ი // ლალ**, მეტსახელი გვარში: **ლალიძე, ლალაძე** (ალ, ღლ., 152); **ლალია** (საქ. არქ., 1448, №7385).

**დავით ლალარაძე** 1826 წელს მოიხსენიება ენაგეთში. მან შვი-

ლი მოუნათლა ბოგველ თევდორე ბეგიაშვილს (489, 6, №31, №25).

**ლალიძე** (1673 წ.), **ლალი// ლალა,** მეტსახელი გვარში: **ლალიძე — ლალაძე.**

ლალი, სილალე უწირთოებისა ნიშანი არის. სინათლე განუკრძალველი კადნიერება, რამეთუ, რა გალაღნეს კაცი, მეტნობასა იწყებს მანქანებისას (საბა, 183); გიორგი ლალიძე 1673 წ. მოწმედ მოიხსენიება ენაგეთში (საქ. სიძვ., I, 69). ლალიძე აზნაურული გვარი იყო.

**ლაჩინაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლაჩია, ლაჩინა** (ქრონიკ., II, 198, 202); **ლაჩინა** (ვახუშტი, 33). „ქ. ციციშვილის შიგამდეგის ზაზასი სამღერეთს 1721 წელს... ლაჩინაშვილი გოგი" (ვახუშტი, 33).

**ლევანაშვილი** (1721 წ.), **ლევან** ქართული ფორმაა სახელისა **ლეონ,** რაც „ლომს" ნიშნავს (ზ. ჭუბ., 155).

**ლეო, ლეონ** (ლათ.) „ლომი". ლომის ეს სახელწოდება საერთოდ ძველ ეგვიპტური **ლებუ**-საგან მოდის. აქედანაა ლათინური **ლეო,** გერმანული **ლიოვე,** რუსული **ლევ,** ქართული **ლომი... ლომს,** როგორც ადამიანის საკუთარ სახელს, ქართული ეკლესია არ სცნობდა.

მნიშვნელობით ლომს უკავშირდება ებრაული სახელი **არიელ,** თურქული **არსლან, ასლან,** ლათინური **ლეონიდე, ლეონტი** და სხვ.

**ლეონიდე** (ლათ.) „ლომის ლეკვი" ან „ლომის მსგავსი", ლეონტი (ლათ.) „ლომისა".

მნიშვნელობით **ლევანაშვილი, ლომიაშვილი** და **ასლანიშვილი** ერთი და იგივეა. საკ. სახ. **ლევან** უაღრესად პოპულარული იყო ქართველთა შორის. მაგ., ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ქართლის მეფის ვახტანგ V-ის შვილი, ვახტანგ V-ის მამა. ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ქართული კულტურის მოღვაწე, ბაქარის ძე ლევან გურიელი, მთავარი 1533 — 72 წწ., მამია III დადიანის ძე და სხვა.

ქაიხოსრო ლევანიშვილი იხსენიება კაცია ფავლენიშვილის არზაში 1793 წ. (საქ. სიძვ., III, 172) ენაგეთი).

| | |
|---|---|
| ლევანიძე | 102 |
| თბილისი | 40 |
| კასპი | 33 |
| თეთრიწყარო | 12 |

**ლევანიძე** საკ. სახ. **ლევან.** „ლევან ქართული ფორმაა ლეონ-ისა, რაც „ლომს" ნიშნავს. ცხოველთა მეფის სახელწოდება ევროპულ ენაში ძველეგვიპტური **ლებუ**-საგან მომდინარეობს. ასეთია, მაგალითად, ბერძნული **ლეონ,** ლათინური **ლეო,** გერმანული **ლიოვე,** რუსული **ლევ...** ფრან-

გული **ლეონ**, ინგლისური **ლიონ**. იგი როგორც ადამიანის საკუთარი სახელი, საეკლესიო კალენდარში არ გვხვდება, მაგრამ ეს სახელი რომ გავრცელებული ყოფილა ხალხში, ამას მოწმობს მრავალი გვარი (ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი, ლომაური და სხვანი). საეკლესიო კალენდარში ეს სახელი შეტანილი იყო ბერძნული ფორმით: ლეონ, მასვე უკავშირდება ლევ, ლეო და ლევან. ამათგან მომდინარეობს გვარები: ლეონიძე, ლევიძე, ლევიშვილი, ლევანიშვილი. ლევანი საქართველოს ისტორიაში არაერთი ცნობილი პიროვნების სახელია, განსაკუთრებით ხშირად იგი გვხვდება სამეგრელოს მთავრების (დადიანების) საგვარეულო სახელად" (ზ. ჭუმბურიძე. დედაენა ქართ., 353).

| |
|---|
| ლეკიშვილი 1686 |
| *თბილისი 681* |
| *თელავი 131* |
| *ასპინძა 126* |

**ლეკიშვილი** (1829 წ.), საკ. სახ. **ლეკ-ი. ლეკია, ლეკო** (ალ. ღლ., 152); თონეთში მცხოვრებ გიორგი ლეკიშვილს 1829 წელს დაებადა ქალი, სახელი უწოდეს მაგდანა (489, აღწ. 6. №76, ფურ 11); თონეთში მცხოვრები გიორგი გარას ძე ლეკიშვილსა და სჯულიერსა ცოლსა მისსა სალომე გაბრიელის ასულს 1832 წ. დაებადათ ქალი მარიამ. მიმქმელად იყო თევდორე კაციას ძე მაჩაიძე: სახელმწიფო გლეხს მამუკა კაციელას ძე მაჩაიძეს და სჯულიერსა ცოლსა მისას ნინო ზურაბის ასულს დაებადათ ვაჟი-მაქსიმი. მიმქმელად იყო თონეთში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი თევდორე წელღიას ძე წელღიაშვილი (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 50); ამავე ძირისაა: ლეკიშვილი, ლეკიაშვილი (თონეთი).

**ლეკმარიაშვილი** (1871 წ.), ლეკ-კომპონენტიანი თხზული საკ. სახ. **ლეკმარიამი.** შდრ. თვალმიხელაშვილი, თვალდამწვრიშვილი, თვალოქროშვილი, მეტსახელი-ეპითეტი თავდიდიშვილი (ირონიით) თავდიდი: შემოკ. თავდიშვილი...

ფარცხისში სახელმწიფო ყმა სოლომონ ზურაბის ძე ადოლაშვილის ქორწილში 1871 წელს სასიძოს მხრიდან თავკაცად მოიხსენიება ამავე სოფლელი მიხა კაციას ძე ლეკმარიამაშვილი (მეტრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო, №1 დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესია).

**ლელუკაშვილი** (1728 წ.), საკ. სახ. **ლელე, ლელო** (ალ. ღლ., 152); **ლელუა** (მასალ., II, 57); გიორგი ლელუკაშვილი მოიხსენიება მოწმედ 1728 წელს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული დემეტრე არათაშვილის მიერ დემეტრე ყაფლანიშვილისადმი (დოკ., I, 224) (ანდრია).

ლობჟანიძე 4626
თბილისი 1756
რუსთავი 547
ლაგოდეხი 344
ლობჯანიძე 1299

**ლობჟანიძე, ლობჟან-ი,** გვარში: **ლობჟანიძე // ლობჯანიძე** (ალ. ღლ., 145): **ლობჟანიძე//ლობჯანიძე** (ქავთ. ქართ. ენ. ისტ. 219); საკ. სახ. ლობჟანი, ლობჟანა; // ლობჯანიძე (ილ. მაისურ., 97).

ლობჟანიძეების რამდენიმე კომლი 1941 წლის სექტემბერში ამბროლაურის რაიონიდან გადმოვიდნენ საცხოვრებლად ასურეთში (ასურეთი). ადრინდელ გვარად ლომჯანიძეა მიჩნეული. არა ლომჯარია, არამედ ლომჯანია (ი. ა.).

**ლოგიაშვილი,** სავარ. სახელიდან **ლონგინოზ** (ლათ.) „გრძელი", „ხანგრძლივი". კნინობითი ფორმით ლონგია, ლოგია (ჩხიკვთა).

**ლოი[ნ]აშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ლოინა** (დოკ., I, 117); **ლოიანა** (საქ. არქ., 1448, №120).

ბორბალოს 1817 წელს ნიკოლოზ სოლოღაშვილს ჰყოლია ყმა მახარე ლოი[ნ]აშვილი (სცსსა, ფ. 254, № 1, საქმე 477; ბორბალო).

ლოლაშვილი 480
თბილისი 234
სიღნაღი 120
ცხდოფლისწყარო 32

ლოლიშვილი 247
თბილისი 132
გორი 51
რუსთავი 24

**ლოლაშვილი // ლოლიშვილი** (1829 წ.), **ლოლა** (ირან.) „იასამანი". ქალის საკ. სახელი **ლოლა** (სოფ. მუხათი), **ლოლა** (ბახვი, ოზურგეთის რ. ალ. ღლ., 282); ლოლაშვილი მეუღუფე (ქსძ, VIII, 960): თონეთში მცხოვრებ ღვინია ლოლიშვილს, 1829 წელს დაებადა ქალი, სახელი განათლა და მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ. სახელად ეწოდა ქეთევან (489, აღწ. 6, №76, ფურ. 12); ლოლაშვილები 1941 წლიდან ცხოვრობენ სოფ. ასურეთში.

ამავე ძირისაა: **ლოლაძე, ლოლიაშვილი, ლოლუა** (ასურეთი).

ლოლაძე 1890
თბილისი 688
საგარეჯო 232
ჭიათურა 210

**ლოლაძე** (1721 წ.), ქალის საკ. სახ. **ლოლა** (ალ. ღლ., 282). „ლოლაძეთა წინაპარნი არიან იმერეთიდან გამოსულნი და ესენი ჩანდნენ ერეკლე მეფის დროს 1695 წელს და ტრაქტატსა შინა არიან მოხსენებულ როგორც აზნაურნი და რომელნიც სახლობენ აწ იმერეთს და რომელიმე ქართლს".

„ქ. ბოცოეთს სახასო; ლოლაძე გოდერძა, 1721 წ." (ვახუშტი, 372).

**შენიშვნა:** *ლოლვა, ანუ ლელვა არის ციხე კილიკიისა საზღვარისა ზედა და ესენი იქიდამ მოსულ არიან ციხისთავნი 1202 წ.*

*რომელნიმე იმერეთსა შინა რომელნიმე ქართლსა შინა“ (საანდაზო ლექსები... 125) (ბოცოეთი).*

ᲚᲝᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 81
*თბილისი 19*
*ქარელი 9*
*გარდაბანი 3*

**ᲚᲝᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲚᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), ქალის საკ. სახელი იხ. **ლოლ-ი** (ალ. ღლ., 282); **ლოლა** (ბახვი, ოზურგეთის რ., იქვე, 282): „იოვე ლოლიაშვილი დიდ თონეთში მოიხსენიება 1843 წ. აღწერაში“ (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 323 – 329).

**ლოლიშვილები** მოიხსენიებიან სოფ. საღირაშენში (დიდი თონეთი, საღირაშენი).

ᲚᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ 743
*თბილისი 192*
*თელავი 133*
*დუშეთი 84*
ᲒᲝᲒᲐᲫᲔ 1025

**ᲚᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲒᲝᲒᲐᲫᲔ** (1873 წ.), სახ. **ლომი**, მისგან წარმოქმნილია **ლომსა** (ლომისა) და სხვა. შესაბამისი გვარსახელებია: **ლომაია, ლომაძე, ლომაშვილი, ლომინაძე, ლომინაშვილი, ლომინეიშვილი, ლომინიკელიშვილი, ლომიტაშვილი, ლომნიაშვილი, ლომსაძე, ლომსიანიძე,** კომპოზიტურ-ფუძეებიანი: **ლომთათიძე** (სახელი-ეპითეტი), **ლომთათი** (ლომის თათი), **ლომისდარაშვილი, ლომდარიძე** (ლონდარიძე), **ლომკაცი** (ი. მაისურ., 98).

**პეტრე ლომაშვილი,** იგივე **გოგაძე,** მოიხსენიება სოფ. დიდ თონეთში 1873 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, ფურც. 175 – 209). იქვეა აღრიცხული **სოსია გოგაძე//** ლომაშვილი (დიდი თონეთი).

ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ 1435
*თბილისი 480*
*ოზურგეთი 266*
*ჩოხატაური 258*

**ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ** (1886 წ.), კომპოზიტურ-ფუძიანი გვარსახელია, **ლომთათიძე** (სახელი ეპითეტი), **ლომთათი** (ლომის თათი), შდრ. **ლომისდარაშვილი. ლომდარიძე (–ლომდარიძე).** ლომკაცი, ლომგული.

1886 წელს ვარდისუბანში (იგივე შავსაყდარი) დროებით მოსახლედ მოიხსენიება ლომთათიძე, რომელიც გადმოსულა ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავიდან 1885 წლის ნოემბერში (სცსსა, ფ. 254, №3, 1611, ფურც. 155 – 173). ამავე ძირისაა: **ლომთაძე.** (ვარდისუბანი, შავსაყდარი).

ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ 3776
*ქუთაისი 1993*
*თბილისი 596*
*ტყიბული 447*

**ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ** (1873 წ.), საკ. სახ. **ლომი**. მისგან წარმოქმნილია კომპოზიტურ-ფუძეებიანი: **ლომთათიძე** (სახელი ეპითეტი), **ლომთათი** (ლომის თათი),

ლომისდარაშვილი, ლომდარიძე (–ლონდარიძე), ლომკაცი; ამავე ფორმის სახელებია: **ლომა, ლომინა** (მოგვიანებით ხშირად ლიმონა), ლომინიკა, ლომიტა, ლომნია, ლომსა (–ლომისა), ლომკაცი, ლომარი, ლომგმირი, ლომდერი, ლომერი, ლომილე, ლომისი, ლომისკაცი, ლომკა, ლომუა, ლომშერა და სხვ.

სოფ. ფარცხისში 1875 წელს მოიხსენიება იასე გიორგის ძე ლომთაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, №6, თ/წ. 1). ამავე ძირისაა გვარები: ლომაია, ლომაძე, ლომაშვილი, ლომოური, ლომუაშვილი, ლომინაძე, ლომინაშვილი, ლომინეიშვილი, ლომინიკელიშვილი, ლომიტაშვილი, ლომინაშვილი, ლომსაძე, ლომსიანიძე (ილ. მაის., 98) (ფარცხისი, ლვევი).

ლომიაშვილი 258
თბილისი 93
კასპი 61
ახმეტა 37

**ლომიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლომაია. ლომია** – ნასყიდობის წიგნი ზაალ წინამძღვრიშვილისა, 1697 წ.(საქ. სიძვ., II, 172); საკ. სახ. ლომიდან წარმოქმნილია: **ლომია, ლომინა, ლომინიკა, ლომიტა, ლომნია, ლომსა (–ლომისა), ლომილე, ლომისკაცი, ლომერი, ლომგულა, ლომკაცი, ლომდერი, ლომუა** და სხვ.

ლომი გურჯიშვილი, ლ. ტატიშვილი, ლ. უზნაძე, ციცი ციციშვილის აზნაურიშვილები (დოკ., I, 364, 164, 72); ლომი აზნაურშვილი (ვახუშტი, 121),

**ლომიაშვილი** – ნუსხა კახეთს მყოფი თარხნიანთ ყმებისა: პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით, 1746 წ. (დოკ., I, 332); ოქროა, შერმაზანა და ზაქარია ლომიაშვილები იხსენიებიან ნასყიდობის წიგნში ოქროა და სხვა ლომიაშვილების მიერ მიცემულ ნეკრესელ მიტროპოლიტ და დავით გარეჯის უდაბნოს მამა იოანესადმი 1746 წ. (დოკ., I, 415); ნონია ლომიაშვილი მეჯუდის რუზედ მომუშავე მუშების ნუსხა 1834 წ. (დოკ., II, 262); „ქ. ფარემუზაშვილის ბეჟანის ყმა ჭ. ჩხიკვთას, 1721 წ. ლომიაშვილი ბერია“ (ვახუშტი, 152).

ლომიძე 12949
ხაშური 3005
თბილისი 2756
ქუთაისი 836

**ლომიძე** (1876 წ.), საკ. სახ. **ლომი,** მისგან წარმოქმნილია **ლომა, ლომინა, ლომინიკა, ლომიტა, ლომნია, ლომსა (–ლომისა)** და სხვ. (ი. მაისურ. 98); **ლომიძეები არიან იმერეთის აზნაურნი,** მათი სახლიკაცი მოსულა ქართლსა შინა (საანდაზო

ლექსები... 127); გიორგი **ლომიძე** მოიხსენიება სოფ. ფარხცისში 1876 წელს (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1).

**ლომკაციშვილი // გელაძე** (1721 წ.), საკ. სახ. **ლომკაც-ი** (დოკ., I, 467); **ლომკაცა** (კოლხ., 37, გაწედილი. ნ. **ლომკაცი,** ალ. ღლ., 154); „ქ. შერმადინიშვილის ბეჟანის ყმა ქ. ავაზანს 1721 წ. **ლომკაციშვილი სეხნია**" (ვახუშტი, 130); თონეთში მცხოვრებ სახაზინო გლეხს **მამუკა ლომკაციშვილ – გელაძეს** და სჯულიერსა ცოლსა მისას მელანია ბერის ასულს 1832 წელს დაებადათ ქალი სიდონია. მიმქმელად იყო თანასოფლელი რამაზ კაციას ძე მაჩაიძე 9ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, 50). ამავე ძირისაა: ლომკაცი (ავაზანი, თონეთი).

| | |
|---|---|
| ლომიტაშვილი | 433 |
| *ქარელი* | *175* |
| *თბილისი* | *111* |
| *გორი* | *34* |

**ლომიტაშვილი** (1605 წ.), საკ. სახ. **ლომიტა**. ლომიტა გერგიძე, ფალავანხოსრო ბარათაშვილის ყმა (დოკ., I, 59). ლომიტა, გიორგის მამასახლისი (57): ლომიტა ზამთარაული, თიანელი, (363).

**ნადირა ლომიტაშვილი** 1605 წ. ობოლიშვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნადირა ლომიტასშვილის მიერ რევაზ ნამურაძისადმი (სცსსა, ფონდი 226, №4826; დოკ., I, 14); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახბარისა, 1721 წ. ქ. მარიამს, ლომიტაშვილი გიორგი, ლომიტაშვილი დათუნა" (ვახუშტი, 55-56); „ქ. საგინაშვილის პაპუასი ქ. წრისს, 1721 წ. ლომიტაშვილი გიორგა" (იქვე, 150) (ერტისი, მარიამი, წრისი).

| | |
|---|---|
| ლომსაძე | 3531 |
| *თბილისი* | *945* |
| *ხაშური* | *660* |
| *გორი* | *331* |

**ლომსაძე** (1843 წ.), საკ. სახ. **ლომა, ლომისი, ლომისა,** აქედან **ლომსა** (საქ.სიძვ., II, 37); **ლომი** არაგვის ერისთავის ნუგზარის ძე (ქრონიკ. III, 203); 1843 წ. აღწერით სოფ. ღოლოვანში მოიხსენიება **პეტრე ლომსაძე** (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 330 – 332); სოფ. ფარცხისში მცხოვრები დავით გიორგის ძე ლომსაძე 1885 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ვაჟს ანტონს. მიმქმელი იყო თანასოფლელი დავით ბერუას ძე კიკოლაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); ფარცხისში მცხოვრები **დავით გრიგოლის ძე ლომსაძე** და მისი მეუღლე ანა იოსების ასული 1881 წელს ნათლავენ შვილს ივანეს. მიმქმელი იყო თანასოფლელი დავით კიკოლაშვილის ასული მართა (სცსსა, ფ. 489, №9, თ/წ. №1); **ასურეთში მცხოვრები ლომსაძეები გადმოვიდნენ 1941 წელს.** სოფ. მაწევანში მცხოვრები დავით გიორგის ძე ლომსაძე შვილებს უნათლავს

მიხეილ და გიორგი ანდრიას ძე ადამაშვილებს (იქვე, 1885 წ.); ამავე ძირისაა: **ლომია, ლომინაძე, ლომიძე, ლომიაშვილი, ლომთაძე, ლომ-[illegible]ძე**... (ასურეთი, მაწევანი, ფარცხისი, ღოლოვანი).

**ლომშუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლომა** და **შუა** სუფიქსი. „ქ. აბაშიშვილის დავითისა ქ. ეცოს, 1721 წ. **ლომშუაშვილი გოგია**" (ვახუშტი, 117) (ეცო).

ლონდარიშვილი 32
თბილისი 302
ბოლნისი

**ლონდარაშვილი // ლონდარიშვილი** (1829 წ.), **ლონდრე**, მეტსახელი ტლანქი, მოუხეშავი კაცისა (გ. შატბერ., ჭაშნიკი, 138).

თონეთში მცხოვრებ გლეხს ნონე ლონდარიშვილს დაებადა ვაჟი, მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ, სახელი ეწოდა პავლე. ნათლიად იყო თონეთს მცხოვრები გლეხი ლონდაძის ცოლი დარეჯანი (489, აღწ. 6, №76, ფურ. 12, 1829 წ.); 1843 წ. ბერო და თედო ლონდარიშვილები (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №127, აღწ. 319, ფ. 175 – 209); შდრ. ლონდარიძე, ლომდარიძე (დიდი თონეთი).

ლონდარიძე 1159
თბილისი 364
ასპინძა 317
თეთრიწყარო 103

**ლონდარიძე // ლონდარიშვილი** (1817 წ.), სავარ. საკ. სახ. **ლონდრე**, მეტსახელი ტლანქი, მოუხეშავი კაცისა (გ. შატბერ., ჭაშნიკი, 138; რბონა, ხაშურის რ., ალ. ღლ., 154).

სოფელ თონეთში მცხოვრებ სახაზინო გლეხს **ნინია ლონდარიძეს – ლონდარიშვილს** და ცოლსა მისსა თუთა გლახას ასულს 1832 წ. დაებადათ ვაჟი. განათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ, სახელად დაარქვეს ბერი. (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 49); ამავე ძირისაა: ლომდარიძე (ჯორჯიაშვილი, ბოგვი, აბრამეთი).

ლუაშვილი 500
გურჯაანი 301
თბილისი 123
სიღნაღი 13

**ლუაშვილი** (1886 წ.), საკ. სახ. **ლუა** (საქ. სიძვ., III, 321); **იოსებ ლუაშვილი** მოიხსენიება სოფ. ვაშლოვანში 1886 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №3, 1611, ფურც. 29 – 84).

ლუარსაბიშვილი 230
თბილისი 111
თელავი 60
რუსთავი 18

**ლუარსაბაშვილი** (1817 წ.), **ლუარსაბ** (სპ.) – „წითელი ცხენის პატრონი", „წითელცხენიანი". ამ სახელის ფონეტიკური ვარიანტია ლევარსი,

**ლუარსაბიშვილი ორი თავადური საგვარეულოს შტო-გვარია**

შემოკლებით – ლევა, ლუარსაბისგან მიღებულია გვარები: ლუარსაბიშვილი, ლუარსაბიძე. მოგვიანებით რუსული დაბოლოებით ლუარსაბოვი (ზ. ჭუმბ., 155); ლუარსაბ, ლუარსაბ ბექანის ძე, ლუარსაბ დავითის ძე, ნაზარალიხანის ძმა, ლუარსაბ მეფე (I), ლუარსაბ მეფე (II), ლუარსაბ შაჰნავაზის ძე და სხვ. (საქ. სიძვ., I, 393, 440, 242, 322, 243); ზაქარია ლუარსაბიშვილი, მეუღლე ელისაბედი, ვაჟი მიხეილი, ქალიშვილი სალომე, დედა ქეთევანი, დისშვილი ივანე (კოდა, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 124) (კოდა).

**ლუკაშვილი // ნაზირაშვილი** (1843 წ.), **ლუკა** (ლათ. მანათობელი, ბრწყინვალე), საკ. სახ. **ლუკა** (დოკ., II, 11).

**ლუკა** ლათ. ნიშნავს მზის ამოსვლისას დაბადებულს, ლ. წმინდანის სახელია, რომელსაც დღესასწაულობდა მართლმადიდებლური ეკლესია 4, 29 თებერვალს, 7 აპრილს, 22 ივლისს, 30 სექტემბერს, 18 ოქტომბერს, 6 ნოემბერს, 11 დეკემბერს. (დოკ., II, 11); ლუკაშვილი შიო გიორგის ძე მოიხსენიება სოფ. ღოლოვნას 1843 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, 113, საქმე №78, ფურც. 370 – 382); შვილი (იგივე ნაზირაშვილი), ვანო ლუკაშვილი (იქვე 1613, ფურც. 171 – 196).

**ლუკმიაშვილი** (1818 წ.), მეტსახელი **ლუკმია** (კოდა). ქიტესა ლუკმიაშვილი 1818 წელს ნათლავს შვილს გიორგის (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ).

ლ. დღეს კოდაში აღარ ცხოვრობენ. კოდელები იტყვიან: ლუკმიანთწყარო, ლუკმიანთწილი (მიწებზეა საუბარი).

**ლუსიაშვილი** (1721 წ.), **ლუსია** (ლათ.) ნათელი, სინათლე. საკ. სახ. ქალის ლუსიანე, მოფერებითი (კნინობითი) **ლუსია, ლუსიკა** (sic).

**ლუსიკასშვილი** – 1756 წ. სამართალი თეიმურაზ II-ისა, გორელი იოსებ ოსინაშვილისა და ბაღდასარ საფარასშვილის საქმეზე (დოკ., II, 50); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ., ...ლუსიაშვილი მანთაშა" (ვახუშტი, 104).

| | |
|---|---|
| ლუქუნიძე | 125 |
| *ქართლი* | *91* |
| *ბორჯომი* | *7* |
| *თბილისი* | *2* |

**ლუქუნიძე** (1700 წ), სავარ., საკ. სახ. ლუკა, ლუკიანე (ლათ. „მანათობელი", „ბრწყინვალე". მომდინარეობს სიტყვისაგან ლუქსი – „სინათლე", მასვე უკავშირდება ფრანგულის გზით გავრცელებული სიტყვა ლუქსი, რომელიც აღნიშნავს სასტუმროს საუკეთესო ნომერს. თავდაპირველი ძირი უნდა იყოს ლუხუმი, ლუხუმა (შდრ. საკ. სახ. დამოწმებული ხევსურეთში, ალ. ღლ., 154). „1700 წ. მოხისელებს – პაპუნა სადუნაშვილს... ლუქუნიძეს... ეწერათ სამასპინძლო" (მოხისი).

# მ

**მაბილაშვილი** (1818 წ.), საკ. სახ. **მაბილა** (სვან., 8, მუხლი; ალ. ღლ., 155).

იესე **მაბილაშვილმა** 1818 წ. სოფ. კოდაში მონათლა ქალიშვილი ნინო, მიმქმელი იყო ბოგველი დემეტრე ხუციშვილი (სცსსა, ფ. 489 აღწ. 6, 1ბ).

**მაგელიაშვილი** (სავარ. **მაგულაშვილი**) (1700 წ.), საკ. სახ. **მაგულია** (საეკლ, საბ.., I, 143); „1700 წ. მოხისელებს: პაპუნა სადუნაშვილს... მაგელიაშვილს... ეწერათ სამასპინძლო" (ტოპონიმიკა...) (მოხისი).

**მაგრა[კ]ვერაძე** (1817 წ.), აქ ხელობა-საქმიანობის ტერმინთან უნდა გვქონდეს საქმე. **მაგრა** კავშირი **კვერი** – დასაკვერებელი, რკინის საცემელი (საბა, 424, 392), ან პურის მცხობელი. (საბა). 1817 წ. აღწ. სოფ. ბორბალოში მოიხსენიება ოთარ მაგრა[კ][ქ]ველიძე (სცსსა, ფ. 254, №1, საქ. №477); ოთარ მაგრაკვერაძე, მეუღლე მარიამი, შვილები: გიორგი, პეტრე, ანა, თამარი (ბორბალო, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77 – 83).

**მაგუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მაგუა**. შდრ. **მაგუია** (კოლხ., 89, ჯგალი, ალ. ღლ., 155) (დურნუკი).

**მაზმნიშვილი** (1721 წ.), **მაზმანი** – „ბალნის მთესველი" (საბა). შდრ. ძაფის მრთველი.

**მაზმან,** საკ. სახ., ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული როსეფ როსებისშვილის მიერ სარდალ გაბრიელ გედევანისშვილისადმი (1742 წ.) დოკ., I, 306, მაზმან პაპიაშვილი (იქვე).

შდრ. საკ. სახელები: **მაზია, მაზანა, მაზმი, მაზიტა, მაზიმატი, მაზიმატები** საგვარეულო წოდება (გოზალიშვილი, მითრიდატე, 199, 200); „ქ. არის საბარათაშვილოში ხეჩანა, მაზმნიშვილი გრზა, ამისი ძმა ნასყიდა" (ვახუშტი, 102); „ქ. დოლენჯიშვილის იოთამისა სამღერეთს, 1721 წ. მაზმნიშვილი როსტომა" (ვახუშტი, 72); „ქ. ბატონ-

იშვილის სვიმონისა ქ. ნახიდურს, 1721 წ. მაზმნიშვილი ოჰანა" (ვახუშტი, 19); „ქ. იოთამიშვილის ორბელისა და გივის ყმა ქ. ავაზანს, 1721 წ. მაზმნიშვილი ხოსია, მაზმნიშვილი პაპუა" (ვახუშტი, 128).

ამავე ძირისაა: **მაზაშვილი, მაზმანიშვილი, მაზიაშვილი, მაზმიშვილი, მაზმადაშვილი, მაზიტაშვილი.**

**წინწყაროში მაზმნიშვილები მაზმანოვებად და ბერძნებად არიან მიჩნეულნი** (ავაზანი, ნახიდური, სამღერეთი, წინწყარო).

**მათარსიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მათარს-ი** (გ. ლეონ., სახელები); **მათარსა** (სტატ. ცნ. XVIII ს. 11); **მათარსა** (ალ. ღლ., 155); „ქ. იარალაშვილის როსებისა სამაჩვეთს 1721 წ. მათარსიშვილი ბერუა" (ვახუშტი, 62, სამაჩვეთი).

| |
|---|
| მათიაშვილი 2870 |
| *თბილისი 1336* |
| *საგარეჯო 301* |
| *გურჯაანი 272* |

**მათიაშვილი** (1601), საკ. სახ. **მათია, მათე** (ძვ. ებრ. ღვთის კაცი, ღვთის ნაჩუქარი). **მათე** მცირე ფოსო გლეხურად (საბა); **მათე** წმიდათა სახელია, რომელიც მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ იზეიმებოდა 30 ივნისს, 5 ოქტომბერს, 16 ნოემბერს. მათია ყოშაძე (დოკ., I, 277, 1738 წ.); ნ. მათიასშვილი ოტია, მ. ანუკა ბატონიშვილის ნამზითვი, მ. ბეჟან, ბერი, ელიოზ, მამუკა, მოსე, ოტია, პეტრია, შიო და სხვ. (დოკ., I, 551); იქვე, მამუკა მათიაშვილი, (1601 წ., 14); პეტრე მათიაშვილი, ძმები დავითი და თამაზი, დედა ელისაბედი მოიხსენიებიან დიდ ენაგეთს 1823 წ. აღწ. (სცსსა, ფ. 254, I. 802, ფურ. 5 – 18); „კოდაზე მცხოვრებს საბატონო ყმას სოლომონ მათიაშვილს და სჯულიერსა ცოლსა მისას მარიამს 1834 წ. დაებადათ ვაჟი მიხაილ, სახელი განათლა და მონათლა **კოდის წმ. გიორგის** ეკლესიის მღვდელმა იაკობ აბრამის ძე ხუროშვილმა" (489, №6, №203, ფურ. 32); მოგვიანებით რუსული გავლენით მატინოვი. ამავე ძირისაა: მატიაშვილი, მათესშვილი, მათეშვილი, მათიკასშვილი (დიდი ენაგეთი, მუხათი, კოდა).

| |
|---|
| მათოზაშვილი 34 |
| *თბილისი 21* |
| *თელავი 11* |
| *ბორჯომი 1* |

**მათოსაშვილი // მათოზაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მათოზა** 1796 წ. (დოკ., II, 177); „ქ. თამაზ სარდლის ნასყიდობა ქ. ლიპს, 1721 წ. ზურაბა მათოსაშვილი" (ვახუშტი, 229).

შდრ. **მათე, მათიაშვილი** (ლიპი).

**მათოხაშვილი** (1818 წ.), საკ. სახ. **მათია**

(საქ. სიძვ., II, 55); **მათოზა** (დოკ., II, 17); **მათუნი** (ალ. ღლ., 155); კნინობითი ფორმებია: **მათუა. მათოხა.**

კოდაში 1818 წელს გიორგი დემეტრაშვილის ქალიშვილ ნინოს მიმქმელი იყო მამუკა მათოხაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ).

| | |
|---|---|
| მაისაშვილი | 849 |
| თბილისი | 391 |
| ამბროლაური | 185 |
| ლაგოდეხი | 55 |

**მაისაშვილი,** საკ. სახ. **მაისა. მაისი** (ლათ, Maius), კალენდარული წლის მეხუთე თვე (შეიცავს 31 დღე-ღამეს). სახელწოდება, ალბათ, მომდინარეობს ძვ. იტალიის მიწის ქალღმერთ მაიას სახელიდან, რომელსაც მაისის პირველ დღეს ქურუმები მსხვერპლს სწირავდნენ. ქართული წარმართული კალენდრით – ვარდობისა (ქსე, ტ. 6. 367); მაისა ნადირაძე, მაისაი კახაძე, 1568 წ. გელათის სიგელი (ქრონიკ., II, 49); მაისა-ი (საეკლ. საბ. I, 30; ალ. ღლ., 155); მაისა გიორგაძე, 1392 წ. (ქრონიკ., II, 193);

გიორგი მაისაშვილი, მეუღლე ქეთევანი, შვილები: ვანო, ბარბარე, ანა (ბორბალო, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77 83); სევერიან დავითის ძე მაისაშვილი (1900 –1980 წწ.), ქართველი ფერმწერი, მინიატურისტი, გრაფიკოსი. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი (ქსე, ტ. 6, 366); მაისაშვილები 1941 წელს ასურეთში გადმოვიდნენ ამბროლაურის რაიონიდან.

შდრ. **მაისკი,** ქალაქი ყაბ-ბალყარეთის ასსრ-ში; მაისკი ივანე მიხეილის ძე (1884 – 1975 წწ.), დიპლომატი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, სსრკ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (ქსე. ტ. 6, 367) ასურეთი, ბორბალო).

| | |
|---|---|
| მაისურაძეთა თავდაპირველი გვარია დიდიძე | |
| მაისურაძე | 16516 |
| თბილისი | 6330 |
| გორი | 1406 |
| ონი | 1024 |

**მაისურაძე // ბოლოკიაშვილი** (1666 წ.), საკ. სახ. **მაისურა, მაისურ, მასურა** (დავთ., II, 149; ალ. ღლ., 155); მაისში დაბადებულისათვის დარქმეული, შდრ. ანალოგიური საკ. სახელები: **იანვარა** (გვარში იანვარაშვილი), **მარტა** (მარტაშვილი), **აპრილა** (აპრილაშვილი); ოქტომბერა. იხ. მაისი ჭიაურჩი – სიგელი კათალიკოზ დომენტი II-ისა, 1610წ. (სიძვ., III, 187); **მაისურა** – გიორგი მაისურაძის შვილი (დოკ., I, 53); მაისურაძე, გარდაწყვეტილების წიგნი მამუკა მაისურაძისა ყარშა გამყრელიძისადმი, 1666 წ. ახლო. იქვე მოიხსენიებიან: ნასყი-

და, დათუნა და პაატა მაისურაძეები (ხელ. ინსტ. Qd 8925; ქსძ, VIII, 845); ბერი, ივანე მაისურაძე, 1714 წ. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერის ახალკაციშვილის მიერ ფარსადან და ალხაზ მაჩაბლებისადმი (დოკ., I, 162); ბეჟანა მაისურაძე, შვილის გაყიდვის წერილი, 1757 წ. იანვრის 22 (სძვ., III, 426); „1818 წელს კოდელმა გიორგი მაისურაძემ მეორედ იქორწინა თანასოფლელ ადუაშვილის ქალ მარინესთან. თავდები კოდიდან იყვნენ ისაია დოლმაზაშვილი, ფეიქარი მარქარა, გაბილაშვილი ზაზა (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ, 1818 წ. ფურ. 164); კოდელმა ბეჟან მაისურაძემ 1826 წელს შვილი მოუნათლა მარაბდელ დავით ნაჩხატაშვილს (489, 6. №28, 1826 წ. ფურ. 172); იმავე წელს ბეჟან მაისურაძეს შვილი მოუნათლა კოდელმა გეუა ბეგთათაშვილმა (იქვე); „ერტისს, 1831 წელს სოლომონ თურქესტანოვის (თურქესტანიშვილი) ყმას თამაზა ზურაბის ძე მაისურაძეს, იგივე ბოლოკიაშვილს, და მისს სჯულიერ ცოლს ტეტიას ასულ მაიას დაებადა ქალი ბარბარე, სახელი გაუნათლა და ნათლისცემა სრულყო ერტისის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელმა გიორგი გიორგის ძე ნატროშვილმა. მიმქმელად იყო თამაზ თურქესტანოვის ყმა დავით ივანეს ძე ირემაშვილის მეუღლე მართა ასლანის ასული" (489, №6, 121 ბ, ფურ. 25); „1843 წ. დიდ თონეთში მოიხსენიება სოლომონ მაისურაძე, შვილი თევდორე, ძმა ჩერქეზი, შვილები: პავლე, პეტრე, ანდრო, გაბრიელი და სოსია (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 310-322); 1873 წ. აღწერით სოფ. ბორბალოში მოიხსენიება აბრამ მაისურაძე (სცსსა, ფ. 254, აღწ. №3. №111, ფურც. 1-4); პატარა თონეთელი ვასილ თომას ძე მაისურაძე (1873 წელს) ცოლად ირთავს ჩხიკვთელ გლახა ბაიდარაშვილის ობოლს ნინოს. თავდებად მოიხსენიება ზბრითში მცხოვრები კეთილშობილი ნიკოლოზ ივანეს ძე თულაევი (თულაშვილი), პატარა თონეთლები: ილია დავითის ძე ნევერაშვილი და ზაქარია ივანეს ძე ბაინდურაშვილი (ფ. 489. აღწ. 9, №6, თ/წ. 1); პატარა ენაგეთში მცხ. ანდრო გიორგის ძე მაისურაძე 1874 წ. დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს თავისივე სოფლელ გიორგი პეტრეს ძე ქართველიშვილის (ქართველოვი) ვაჟს იაკობს (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); მაისურაძეთა გვარმა რამდენიმე შტო-გვარი მოგვცა. ამავე ძირისაა: **მაისურაშვილი, მაისურიშვილი** (არდისუბანი, ბორბალო, დიდი თონეთი, კოდა, მანგლისი, პატარა ენაგეთი, პატარა თონეთი).

| | |
|---|---|
| მაკარაშვილი | 428 |
| თბილისი | 301 |
| მცხეთა | 93 |
| გარდაბანი | 73 |

**მაკარაშვილი // მაკარიშვილი** (1661 წ.), მაკარ-ი (ბერძ.) „ნეტარი", „ბედნიერი". **მაკარ-ი** წმინდანთა სახელი, რომელიც მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ იზეიმებოდა 14, 19 იანვარს, 5, 19 მარტს, 17 აპრილს, 1, 26 მაისს, 25 ივლისს, 6 სექტემბერს, 23 ნოემბერს.

**მაკარი** საქართველოს კათალიკოსი VI საუკუნეში, ბაკურ მეფის დროს. მაკარა (კოლხ., 28, ოდიში); მაკარე (ათაბ., 283, ალ. ღლ., 155); ივანე მაკარაშვილი, ნასყიდობის წიგნი ელიზბარ სოლოღაშვილისა (1661 წ. საქ. სიძვ., II, 422); ბეჟანა მაკარიშვილი, ლილოელი, 1735 – 1738 წწ. (დოკ., I, 246); „ერტის 1781 წ. დავით სარდლის ყმა მაკარიშვილი თამაზის ობლების ყმა მაკარიშვილი საბა (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 167); ქიტესა პაატას ძე მაკარაშვილი, მეუღლე თამარი, ვაჟები შიო, ვანო, ქალიშვილები მარიამი, ქეთევანი, იობის ძმები, მაკარიძე, მეუღლე ელისაბედი, ვაჟი იასე, მეუღლე ტასო, დედა მარიამი მოიხსენიება 1823 წ. აღწ. სოფ. ერტისში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 93 – 98); ამავე ძირისაა: **მაკარიძე**. შდრ. (სომხ.) მარქარა (მარქარიანი) (ერტისი).

| | |
|---|---|
| მაკარიძე | 1149 |
| თერჯოლა | 724 |
| თბილისი | 111 |
| ქუთაისი | 82 |

**მაკარიძე** (1721 წ.), საკ. სახ: **მაკარ-ი** (ბერძნ. ნეტარი, ბედნიერი). საკ. სახ. **მაკარიძე** (სოფ. ერტისი, 1823 წ. აღწ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 93-98); **მაკარი** (საქ. სიძვ., I, 415); მაკარა (კოლხ., 28, ოდიში); მაკარე (ათაბ., 283, ალ. ღლ., 155); „ქ. არის ასლანიშვილების ნასყიდობა სარდლის ლუარსაბისა, 1721 წ. ქ. ერტის. ...მაკარიძე თამაზა" (ვახუშტი, 228).

შდრ. **მაკარი ლეთეთელი,** IX ს. ქართველი მწიგნობარი, გიორგი გრძელისძე, წარმოშობით ქართლიდან უნდა ყოფილიყო, ქართლის ახლოს მდებარე სოფ. ლეთეთიდან, რომელიც XVII ს. ისტ. საბუთებშიც იხსენიება (ქსე, ტ. 6, 370); მაკარიოსი მაკაროვი. ამავე ძირისაა: მაკარიშვილი (ერტისი).

| | |
|---|---|
| მალაციძე | 422 |
| თბილისი | 194 |
| კასპი | 155 |
| გორი | 161 |

**მალაციძე** 91726 წ.), საკ. სახ. **მალასი // მალასიძე**. იხ. (ილ. აის., 100; მაკალ., თეძმის ხეობა. 15); **ზურაბ მალაციძე** მოიხსენიება 1726 წ. თებერვლის დამდეგს შვილის ნასყიდობის წ.,გნში,

რომელსაც იორდანე ბებეშიძე აძლევს ელიზბარ მამასახლისისშვილს (დოკ., I, 220); საქ. მუზ., №5184 hd); მალაციძე მოიხსენიება სოფ. ხანდაკურში 1721 წ. აპრილის 24-ს. მიწის ნასყიდობის წიგნი მანუჩარ გლურჯიძის მიერ ზაზა მოურავისშვილისადმი მიცემული (საქ. მუზ., ფ. Hd №5246; დოკ., II, 37) (ახალშენი).

| მალიაშვილი 21 | |
|---|---|
| *თბილისი* | *9* |
| *გარდაბანი* | *8* |
| *გურჯაანი* | *1* |

**მალიაშვილი** (1721 წ.), ადამიანის თვისებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. **მალ-ი**, სწრაფი, ჩქარი, მარდი. შდრ. მარდი, ჩქარი კაცი. გვარები: სასწრაფოშვილი, მძინარიშვილი, მაღალაძე, მაუბარაშვილი, ცქრიალაძე, მორთულაძე, მშვენიერაძე...

„ქ. მიტაშენს (1721 წ.) უცხოვრია ზურაბის ყმას ულუხანა მალიაშვილს" (ვახუშტი, 334).

**მალიჯანაშვილი** (1721 წ.), სავარ. რთული შედგ. სახელიდან **მალა[ს]+ჯანა** (მალას გვარში მალასიძე, ალ. ღლ., 155); **ჯანა** (დოკ., I, 357). შდრ. **ველიჯანა, ბეგიჯანა, მამაჯანა, ამირჯანა, ყულიჯანა, ჯან,** აქაც და ყველგან ნიშნავს სულს. ზოგჯერ სუფიქსადაც დაერთვის.

„ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს, 1721 წ. ველიხანა მალიჯანაშვილი" (ვახუშტი, 25; დურნუკი).

| მამაგულაშვილი 446 | |
|---|---|
| *ქარელი* | *210* |
| *თბილისი* | *94* |
| *ახმეტა* | *62* |

**მამაგულაშვილი** (1658 წ.), საკ. სახ. **მამაგული** (საეკლ. საბ., I, 116). **გულა** სხვა ფუძეებსაც ერთვის: **სიმონგულა, ნინოგულა, ჯანგულა** და მისთ. შდრ. **მამისგულა** (ძვ. საქ., IV, გაყ. III, 6; ქუთაისის საყდრის დავით., ალ. ღლ., 156);

**ბერუა მამაგულაშვილი** (ნასყიდობის წიგნი, 1693, საქ. სიძვ., II, 110); „...აქ მცხოვრები ირემა მამაგულაშვილი და... თავთავიანთი მამულებითურთ წილად ერგო უცნობ პირს" (1658 წ.); ებალა მამაგულაშვილი ცხ. მონასტერს (ნასყიდობის წიგნი. 1703 წ., საქ. სიძვ., I, 126); „ქ. სოლოღაშვილის ქაიხოსროს ყმა, 1721 წ. ქ. ტაგნაგეთს, დათუნა მამაგულაშვილი" (ვახუშტი, 144); „ქ. უსუფბეგისშვილის ქაიხოსროსი თაკვს, იმედა, ებალა, ივანა მამაგულაშვილები" (იქვე, 77); „ქ. თაყაიშვილის გიორგისა ქ. კველთას; ბატატა მამაგულაშვილი" (იქვე, 76, თაკვა, კველთა, კოდა, მონასტერი, ტაგნაგეთი).

**მამადალაშვილი // მამადელაშვილი** (1556 წ.), შედგენილი სახელი **მამადალა, მამა** სხვა სუფიქსებსაც ირთავს. **მამაგულა, მამათელა, მამაია, მამესწარა, მამადა.**

მამადალაშვილი გლახა, ნასყიდობის წიგნი, მიცემული გაბრიელ მარინდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძისადმი (1784 წ., დოკ., II, 130).

ნესტან-დარეჯან დედოფალმა მამადელაშვილს 1556 წ. უბოძა დაღეთის მამასახლისობა (დაღეთი).

**მამადედაშვილი** (1721 წ.), შედგენილი ორი საზოგადო სახელისაგან — **მამა+დედა.**

შდრ. **დედალამაზაშვილი** (სოფ. კუმისი), **ასლამაზაშვილი, ხელფეხიშვილი, ხისფეხისშვილი, თავქალაშვილი** და სხვ.

„ქ. ციციშვილის ზალიშვილის ქაიხოსროსი. 1721 წ. ქ. დიდ დაღეთს: დათუნა მამადედაშვილი" (ვახუშტი, 34).

| |
|---|
| მამასახლისიშვილი 78 |
| ადიგენი 63 |
| ახალციხე 6 |
| ოზურგეთი 5 |

**მამასახლისიშვილი** (1721 წ.), მამასახლისი, სახლთუფროსი, წინამძღუარი (საბა, 1930; მამასახლისი, სახლის, გვარის, ან თემის მეთაური (ქსე, 6, 394).

**მამასახლისი** მეფის რუსეთში არჩევითი მოხელე სოფლად, რომელიც ასრულებდა ადმინისტრაციულ-პოლიციურ მოვალეობას. არჩეული პირი, რომელიც უძღვება რაიმე მცირერიცხოვანი კოლექტივის საქმეებს. კლასის მ. ოჯახში მამასახლისის საპირისპ. დიასახლისი (ქეგლ. 281); მამასახლისიშვილი გვარადქცეული საკ. სახელი **მამასახლისი;** „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. წრაურთს, 1721 წ. ზაალ მამასახლისიშვილი მოლაშქრე" (ვახუშტი, 159).

მამასახლისი ენათესავება **მამამთავრიშვილს** მამასახლისი 1417 სული, **მამასახლისოვი** 147 სული (მ. მამასახლისაშვილია ი. ა.). (წრაურთა).

**მამაცაშვილი** (XI ს.), საკ. სახ. **მამაცა.** იხ. 1741 – 1747 წ. ერთ-ერთი თარხნიშვილის ყმების ნუსხა (დოკ., I, 301);

**მამაცა** (ადამიანის თვისების გამომხატველია, შდრ. „გულადი", „ყოჩაღი"). ამ შემთხვევაში **მამაცი.**

**მამაცაშვილები** XI საუკუნიდან არიან ცნობილნი. **დავით აღმაშენებლის აღმზრდელებად. მამაცაშვილები ირიცხებოდნენ** (ზაქ. ჭიჭინაძე, ქართვ. გრიგ.); იოსებ მამაცაშვილი (1789 წ. ქრონ., III, 414); პაპუნა მამაცაშვილი ფიცის განწესება (XVII საუკუნე, საქ. სიძვ., II, 453); პეტრე მამაცაშვილი, ბრძანება ბატონიშვილისა დავითისა (1800 წ. საქ. სიძ., I, 167); „ქ. ავთანდილ სუფრაჯის ყმა ქ.

უკანდაღეთს, 1721 წ. აბრამ მამაცაშვილი“ (ვახუშტი, 115); „ქ. დიას: ოთია მამაცაშვილი“ (ვახუშტი, 228); „ქ. კუჭიაშვილის ქ. ვარდის უბანს 1721 წ. გვარულა მამაცაშვილი“ (ვახუშტი, 11); მამაცაშვილი-ბადრიძე მელანია (დ. და გ. წლები უცნობია), ქართველი მწერალი, მოღვაწეობდა XIX საუკუნის 50-იან წლებში.

ა. მამაცაშვილი იოსებ ქრისტოფერეს ძე (1810 – 1874 წწ.), ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი.

მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე (1818 – 1900 წწ.), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი (დია, ზა, ვარდის უბანი (დღევ. შავსაყდარი, უკანდაღეთი).

| მამაჯანაშვილი 57 |
|---|
| *ახმეტა 25* |
| *თბილისი 20* |
| *გარდაბანი 5* |
| მამაჯანოვი 140 |

**მამაჯანაშვილი // მამიჯანასშვილი // ნონიაშვილი** (1697 წ.), საკ. სახ. **მამაჯანა** (დოკ., I, 61).

მამაჯანა მანველაშვილი, მ. ფარნაანთი, მ. ფასუაშვილი (დოკ., I, 106, 114, 238); „მამიჯანა (იქვე, 45); მამაჯანა“ (ვახუშტი, 126, 138); მამიჯანაშვილი ათაბეგა – ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჯავახიშვილისადმი 1697 წ. მკათათვის 10-ს. (სიძვ., II, 157).

| მამიჯანაშვილი 98 |
|---|
| *ქარელი 51* |
| *ბორჯომი 23* |
| *გორი 11* |

**მამაჯანასშვილის** შტოგვარი სოფ. საღირაშენში ყოფილა **ნონიაშვილი**. „1721 წ. აღწ. მოიხსენიებიან ბერუნა და ბექანა ნონიაშვილები (ვახუშტი, 112); მ-ის პატრონომიული გვარია **ლევანიშვილი** (ლევანაანი).

შდრ. **„ჯან“** გვარებში: **ჯან-დიერი, ჯან-აშვილი, ჯან-იაშვილი, ჯან-შაშვილი... ალა-ჯან-აშვილი, მირი-ჯან-აშვილი, ფირი-ჯან-აშვილი, ველი-ჯან-აშვილი...** რუსული დაბოლოებით ზოგჯერ **მამაჯანოვი** (დურნუკი, კოდა, საღირაშენი).

| მამიაშვილი 488 |
|---|
| *თბილისი 156* |
| *გურჯაანი 84* |
| *მცხეთა 38* |

**მამიაშვილი** (1690 წ.), **მამია** საეკლესიო კალენდრის მიხედვით ნიშნავს „ძუძუმწოვარს“, მაგრამ ხალხში იგი დამკვიდრებულია როგორც ქართული სახელი, სიტყვისაგან მამა. მამია წმინდანად შერაცხილი სახელია, იზეიმებოდა 28 აპრილს. ამავე სახელის მოფერებითი ფორმაა მამუკა.

იხ. მამია, ტაბახმელიდან (სიძვ., II, 414); მამია გურიელი (იქვე, 519); მამია დადიანი (72); ბერი მამიაშვილი, გიორგი მამიაშვილი (წმიდ.) (1690 წ.), ხითარ კირიტაშვილის ნასყიდობის წიგნის პირობის მოწმეები (სიძვ., II, 154); შდრ. მამი, მამისა, მამაია, მამულა, მამუკა, მამილა, მამინა და სხვ; „ქ. ქირმანის ხანისა, 1721 წ. დურნუკს... რამაზა მამიაშვილი" (ვახუშტი, 26).

მამა საფუძვლად უდევს მრავალ გვარსახელს, მათ შორის წარმოქმნილფუძიანებს; **მამიაშვილი, მამუკაძე, მამუკაშვილი, მამუკელაშვილი, მამულაიშვილი, მამულაშვილი, მამულია, მამულოძე, მამუჩაშვილი, მამუჭაძე,** რთულფუძიანნი: **მამამთავრიშვილი, მამასახლისაშვილი, მამაულაშვილი, მამისარაშვილი (მამსარაშვილ-მამზარაშვილი), მამისბედაშვილი, მამისთვალიშვილი, მამიჯანაშვილი, მამუშალვაშვილი, მამდაშვილი** და სხვ. (ილ. მაისურ., 100-101) (ბოგვი, დურნუკი).

| | |
|---|---|
| მამისაშვილი | 1184 |
| *თბილისი* | *445* |
| *გურჯაანი* | *268* |
| *გორი* | *173* |

**მამისაშვილი** (1721 წ.), სახ. **მამისა** (იერუსალ., 76); **მამისა-ჲ** (ათონ., 225); შდრ. **მამაია, მამია, მამულა** და სხვ; **მამა** საფუძვლად უდევს მრავალ გვარსახელს, მათ შორის წარმოქმნილფუძიანებს; **მამუკაშვილი, მამუკაძე, მამუკელაშვილი, მამულაშვილი, მამულია...** (ი. მაისურ., 100-101); **მამისა** — სასისხლო სიგელი სვანეთის ერისთავების გელოვანებისა, 1462 – 1510 (სძვ., II, 515); მამისა ელისაბედაშვილი, პატრონი მარეხისა და ავთანდილის გლეხი, 1624 წ. (დოკ., I, 19); სულხანა მამისაშვილი 1725 წ. მარტის 18-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ომან თაზიშვილის მიერ თავის განაყოფ ელისბარ თაზიშვილისადმი (დოკ., I, 212); „გიორგი მამისაშვილი მოიხსენიება 1817 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №1, საქმე №77).

„ქ. დრიანეთს 1721 წ. დათუნა მამისაშვილი" (ვახუშტი, 170); ბორბალოელმა ივანე მამისაშვილმა იქორწინა ბოგველ თევდორე ბეგიაშვილის ქალ ნინაზე. თავსმდებად იყვნენ: ზურაბ და დიმიტრი საგინოვები, მხარე კიკოლაშვილი, კიკოლა ზურაბისშვილი და გოგია ვარსიმაშვილი (489, აღწ. 6, საქ. 31, ფურ. 174, 1826 წ.).

**მამისთვალაშვილი** (1692 წ.), მშობლისმიერი საკ. სახ. **მამისთვალ-ი** (პ. ინგორ., სვან., 2,91); **მამისთვალა** ადამია, მ. დოჯვირი, მ. ბარაბაძე (XVII ს. მათხოჯის დავთარი, დოკ., I, 437); შდრ.

**მამაგულა, მამამზე, მამასწვერა, მამესწარა, მამისბედი, მამიკონა, მამისა, მამისედა, მამისგულა მამისიმედი, მამისმკვლელი, მამობილა** და სხვ. (ალ. ღლ., 156); ძაგია მამისთვალაშვილი არის მოწმე შვილის გაყიდვისა (იხ. შვილის გაყიდვის წერილი, 1757, იანვრის 22, საქ. სიძვ., III, 426); მარდახ მამისთვალაშვილი დასახელებულია მოწმედ ყმობის წიგნში, რომელიც მიუცია მამუკა ლობჟანიძეს ოთარ ამილახვარისათვის (საქ. სიძვ., III, 524); მსგავსი შედგენილობისაა გვარები: მამაგულაშვილი, მამესწარაშვილი, მამისაშვილი, მამისიმედიშვილი.

**მამისთვალაშვილი** იყო აზნაური (ტბისი) მ. არიან ებრაელებიც.

მამუკაშვილი
1441
*თბილისი 512*
*გორი 162*
*გარდაბანი 151*

**მამუკაშვილი** (1695 წ.), საკ. სახ, **მამუკა** (ისტ. საბ., 15); **მამუკ-ი** (ისტ. დოკ., I, 66); **მამუკა** (დოკ., II, 18); **მამუკია** (კოლხ., ს. მაკალ., 276); **მამუკა-ი** (საეკლ. საბ., I, 59); მამუკელა (ისტ. დოკ., I, 102).

მამუკა ბატონიშვილი, მამუკა ბოქაულთ უხუცესი, მამუკა მეწისქვილე (საქ. სიძვ., II, 397, 265, 44, 122); მამუკაშვილი – საზღაურობის მიცემულობის წიგნი, მიცემული ვარაზა გერმანოზაშვილის მიერ შერმაზან ყორღანასშვილისადმი (1695 – 1703 წწ., დოკ., I, 97); მამუკა მამუკაშვილი, მისი შვილი შიო – ნასყიდობის წიგნი, 1699 წ. (საქ. სიძვ., I, 76): თევდორე მამუკაშვილი, თავად ვანო სოლოღოვის (სოლოღაშვილი – ი. ა) უკანონო შვილი (ბორბალო, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, 1, 802. ფურ. 77 – 83) (ბოგვი, ბორბალო, ვაშლოვანი, მუხათი).

მამუჩაშვილი 448
*მცხეთა 295*
*თბილისი 92*
*გორი 27*

მამუჩიშვილი 378
*თბილისი 218*
*საგარეჯო 124*
*გურჯაანი 12*

**მამუჩაშვილი // მამუჩიშვილი,** საკ. სახ. **მამუჩა, მამუჩიკა.** რაჭა, ჭიორა, ონის რ. მამუჩარ (სვან., 2, ცხუმარი, ალ. ღლ., 157). მამუჩ-ი (საქ., 1449, №1799).

მამუკა მამუჩისშვილი (1714 წ. მარტის 22-ს), წყალობის წიგნი, მიცემული რუსუდან დედოფლის მიერ იესე გერმანოზაშვილისათვის, საქ. მუზ., №3059 Hd; მამუჩიშვილი იოანე, 1790 წ. (სცსსა, ფ. 1450, დავთ. №53, საბ. 9);

ამავე ძირისაა: **მამუჩაძე, მამუჩარაშვილი** (ასურეთი).

მანასაშვილი 44
თბილისი 29
თელავი 1
რუსთავი 1

**მანასაშვილი** (1831 წ.), საკ. სახ. მანასე (ქართლ. ცხ., I, 372): თონეთში მცხოვრებ ესტატე თავსუბუქის თავმდები ყოფილა ჩერქეზა მანასაშვილი (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 121 ბ, 1831 წ. ფურ. 37).

მანაშვილი 132
თბილისი 62
რუსთავი 40
თეთრიწყარო 24

**მანაშვილი** (1781 წ.), **მანა** (კოლხ., 48. ძველი სენაკი), მანა-ი (პ. ინგორ., სვან., 2, 152); შდრ. მანასე (ალ. ღლ., 157).

**მანა,** ქალის საკ. სახ. (ხიზაბავრა, ასპინძის რ.); კოლხ., 106, ორსანტია, ალ. ღლ., 284); შდრ. მანანა, მანა-ი (II მანია) ლიპარტიანის ქალი, მანასე, მღვდელ-მონაზონი (ქრონ., II, 712); ,,...ვაშლოვანს, — ...აქვე მოსია მანაშვილი" (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 167); ერტისელი გიორგი თამაზის ძე მანაშვილი და მისი მეუღლე ანა გრიგოლის ასული 1818 წელს ნათლავენ ქალიშვილ ეკატერინეს, მიმქმელი იყო ღოუბნელი ალექსანდრე კონიას ძე კენკებაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ, №1); ერტისელი გიორგი თამაზის ძე მანაშვილი 1881 წ. დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ჯვარს იწერს დიდ ენაგეთელ ანა გრიგოლიას ასულ გოდერძიშვილზე. ერტისიდან სასიძოს მხრით თავდებნი იყვნენ: დავით იოსების ძე შავიანისძე, დავით ივანეს ძე გოგაშვილი და დავით პავლეს ძე აღდგომელაშვილი, სარძლოს მხრივ დიდი ენაგეთიდან: ზაქარია თევდორეს ძე გოდერძაშვილი, გიორგი სვიმონის ძე ხუციშვილი, გიორგი ზაქარიას ძე პეტრიაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1) (ერტისი, ვაშლოვანი).

**მანათურაშვილი** (1714 წ.), სავარ. მეტსახელი **მანათურ.** მანათურაშვილი მაყა, მოიხსენიება სოფ. ირდისუბანს 1714 წ. მოწმედ ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული მებატონე ზაზა საგინაშვილის მიერ აზნაურ ასლამაზ ჩიჩიკაშვილისადმი (დოკ., I, 164).

**მანგლელი // ჯავახიშვილი** (1665 წ.), სადაურობის სიტყვა **მანგლელი,** მიღებულია ტოპონიმიდან მანგლისი.

,,ბატონი მანგლელი, როგორც ნასყიდობის წიგნის დამწერი და მოწმე, მოიხსენიება 1665 წელს" (საქ. სიძვ., I, 116); ვახუშტი ბატონიშვილის 1721 წ. აღწ. მანგლელს, როგორც მებატონეს, ყმები ჰყავდა: მანგლისში, მეთრევანას, ახალსოფელში (კეზეთს), უგუდეთსა და წიფლარას (ვახუშტი, 110 — 112);

„მებატონე მანგლელი სოციალური მდგომარეობის მიხედვით ეკლესია-მონასტრების წარმომადგენელი იყო“ (ისს. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 3); 1618 წელს ისტ. ვხვდებით ათანასე მანგლელ მთავარ ეპისკოპოს ტატიშვილს, რომელსაც სიმონ მეფემ უბოძა ბოგანო გლეხები გაბრიელ მანგლელი – ჯავახიშვილი 1686 წ. ზურაბ შალიკაშვილისაგან ყიდულობს სოფ. ჭვიროსში მცხოვრებ ნანეტაშვილს. მანგლისის მონასტრისა და გაბრიელ მანგლელ ჯავახიშვილს ეკუთვნოდა სოფლები: მანგლისი, მეთრევანა, თრიალეთზე, მამულები საჯავახიანოში.

შდრ. ბოლნელი, კარის წინამძღვარი, ნათლისმცემელი, ტფილელი ფიტარეთის წინამძღვარი, წალკელი... (მანგლისი).

**მანგულაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მანგუ** (ქართ. ცხ., II, 196); **მანგური** (ალ. ღლ., 157); **მანგია** (ხევსურ., ბარისახო; ა. შან., 196; ალ. ღლ., 157).

„ქ. ხოსროხანიშვილისა კრწანისს 1721 წ. პაპუა მანგულაშვილი“ (ვახუშტი, 23).

| | |
|---|---|
| მანველაშვილი | 35 |
| ახმეტა | 21 |
| გორი | 6 |
| თბილისი | 5 |

| | |
|---|---|
| მანველიშვილი | 342 |
| ახალციხე | 175 |
| თბილისი | 42 |
| ახმეტა | 41 |

**მანველაშვილი** (1698 წ.), საკ. სახ. მანველა 1704 წ. (სიძვ., II, 200); პირობის წიგნი, 1722 წ. (დოკ., I, 196).

**მანველაშვილი,** 1698 – 1712 წ. ვენახის წყალობის წიგნი, მიცემული დიდი მოურავის შვილიშვილის ავთანდილის მიერ არუთენა მანველაშვილისადმი (დოკ., I, 106); „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. ავაზანს, 1721 წ. დავითა მანველაშვილი, ნანუა მანველაშვილი“ (ვახუშტი, 169); „ქ. სოფელ ოშეთს 1721 წ. მანველაშვილი ოსიყმა, მანველაშვილის მამულზე თვითონ სახლობს“ (იქვე. 139).

შდრ. **მანველიძე,** რუს. ფორმანტით ზოგჯერ მანველოვი. **მანველაშვილ-მანველიშვილები მემამულე-მებატონეები იყვნენ.** (ავაზანი, კოდა, ოდიში).

| | |
|---|---|
| მანველიძე | 250 |
| ქედა | 84 |
| თბილისი | 67 |
| ბათუმი | 37 |

**მანველიძე** (1698 წ.), საკ. სახ. **მანველი (მანუელი); მანველა** (საქ. სიძვ., II, 200); მანველა, გვარებში: მანველიძე, მანველიშვილი (ალ. ღლ., 157).

დავით მანველაშვილი, საქართველოდან

ოსმალეთში გატაცებული ყმა. შემდეგ ერაყის გამგებელი დაუდ-ფაშას სახელით (XIX ს.) (იხ. ჯანელიძე და ბ. სილაგაძე, მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967 – 271).

**მანველაშვილი** – 1698 – 1712 წწ. ვენახის წყალობის წიგნი, მიცემული დიდი მოურავის შვილიშვილის ავთანდილის მიერ არუთენა მანველაშვილისადმი (დოკ., I, 106; საქ. მუზ., №2908); მანველაშვილი დავით, მღვდელი, ნასყიდობის წიგნი ფილიპე მღვდლისა, 1725 წ. იენისის 27-ს (სიძვ., II, 329); „1873 წ. აღწ. სოფ. დიდ თონეთში მოხსენიებულნი არიან გოგოლა და ნინიკა მანველიძეები" (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №127, აღწ. №319, ფ. 175 – 209).

**მანველაძეები გადმოსულნი არიან რაჭიდან, სოფ. წესი.**

ამავე ძირისაა: **მანველაშვილი, მანუელიძე** შდრ. რუსული ფორმანტით მანველოვი (დიდი თონეთი). (იგივე მანველიშვილ-მანველაშვილები).

**მანუქაშვილი // მანუკაშვილი** (1523 წ.), სავარ. სახელი **მანუქა // მანუკა,** არის მანუელის კნინობითი ფორმა. შდრ. **მანუჩა** (ქართ., ცხ., I, 307); **მანუქა** (საქ. სიძვ., III, 269); „მანუკაშვილი მოიხსენიება 1523 წ. ბარათაშვილთა გაყრის წიგნში (ქრონიკ., II, 350); „ქ. ვაშლოვანს, 1781 წ. დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმა... გოგია მანუქაშვილი... (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 166); „ქ. გურიელისა ქ. ელფიას: მანუკაშვილი" (ვახუშტი, 126); „ქ. იოთამიშვილის ორბელისა და გივის ყმა ნასყიდა მანუკაშვილი" (იქვე, 128); თათუა მანუკაშვილი, მეუღლე ანა, ქალიშვილები სალომე, ოსანა, დედა ნათელა, თამაზ მამუკაშვილი, მეუღლე ანა, დედა ხორეშან მოიხსენიებიან ვაშლოვანში 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 99–105).

მოგვიანებით რუსული გაფორმებით მანუკოვი. ექვსი საუკუნის შემდგომ მანუკაშვილის ნაცვლად შემოგვრჩა **მანუკოვი**. (ახალშენი, ელფია, ვაშლოვანი).

**მანუჩარაშვილი** (1740 წ.), **მანუჩარ** (ირან.) „ციური (სამოთხისებური) სახის მქონე". მისი ფონეტიკური ვარიანტია **მანუჩა.** მანუჩრის ძველი ფორმაა **მანუშჩიტრა,** რაც „მანუშის მთაზე დაბადებულს" ნიშნავს, მაგრამ ჯერ კიდევ ფირდოუსის დროს (X ს.) ამ სახელს დაკარგული ჰქონია ძველი მნიშვნელობა და ნიშნავდა „სამოთხისებური სახის მქონეს". მანუჩარი „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთი

გმირია. ის შვილიშვილია ირანის ტახტის მემკვიდრის ირეჯისა, რომელიც ძმებმა მოკლეს. მამამისი ფერიდუნი ამის გამო დაბრმავდა. როცა ირეჯის შვილიშვილი დაიბადა, ფერიდუნმა ღმერთს შესთხოვა, წუთით დაებრუნებინა მისთვის მხედველობა, რომ ახალდაბადებული დაენახა; ღმერთმა თხოვნა შეუსრულა და ფერიდუნმა ბავშვს **მანუჩარი** („სამოთხის სახისა") დაარქვა (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 335); მანუჩარ (სპ. მანის შთამომავალი მოიხსენიება ენაგეთში 1740 წ. (დოკ., I, 290).

მოგვიანებით რუსული გაფორმებით **მანუჩაროვი** (ენაგეთი). ამ გვარმაც მანუკაშვილთა ხვედრი გაიზიარა.

**მანჩალაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მანჩა** (სტუდ. კოლექცია, კოლხ., 47, შხეფი; ალ. ღლ., 157); **მანჩაია** (იქვე). შდრ. მეტსახელი მანჩო, ზოგჯერ მოფერებით მანანაზეც იტყვიან. (მანჩოს).

„ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა 1721 წ. ღოუბანს: დათუნა მანჩალაშვილი" (ვახუშტი, 143).

მანძულაშვილი 546
*თბილისი 181*
*გორი 146*
*კასპი 99*

**მანძულაშვილი** (1832 წ.), მანძულა, საკ. სახ. (სახ. არქ., 1449, №864, ფურც. 8); მანძულა, მეტსახელი, ქსნის ხეობა, ლარგვისი (ალ. ღლ., 157); კოდაში მცხოვრებ იორდანე ივანეს ძე მანძულაშვილს 1832 წ. დაებადა ქალი ნინა. მონათლა მღვდელმა იაკობ ხუროვმა (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, გვ. 22)

მარბიშვილი 399
*თბილისი 306*
*რუსთავი 29*
*ბათუმი 15*

**მარბიშვილი** (1832 წ.), საკ. სახ. **მარგა** (სვან., 13, მესტია, ალ. ღლ., 157); სავარ. წარმოიშვა საკ. სახ. მარგოდან.

თავად დიმიტრი თურქესტანიშვილის გლეხად სოფ. ერტისს 1823 წელს მოიხსენიება გიორგი მარგიშვილი, მეუღლე ბარბარე, ვაჟი სოსია, ქალიშვილები სალომე, თამარი (სცსსა, ფ. 254, 1, ფურ. 93-98).

მარბველაშვილი 2167
*ქუთაისი 823*
*თბილისი 332*
*წყალტუბო 252*
მარბველაშვილი 27

**მარბველაშვილი,** ნაგარები, გოდოგანი, (თერჯოლის რ.), ბერძენაული (ქარელის რ.) და სხვ. სადაურობის სიტყვა მარგველა (მ-არგველ-ა) მიღებულია სოფლისა (ძველი მნიშვნელობით) და მთელი მხარის (ზემო

იმერეთის) სახელწოდებისაგან — არგვეთი. ამავე აგებულებისაა: **მაჩა-ბელი, მაჭწვერელი, მარადელი, მეგრელი...** (იხ. ა. შანიძე, სტრუქტ. საკითხ. 31). შდრ. საკუთ. სახ., მარგა (სვან., 13, მესტია), მარგველან (სვან., 1, მესტია, ალ. ღლ., გვ. 157).

ამავე ძირისაა: **მარგველაძე, მარგველანი მარგველიანი, მარ-გველიძე, მარგვლიანი** (ი. მაის., ქართ. გვარ-სახელები, გვ. 102).

**მარტიაშვილი** (1786 წ.), საკ. სახ. **მარტა, მარტია** (მარტის თვეში დაბადებული). **მარტი** (ლათ.), კალენდარული წლის მესამე თვე (31 დღ-ღ). სახელი ეწოდა ძველ რომაელთა ღმერთს, მარსის, პატივსაცემად. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრით მირკანი (მი-ჰრაკანი) (ქსე, ტ. 6, 458); მარტინა, სოფ. ახალგორის რ-ში (ლარგვი-სის საკრებულო); მარტია, გიორგი პაჭიჭაშვილის ბიძაშვილი (დოკ., I, 396); მარტია ქინქლაძე, შამაზასშვილი (იქვე, 400); შდრ. ქალის სახ. მარტინე, ჰერეკლეს მეუღლე (ქრონ., I, 66); ჯერანა, სიხო, დემეტრე, მარტაშვილები მოიხსენიებიან 1768 წ. სოფ. არდისუბანში (სიძვ., I, 151).

ახალშენე **მარტიაშვილები კაზაროვად** ჩაუწერიათ (სცსსა, ფ. 254, 25-3-1606) (არდისუბანი, ახალსოფელი).

**მარტიროზაშვილი** (1609 წ.), საკ. სახ. **მარტიროზა** (საქ. სიძვ. II, 475); შდრ. **მარტილოზა** (საქ. სიძვ. I, 92); **ქართველი მწერალი მარტიროზა** მოიხსენ., 1673 წ. (ქსძ, VIII, 851); ,,ქ. ბატონ-იშვილის ვახუშტისა ნაზარასოფელსა: ...**მარტიროზა ერგანაშვილი,** მარტიროზა შევერდაშვილი (1721 წ., ვახუშტი, 21); ,,1609 წ. ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც შანშე ჯავახიაშვილი აძლევს გიორგი ცალქალამანიძეს, როგორც მოწმე და გადამწყვეტი, მოიხ-სენიება ავთანდილი და მისი ძმა ბეჟან მარტიროზაშვილები" (ქსძ, VIII, 834); მარტიროზიშვილი შალვა // მარტირუზაშვილი შალვა მდივან-მწიგნობარი (საქ. სიძვ., I, 254, 484); მარტიროზაშვილი (// მარტირიზიშვილი) ავთანდილ, მდივანმწიგნობარი, მოიხსენიება 1651 წ. გამრეკელებისათვის როსტომ მეფის მიერ მიცემულ სიგელში (საქ. სიძვ., II, 267); მარტიროზაშვილი ბეგთაბეგ, კარის მდივანი, მისი შვილები ავთანდილი, ბეჟანი მოიხსენიებიან 1685 წ. გიორგი XI-ის სიგელში (იქვე, 100); მარტიროზაშვილი შანშეან (იქვე, 100).

**მარტიროზაშვილი** (ანდრე მარტუილოზაშვილი) შანშიაშვილ-თა შტოგვარია. იხ. დოლმაზაშვილი.

**მარტიროზაშვილებს XVIIს-ში თავადობა ებოძათ.** XIXს-ის დასასრულს **მარტიროსოვად** მონათლეს (კოდა). **მარტიროზაშვილი (მარტიროსოვი)** გოგიბაშვილ-შანშიაშვილთა შტო-გვარია (ი.ა.).

| | |
|---|---|
| მარგალიტაშვილი | 454 |
| *თელავი* | *414* |
| *თბილისი* | *18* |
| *რუსთავი* | *14* |
| მარგალიტაძე | 598 |

**მარგალიტაშვილი** (1721 წ.), ქალის საკ. სახ. **მარგალიტა** (ლეჩხ., ორბელი, ალ. ღლ., 284); **მარგალიტ-ი** (ტბეთის მატეანე, 179).

,,ქ. იარალაშვილის როსებისა სამაჩვეთს: 1721 წ. თამაზა მარგალიტაშვილი, იქავ მარგალიტაშვილი'' (ვახუშტი, 62-63).

| | |
|---|---|
| მარიკაშვილი | 106 |
| *თბილისი* | *42* |
| *თეთრიწყარო* | *22* |
| *გურჯაანი* | *21* |

**მარიკაშვილი** (1873 წ.), ქალის საკ. სახ. **მარიამ** (ძვ. ებრ. შეუპოვარი. უფლის საყვარელი, დაუმორჩილებელი; დოკ., II, 61; ისტ. დოკ., I, 22): **მარიკა,** ქალის საკ. სახ. (ასკანა, ოზურგეთის რ., ალ. ღლ., 285).

ივანე მარიკაშვილი მოიხსენიება მოხისში 1873 წელს (სცსსა, ფ. 254, №3, 241, ფურც. 821-825).

| | |
|---|---|
| მარკოზაშვილი | 1041 |
| *თბილისი* | *292* |
| *თელავი* | *247* |
| *გორი* | *210* |

**მარკოზაშვილი** (1405 წ.), **მარკოზ** ბერძნული საკუთარი სახელია, რომელსაც დამაჯერებელი ეტიმოლოგია არ მოეპოვება. ფიქრობენ, რომ მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს ,,ჩაქუჩს''. სხვაგვარი ეტიმოლოგიით – ,,ჭკნობადი'' ან კიდევ ,,მარტისა'' (,,მარტში დაბადებული''). სიტყვიდან მარკოზ ნაწარმოებია გვარები: **მარკოზაშვილი, მარკოზია მარკოიშვილი,** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 356); სხვაგვარი ეტიმოლოგიით სახელი ბერძნულიდან მარკო-ს მომდინარეობს შდრ. ლათინურ მარკუს, გერმანულ მარკ, რუსულ მარკს, ებრაულად ნიშნავს ,,ბრწყინვალეს'', ,,გლუვს''. ,,მაღალ ჯებირს''. სხვა ეტიმოლოგიით გამხდარსაც ნიშნავს. შდრ. სომხ. მარკოსიანი (კ. გ. დურგარიანი, სახელების ლექსიკონი, ერევანი, 1981 წ. გვ. 56, სომხ.). (როგორც ქართველებმა ისე სომხებმა გვარის .ფუძე ისესხეს სხვა ხალხისაგან).

მარკოზ არსენის ძე, მარკოზ ბეშქენას ძე, მოძღვარი, მარკოზ დეკანოზიშვილი, მარკოზ კათალიკოზი ქართლისა (ქრონიკ., II, 333, 332, 280, 713); მარკოზ დედაბრიშვილი, დეკანოზი, 1412 წ. (საქ. მუზ., №143, შდ); მარკოზაშვილი დემეტრე, მწიგნობარი, მოიხსენიება 1405 წ. მცხეთის გუჯარში (№106); ქრონიკ., II, 214; ,,ქ. საგინაშვი-

ლის ინდოშვილის მამულში ქ. არდისუბანს, 1721 წ. ევანეზა მარკოზაშვილი (ვახუშტი, 155); „კოდელმა (30 წ.) სოლომონ მარკოზაშვილმა პირველითა ქორწინებით იქორწინა ენაგეთელი სოლომონ გიორგისშვილის ქალ (16 წლის) მარინესთან. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ (489, აღწ. 6. №76. 1829 წ. ფურ. 4). მ. არღუთაშვილ-მხარგრძელთა შტო-გვარია.

კოდაში მარკოზაშვილების სახინჯარია პრაგონაანი (პრაგონაანთ მიხაკა).

**მარტუილოზაშვილი // მარტირუზაშვილი (1634 წ.) // მარტიროზაშვილი** (იგივე **დოლმაზაშვილი, პაპიაშვილი, შანშიაშვილი...**)

„1573 წ. აპრილის 23-ს კ[ვალა]დ შეუწირავს რხვითს მარტუილოზაშვილის მამული, ორთავე განაყოფთა მამული“ (დოკ., I, 8); მარტირუზაშვილი ელიზბარ, მეუღლე ლალო, შვილებით კოტე, ელიზბარა, სალომე მოიხსენიებიან სოფ. ბოგვში 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, I, 802, 1823 წ. ფურ. 1-5); მარტიროზაშვილები ქართველი თავადის ხარისხს გიორგი XI-ის დროს (1676-88, 1703-1709) აღწევენ. მდივანმწიგნობრები ამ საგვარეულოში XVII ს-დან გვხვდებიან. სადედოფლო დასტურლამაში მდივნებად დასახელებული არიან ბეგათაბეგა და ზაქარა მარტიროზაშვილები (გ. მაისურაძე, ქართვ. და სომ. ხალხ. ურთიერთობა XIII – XVIII საუკუნეებში, თბ., 1982, გვ. 309).

| მარქარაშვილი | 317 |
| --- | --- |
| კასპი | 147 |
| მცხეთა | 70 |
| თბილისი | 50 |

| შერმაზანაშვილი | 372 |
| --- | --- |
| გარდაბ | 199 |
| თბილისი | 151 |
| ბოლნისი | 11 |

**მარქარაშვილი // შერმაზანაშვილი // მენაბდიშვილი** (1537-1538 წწ.), საკ. სახ. მარქარა (ბარათაანთ გაყრის წიგნი, 1537-1538 VIII. 16, ფ. 1450 – 11 –112).

**მარქარაშვილი** 1537 – 1538 წწ. VIII. 16. ფ. 1450-11-112); ამირხანა მარქარაშვილი (1620 წ. VIII. 9. ფ. 1450-18-55); „1705 წ. ქრისტეშობისთვის 3. კათალიკოზი დომენტი III ათარხნებს (ათავისუფლებს – ი. ა.) წინწყაროელ მარქარაშვილებს – დურგალს გიორგის, დურგალს ოსებას, მჭედელს ავეტიზას და ჭონს ასლამაზას (ნ. საქ. სიძვ., ტ. II, გვ. 203); ესტატე მარქარაშვილი გვხვდება 1723 წ. წისქვილის წყალობის წიგნში, რომელსაც ზურაბ, მამუკა და იორამ მოურავისშვილები აძლევენ ესტატა, სტეფანე და სხვა მარქარაშ-

ვილებს (სცსსა, ფონდი 226, №4140); „სეხნია საგინაშვილმა ვარდუა მარქარაშვილს ზედა ირდასუბანში მიჰყიდა თავისი სამკვიდრო მამული მახარაშვილისა და გიორგის საზღვრამდე"; ნ. მარქარაშვილი ზურაბი, კოჟორზედ (ვახუშტი, 5); „ქ. არის საბარათაშვილოში, გიორგი მარქარაშვილი" (ვახუშტი, 5); „ქ. მუსხელიშვილის ავთანდილისა თრთიალეთის საბატეს, 1721 წ. რევაზა მარქარაშვილი" (იქვე, 40); „ქ. ფრიდონასი პრდასუბანს: პაპა მარქარაშვილი – თარხანი" (იქვე, 94); „ქ. ქავთარაშვილის გიორგის ყმა ქ. რატევანს: მარქარაშვილი" (ვახუშტი, 124); „ქ. გერმანოზაშვილის ბეჟანის ყმა მირტაშენს: მარქარაშვილი არუთინა" (იქვე, 131); „ქ. სოლაღაშვილის ყაფარის ყმა დრეს: მარქარაშვილი თამაზა" (იქვე, 149), „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მხალობარი საერთო დაბალში ქ. მირტაშენს: მარქარაშვილი ევანა" (იქვე. 160); „იმერელი ბეჟანის ყმა ქ. სუგეჩანს მარქარაშვილი ოთარი" (იქვე, 194); „ქ. სომხითის ალიყულახანისა ქ. მამხუტს მარქარაშვილი ნიაზა" (იქვე, 250).

**1890-იანი წლებიდან გვარი მარქარაშვილი რუსულად მარქაროვად გაფორმდა და გრიგორიანული წესით მოინათლა.**

ამჟამად ნაწილი მარქაროვებისა **ნიკოლაშვილად** (მამის სახელის მიხედვით), ხოლო ნაწილი მახარაშვილებად ეწერება. **მარქარაშვილების** ნაწილი **მენაბდიშვილები** იყვნენ.

მარქარაშვილები, იგივე შერმაზანაშვილები, 1843 წ. სოფელ მუხათში (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, გვ. 273-274), ხოლო დიღომში მესაბლიშვილები არიან. **მარქარა** მომდინარეობს სახელიდან **მაკარ, მაკარე** (ნ. მაკარაშვილი) (კოდა, მუხათი).

მარცვალაძე 134
*თბილისი 83*
*რუსთავი 40*
*თეთრიწყარო 9*

**მარცვალაძე** (1873 წ.), საკ. სახ. **მარცვალა** (ტბეთის მატეანე, 234, 277, 389); „გილაძის შვილი მარცვალა" (ივ. ჯავახ., I, 45); „1873 წ. აღწ. თონეთში მოიხსენიებიან თუნია და სოსიკა მარცვალაძეები" (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №127, აღწ. №320, ფ. 218 – 244).

ამავე ძირისაა: **მარცვალიშვილი** (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ; I, 45, პატარა თონეთი).

მასურასშვილი 850
*ქარელი 218*
*თბილისი 187*
*გორი 99*

**მასურასშვილი** (1831 წ.), საკ. სახ. **მასურ** (საქ. სიძვ., II, 48); **მასურა** (ძვ. საქ., IV განყ III, 54); **მასურა** (დოკ., I, 128).

1831 წელს ესტატე თავსუბუქმა იქორწინა ბერუა დოლისშვილის ასულ მარიამზე. სასძლოს მხრიდან თავმდებად იყვნენ თომა მასურაშვილი (ფ. 489, აღწ. 6, საქ. №121 ბ, ფურ. 37) (თონეთი).

**მასხუდაშვილი** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **მასხუდა.**

„ქ. საგინაშვილის იოსაფათის ყმა ჩხიკვთას: ივანა მასხუდაშვილი 1721 წ." (ვახუშტი, 154); „ქ. ჩხიკუთას: გიორგი მასხუდაშვილი" (იქვე, 154).

**მატიაშვილი//მათიაშვილი** (1690 წ.), საკ. სახ. **მატია** (საქ. სიძვ., I, 356).

მატია ზაზაშვილი, ირაკლის, ვახუშტის და ასლამაზის მემკვიდრე ყმა (დოკ., I, 74); მატია მატიაშვილი (საქ. სიძვ., I, 356).

შავერდა მატიაშვილი 1690 წ. მოწმეა მოლოდინაშვილ-ქრისტესიაშვილ ესტატესი და მისი ძმების მიერ ნიგოზის გაყიდვაზე შედგენილი ნასყიდობის წიგნი, 1746 წ. (იქვე, 140); შდრ. სახელები: მატი, მატია, მატათი, მატატია, მატათა, მატიანი, მატოა, მატუ, მატუა, მატუნა (ალ. ღლ., 158); სოფ. მუხათში მცხოვრები მატიაშვილების წინაპარი ყოფილა შავი მატია, მოიხსენიება 1781 წ. აქედან მისი ჩამომავლობის გვარი ჩნდება 1817 წ; კოდელი ივანე მატიაშვილი 1826 წელს იქვე წმ. გიორგის ეკლესიაში შვილს უნათლავს დავით ბერუაშვილს (489, 6, №28, 1826 წ.); სოფ. კოდაში მატიაშვილების (მოგვიანებით რუსული გაფორმებით მატინოვების წინაპარი ყოფილა დოლდაშვილი მატია (მატიაშვილი, 1781 წ.).

ამავე ძირისაა: **მათიაშვილი, მატუასშვილი, მატოშვილი.**

მატიასშვილების ერთი შტო 1886 წ. აღწერის შემდეგ სოფელ კოდაში აზატაშვილი გამხდარა (მოგვიანებით აზატოვი) (კოდა, მუხათი).

| | |
|---|---|
| მაყაშვილი | 303 |
| *თბილისი* | *193* |
| *გორი* | *33* |
| *ქარელი* | *15* |

**მაყაშვილი** (1460 წ.), საკ. სახ. **მაყა** (ქართ.), მისი მნიშვნელობა გაურკვეველია (ისტ. საბ., 41); მაყაშვილი დავით ნაზირი და ფარსადანი (იქვე, 163, 491); ...მაყაშვილი მამია, მაყაშვილი თამაზა მოიხსენიებიან ღურნუკში, 1721 წ. (ვახუშტი). **მაყაშვილები იყვნენ კახეთში თავადები.** სათავეს იღებენ **ირუფაქისძე//ირუბაქისძეებიდან.**

**მაჩაიძე** (1843 წ.), **მაჩა-ი,** მეტსახელი გვარში: **მაჩაიძე** (ალ. ღლ., 159) ი. ქავთარაძის ვარაუდით წარმომდგარი უნდა იყოს **მაჩაჩისაგან** (ი. ქავთარ., ქ. ენ. ისტ., 142).

„1843 წ. სოფ. დიდ თონეთში მოიხსენიება თეოდორე, მამუკა, მაქსიმე მაჩაიძეები (სცსსა, ფ. 254, I, 2043, ფ. 310-322). მაჩაიძეები მაჩაბლის გვარადაა მიჩნეული.

ამავე ძირისაა; **მაჩალაძე, მაჩიტაშვილი, მაჩიტაძე** (დიდი თონეთი).

| |
|---|
| მალალაშვილი 694 |
| *თბილისი 429* |
| *გორი 61* |
| *კასპი 54* |

**მალალაშვილი** (1851 წ.), **მალალა,** ფშ., მალარ-ოსკარი; გვარებში: **მალალაძე, მალალაშვილი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონომია, 1982, 39).

„**თავადი მალალაშვილი**. ესენი არიან იმერეთიდან მოსრულნი საქართველოსა შინა დროსა მეფისა ალექსანდრესა აქეთ 1415 და მეფემან ალექსანდრემ მიიღო ესენი აზნაურად და უბოძა იოწ-ისძის (?) მამულისაგან ნაწილი და შესწირა მცხეთის ეკლესიას, ვითარცა წერილ არს გუჯარსა შინაცა და დასახლდა მეტეხსა შინა, ხოლო უკანასკნელ მეფემან ირაკლი უბოძა **თავადობაი ამილბარ მალალაშვილსა** ქრისტეს აქეთ 1783-სა და არიან თა-ვადათ: 1) ამილღაბარისშვილები, ხოლო 2) დავითისშვილები და სხვანი ამათი სახლის კაცნი აზნაურად: 1) სვიმონიშვილები, 2) ნიკოლოზისშვილები, 3) იოსების შვილები, 4) გაბრიელის შვილები, 5) ივანეს შვილები, 6) გიორგის შვილები და სხვანი“ (საანდაზო ლექსები... 26); მალალაანთ ეკლესია, მალალაანთ ეკლესიის ანსამ-ბლი, XIIს-ის დასასრულის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგ-ლი. კასპის რაიონის სოფ. წინარეხიდან 2,5 კმ-ზე, მდ. კავ-თურის მარცხენა ნაპირზე. ეს მხარე XV საუკუნიდან ძლიერ აზნაურებს – მალალაძეებს ეკუთვნოდა; ზაბილონ მალალაშვი-ლი, როგორც მღვდელ-მონაზონი, 1411 წელს ადგენს სიგელს (№160) და თვითონვე მოწმეა ერთ-ერთი სამართლის ძეგლისა (ქრონიკ., II, 219).

**მალალაძეები,** ქართველი მწიგნობარ კალიგრაფები, სოფ. წინ-არეხში (კასპის რ-ნი) მცხოვრებ **აზნაურთა** გვარიდან (კოდა).

**მალალაძე** (1391 წ.). **მალალა** (ფშ., მალაროსკარი), გვარებ-ში: **მალალაძე, მალალაშვილი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982 წ. 39); მალალაძე რევაზ, ყმის წყალობის წიგნი, გაცემული სუ-ლაიმან ბატონიშვილის მიერ სახლთუხუცესის რევაზ და სხვა მალალაძეთადმი (1686 წ. დოკ., I, 77); „ორბეთს ქვემოთ 1691 წ. წინამძღვარი და მალალაძენი საწისქვილოზედ ცილობენ“ (სცსსა,

ფ. 1448, №3268); მაღალაძე ამილბარ, სახლთუხუცესი, 1705 წ. სითარხნის წიგნი კათალიკოზ დომენტი III-სა (საქ. სიძვ., II, 203); მაღალაძე სოლომონ, მდივან-მწიგნობარ-მგალობელი (მაღლაძე). მაღალაძე. გუჯარი, 1710 წ. (საქ. სიძვ., I, 79); მაღალაძე ნიკოლოზ (მაღალაძე) ნასყიდობის წიგნი 1743 წ. (საქ. სიძვ., I, 92); 1391 წ. მაღალაშვილების მხედრულად ნაწერ სიგელში აღნიშნულია: „ქ. ჩუენ მეფეთ მეფემან პატრონმა ალექსანდრე, ...ესე წყალობის წიგნი გიწყალობეთ... თქვენ მაღალაძეებს ამილბარს, დიმიტრის და გიორგის" ...ცნობილია მაღალაძეთა სიგელები 1472 წ., 1562 წ., 1675 წ., (ქრონიკ., I).

ამავე ძირისაა: **მაღალაშვილი.**

შდრ. **მაღალიანი** (სომხ.).

**რუსული გაფორმებით ზოგიერთი მაღალაშვილი მაღალოვად გაფორმდა, ხოლო სომხურმა საყდარმა სომხად მონათლა (ორბეთი).**

მაღრაძე 3588
თბილისი 1413
ხარაგაული 607
ბორჯომი 246

**ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ // ᲞᲔᲢᲠᲔᲨᲕᲘᲚᲘ** (1886 წ.), საკ. სახ. **მაღრა,** გვარებში: **მაღრაძე, მაღრაშვილი** (ალ. ღლ., 159).

პეტრე (ბერძენ. კლდე, ქვა; დოკ., II, 11); პეტრია, (დოკ., I, 171). საწყისია: მაღრაძე (მაღა-რადან, თურქ.): 1886 წ. აღწერაში მოიხსენიება ივანე მაღრაძე-პეტრეშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, 1608, 1886, ფურც. 82-146). მაღრაძე აზნაურული გვარია.

ნ. პეტრიაშვილი (დიდი თონეთი).

მაცაბერიძე 797
თბილისი 352
ამბროლაური 77
ქუტაფონი 60

**ᲛᲐᲪᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ,** ბერ ძირის შემცველი რთული საკ. სახ. **მაცაბერი (მაცა+ბერ),** შდრ. საკ. სახ. **მაცი** (მაცი ხვიტია). მაცა-საგან წარმოქმნილი სახელები სხვა გვარსახელებშიც დასტურდება: **მაციშვილი, მაციკიძე, მაციაშვილი, მაცუკაშვილი.** „ძლიერ ძველი ჩანან მაცაბერიძე, მაციშვილი და მისთანანი, რომელშიც **მაც** ძირია საგულვებელი" (გ. ახვლ., აქემენიდთა ლურსმული წარწ., 487); **„ჭანიხიტების საგვარეულოს წარმომადგენლებს ჰქონიათ დიდი მეჯინიბეთუხუცესის წოდება**. ამავე თანამდებობის პირი იყო იმავე დროს მაცუპას ოლქის ჯარის უფროსი... საინტერესოა, რომ ჩვენში არის გვარი მაცუკაშვილი" (გ. გოზალიშ., მითროდატე, 199, 200). შდრ. მიწიაშვილი (იკოთი, ახალ-

გორის რ. ნ. ალ. ღლ., 105).

**მაცუკაშვილი** რუსული გაფორმებით **მაცუკატოვი** (რეხა. წალკის რ.).

**მაცაბერიძეები** ასურეთში გადმოვიდნენ ამბროლაურის რაიონის სოფ. აგარიდან 1941 წელს.

**ᲛᲐᲪᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), **მაცაცა,** მეტსახელი, ობჩა, I, სტუდ. კოლექცია (ალ. ღლ., 159); საკ. სახ. **მაცაცა** (კოდა).

1873 წ. აღწერით პატარა თონეთში მოიხსენიება ალექსი მაცაცაშვილი (254, 3, 127, №320, ფურ, 218-244).

ᲛᲐᲬᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 167
*თბილისი 56*
*ახალგორი 37*
*გურჯაანი 26*

**ᲛᲐᲬᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ სახ. **მაწია. მაწია,** გვარში: მაწიაშვილი (ალ. ღლ., 159).

შდრ. **მაწიერ-ი,** ნოყიერი, ყუათიანი. მაწიერი საჭმელი, მაწიერი პური (ქეგლ), ბოგვი (ჯორჯიაშვილი).

ᲛᲐᲭᲐᲜᲙᲐᲚᲐᲫᲔ 152
*ამბროლაური 96*
*თბილისი 27*
*ქუთაისი 11*

**ᲛᲐᲭᲐᲜᲙᲐᲚᲐᲫᲔ // ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ.** რაჭველი მეტსახელიდან **მაჭანკალი** (სიძის შუამავალი, საბა). **მანჯგალა** მეტსახელი გვარში: მანჯგალაძე ბევრი რაჭველი მაჭანკალაძე დღეს მანჯგალაძედ ეწერება.

ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ 1589
*სამტრედია 531*
*თბილისი 498*
*ქუთაისი 118*

**სოფელ ღანირში (სამტრედიის რ.) მცხოვრებ მანჯგალაძეების თიკუნებია:** რაქვია, რასაკვირველია. ობლები, ბანდია, ფათერაკი, კოკიტა, კვექო, კაპტო, თრისა, პუტუნები, გელიები, ოთურები, პრანჭიები, კვარჩხი, ფეოიანა, უჩა, ხელცანცალა, ბაყაყები, კრუხი, მჭადპურა, კერი. ისინი ორ უბნად იყოფიან: ჩხიკვების უბანი, ყვავების უბანი. „რაქვია", „რასაკვირველია" შერქმევიათ იმის გამო, რომ ამ სიტყვებს ხშირად იყენებდნენ საუბარში. „ბანდია" ლოჯს წნელით უბრალოთ გაბანდავდა ხოლმე. „პუტუნების წარმომადგენლებს ყურში პუტუნით საუბარი ყვარებიათ. სახელი „უჩას" მქონე კაცი ძლიერ მაღალი და შავი ყოფილა, რომელსაც უჩა დადიანს ამსგავსებდნენ. „ჩხიკვების უბნის" წინაპარს ჩხიკვის გაზრდა, ხოლო „ყვავების უბნელებს" ყვავის ბარტყების გაზრდა სცოდნიათ და ა.შ. (ინფორმატორი კონსტანტინე (კოტე) მანჯგალაძე, 76 წ.) გ. 2004 წელს.

ასურეთში მაჭანკალაძეები გადმოსახლდნენ ამბროლაურის რაიონის სოფელ კვაცხუთიდან 1941 წელს.

**მაჭარაშვილი** (1588 წ.), **მაჭარა,** მეტსახელი (გ. შატბერ., ქაშნიკი, 138); გვარებში: **მაჭარაძე, მაჭარაშვილი** (ალ. ღლ., 159); შდრ. მაჭარი, ახლად დაყენებული (დუღილდაუმთავრებელი) ღვინო, რომელიც მიიღება ყურძნის ტკბილისაგან ალკოჰოლური დუღილით.

**მაჭარა,** მდინარე (დიდი და პატარა) გულრიფშის რ-ში; მაჭარა, სოფელი აფხაზეთის გულრიფშის რ-ში, შავი ზღვის ნაპირას; მაჭარა საკ. სახ. (ილ. მაისურ., 106).

**...მაჭარაშვილ-ი,** წაღვლი (ხაშურის რ.) და სხვ. (გავრც.); საკ. სახ. მაჭარა; წაღვლელ მაჭარაშვილთა თიკუნებია: ივანიანთი, ტურფაანთი, დაბიაანთი, ამავე ძირისაა მაჭარაძე (ი. მაისურ., 106); ბორჯალა მაჭარაშვილი — ყმის წყალობის წიგნი, მიცემული ქართლის კათალიკოზ პატრიარქის ნიკოლოზის მიერ გედეონ ელიოზისშვილისათვის (1588 წ., საქ. მუზ., ფ. №2526; დოკ., II, 3); ივანიკა, მამუკა, როსტომა მაჭარაშვილები — მამულის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი წერეთლის მიერ მამუკა მაჭარაშვილისათვის (1821 წ. აგვისტოს 1-ს. დოკ., II, 297); გიორგი მაჭარაშვილი, 1722-1738 წწ. ყმების ნასყიდობის წიგნით, რომელიც ქაიხოსრო წერეთელს მიუცია პაპუნა წერეთლისათვის, ირკვევა, რომ იმერეთიდან თავისი ძმებით წასულა საცხოვრებლად ქართლში (დოკ., I, 455).

1817 წ. ერტისში მოიხსენიება ოთარა მაჭარაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, 477, ფ. 37); გიორგი და ნინია მაჭარაშვილები მოიხსენიებიან დიდ თონეთში 1818 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ) (ერტისი, დიდი ენაგეთი, ორბეთი).

**მაჭანკალაშვილი // ბეგნაზარაშვილი** (1781 წ.), ნაწარმოები უნდა იყოს ხელობა- მოსაქმეობის ტერმინიდან მაჭანკალი. **მაჭანკალი** — სიძის შუამავალი. **მაჭი // ერქუნის** სახელური. შდრ. მემაჭე ერქუანთ მჭირავი. კალა მკალავი. ზოგადი მნიშვნელობით მკალავის // საკლავის დამკვლელის დამჭერი, დამხმარე (საბა).

**მაჭანკალაშვილების** მეორე გვარია **ბეგნაზარაშვილი.** იგი რთული შემადგენლობისაა. **ბეგ-ი** თურქ. (ძვ.) ფეოდალი, მემამულე (აზერბაიჯანელებში, თურქებში). **ნაზარ** (უცხ.) ყვავილი (საბა, 244), ბატონყმილაშვილი. შდრ. უჩუმბეგაშვილი (ჩუმიბატონიშვილი), ასანბეგაშვილი პაპანა გეოს ძე, მაჭკალაშვილი გიორგი (სცსსა, №3, 1607, 1886

წ. ფ. 46-60); მაჭკალაშვილი (იგივე ბეგნაზარაშვილი), მოსე, მაჭკალაშვილი (იგივე ბეგნაზარაშვილი, მაჭკალაშვილი (იქვე, ფ. 46-60); 1886 წ. აღწერით არდისუბანში მოიხსენიება ივანე და პეპანა გეოს ძე მაჭკალაშვილი) (სცსსა, ფ. 254, №3. 1607, ფურც. 46-60); 1897 წლიდან მაჩკალოვები.

მახანაშვილი 57
*თბილისი 34*
*გორი 20*
*დუშეთი 1*

**მახანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მახა** (დოკ., I, 327); აქედან **მახა+ნა.** „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა წვერს 1721 წ. ივანე მახანაშვილი" (ვახუშტი, 119).

მახარაშვილი
3651
*თბილისი 1167*
*მცხეთა 342*
*გურჯაანი 337*

**მახარაშვილი // მახარეშვილი** (1699 წ.), **მახარა, მახარე** (ქართ.), აქედანაა გვარები: მახარაძე, მახარაშვილი. ძველად გავრცელებული იყო აგრეთვე ამავე ძირისაგან ნაწარმოები სახელი მახარობელა, საიდანაც მიღებულია გვარები: მახარობლიძე, მახარობლიშვილი. **მახარე** ჰქვია შ. არაგვისპირელის „გაბზარული გულის" მთავარ გმირს. **მახარა** კი გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის" ერთ-ერთი პერსონაჟია (იხ. ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ, 356); **მშობლისმიერი საკ. სახ. მახარე, მახარა, დასტურდება I საუკუნიდან (ძვ. წ. ა.); მითრიდატე პონტოელის ერთ-ერთ ვაჟს მახარე ერქვა:** „ამ სახელში გამოხატულია ის სიხარული და აღტაცება, რასაც განიცდიდა მითრიდატეს ოჯახი და სამეფო კარი პირმშოს ძისა და სამეფო ტახტის მემკვიდრის დაბადების გამო" (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე, 242); მახარე ბლიაძე (335), მ. გამზიდაშვილი, იმერელი, ქალაქის მელიქის ენალას ყმა, 38, 1665 წ., მ. კანდელაკი (291), მ. მჭედლიშვილი (160), მ. ოთიაშვილი (107), მ. ფიტკვილაშვილი (200) (დოკ., I, 555); ბასილა მახარეშვილი, 1699 წ. (დოკ., I, 107).

ამავე ძირისაა: **მახარა.** ნ. მ. ამირაშვილი, მ. ბეგიაშვილი, მ. დაკარგული, მ. მარკოზაშვილი, მ. მჭედლიშვილი და სხვა (დოკ., I, 555) მახარაშვილი გიგოლა, თამაზა თანდილა, ოთარა, პაატა, შუშანა (იქვე, 1687 წ., 555); ...მახარაშვილი სეხნია მოიხსენიება სოფ. დრეში 1960 წ. (სცსსა, ფ. 254, №2, 1860 წ.); „ქ. ხოსროხანიშვილისა კრწანისს 1721 წ. მახარაშვილი წერელა" (ვახუშტი, 23).

**მახარებლიშვილი // მახარობლიშვილი** (1721 წ.), მახარობელა (მახარობელი), კეთილმოამბე მახარობელი ბუზია დიდი და

როდეს ვისამე სახლში შევა ბზუილით, იტყვიან: მახარობელი მოვიდაო და კეთილს რასმე გავიგონებთო (საბა, 201); საკ. სახ. მახარობელი, ღებზე ოზურგეთის რ. (ალ. ღლ., 160); მახარობელი (საქ. სიძვ., II, 86), მახარობელი (საეკლ. საბ., I, 43); მახარობელა (ისტ. დოკ., 158); მახარობელი დეკანოზი (საქ. სიძვ., I, 292); მახარობელი მწირველი (საქ. სიძვ. II, 518); მახარობლისშვილი კაცია, ოთარ, პაატა (იქვე, 385, 325); „ქ. ქავთარისშვილის გიორგის ყმა ქ. ერტის მახარობლიშვილი, 1721 წ." (ვახუშტი, 124). „ერტის დავითის სარდლის ყმა მახარობლიშვილი გოგია, 1781 წელი" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 167); საეკლესიო კალენდარში **მახარეს** შეესატყვისება ბერძნული სახელი **ევანგელე**. ამავე ძირისაა: მახარობლიძე (ერტისი).

**მახარეშვილი** (1699), საკ. სახ. **მახარე** (საქ. სიძვ., II, 57); მახარესშვილი ბასილა. 1699 წ. (დოკ., I, 107).

ამავე ძირისაა: **მახარაძე, მახარობლიშვილი, მახარობლიძე, მახარებლიძე, მახარებლისშვილი** (დოკ., I, 555) (გოლთეთი, კოდა, ტბისი).

მახვილაძე 547
ქუთაისი 175
თბილისი 144
ტყიბული 125

**მახვილაძე** (1721 წ.), საკ. სახ. **მახვილა** (სახ. არქ., 1448, №1096; გვარში: **მახვილაძე**, (ალ. ღლ., 160); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახვარისა ქ. გუნანეთს 1721 წ. ელიზბარა მახვილაძე, დათუნა მახვილაძე" (ვახუშტი, 54-55).

მახლაური 26
თბილისი 15
რუსთავი 5
თეთრიწყარო 4

**მახლაური**, სავარ. საკ. სახ. **მახა**-დან უნდა მომდინარეობდეს **მახას**, პურეულის უძველესი ჯიშის, აღმნიშვნელი ტერმინიდან მომდინარედ თვლიან (გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრებულში „მესხეთ-ჯავახეთი", თბ., 1972, 15, 16); ამავე ძირისაა: **მახძური, მახაჭაშვილი, მახიტაშვილი, მახოშვილი** (ი. მაისურ., 106; ჩხიკვთა).

**მახფსიაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **მახფსია**.

**მახფსიაშვილი** მოიხსენიება მოხისში 1721 წ.

მახუაშვილი 46
გახი 39
ბალდათი 5
ქუთაისი 1

**მახუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მახუა, მახია, მახო. მახუ, მახანა, მახნია. მახუა, მხუ** და **ხახუ** განთქმული ყაჩაღები იყვნენო (ალ. ღლ., 160): მახუა XVII ს. **„კუჭუხიძისა ბეგრისა ნუსხა"** (დოკ., I, 439); მახო და სუტა ბალთური თუში, 1665 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი,

მიცემული არჩილ მეფის (შაჰნაზარის) მიერ როშაქ და სხვა ჩოლოყასშვილებისადმი (საქ. მუზ., №2244 hd); მახია შავდავითაშვილი – 1693 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ნაზარალიხანის მიერ ვახტანგ ბარათაშვილისადმი (დოკ., I, 93); მახია იყო ქალის სახელიც. იხ. მახია, ალექსანდრე გურიელის მეუღლე (სიძვ., II, 89); ასევე მახუ ყიფიანის ქალი (ქრონიკ., III, 132); „კოდაზედ სარდალსალთხუცის ყმა ღოუბნელი მახუასშვილი დავითა, 1781 წ. (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 1, 178): „ქ. სონღუალაშვილის იასეს ყმა ღოუბანს: მახუაშვილი ივანე, 1721 წ.“ (ვახუშტი, 140); მახუაშვილი ტეტია, მეუღლე ანა, ვაჟი ვანო (ღოუბანი, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 83-92).

ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 2121
თბილისი 895
ჩოხატაური 191
გარდაბანი 164

**ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1886 წ.), **გადმოცემით, ერკეთელი მგალობლიშვილები ბალაძეები ყოფილან** და გურიაში მესხეთიდან გამოსულან ლტოლვილობის დროს, თან წამოუღიათ ზარზმის ტაძრის ხატები და საეკლესიო ნივთები, ბალაძის ოჯახი მგალობელი ყოფილა, გურიის მთავარს გადაუყვანია შემოქმედს, სადაც მგალობლად უმოღვაწიათ (**ს. მგალობლიშვილი,** იხ. ჟურნალი „ხელოვნება“, №6, 1973, 83): სამეგრელოში გამოთქვამენ როგორც გალობერ. გელებერი, გელებერსქუა.

სხვა ვარიანტით **„მგალობლისშვილები არიან მაყაანთ (მაყაშვილების – ი. ა.) გვარნი,** რომელნიც იყვნენ პირველ მგალობელნი მეფისა სახლისანი და აგრეთვე ალავერდისაცა. ამისა გამო მგალობლის შვილობა გაუგვარდათ მათ მგალობლობისა გამო“ (საანდაზო ლექსები... 130); იაკობ მგალობლიშვილი მოიხსენიება სოფ. ვაშლოვანში 1886 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, 1611, ფურც. 29-84).

ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲔ 3761
თბილისი 603
ოზურგეთი 494
ხელვაჩაური 424
ᲒᲔᲚᲐᲫᲔ 2870

**ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲔ** (1843 წ.), საკ. სახ. **მგელა,** ამავე ძირისაა: **მგელაური, მგელაურიძე, მგელაშვილი, მგელიაშვილი.**

შდრ. ცხოველთა სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები: **ვეფხვაძე, კვერნაძე, მელაძე, ფოცხვერაშვილი, ტურაშვილი, არჩვაძე** და მისთ. პატარა თონეთში მოიხსენიება 1843 წ. მამუკა გელაძე, ე.ი. გვარი იყო გელაძე და შემდგომში მგელაძე (სცსსა, ფ. 254, 1, ფურც. 323-319).

მდივნიშვილი 550
თბილისი 215
გარდაბანი 56
ხარაგაული 47
მდივანი 882

**მდივნიშვილი** (1721 წ.), **მდივანი** თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი. „გვარებში შემონახულია აგრეთვე მეფისა და დიდი ფეოდალების კარზე სხვადასხვა თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები: ერისთავი, ამილახვარი („მეჯინიბეთ-უხუცესი"), ამირეჯიბი („სამეფო კარზე წესრიგის მეთვალყურე პურობისა და დარბაზობის დროს"); ციხისთავი, ჯაბადარი („მეაბჯრე"), მდივანი (აქედან აგრეთვე მდივნიშვილი"; (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 308).

„მდივნიშვილები არიან გვარით მდივნისგან რაჭისა" (საანდაზო ლექსები... 134); „ქ. მონასტერს 1721 წ. აზნაურიშვილი მდივნიშვილი გიორგი" (ვახუშტი, 58). ამავე ძირისაა: მდივანი, ზოგჯერ [მ]დივანოვი (მონასტერი). (რუსულის გავლენით).

მეთეფშიშვილი 25
გურჯაანი 14
თბილისი 11

**მეთეფშიშვილი** (1721 წ.), ხელობის სახელი **მეთეფშე**: მეთეფშის ობოლი (ივ. ჯავახ., სეიძ., 36); „ქ. გერმანოზიშვილი დათუნას ყმა ქ. გუდარეხს. 1721 წ. პაპუნა მეთეფშიშვილი" (ვახუშტი, 132). შდრ. მებზევიშვილი, მებაღიშვილი, მებორნიშვილი, მებუკე, მეგუთნიშვილი, მეკალუაშვილი, მეკოკიშვილი, მეკრავიშვილი, მესაბლიშვილი, მღებრიშვილი, მჭედლიშვილი და სხვ. (გუდარეხი).

**მეითრიშვილი** (1696 წ.), **მეითარი,** მეჯინიბე, ცხენის მომვლელი (პ. უმიკ.).

**მეითარ** (სპარს. მეჰთარ — უფროსი, წარჩინებული), მეფის მსახური გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ვახუშტის განმარტებით, მ. ეჯიბის მსგავსი მოხლეა. მ. საპატიო, მეფესთან დაახლოებული პირი იყო. ვახტანგ VI-ის დასტურლამალის მიხედვით, მას „შიგნით და გარეთ ბატონთან გაუყრელობა და შინაყმობა დიდი აქვს. მ-ის ხელთ იყო მეფის ტანისამოსი. იგი ხელმძღვანელობდა მეფის მომსახურებას (ქსე, ტ. 6, 551): მეითარი, „ბატონი მეითარი", მოიხსენიება 1670 წ. მაისის 1-ს. ყმის მეითრისადმი (დოკ., I, 47); მეითარი მანუჩარ ენდრონიკაშვილი, 1705 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გორელი ოქრომჭედლის სუხიას ძმა გაბუას მიერ მანუჩარ ენდრონიკაშვილისადმი (იქვე, 279); მეითარ, მანუჩარის შვილის შვილი: ასლან, ავთანდილ, ქაიხოსრო ბიძინა სეფე-ყული 1696 წ. მეფე ნაზარალიხან

უბრუნებს მათ „ორიანობაში“ სამსახურიასათვის მეითარი მანუჩარის ნაქონ გლეხებს ღვევში და ვენახის ზრბითში, რომლებიც ცოტახნით თულაშვილებისათვის ებოძა (იას. ლორთქ., გვ. 406).

მეითარიშვილი მანუჩარ სეფიყულის ძე, 1723 წ. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ VI-ის მიერ სეფი-ყული მეითრისშვილისადმი (დოკ., I. 199): მანუჩარ, ასლან, ავთანდილ, ქაიხოსრო და სეფიყულ მეითრიშვილებს 1696 წ. ღვევსა და ზრბითში ჰქონდათ მიწები და ჰყოლიათ ყმები (საქ. სიძვ., II, 171). მ. შტო-გვარია სუმბათაშვილი.

| | |
|---|---|
| მეკოკაშვილი | 693 |
| საგარეჯო | 324 |
| თბილისი | 248 |
| გურჯაანი | 75 |

**მეკოკაშვილი // მეკოკიშვილი** (1817 წ.), მეკოკე, კოკების მკეთებელი, ხელოსანი.

შდრ. **მენაბდიშვილი, მენაბდე** – ნაბდის მთელავი, მესაბლიშვილი, საბლის მგრეხელი, საბლის მოხელე: მექვევრიშვილი. ქვევრის მკეთებელი და სხვ.

მათე მეკოკიშვილი, მეუღლე თინათინი, ვაჟები ოჰანეზა, გალუსტა, ქალიშვილები მელანო, ელისაბედი მოიხსენიებიან სოფ. კოდაში 1823 წ. აღწერით (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 43-60); იქვე ზოგჯერ მეკოკაშვილებად არიან ჩაწერილი.

**მეკუჭნავიშვილი** (1721 წ.), მეკუჭნავე, პირი, რომელსაც საკუჭნაო აბარია (დაწესებულებაში).

„ქ. ბურვილის სახასო, ბერუა მეკუჭნავიშვილი, 1721 წ.“ (ვახუშტი. 374).

შდრ. **მესტუმრიშვილი, მემარნიშვილი, მეკონდახიშვილი, მეკოკიშვილი** და სხვ.

**მელაძეშვილი** (1823 წ.), გარისის მიწაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (უპირატესად იმერეთიდან და მთიულეთიდან) გადმოსულები ხშირად გვარს ურთავდნენ ბოლოში „შვილს“. მაგ., **ბერიძე // ბერიძეშვილი, წიკლაური // წიკლაურიშვილი, აფციაური // აფციაურიშვილი** და ა.შ.

თავად დავით ბარათოვს გლეხად 1823 წელს სოფელ მარაბდაში მოიხსენიება **მელაძეშვილი**, მეუღლით სარა, ვაჟა თევდორე, ქალიშვილები მაია, ქეთევანი (სცსსა. ფ. 254, I, 802, ფურ. 27-34).

| | |
|---|---|
| მელაძე | 6479 |
| თბილისი | 1732 |
| ქუთაისი | 448 |
| გორი | 439 |

**მელაძე** (1661 წ.), საკ. სახ. **მელა, მელი** აქედანვეა მიღებული სოფლის სახელი **მელაანი**

(გურჯაანის რ.). ამავე ძირისაა: **მელაია, მელაძე, მელაშვილი, მელია, მელიავა** (ი. მაისურ., 108); მელაძე დიაკონი, მელაძე საყვარელა, ნასყიდობის წიგნი, 1661 – 1680 წწ. (საქ. სიძვ., I, 54): მელაძე ფათუნიკა, XVII ს. ნუსხა (საქ. სიძვ., I, 58): „ქ. ციციშვილის სახლთუხუცის ედიშერისა ქ. ცხორეთს 1721 წ. მელაძე პაატა“ (ვახუშტი, 30); 1873 წლის აღწერაში, როგორც წერა-კითხვის მცოდნე და აღწერის ფურცელზე ხელმომწერი, მოხსენებულია სიმონ მელაძე (სცსსა, ფ. 254, №3, 1618, 1886 წ. ფ. 101-108); ბაგდასარ სარქისის ძე მელაძე, მეუღლით მარიამი, ვაჟი სტეფანე, ქალიშვილები: ელისაბედი, ქეთევანი, ძმა ნონია მელაძე, მეუღლე ოსანა, ვაჟები: ვანო, სერგო, დედა ბარბარე მოიხსენიებიან სოფ. კოდაში 1823 წ. (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 43-60).

შდრ. **მელია, მელაშვილი, მელაძეშვილი** (ზრბითი, კოდა, ორბეთი, შავთა, ცხირეთი, (ღვევი).

მელიქიშვილი
1817
თბილისი 765
დუშეთი 164
რუსთავი 120

**მელიქაშვილი // მელიქიშვილი** (1601 წ.), საკ. სახელადქცეული თანამდებობის ტერმინი **მელიქი** (კუთხის, სოფლის, ქალაქის მმართველი, გამგებელი, ქეგლ); **მელიქი** (არაბ. **მალიქ.** მფლობელი, გამგებელი, მეფე, მონარქი) ისლამამდე ჰასანიდებისა და ჰალმიდების არაბულ სახელმწიფოთა გამგებელი, სამხ.-აღმ. არაბეთის ზოგიერთი ტომისა და ცენტრ. არაბეთის ტომთა კონფედერაციის მეთაური. ისლამის აღმოცენების შემდეგ ტერმინ „მალიქს“ არაბები იყენებდნენ უპირატესად არამუსლიმანი გამგებლების მიმართ (მონარქის მნიშვნელობით).

XIII-XVIII სს. ამიერკავკასიაში ტერმინი „მელიქი“ ფეოდალის ტიტულსა და თანამდებობას აღნიშნავდა. მომდევნო პერიოდში მ. ეწოდებოდა სოფლის მოხელეს (მამასახლისს) და ძვ. დიდგვაროვანი ფეოდალის მემკვიდრეს – სამფლობელოს მეთაურს, რომელიც შაჰზე იყო დამოკიდებული. მ. ქალაქის ძოხელესაც ეწოდებოდა. იგი იხსენიება თბილისის სხვა მოხელეებთან, მოურავთან და მამასახლისთან ერთად. XVIII ს-ში მ-ისა და მამასახლისის თანამდებობა შეერთდა. მ., შემდეგ კი მელიქ-მამასახლისი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის მართვაში. იგი განაგებდა ვაჭრობის საკითხებს, მონაწილეობდა საქონელზე ნიხრის დაწესებაში, სასამართლო საქმის გარჩევაში და ა.შ. (ქსე, ტ. 6, 558); **მელიქ, მელქო** გავრც. იყო თურქეთშიც.

მალიქ (მელიქ) შაჰი (1072-1092 წწ.) დროს დიდ სელჩუკთა სახელმწიფომ პოლიტიკური ძლიერების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით (მუხ. 35) **ქართლში დიდებულები არიან: არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი, ორბელიანი,** ამათზე ნაკლებია **მელიქი.**

**„თავადი მელიქიშვილი.** შაჰ-აბასმა ლორე ხელში ჩაიგდო და იქ თავისი მხედრობა დასვა. ამ კუთხის მელიქმა მაჰმადიანობა მიიღო და შაჰ-აბასს ეახლა. 1601 წელს ასეთი მოქმედების სანაცვლოდ ლორის ხეობა და გვარად მელიქობა უბოძა. იმ ხნიდან იწოდნენ თავად მელიქიშვილებად. აწ არიან მოსახლედ: ავთანდილის შვილები, თეიმურაზიშვილები და სხვანი" (საანდაზო ლექსები... 18); მელიქ, შარმაზანაათ შერმაზანა, ნასყიდობის წიგნი, 1749 წ. (სიძვ., I, 141); მელიქ – საველი – ნასყიდობის წიგნი, 1558 წ. (სიძვ., II, 403): მელიქიშვილი ამირან მოწმე იბერიმ ბეგის ნასყიდობის წიგნისა. 1737 წ. მარტის 15-ს (სიძვ., II, 391): მელიქიშვილი როსებ, მწიგნობარი, სიგელი ქსნის ერისთავის დავითისა, 1754 წ. იანვრის 23-ს (სიძვ., II, 455).

შდრ. მელქისედეკ, მელიქსედბეგ, მელქიზა, მელქისადეგ, მელქისადეკ. მელქოა. მელქუა.

**მელიქიშვილები** ლორის მელიქის შთამომავლებად თვლიან თავს. იყვნენ თავად-აზნაურები, 1601 წ. მათ გამაჰმადიანებულ ჩამომავალს შაჰ-აბასმა თავადობა უბოძა. ლორის-მელიქის სახელიდან წარმოდგნენ: ლორისმელიქიშვილები, პაპა მუშრიძის შვილები, მელიქჯანაშვილები, ავთანდილიშვილები და სხვ. („ივერია", 1884, №5); პაპუნა და მისი ძმები 1721 წ. აღწ. მებატონეები. ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სომხითში (იას. ლორთქ., §132, §76, 126); იხ. მელიქიშვილები თეიმურაზ, რევაზ იმამყული (იქვე): მელიქი სომხითისა ლევანი, 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სომხითში (იქვე, §, 76, 126, 34).

მელიქიშვილი თეიმურაზ, რევაზ. იმამყული. 1713 წ. აძლევენ თოხქილისის მოურავობას თუმანიშვილს გივი მდივანს (იქვე § 71-291); „პაპუნა საგინაშვილის ყმა მელქუა მელიქიშვილი ძმებთაგან გამწყრალა და სანაღაროში ჩასულა მექანარობის შესასწავლად". იქვე მოიხსენიებიან პაპუნა საგინაშვილის ყმებად მელიქაშვილი თემურა, ბაინდურა, და თანდილა (სცსსა, ფ. 1450, დავით. №26. საბ. №80): 1729 წ. ბოგვში მოიხსენიება შალვა და თანდილა მელიქიშვილები. სოფ. ბოგვში მცხ-

ვრები მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, ქართველი ანდრია პეტრეს ძე მელიქიშვილი 1818 წელს ცოლად ირთავს პატარა ენაგეთში მცხოვრებ ადომელ მესტვირიშვილის ასულ ნატალიას. ჯვრისწერა დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ჩაუტარებია მღვდელ ზაქარია ბარნოვს. სასიძოს მხრივ თავდებნი ყოფილან: დავით გიორგის ძე გოგიჩაშვილი, იოსებ გიორგის ძე ყრიალაშვილი და აბელ დათებას ძე ამინაშვილი (სცსსა, ფ. 489. აღწ. 9, თ/წ. №1): 1843 წ. აღწ. ბოგვში მოიხსენიება კონია მელიქიშვილი, შვილები აბრამა, სიმონა, დისშვილები: ქიტესა, სარქისა, ანდრო, თემურა (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 366-367): ,,სტეფანე მელიქიშვილი, წარჩინებული ქართველი. თავის დროს ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი, იყო ქართველი მწიგნობარი და ზედმიწევნით მცოდნე ქართველთა ავკარგიანობისა. 1860 წლების შემდეგ ის ყველა კარგ ქართულ საქმეში მხურვალედ იღებდა მონაწილეობას. 1866 წ. ქართულ გაზეთ ,,დროების" გამომცემლობა ამან იკისრა და ამ საქმეს იგი კარგახანსაც გაუძლვა. ,,დროებაზედ" მას ბევრი ამაგი აქვს დადებული. თბილისში სტეფანე მელიქიშვილის სახელით სტამბაც არსებობდა (თფ., 1905 წ., 19-20): ,,ქ. იოთამიშვილის ორბელისა და გივის ყმა ქ. კრეფას 1721 წ. მელიქიშვილი გურჯუა" (ვახუშტი, 128): სოფ. ბოგვში მცხოვრებ ანდრია პეტრეს ძე მელიქიშვილი და სჯულიერი ცოლი მისი ნატალია ადომელის ასული დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 1884 წ. ნათლავენ შვილს ანას, მიმქმელი ყოფილა დავით გიორგის ძე გოგიჩაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); მელიქიშვილი ვასილ ივანეს ძე (1904-1960 წწ.) სოფ. ზირბითში, ქართველი მწერალი; მელიქიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (დ. 1918 წ.), ქართველი ისტორიკოსი, საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი, მეცნ. დამსახურებული მოღვაწე, საქ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი (1965 წ.), პროფესორი; მელიქიშვილი ივანე ანდრიას ძე (1917-1953 წწ.); შრომის გმირი მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე (1850-1927 წ.); ქართველი ქიმიკოსი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი (1918 წ.) რუსეთის მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი.

შდრ. **მელიქიანცი, მელიქსეთბეგი, მელიქფაშაევი, მელიქშაჰი.** ამავე ძირისაა **მელიქიძე, მელქაძე, მელიქაძე** (ბოგვი, ვაშლოვანი, კრეფა, წვერი).

**ᲛᲔᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ // ᲛᲔᲛᲨᲣᲘᲚᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1513 წ.), **მემშვილ-დე**, მშვილდისრის მკეთებელი, მოხელე. შდრ. **მესაბლიშვილი მესაბლე** (–მესაბლე), საბლის მგრეხელი, საბლის მოხელე.

**მემშუილდიშვილი** მოიხსენიება 1523 წ. ბარათაანთ გაყრის წიგნში (ქრონ., II, 350); „ამ თეთრის გირაოთ დაგიდევით: ენაგეთს მემშვილდისშვილი, რისიც მამულის მქონებელი იყოს“ (იხ. ვალისა და გირავნობის წიგნი ქაიხოსრო ბარათაშვილისა პაპუნა გოშტაშა-ბიშვილისადმი, 1619 წ. (ხელნ. ინსტ. Hd 4156; ქსძ, VIII, 853).

შდრ. **მემშვილდიშვილი** (ენაგეთი).

| | |
|---|---|
| ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔᲨᲕᲘᲚᲘ | 1013 |
| *თბილისი* | *253* |
| *დმანისი* | *121* |
| *გურჯაანი* | *96* |

**ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔᲨᲕᲘᲚᲘ // ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), ხელობის მიხედვით **მენაბდე** – ნაბდის მთელავი, შერქმეული გვარია შდრ. სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარები: **დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროძე, ხუროშვილი, ზეინკლიშ-ვილი, კალატოზიშვილი, მეტივიშვილი, მეცხვარიშვილი, მეხრიშვილი, მებაღიშვილი, მზარეულიშვილი, ფეიქრიშვილი, ხაბაზი, ხაბაზიშვილი, მესარკიშვილი, მესაბლიშვილი** (საბელი – „თოკი“, მესაბლე – „თოკის მგრეხელი“), **მკერვალიშვილი, კერვალიძე, ჭონიშვილი** (ჭონი – „მექუდე“), **მღებრიშვილი, მეუნარგია** (ე. ი. მეუნაგირე), **მაქაცარია** („მეთიკნე“) და მრავალი სხვა (იხ. ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 308).

1817 წელს დიდ ენაგეთში მოიხსენიება სოლომონ გიორგის ძე მენაბდიშვილი, რომელიც შვილს უნათლავს თავისავე სოფლელს ღვთისია პეტრეს ძე გელიტაშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); ამავე წელს დიდ ენაგეთელი ესტატე გიორგის ძე მენაბდიშვილი ნათლავს შვილს (იქვე,ფურ. 3); ენაგეთის ახალშენს 1873 წელს მოიხსენიებიან დროებით ვალდებული გლეხები: არუთინ ვართანას ძე მენაბდიშვილი. შვილები: თამაზი, ავეტიკა; ავეტიკას შვილები: სოლომონი, არტემა: დავით ვართანას ძე მენაბდიშვილი, შვილები: დარჩია, გოგოლა (სცსსა, ფ. 254. №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220); ზაქარია გოგიას ძე მენაბდიშვილს. სოლომონ გოგიას ძე მენაბდიშვილს დიდ ენაგეთში უცხოვრიათ, მათთან ერთად მოიხ-სენიებიან შვილები: აბელა, იორდანე, სანდრო, გიგოლა, ივანე, გიორგი (დიდი ენაგეთი, 1873 წ. სცსსა, ფ. 254. №3. საქმე 115, №136, ფურ. 189-220). **ზოგან მენაბდიშვილების განაყოფები არიან მარქარაშვილები.**

| | |
|---|---|
| მენაბდე | 900 |
| თბილისი | 325 |
| ოზურგეთი | 247 |
| სამტრედია | 46 |

ამავე ძირისაა **მენაბდე**. (ენაგეთი, ახალშენი, ჯორჯიაშვილი). მენაბდე (1822 წ), ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი, ნაბდის მთელავი.

„ქ. ...აქვე მენაბდე ოქრუა..." (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 166); მენაბდეებს უცხოვრიათ ვაშლოვანშიც.

სოფელ ენაგეთში მცხ. გოგი მენაბდის ძეგი ზაქარია 1822 წელს მოუნათლავს ბარათოვის კნეინა ქეთევანს (489, 6, 1 ბ, 1822 წ. №27, ფურ. 101).

შდრ. **მენალარიშვილი, მენალარე,** ნალარის დამკვრელი ან მკეთებელი, მეფურნიშვილი, მეკონდახიშვილი და სხვ.

სოფ. ასურეთში მცხოვრები მენაბდეები 1941 წელს გადმოვიდნენ ამბროლაურის რაიონიდან (ასურეთი, ენაგეთი, ვაშლოვანი).

| | |
|---|---|
| მენალარაშვილი | 42 |
| მენალარიშვილი | 356 |
| ქობულეთი | 210 |
| ლანჩხუთი | 66 |
| თბილისი | 59 |

**მენალარიშვილი // მენალარაშვილი** (1818 წ.), **მენალარე,** ნალარის დამკვრელი ან მკეთებელი (ი. მაისურ., 109): სოფ. ბორბალოში მცხოვრები კონია მენალარიშვილი 1818 წელს შვილს უნათლავს თავისავე სოფლელს ვარსიმაშვილს (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №24).

**მენახირაშვილი** (1884 წ.), **მენახირე** (მენახირისა), საქონლის მწყემსი (ქეგლ). საკ. სახ. მენახირე მოიხსენიება 1876 წ. სოფ. ჩხიკვთაში (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); ჩხიკვთელი ივანე ანდრია ძე მენახირეშვილი ნათლავს შვილს მაკრინეს, მიმრქმელად მოიხსენიება სოფ. ქაკლიანიდან გიორგი კონსტანტინეს ძე ოსმალაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

| | |
|---|---|
| მენთეშაშვილი | 1556 |
| თბილისი | 675 |
| სიღნაღი | 288 |
| რუსთავი | 127 |

**მენთეშაშვილი//მანთაშაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მანთაშო** (საკირე, ბორჯომის რ., ალ. ღლ., 157); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. ...მანთაშ ლუსიაშვილი" ...მანთაშაშვილი ვართანა" (იქვე, 181); **ხოსიტა მენთეშაშვილი** მოიხსენიება 1860 წ. სოფ. ღვევში (სცსსა, ფ. 254, №2, 1860 წ.); მანთაშაშვილები, 1701/11 წ. და 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მამულში ჩანან. გრიგოლა ყოშაქილისაში, ვართანა — დბანისის ტამალაში (ისს. ლორთქ., ქვ. ქართ. ნაწ. III და IV, 403); **ოთარი მანთაშაშვილი, აზნაური,** 1721 წ. აღწ. დედოფლის მემამულე, ცხოვ-

რობდა და ყმები ჰყავდა სომხითში (იქვე, გვ. 403); „ქ. თულაშვილის გიუნასი ქ. ღვევს, 1721წ. ხოსიტა მანთაშაშვილი" (ვახუშტი, 85); **ანტონ მენთეშაშვილი,** მეუღლე **ბარბარე,** შვილები: ზაქარია, იოსები, პეპანა, გიორგი, მართა, რძალი ანა, ვაჟი თათუა, მეუღლე სარა, ქალიშვილი ხამფერა; **გეო მენთეშაშვილი,** მეუღლე თათუა, ვაჟი კონია, ქალიშვილები: ბარბარე, მარიამი, თათელა, ელისაბედი, გეოს უფროსი ძმა გაბო მენთეშაშვილი, მეუღლე მარიამი, ვაჟი დავითი, შუათანა ძმა მიქელა მენთეშაშვილი, უფროსი დათუნა მენთეშაშვილი და ორომსიმა. სიდედრი ანა: ყაზარა მენთეშაშვილი, მეუღლე მაია, დედა მაგდალინა, ბიძა თათულა, მოიხსენიებიან 1823 წლის აღწერით სოფ. ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 99-107); „**მენთეშაშვილები, 60 კომლის ოდენობით, ცხოვრობდნენ ქიზიყის სოფელ მაჩხაანში. იყვნენ სხვაგანაც.** ზოგ ადგილას გამოთქმის გასაადვილებლად მანთაშაშვილებსაც ეძახდნენ. **ძველი დროიდანვე ისინი ქართველები იყვნენ.** გამოჩენილი გვარის მეომარ და კარგ ოჯახიშვილებად ითვლებოდნენ. მათ მეფე თეიმურაზისა და ეკლესიისგან სიგელ-გუჯრებიც აქვთ ბოძებული, XVIII საუკუნის შუახანებში ლეკიანობის გამო. რადგანაც ქიზიყს ხშირად ესხმოდნენ თავს, მენთეშაშვილების რამოდენიმე კომლი გადმოსახლებულა თბილისში, მათგან ზოგი წავკისს, ბორბალოსა და ვაშლოვანს გადასახლდა. ეყმნენ იქაურ მებატონეებს და გრიგორიანობის სარწმუნოებასაც დაუკავშირდნენ. იგივე მოხდა თბილისშიც. ამიტომ **მენთეშაშვილებს მანთაშაშვილები (მანთაშოვები)** ეწოდათ. დღევანდელი მდიდარი მანთაშოვები და სხვანი ვინც კი ცხოვრობდნენ აქა-იქ თბილისის ახლო-მახლო სოფლებში, ყველა ისინი ზემოხსენებული მანთაშაშვილების შთამომავალნი არიან. მანთაშაშვილებს XVIII ს. მეფე თეიმურაზ II-ისაგან ეძლევათ აზატობის და თარხნობის წერილები, დაბეჭდილია 1899 წ. „ივერიაში". მოკლედ უნდა ითქვას, რომ თბილისელი „სომეხი" მანთაშოვები XVIII ს. ნახევარს ქიზიყიდან თბილისს გადმოსახლებულნი არიან (ქართველი. გრიგორიანები, 1906, 105); აღნიშნული პროცესი შემდგომშიც გაგრძელებულა. 1911 წლის 30 იანვარს მენთეშაშვილის გვართან დაკავშირებით აღნიშნულია: "Об исправлений отчества и фамилии Манташева Г. И. с Леванович на Иванович Замашвили (Манташев) на Манташянц" (სცსსა, ფ. 254, აღწ. №1, არქ. №9090, №13) (ბორბალო, ერტისი, ვაშლოვანი, მარაბდა, ღვევი).

| | |
|---|---|
| მერაბიშვილი | 2778 |
| თბილისი | 1224 |
| ლიგენი | 529 |
| გარდაბანი | 187 |

| | |
|---|---|
| მერაბაშვილი | 316 |
| თბილისი | 129 |
| გორი | 82 |
| კასპი | 71 |

**მერაბასშვილი // მერაბიშვილი // მერაბაშვილი** (1673 წ.), **მერაბ** (სპ.) „მზესავით ელვარე" (სიტყვასიტყვით: „მზის წყალი" ან „მზის ელვარება" ან „წყლის ამირი", წყლის გამანაწილებელი მოხელე, წყლის უფროსი). აქედანაა გვარი მერაბიშვილი. მერაბი ერქვა „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთ პერსონაჟს, როსტომის პაპას, რომელიც ზაბულისტანში მეფობდა (იხ. ა. ჭუმბ., დედაენა ქართ., 356).

საკ. სახ. **მერაბ-ი**, სიგელი როსტომ მეფისა, 1643 წ. „ჴელითა მდივან-მწიგნობრისა ყორღან [ა]შვილის მერ[ა]ბისათა" (საქ. სიძვ., II, 67): მერაბა, ქალის გაყიდვის წიგნი, 1676 წ. 18 აპრილი (საქ. სიძვ., III, 554); მერაბი, თანამდებობა-მოსაქმეობის ტერმინი მერაბე, სარწყავი წყლის გამწესრიგებელი. მერუე. იგივეა. რაც მერაბი (ქეგლ): შერმაზანა მერაბიშვილი, საბუთის დამწერი, ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარსადან და სხვა ციციშვილების მიერ პაპუნა მაღალაშვილისათვის (1673 წ., დოკ. I, 50) **მერაბიშვილები 1688 წ. ენაგეთში მოხსენებულნი არიან როგორც სახასო აზნაურები** (იას. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. I და II): დათუნა მერაბიშვილი, ბატონის შვილ ვახტანგ ბარათაშვილისათვის (1745 წ. დოკ., I, 326): ოსეფა მერაბიშვილი, იეზაანთი, სამართალი იეზანთ მერაბასშვილი ოსეფასა, შადინაანთ როსტომასა და სხვ. მეითრიშვილ ქიხოსროსა და ლიმონას შვილების საქმეზე (1754 წ. დოკ., II, 47); გადმოცემით, **უდელი მერაბიშვილების** (წინაპართა გვარი **ხურციძე** ყოფილა. **მერაბიშვილები არიან აგრეთვე სხვა თავადური გვარის შტო-გვარებიც.**) (ილ. მაისურ., 109) (ენაგეთი).

**მერდახანაშვილი** (1721 წ), რთული შედგენილი სახელია. საკ. სახ. **მერდია** (სახ. არქ., 1448, №2196); და **ხან-ი** თურქ. (ისტ.) მეფე, მთავარი ზოგიერთი თურქი და მონღოლი ხალხისა (ძეგლ. 575). შემდგომში ხშირად საკ. სახ. **ხანა, ხანია** შდრ. გვარი: **ხანიაშვილი...**

„ქ. ნამგალაშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა, 1721 წ. ორთაშუას ასლამაზა მერდახანაშვილი" (ვახუშტი, 121). (ორთაშუა).

მესხიშვილი 1345
თბილისი 405
ზესტაფონი 175
გურჯაანი 157

**მესხიშვილი//ამილახვარი** (1721 წ.), **მესხი,** გვარ-ადქცეული ეთნონიმი; ამავე ძირისაა: **მესხი, მესხაძე, მესხელი, მესხია, მესხიძე, მესხორაძე, მესხრიკიძე** (ი. მაისურ., 109).

**მესხიშვილი** არის მესხეთიდამ მოსულნი ახალციხის მხრიდან და არიან ძველად გვარი ამილახვარიანნი (საანდაზო ლექსები... 134); „ქ. ვარაზაშვილის ლუარსაბის ყმა ქ. მცოვრეთს, 1721 წ. მახარა მესხიშვილი" (ვახუშტი, 137).

მესტვირიშვილი 790
თბილისი 372
თელავი 150
თეთრიწყარო 112

**მესტვირიშვილი // გრიგოლაშვილი** (1721 წ.), **მესტვირე,** ხელობის სახელი, სტვირის მკეთებელი, მოხელე, დამკვრელი.

კოდაში 1781 წ. მოიხსენიება ალთუნა აზიაშვილი – **მესტვირე** (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 169); **გრიგოლ** (ბერძ.) „მღვიძარე", „ფხიზელი". მისგანაა მიღებული გვარი **გრიგოლაშვილი.** იხ. **გრიგოლაშვილი // მესტვირიშვილი; ალექსანდრე ივანეს ძე მესტვირიშვილი** მოიხსენიება სოფ. ვარდისუბანში 1818 წელს (სცსსა, ფ. 489. აღწ. 9, თ/წ. №1); პატარა ენაგეთს 1873 წ. აღწერით მოიხსენიებიან აღდგომელა და ზაქარა გრიგოლაშვილები. იქვე, მიხეილ ყორღანაშვილის (ყორღანოვის) მამულში: **გაბო გრიგოლაშვილი,** შვილები: გიორგი, დავით, მიხეილი, მოსე, გრიგოლი, ძმა ივანე, შვილები: ალექსანდრე, არსენა, აბრამა, ილია (სცსსა, ფ. 254, 136, №3, №137, ფურც. 1-16); პატარა ენაგეთს მცხოვრები ბერძენთ ქართული სარწმუნოების მქონე **პეტრე აღდგომელისძე მესტვირიშვილი** 1875 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს შვილს მარიამს. მიმქმელი ყოფილა თავისივე სოფლელი **ქრისტესაშვილი** (ქრისტიანოვი). ამავე წელს **ზაქარია გიორგის ძე მესტვირიშვილი** და მისი მეუღლე ანა თევდორეს ასული ნათლავენ შვილს მიხეილს. მიმქმელი ყოფილა ქართლში საკორინთლოში მცხოვრები, აზნაური თომა ელიზბარის ძე კორინთელი.

1886 წ. აღწერით იქვე აღდგომელა სიმონის ძე გრიგოლაშვილის (იგივე მესტვირიშვილი) შვილები: ანდრო, იაკობი, სოლომონი, სიმონი, გრიგოლი, ალექსანდრე; ანდროს ვაჟი ნიკოლოზი, სოლომონის შვილები არსენა შვილები არსენა და ანტონა. ზაქრო სოლომონის ძე გრიგოლაშვილი (იგივე მესტვირიშვილი), შვილები: ვასილი,

იგორი, დავითი, ვანო, კოტე, გაბო (გაბრიელ) გიორგის ძე გრიგოლაშვილი (იგივე მესტვირიშვილი), შვილები: გიორგი, დავითი, მიხეილი, მათე, გრიგოლი, მისი ძმა ივანე, არსენა, ილია, გიორგის შვილი სამსონა, აღდგომელა გრიგოლაშვილის მეუღლე თალალა, ქალიშვილები: მაია, ქეთევანი, კეკელა ქართველები, სარწმუნოებით მართლმადიდებლები (სცსსა, ფ. 254, №1624, 1886 წ. ფურც 11-42); 1818 წლის 1 მაისს, ნათლისღების 13-ს გიორგის დაბადების მოწმობაში აღნიშნულია: თბილისის უეზდის სოფლის პატარა ენაგეთში მცხოვრები ანდრია ადომელის ძე მესტვირიშვილი და სჯულიერი ცოლი მისი ბარბარე, გიორგის ასული არიან მართლმადიდებლობის სარწმუნოების აღსარებისანი, ტომით ქართველნი. მიმქმელად იყო პატარა ენაგეთში მცხოვრებელი გურგენა სოლომონის ძე დავითაშვილი (მოგვიანებით, დავიდოვი). ეკლესიის მართმადიდებელი მღვდელი ზაქარია ბარნოვი, ფსალმუნი ილია თეთრაძე (მეტრიკ. წიგ., არქ. 489, აღწ. 9. თ. წ, 1, 1881 წ.); პატარა ენაგეთში მცხოვრები გიორგი გაბრიელის ძე მესტვირიშვილი 1881 წ. ნათლავს ქალიშვილ მარიამს, მიმქმელები ყოფილან იქვე მცხოვრებნი იასე ქრისტიანოვი და გიორგი ბეჟანიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ. წ. №1); პატარა ენაგეთში მცხოვრები გიორგი გაბრიელის ძე მესტვირიშვილი, მეუღლე მელანია გიორგის ასული დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 1885 წ. ნათლავენ ვაჟს სიმონს. მიმქმელი ყოფილა გიორგი ანტონის ძე ბეჟანიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

ნ. გრიგოლაშვილი (ენაგეთი, ვარდისუბანი).

| | |
|---|---|
| მესტუმრე | 43 |
| კასპი | 15 |
| თბილისი | 14 |
| ქუთაისი | 1 |

**მესტუმრე** (1826 წ.), გვარადქცეული სიტყვა **სტუმარი.** შდრ. **მებუკე** (ბუკის დამკვრელი)...

სოფ. ლოუბანში მცხოვრები გიორგი მესტუმრე 1826 წელს ცოლად ირთავს ბორბალოელ სვიმონ იმერლიშვილის ასულ ბარბარეს, თავდებად მოიხსენიებიან: გლახა ჩომახაშვილი, გიორგი ვარსიმაშვილი და იოსებ პეტრიაშვილი (489, 6, №31, №25).

| | |
|---|---|
| მეტრეველი | 7685 |
| თბილისი | 2791 |
| ონი | 907 |
| გორი | 746 |

**მეტრეველი // მეტრეველაშვილი** (1766-1823 წწ.), გვარადქცეული სადაურობის სიტყვა, **მეტრევი** ნასოფლარია ონის რაიონში, უწერასთან (ი. მაისურ., 110); **მეტრეველი** გავრცელებული გვარია. რაჭიდან (უწერა, ღარი, ონის რ-ნ., და

სხვ.) ჯერ კიდევ ადრე დაუწყიათ ბარად ჩამოსვლა. იასე თაქთაქიშვილის მიერ შედგენილი მოწმობის წიგნი (1776 წ. 17 ნოემბერი) გვაუწყებს: „ქ. მე, იასე თაქთაქიშვილი ღ[მერ]თს წინაშე ასე ვმოწმობ, რომ ღ[ვ]თის წინაშე მამის და ბიძის ჩემისგან გამიგონია: **რაჭიდან მეტრეველები** ჩვენ მოგვსლია და ამ ერთს მეტრეველისათვის მამული ვერ უშოვნეთ. აზატობის წიგნი მოგვიცია, ვისაც უნდა ყმობოდა. წასულა და ქსნის ერისთავს ყმობია. მას დღეს აქეთ იმის ყმად ყოფილა..." (დოკ., II, 98): **დათუნა მეტრეველი,** მოიხსენიება 1766 წ. სითარხნის განახლების წიგნში, მიცემული მდივან ჯავახიშვილის, ნაცვალ დავით გედევანიშვილის, ნაცვალ რევაზ მეტრეველისა და სხვ. მიერ გიორგი **ჩიხოშვილ-კახნიაშვილისადმი** (დოკ., II, 65); შდრ. **შიო მეტრეველაშვილი,** მეუღლე მარიამი, ვაჟი ივანე, ქალიშვილი ანა. მოიხსენიება 1823 წ. აღწერით სოფ. ბოგვში გენერალ-მაიორ ახვერდაშვილის მამულში (სცსსა, ფ. 254, I, 802, 1823 წ. ფურ. 1-5). ბოგველ **შიო მეტრეველს** 1829 წელს შეეძინა ვაჟი. მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ, სახელი უწოდა დავით. ნათლია იყო იმავე სოფელში მცხოვრები ბერუა კობახიძე (489, აღწ. 6. №76, ფურ. 2); **შიო მეტრეველი** ამავე წელს მოიხსენიება სოფ. ღოუბანში (იქვე. ფურ. 2) **მეტრეველები** ასურეთში ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელიდან არიან გადმოსულები (1941 წ.) (ასურეთი, ბოგვი, კოდა).

მექვაბიშვილი 1135
ოზურგეთი 446
თბილისი 210
გორი 156

**მექვაბიშვილი // მექუაბიშვილი** (1477 წ.), **მექვაბე**, ქვაბის მკეთებელი, მოხელე. მექუაბე აპრიჰმა (დოკ., I, 559)

შდრ. **მეკონდახიშვილი, მენაბდიშვილი, მეფურნიშვილი, მეჭურჭლიშვილი, მექვევრიშვილი, მექანარიშვილი, მეტივიშვილი** და მისთ.

**მექუაბისშვილი ბერინა** მოიხსენიება 1477 წ. მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ. I, 4); „ქ. ჩხეიძის სეხნიასი ღორისთავს. 1721 წ. ბაინდურა მექვაბიშვილი, თამაზა მექვაბიშვილი" (ვახუშტი, 37; მარაბდა, ღორისთავი).

მელვინისშვილი 30
თბილისი 22
თელავი 8

**მელვინისშვილი** (1830 წ.), მოსაქმეობის ტერმინი მელვინე. შდრ. **მზარეულიშვილი, მზარელუა, მეშვილდიშვილი // მემშვილდიშვილი, მეყანწიშვილი...**

მარაბდაში მცხოვრებ **ივანე მელვინისშ-**

ილმა 1820 წ. იქორწინა პირველი ქორწინებით იქვე მცხოვრებ დემეტრე ტურაშვილის ასულ ბარბარეზე. გვირგვინი უკურთხა კოდის სოფლის მღვდელმა აბრამ ხუროშვილმა. თავსმდებად იყვნენ თავადი იოანე ბარათოვი და ნიკოლოზ ბარათოვი (ფ. 489, №27, ფურ. 110); „მარაბდას მცხოვრებელს ივანე გიორგის ძე მელვინიშვილს დაებადა ვაჟი კანონიერის ცოლის ტურაშვილი ბარბარე დემეტრეს ასულისაგან, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა იაკობმა, სახელი დაერქვა გიორგი. მიმქმელად იყო ამავე სოფელში მცხოვრები სვიმონ ივანეს ძე გოგიჯანაშვილი 489, №6. №98, 1830 წ. ფურ. 21).

ამავე ძირისაა: **ლვინაძე, ლვინაშვილი, ლვინერია, ლვინეფაძე, ლვინიაშვილი, ლვინიაძე, ლვინიანიძე** (მარაბდა).

**ᲛᲔᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), მეტსახელი **მეჩინა**. შდრ. მერცხალა, მესაცრე, მექერა, მეცვიყო, მეწველია... „ქ. ნამგალაშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა წვერს: ...**ქიტუა მეჩინაშვილი**" (ვახუშტი, 119) (წევრი).

ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 529
თბილისი 251
სამხერე 85
გორი 57

**ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), **მეცხვარე** (მეცხვარისა), ცხვრის მწყემსი, მეცხვარეობის სპეციალისტი (ქეგლ., 291).

შდრ. **მეყანწიშვილი, მეხაშიშვილი, მექვევრიშვილი, მეტივიშვილი** და მისთ.

ამავე ძირისაა: **მეცხვარიძე, ცხვარიაშვილი, ცხვარაძე** (კოდა).

**ᲛᲔᲫᲛᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ // ᲛᲔᲫᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1692). **მე+ძმა**, დამიძმობილდა, ვენახის გაყიდვის თაობაზე შედგენილ ნასყიდობის წიგნში (1692 წ. საქ. სიძვ., 120).

შდრ. **მეძმაშვილი** (აზნ.) (ტბისი).

**ᲛᲔᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲐ[Ი]ᲨᲕᲘᲚᲘ** (1831 წ.), მოსაქმეობის ტერმინი მეწისქვილე შდრ. **მებზევიშვილი, მეგემეიშვილი, მეგუთნიშვილი, მეთიღშიშვილი, მეკალუაშვილი...**

**ნონია მეწვისქვილიშვილი,** შვილი პავლე, მეუღლე რიმსიმე, შვილები: მართა, ანტონი, გიორგი, პეტრე, მათე, ნონიას ძმა დავით მეწისქვილიშვილი, მეუღლე ანა 1831 წ. აღწერით მოიხსენიებიან მუხათში (სცსსა, ფ. 254, №1, 1242, ფურ. 22).

**ᲛᲔᲮᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲣᲚᲘ** (1843 წ.), საკ. სახ. **მეხი,**

სამხარაული 284
გარდაბანი 136
თბილისი 84
ახმეტა 14

მეხა, (ალ. ღლ., 161): აქედან კნ. სახელი **მეხინა**. **სამხარაული,** საკ. სახელადქცეული ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა **სამხარა** (შუადღე ჭამადი არის სამხარი, საბა, 195): მეხინაშვილი მოხსენებულია 1843 წ. სოფ. წვერში. იხ. **სამხარაული // მეხინაშვილი.**

მეხრიშვილი 828
დედოფლისწყარო 221
თბილისი 151
ხაშური 133

**მეხრიშვილი//მეხრაშვილი//მეხრაძე** (1721 წ.), სავარ. საფუძვლად უდევს მოსაქმეობა **მეხრე** (საქონლის მომწყემსავი, ღამის მწყემსი, გუთნეულის ხარ-კამეჩის დამპურებელი).

გადმოცემით, სოფ. ხვედურეთიდან ბატონს ყმა-გლეხი მეხრიშვილი გამოჰქცევია, პატარა თონეთში დასახლებულა და გვარი **მეხრაძედ** შეუცვლია (ილ. მაისურ., III); ნ. **მეხრიშვილი** დათუნა, ბასილა, გიორგი, პაპუნა, შალვა (საქ. სიძვ., I, 415); ოტია მეხრიშვილი, გელია მეხრიშვილი, 1738 წ. თუმანიანთ ნოქრის ხარჯის ნუსხა (დოკ., I, 285); „ქ. ღოლოვნას, 1721 წ. ამილახვარ გოსტაშაბიშვილის ყმა ოთარა მეხრიშვილი (ვახუშტი, 57); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო ქ. ლიპებს... თამაზა მეხრიშვილი" (იქვე, 11); თონეთელმა პავლე მეხრიშვილმა 1829 წელს იქორწინა გორის მაზრის სოფელ ნიჩბისში მცხოვრებ ნიკოლოზ ციციანოვის ყმის იასე ბაიდაურის ქალ ნინოზე. თავდებნი იყვნენ თონეთში მცხოვრებნი: გიორგი ლეკისშვილი, ალთუნა ალავერდაშვილი, იაკობ ბაიდაური, დავით პაპისშვილი (489, აღწ. 6, საქ. 75 ფურ. 1); 1886 წ. აღწერით პატარა თონეთში მოიხსენიება ნინია მეხრაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, 1274, ფურც. 149).

შდრ. წინწყაროს ძველი სახელწოდება **სამეხრეო** (ლიპი, პატარა თონეთი, ღოლოვნა, წინწყარო).

**მეჯერიაშვილი** (1882 წ.), საკ. სახ. **მეჯერა, მეჯურა** (ალ. ღლ., 162).

თომა ღვთისიას ძე მეჯერიაშვილი მოიხსენიება სალირაშენში 1882 წელს როგორც აბრამ ზაქარიას ძე კეკელიშვილის ასულ სილონიას მეჯვარე (თავდები) (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1).

მთივლიშვილი 383
გურჯაანი 302
თბილისი 60
რუსთავი 7

**მთიულიშვილი // მთივლიშვილი // სტეფანიშვილი** (1817 წ.) – სადაურობის სიტყვა

მთიულიშვილი 743
თბილისი 170
გორი 117
დუშეთი 108

**მთიული** // **მთივლიშვილი** (ი. მაისურ., 111).

შდრ. **მცხეთელაშვილი, ლაზიშვილი, გურული, ქართველიშვილი, გურჯიშვილი, მოხევიშვილი** და მისთ.

„ერტისს მცხოვრებს **თევდორე მთიულიშვილს** 1828 წელს დაებადა ქალი, სახელი ეწოდა მართა. ნათლიად იყო აზნაური ფრანგისტან თურქესტანიშვილის ცოლი ხორეშა“ (489, აღწ. №6, 57, ფურ. 33); თავად იასე და ალექსანდრე სოლოღოვებს (სოლოღაშვილებს) 1873 წ. აღწერით სოფ. ბორბალოს ჰყოლიათ ყმები — ივანე მთიულიშვილი, ვაჟი იოსები (იგივე სტეფანეშვილები) (სცსსა, ფ. 254, აღწ. №3, №111, ფურც. 1-4).

შდრ. სტეფანეშვილი (ბორბალო, დიდი თონეთი, ერტისი).

მიგრიაული 692
თბილისი 252
გარდაბანი 93
კასპი 73

**მიგრიაული** (1873), **მიგრია,** მეტსახელი გვარებში: **მიგრიაშვილი, მიგრიაული** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 46).

„**სოთვარ მიგრიაული** მოხსენებულია 1873 წ. სოფ. ნამტვრევანში“ (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. 265).

მიდელაშვილი 765
გორი 156
თბილისი 155
კასპი 130

**მიდელაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **მიდელა** (სახ. არქ., 1449, №854); გვარებში: **მიდელაშვილი, მიდელაური** (ალ. ღლ., 162); გოგოლა მიდელაშვილი მოიხსენიება - 1873 წ. აღწერაში სოფ. საღირაშენში (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №126, აღწ. №289, ფ. 675-686); საღირაშენში 1871 წ. მოიხსენიება დავით გარსევანის ძე მიდელაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ. წ. 1); ფარცხისში 1881 წელს დავით გლახას ძე მიდელაშვილი შვილს უნათლავს სოლომონ ივანეს ძე ღონღაძეს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო, 1).

**მიდელაანი** სოფელია ახალგორის რაიონში (მარაბდა, საღირაშენი, ფარცხისი).

**მითრაკაშვილი** (1721 წ.), სავარ. სახელიდან **მითრა** (ებრ.) „მითრა“-ს (მზის ღვთაების) მიერ მოცემული+სუფიქსი **კა**. შდრ. მითრიდატე, მითაი, გვარში **მითაიშვილი,** მითარა (საქ. სიძვ., II, 408); აქედან **მითარაშვილი.**

„ქ. ფარცხისს ნოდარ სუფრაჯის ყმა, 1721 წ. შერმაზანა მითრაკაშვილი" (ვახუშტი, 112).

**მიზანაშვილი** (1831 წ.), საკ. სახ. **მიზანა** (ალ. ღლ., 162); **მიზანა** (მ. ალავ., ლეჩხ., 113); 1831 წელს თონეთში მცხოვრებ ესტატე თავსუბუქის თავდებად მოიხსენიება თანასოფლელი ზაქარია მიზანაშვილი (ფ. 489, აღწ. 6, საქ. №121 ბ, ფურ. 37).

**მილილაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **მილა** (ლაზ. სარფი, ალ. ღლ., 162); **მილილა**.

„ქ. მდივნის გიორგისა სამაჩვეთს 1721 წ. მილილაშვილი" (ვახუშტი, 69).

მიმინოშვილი 2622
აბაშა 895
თბილისი 438
ოზურგეთი 349

**მიმინოშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **მიმინო** (ტბეთის მატიანე, 24, 365); გაბო მიმინოშვილი, მეუღლე სალომე, შვილები: გიორგი, ვანო, მარიამი მოიხსენიებიან დიდ ენაგეთს 1823 წელს აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18). მიმინოშვილები გურიიდან არიან გადასული სამეგრელოში. ცხოვრობენ ზანათში (100კ.), ნაესაკაო (55კ.), სუჯუნა (48კ.), ცხოვრობენ სხვაგანაც.

მინასაშვილი 58
თბილისი 47
გარდაბნი 6
ყვარელი 2
მანასაშვილი 44

**მინასაშვილი // მანასაშვილი // მცხოვრებ მ-თა ალთუნაშვილი** (1721 წ.) საკ. სახ. **მინასა** მელიქი.

**მინასა** ლათინ.-ბერძნ. ნიშნავს „სამთვარეულო", „მთვარე" რუს. месячник. მინასა ზოგს სემიტური წარმოშობის სიტყვად მიაჩნია, მაგრამ ებრ.-არაბულში ეს სიტყვა არ გვხვდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ლათინური სიტყვა მენექსე-დან მომდინარეობს და ნიშნავს „საზარელს". მინასა შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს და დღესაც იხმარება (უპირატესად სომხეთში). ქართულში გვაქვს მინასას სინონიმი მანასა. „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო" (ხალხ.) იხ. მინასა მელიქი (მელიქი კუთხის, სოფლის, ქალაქის მმართველი. გამგებელი (ქეგლ); 1794 წ. ნოემბრის 17-ს ოქმი მიცემული ერეკლე II-ის მიერ მდივან მანუჩარ თუმანიშვილისადმი (დოკ., II, 174); მინასა ქსნისხეველი, 1787 წ. დეკემბრის 10-ს. წყალობის წიგნი, მიცემული იოანე ბატონიშვილის მიერ ბებურ ბებურიშვილისთვის (საქ. მუზ., ფ. Hd, №2727; დოკ., II, 267); „1843 წ. სოფ. დიდ

ონეთში მოიხსენიებიან იოსებ და დავით მინასაშვილები (სცსსა, ფ. 254, 1, 2943, ფ. 323-329); იქვე მოიხსენიება **ნონია მინასაშვილი // ღლთუნაშვილი;** „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო ქ. ბოქანოს მანასაშვილი სეხნია" (იქვე, 64).

„ქ. გილაქიშვილის ბეჟანისა ნახიდურს მინასაშვილი სარგისა" (იქვე, 88); მინასაშვილი იოსები, მეუღლე მარიამი, შვილი თომა, მისი ძმა დავითი, მეუღლე ელისაბედი, შვილები: გლახა, ეგნატე, ფარემუზა, მისი მეუღლე მარიამი მოიხსენიებიან 1831 წ. სოფ. პატარა თონეთში, როგორც ქართველები და მართმადიდებლები (სცსსა, ფ. 254, №1, 1242, ფურც. 41); „ქვეშს მცხოვრებელს ჯავახს ივანეს დაებადა ვაჟი, სახელი გაუნათლა ქვეშის წმინდის ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელმან პეტრემან (სახელი ეწოდა მანასე); მანასესშვილ მოსიას დაებადა ვაჟი, სახელი გაუნათლა და მონათლა ქვეშის ეკლესიის მღვდელმა პეტრემ და სახელი უწოდა მიხაილ". (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6. 1 ბ, 1818 წ. ფურ. 176): კოდაში სახინჯარია აბელაანი.

**...თქვენი რაიონის მოქალაქეებმა -მ. ხ. მარქაროვმა, შ. გ. მინასოვმა (სოფ. კოდიდან), ა. ჯ. ქოჩოროვმა (დაბა მანგლისიდან) მოგვმართეს თხოვნით დავუდასტუროთ, თუ რომელი წლიდან მოიხსენიებიან აღნიშნული გვარები ისტორიულ წყაროებში და შთამომავლობით რომელ ეროვნებას მიეკუთვნებიან.**

**მათი თხოვნის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:**

ისტორიულ წყაროებში XIX საუკუნის ბოლო ხანებამდე (რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული 1897 წ. აღწერამდე) არსებობდა გვარი **მარქარაშვილი, მინასაშვილი, ქოჩორაშვილი** და არა იმგვარად, როგორადაც მოქალაქეთა აღწერის წიგნებშია დღეს დაფიქსირებული. XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნულმა გვარებმა რუსული გაფორმებით – „**შვილი**"-ს ნაცვლად „**ოვი**" მიიმატეს და მიღებული იქნა **მარქაროვი, მინასოვი, ქოჩოროვი.** ასეთივე ბედი ეწია მთელ რიგ სხვა ქართულ გვარებსაც.

გვარ-სახელები **მარქარაშვილი, მინასაშვილი, ქოჩორაშვილი,** აღნიშნულ სოფლების გარდა, მოიხსენიებიან როგორც დღევანდელი თეთრი წყაროს ტერიტორიაზე არსებულ, ისე ქვემო ქართლის მთელ რიგ სოფლებში (არდასუბანი, მუხათი, დრე, მირტაშენი, რატევანი, საბატე, კოჯორი, მამხუტი, და სხვ.), **მარქარაშვილი** მოიხსენიება იოთამ ბარათაშვილის მამულში ბარათაანთ გაყრის წიგნში.

1537-1538 წწ." (იხ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მასალები 1537-1538 წწ. VIII. 16, ფ. 1450 -11/112). მარქარაშვილი ა. 1620 წ. (იქვე, 1620 წ. VIII. 9. ფ. 1450-18/55): „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის მეფის სახასო, 1721 წ. ქ. კოჟორზედ მარქარაშვილი ზურაბა, მარქარაშვილი გიორგი" (ბატონიშვილი ვახუშტი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907 წ. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 5); სოფ. მუხათში 1843 წ. აღწერით მოიხსენიება **„მარქარაშვილი,** იგივე **შერმაზანაშვილი"** (იხ. სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფურც. 273-274): **მინასაშვილი მოიხსენიება** 1460 წ. (იხ. ხელნაწ. ინსტ. 1460, I, 30, ფ. 1449-1171). მინასაშვილი თამაზა 1680 (იქვე, 1689, II, 13, ფ. 1450-16/5). მინასაშვილებს უცხოვრიათ სოფლებში: დიდ თონეთში, ბოჟანოში, დარბაზში, ნახიდურში, პატარა თონეთში, კოდაში და სხვ. „მინასაშვილი იოსები, მეუღლე მარიამი, შვილი თომა, მისი ძმა დავითი, მეუღლე ელისაბედი, შვილები: გლახა, ეგნატე, ფარემუზა, მისი მეუღლე ელისაბედი, შვილები: გლახა, ეგნატე, ფარემუზა, მისი მეუღლე მარიამი, 1831 წ. სოფ. პატარა თონეთში მცხოვრები სარწმუნოებით მართმადიდებლები, ტომით ქართველები, მშობლიური ენა ქართული.

საქართველოში იყო გავრცელებული მამაკაცის მეტსახელი **ქოჩორა** (იხ. ე.წ. თიკუნი. ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986 წ., გვ. 209): **ქოჩორა** იყო აგრეთვე საკუთარი სახელიც. ასეთი მოიხსენება XVIII ს. ყმების ნუსხაში (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, 201); **ქოჩორაშვილი** თათულა 1612 წ. (იხ. სცსსა, ფ. 1450-1/84); „ქ. კანჭაშვილის თომას ყმა ენაგეთს, 1721 წ. ქოჩორაშვილი დათუნა" (ვახუშტი, 138). კონა ქოჩორაშვილი მოიხსენიება 1906 წ. 11 აპრილი); ვანო ქოჩორაშვილი, მოიხსენიება 1921 წ. მანგლისში (იხ. ტფილისის საოკრუგო სასამართლო, 1921 წ. 31 დეკემბერი, საქმე №17783); სოფლები კოდა, არდისუბანი (ადრე ქოჩორაშვილები არდისუბანში ცხოვრობდნენ და იქიდან გადმოვიდნენ საცხოვრებლად მანგლისში). 1854 წლის აღწერის მიხედვით, რომელიც რუსეთის იმპერიის დავალებით, კავკასიის მთავარმართებელ ვორონცოვის მითითებით ჩატარდა მხოლოდ და მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული (იხ. Кавказский календарь, Тиф., 1855г.)

ამდენად **მარქარაშვილები, მინასაშვილები** (იგივე **მანასაშვილები, ქოჩორაშვილები**) მოგვიანებით რუსული გაფორმებით **მარქაროვი, მინასოვი, ქოჩოროვი**) სარწმუნოებით და ტომით ქართველები არიან"[1]

**მინასაშვილები ყოფილან თავადებიც**. თავად მინასა მინასაშვილის (ხოჯა მინასოვის) ყმად მოიხსენიება სოფ. მირზაბადში, 1823 წ. სალათელაშვილი იაკობა, მეუღლე თამარი, ვაჟები: ანდრო, სოლომონი, ნიკოლოზი, ქალიშვილები: მარიამი, ელისაბედი, ანა (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 290-295). (კოდა. დიდი თონეთი). მ. თეთრაძეთა შტო-გვარიცაა.

მინდორაშვილი
496
გურჯაანი 246
თბილისი 133
თელავი 30

**მინდორაშვილი** (1886 წ.), **მინდორა** მეტსახელი გვარებში: **მინდორაძე, მინდორაშვილი** (ი. მაისურ., 112).

სოფ. ვარდისუბანში, (იგივე შავსაყდარი) 1886 წელს დროებით მაცხოვრებლად მოიხსენიება მინდორაშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, 1611, ფურც. 155-173).

მირაქიშვილი 29
თბილისი 13
დედოფლისწყარო 5
ყაზბეგი 4

**მირაქიშვილი** (1620 წ.), საკ. სახ. **მირაქა** (საქ. სიძვ., II, 255); **მირაქა** (საქ. სიძვ., I, 424); თამაზა მირაქაშვილი — ორბელიანთა ნასყიდობის წიგნი, 1620 წ. მაისის 10 (საქ. სიძვ., II, 252); მირაქაშვილი მირაქა (იქვე, 255); ,,ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა 1721 წ. ლოუბანს: ...ბექანა მირაქაშვილი" (ვახუშტი, 143).

**მირიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მირია** (სტატ. ცნ. XVIII ს. 414; ალ. ღლ., 163); ნ. მიროა, არზა აღალოასი ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით, 1800 წ. 4 ივნისი (ქსძ, VIII, 647).

ამავე ძირისაა: **მირან, მირიან // მირიანაშვილი**. ნ. მირიან ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ძე, 1769 წ. (ქრონ., III, 35); მირიან მეფე, მირიანაშვილი (იქვე, 562); 1860 წ. აღწ. სოფ. ლვევში მოიხსენიება მირიაშვილი (სცსსა, ფ. 254, №2, 1860 წ.).

მირიანაშვილი
1570
თბილისი 610
სიღნაღი 498
გურჯაანი 138

**მირიანაშვილი** (1721 წ.), **მირიან** (სპ.) მიღებულია მზის ღვთაების სახელწოდებისაგან **მითრა** (შდრ. მითრიდატე), ნიშნავს ,,მითრასი",

[1] საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივი, 08, 87,№ 06 01 662.

„მზისა“ (ზ. ჭუმბ., 157).

**მირიან,** მეფე., ქ. ცხ., I, 60, 25); **მირიანე** (ისტორ. საბა., 38); **მირია** (სტატ. ცნ., XVIII ს. 414., ალ. ღლ., 279, 303); **მირიანაშვილი,** მოლაშქრე, მამუკა ბერდიკელი (1721 წ.) თუმანიშვილების საკომბლეობის ნუსხა, (დოკ., I, 124); მირიანაშვილი აბრამა (იქვე, 124); თამაზა მირიანაშვილი – ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ლევან მაჩაბლის მიერ გივი ამილახვარისადმი 1725 წ. (დოკ., I, 215); „ქ. ავთანდილ სუფრაჯისა სალირაშენს, 1721 წ. თამაზა მირიანაშვილი“ (ვახუშტი, 114).

**მირზაშვილი** (1671), **მირზა** (სპ., თურქ.) „ბატონი“. „ბატონიშვილი“, „უფლისწული“ (მომდინარეობს სიტყვებისაგან: ემირზადე – ემირის შვილი“). თვით სპარსულში საკუთარ სახელად არ იხმარება (ზ. ჭუმბ., 157).

**მირზა,** საკ. სახელია. შდრ. (ისტ. საბ., 32). **მირზა ბეგ** (სვან., 8, მულახი, ალ. ღლ., 161); მირზა იონაშვილი, მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპა შაოშვილის მიერ ქაიხოსრო და სხვა ზაალიშვილებისათვის (1740 წ. 1 მარტი, დოკ., I, 290); მირზა დავით II კახთა მეფის ძე: 1711 წ. თელავის სობორასა მეფის დავითისა იმამყულიხან და დედოფ. ანასი და ძისა მისისა ლევანისა და მირზასა და ძმათა (ქრონიკ., III, 25); მირზა მოხსენებულია 1713 წ. ვახტანგ მეფის (VI) ისპაანში ყოფნის დროს შედგენილ „კინკლოში“ (ქრონიკ., III, 54); მირზაშვილი მოხსენებულია 1671 წ. ტბისში (გაცვლის წიგნი, საქ. სიძვ., I, 71): ბექანა და პაპა მირზაშვილები, ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა სოლოღაშვილის მიერ ქსნის ერისთავ შანშესათვის 1736 წ. თებერვლის „დამდეგს“ (საქ. ცაფ. – №2914, დოკ., I, 249); „ქ. გერმანოზაშვილის ოთარის ყმა ქ. ანდრიას 1721 წ. ხიზანა მირზაშვილი“ (ვახუშტი, 136); „ქ. თამაზ სარდლის ნასყიდობა ქ. თაფახს 1721 წ. მირზა მირზაშვილი“ (ვახუშტი, 229); ილ. მაისურაძის აზრით, მირზადანაა სოფლის სახელი მირზაანი (დედოფლის წყაროს რ.) (ილ. მაისურ., 112). **ზ. ჭიჭინაძე მირზაშვილებს ქიზიყელებად** მიიჩნევს (იხ. ზ. ჭიჭ., გრიგორიანელი ქართველები).

ამავე ძირისაა **მირზელაშვილი, მირზიაშვილი, მირზიკაშვილი** (ტბისი, კოდა, თაფანი).

„ასანბეგიშვილი თაყა პაპუნა გოშტაშაბიშვილს სოფ. ტბისში აძლევენ მირზაშვილს, მისი მამულითა და სასახლით“ (იხ. ყმა-

...ულის გაცვლილობის წიგნი ასანბეგაშვილებისა პაპუნა გოსტაშ-...შვილებისადმი, 1671 წ. 12 თებერვალი, (ხელნაწერ. ინსტ. Hd 6777; ..., VIII, 849).

შდრ. **მირზაშვილი** (ტბისი).

**მირზუაშვილი** (1721 წ.), **მირზა** არაბ.-სპარს. **მხედართმთა-...არი, მმართველი.**

„ქ. ავთანდილ სუფრაჯის ყმა ქ. უკანდალეთს, 1721 წ. მირ-...უაშვილი აბულა" (ვახუშტი, 115).

შდრ. **მირზაშვილი, მირზიაშვილი** (უკანდალეთი).

მირიმანოვი 53
თბილისი 36
ბორჯომი 6
თელავი 4

**მირიმანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მირიმანა** (საქ. სიძვ., II, 255).

იხ. მირიმანაანთ ავთანდილაშვილი ოსეფა (დოკ., I, 560); „ქ. ყარაბუდაღაშვილის გიორგისა დმანისს, 1721 წ. ... ბერუა მირიმანიშვილი" (ვახ-უშტი, 73).

ამავე ძირისაა **მირიმანიძე** (დმანისი – ჯვარა).

მიროტაძე 857
ჭიათურა 455
თბილისი 191
ქუთაისი 40

**მიროტაძე** (1873 წ.), საკ. სახ. **მიროტა** გვარში: **მიროტაძე** (ალ. ღლ., 163): 1873 წ. აღწ. მოიხ-სენიება გიორგი დავითის ძე მიროტაძე (სცსსა, ფ. 254. №3, 124, საქ. №279. ფ. 253) (ფარცხი-სი).

მირუაშვილი 771
გორი 424
თბილისი 294
კასპი 15

**მირუაშვილი** (1721 წ.), **მირონ** (ბერძ.) „მტირა-ლი" ან „მირონიანი" (მირონი სურნელოვანი ზეთია, რომელსაც ეკლესიაში ხმარობენ), (იხ. ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართ., 357): **მირო, მირონ** (ბერძნ. ის, ვინც მირონს აპკურებს, კოლხ., 49, ნოქალაქევი, ალ. ღლ., 163); **მირონა** (ფშ., მა-ღაროსკარი: სტუდ. კოლექცია (იქვე); მირონის კნინობითი ფორმაა: **მირუა, მირუმა:** საკ. სახ. **მირუა** (დოკ., II, 5); „ქ. საამისა და ...დიშერისა ქ. გარისს, 1721 წ. ელიზბარა მირუაშვილი" (ვახუშტი, 118); ასლამაზა მირუაშვილი, ყმისა და ნასყიდობის წიგნი, მიცემული საამ მაღალაძის მიერ თავის ბიძაშვილ გიორგი და სხვა მაღალაძეე-ბისათვის (1738 წ. დოკ., I, 280); ქ. ავაზანს, 1721 წ. დათუნა მირუაშვილი, ერუკა მირუაშვილი" (ვახუშტი, 169) (გარისი, ვაშლოვანი, ავაზანი).

**მირუმაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მირუმა**. იხ. **მირუმა**, ბოქაულის ყმა. XVIII ს. ყმების ნუსხა (დოკ., II, 201); შდრ. **მირ, მირი, მირონ.**

„ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა· და გუგუნას ყმა ქ. გარისს. 1721 წ. ელიზბარა მირუმაშვილი" (ვახუშტი, 121); „ქ. ციციშვილის პაპუაშვილის ზაზასი, ქ. სამღერეთს, 1721 წ. ნაზარა მირუმაშვილი" (ვახუშტი, 31).

| | |
|---|---|
| მიქაუტაძე | 1246 |
| *ქუთაისი* | *383* |
| *თბილისი* | *268* |
| *წყალტუბო* | *154* |

**მიქაუტაძე,** საკ. სახ. **მიქუტა** (ალ. ღლ., 23) **მიქა**. სამიქაო, ქოლობანი (აბაშის რ.), ამავე ძირისაა **მიქაძე, მიქავა, მიქაია, მიქაისძე, მიქანაძე, მიქიანი** (ილ. მაისურ., 113); ნ. მიქა შაბურის ძე. არაგვის ერისთავის ვამიყის ძე. „მე, ერისთავი შაბურის ძე მიქაი მოწმე ვარ" (ქრონ., II, 203); მიქაისძე, 1246-1250 წწ. სიგელი მეფე დავით-ნარინის დროისა (იქვე. 129); ნ. მიქაძე სოლომონ, საბუთის დამწერი, 1813 წ. (დოკ., II, 235); მიქაშვილი ესიტა, 1712-1745 წწ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული სეხნია ჯორაშვილის მიერ ესიტა მიქაშვილისათვის (იქვე, 18): მიქიაშვილი გიორგი, დათუნა (იქვე, 18): მიქაუტაძეები სოფ. ასურეთში გადმოვიდნენ საცხოვრებლად ამბროლაურის რაიონის სოფ. ზნაკვადან 1941 წელს. ცხოვრობენ ბუგეული, ზნაკვა, მოტყარი.

| | |
|---|---|
| მიქელაშვილი | 721 |
| *თბილისი* | *163* |
| *ოზურგეთი* | *109* |
| *ქარელი* | *67* |

**მიქელაშვილი // მიქელიშვილი // მიქელაძე** (XII ს.) **მიქელა** (ძვ.-ებრ.) „ღვთის სწორი", „ღვთაებრივი" (სიტყვასიტყვით „ვინც ღმერთივით არის"). ეს სახელი ებრაულიდან შესულა ბერძნულში და ბერძნულის გზით ფართოდ გავრცელებულა მსოფლიოს მრავალ ენაში (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 358).

**მიქელა** (დოკ., I, 135): **მიქელაი** (პ. ინგორ., სვან., 2, 50): მიქელა გვარში: მიქელაშვილი (ალ. ღლ., 163): **მიქელაშვილები მოიხსენიებიან XII ს. კაბენის ტყავის წარწერებში.** იქ აღნიშნული მიქელის ძენი იწოდებიან „მიქელაშვილებად" (ქრონიკ., II, 26); წმ. სამების „სულთა მატიანის" №32 სიგელში ვკითხულობთ: „მოიხსენე უფალო... მონა ღჳთისა მიქელაშვილი გიორგი (და) მეუღლე (მისი) სიყუარულისა ქალი ანუკა" (ქრონიკ., II, 26); „მიქელაშვილი. მიქელ მთავარი იყო მოსახლე ვანისა და აზრუმის საშუალო ადგილისა ტარონსა შინა. ესე მიქელ მსახურობდა ალექსი კეისარსა, რომელსაც

მისცა დაი თვისი ცოლად და ამათგან იშვნენ ორნი ძენი: გრიგოლ და იოანე, რომელნიცა იწოდებოდნენ პროსსებესტოდ 1085 წ. მერედ შემდგომ თურქთაგან დაპყრობისა ამათნი გვარნი მოვიდნენ იმერეთს და მიიღო მეფემან **მიქელაძეებად თავადებათ, მათნი მდაბალნი სახლისკაცნი მიქელაშვილებად, აზნაურებად. პირველნი ცხოვრობდნენ იმერეთს, მეორენი ქართლსა**" (საანდაზო ლექსები... 133); გიორგი მიქელაშვილი შეტანილია საფქვავის ამოკვეთის წიგნში, რომელსაც სეხნია ტატისშვილი აძლევს შოშიტა მიქელაშვილს (1692 წ. დოკ., I, 90); ზუბიტა მიქელაშვილი, კულუხისა და სამო ელიოს ამოკვეთის წიგნში, მიცემული ზაალ გურამიშვილის მიერ მამისიმედ გოგიჯანაშვილისადმი (1678 წ. დოკ., I, 370); „ქ. ტაგნაგეთს იესე სოლაღაშვილის ყმად 1721 წ. იხსენიება იობ მიქელაშვილი" (ვახუშტი, 141).

ამავე ძირისაა: **მიქელავა, მიქელაია, მიქელაიშვილი, მიქელბაია, მიქელთაძე, მიქელაძე.**

შდრ. სომხ. **მიქაელიანი** (ბორბალო, მანგლისი, ტაგნაგეთი, კოდა, ნახიდური).

| | |
|---|---|
| მიქელაძე | 9454 |
| *თბილისი* | *1276* |
| *ქობულეთი* | *1191* |
| *ხელვაჩაური* | *1192* |

**მიქელაძე** (1688 წ.), **მიქელა**, ებრ. „ღვთის სწორი", „ღვთაებრივი (სიტყვასიტყვით: „ვინც ღმერთივით არის"). ეს სახელი ებრაულიდან შესულა ბერძნულში და ბერძნული გზით ფართოდ გავრცელებულა მსოფლიოს მრავალ ენაში, ოღონდ გზადაგზა საგრძნობი ცვლილებები განუცდია. მისი პირვანდელი ფორმაა **მიქაელ** სადაც **ქ** ბერძნულშივე იქცა **ხ-დ**, **ე** კი **ი-დ** და მივიღეთ **მიხაილ**. ეს ფორმა გვხვდება რუსულში, **მიხაია** – რუმინულში და ა.შ. ქართულში გვაქვს როგორც **მიქელა**, ისე **მიხეილ, მიხა** (ხშირად **მიშა**). უფრო ძველი ფორმაა მიქელა, საიდანაც ნაწარმოებია გვარები: **მიქელაძე, მიქელაშვილი, მიქაშვილი, მიქიაშვილი, მიქავა, მიქელაძე, მიქაძე**... მიხეილისგან კი გვარების ასეთი წარმოება უცნობია, ქართველ ებრაელებში გვხვდება მხოლოდ გვარი მიხელაშვილი (ზ. ჭუმბ., 158); მიქაელ წმინდა მამა, რომელმაც სადიაკონე აღნიშნა, 943 წ. (ქრონიკ., I, 74); მიქელ (959 წ.).

**მიქელ** აფხაზი, 1250-1260 წწ. (შიო მღვიმის სიგელი №38, ქრონ., II, 149); **მიქელ** კათალიკოზ, 1310-1318 (იქვე, 176); მიქელ პატრიარქი ანტიოქია-იერუსალიმისა (იქვე, 294, 295); „ერთ ტოლოშელს (ასპინძის რ.) მიუღია თათბირობა. თიბათვეში თურმე ამ კაცს

უთიბნია ჭალა წყლის პირას, მოსწყურებია ძაან წყალი, მისულა, ერთ ხის ქოლგაში დაუსვენია. ამ კაცს ჩაძინებია, სიზმარი უნახია, რო მითამ ერთი ცხენოსანი კაცი ხმლით მოსულა: – უნდა მოქკლა, რათ მიილე თათბირობაო, – და ხმალი დაუქნევია.

კაც სიზმარში შეშინებია, წამომხტარა და დაუღრიალია = მიშველეთო!

მეზობლებს დაუძახნიათ: – რა მოგივიდა, ჯანო, რა იყოო? (იმ კაცს სიზმარში შეშინებია, წამომხტარა და დაუღრიალია – მიშვეუსხვაფერებია. წამოსულა შუადღისას სახში და ცოლისთუნ უთქვამ:

– ე, ქალო, ერთი წყალი მომიტანე, თორე ვკვდებიო.

ცოლს უთქვია: – უიმე, რო გაგვიგონ, ხო დაგვხოცავენო! – ნეტაი ერთი შენცა, მოიტაო!

წყალი რო დაულევია, მერე უთქვამ: – მე ნა წავედი, ღვდელინა მოვიყვანო, ბოვშვები დავანათლინოო.

იმ დღისით ვერ წასულა, ღამე გაპარულა, ბარალეთიდან ჩამოუყვანიათ თეთრეულ ტანისამოსში გამოწყობილი სარუღიანი ღვდელი, დღისით სახში დაუმალნია, ღამით მოუნათვლინებია ოთხი ბავშვი მესმე დღეს ისევ თავი სოფელში აუყვანია ი ღვდელი.

ტოლოში ეხლა იმ კაცის ჩამომავლობა **მელიქიძეები** არიან" (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 352).

**გიორგი მიქელაძე,** მოლარეთ უხუცესი, 1688 წ. მოყოლია მზითვათ გიორგი მეფის ცოლს (სიძვ., II, 120); **მიქელაძე,** მებატონე ახალშენში, ბუქლულეთში, ერტისში, ტბისში, ცხვრისში, ცხნარში, წინვენახში, ჭანდარში (იას. ლორთქ., ქვ. ქართ., § 71-72, 137, 220, 623, 821, 822, 840, 861); როგორც ითქვა **მიქელაძე, კაკის თავადი** 1690 წ. **მიქელ მთავარი** იყო მოსახლე ვანისა და აზრუმის საშუალო ადგილსა ტარონსა შინა. ესე მიქელ მსახურებდა ალექსი კეისარსა, რომელსა მისცა დაი თვისი ცოლად და ამათგან იშვნენ ორნი ძენი: **გრიგოლ** და **იოანე,** რომელნიცა იწოდებოდნენ პროსსებესტოდ 1085 წ. მერედ შემდგომ თურქთაგან დაპყრობისა ამათნი გვარნი მოვიდნენ იმერეთს და მიიღო მეფემან **მიქელაძეებად თავადებად,** მათნი მდაბალნი სახლისკაცნი **მიქელაშვილებად, აზნაურად.** პირველნი ცხოვრობდნენ იმერეთს,

[მ]ეორენი ქართლსა (საანდაზო ლექსები... 133).

ამავე ძირისაა: **მიქელავა, მიქელაშვილი, მიქელიშვილი** (ქრონ., II, 715), შდრ. სომხ. მიქაელიან (ასურეთი, კლდეისი).

მიქიაშვილი 988
თბილისი 399
ამბროლაური 196
ტყიბული 69
მიქია 164

**მიქიაშვილი** (1712 წ.), საკ. სახ. **მიქია** (ქართლ. ცხ., I, 373); ნ. მიქიაშვილი გიორგი, დათუნა, 1712-1745 წწ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული სეხნია ჯორაშვილის მიერ ესიტა მიქაშვილისათვის (დოკ., II, 18);

მ. ამბროლაურის რაიონის სოფ. ნამანევიდან ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს. რაჭაში მიქიაშვილები ცხოვრობენ სოფლებში: ბარეული, იწა, კვაცხუთი, მოტყიარი, საკეცია, ქედისუბანი.

**მიქუაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **მიქა** (ალ. ღლ., 163). **მიქია, მიქო, მიქუტა** (იქვე).

ამავე ძირისაა: **მიქაძე, მიქავა, მიქაია, მიქანაძე, მიქატაძე, მიქაუტაძე, მიქიაშვილი, მიქუტიშვილი, მიქუჭაძე, მიქიანი** (კოდა).

მოდრეკელიძე 33
მოდრეკილიძე 264
კასპი 131
თბილისი 116
ოზურგეთი 3

**მოდრეკილაძე** (1881 წ.), **მოდრეკილი,** მეტსახელი გვარში: **მოდრეკილაძე** (ი. მაისურ., 114): სოფ. საღირაშენში 1881 წელს ივანე გიორგის ძე ასათიანის შვილის გიორგის მიმქმელად (ნათლიად) მოიხსენიება დავით დავითის ძე მოდრეკელიძე (მეტრიკ. წიგ. არქ., 489, I, 1881 წ.).

ამავე სოფელში მიხეილ სოლომონის ძე წამალაშვილის ქალიშვილი დარიას ნათლავს იგივე დავით მოდრეკილაძე (იქვე). იმავე სოფელში 1883 წელს იგივე დავით დავითის ძე მოდრეკილაძე (იქვე, 1883 წ.) (საღირაშენი).

მოლიშვილი 685
სიღნაღი 315
ყვარელი 131
თბილისი 130

**მოლიშვილი // მოლაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **მოლა** (დოკ., I, 7); მოლი ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახი. მწვანე მოლი (ქეგლ).

**მოლა** (მოლასი) არაბ. მუსლიმანთა მღვდელი (იქვე).

**აბულყა მოლაშვილი** მოიხსენიება მემამულედ 1721 წ. აღწერით სოფ. ბალახაურს (ის. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV 229).

მოლოდინაშვილი 153
*თბილისი 77*
*სიღნაღი 32*
*ლაგოდეხი 22*
მოლოდინი 120

**მოლოდინასშვილი // მოლოდინისშვილი // მოლოდინაშვილი** (1690 წ.), საკუთარ სახელად ქცეული სიტყვა — **ლოდნა, ლოდინი, მოლოდინი, მოლოდინა** (ფშ., მაღაროსკარი, ალ. ღლ., 164) „ბაზალეთში მცხოვრებ **მოლოდინას** ქალი ქეთევანი მოკვდა და დაიმარხა მღვდლის თეოდორე ნატრაძის მიერ" (სცსსა, მეტრიკ. წიგ., ფ. 489, №6. №5, 1820 წ., ფურ. 262); ბასილმონი, ბეროა, ბერუა, გოგილა, გოდერძა, გოდერძა (მეორე), დარჩია, ესტატე, ესტატე (მეორე). იესე და სხვ. მოლოდინაშვილები მოიხსენებიან 1690 წ. (საქ. სიძვ., I, 117, 118, 121, 359, 366): პაპუნა მოლოდინაშვილი — XVIII ს. I ნახ. იხ. ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხაში (დოკ., II, 31): „ქ. ამილღანბარ გოსტაშაბიშვილის ყმა ქ. ელფიას. 1721 წ. პაპუა მოლოდინაშვილი" (ვახუშტი, 53): „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნასი ქ. ელფიას ბერუა მოლოდინაშვილის ყმა. 1781 წ. მოლოდინაშვილი ელისბარა" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 167); ბოგვში 1874 წელს მოიხსენიება გიორგი ივანეს ძე მოლოდინაშვილი (ფ. 489, აღწ. 9. თ/წ 1); იქვე 1879 წელს მოიხსენიება იოსებ გიორგის ძე მოლოდინაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1). (ერტისი, ელიფა, ბოგვი). შდრ. გვარი მოლოდინი.

მონადირაშვილი 23
*თბილისი 18*
*თეთრიწყარო 2*
*რუსთავი 3*
მონადირეშვილი 63

**მონადირიშვილი** 1851 წ. **მონადირე** (სამართ. ისტ.), სამონადირეო უწყების დაბალი მოხელე ძველ საქართველოში. მონადირეები მონადირეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. მათ ევალებოდათ სამონადირეო ძაღლების გამოკვება და შესაფერისად გაწვრთნა, აგრეთვე ყოველწლიურად „ძაღლთა აღწერა" (ქსე, ტ. 7, 89); მუხათში საკ. სახ. **მონადირე** (ა) იხსენიება 1781 წელს (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 177); **მონავარდისა** (საქ. სიძვ., II, 229); მუხათში 1851 წელს დედოფალ მანანა ორბელიანის ყმად მოიხსენიება შაქრო (შაქარ) მონადირაშვილი (სცსსა, ფ. 254, №2, 1860 წ. ფურ. 169).

შდრ: **მონადირაანი** (მუხათი).

ამავე ძირისაა **მონავარდიშვილი** (მუხათი).

**მონხუჯაშვილი** (1851 წ.), სავარ. რთული შედგენილი სახელი. შდრ. საკ. სახ. **მონ-ი** (სვან., 1, მესტია) // **ხუჯა**-ია (ასკანა,

ოზურგეთის რ., ალ. ღლ., 247).
ნ. ხუჯაძე (მუხათი).

| | |
|---|---|
| ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲐᲫᲔ | 395 |
| ბათუმი | 71 |
| ქედა | 52 |
| ქობულეთი | 13 |

**ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲐᲫᲔᲨᲕᲘᲚᲘ** (1823 წ.), საკ. სახ. **მორთულა** (ტბეთის მატიანე, 191); სავარ. **მორთულაძე** გადმოვიდა დასავ. საქართველოდან და აქ გვარს დაემატა შვილი. შდრ. **აფციაურიშვილი, ბერიძეშვილი... აზნაური ზაალ კერვალის ძე მორთულაძეშვილი,** მეუღლე ხორეშანი, ვაჟები: გიორგი, დავითი, იოსები, ქალიშვილები: ანა, ნათელა, ძმა როსტომ მორთულაძეშვილი, მეუღლე მარიამი იხსენიებიან ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, 1823 წ. ფურ. 99-107).

| | |
|---|---|
| ᲛᲝᲠᲩᲐᲫᲔ | 760 |
| ქუთაისი | 421 |
| ტყიბული | 75 |
| თბილისი | 57 |

**ᲛᲝᲠᲩᲐᲫᲔ** (1823 წ.), საკ. სახ. **მორჩ-ი** (ტბეთის მატეანე, 191).

ვანო მორჩაძე, კაცია მორჩაძე, დედა მათი მარიამი მოიხსენიება სოფ. ბორბალოს 1823 წლის აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83).

ამავე ძირისაა: **მორჩილაძე, მორჩილაშვილი** (ბორბალო).

| | |
|---|---|
| ᲛᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ | 1169 |
| თბილისი | 297 |
| ქუთაისი | 185 |
| დმანისი | 167 |

**ᲛᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ** (1620 წ.), **მოსე,** ებრ. „წყლიდან ამოყვანილი (გადარჩენილი").

**მოსე,** საკ. სახ. იხ. **მოსე** ენუქიშვილი, 1614 წ. (სიძვ., II, 26); მოსე – დეკანოზი, 1686 წ. (იქვე, 102); მოსე სარმანაშვილი (იქვე): მოსე წინასწარმეტყველი.

**ზერუკა მოსეშვილი,** ორბელიანთა ნასყიდობის წიგნი, 1620 წ. მაისის 10 (სიძვ., II, 252; „ქ. ყარაბუდახიშვილის გიორგისა ჰ. ირაგას, 1721 წ. „ღათუნა მოსეშვილი, გოდერძ: მოსეშვილი" (ვახუშტი, 73); ზეროუკა მოსეშვილს უცხოვრია და მიწის ნაკვეთი ჰქონია სოფ. ირაგაში (1717 წ., საქ. სიძვ., II, 81):

ამავე ძირისაა: **მოსიაშვილი, მოსაძე, მოსიძე** (ირაგა).

| | |
|---|---|
| ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 2228 |
| თბილისი | 440 |
| ხაშური | 270 |
| თელავი | 242 |

**ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **მოსია** „გოსტაშაბიშვილის" კაცი (162, 163); **მოსია** (იქვე, 496); **მჩითავი მოსიაშვილი,** არზა მიცემული ეგნატე თუმანიშვილის მიერ თბილისის სამოქალაქო პოლიციაში (1809 წ. დოკ., II, 228); „ქ.

ყარაბუდახიშვილის გიორგისა დმანის-ჯვარა, 1721 წ. პაპუა მოსიაშვილი" (ვახუშტი, 73); „ქ. თამაზ სარდლის ნასყიდობა ქ. ლიპს, 1721 წ., დათუნა მოსიაშვილი" (ვახუშტი,229); კოდელი **ზარიძე მოსიაშვილი,** 1826 წ. ნათლავს შვილს სოლომონს. მიმქმელი იყო თანასოფლელი ნინია ბაჩაშვილის მეუღლე ელისაბედი (489, 9, №1); მოსიაშვილები, ჩანან სოფელ აჭარაში ქედის რაიონში (დანდალოს საკრებულო), **მოსიანი,** ყავილაშვილთა ერთ-ერთი შტოს სახინჯარია სოფ. კოდაში.

კოდაში **ყავილაშვილთა** ერთ-ერთ შტოს (ირაკლი ყავილაშვილი) პატრონომიულ სახელად დღესაც **მოსიანთს** ეძახიან.

ამავე ძირისაა **მოსია, მოსიავა, მოსიკაშვილი, მოსიძე, მოსეშვილი მოსესაშვილი, მოსაშვილი,** (დმანისი-ჯვარი, კოდა, ლიპი).

**მოძღვრიშვილი** (1676 წ.), **მოძღვარი,** სასულიერო პირი, განსწავლული ბერი, მასწავლებელი, აღმზრდელი, ხელმძღვანელი, (ქეგლ).

**მოძღურისშვილი** მოიხსენიება სოფ. ტბისს 1676 წ. ყმის ნასყიდობის წიგნში, მიცემული დურმიშხან ფალავანხოსროშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისთვის (საქ. მუზ., ფ. Hd №7596).

შდრ. **ხოჯაშვილი, ხოჯავა** (ტბისი).

**მუდრეგიშვილი** (1721 წ.), **მუდრეგი** – უპატრონო (საბა). შდრ. **იავა, გაავდა.** იავა თათრულად ნაპოვნ ცხოველს ჰქვიან, რომელსა ქართულად **მუდრეგი** ეწოდების (საბა, 145); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა 1721 წ. ქ. რაფაქეთს: **ბექან მუდრეგიშვილი** მიალაშქრე" (ვახუშტი, 58) (რაფაქეთი).

**მუდრუგანაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **მუდრუგანა.** შდრ. მუდრეგი, სალანძღავი სიტყვა – ოხერი, ტიალი, უპატრონო. იტყვიან „შე მუდრეგო". „ქ. თაყაშვილის ქაიხოსროს ქ. წინვენახის 1721 წ. **მუდრუგანაშვილი**" (ვახუშტი, 127). (წინვენახი).

| | |
|---|---|
| მუმლაძე | 5540 |
| *ქიათურა* | *1104* |
| *თბილისი* | *987* |
| *ზესტაფონი* | *973* |

**მუმლაძე** (1697 წ.), სავარ. საკ. სახ. **მუმლა** (ი. მაისურ., 116).

**მუმლ-ი,** მეტსახელი პატარა კაცისა (ალ. ღლ., 165); დათუნა და მახარა მუმლაძეები, იხსენიებიან 1697 წელს წყალობის წიგნში, რომელსაც ქაიხოსრო ამირეჯიბი აძლევს ისე გამცემრიშვილს (დოკ., I, 4);

| | |
|---|---|
| მურადაშვილი | 1704 |
| გორი | 705 |
| თბილისი | 399 |
| ასპინძა | 134 |
| მურადელი | 74 |
| მურადიშვილი | 34 |

**მურადაშვილი // სასურველიშვილი // სურვიტაშვილი** (1721წ), საკ. სახელი **მურადა** (სიძვ. I. 305), **მურად** (არაბ) ,,სასურველი''. მურადა 1477წ. ივლისის 4-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ და სხვა პალატისშვილის მიერ გოგიტა არდაშელიშვილისათვის (დოკ., I, 4); დღეს ირაგასა და ჯიგრაშენში მცხოვრები მუმლაძეები ბერძნებად არიან ჩაწერილნი (ირაგა, ჯიგრაშენი). **მურადა** – დათუაშვილი, მ. დათაშვილი, მ. პაატაშვილი (იქვე, 174, 182); გელია მურადასშვილი, 1738 წ. თუმანიანთ ნოქრის ხარჯის ნუსხა (დოკ., I, 285); გოგია მურადაშვილი, ნასყიდობის წიგნი, 1757 წ. (საქ. სიძვ., II, 468); მურადაშვილი, 1760 წ. ივნისის 16-ს. ყმამამულის მიერ იესე მაჩაბლისადმი (საქ. მუზ., Hd, №2826); ბეჟანა მურადაშვილი, საბუთის დამწერი იხსენიება (1798 წ. დეკემბრის 2-ს) ნასყიდობის წიგნში, რომელსაც სვიმონა გიორგისშვილი აძლევს ვახტანგ ყაფლანიშვილს (დოკ., II, 195); ,,ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ქ. ტაგნაგეთს 1721 წ. ბეჟუა მურადაშვილი'' (ვახუშტი, 141). ,,აქვე ბორბალოს იასე მდივნის ყმა მურადაშვილი დანელა, 1781 წ.'' (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. I, 168); ,,ქ. ამის ყმა მურადაშვილი მამუა, ქ. ამისი განაყარი **ახუა**'' (ვახუშტი, 370); იქვე სოფ. ჭრეში აყრილ კომლად მოიხსენიება მამუა მურადაშვილი და მისი განაყარი ახუა. **ახუა** და **მურადა** მუხათში ჩანან 1781 წ.; 1817 წლ. აღწერაში ჩნდება გვარები: **ახუაშვილი** და **მურადაშვილი**.

გაბო მურადაშვილი, მეუღლე მარიამი, ვაჟები: იოსები, ზაქრო, ქალიშვილები: ქეთევანი, ხანუმა, მოიხსენიება 1823 წ. სოფ. ბორბალოში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ, 77-83); ყმების ნუსხათა კოლექციაში მოიხსენიებიან: ყამაზაანთ, ჩალოანთ მურადა, მურადა, მ. დანელასშვილი, ალამდარი, ამბრადანი, ნალბანდი, უსტა; ალექსი ღვთისისა ძე მურადაშვილი, ბერელა გოლას ძე, მოსესა შერმაზანას ძე, მურადა გიგოლას ძე, ნ...ია გიგოლას ძე, ფარსადან სოსიას ძე, აბელა, ალავერდა, ანდრია, ბათულა, ბეჟანა, ბეჟანი, გაბრიელა, გელია, გიგოლა, გივი, გივნა, გიორგი, გოგია, დავითა, დავითი, დანიელა, ზაქრო, ზურაბ, ზურაბა, თანდილა, იოსებ, ლუარსაბ, მამულა, მირაქა, ოსეფა, როსტომ, სანდრო, საქინა, სოსინა, სოსია, სოსუა, სტეფანე, სტეფანა, სუმბატა, ტურინა, ფარსადანა, ქიტესა, ღვთისია, ყაზარა, ხვთისია, ხორიშანა მურადაშვილები.

**მურადაშვილი** ანდრია, გაბრიელ ცხინვალელი, იოსებ, სოსია, მურადაშვილი, მურადისშვილი (სცსსა, კოლექცია №1448, ნაწ. III, გვ. 551-552).

„მამა იაკობ მურადიანი, კათოლიკენი, ზოგნი გრიგორიანებიც არიან. პარიზში, ადრე, მურადიანთ დიდი სომეხთა სასწავლებელიც არსებობდა. ხოლო ეს მურადიანი კი ქართული გვარის კათოლიკეა. ძველად კი ესენი თათრის ტომის უნდა ყოფილიყვნენ. იაკობ მურადოვი თავის დროს შესამჩნევი მოძღვარი ყოფილა მრევლთა წინაშე და მასთანვე დიდი მფარველიც კათოლიკობისა. რამდენიმე წევრნი ამ გვარის ერთ დროს კათოლიკობიდამ სომხობაზედ იქმნენ ძალით გადაყვანილნი. ტერ იაკობ მურადოვი შესანიშნავია თავის დროის კვალად როგორც კარგი ქართული მწიგნობარიც. თანამედროვე პირთაგან დიდად ქებული. გარდაიცვალა 1840 წ. ქუთაისს. 75 წლისა" (ზ. ჭიჭინ., ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარეზზე, თბ., 1905 წ. 25); **მურად-ბეგი ალ-მუჰამედ** (1750-1801 წწ., ეგვიპტე), **ეგვიპტის მამლუქი გამგებელი. წარმოშობით ქართველი. ტყვებით მოვაჭრეებმა მ-ბ. თავის უფროსად აირჩიეს. იგი იბრაჰიმ ბეგთან (სინჯიკაშვილი) ერთად 23 წლის განმავლობაში განაგებდა ეგვიპტეს. მ-ბ-მა დიდი წვლილი შეიტანა უცხოელ დამპყრობთაგან ეგვიპტის განთავისუფლებაში, კერძოდ, ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში 1798-1801 წწ-ში (ქსე, ტ. 7, 198).**

**მურადელი ვანო ილიას ძე** (1908-1970 წწ.), ქართველი კომპოზიტორი, სახალხო არტისტი.

**მურადი,** ალმ. ევფრატი, მდინარე თურქეთში, ევფრატის ძირითადი შემადგენელი.

**მურადოვა ბარიათ** სოლთან მეჯიდის ასული დ. (1914 წ.), ყუმუხი მსახიობი, სახალხო არტისტი.

**მურადოვა სონა** (დ. 1914 წ.), თურქმენი მსახიობი, სახალხო არტისტი.

**მურდახანაშვილი** (1721 წ.), რთული შემადგენელი სახელი **მურდა+ხანა** (ი). შდრ. **მერდახანაშვილი.**

„ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა, 1721 წ. ქ. ორთაშუას მურადხანაშვილი ასლამაზა, მურადხანაშვილი ხიზანა" (ვახუშტი, 121). (ორთაშუა).

| | |
|---|---|
| მურუსიძე | 895 |
| *თბილისი* | *233* |
| *ამბროლაური* | *197* |
| *ქუთაისი* | *154* |

**მურუსიძე,** წარმოქმნილი, ფუძე **მურუს, მუ** იგივე **მგ** სვანური თავსართია, სადაურობის მაჩვენებელი; **მურუს** უდრის **რუსს** (რუსეთელი). ასე, რომ

მურუსიძე მნიშვნელობით იგივეა, რაც ქართული რუსიშვილი (აკ. შანიძე, გრამ. საფუძველ., 128); ნ. (ილ.მაისურ., 116).

**მურუსიძეები** ამბროლაურის რაიონის სოფ. ზნაკვადან ას-ურეთში საცხოვრებლად გადმოვიდნენ 1941 წელს. რაჭაში ცხოვ-რობენ ბუგეული, ზნაკვა, იწა, კაჩაეთი, სადმელი, საკეცია.

**მურჩახმელაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **მურჩა** (მეგრ. რა გაჭამო, ალ. ღლ., 166); **ხმელა** (მეტსახელი, ფშ., თიანეთი, ალ. ღლ., 244); **მურჩახმელაშვილი გლახა**, დედა ანა, ქალიშვილები: საბედი, ბარბარე იხსენიებიან ლოუბანში 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, 1, 802. ფურ. 83-92).

| | |
|---|---|
| მუსხელაშვილი | 0 |
| მუსხელიშვილი | 221 |
| *თბილისი* | *106* |
| *დმანისი* | *84* |
| *ბოლნისი* | *16* |

**მუსხელაშვილი // მუსხელიშვილი // მუსხალაშვილი** (1721 წ.), სადაურობის სი-ტყვა **მუსხელი; მუსხი** სოფელია ახალციხის რაიონში (ი. მაისურ., 116); **,,ავთანდილ მუსხ-ელაშვილი 1721 წ. მოიხსენიება მებატონეთ თრიალეთის საბატეს,** სადაც ჰყავდა ყმები: მირჯანაშვილი ბერი, იშხანაშვილი თამაზა და სხვა. ჯეელი კომლი ერთი, ბოგანო სამი: **იესე მუსხელაშვილს** ყმები ჰყოლია სამღერეთსა და სამღერეთის ახალშენში, ჯ-ი კომლი ექვსი, ბოგანო სამი; **დემეტრე მუსხელაშვილს** ყმები ჰყოლია სამღერეთს **ჯ-ი** კომლი სამი, ბოგანო ერთი'' (ვახუშტი, 39-40); ზაალ მუსხელაშვილი მოიხსენიება მოწმედ ყარაბდაში 1741 წ. (დოკ., II, 37); **იასე და დემეტრე მუსხელიშვილებს, როგორც მემამულეებს, 1721 წ. ჰყავდათ ყმები სოფლებში:** სამღერეთი, სამღერეთის ახალშენი (ივს. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 226); დავით მუსხელასშვილი დასახელებულია (1778 წ.). მოწმედ შეყრილო-ბის წიგნში, რომელსაც ბატონი **დავით გოსტაშაბიშვილი** აძლევს თავის ბიძაშვილ **ზურაბ ბექანიშვილს** (საქ. მუზ., I, 98); ზაალ და ბაჭუა მუსხელიშვილი (იქვე, 289). (სამღერეთი, მაწევანი).

**მულამშაშვილი // მულაშაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. მულაშა (ალ. ღლ., 166); ,,ქ. გერმანოზაშვილი დათუნას ყმა ენაგეთს, 1721 წ. გიორგი მულამშაშვილი'' (ვახუშტი, 132).

| | |
|---|---|
| მუხათგვერდელი | 187 |
| *კასპი* | *17* |
| *თბილისი* | *15* |
| *დუშეთი* | *5* |

**მუხათგვერდლიშვილი** (1822 წ.), **მუხათგვერ-დელი,** გვარადქცეული სადაურობის სიტყვა, მუხადგვერდი სოფელია მცხეთის რაიონში.

სოფელ ერტისში მცხოვრები **გიორგი მუხათგვერდლისშვილი** 1822 წ. შვილს, გიორგის

უნათლავს თანასოფლელ დავით ირემაშვილს (ფ. 489, №6, 14, ფურ. 45-48)

შდრ. გვარი **მუხათგვერდელი** (ი. მაისურ., 117). (ერტისი).

მუხაშავრია 245
ოზურგეთი 123
ბათუმი 62
თბილისი 14

**მუხაშავრია,** სავარ. რთული შედგენილი სახელი **მუხა // შავრა** (**შავარნა** ესე არს მზისგან დამჭკნარი მხალი რა მოირწყოს, განცოცხლდეს და აღმართოს, ანუ ნადირმან დაშვებული ბეწვი აღიმაღლოს (საბა). (ასურეთი).

მუჯირი 847
ოზურგეთი 424
თბილისი 184
თერჯოლა 82

**მუჯირი** (1721 წ.), გვარადქცეული თანამდებობის სიტყვა, **მუჯირი „ხვარბლის მნე"** (საბა), ამავე ძირისაა: **მუჯირიშვილი.**

შდრ. **მღვდელაძე, მთავრიშვილი, მესტუმრიშვილი...**

„ქ. საკარის მსახლობელი, ქ. ბეროა მუჯირი" (ვახუშტი, 312).

მუჯირიშვილი 468
თბილისი 294
დმანისი 60
ბოლნისი 43

**მუჯირიშვილი** (1843 წ.), გვარადქცეული თანამდებობის სიტყვა, **მუჯირი** „ხვარბლის მნე" (საბა), ამავე ძირისაა: მუჯირი.

„1843 წ. სოფ. დიდ თონეთში მოიხსენიება თევდორე მუჯირიშვილი" (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფ. 310-322). (დიდი თონეთი).

მუჯრიშვილი 133
თბილისი 86
გარდაბანი 20
თეთრიწყარო 20

**მუჯრიშვილი** (1843 წ.), მომდინარეობს გვარადქცეული სადაურობის სიტყვიდან, **მუჯირი** „ხვარბლის მნე" (საბა). შდრ. მუჯირი, მუჯირიშვილი. „...მუჯრიშვილი თევდორე მოიხსენიება დიდ თონეთში 1843 წ." (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურც. 310-322).

ალბათ, იგივე მუჯირიშვილი (მუჯირია). (დიდი თონეთი).

მღებრიშვილი 3711
თბილისი 1102
ქარელი 696
გურჯაანი 435

**მღებრიშვილი** (1721 წ.), ხელობა-მოსაქმეობის სიტყვა **მღებარი,** „საღებავის მცოდინარე ოსტატი" (საბა).

„ქ. **მუსხელაშვილის** იესესი სამღერეთს, 1721 წ. მარიამული დათუნა მღებრიშვილი" (ვახუშტი, 40); სოფ. კოდაში მცხოვრები ბალდასარა მღებრიშვილი 1826 წელს შვილს უნათლავს თანასოფლელ პაპუნა

...შვილს (489, ალწ. 9, №1).

**მლთისიშვილი** (1692 წ.), საკ. სახ. **მხთისია** (ისტ. საბ. 18): შდრ. **მხთისასშვილი, ღვთისიაშვილი, მღთისისშვილი** (ტბისი).

| მჭედლიშვილი | 9359 |
|---|---|
| თბილისი | 3213 |
| [illegible] | 770 |
| ხაშური | 644 |

**მჭედლიშვილი** (1647 წ.), **მჭედელი**, კვერის ხურო (საბა). „ბევრი გვარი წარმოშობილია ხელობის ან თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. ხელობათა შორის გან-საკუთრებული პატივი რგებია **მჭედელს**. **მჭედელი** მართლაც ყოველი სოფლისათვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ხელოსანი იყო. ამიტომაა, რომ მჭედლის აღმნიშვნელი გვარები მრავლად გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყოველ ენაში. ასეთებია, მაგალითად, რუსული **კუზნეცოვი, კოვალიოვი**, უკრაინელი **კოვალი, კოვალენკო**, პოლონური **კოვალევსკი**, სომხური **დარბინიანი, ნალბადიანი**, ინგლისური სმიტი, გერმანული შმიდტი, ქურთული **ჰადადოვი** (არაბ. ჰადად. „რკინა"); სომხ. **დემირჭიან** (თურქ. სიტყვიდან დემირ – რკინა). ქართულში ასეთი გვარებია: **მჭედლიძე, მჭედლიშვილი, მჭედლიანი, ჭედია, ნალბანდიშვილი** (ნალბანდიც მჭედელია, რომელიც მუშა პირუტყვს ჭედავს, ნალს აკრავს). ძვირფასი ლითონების ოსტატს ოქრომჭედელი ეწოდება, აქედანაა გვარი ოქრომჭედლიშვილი. მჭედელს მეგრულად **ჭკადუ** ჰქვია, სვანურად **მუშკიდ**, აქედანაა გვარები **ჭკადუა** და **მუშკუდიანი** (ძველი ფორმა **მუშკუდელი**, მჭედლობის მოხელე, რომელიც ცხელი ჭედვით ან ცივი კვერვით ამუშავებს ლითონს. ძველად ეს ხელობა ძალიან ცოტამ იცოდა და თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. **ხალხური წარმოდგენით, მჭედლობა გრძნეული, სამჭედლო კი წმინდა ადგილი იყო. სამჭედლოში გრდემლთან დაფიცება ან დაწყევლა-დარისხვა ყველაზე მძიმე სასჯელად ითვლებოდა.** ხალხური ერთ-ერთი თქმულებით, კავკასიონის მთაზე ამირანი მჭედელმა მიაჯაჭვა და გაწყვეტაზე მიმდგარ ჯაჭვს მჭედლები ყოველწლიურად, დიდ ხუთშაბათს, კვლავ კვერის ცემით ამთელებენ" (ქსე, ტ. 7, 268); ხელობა-საქმიანობის ტერმინი მჭედელი შემდგომში საკუთარ სახელად ქცეულა და პოპულარულიც გამხდარა. მაგალითად, საკ. სახ. **მჭედელა** მოიხსენიება ქუთაისის საყდრის ბეგრის გამოსავლის დავთარში 1587 წელს. იქ აღნიშნულია: „... მართებს ქვარიანიძესა

მჭედელსა" (ქსძ, III, 301); **მჭედელა, მჭედელი** სახელი მრავალჯერ აქვს მოხსენიებული ვახუშტი ბატონიშვილს 1721 წ. აღწ.-ში. მჭედელა, მჭედელი (იხ. 104, 138, 266, 289, 318): სტეფანე მჭედლიშვილი მოხსენებული 1647 წ. იგი როსტომ მეფემ სოფ. ენაგეთში უბოძა თავის დისწულ ასანბეგას (იას. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. I და II); იორდანე მჭედლიშვილი, გოგია მჭედლისშვილი მოიხსენიებიან 1675-1685 წწ. სათავდებო წიგნში, რომელსაც იორდანე მჭედლისშვილი აძლევს პატარა აბაშიძეს (ხელნ. ინსტ. Hd 8914; ქსძ, VIII, 860); **გიგოლა მჭედლიშვილი** XVIII ს. პირველი ნახევარი (დოკ., II, 30); 1818 წელს კოდაში პეტრე ლაზაშვილის შვილის გიორგის მიმქმელი ყოფილა სტეფანე მჭედლიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ); აბრამ მჭედლიშვილი მოიხსენიება სოფ. საღირაშენში 1871 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. №9, №6, თეთრი წყარო 1); იაგორ ზაქარიას ძე მჭედლიევი, ძმები გაბრიელი, იოანე, დემეტრე, მართმადიდებელი სარწმუნოების მქონე, ქართველები, მოიხსენიებიან 1873 წელს ენაგეთის ახალშენს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); ზურაბ აბრამის ძე მჭედლიშვილი (საღირაშენელი) 1882 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ვაჟს ვასილს, მიმქმელი ყოფილა სახელმწიფო ყმა იაკობ ქოჩორას ძე ქოჩორაშვილი; იქვე მოიხსენიება ბესარიონ აბრამის ძე მჭედლიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1).

შდრ. **დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხუროშვილი, ხუროძე, ზეინკლიშვილი, კალატოზიშვილი, დალაქიშვილი, მაჭკალაშვილი** და მისთ. (ენაგეთის ახალშენი, კოდა, საღირაშენი, ფარცხისი).

| | |
|---|---|
| მჭედლიძე | 4801 |
| *თბილისი* | *1504* |
| *გორი* | *650* |
| *ზესტაფონი* | *477* |

**მჭედლიძე** (1873 წ.), ხელობა-მოსაქმეობის სიტყვა **მჭედელი**. იხ. საკ. სახ. **მჭედელა** (ი) (ვახუშტი).

ამავე ძირისაა: **მჭედლიშვილი, მჭედლიანი, მჭედლური.**

1873 წელს თონეთში მოიხსენიებიან სიმონ, აბრამ, სიმონ (მეორე), მოსე მჭედლიძეები (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, ფ. 175-209); დიდ თონეთში კონსტანტინე სვიმონის ძე მჭედლიძე ცოლად ირთავს დიდ ენაგეთში მცხოვრებ იასე ნინიას ძე დესპოტაშვილის ქალს ელისაბედს. სასიძოს მხრიდან თავდებად მოიხსენიებიან შერმაზან სოსიას ძე და ანდრია დიმიტრის ძე შავშიშვილები, გიორგი დავითის ძე

ქუთათაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1885 წ.); სასძლოს სიიდან მოიხსენიება აგრეთვე აბრამ გიორგის ძე მჭედლიძე (იქვე); ზ. ჭუმბურიძე წერს: გვარი **ჭელიძე** მიღებული ჩანს **მჭედლიძე-საგან**. ამ ვარაუდის დასასაბუთებლად შეიძლება მოვიხმოთ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარი (1578 წლისა), სადაც გურიაში სოფელ ჩაჭის მცხოვრებთა შორის დასახელებულია ბევრი მჭედლიძე (ზაქარია, ხუტია, გიორგი, მიქელა, ოზბეგი, მალაღური, სხვა ხუტია, ფერსამა, უზუნა, სხვა გიორგი, იმრიდინი, ნასყიდა, გიორგა, ივანე, იოვანე, ხუტა, მამისბედა, ზავლა მჭედლიძენი). ამჟამად კი ,,სოფელ ჩაჭაში მჭედლიძე არავინაა, მაშინ როცა მჭედლიძეები მრავლად სახლობენ. ცხადია, ისინი ძველი მჭედლიძეების ჩამომავალნი არიან, თორემ ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ მხარეში მჭედლიძეები ყველა ამოწყვეტილიყო და საიდანღაც ჭელიძეთა მრავალრიცხოვანი გვარი გაჩენილიყო.

ამრიგად, თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მჭედლიძის გვარს სახე შეცვლილია (ორი თანხმოვანი – **მ** და **დ** დაკარგულა), ჭელიძედ ქცეულა.

მხითარაშვილი 77
მხითარიშვილი 1377
მხითარიძე 119

ასევე უნდა იყოს მიღებული მჭედლიშვილისაგან ჭელიშვილი (გვ. 307-308). (დიდი თონეთი, მანგლისი).

**მხითარაშვილი** (1670 წ.), საკ. სახ. **მხითარა** (**,,კავთისხევს არის მხითარა"**, დოკ., II, 179). მეტსახელი **მხითარა** (მუხათი).

**მხითარაშვილი** იხსენიება (1670 წ. აგვისტო 2-ს) მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ბოლნელი ეპისკოპოსი იოსებ რევიშვილი აძლევს დოლმაზა შანშიაშვილს (დოკ., II, 11); მხითარაშვილი (საქ. სიძვ., I, 298-299).

შდრ. **ხითარაშვილი,** 1699 წ. (ხელნ. ინსტ. Hd 482; ქსძ. VIII, 862). (თაფანი).

# ნ

ნადირაშვილი 2980
*თბილისი 1123*
*სიღნაღი 341*
*გორი 240*

**ნადირაშვილი // ნადირიშვილი** (1616 წ.), საკ. სახ. **ნადირ-ი** (ხევსურ., ხახმატი: ალ. ღლ., 168); **ნადირა,** (დოკ., II, 39; საამილახვრო დავთ., 3); **ნადირა** აფხაზაშვილი, ქორდელი – 1616 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული კათალიკოზის ზაქარიას მიერ დავით და სხვა გედევანიშვილებისათვის (დოკ., I, 21); ბერძენა, ივანა, თამაზა, სუხია, შიო ნადირაშვილები (საქ. სიძვ., I, 329, 358, 326, 382, 308); ბერი, გიორგი, დათუნა, ესტატე, თამაზა, პაპა ნადირაშვილები-ნასყიდობის წიგნი ნადირაშვილებისა, 1704 წ. (საქ. სიძვ., II, 447); „ქ. ნამანგელევიშვილის როსტომისა და გუგუნას მამულში ქ. სადირაშენს: 1721 წ. იასე ნადირაშვილი, იოსება ნადირაშვილი", ვახუშტი, 120); „ქ. აბაშიშვილის დავითისა, 1721 წ. აღწ. ქ. გოლთეთს: „მელქუა ნადირაშვილი" (იქვე, 116): „ქ. გერმანოზაშვილი დათუნას ყმა ქ. ანდრიას 1721 წ. პაპუნა ნადირაშვილი" (ვახუშტი, 134); „ქ. თაყაშვილის ვახტანგისა ქ. კველთას ტეტია ნადირაშვილი, პაპუნა ნადირაშვილი" (იქვე, 75): „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახვარისა 1721 წ. ქ. ფუტრევს მახარა ნადირაშვილი" (იქვე, 54); თონეთელ სახელმწიფო გლეხს ალავერდა თათარას ძე ნადირაშვილსა და სჯულიერსა ცოლსა მისსა ელისაბედ გიორგის ასულს 1832 წელს დაებადათ ვაჟი იოსები და ქალი მელანია. მიმქმელად იყო თანასოფლელი გიორგი ნასყიდას ძე თაყნიაშვილი (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 50); 1873 წ. აღწერით დიდ თონეთში მოიხსენიება სოლომონ ნადირაშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, ფურც. 175-209); იქვე მოიხსენებიან პეტრე და მათე ნადირაძეები.

ამავე ძირისაა: **ნადარაია, ნადირაძე, ნადირიძე, ნადირალაშვილი, ნადარეიშვილი** (ანდრია, ასურეთი, ახალშენი, გოლთეთი, დ/თონეთი, კველთა, სადირაშენი, ფუტრევი).

**ნავსიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ნავსია** (კარალეთი, გორის მხ., ალ. ღლ., 168); „ქ. საამისა და ედიშერისა ქ. ხოზეთს დათუნა ნავსიაშვილი, ბერია ნავსიაშვილი“ (ვახუშტი, 119).

| | |
|---|---|
| ნაზარაშვილი | 271 |
| გორი | 144 |
| თბილისი | 57 |
| [illegible] | 12 |
| ნაზარიშვილი | 79 |

**ნაზარაშვილი** (1713 წ.), **ნაზარ** (არაბ.), ყვავილს ნიშნავს. **ნაზარ** (უცხ.) ყვავილი (საბა, 244), ნაზარ (ებრ.) „ღვთისადმი შეწირული“ (სიტყვა-სიტყვით: „მან თავი ღმერთს შესწირა“, „ღმერთს უძღვნა“. ამავე ფუძისაგანაა ნაწარმოები იუდეველთა ქალაქის სახელწოდება ნაზარეთი. ამ სახელისგან ჩანს წარმომდგარი ქართული გვარები **ნაზარაია, ნასარიძე, ნაზარიშვილი** (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 359).

საკ. სახ. **ნაზარ** (დოკ., I, 106), **ნაზარა** (იქვე, 142); **ნაზარალიხან,** მეფეთა-მეფე, ხელმწიფე, პატრონი (დოკ., I, 82); ჩიტუა ნაზარაშვილი 1713-1738 წ. ყმის სახლ-კარისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დიდი მოურავის (გიორგი სააკაძის) შვილიშვილის დავითის მიერ ბეჟან ნაზარაშვილისათვის (დოკ., I, 159); **ნაზარაშვილებს კოდაში ნაზარიანთს** ეძახიან (კოდა).

| | |
|---|---|
| ნათობაიძე | 86 |
| თბილისი | 52 |
| გარდაბანი | 18 |
| რუსთავი | 6 |

**ნათობაძე** (1873 წ.), სავარ. ქალის საკ. სახ. **ნათა** (კოლხ., 36, ბანძა; ალ. ღლ., 289), შდრ. **ნათელა, ნათელა, ნათია, ნათო, ნათუა** (იქვე, 289). შდრ., მნათობი. (ორბეთი).

**ნამაზაშვილი** 91832 წ.); მეტსახელი **ნამაზა** (სოფ. მუხათი, გ. ეუაშვილისა); 1832 წელს სოფ. მარაბდაში თავად გიორგი ბარათოვის გლეხის იოსებ ივანეს ძე ქორიელაშვილის ვაჟი თევდორე მოუნათლავს ამავე სოფლელ გლეხს გიორგი ტეტიას ძე ნამაზაშვილს (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150. ფურ. 22).

| | |
|---|---|
| ნამორაძე | 292 |
| თბილისი | 211 |
| დუშეთი | 24 |
| ახმეტა | 13 |
| ნამურაძე | 64 |

**ნამორაძე** (1721 წ.), საკ. სახ. **ნამორა,** გვარში: **ნამორაძე** (ალ. ღლ., 168); **ნამორა** შესაძლოა წარმომადგენელი იყოს ცხოველის სახელისაგან – **ნიამორი** „კლდის თხა“ (საბა), **ქურციკი** (ქეგლ), ნამურაძე (ილ. მაისურ., 121); „ქ. გერმანოზაშვილი დათუნას მემამულე, 1721 წ. აბელიას, **აზნაური ზურაბ ნამორაძე**“ (ვახუშტი, 132); „მარაბდელმა თამაზა ნამორაძემ იქორწინა პირველითა ქორწინებითა თბილისის მცხოვრებ დოდიაშვილის ქალს ბარბარესთან. გვირგვინი აკურთხა მღვდელმა სვიმონ

გურგენიძემ. თავსმდებნი თავადი ივანე ბარათოვი, ივანე იშხნელი" (სცსსა, ფ. 489, №6, №5 1820 წ. ფურ. 10).

ამავე ძირისაა: **ნამურაძე** (აბელია, გუდარეხი, მარაბდა).

ნანაშვილი 22
გურჯაანი 12
თბილისი 3
თელავი 3
ნანავა 1612
ნანაძე 113

**ნანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ნანა.** იგი უძველესი ქართული სახელია (ქალის), რომელიც მეცნიერთა ვარაუდით, უნდა უკავშირდებოდეს ძველი ხეთური ღვთაების სახელწოდებას. მასთან კავშირშია სახელები: **ნანამზე, ნანი, ნანული** (ზ. ჭუმბურ., 187) **ნანა** (პ. ინგორ., სვან., 2. 79); „ქ. მანგლელის ყმა მანგლის: 1721 წ. **გიუა ნანაშვილი**" (ვახუშტი, 110). შდრ. **ნანავა, ნანაძე...**

ნანიტაშვილი 352
*თბილისი 142*
*ხარაგაული 80*
*რუსთავი 40*

**ნანიტაშვილი // ნანეტაშვილი** (1686 წ.), საკ. სახ. **ნანიტა** (გ. ლეონ., სახელები).

**ნანიტაშვილი** მოიხსენიება 1686 წ. ზურაბ ჯავახიშვილის მიერ შედგენილ ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 102); ნანიტაშვილი ივანა 1721 წ. ზურაბ რატიშვილის ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 312); **ნანიტა** წარმომდგარია **ნანა** საკ. სახელიდან, ამავე ძირისაა: **ნანაძე, ნანავა, ნანეიშვილი (—ნანიაშვილი), ნანიკაშვილი, ნანიტაძე, ნანიაშვილი, ნანობაშვილი, ნანუაშვილი, ნანუკაშვილი** (ილ. მაისურ. 122). ნ. მანგლისში მოიხსენიება 1721 წ.

ნანუაშვილი 324
*საგარეჯო 165*
*თბილისი 87*
*გურჯაანი 40*

**ნანუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ნანუა.** ...ქ. ბეგაშვილის ოტიასი აბანოს **ნანუა ნანუაშვილი,** ქ. ავაზანას ნანუა (ვახუშტი, 78, 169).

**ნანუა** უპირატესად ქალის სახელი ყოფილ. **ნანუა** (კოლხ., 53, თეკლათი); ნანუა (ხევსურ., შატილი, პ. ინგორ., სვან., 2, 171, ალ. ღლ., 289); სოფ. ვაშლოვანს: დათუნა სააკაშვილის მეუღლე ნანუა, სოფ. ერტისში ევსტაფი თამაზაშვილის მეუღლე ნანუა (ნ. სააკაშვილი, თამაზაშვილი); ნანუა, ივანეს ჯალაბი (დოკ., II, 328). „ქ. ვარაზაშვილის ლუარსაბის ყმა ქ. ზას, 1721 წ. ლუარსაბა ნანუაშვილი" (ვახუშტი, 137); „ქ. თურქისტანიშვილის ზაზასი, ქ. ერტისი; 1721 წ. ნანუაშვილი" (ვახუშტი, 80) (ავაზანი, ერტისი, ზა, ღმანისი-ჯვარა).

**ნაოსრიშვილი** (1818 წ.), ეროვნულ-ტომობრივი, სატომო

სახელიდან **ოსი** ნაწარმოები გვარია. შდრ. **ოსიყმაშვილი, საპარსიაშვილი, ჭანიშვილი...**

სოფ. ერტისში მცხოვრები გიორგი ნაოსრიშვილი 1818 წელს ...ოლავს ქალიშვილ ელისაბედს, მიმქმელად მოხსენებულია ქიტესას ...ულე მართა (სცსსა, ფ. 489, 6, 1ბ, №24, ფურ. 145).

ნარეკლიშვილი 378
გურჯაანი 88
საგარეჯო 77
თბილისი 74

**ნარეკრისშვილი // ნარეკლიშვილი** (1829 წ.) **ნარეკალი,** მეტსახელი გვარში: **ნარეკლიშვილი** (ალ. ღლ., 169); „მარაბდაში მცხოვრებმა აბრამა ნარეკლიშვილმა იქორწინა აქვე მცხოვრებ სეხნია იმერლიშვილის ქალ 15 წლის მაიასთან. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა აბრამ ხუროშვილმა. თავდები იყვნენ კუმისში მცხოვრები **მახარობელი ხოსიტაშვილი, თევდორე ხუნძახისშვილი, მიხეილ კოპაძე, ივანე ღვინიაშვილი** (489, აღწ. 6, №6, №76, ფურ. 5); ნაწილაკი **ნარ**, როგორც პირველი კომპონენტი გვხვდება ბევრ გვარში: **ნარ**-აიძე, **ნარ**-თი-შვილი, **ნარ**-იმანი-ძე, **ნარი**-მანა-შვილი, **ნარ**-იმან-ია, **ნარ-ინდო**-შვილი, **ნარ**-ოზაული, **ნარ**-სა-ძე, **ნარუსლ**-იშვილ-ი (ფუძე ნარუსალი, რუსად ნამყოფი), **ნარჩემაშვილი...** (მარაბდა).

ნარიმანაშვილი 135
თბილისი 78
[illegible] 17
დუშეთი 15
ნარიმანიშვილი 329

**ნარიმანასშვილი** (1721 წ.), **ნარიმან** (ირან.) „გულადი", „ვაჟკაცი", იგივეა, რაც ანდრია (ბერძ.) „მხნე", „მამაცი". კარლო (ძვ. გერმ.) „მამაცი", „ვაჟკაცი" (იხ. ზ. ჭუმბ., 152, 159).

**ნარიმან:** „...მოვიდეს წინაშე ჩვენსა იათორისშვილნი შოთასძენი... და მისნი ძმანი სულა, დემეტრე, ოთარ მდივნის ყმა, — 1721 წ. თუმანიშვილების საკომლოების ნუსხა (დოკ., I, 124); ნარიმანა სალათელაანთ ესტატეშვილი (იქვე, 234); ნარიმანასშვილი ღვთისია იხსენიება 1742 წ. შვილის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ოთარა თოდარაშვილი აძლევს ქარფურაანთ ხატინას (დოკ., I, I, 303); ნარიმანაშვილი ბექუა (საქ. სიძვ., I, 397): **ნარიმან ნარიმანიშვილი** — წერილი ბატონიშვილის ალექსანდრესი დედოფალ დარეჯანთან, 1797 წ. (საქ. სიძვ., III, 227); „ქ. ყარაბუდახიშვილი თამაზისა კლდეისას, 1721 წ. ზერუა ნარიმანაშვილი" (ვახუშტი, 74); „ქ. ბატონიშვილის ვახუშტისა ქ. ლიყურეთს: **ნარიმანა ნარიმანაშვილი**" (იქვე, 23).

ამავე ძირისაა: **ნარიმანია, ნარიმანიძე** (დმანისი-ჯვარა, კლდეი-

სა, ლიყურეთი, ნახიდური).

| | |
|---|---|
| ნარიმანიძე | 1832 |
| თბილისი | 687 |
| დუშეთი | 379 |
| ახპინძა | 139 |
| ნარმანია | 1464 |

**ნარიმანიძე // ნარიმანაიძე** (1774 წ.), საკ. სახ. **ნარიმანი** (მცხეთის სიგელი, 1464 წ., ქრონიკ., II, 283); „...გარეშემოს ქოქონს ნარიმანიძე პაპისშვილი ივანე, ბექან, ოთარი და დოლა. **ნარიმანაიძე თადილაშვილი,** გოგოთური, ათალა და ადამა" (ვახუშტი, 445-446); გიორგი გიორგის ძე ნარიმანიძე 1881 წელს დუშეთის მაზრის სოფ. ქოქონიდან გადმოსულა მოხისში (სცსსა, ფ. 254, №3, 1625, ფურც. 27-32); დიდ თონეთში 1818 წელს შიო ნარიმანიძემ დაიწერა ჯვარი, თავდები ყოფილა გოგია ნარიმანიძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ, №35, ფურ. 386-88).

ამავე ძირისაა: **ნარიმანია, ნარიმანიშვილი. ნარიმანიძეთა** შტოგვარია **ღარიბაშვილი.** (დიდი თონეთი, მოხისი, თეთრი წყარო).

| | |
|---|---|
| ნარჩომაშვილი | 77 |
| ვანი | 39 |
| თბილისი | 10 |
| სამტრედია | 6 |
| ნარჩემაშვილი | 274 |

**ნარჩომაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ნარჩომა,** გვარში: **ნარჩომაშვილი** (ალ. ღლ., 169).

შდრ. **ნარჩემაშვილი** (საღირაშენი).

| | |
|---|---|
| ნარუაშვილი | 68 |
| ზუგდიდი | 32 |
| თბილისი | 26 |
| გორი | 3 |

**ნარუასშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ნარო** (ხიზაბავრა, ასპინძის რ., ალ. ღლ., 169).

„ქ. საკარის მსხვერპლი, იაგანას ყმა 1721 წ. **ნარუასშვილი**" (ვახუშტი, 353).

| | |
|---|---|
| ნასყიდაშვილი | 2169 |
| თბილისი | 504 |
| გორი | 486 |
| ქარელი | 261 |
| ნასყიდოვი (იგივე ნასყიდაშვილი) | 35 სული. |

**ნასყიდაშვილი** (1721 წ.), ევფემისტური საკ. სახ. ნასყიდა, ნაყიდა: ნასყიდა (ქართ.) ...ცრურწმენის შედეგია ისეთი სახელების დარქმევა, როგორიცაა ნასყიდა, წყალობა (ზ. ჭუმბ., 11) შდრ. ღვთისია, ახვერდა, ხუდავერდა, ალავერდა და მისთ.

„...ქ. დრიანეთს ბოგანო ნასყიდა, ლიპს, ჩივაძე ნასყიდა" (ვახუშტი, 41); „ქ. ციციშვილის ზაალიშვილის ქაიხოსროსი სამღერეთს, 1721 წ. გიუა ნასყიდაშვილი" (ვახუშტი, 34): „ქ. მეთრევანას მანგლისის ყმა ბერია ნასყიდაშვილი" (იქვე, 111); ბორბალოელმა სვიმონ ნასყიდაშვილმა 1829 წელს იქორწინა ვარდისუბნელ ივანე კედელაშვილის ქალ ბარბარეზე, გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. თავდებნი იყვნენ ვაჟის მხრიდან ბორბალოს

მცხოვრებნი: დავით ვარსიმაშვილი და სოლომონ გულუაშვილი. ქალის მხრიდან ვარდისუბნელები: იოსებ კედელაშვილი, ფრიდონ ქრიალოსანი (489, აღწ., №76, ფურ. 5); ბორბალოში მცხოვრებ იოსებ ნასყიდაშვილს დაებადა ქალი, მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ, სახელი უწოდა მარიამი (იქვე. ფურ. 2); სოფ. ბორბალოს 1832 წელს სვიმონ ნასყიდაშვილს და მის კანონიერ ცოლს, სინია კედელაშვილის ასულ ბარბარეს, ეყოლათ ვაჟი. მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. ნათლია იყო ამავე სოფელში მცხოვრები საეკლესიო ყმა გიორგი ნოზაძე (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 12).

(ბორბალო, კოდა, მეთრევანა, სამღერეთი).

ნატრაძე 259
თბილისი 85
ჩხიკვთა 67
დუშეთი 53

**ნატრაძე,** შდრ. **ნატრია** (მშობლისმიერი საკ. სახ.). ამავე ძირისაა: **ნატრიაშვილი, ნატროშვილი** (ჩხიკვთა).

**ნაყრიაშვილი** (1743 წ.), სავარ. მეტსახელი **ნაყრია,** გვარში: **ნაყრიაშვილი. ნაყრიაშვილი თამაზა** მოიხსენიება სოფ. ჩხიკვთას 1743 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც **თამაზ საგინაშვილი** აძლევს თავის **განაყოფ როსტომ ბეჟანისშვილს** (დოკ., I, 316).

ნაჩხატაშვილი 31
თბილისი 21
თეთრიწყარო 2
საგარეჯო 8

**ნაჩხატაშვილი** (1826 წ.), სავარ. მეტსახელი **ნაჩხატა, ნაჩხატა** გვარში; **ნაჩხატასშვილი** (ალ. ღლ., 169: ი. მაისურ., 123): **ნაჩხატაშვილი** მოიხსენიება XVIII ს. ყმების ნუსხაში (დოკ., II, 201); მარაბდელი დავით ნაჩხატაშვილი 1826 წ. სოფ. კოდის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ვაჟს ზაქარიას. მიმქმელი იყო კოდელი ბეჟან მაისურაძე (ფ. 489, 6. №23, 1826 წ. ფურ. 172); მარაბდელი დათია ნაჩხატაშვილი ტეტია ოძელაშვილს იმავე წელს უნათლავს ქალიშვილ თინათინს (იქვე, ფურ. 172).

ნაცვლიშვილი 3535
თბილისი 1228
ქუთაისი 383
გურჯაანი 313

**ნაცვლიშვილი // ნაცვალაშვილი** (1705 წ.), **ნაცვალი** (ძვ.) სოფლის მოხელე, მამასახლისის მოადგილე, თანაშემწე.

საკ. სახ. **ნაცვალა** (სახ. არქ., 1449, №2051); **ნაცვალა** – დედაბრიშვილი გიორგის ძე (დოკ., I, 1); **ნაცვალი** – აბრამა, ანდრია, გამახარე, ზაზა, ოქროპირ, საჩინო და სხვა (დოკ., I, 566); ხახუტა ნაცვლიშვილი,

(დოკ., I, 33); შაბათა, მოძღვარა ნაცვლაშვილი, 1705-1728 წ. საჩუქრის წიგნი, მიცემული არაგვის ერისთავისშვილის ავთანდილის მიერ ელისბარ დავითაშვილისადმი, (საქ. მუზ., №2543 Hd (დოკ., I, 129); აბრამ ნაცვლიშვილი, დისშვილი მაია, სიდედრი მაია, დედა ანახანუმი, მოიხსენიება 1823 წ. აღწ. სოფ. ერტისში (სცსსა, ფ. 254, I, 802 ფურ. 93-98); ბორბალოში 1826 წელს მოიხსენიება ბერუა ნაცვლიშვილი, მას ქალიშვილ ეფემიას უნათლავს ამავე სოფლელი იოვანე ივანაშვილი (489, 6, №31, 25); ბორბალოში 1826 წელს გლახა ნავროზაშვილმა იქორწინა ბორბალოელ ოთარა ნაცვლიშვილის ასულ ანაზე (იქვე), ბორბალოში მცხოვრებ ბერუა ნაცვლიშვილს დაებადა ქალი, მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ, სახელი ეწოდა ევფემია. ნათლიად იყო ამავე სოფელში მცხოვრები იოვანე ივანაშვილი (489, აღწ. 6, №31, ფურ. 166, 1826 წ.);

ამავე ძირისაა: **ნაცვალაძე, ნაცვალაიძე.** (ბორბალო/ერტისი).

| | |
|---|---|
| ნებულიშვილი | 121 |
| *თბილისი* | *70* |
| *ამბროლაური* | *22* |
| *თეთრიწყარო* | *9* |
| ნებურიშვილი | 53 |

**ნებულიშვილი // ნებურიშვილი,** საკ. სახ. **ნებულ-ი** (ალ. ღლ., 170).

ნ. 1941 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. ნიკორწმინდიდან გადმოვიდნენ ასურეთში.

ამავე ძირისაა **ნებურიძე.**

| | |
|---|---|
| ნეგულაშვილი | 89 |
| *თბილისი* | *46* |
| *თეთრიწყარო* | *26* |
| *გარდაბანი* | *15* |

**ნეგულაშვილი // მეგულაშვილი** (1705 წ.), საკ. სახ. **ნეგულა,** იხ. **ნეგულა ზურაბის ძე ნეგულაშვილი,** სალირაშენი, 1886 წ. (სცსსა, ფონდი 254, №3, 1631, ფურც. 1-19); ნეგულაშვილები (საქ. სიძვ., I, 496); ნინუა, ხოსია ნეგულაშვილები 1705 წ. მოხსენებულნი არიან დავით და აბაშ აბაშაშვილების (ბარათაშვილთა შტო-გვარია) მსახურებად. ნ. (ვენახის შეწირულების წიგნი, მიცემული დავით აბაშიშვილის მიერ მაცხოვრის ხატისათვის (დოკ., I, 380); „...ქ. სალირაშენს (1721 წ.) ნოდარ სუფრაჯის ყმა, ნეგულაშვილი გიორგა, ნეგულაშვილი შერმაზანა" (ვახუშტი, 112); ნეგულა ნეგულაშვილი, ივანე თეიმურაზის ძე ნეგულაშვილი, თეიმურაზ ნეგულაშვილი მოიხსენიებიან სოფ. კოდაში (სცსსა. ფ. 254, №3, საქმე №126, 1873 წ. ფურც. 675-686, აღწ. №289); **ნეგულა ნეგულაშვილი,** შვილები: გიგოლა, გიორგი, ალექსანდრე, ნეგულას დედა თათარა, ქალიშვილი კეკელა, გიგო-

ლის მეუღლე ნინა, თეიმურაზ თეიმურაზის ძე ნეგულაშვილი, ძმა ყაზარა, დედა ქეთევანი და ტასო.

**ნიკა ივანეს ძე ნეგულაშვილი,** შვილები: სანდრო, ივანე, სოლომონი, დავითი, სანდროს ვაჟი ისაკა, გიორგი (იგივე ყაზარა), სანდროს მეუღლე კეკელა, ქალიშვილები: ქეთო, მაია, ივანეს ქალიშვილი ლიზა, სოლომონის მეუღლე ლიზა (სცსსა, ფ. 254, №3, 1631, 1886 წ.ფურც. 1-39): **მეგულაშვილი გიორგი,** მეუღლე მათუა, ვაჟი ვანო, დედა თინათინი მოიხსენიება 1823 წლის აღწერაში სოფ. დიდ ჭნაგეთში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18): 1883 წელს საღირაშენში მცხოვრები გლეხი თეიმურაზ არტემის ძე მეგულაშვილი შვილებს ნათლავს საღირაშენში მცხოვრებ ალექსანდრე ისაკის ძე კეკელიშვილს და ფარცხისელ მამუკა აბრამის ძე ადოლაშვილს, იყო ამავე პიროვნების მეჯვარე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1). დიდი ჭნაგეთი, კოდა, საღირაშენი.

**ნევერაშვილი** (1829 წ.), საკ. სახ. **ნევერა, ნევერო** (ალ. ღლ. 170): თონეთში მცხოვრებ გლეხს კაციელა ნევერაშვილს 1829 წელს დაებადა ვაჟი. სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ სახელად ეწოდა სოლომონ (489, აღწ. 6, №76, ფურ. 12).

ნეკერაშვილი 168
თბილისი 27
თეთრიწყარო 25
გორი 14
შდრ. ნეკერიშვილი 21

**ნეკარაშვილი // ნეკერაშვილი** (1843 წ.), საკ სახ. **ნეკა,** გვარში: **ნეკაძე** (ილ. მაისურ., 124); ნეკარა თუმანიანთ ყმა (დოკ., I, 286): 1843 წ. კამერალურ აღწერაში დ/თონეთში მოიხსენიება გაბრიელ ნეკარაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 310-322); 1886 წ. დიდ თონეთში მოიხსენიება გიორგი ნეკერაშვილი (სცსსა. ფ. №3, 1608, 1886, ფურც. 82-146).

ნერსესაშვილი 186
ყოფილი ნერსესაშვილები არიან

**ნერსესაშვილი** (1721 წ.) საკ. სახ. **ნერსე** (ქართლ. ცხ., I, 132): **ნერსე,** ერისთავი კახეთისა (ქრონიკ., I, 87), **ნერსე,** ერისთავი ქართლისა, ადარნასეს ძე (იქვე, 72), ნერსე ერისთავი ქართლისა, ვარაზბაკურის ძე (72), ნერსეს (ქართლ. ცხ., I, 373); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ., ...აკოფა ნერსესაშვილი" (ვახუშტი, 103).

შდრ. **ნერსუა** (დოკ., I, 31). (წინწყარო).

**ნეფისაშვილი** (1721 წ.), **ნეფე** (ნეფისა) (ძვ. და საუბ.). იგივეა, რაც ნეფე-პატარძალი (ქეგლ, 358).

„ქ. აბულფათიშვილის ბექანის ყმა, ქ. ახალშენს, 1721 წ. ივანა ნეფისაშვილი“ (ვახუშტი, 138).

| | |
|---|---|
| ნიაზაშვილი | 434 |
| თბილისი | 250 |
| თეთრიწყარო | 77 |
| გარდაბანი | 36 |

**ნიაზაშვილი. ნიაზ** (სპ.) „წადილი“, „სურვილი“, „საზრუნავი“, „სათხოვარი“ (ზ. ჭუმბურ., 359); ნიაზაშვილი, ქვახვრელი (გორის რ.), ძალისი (მცხეთის რ.); საკ. სახ. **ნიაზა,** ქართული გვარსახელია (ი. მაისურ., 124). ნიაზაშვილთა თავდაპირველი გვარი **ლომინაძე** ყოფილა.

(ვაშლოვანი).

| | |
|---|---|
| ნიკოლაშვილი | 991 |
| ოზურგეთი | 305 |
| გურჯაანი | 281 |
| თბილისი | 156 |

**ნიკოლაშვილი** (1886 წ.), საკ. სახ. **ნიკოლა,** (გ. ლეონ. სახელები); **ნიკოლოზ-ი** (ბერძნ. გამარჯვებული, ხალხის მძლეველი).

1886 წელს ვარდისუბანში (იგივე შავსაყდარი) დროებით მოსულად მოიხსენიება ნიკოლაშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, 1611, ფურც. 155-173).

ამავე ძირისაა ნიკოლაიშვილი, ნიკოლაძე, ნიკოლოზიშვილი. ნიკოლაიშვილთა ნაწილი გურიელიდან იღებს სათავეს (შდრ. ნიკიფორე გურიელი). (ვარდისუბანი, იგივე შავსაყდარი).

| | |
|---|---|
| ნიკოლოზაშვილი | 77 |
| თბილისი | 32 |
| საგარეჯო | 20 |
| თეთრიწყარო | 14 |
| ნიკოლოზიშვილი | 154 |

**ნიკოლოზიშვილი // ნიკოლოზაშვილი** (1721 წ.), **ნიკოლოზ** (ბერძნ. გამარჯვებული, ხალხის მძლეველი), „ენითა კარის, მწიგნობარის ჩუენის მანგლელის... ძისა ნიკოლოზისითა“ აღნიშნულია ქვენიფნაველის წითლოსანის სიგელში 1348 წელს (საქ. სიძვ., II, 12). „ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, თქვენმა ძმისწულმა ნიკოლოზ და ბექან, 1713 წ. შერიგების წიგნი ჯავახიშვილებისა“ (იქვე, 247); ფოცხვერა ნიკოლოზაშვილი, XVIII ს. პირველი ნახევარი ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმებისა და გივის ყმა ქ. კრეფას 1721 წ. თამაზა ნიკოლოზაშვილი“ (ვახუშტი, 128); 1817 წ. სოფ. კოდაში იაკობ ორბელიანის ყმად მოიხსენიება სიმონ ნიკოლოზიშვილი (ფ. 254, №1, 1274).

ნ. ნიკოლაშვილი (კოდა, კრეფა). ნიკოლაიშვილი აბაშიძეთა განაყოფი გვარიცაა.

| | |
|---|---|
| ნიკურაძე | 1683 |
| [illegible] | 790 |
| თბილისი | 481 |
| ქუთაისი | 78 |

**ნიკურაძე** (1882 წ.), საკ. სახ. **ნიკურა;** ამავე ძირისაა **ნიკურიანი // ნიგურიანი** (ი. მაისურ., 125): თომა ნიკოლოზის ძე ნიკურაძე მოიხსენიება დიდ ენაგეთში 1882 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); (დიდი ენაგეთი). ნიკურაძეებიდან იღებს სათავეს კანდელაკების ერთ-ერთი შტო.

| | |
|---|---|
| ნინიაშვილი | 574 |
| [illegible] | 125 |
| თბილისი | 125 |
| [illegible] | 61 |

**ნინიაშვილი** (1685), საკ. სახ. **ნინია,** 1705 წ. (საქ. სიძვ., I, 127): ნ. ნინია, 1790 წ. 18 ოქტომბერი (სცსსა, ფ. 1450, დავთარი №52, საბუთი №66). ნ. ამილახვრისშვილი, ნ. ეშიკაღაბაში (ქსძ, VIII, 740, 597).

პაპუა, ბასილა, თევდორე ნინიაშვილები 1685 წ. 6 იანვარს შეტანილი არიან უდაობის წიგნში, რომელსაც პაპუა ნინიაშვილი აძლევს მდივან ზურაბს (დოკ., I, 76); იქვე, 1748 წ. იხსენიება ბერუკა ნინიაშვილი (337); „ქ. თურქისტანიშვილის თურქისტანისა ქ. ღვევს: 1721 წ. იესე ნინიაშვილი" (ვახუშტი, 79); 1823 წელს სოფ. ლოუბანში მოიხსენიება გიორგი ნინიაშვილი (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 83-92); 1860 წ. აღწ. სოფ. დრეში მოიხსენიება იესე ნინიაშვილი (სცსსა, ფ. 254, 2, 1860 წ.).

ამავე ძირისაა: ნინიძე, ნინიკაშვილი, ნინიკელაშვილი, ნინიკურაძე, ნინუა, ნინუაშვილი. შდრ. ნინიევი (დრე, კოდა, ღვევი, ლოუბანი).

| | |
|---|---|
| ნინიკაშვილი | 526 |
| თბილისი | 181 |
| ზესტაფონი | 152 |
| [illegible] | 110 |

**ნინიკაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ნინია** (ძვ. საქ., IV, განყ. III, 19; ხევი, ს. მაკალ., 168; **ნინია-ი,** ხევ., გერგეტი); **ნინიკა** (ავლ., ქარელის რ.), **ნინიკა** (საქ. სიძვ., I, 127, ალ. ღლ., 171); ამ სახელის ძირია ნინი (საქ. სიძვ., III, 217), საიდანაც გამომდინარეობს რამდენიმე სახელი: ნინია, ნინიკი, ნინიკო, ნინიტა, ნინუა.

**ნინიკაშვილი,** მოიხსენიება დიდ ენაგეთს 1823 წლის აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18).

**გაბრიელ ნინიკაშვილი, ივანე ნინიკაშვილი** იხსენიებიან სალოსაშენში (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №126, 1873 წ. ფ. 675-686, აღწ. №289); იქვე მცხოვრები იაკობ გიორგის ძე ნინიკაშვილი 1875 წელს

დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდელ გრიგოლ ზაქარიაშვილს ანათვლინებს შვილს გიორგის. მიმქმელი იყო თანასოფლელი სახელმწიფო ყმა ივანე გიორგის ძე ცქრიალაძე; იქვე დავით გიორგის ძე ნინიკაშვილი 1876 წელს ნათლავს ქალიშვილ მართას. ნათია იყო თანასოფლელი ბესარიონ აბრამის ძე ამინაშვილი (489, 9, 1). საღირაშენში სახელმწიფო ყმა დავით გაბრიელის ძე ნინიკაშვილი, მეუღლე ტასია გიორგის ასული ნათლავენ შვილს გიორგის, მიმქმელი იყო ამავე სოფელში მცხოვრები ბესარიონ აბრამის ძე მჭედლიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ-წ. 1; 1881 წ.).

საღირაშენელი იაკობ გიორგის ძე ნინიკაშვილი 1885 წ. დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს შვილს კონსტანტინეს, მიმქმელი იყო თანასოფლელი მიხეილ გიორგის ძე ცქრიალაშვილის მეუღლე. მიხეილ გიორგის ძე ნინიკაშვილის შვილს ოლღას ნათლავს ივანე გიორგის ძე ცქრიალაშვილი (იქვე, 1885 წ.).

ამავე ძირისაა: **ნინიაშვილი, ნინიძე** (დიდი ენაგეთი, საღირაშენი).

**ნიქაზაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ნიქაზა** (ტბეთის მატიანე). შდრ. **ნიქაბა,** გვარში: **ნიქაბაძე, ნიქატა** (ტბეთის მატიანე, 301); **ნიქო** (პ. ინგორ., ყვან., 2, 131).

თავად ჩერქეზოვის (ჩერქეზიშვილის) გლეხად სოფ. ღოუბანს 1823 წ., მოიხსენიება ნინია ნიქაზაშვილი ქალიშვილი ქეთევანითურთ (სცსსა, ფ. 254, 1. 802, ფურც. 83-92).

| | |
|---|---|
| ნოზაძე | 10784 |
| *ხაშური* | *2958* |
| *თბილისი* | *2304* |
| *საჩხერე* | *987* |

**ნოზაძე** (1727 წ.), საკ. სახ. **ნოზა** (თუშ., ს. მაიკლ., 163; ალ. ღლ., 171); **ნოზაძე** ჩინელი — ვალის აღების წიგნი კონსტანტინე დავითიშვილისა, 1727 წ. (საქ. სიძვ., II, 339); **მამუკა ნოზაძე** — მამასახლისი, 1782 წ. ბატონყმობის წიგნი როსტევანაშვილის საავასა და სხვათა მიერ... გოგიასათვის მიცემული (დოკ., II, 125); ნოზაძე მოხსენებულია ჩხეიძეების მამულში. იხ. არზა ჩხეიძეების ყმის თაობაზე სამოქალაქო მართველთა ოქმით, 1801 წ. 26 სექტემბერი (სცსსა, ფ. 1450, დავთარი №14, საბუთი №77); ფონელი ნოზაძეები — არზა იოსებ მამაცაშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით, 1794 წ. 24 მარტი (სცსსა, ფ. 1450, დავთარი №46, საბუთი №90); „ბორბალოელ გიორგი ნოზაძეს და სჯულიერსა ცოლსა მისსა

...იოს 1834 წ. დაებადათ ვაჟი, მონათლა მღვდელმა ანტონ ...მაკურიძემ, სახელი უწოდა ალექსი" (489, №6, №203, ფურ. 41); ...თია თედოს ძე ნოზაძე შვილებით: ესტატე, ნიკოლოზი გადმოსულა ზირბითში სოფ. კინზალიდან 1872 წ. (გორის მაზრა). **ნოზაძეთა** განშტოების გვარად ითვლება **ალელიშვილი** და **ცაცუნაშვილი.**

ნონაშვილი 128
ქარელი 77
თბილისი 26
გორი 8

**ნონაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ნონა.** „ქ. საგინაშვილის დურმიშხანისა ქ. წრისს 1721 წ. მამისიმედი ნონაშვილი" (ვახუშტი, 152).

ამავე ძირისაა: **ნონიაშვილი, ნონიკაშვილი** (წრისი).

**ნონეიშვილი // ნონიაშვილი** (1961 წ.), საკ. სახ. **ნონე, ნონე** (გ. ლეონიძე, სახელები); **ნონია** (ტბეთის მატიანე, 570); (ალ. ღლ., 171); „არის ამისა მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან... მოქალაქე სტეფანიშვილი ნონია" (საქ. სიძვ., II, 475); ნონია ბაღდასარიშვილების წინაპარი, მუხათში; „...ახოთს ნონიაშვილი ზეიდალა", 1713 წ. გაყრილობის წიგნი (დოკ., II, 18); ნონიაშვილი ქიტესა იხსენიება 1753 წ. თავდასხნილობის წიგნში, რომელსაც დავით ჯავახიშვილი და თომა აბულვარდისშვილი აძლევენ ქიტია ნონიაშვილს (იქვე, 46, 1758 წ. იქვე მოიხსენიებიან ბასილა, თევდორა და პაპუა ნონიაშვილები (113).

ამავე ძირისაა: **ნონიაშვილი, ნონიკაშვილი, ნონეშვილი, ნონაშვილი** (საღირაშენი, მუხათი).

ნონიაშვილი 1347
თბილისი 391
კასპი 281
ახმეტა 228

**ნონიაშვილი** (1713 წ.); საკ. სახ. **ნონი** (სოფ. მუხათი); **ნონია** (ტბეთის მატიანე, 570); **ნონია** (საქ. სიძვ., II, 475); სოფ. ახოთს 1713 წ. მოიხსენიება ნონიაშვილი ზეიდალი და იმისი ძმები, გაყრ. წიგნში, რომელიც გაცემულია კათალიკოზ დომენტის მიერ ამილბარ და სხვა მაღალაძეებისადმი (საქ. მუზ., Hd №8257); იასე ნონიაშვილი, შვილი ზაქარია მართლმადიდებელი, ქართველი, 1867 წელს სოფელ კოდიდან გადასულა სოფ. დიდ ენაგეთში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურც. 189-220).

შდრ. **ნონაშვილი, ნონეიშვილი, ნონიაძე** (ახოთი, დიდი ენაგეთი, კოდა, საღირაშენი).

> ნონიაძე 61
> *თბილისი 31*
> *თეთრიწყარო 23*
> *გარდაბანი 1*

**ნონიაძე** (1873 წ.), საკ. სახ. **ნონია** (ტბეთის მატიანე, 570; საქ. სიძვ., II, 475).

იხ. **ნონიაშვილი** (ჯორჯიაშვილი).

> ნონიკაშვილი 993
> *თბილისი 389*
> *გორი 335*
> *თელავი 102*

**ნონიკაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ნონე** (გ. ლეონ., სახელები), **ნონია** (ტბეთის მატიანე, 570), **ნონია** (საქ; სიზვ., II, 475); კნინობითი **ნონიკა**.

„ქ. მუსხელიშვილის იესესი სამღერეთს, 1721 წ. აღწ. ...ბექუა ნონიკაშვილი (ვახუშტი, 40).

> ნურალოვი 26
> იგივე ნურალაშვილებია (ი.ა.)

**ნურალაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ნური, ნურა** (ალ. ღლ., 172); აქედან კნინობითი **ნურალა**.
ნაზარა ნურალაშვილი (ვახუშტი, 148).

**ნურიკაშვილი // არზრუმელაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ნური** (კოლხ., 94, ორქა, ალ. ღლ., 172); შდრ. **ნურადი, ნურალი, ნურალა, ნურო, ნურუა** (იქვე).

„თომა **ნურიკაშვილი,** იგივე არზუმელაშვილი, იხსენიება პატარა თონეთში 1843". (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურც. 310-322). შდრ. **არზუმელაშვილი** (დიდი თონეთი, პატარა თონეთი).

# ო

**ოანაშვილი** (1740 წ.), საკ. სახ. **ოანა** (დოკ., I, 62); **ონანა** (სტატ. ცნ., XVIII ს., 187).

**მირზა** და **ზურაბა ოანაშვილი** მოიხსენიებიან ენაგეთს 1740 წ. მამულისა და ნასყიდობის წიგნში, რომელსაც პაპა შიოშისშვილი აძლევს ქაიხოსრო და სხვა ზაალიშვილებს (დოკ., I, 289).

ობოლაშვილი 625
თბილისი 194
[illegible] 110
[illegible] 75

**ობოლაშვილი,** ევფემისტური (ევფემიზმ-ი ბერძ. სიტყვა ან გამოთქმა, რომლითაც შეცვლილია სხვა, რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა ან გამოთქმა (მაგ., „ფეხმძიმე" — „ორსულის" ნაცვლად, „საპირფარეშო" — „ფეხისადგილის" ნაცვლად); კეთილსიტყვაობა (უცხო სიტყვების ლექსიკონი, თბ., 1873, გვ. 122); საკ. სახ. **ობოლა. ობოლა** (დოკ., II, 181); **ობოლა** (მთიულ., ფასანაური; თიან., ღულელები: გვარში **ობოლაძე** (ალ. ღლ., 172).

ამავე ძირისაა: **ობოლაშვილი, ობლიაშვილი, ობლაძე, ობოლაძე** (ი. მაისურ., 126) (თონეთი).

ობოლაძე 1579
ქუთაისი 422
ტყიბული 364
თბილისი 279

**ობოლაძე** (1871 წ.), საკ. სახ. **ობოლა,** ამავე ძირისაა: **ობოლიშვილი, ობოლაძე, ობლაძე** (ი. მაისურ., 126); ვარდისუბანში მცხოვრები ისაკა გიორგის ძე ობოლაძე 1871 წ. დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ქალიშვილ ბარბარეს. მიმქმელი იყო თანასოფლელი მიხაილ იოანეს ძე დიდებულიძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, ფურ. 3).

შდრ. **ობოლაშვილი** (ვარდისუბანი, დღევ. შავსაყდარი).

ობზაიძე 224
დუშეთი 90
თბილისი 50
[illegible]წყარო 45

**ობზაიძე // ობზაიძე** (1774 წ.), საკ. სახ. **ობგა** (სვან., 13, მესტია ალ. ღლ., 172); **ობგაიძეები** მოხსენებულნი არიან 1774 წ. არაგვის აღწერის

ოგბაიძე 471
თბილისი 144
კასპი 73
მცხეთა 71

მასალებში. მაგ., არაგვის ერისთავის მამულ გოგონაურს მოიხსენებიან: **ობგაიძე თათრის შვილი**, ბერი და გიორგი **ობგაიძე გიორგის შვილი**, გამიხარდი, ელისბარი, ღვთისია და ხოსრო. **ობგაიძე დავითის შვილი**, ივანე და სულხანა, **ოგბაიძე გივის შვილი**, გოდერძი, ხოსრო, გივი და მარტია მსახური, **ოგბაიძე გამახარეს შვილი** ხიზანა. ოგბაიძეებს უცხოვრიათ აგრეთვე სალაჯურში (სალაჯური); 1818 წელს დიდ თონეთში გრიგოლ ოგბაიძის ქალიშვილ მაიას ირთავს სიხარულ მჭედლიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, 1 ბ); მთიულეთში ობგაიძეთა განშტოებანი: (თიკუნებია): თამაზიანი, აქიმიანი, თათარიანი, ბიჭიანი (ი. მაისურაძე 126) (დიდი თონეთი, ჯორჯიაშვილი).

ოდიშვილი 1087
თბილისი 499
დუშეთი 126
ახალგორი 109

**ოდიშვილი** (1818 წ.), საკ. სახ. **ოდი**, წარმართული ხანის ღვთაების სახელია. მას უკავშირდება მეგრ. სიმღერა „ოდოია" (ვ. ბერიძე, მნათობი, 1959, №12); აგრეთვე ცა-ღრუბლის ღვთაების სვანური სიმღერა „ოდოიას" საკითხისათვის" (მაცნე, 1970, №6); „ოდოია"-ს ეტიმოლოგიისათვის, „ლიტ. საქართველო", 1971, 9. VII); ოდიში ღვთაება, ოდის საკულტურო ადგილს უნდა ნიშნავდეს (ნ. წულეისკირი, ლიტ. საქართველო, 1977, №1, 1, 1; ი. მაისურ., 126); 1818 წელს დიდთონეთელმა ნინია ოდიშვილმა ბავშვი მოუნათლა ბერიანიძე ბერს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ, №35, ფურ. 387).

ამავე ძირისაა: **ოდიკაძე, ოდილავაძე, ოდიაშვილი, ოდოსაშვილი, ოდოშაშვილი, ოდოჭაშვილი** (დიდი თონეთი).

**ოთანასშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ოთანა**. „1707-1710... ბიჭვინთისა მღთის მშობლის ყმამა ბურჯანაძენმა, სეხნიასა და ოთანას შვილებმა, გიორგის შვილებმა..." (ფიცის წიგნი, საქ. სიძვ., I, 47) (კოდა).

ოთარაშვილი 1908
თბილისი 622
თელავი 374
საგარეჯო 129

**ოთარაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ოთარ** ქართულში გავრცელებული სახელია, „შესაძლოა უკავშირდებოდეს ციური ცთომილის სახელს – ოტარიდს, რომელსაც შეესატყვისება ბერძნული ჰერმესი და წარმოდგენილი ჰყავდათ ულამაზესი ყმაწვილის სახით; ოთარის მოფერებითი ფორმაა

[illegible]'', ოთო (ზ. ჭუმბურ., 160).

**ოთარ-ი** (ათაბ., 270); **ოთარა** (ისტ. დოკ., I, 89); **ოთარიკა** ([illegible]., 51, გეჯეთი; ალ. ღლ., 172); შდრ. ოთარაანთ ქვრივი (ილ. [illegible]), **ოთარ,** არაგვის ერისთავი, ბატონი **ოთარ,** რევაზ ერისთავის ძმისწული, ოთარ თარხნის შვილი, დიდი მოურავის შვილიშვილი (დოკ., I, 20, 108); ჯვარისა ოთარაშვილი XVIII ს. პირველი [illegible]ვარი. (დოკ., II, 31); პეტრე ოთარაშვილი, მეუღლე ბარბარე, შვილები: გაბო, ზურაბი, მარიამი, ძმა გიორგი, მეუღლე თამარი, [illegible] ანა, ბიძაშვილი მარინე (ღოუბანი, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, 1, [illegible], ფურ. 83-92); ბოგველმა ფრიდონ ოთარასშვილმა იქორწინა [illegible]სოფლელ დავით შალვაძის ქალ დარეჯანზე. თავსმდებნი იყვნენ [illegible] კიკოლაშვილი, გლახა შერმაზანაშვილი, ივანე აბულაძე (489, [illegible] 6, საქ. 31, ფ. 174, 1826 წ.); 1843-1858 წწ. ღოუბანში მოიხსენიე[illegible] თავად ლუარსაბ ორბელიანის მამულში პეტრე ოთარაშვილი (სცსსა, ფ. 254, საქმე №1, ფ. 38-39); დიდ ენაგეთში 1873 წელს მოიხსენიებიან დავით მათეს ძე ოთარაშვილი, ძმა ოქრუა, მართმა[illegible]ბელი, ქართველი, ბასილა ანდრიას ძე ოთარაშვილი, შვილები [illegible]ები, ალექსანდრე, მართმადიდებელი, ქართველი (სცსსა, ფ. 254, [illegible], 133, 1873 წ. ფურ. 179).

შდრ. მოურავი ჩრდილელი-ოთარაშვილი. (დიდი ენაგეთი, [illegible], ღოუბანი).

| | |
|---|---|
| ოთიაშვილი | 1208 |
| თბილისი | 353 |
| საგარეჯო | 217 |
| ქობულეთი | 180 |

**ოთიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ოთია** (საქ. სიძვ., I, 31). შდრ. ოთუა, ოტია (ოთარ); ოთარის მოფერ. ფორმაა **ოთია.** ,,ქ. მირტაშენს ჩიჩიკაშვილის ზურაბისა... ოთიაშვილი ოთუა, ოთიაშვილი გიორგა'' (ვახუშტი, 160); ,,ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ასურეთს 1721 წ. სულია ოთიაშვილი'' (ვახუშტი, 140); ,,ქ. მირტაშენს მსახლობელი ზურაბის ყმა, 1721 წ. ბერია ოთიაშვილი'' (იქვე, 334); ,,ქ. ზურაბიშვილის ბექანისა მონასტერს იესე ოთიაშვილი'' (იქვე, 61).

ამავე ძირისაა: **ოთიაური, ოთონაშვილი, ოთიურიძე** (ასურეთი, მირტაშენი, მონასტერი).

**ოლოდაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ოლოდა.** ,,ქ. ბატონის ტფილელისა ქ. ხეკორდს, 1721 წ. დათუნა, ბერია და ტეტია ოლოდაშვილები (ვახუშტი, 47).

ᲝᲚᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 127
*თბილისი 89*
*გარდაბანი 35*
*რუსთავი 3*

**ᲝᲚᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ოლქე, ულქე** (თურქ. ქვეყანა, მხარე. ,,ქ. მარნეულს შაჰნავაზ-ხანის საუფლისწულო 1721 წ. კირაკოზა ოლქიაშვილი" (ვახუშტი, 13); ,,ასლამაზა ოლქიაშვილი, 1736 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი" (სცსსა, ფ. 226, №4570); ,,კუმისის 1781 წ. ერისთავის როსტომის ყმა... ბერუა ოლქიაშვილი" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 80) (კოდა).

ᲝᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 282
*თელავი 128*
*მცხეთა 88*
*რუსთავი 21*

**ᲝᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ომან** (საქ. სიძვ., III, 36); **ომანა** (სვან., 2, ცხუმარი); **ომანალ** (სვან., 8, მულახი, ალ. ღლ., 173). ,,ქ. რევიშვილი სვიმონისა ქ. ახალშენს 1721 წ. დათუნა ომანაშვილი, ივანა ომანაშვილი" (ვახუსტი, 87); ,,ქ. ბეგაშვილის ოტიასი ქ. ჩრდილისუბანს 1721 წ. თევდორე ომანაშვილი" (იქვე, 78). (ახალშენი, ჩრდილისუბანი).

**ᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ომა** (ხევსურ., ბარისახო, სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 173); **ომან** (საქ. სიძვ., III, 36); **ომია** (ი. მაისურ., 172); ომაშვილი ნათელიძე, ხევსური, 1750 წ. შერიგების წიგნი, მიცემული ფშავ-ხევსურთა მიერ მოურავ გრიგოლ ჩოლოყაშვილისადმი (საქ. მუზ., №2942 hd; დოკ., I, 424); ,,ქ. თურქისტანიშვილის ფრანგისტანისა ქ. მუხათს, 1721 წ. იესე ომაშვილი (ვახუშტი, 84).

ამავე ძირისაა: **ომაძე, ომიაძე, ომაიძე, ომანისშვილი, ომანიძე, ომიასშვილი...** (მუხათი).

**ᲝᲛᲘᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), საკ. სახ. **ომია** (ი. მაისურ., 127). ,,ქ. აქავ ამისივ ყმა ომიასშვილი კიკოლა, ამისივე სახლის კაცი კომლი ა თავი ბ". (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 173).

ამავე ძირისაა: **ომაძე, ომიაძე, ომაშვილი, ომანაძე, ომანაშვილი...**

იხ. **ომანაშვილი** (კოდა).

ᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 404
*გორი 136*
*თბილისი 81*
*ახმეტა 66*

**ᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1818 წ.), საკ. სახ. **ონა, ონი, ონია** (ალ. ღლ., 173); 1818 წელს დიდ თონეთში შიო ნარიმანიძის თავდებად მოიხსენიება გრიგოლ ონიაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ, №35, ფურ. 386-388).

**ორალუტაშვილი** (1817 წ.), სავარ. მეტსახელი **ორალუტა** შდრ. ორგულა, ორთავა, ორკბილა, ორკოდა, ორჟანა...

1817 წ. აღწერით მუხათში თავად სოლომონ ორბელიანის ყმად მოიხსენიება ნინია ორალუტაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, საქმე 177, ფურ . 40-45).

| | |
|---|---|
| ორბელი | 86 |
| [illegible] | 52 |
| [illegible] | 27 |
| [illegible] | 4 |
| ორბილიანი | 28 |

**ორბელაშვილი//ორბელიშვილი//ორბელიანი.** ორბელიანები (იგივე ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები, XIX ს. I ნახევარში ჯამბაკურ-ორბელიანებადაც იხსენიებოდნენ), ფეოდალური საგვარეულო XVII-XIX სს. საქართველოში. ქაჩიბაძე-ბარათაშვილების ერთ-ერთი შტო. გვარის ფუძემდებელი იყო ორბელ ბარათაშვილი, რომელიც 1536 წ. გაეყარა თავის სახლისკაცს ორბელ ბარათაშვილს, ორბელს ერგო 59 სოფელი, 617 კომლი გლეხითურთ, ლოქის მთის ნახევარი, ფიტარეთისა და დმანისის ეკლესიების ნახევარი (ეს ეკლესიები შემდეგ მთლიანად ორბელიანების საკუთრება გახდა). XVII ს. 10-იან წლებში ორბელიანების შთამომავლებს შორის ამტყდარი საადგილმამულო შუღლის ნიადაგზე **ბარათა ორბელიანმა** ამოწყვიტა თავისი სახლიკაცები და მათს მამულებს დაეპატრონა. გადარჩა ყაფლან ორბელიანი, რომელმაც თავი ირანს შეაფარა. 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში ყაფლანი შაჰ-აბას I-ის მხარეზე იბრძოდა. ამ ბრძოლაში დაიღუპა ბარათა ორბელიანი, მამულებს დაეპატრონა ყაფლანი. ყაფლანს აუშენებია ,,მკვიდრი მამული... სოფელი 61", განუახლებია ფიტარეთის მონასტერი, აუგია ხულუტის ციხე და სხვა. მან 80-მდე სოფელი დაუტოვა თავის შთამომავლობას. ორბელიანების სამფლობელო (საორბელო ან საყაფლანიშვილო) XVIII საუკუნეში მოიცავდა ქციისა და დმანისის ხეობათა დიდ ნაწილს, აგრეთვე ტაშირს. ორბელიანებს ჰყავდათ 100-მდე ვასალი აზნაური და 2000-მდე ყმა გლეხი, რომლებიც ცხოვრობდნენ 160-მდე სოფელში; სასახლეები და კარის ეკლესია ჰქონდათ სოფ. ტანძიას, ციხე-კოშკები დმანისს. XVIII ს-ის ბოლოს, ქვემო ქართლის აოხრებასთან დაკავშირებით, ორბელიანები გადასახლდნენ თბილისში. ორბელიანები იყვნენ მეწინავე სადროშოს სარდლები, ქართლის სახლთუხუცესები, ეშიკაღასბაშები, მდივანბეგები და სხვ. ორბელიანების გვარიდან იყვნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: **სულხან-საბა ორბელიანი,**

სარდალი **დავით ორბელიანი,** პოეტები **ვახტანგ** და **გრიგოლ ორბელიანები** და სხვ. (ქეგლ, ტ. 7, 555).

ორბელაშვილები იყვნენ ყმა გლეხებიც. იხ. ქ,,. სოლოლაშვილის გიორგისა ქ. საღორის, 1721 წ. ორბელაშვილი ბექუა" (ვახუშტი, 148); ნაზირის ედიშერისა ახალშენს 1721 წ. შალვა ორბელაშვილი (ვახუშტი, 37).

**ორბელი,** საკ. სახ. **ორბელ** (დოკ., I, 130). **ორბელ** (კოხნარი, ჩოხატაურის რ., ალ. ღლ., 173).

**ორბელები,** აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალური საგვარეულო XII – XIII სს-ში, ფლობდნენ ორბეთის ციხეს, აქედან მომდინარეობს მათი გვარი. საისტორიო წყაროებში ამ საგვარეულოდან პირველად მოხსენებულია **ივანე ორბელი** (1110 წ. ამბებთან დაკავშირებით). განსაკუთრებით დაწინაურდნენ ორბელები დემეტრე I-ისა და დავით დემეტრეს ძის მეფობაში, როცა მათმა გვარმა მემკვიდრეობით მიიღო ამირსპასალარის სახელო, ხოლო საგამგებლო ქვეყნად – ლორე. ორბელიანის სახლის მეთაური **ივანე სუმბატის ძე ორბელი,** ერთდროულად დაეუფლა ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელოს და გიორგი III-ის დროს ანისის გამგებელიც იყო, ხოლო მისი ძმა ლაპარიტ ორბელი ჯერ ამილახორი და შემდეგ ქართლის ერისთავი გახდა. ორბელები ამასაც არ დასჯერდნენ და გიორგი III-ის ნაცვლად ივანე ორბელის სიძის, დემნა უფლისწულის გამეფებით სურდათ სამეფო კარზე და სამეფოში თავიანთი უპირველესი მდგომარეობის საბოლოოდ განმტკიცება. ორბელების შეთქმულება დამარცხდა და ორბელები სასტიკად დაისაჯნენ. მათი მამული და საგვარეულო პატივი მეფის ერთგულ დიდებულთ ებოძათ, ფიზიკურ სასჯელს გადაურჩნენ მხოლოდ აზერბაიჯანელ ათაბაგთაგან დახმარებისათვის გაგზავნილი ლიპარიტ სუმბატის ძე და მისი ძენი, რომელთაგან ივანე თამარის მეფობაში ფიცით დააბრუნეს საქართველოში, მაგრამ მამისეული ქონებიდან მხოლოდ ორბეთი დაიბრუნეს. თამარის დროსვე დააბრუნეს საქართველოში ლიპარიტის შვილიშვილი ლიპარიტ ელიგუმის ძე ორბელი, რომელსაც საგამგეოდ სივნიეთი უბოძეს. ორბელთა ამ შტომ, რომელიც გასომხდა, რადგან სომხურ ეთნიკურ გარემოცვასა და სარწმუნოებაში მოექცა, შეძლო საგვარეულო პატივის აღდგენა (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, გვ. 554) (ახალშენი, ორბეთი).

**ᲝᲡᲔᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1843 წ.), სავარ. რთული შედგ. სახელი ოსია, **ოსე, ოსია, ოსო+ხანა** (იხ. ალ. ღლ., 174, 241); ოსე (ძვ. ებრ. ცხოვრება, შველა შემწეობა, (დოკ., I, 395); **ხან-ა** ი-ამ შემთხვევაში ყმათ გამოვლანი (საბა).

**„გიორგი ოსეხანაშვილი** მოიხსენიება 1843-1858 წწ. როგორც თავად ზურაბ ორბელიანის ყმა (სცსსა, ფ. 254, საქ. №1, 2043, ფ. 271).

შდრ. ჟამიერაშვილი (ლოუბანი).

| | |
|---|---|
| ოსიტაშვილი | 389 |
| *თბილისი* | *145* |
| *რუსთავი* | *83* |
| *ქარელი* | *47* |

**ᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** – ძველი ქართული საკ. სახელი **ოსიტა** (საქ. სიზგ. I, 65) ალ. ღლ., ძველი ქართული სახელები, თბილისი, „საქართველო", 1975 წ.). **ოსიტაშვილები – დუშეთის მაზრის აზნაურთა წარჩინებული გვარია, იყვნენ ტახტის აზნაურები.** „წილკნელი სარგოს გარიგების წიგნი", 1669 წ. (გ. ლეონიძე, ნამცვრევი, მნათობი, 1960 წ., №8) ეკუთვნოდა არაგვის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი – **ნაოზი** (ნავაზი–ნაოზი–ნაოზა) იყვნენ სოფ. ნაოზის მეპატრონენი. დღესაცაა შემორჩენილი ტოპონიმი **ოსიტაანთ ტყე** – სოფ. მისაქციელში (ალ. ღლ., მცხეთის ტოპონიმია, თბ., 1975 წ.), იქვე ჰქონდათ წისქვილები. ოსიტაშვილები შეტანილია ერეკლე II-ის მიერ რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ თავად-აზნაურთა სიაში. სოფ. ნაოზში, არაგვის ხეობაში დღესაცაა შემორჩენილი ოსიტაშვილების საგვარეულო ციხე-კოშკები.

| | |
|---|---|
| ოსიფაშვილი | 1027 |
| *თბილისი* | *400* |
| *მცხეთა* | *213* |
| *ქარელი* | *54* |

**ᲝᲡᲘᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲝᲡᲔᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲙᲐᲙᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1843 წ.), საკ. სახ. **იოსებ** (ებრ.) „გამრავლება", „მატება". იოსების მოფერებითი ფორმებია: ოსება, ოსეფა, ოსია, ოსიკა, ოსიკო, სოსო, სოსია, სოსიკო.

**ოსეფა** (ქარალეთი, გორის რ., ალ. ღლ., 174); **ოსეფა** ელუაშვილი (დოკ., I, 176); **ოსეფა** როსტევანაშვილი (იქვე, 294); ოსეფაშვილი, 1714 წ. მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზურაბ ზურაბიშვილის მიერ ქაიხოსრო ორბელიანისადმი (დოკ., I, 295); **„პავლე ოსიფაშვილი** // იგივე **კაკოლაშვილი,** მოიხსენიება პატარა თონეთში 1843 წ." (სცსსა, ფ. 254, საქ. №1, 2043, ფ. 323-329); „ქ. მანუჩარ ქავთარაშვილის მამულში ქ. ანდრიას 1721 წ. ოსეფაშვილი გიორგი" (ვახუშტი, 122). შდრ. ოსიფოვი (36 სული).

| |
|---|
| ოსიყმაშვილი 255 |
| *თბილისი 127* |
| *გარდაბანი 93* |
| *რუსთავი 15* |

**ოსიყმაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ოსიყმა** (დოკ., II, 8); ოსიყმე (საქ. სიძვ., I, 292); **ოსიყმე** 1706 წ. (სინ. კონტ. გუჯ. №218). ,,აქავ კოდაზე ლოუბნელი ოსიყმე შეუძლებელი'' (ივ. ჯავახ., სეიძ. I, 177); ძველი წყაროების მიხედვით: ოსეყმა, ოვსეყმა ,,შესაძლებელია აქ ოსი ეთნონიმი იყოს (თუ იოსების შემოკლებული სახე არ არის) ოსი+ყმა; შდრ. ვაშაყმა, (ვაშაყმაძე) კეჭეყმა (კეჭეყმაძე) და სხვ. ამავე ძირისაა: ოსიძე, ოსიაშვილი, ოსაძე (ილ. მაის., 129); ვახუშტით: სარკინეთს: სამადაშვილი ოსიყმე (74), ოშეთს, ჯავახიშვილი ოსიყმა (113), პაპიაშვილი ოსეყმე (129), ბარამაშვილი ოსიყმე (138); ვაკეს: ოსიყმაშვილი მახარა (54), ნ. ოსიყმიანთ აბრამიშვილი, ბერიძე, ოსიყმიანთ აბრამიშვილი (1734 წ.); აპრილის ,,დამდეგი'' ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოსიყმიანთ ოსიყმეს მიერ გოდაკაანთ გრიქოლასა და დავითისადმი (სცსსა ფონდი №1426); სოფელ ლოუბნიდან ჩამოსული ოსიყმეს შემდეგ 1817 წლიდან ჩნდება კოდაში გვარი ოსიყმა[ე]შვილი; ,,ქართველების სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ბატონყმობიდან თავის დაღწევის მიზნით თბილისში გაქცეული მართმადიდებელი სარწმუნოების მქონე ყმა გლეხობის თავის დაცვა. მაგ., 96 წლის **ვარა ისაკის ასული ოგანეზოვას** ცნობით (1886 წ. ბექა ოპიზარის ქ. 7, ,,დამოქნის'' უბანი), ის გამოთხოვილია სოფელ კოდიდან (თეთრი წყაროს რ-ნი) თბილისში. ,,მე ვარ ოსიყმაშვილი, – გადმოგვცემს ის, – ჩვენი მამა-პაპა გამოქცეულა, ბატონის რომ ეშინოდა, გვარი გამოიცვალა, ოსეთის მხრიდან მოსულა, დედა-შვილი რომ შეაბეს კალოში, იმ დროინდელი ვართ. ჩვენი პაპის პაპა ყოფილა გაქცეული, აქ ოგანეზოვად დაწერილა, სომხური ვინ იცოდა. ოსიყმიანი – ასე ვიცოდით, ოგანეზოვი ვინ იყო, არ ვიცოდით'' (ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები, თბ., 1988, გვ. 64).

| |
|---|
| ოსიაშვილი 878 |
| *გარდაბანი 249* |
| *თბილისი 200* |
| *გურჯაანი 169* |

**ოსიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ოსია, იოსია** (შდრ., იოსება); ქ,,. ხოსროხანაშვილისა, ქ. სამშვილდეს, 1721 წ. დავით ოსიაშვილი'' (ვახუშტი, 24); ,,ქ. ქავთარიშვილის სულხანის ყმა ქ. ზას, 1721 წ. იოსება ოსიაშვილი'' (იქვე, 123).

ამავე ძირისაა: **ოსაძე, ოსიაური** (ზა. სამშვილდე).

| | |
|---|---|
| ოსტატიშვილი | 41 |
| თბილისი | 14 |
| რუსთავი | 10 |
| გარდაბანი | 6 |

**ოსტატიშვილი** – ხელობის აღმნიშვნელი გვარია ოსტატიშვილი. ძვირფასი ლითონების ოსტატს ოქრომჭედელი ეწოდება. **ოსტატმა** აწარმოა გვარი **ოსტატიშვილი** (კახეთი), **ოქრომჭედელმა** კი **ოქრომჭედლიშვილი**. შდრ. **დალაქიშვილი, ზეინკლიშვილი, კალატოზიშვილი, ხარატიშვილი...**

**ოქოჯანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ოქია** (საქ. სიძვ., II, 196); **ოქინა** (საამილახვრ. დავთ., 17; ალ. ღლ., 174) // **ჯანა**.

შდრ. ველიჯანა, მამაჯანა, ბეგიჯანა და მისთ.

| | |
|---|---|
| ოქრიაშვილი | 678 |
| ოქროაშვილი | 274 |
| ოქრუაძე | 179 |

**ოქრიაშვილი** (1558 წ.), **ოქრო, ოქრია, ოქრუა** – ოქროპირის შემოკლებული ფორმაა.

საკ. სახ. **ოქრია** (კოლხ., ს. მაკალ., 276: ალ. ღლ., 174); ამავე ძირისაა: **ოქროპირიძე, ოქროპირაშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ოქრუაშვილი, ოქრუაძე...**

იხ. **ოქროპირაშვილი**.

იხ. ერტისში 1558 წ. მოიხსენიება ოქრიასშვილი.

**ოქრომელაშვილი** (1886 წ.), საკ. სახ. **ოქრომელი, მელ, მელა** ნაწარმოები უნდა იყოს (შდრ. **ჯარიმელაშვილი, ურჯუმელაშვილი, სარჩიმელია, დარციმელია.** (ჰიდრონიმებია: ჩხერიმელა, ბორიმელა, სხვა სიტყვები: ცუგრუმელა, კორკიმელი... ი. მაისურ., 129); შდრ. **ოქრობელა, ოქროენა, ოქროკვერცხა // ოქროკვერცხ-ი**, გვარში: **ოქროკვერცხიშვილი, ოქროპირ, ოქროპირა, ოქროცვარი...** (ალ. ღლ., 174); თომა და გიორგი ოქრომელაშვილები მოიხსენიებიან დიდ თონეთში 1886 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, 1608, 1886, ფურც. 82-146).

| | |
|---|---|
| ოქროპირაშვილი | 148 |
| ქუთაისი | 127 |
| ოზურგეთი | 7 |
| სამტრედია | 3 |

**ოქროპირაშვილი // ოქროპირიშვილი** (1438 წ.), **ოქროპირ** – ქართული სახელია. თავდაპირველად იყო ზედწოდება მჭევრმეტყველი ადამიანისა, კარგი ორატორისა (თარგმნილია ბერძნულიდან). შემდეგ დამოუკიდებელ სახელად იქცა. მისი შემოკლებული ფორმაა **ოქრო** (ზ. ჭუმბ., 160).

XII ს. I დიდ ხელნაწერში (ხუცური ნუსხა) წმინდა მამებს შორის, – **თეოდორიტე, მინივე, სევირ-მინივე, ევსები** და სხვ. მოხსენებულია **ოქროპირი** (ქრონიკ., II, 36); (ისტ.) ცნობილი არიან: **ოქროპირ**, ბერი (ქრონ., I, 165); **ოქროპირ** კათალიკოზი (იქვე, 80);

**ოქროპირ** წმინდა მამა (ქრონ., II, 36); **ოქროპირ** კათალიკოზი (96), იოანე **ოქროპირი**; **ოქროპირი** ერქვა მეფე გიორგი XII-ის ერთ-ერთ ვაჟს. 1803 წ. აპრილში საქართველოდან რუსეთში გადაასახლეს გიორგი მეფის მეუღლე საქართველოს დედოფალი მარიამი (გმირი ქალი, რომელმაც, თვით დაჭრილმა მტრის მიერ, მოჰკლა ცარიზმის გათავხედებული სატრაპი, საქართველოს მტერი გენერალი ლაზარევი). დედოფალთან ერთად გადაასახლეს აგრეთვე შვილები, ქალები — თამარი და ანა, მცირეწლოვანი ვაჟები — ჯიბრაელი, ილია, **ოქროპირი** და ირაკლი (პ. ინგორ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1969, გვ. 21). „ვერხვნალში (შემდგომი ვარხუნო, 1980 წ. შეუერთდა თეთრი წყაროს რაიონს) ცხოვრობდა **დათუნა ოქროპირიშვილი** (1682 წ.); ოქოპირიშვილი (1438 წ., სინოდის კანტ. სიგელ №64 და ნუსხა №507; ქრონიკ., II, 244); მახარებელი ოქროპირიშვილი, მწიგნობარი (1465 წ. აპრილის 23. მცხეთის სიგელი №75; ქრონიკ., II, 285); ზურაბა ოქროპირასშვილი — 1676 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იესე ხერხეულიძის მიერ პაპუნა გერმანოზიშვილისადმი (დოკ., I, 52); თამაზ ოქროპირისშვილი, აზნ., 1721 წ. აღწ. ოთარ გერმანოზაშვილის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ალგეთში (ის ლორთქ., ქვ. ქართველი, ნაწ. III და IV, 439); „ქ. გერმანოზაშვილის ოთარის ყმა ქ. ვერხვნალას აზნაურაშვილი **თამაზა ოქროპირიშვილი**" (ვახუშტი, 136).

ამავე ძირისაა: **ოქრიაშვილი, ოქროაშვილი, ოქრუაშვილი, ოქროპირიძე, ოქროკვერცხიშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ოქროაშვილი, ოქრუაძე, ოქ[ყ]როშიძე, ოქრომღვდლიშვილი.**

ოქროაშვილი ერტისში მოიხსენიება 1558 წ. (ვერხვნალა, ერტისი).

**ოქროპირიძე 3269**
გორი 1008
ქობულეთი 818
თბილისი 743

**ოქროპირიძე,** საკ. სახ. **ოქროპირი.** ზგდი. მნიშნ. მჭევრმეტყველი, შდრ. **ოქრობილაშვილი, ოქრობილა,** ამავე ძირისაა: **ოქროპირაშვილი** (ი. მაისურ., 129).

ცნობილია კათალიკოზ-პატრიარქი **ოქროპირი:** „და გარდაიცვალა წმინდა ესე მელქისედეკ და აწ წარუმართენ ღმერთმან ოქროპირს, მელქიზედიკისაგან შვილად გაზრდილსა — დაჯდა კათალიკოზ — პატრიარქად ოქროპირი" (ქართ. ცხ., I, 222); 1040 წ. იყო ბაგრატ კურაპალატის დროს ...ამან

კათალიკოზ-პატრიარქმან ოქროპირმან მრავალი ეკლესიანი აღაშენ-ნა და განაახლნა" (იქვე, 188); ოქროპირ ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე (საქ. სიძვ., II, 532, 534).

| ოქრუაშვილი | 1732 |
|---|---|
| თბილისი | 618 |
| გორი | 221 |
| ქუთაისი | 208 |

**ოქრუაშვილი** (1700 წ.), საკ. სახ. **ოქრუა.** ოქროპირის შემოკლებული ფორმაა.

ოქრუა ამილბარაშვილი, მონასტრული (დოკ., I, 248); ოქრუა გელაშვილი, ელიოზიშ-ვილები მეტეხიდან (იქვე, 204); **ოქრუაშვილი ბერი** ივანა, ნინუა, შერმაზან — 1700 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე და ედიშერ დიასამიძეთა მიერ პაატაბეგ და ქეთანდილ მაჩაბლებისადმი (საქ. მუზ., №1532 Hd); დოკ., I, 109); „ქ. ყორღანაშვილის თაყასი ქ. ახალშენს 1721 წ. ოთარა ოქრუაშვილი" (ვახუშტი, 93); „ქ. კანჭაშვილის თომას მამულში ქ. თაფანს 1721 წ. სადება ოქრუაშვილი" (იქვე, 139).

ძირზე ოქრუა დაფუძნებულია მთელი რიგი სხვა გვარებიც: ოქრიაშვილი, ოქრაძე, ოქროაძე, ოქრომელიძე. შდრ. სულაბერიძე, გოგიბერიძე ან ჯარიმელაშვილი, ურჯუმელაშვილი, ოქრომჭედლიშ-ვილი, ოქრომჭედლიძე, ოქროჯანაშვილი, ოქროპირიძე, ოქროპირაშ-ვილი და სხვ. ოქროს კნინობითი ფორმაა: ოქუა. ოქუაშვილი, საკ. სახ. ოქუა.

„ქ. ყორღანაშვილის თაყასი, ენაგეთს: 1721 წ. ოქუაშვილი" (ვახუშტი, 94); მიხეილ ოჰანეზას ძე ოქუაშვილი, შვილი გიორგი, სანდრო (დიდი ენაგეთი, 1873 წ. სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220).

**ოლობაშვილი** (1713 წ.), სავარ. მეტსახელი **ოლობა,** გვარში: **ოლობაშვილი.**

„ამილახვარ გოსტაშაბიშვილს გაყრის დროს (იხ. 1713 წ. სიგ. სიძვ., I — 303), მიეცა საუფროსოდ 12 აყრილ კომლში აგვდანეთს (მდებარეობდა დიდგორის ძირას, — ი. ა.) ერთი გამომღები ყმა ოლობაშვილი (იხ. ივს ლორთქ., ქვ. ქართლ., III და IV ნაწ., 3).

**ოღულაშვილი** (1721 წ.), **ოღულ** (თურქ.) შვილი, ძე ვაჟი, შდრ. მეგრული **ბერე.** სავარ. საკ. სახელი **ოღულა** შდრ. ოღქუზა (თურქ.) — ხარი (შდრ., ხარაძე).

**ოღულაშვილი თაყა,** აზნ. 1721 წ. აღწერით ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დბანისში (ივს. ლორთქ., ქვ.

ქართ., § 134, 226); „ქ. საამისა და ედიშერისა ქ ენაგეთს. 1721 წ. ოღულაშვილი გასპარა" (ვახუშტი, 118).

| ოღიაშვილი 209 |
|---|
| თბილისი 46 |
| რუსთავი 14 |
| ლაგოდეხი 6 |

შდრ. **ოღიაშვილი, ოღმლიშვილი, ოღუზაშვილი ოღომაშვილი** (ენაგეთი).

**ოძელაშვილი** (1781 წ.), საკუთარ სახელადქცეული სადაურობის სიტყვა **ოძელა,** სოფლის სახელისაგან **ოძისი** (დუშეთის, ხაშურის რ.) (ილ. მაის., 130); ზემო და ქვემო ოძისი იყო გარისის რაიონშიც.

ნ. „აქავ მარაბდას თაყაშვილი დავითის ყმა ოძელაშვილი ბასილა და გოგია... აქავ ამისივე ყმა ოძელაშვილი ზურაბა" (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 170); ოძელაშვილი არსენა, არსენა მარაბდელი (დაახლ. 1797, სოფ. მარაბდა, — 1842 წ. მცხეთა).

მარაბდაში მცხოვრები ქრისტესია ოძელაშვილი 1818 წელს ნათლავს ქალიშვილ ელენეს. მიმქმელი ყოფილა სოლომონ სომხიშვილი (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, ფურ. 149); 1823 წლის აღწერით სოფ. მარაბდის იერუსალიმის მონასტრის ყმად მოიხსენიება ადამ ორუშბელას ძე ოძელაშვილი, მეუღლე თინათინი, ძმა არსენა, დედა თამარი (სცსს, ფ. 254, I,№801, ფურ. 3); აქვე დიმიტრი ორბელიანის ვაჟის თამაზ ორბელიანის გლეხად მოიხსენიება თათია ოძელაშვილი, მეუღლე თამარი, ვაჟიშვილები ნინია, ოძელა, ქალიშვილი ელისაბედი, დისშვილები იოსები, დათია, ნია, ოძელა, ქალიშვილი ელისაბედი, დისშვილები იოსები, დათია, ელენე, დედა სოფა (სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 27-34).

მარაბდელი ტეტია ოძელაშვილი 1826 წელს კოდის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ქალიშვილ თინათინს, მიმქმელი იყო მარაბდელი დათია ნაჩხატაშვილი (489, 9, №1, ფურ. 12); ჩხიკვთაში 1873 წელს მოიხსენიება იოსებ ივანეს ძე ოძელაშვილი (ფ. 489, აღწ. 9, №6, თ/წ. 1); მაწევანში 1875 წელს მოიხსენიება სოლომონ იოსების ძე ოძელაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, №6 თ/წ. 1); ჩხიკვთელი იოსებ იოსების ძე ოძელაშვილი (მეტრიკ. წიგ. არქ. 182, 1); 1885 წელს მაწევნელი ზურაბ დავითის ძე ოძელაშვილი ნათლავს შვილს ალექსანდრეს (სცსსა, ფ. 489), 1884 წელს შვილს უნათლავს თანასოფლელ გლეხს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1) (ბორბალო, მაწევანი, მარაბდა, ფარცხისი, ჩხიკვთა).

| |
|---|
| ოხანაშვილი იგივე |
| ტერიტორიული |
| ოხანაშვილი 473 |
| თელავი 186 |
| ...ოლისი 102 |
| ...ხეთი 88 |

**ᲝᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲝᲰᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ოხანა,** გვარში: **ოხანაშვილი** (ი. მაისურ., 130); შდრ. **ოხია** (ისტორ. საბ., 67): **ოჰანა** მოურავი: „არის ამისი მოწმე ჩვენი მოურავი ოჰანა" (1801 წ. იჯარის წიგნი, საქ. სიძვ., I, 169); ოჰანა ყმა (საქ. სიძვ., III, 517); „დოლბანდუელი **ზაქუა ოჰანაშვილი** (საკ. სახ. ოჰანა) მარაბდას ეკლესიას ბატონის სახასო, 1781 წ. (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 170).

**ოჰანაშვილი** მოგვიანებით **ოგანოვი.** (ზოგან ადრინდელი გვარი ნიკოლაიშვილი. გურიიდან, გადმოსულნი).

ამავე ძირისაა: **ოხონაშვილი, ოჰანაშვილი.** შდრ. ოჰანა, ოხანა, იოვანე, იოანეს (მარაბდა).

**ᲝᲰᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲝᲡᲘᲧᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲑᲔᲒᲚᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** რუსული გაფორმებით **ოგანეზოვი** (1817 წ.), საკ. სახ. **ოჰანეზა,** 1781 წ. 24 აპრილი. განაჩენი მდივანბეგისა ლორელებისა სეხნია ბარათაშვილის საქმეზე (დოკ., II, 117); „ფრანგი ოჰანეზაშვილი გალუსტა", XVIII ს. მეორე ნახევარი, მორიგეთა ნუსხა (დოკ., II, 83); ოჰანეზაშვილი არაქელა, 1796 წ. აპრილის 24-ს. ახლად მოსული განჯელი სახასო ...ებისა გიორგი მეფის ოქმით" (იქვე, 179); **„400 მარაბდას ოჰანეზაშვილი რევაზი, მეუღლე ვარვარა, ქალიშვილები მართა, ელისაბედი, სარწმუნოებით მართმადიდებლები, ტომით ქართველები".**

კოდაში მცხოვრები ოგანეზოვებს ჰქონდათ აგრეთვე შტოგვარი **ბეგლარაშვილი. „ფარსადან ოგანეზოვი, იგივე ბეგლარიშვილი (ბეგლაროვი),** მეუღლე ელისაბედი, ქალიშვილები ბარბარე, ქეთევანი, რძალი ხორეშანი, ვაჟები: კონა, ანდრო, არუთინა, სტეფანე, პეპენა, ქალიშვილი თამარა მოიხსენებიან სოფ. კოდაში 1823 წელს" (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 43-60).

ამჟამად ოგანოზევებმა აღიდგინეს გვარი ოსიყმაშვილი. დღესაც მათ ტრადიციულად ოსიყმაანთ ეძახიან.

მარაბდელი ოჰანეზაშვილები მართმადიდებელი სარწმუნოების მქონედ ქართველებად არიან ჩაწერილი, ხოლო კოდაში მცხოვრებნი — ოჰანეზაშვილებად და სომეხს გრიგორიანული სარწმუნოება უწერიათ ანკეტაში.

იხ. **ოსიყმაშვილი, ბეგლარიშვილი** (კოდა, მარაბდა, მუხათი, შაქსაყდარი).

# პ

| | |
|---|---|
| პაატაშვილი | 248 |
| თბილისი | 118 |
| თელავი | 61 |
| საგარეჯო | 16 |
| ლარაძე | 0 |

**პაატაშვილი // ლარაძე** (1721 წ.), **პაატა** (ქართ.) „პატარა“, „უმცროსი“ (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ **პავლე** (ლათ. „პატარა“, „მცირე“). აქედან-აა გვარი პაატაშვილი. **პაატა** ერქვა გიორგი სააკაძის ერთ-ერთ ვაჟს, რომელიც მამამ სამშობლოს თავისუფლებას შესწირა მსხვერპლად. იგი მძევ-ლად ჰყავდა შაჰს და თავი მოჰკვეთა, როცა საქართველოს დასალაშქრა-ვად გამოგზავნილი გიორგი სააკაძე ქართველებს მიემხრო და სპარსელთა ჯარი გააწყვეტინა (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 361-362); „ქ. სოლაღაშ-ვილის იესეს ყმა ქ. მონასტერს 1721 წ. **ბექუა პაატაშვილი**“ (ვახუშტი, 141).

**პაატაშვილი** იგივე **ლარაძე** (იხ. **ლარაძე-პაატაშვილი**) (ირაგა, მონასტერი, იგრაშენი).

| | |
|---|---|
| პავლიაშვილი | 2895 |
| თბილისი | 777 |
| გორი | 681 |
| სიღნაღი | 189 |

**პავლიაშვილი // პავლესშვილი** (1523 წ.), **პავლე** (ლათ.) „პატარა“, „მცირე“ სიტყვიდან პაუ-ლუს, რომელიც სახელადაც და გვარადაც გვხვდება ევროპაში“ (ზ. ჭუმბ., 161).

**პავლე** (საქ. სიძვ., II, 116); **პავლე** მოციქული (ქრონიკ., I, 217); პავლე წინამძღვარი ივერიის მონასტრისა (იქვე, 217); პავლე პირველი, რუსეთის მეფე და სხვ., **პავლიაშვილი** მოხსენებულია 1523 წელს ბარათაშვილთა გაყრის წიგნში „...ერთწილად (1523 წ.) მიხუდა გერმანოზს და მის ძმათა ...პავლიაშვილი“ (ქრონიკ., II, 349); პავლიასშვილი 1718 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ავთანდილ ჯავახის-შვილის მიერ ამილბარ მალალაძისადმი (დოკ., I, 178); **პავლიაშვილები 1721 წ. ენაგეთში მოხსენებულნი არიან როგორც აზნაურები.** წინწყაროში 1818 წელს მოიხსენიება მღვდელი დიმიტრი პავლესშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ზ, ფურ. 184-187).

ამავე ძირისაა: **პავლაძე, პავლიაური** (ენაგეთი, წინწყარო).

**პაილარაშვილი // პოილარაშვილი** (1790 წ.), 1873 წ. აღწერით ენაგეთში მოიხსენებიან არტემ გაბროს ძე, გეო, გიგოლა და გიგოლა და გეო (მეორე) ისოს ძე პაილარაშვილები (სცსსა, ფ. 254, 3, 114, საქ. №136, გვ. 189-218).

სოფ. ჯორჯიაშვილში მცხოვრები **პოილარაშვილები** ორ შტოდ **გაბაშვილად** და **მკალავიშვილად** იყოფიან. ეს ასე მომხდარა. პოილარაშვილთა ერთ-ერთ შტოს ვაჟი არ ჰყოლია. ოჯახში ჩაუსიძებიათ ბოლნისის ეკლესიის მოძღვრის შვილი ზაქარია გაბაშვილი, ამის გამო პოილარაშვილთა ამ შტოს გაბუანთს ეძახიან, მკალავიშვილები მოგვიანებით კახეთსა და თბილისში გადასულან საცხოვრებლად. ოჯახში ზედსიძედ შესული მეუღლის გვარზე მოქცევა იშვიათი არ იყო ხოლმე. მაგალითად, ამავე სოფელში დარჩიაშვილებთან ჩასიძებული ისაკ იოსების ძე ხიზანიშვილი დარჩიაშვილად, ფარცხისში ბერიძეებში ჩასიძებული ლუკა იერემიანი ბერიძედ დაეწერა; გ. მ. პოილარაშვილი თავის შტოდან იხსენიებს: ზაქარია გაბაშვილი 1790-იანი წლები, გაბო გაბაშვილი // პოილარაშვილი (1820 წ.), არტემ პოილარაშვილი (დ. 1850 წ. მიხეილ პოილარაშვილი (საუბარი ჩემს მიერ ჩაწერილია 1987 წ. 7 ნოემბერს).

1873 წელს დიდ ენაგეთში მოიხსენიებიან ,,არტემ გაბრიელის ძე პოილარაშვილი, ძმა იაგორი, ყაზარ გიქოს ძე პოილარაშვილი, შვილი დავითი, გეო ისაის ძე პოილარაშვილი, გიგოლა ისაის ძე პოილარაშვილი, შვილები: მურადა და ალექსი, მელქო ავაქას ძე პოილარაშვილი, შვილი ალალო" (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №115, №136, ფურ. 189-220, 1873 წ.); იქვე მოიხსენებიან არტემ გაბრიელის ძე პოილარაშვილი, ძმა იაგორი, ყაზარ გიქოს ძე პოილარაშვილი, შვილი დავითი, გეო ისაის ძე პოილარაშვილი, გიგოლა ისაის ძე პოილარაშვილი, შვილები მურადა და ალექსი; დიდ ენაგეთში მცხოვრები ქაქალა გიორგის ძე გოდერძიშვილის შვილს, პავლეს მიმქმელად მოიხსენიება დიდ ენაგეთში მცხოვრები სახელმწიფო ყმა გაბრიელ პოილარაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); ამავე სოფლელი გიორგი გაბრიელის ძე პოილარაშვილი შვილს უნათლავს დიდ ენაგეთელ გლეხს იაკობ გიორგის ძე გოდერძიშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1884 წ.). პოილარაშვილები თავს ყიზილბაშობის შთამომავლებლად სთვლიან.

**პალატისშვილი** (1477 წ.), **პალატი** (ძვ.) დიდებული საცხოვრებელი შენობა, სასახლე // სასახლის დარბაზი (ქეგლ). პალატი, საკ. სახელიცაა; ნიკოლოზ, ზაალ, ავთანდილ, ბეშქენ, დემეტრე პალატისშვილები, მათი შვილები: რამინ, ერანგი, ჯანგიშერ, ზავრას გოგიტა არდაშერაშვილს, მის შვილებსა და შვილიშვილებს სოფ. კრწანისს აძლევს მამულს ვენახით (1477 წ.) მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ და სხვა პალატისშვილთა მიერ გოგიტა არდაშერაშვილისადმი. (ნ. დოკ., I, 3). შდრ: პალატიანი (20 სული).

| |
|---|
| პაპაშვილი 2101 |
| *თბილისი 659* |
| *მცხეთა 244* |
| *გარდაბანი 162* |

**პაპაშვილი // გობრიშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. პაპა (დოკ., II, 251). ყმის ჩუქების წიგნი ავთანდილ სოლოღაშვილისა დავით კაციაშვილისადმი, 1724 წ. 22 დეკემბერს აღნიშნულია: ,,...ესე წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, სოლოღაშვილმა ავთანდილმა თქვენ, კაციასშვილსა დავითსა ასე რომე, ჩვენსა შვილი მომინათლე და ჩემის ნებითა და ნებაყოფლითა გაჩუქე ჩემი ყმა პაპა და მისი ძმა გარსევანა'' (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 1631). პაპა ბაზაზი თელაველი (Sd 424); პაპა მწერალი (1793 წ. 26 მარტი, Qd 781); პაპა შამძლებელი (XVIII ს. IIნახ. ხელნაწ. ინსტიტუტი, Ad 1772);,,თავად, პოდპოლკოვნიკ ასლან ორბელიანის ყმებად სოფ. კოდაში 1817 წელს მოიხსენიებიან მღებრისა და დათუნა პაპაშვილები'' (სცსსა, ფ. 254, №1, 1274); 1818 წელს მუხათელი ხახელ თევდორეს შვილ გიორგის მიმქმელი ყოფილა ამავე სოფლელი ზაქარია პაპაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ); 1886 წელს სოფ. მუხათში მოიხსენიება იაგორ ზაქარიას ძე გობრიშვილი (იგივე პაპაშვილი), ვაჟი ზაქარია, მოსია და მელიქა გობრიშვილ-პაპაშვილები (სცსსა, ფ. 254, №3, 1625, საკომლო სია №719, ფურ. 188 – 205); 1873 წელს ენაგეთის ახალშენს მოიხსენიება კონია პაპას ძე პაპაშვილი (პატრონომიული სახელი კონიანი) (სცსსა, მეტრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1).

მუხათელ პაპაშვილებს მოსიაანთ ეძახიან (კოდა, ენაგეთის ახალშენი, მუხათი).

**პაპანაშვილი** (1851 წ.), საკ. სახ. პაპა (საქ. სიძვ., II, 62). შდრ. **პაპა // პაპაშვილი**, (კოდა).

| |
|---|
| პაპიაშვილი 252 |
| *თბილისი 974* |
| *მცხეთა 192* |
| *დუშეთი 151* |

**პაპიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. პაპა (მოფერებითი ფორმაა პაპია). შდრ. **პაპინა, პაპნა,**

პაპია და მისთ.

,,ქ. აბაშიშვილის დავითისა, 1721 წ. ქ. უკანდაღეთს გიორგი პაპიაშვილი'' (ვახუშტი, 117); ,,ქ. მუსხელიშვილის დემეტრესი სამღერეთს, 1721 წ. ყაზარა პაპიაშვილი'' (იქვე, 40); ,,ქ. გოსტაშაბიშვილის მოლღანბარისა 1721 წ. ქ. ამლივს, ...**გიორგი პაპიაშვილი**'' (იქვე, 54); ,,ქ. იარალაშვილის როსებისა სამაჩვეთს 1721 წ. პაპიაშვილი ხითარა, პაპიაშვილი მოლაშქრე'' (იქვე, 63); პაპიაშვილი დათია, მეუღლე მეშანა (ბორბალო, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83) (ამლევი, ბორბალო, ლიპი, სამღერეთი, უკანდაღეთი).

**პაპილაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **პაპილა** (ფშ., ს. მაკალ., 148), **პაპილო** (თუშ., ალვანი, ალ. ღლ., 175). შდრ. **პაპა, პაპალა, პაპალია, პაპანა, პეპენა, პაპინა, პაპნა, პაპო, პაპოა, პაპონა**... გვარები: **პაპავა, პაპავაძე, პაპალაშვილი, პაპასკირი, პაპასკური, პაპაჩაშვილი, პაპელიშვილი, პაპიაშვილი, პაპინაშვილი, პაპანაშვილი, პაპისაშვილი** და მისთ.

ქ. გერმანოზაშვილი დათუნას ყმა ქ. მცოვრეთს 1721 წ. გიუნა პაპილაშვილი'' (ვახუშტი, 132).

**პაპნიაშვილი** (1721 წ.). საკ. სახ. **პაპნა** (სტატ. ცნ., XVIII ს. 30), **პაპნია**.

,,ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო საბალში ქ. დრიანეთს შემაზა პაპნიაშვილი 1721 წ.'' (ვახუშტი, 170); ...წობას, 1721 წ. შემაზა პაპნიაშვილი'' (იქვე, 170).

| | |
|---|---|
| პაპუაშვილი | 2095 |
| თბილისი | 535 |
| [illegible] | 231 |
| რუსთავი | 199 |

**პაპუაშვილი** (1720 წ.), საკ. სახ. **პაპუა. ნ. პაპუა** სახლთხუცესი მუხრანბატონის ბაგრატის ძე, 1651 (სიგელი მცხეთისა №223, წიგნ., ქრონ. II, 466); პაპუა ყანჩელი (იქვე, 719); პაპუა არაგვის ერისთავი, პაპუა ერისთავი, ვამიყის ძმისწული, პაპუა ორბელიანი (ქრონ., III, 782).

პაპუა ნაწარმოებია გავრცელებულ საკ. სახ-დან **პაპა** (ნ. ერეკლე II-ისა და დედოფალ დარეჯანის სიგელი, 1768 წ. 13 დეკემბერი (საქ. სიძვ., I, 13); ამავე ძირისაა: **პაპავა, პაპავაძე, პაპალაშვილი, პაპასკირი, პაპასკუა, პაპასშვილი** გოგი (დოკ., II, 127); პაპელიშვილი, პაპიტაშვილი, პაპაძე ქაფუჩა (დოკ., II, 378); **პაპაძე, პაპიძე, პაპკიაური, პაპოშვილი, პაპუა, პაპუაშვილი, პაპუკიშვილი, პაპულაშვილი, პაპუნაშვილი, პაპუნელაშვილი, პაპუნიძე, პაპუჩაშვილი, პაპუჩელაშვილი** (იხ. ილ. მაის., 131).

პაპუასშვილი, პაპუაშვილი გოგია, სოლაღა, 1720 წ. (დოკ., I,

147). პაპუაშვილი რამდენიმე საგვარეულოს შტო-გვარია.

ასურეთში ამბროლაურის რ-ნის სოფ. სადმელიდან გადმოვიდნენ 1941 წელს. ცხოვრობენ აგრეთვე სოფელ ბოსტანაში.

პაპუკაშვილი 266
*თბილისი 135*
*მცხეთა 44*
*დუშეთი 41*
პაპუკიშვილი 85

**პაპუკაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **პაპუკა** (დოკ., II, 293). შდრ. **პაპუნა, პაპუჩა** და მისთ.

„ქ. საგინაშვილის დურმიშხანისა ქ. ბოგვ[illegible] 1721 წ. სეხნია პაპუკაშვილი" (ვახუშტი, 151).

**პაპულაშვილი** (1886 წ.), საკ. სახ. პაპა[illegible], აქედანაა გვარები: პაპავა, პაპანაშვილი, პაპუაშვილი, პაპუჩელაშვილი და სხვ.

სოსია პაპულაშვილი მოიხსენიება 1886 წ. დიდ თონეთში (სცსსა, ფ. 254, №1, 1274, ფურ. 149).

შდრ. პაპაშვილი.

**პაპუჩაშვილი** (1700 წ.), საკ. სახ. **პაპუჩ-ი** (ისტ. დოკ., I, 39), **პაპუჩა** (უწერა, ონის რ., ალ. ღლ., 176).

პაპუჩა ოქრომჭედლიშვილი (დოკ., I, 463); პაპუჩი ქართველიშვილი (იქვე, 461). პაპუჩა ბლუასშვილი (დოკ., II, 58); პაპუჩაშვილი მოიხსენიება 1700 წ. „მოხისელებს: პაპუნა სადუნაშვილს, პახუმაშვილს... პაპუჩაშვილს ეწერა სამასპინძლო". „ქ. იარალაშვილის როსებისა ქ. ლიყურეთს 1721 წ. თამაზა პაპუჩაშვილი" (ვახუშტი, 63).

**პარსიაშვილი** (1721 წ.), სავარ, მეტსახელიდან **პარსია**. „ქ. გერმანოზაშვილი დათუნას ყმა ენაგეთს, 1721 წ. დათია პარსიაშვილი, ნასყიდა პარსიაშვილი (ვახუშტი, 132).

**პატაშვილი** (1653 წ.), საკ. სახ. **პატა** (საქ. სიძვ., II, 29); **პატაი** (პ. ინგორ., კვან., 2, 87). შდრ. პაატა (საქ. სიძვ., 68); პაატა ფარეშთუხუცესი (საქ. სიძვ., 30); პატასშვილი – გაყოფის წიგნი თუმანისშვილებისა, 1653-1658 წწ. (საქ. სიძვ., III, 549); ნაზარალიხანმა ენაგეთში მდებარე მამულების მფლობელობა 1688 წ. განუახლა თავის სახასო აზნაურებს: **ყორღანაშვილებს, პატაშვილებს, მერაბიშვილებს** და სხვ. (ისს. ლორთქ., ძვ. ქართ., ნაწ. I და II): „ქ. მანგლელის ყმა, 1721 წ. მანგლისს: ...პატაშვილი ქიტესა" (ვახუშტი, 110).

პატარაშვილი 263
*ახმეტა 74*
*თბილისი 68*
*თელავი 37*

**პატარაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **პატარ** მოხსენებულია თამარ მეფის 1202 წ. სიგელში (ქრონიკ., II, 80); ამავე ძირისაა: **პატარავა, პატარაია, პატარიძე.**

| | |
|---|---|
| …ᲢᲐᲠᲐᲨᲐ | 198 |
| …ᲢᲐᲠᲐᲘᲐ | 2130 |
| …ᲢᲐᲠᲐᲫᲔ | 61 |
| …ᲢᲐᲠᲐᲘᲐ | 36 |
| …ᲢᲐᲠᲘᲫᲔ | 1654 |

პაშა პატარაშვილი მოხსენებულია 1873 წ. აღწერით ენაგეთში (სცსსა, ფ. 254, 3, 114, საქ. №136, ფურც. 189-218).

**ᲞᲐᲢᲐᲠᲥᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ // ᲞᲐᲢᲐᲠᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **პატარქალი** (ილ. მაისურ., 132): **პატარქალა** (ალ. ღლ., 176); პატარქალი (ს. …ყალ., ფშავ, 148); „ქ. მეთრევანის მანგლელის ყმა, 1721 წ. ებალა პატარქალიშვილი" (ვახუშტი, 111); „ქ. მანგლელის ყმა მანგლისს, 1721 წ. ზურაბა პატარქალიშვილი".

შდრ. **პატარკაცი // პატარკაციშვილი** (მეთრევანა, მანგლისი).

| | |
|---|---|
| …ᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 241 |
| …ილისი | 81 |
| …ელავი | 43 |
| …რიწყარო | 27 |

**ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1819 წ.), საკ. სახ. **პატია, ჯანიაშვილი პატია,** სასახლის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი ფალავანდიშვილის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი, 1680 წ. ახლო (დოკ., I, 434); **გრიგოლ პატიაშვილი,** მისი მეუღლე მართა, ქალიშვილი ბარბარე 1823 წლ. აღწერით მოიხსენიებიან სოფელ მარაბდაში. იქვე არის მინაწერი: **„გადმოვიდნენ თელავის მაზრის სოფელ კარდენახიდან"** (სცსსა, ფ. 254. 1, 802, ფურ. 29); იმავე წლის აღწერით სოფელ ვარდისუბანში (მოგვიანებით შავსაყდარი) მოიხსენებიან: **ტეტია (გოგია) პატიაშვილი,** მეუღლე ნინო, ქალიშვილი ნინო, ვაჟები: ადამა და გიორგა: **დათია პატიაშვილი,** მეუღლე ანა, ვაჟი ივანე (გადმოვიდნენ თელავის მაზრის სოფელ კარდენახიდან) (დღევ. გურჯაანის რ.) (იქვე. ფურ. 24-26); „ვარდისუბნის მცხოვრებელს **ტეტია კარდანახელს** დაებადა ქალიშვილი მარიამი. 1822 წ. განათლა ბორბალოს სოფლის ღვთისმშობლის მიცვალების შტატის ეკლესიის მღვდელმა მიტროფანე ჭონქაძემ. მიმქმელად მოიხსენიება ვინმე ფარსადანი (სცსსა. ფ. 489, 6, 1 ბ, 1822 წ. №27, ფურ. 100).

„ვარდისუბნის მცხოვრებელს, კარადნახელს დათიას (საუბარია დათია პატიაშვილზე – ი.ა.) დაებადა ქალი ბარბარე, იგი მონათლა მღვდელმა მიტროფანე ჭონქაძემ. მიმქმელი ყოფილა ბერძენი ნიკოლა" (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, 1822 წ. №27, ფურ. 100); „ვარდისუბნელი ტეტია (გოგია) კარდანახელი მოკვდა 1826 წ. სული აზიარა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ" (სცსსა, ფ. 489, 6, №25, ფურ. 170): „ვარდისუბნის მცხოვრებ დავით პატიაშვილს 1828 წელს

დაებადა ვაჟი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. სახელი დაარქვა ზაქარია. ნათლია იყო ამავე სოფელში მცხოვრები გრიგოლ ივანეშვილი", (ფ. 489, აღწ. №6, 57, ფურ. 27) 1871 წ. მარაბდაში თავად ივანე ბარათაშვილის (ბარათოვის) ყმებს შორის მოიხსენიება სოლომონ პატიაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 113-120); 1873 წ. აგვისტოს აღწერაში მოიხსენიება სისუა პატიაშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 121-122, №228, ფურ. 1-3). 1874 წ. აღწ. სოფ. ვარდისუბანში (შავსაყდარი) მოიხსენიებიან გიორგი ესტატეს ძე პატიაშვილი, გიორგის შვილები: ესტატე, ადამა, ივანე, სანდრო, ზაქარია ესტატეს ძე პატიაშვილი, დიმიტრი დათოს ძე პატიაშვილი შვილებით: დავითი და ივანე (სცსსა, ფ. 254, 3, №112, საქმე №76, ფ. 168-176); ვარდისუბნელი (დღევ. შავსაყდარი) დიმიტრი დავითის ძე პატიაშვილი და მისი მეუღლე მელანია ივანეს ასული დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 1874 წ. ნათლავენ შვილს გიორგის. მიმქმელი იყო მარაბდაში მცხოვრები რამაზ ალექსის ძე (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); „თბილისის უეზიდის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრებელი სახაზინო ყმა ზაქარია გიორგის ძე პატიაშვილი და ელისაბედ ადამის ასული ორნივე მართმადიდებლობითის სარწმუნოების აღსარებისანი ნათლავენ 1882 წელს ზაქარიას. მიმქმელი იყო ბარბარე იოსების ასული, თევდორე ფეიქრიშვილის ქვრივი. მღვდელი ზაქარია ბარნოვი, ფსალმუნი ილია თეთრაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1); ვარდისუბანს მცხოვრები ტეტია კარდანახელი მოკვდა და დამარხა ბორბალოს სოფლის შტატის მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ (489, აღწ. 6, საქ. 31, ფურ. 169, 1826 წ.); 1883 წ. 28 დეკემბერს ციებცხელებით გარდაიცვალა ვარდისუბანში მცხოვრები სახაზინო ყმის ესტატე გიორგის ძე პატიაშვილის ვაჟი. 2 წლის დავითი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); ვარდისუბანში მცხოვრები სახაზინო ყმა ესტატე გიორგის ძე პატიაშვილი და სჯულიერი ცოლი მისი ეკატერინა გორგის ასული 1883 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავენ შვილს მარიამს, მიმქმელი იყო ამავე სოფლელი გლეხი დიმიტრი დავითის ძე პატიაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. თ/წ. №1); 1885 წელს ვარდისუბანში ესტატე გიორგის ძე პატიაშვილი ნათლავს ვაჟს ალექსის. მიმქმელი იყო სოსია პეტრიაშვილის ასული ბარბარე (იქვე, 1885 წ.).

ამავე ძირისაა: **პატივაშვილი, პატისშვილი** (არდისუბანი, ვარ-

ფისუბანი, მარაბდა).

**ᲞᲐᲢᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **პატია** (დოკ., I, 434); პატიკაი (ისტ. დოკ., I, 66); **პატიკო** (კოლხ., 51, გეჯეთი, ალ. ღლ., 176).

„ქ. საამისა და ედიშერისა ქ. თაკვს 1721 წ. გიორგი პატიკაშვილი" (ვახუშტი, 118).

**ᲞᲐᲢᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **პატია** (დოკ., I, 434); მისი კნინობითი ფორმებია: **პატილა, პატიკა, პატინა...**

„ქ. ბატონის ტფილელისა, 1721 წ. ქ. ფიცხის მღვდელი პატინაშვილი (ვახუშტი, 46).

**ᲞᲐᲮᲣᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1700 წ.), **პახუმი, პახომ** (ბერძნ. ბეჭებგანიერი) (ალ. ღლ., 177); „პახუმაშვილი მოიხსენიება 1700 წ. „1700 წ. მოხისელებს: პაპუნა სადუნაშვილს, პახუმაშვილებს... ეწერათ სამასპინძლო. მოხისს ეწერა 50 სახასო მოლაშქრე (მოხისი).

**ᲞᲔᲜᲢᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲞᲐᲜᲢᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **პანტელა პანტელეიმონ** (ბერძ.) „ყოვლად მოწყალე" (ზ. ჭუმბ., 161). **პანტელა** (დოკ., II, 293); **პანტელეიმონ** (საქ. სიძვ., II, 256): პანტელეიმონ (ალ. ღლ., 175).

ივანე პენტელაშვილი, საბუთის დამწერი (დოკ., II, 158). „ქ. ხარალაშვილის როსებისა, 1721 წ. ქ. ლიპს ბერუა პანტელაშვილი" (ვახუშტი, 65).

**ᲞᲔᲞᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **პეპა, პეპენა** (საქ. სიძვ., I, 166): **პეპანა, პეპენა** (სახ. არქ. 1449, №2350); **პეპენა, პეპენია** (სოფ. ქუმისი).

„ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო. წინწყაროს, 1721 წ. ზურაბა პეპნიაშვილი" (ვახუშტი, 102).

**ᲞᲔᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.) საკ. სახ. **პეპუა** (დოკ., II, 262); 1817 წ. აღწ. ბორბალოში თავად ნინია იოსებ სოლოღაშვილის ყმად მოიხსენიება იოსეფ პეპუაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 269-270). ბორბალო.

**ᲞᲔᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **პეტრეს** (ბერძ.) „კლდე", „ქვა", კნინობითი ფორმებია: **პეტუა, პეტა, პეტო, პეტია.** სახელიდან პეტრე მოდის გვარი პეტრიაშვილი.

„ქ. მანგლელის ყმა მანგლის, 1721 წ. დათუნა პეტრიაშვილი" (ვახუშტი, 110).

ამავე ძირისაა: პეტუაშვილი (შდრ. სოფლები პ/თონეთი, ბორი-ბალო).

იხ. პ. პეტრიაშვილი (მანგლისი).

| | |
|---|---|
| პეტრიაშვილი | 3353 |
| თბილისი | 1587 |
| გურჯაანი | 186 |
| რუსთავი | 178 |

**პეტრიაშვილი** (1721 წ.), **პეტრე** (ბერძ. „კლდე", „ლოდი". შეადარეთ მთის ქანების (ქვების) შემსწავლელი მეცნიერების სახელწოდება პეტროგრაფია. სახელი პეტრე ძველთაგან ცნობილია ქართულში. საკმარისია გავიხსენოთ V ს. გამოჩენილი ფილოსოფოსი პეტრე იბერი (ფსევდოდიონესე არეოპაგელი). პეტრეს კნინობითი ფორმებია პეტრია, პეტია, პეტა, პეტო, პეტუა, მისგან მოდის გვარები: პეტრიაშვილი, პერტაია, (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 362); **პეტრე** (ბერძ.) კლდე, გინა ფიქალი, გინა განმარტება, გინა განჴსნა, გულისხმის ყოფა.

პეტრე იყო ქალაქის ბედსაიდით, ძმა ანდრიასი და მან დაამოწაფა ქრისტესა ჳელოვნებითა მებადური, თავი მოციქულთა, რომელსა ეწოდა კლდე. პირველად იქადაგა ანტიოქიას. მერე ალექსანდრიას და წარვიდა ჰრომედ, ოცდახუთი წელი მუნ დაყო და ნერონის მიერ თავდამოქცევით ჯვარს ეცვა (საბა, 271).

„პეტრიაშვილი იყო ვანის მხრიდან, მხნე და ძლიერი მეომარი დედის ძმა გულვასილისა და წარჩინებული კაცი, რომელმანაც მრავალგზით ავნო სპართა მხედრობასა ქურდულის ზედასხმითა და ამათნი გვარნი დაშთნენ კახეთსა შინა წელსა 1108, მიიღეს აზნაურობა პეტრიაშვილობისა სახელისა გამო მამეულთა მისთა და მუნითგან ცხოვრობენ კახეთსა შინა" (საანდაზო ლექსები... 127): პეტრე პირველი, რუსეთის იმპერატორი. „ქ. მანგლელის ყმა მანგლის, 1721 წ. პეტრიაშვილი დათუნა" (ვახუშტი, 110); „ქ. სოლოღაშვილის იასეს ყმა ლოუბანს, 1721 წ. პეტრიაშვილი ბერუა, პეტრიაშვილი თევდორე" (იქვე, 140): „ქ. მონასტერს იასეს ყმა... პეტრიაშვილი მამუკა" (იქვე, 141); „ქ. მონასტერს იასეს ყმა... პეტრიაშვილი აბრამა" (იქვე, 141) პეტრიაშვილი გლახა მეუღლე მაია., ვაჟები: ნინია, პეტრე, გაბო, გიორგი, დავითი, ქალიშვილი მართა, გლახას ძმები: უფროსი იოსებ-ბი, ვაჟი ზურაბი, საშუალო თარიმანი, მეუღლე მარიამი, შვილი აბრამი, უმცროსი ვაჟი პავლე, მეუღლე მარინე, დედა ხამფერა (ლოუბანი, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, I, 802, ფურ. 83-92).

იაკობ პეტრიაშვილი, მეუღლე თინათინი, შვილები: ვანო,

სოლომონი, პეტრე, დავითი, ქალიშვილები: მაია, ბარბარე, ძმა იოსებ პეტრიაშვილი, მეუღლე თამარი, დისშვილი გიორგი, დედა მაია, მოიხსენიებიან სოფ. ბორბალოს 1823 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83); ზაქარია ბარათაშვილის დროებით ვალდებულ გლეხად დიდ ენაგეთს 1873 წელს მოიხსენიება ზაქარია ელიზბარას ძე პეტრიაშვილი, შვილები: მიხა, იოსები, ძმები ზაქარია, თათო, იაგორა, იაგორას შვილი ილიკო, ივანე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); დიდ ენაგეთში მცხოვრები ზაქარია ელიზბარის ძე პეტრიაშვილი და მისი მეუღლე ნინო ისაკის ასული ნათლავენ გიორგის. მიმქმელი ყოფილა მარიამ. ბერუას ასული ტატიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო, დიდ ენაგეთში მცხოვრები ზაქარია ელიზბარის ძე პეტრიაშვილი 1873 წელს ამავე სოფლის ეკლესიაში ნათლავს ქალიშვილ ნატალიას, მიმქმელი იყო თანასოფლელი ზაქარია გლახას ძე აზრუმელაშვილი (ფ. 489, აღწ. 9. 166, თ/წ. 1) (ასურეთი, ბორბალო, კოდა, დიდი ენაგეთი, მანგლისი-მონასტერი, ლოუბანი). პეტრიაშვილები იყვნენ აზნაურებიც (ი. ა.).

| |
|---|
| პოჩიკაშვილი 31 |
| *თეთრიწყარო 28* |
| *რუსთავი 2* |
| *თბილისი 1* |

**პოჩიკაშვილი // ყვავილაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **პოჩიკ-ა**, „...აქავ, კოდაზედ ტნუსელი **პოჩიკ** (სიც) პაპა" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 174): პოჩიკაშვილი. მოიხსენება სოფ. კოდაში 1851 წელს (სცსსა, ფ. 254, №2); ამავე კამერალური აღწერის სიაში არიან მოსე და საქულა პოჩიკაშვილები.

1873 წელს ერთ-ერთ პოჩიკაშვილს ერქვა ყვავილა. 1886 წლიდან ჩნდება ყვავილასშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, 119, საქმე №156, ფურ. 437-539; ფ. 254, №3, საქმე 240, ფურ. 633-602). თუში იქარაული გადმოდის კოდაში და იღებს პოჩიკაშვილების გვარს.

# ჟ

| ჟამიერაშვილი | 124 |
| --- | --- |
| თბილისი | 75 |
| თელავი | 31 |
| ფოთი | 5 |

**ჟამიერაშვილი** (1874 წ.), საკ. სახ. **ჟამიერა** (ი. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 28). // **ჟამიარაშვილი** (ქავთ. 295), მოხსენებულია დავით მეფის სიგელში 1710 წ. (თ. ჟორდ., ისტ. საბ. 35); შდრ. **ჟამიერეთი** (სოფელია ონის რაიონში, ი. მაისურ., 134): დიდ ენაგეთელ **ალექსი ზაქარიას ძე ჟამიერაშვილს** 1874 წელს შვილი მიხეილი მოუნათლა თანასოფლელმა გიორგი ივანეს ძე ბარათოვმა (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1): ამავე წელს შვილი ანდრია მონათლა ზრბითში მცხოვრებმა ანდრია ჟამიერაშვილმა. მიმქმელი იყო იქვე მცხოვრები იოსებ ივანეს ძე სომხიშვილი (იქვე); 1881 წ. დიდ ენაგეთელი ალექსი ჟამიერაშვილის მეუღლე ეთერი სოლომონის ასული ნათლავს პეტრე სოლომონის ძე ღარიბაშვილის შვილს დარიას (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1).

**ჟაჟუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჟაჟუა** (ისტ. დოკ., I, 32); „ქ. ციციშვილის ბაადურიშვილის ზაალისა. 1721 წ. ქ. სამღერეთს: ავეტიზა ჟაჟუაშვილი“ (ვახუშტი, 32).

**ჟურიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჟურა** (ჟურია) (ალ. ღლ., 180); „ქ. სოლაღასშვილის იასეს ყმა ქ. ტაგნაგეთს, 1721 წ. ...ბერუა ჟურიაშვილი“ (ვახუშტი, 141).

**ჟურიკაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჟურა** (ალ. ღლ., 180), ჟურას კნინობითი ფორმაა: **ჟურიტა, ჟურიკა, ჟურენტი;** „ქ. ენაგეთს ნოდარ სუფრაჯის ყმა **ჟურიკაშვილი** ამოვარდნილი“ (ვახუშტი, 112).

# რ

| | |
|---|---|
| რაზმაძე | 5574 |
| თბილისი | 2039 |
| გორი | 905 |
| [illegible] | 232 |
| რაზმიაშვილი | 231 |

**რაზმაძე//ელიკაშვილი//ოსიშვილი** 1664 წ.), საკ. სახ. **რაზმა. რაზმა** კვახაჯელი, მოიხსენიება 1750 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ზაალ ფალავანდიშვილი აძლევს იესე ამილახორიშვილს (საქ. მუზ., №9739 Hd; დოკ., I, 345); პაატა რაზმაძე მოიხსენიება 1664 წ. აზატობის წიგნში, რომელსაც გიორგი და ზაქარია თუმანიშვილები აძლევენ პაატა რაზმაძეს (სცსსა, ფ. 226. №327; დოკ., I, 370); მარაბდას 1781 წ. გერმანოზაშვილის სულხანის მამულში მოიხსენიება **რაზმაძე (ელიკაშვილი)** (ივ. ჯავახიშვილი, საქ. ს. ისტ. ძეგლ., I, 169; რ. თოფჩ., გვ. 108).

ამავე ძირისაა: საკ. სახ. **რაზმია // რაზმიაშვილი** (გ. ლეონ. სახელები) (მარაბდა).

ოსიშვილთა ერთ-ერთი შტო ბერუკაშვილებიდან წარმომავლობენ (იქვე, გვ. 108).

**რამაზაშვილი // რამაზიშვილი // ბაგრატიონი** (1709 წ.), **რამაზ** (არაბ.), მნიშვნელობა დაუდგენელია. შესაძლოა უკავშირდებოდეს მაჰმადიანთა მარხულობის თვის სახელწოდებას რამაზანს და ნიშნავდეს ამ თვეში დაბადებულს (შეადარეთ ქართ. აღდგომელა, მარტია, მაისა) (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 364). საკ. სახ., რამაზ, რამაზა საქ. სიძვ., I, 133).

**ვახუშტი ბატონიშვილი რამაზიშვილებს თავადთა შორის მოიხსენიებს.** „აწინდელთა მთავართა გვართათვის“ იგი წერს: „ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდან, ხოლო **რამაზიშვილი** და **დავითისშვილი** არიან **ავ-გიორგის ძის დიმიტრისაგან,** რომელი არჩენა მეფემან და არიან მიერითგან აქა“ (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 18); **აზნ. რამაზ** 1721 წ. აღწ. ნოცარ სუფრაჯის მემამულე ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ალგეთში; რამაზა მამასახლისი. 170/11 წ. აღწ. ყაფლანიშვილების წარმომადგენელი

ყოშა ქილასაში. რამაზ, მეფის ძე. 1551 წ. სწირავს მეფის ეკლესიას ყაზახებისგან აოხრებულ ფიცხისს (ის. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, 440); **რამაზ ვაჩნაძე ბებურიშვილი,** რამაზ თარხნიშვილი, რამაზ ჩოლოყაშვილი... (დოკ., I, 577); თეიმურაზ რამაზაშვილი მოიხსენიება როგორც აზნაური 1709 წ. ოქმში, რომელსაც მდივანბეგი ერასტი (ორბელიშვილი) აახლებს იასაულს (საქ. მუზ., №206 Qd: დოკ., I, 141); იასა რამაზიშვილი მოიხსენება როგორც მოწმე ბოგვში 1742 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული დათუნა საგინაშვილის მიერ თავის განაყოფ დურმიშხან ეშიკაღაბაშის შვილის გიორგისა და სხვათდამი (სცსსა, ფ. 226, №3934: დოკ., I, 309); ჩხიკვთაში 1873 წელს ცხოვრობდა დავით გიორგის ძე რამაზაშვილი (ფ. 489. აღწ. 9, №6. თ/წ., 1): ჩხიკვთელი ლაზარე ნინიას ძე რამაზაშვილი, მისი მეუღლე მელანია დიმიტრის ასული 1881 წ. ნათლავენ შვილს იოსებს. მიმქმელი იყო სახელმწიფო გლეხის მიხეილ ბაიდარაშვილის მეუღლე ტასია იოსების ასული (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1): რამაზაშვილები მოიხსენებიან აგრეთვე ქართლის ცხოვრებაში (ქართლ. ცხ., IV, 28). რამაზიშვილი ბაგრატიონთა შტო-გვარია. მოგვიანებით რუსული გაფორმებით **რამაზოვი.** შდრ. სომხ. რამაზოვი (ჩხიკვთა, ბოგვი, კოდა).

რამინაშვილი 264
*თბილისი 54*
*ქუთაისი 44*
*ხობი 26*

რამინიშვილი 45
*თბილისი 32*
*სამტრედია 4*
*აბაშა 2*

**რამინაშვილი // რამინიშვილი** (1800 წ.), **რამინ** (ინდურ-ირანულია). ეს სახელი ჰქვია „ვისრამიანის" მთავარ მოქმედ ვაჟს. ამ ძირიდანაა გვარი **რამინაშვილი. რამა** ინდური ღვთაების სახელია და ავესტის ენაზე ეწოდება მესაქონლეობის ღმერთს. სპარსულში **რამინ** მზის წლის მეშვიდე თვის 21-ე დღის სახელია. ეს ფრიდონის ზოჰაქზე გამარჯვების დღესასწაულია და ბედნიერ დღედ ითვლება. ასე რომ, **რამინ** შეიძლება ნიშნავდეს ამ დღეს დაბადებულს. სპარსულში მას მიღებული აქვს „მორჩილის", „მშვიდის", „დამჯერის" მნიშვნელობა (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 364); საკ. სახ. **რამინი.** იხ. რამინ ამირეჯიბი, რამინ ამირეჯიბი (ქუცნას ბიძა), რამინ ამირეჯიბი გობელისძე 1401-1415 წ. ამირეჯიბთა გვაროვნული სიგელი (ქრონ., II, 209, 211, 214, 215).

გაბრიელ რამინიშვილი იხსენიება აზრაში გაბრიელ რამინიშვილის ვალის თაობაზე შედგენილ გიორგი XII-ის ოქმში 1800 წ. 6 თებერვალს (ხელნ. ინსტ-ტი. Sd 416; ქართ. სამ. ძეგლ. VIII, 605).

**სანდრო რამინაშვილი** 1941 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. კაჩაეთიდან გადმოსახლდა ასურეთში.

რატიანი 1969
თბილისი 552
მესტია 253
ამბროლაური 205
რატიშვილი 124

**რატიანი** (1669 წ.), საკ. სახ. **რატი, რატი** კლდე-კართა ერისთავი ბაგრატ III-ის დროის (ქართლ. ცხ., I, 276); რატი ძე ლიპარიტისა, დაიღუპა გიორგი I-ლის დროს (იქვე, 284): რ., სურამელი ბეგასძე (ქრონ., II, 260, 266); რ., რაჭის ერისთავთ-ერისთავი; რ., ქსნის ერისთავი ქვენიფნეველის ძე, რ., წირქვალელი, გლონისთავის ძე (ქრონ., II, 72, 192): ნ. საკ. სახ. **რატია,** 1639-1657 წწ. (საქ. სიძვ., II, 79); ამავე ძირისაა რატიშვილი. ნ. ევდემოს რატიშვილი, მთავარეპისკოპოსი, 1669-1698 (ქრონ., II, 29): ლუარსაბ რატიშვილი, 1716 წ. (იქვე, 20).

**რატიანი** ასურეთში ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელიდან გადმოსახლდა 1941 წელს. რაჭაში ცხოვრობენ აგრეთვე ღვარდიაში.

**რატიშვილი // შალვაშვილი** (1682 წ.), **რატი** (ირან.) „ბატონი", ან „დიდსულოვანი", „სულგრძელი", ერისთავთა საგვარეულო სახელი. **„თავადი რატისშვილები არიან გვარით ქსნის ერისთავნი, აზნაურად ჩამოქვეითების შემდეგ" ასწყდენ ქსნის ერისთავთაგან და გადმოვიდნენ ქსნიდგან და დაეშენენ ქსოვრის სამუხრანოს ადგილსა შინა.** ხოლო ამა რატისშვილთაგანნა ბექან წოდებულ იქნა მეფის ვახტანგისაგან. ირაკლისაგანვე აღყვანებულსა **თავადობისა ხარისხსა შინა.** ხოლო ერთი ამათგანი სცხოვრობდა რუსეთისა შინა. ხოლო აწ არიან თავადად ბექან რატიშვილი, რომელიცა ვახტანგ დროსავე იწოდებოდა თავადად წელსა 1724 და მეფე ირაკლის დროს წელსა 1783-სა და აწ არიან ბექან რატიშვილები, ხოლო სხვანი არიან **აზნაურად შალვას შვილები** და სხვანი" (საანდაზო ლექსები 23); საკ. სახ. **რატი** (ალ. ღლ., 180): რ., ძე ლიპარიტისა, დაიღუპა გიორგი I-ის დროს (იქვე, 284); რ., სურამელი (ქართლ. ცხ., II, 34); რ., შვილიშვილი ბეგა სურამელისა (იქვე, 284; ალ. ღლ., 180): რატი რატიშვილი იხსენიება 1682 წ. ყმების ნასყიდობის წიგნში, რომელსაც იასე და სხვა ტერტერაშვილები აძლევენ მუხრანის თეიმურაზ ბატონიშვილს (დოკ., I, 71).

X ს. ცნობილია პოეტი-ჰიმნოგრაფი **რატი ორბელი.** ამ სახელიდანაა გვარები: **რატია, რატიანი, რატინიძე, რატიაშვილი, რატიძე:** მხარის სახელწოდება, რაჭა (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 3Ⴑ÷).

რევაზიშვილი 2155
რევაზაშვილი 314
რევაზოვი 126

**რევაზიშვილი // რევაზაშვილი // ქაიხოსროშვილი // ბექანისშვილი // ერასტისშვილი // გივისშვილი. რევაზიშვილი** (1465 წ.), **რევაზ** არაბული სპარსული წარმოშობის სახელია, ნიშნავს „კმაყოფილს“. მოფერებითი ფორმებია: **რეზო, რეზიკო,** აწარმოებს რევაზიშვილის გვარს (ზ. ჭუმბურ., 364-365): **რევაზიშვილები** ისტორიულად **ამილახორთა** (არაბ. ამირ., ახურ.) „საჯინიბოს უფროსი“, ამირსპასალარის თანაშემწე, ცხენოსანი ჯარის უფროსი) შთამომავალნი არიან, „რომელნიც განიყოფებიან სხუა და სხუა სახელად: 1) **რევაზისშვილებად, 2) ქაიხოსროსშვილებად, 3) ბექანიშვილებად, 4) ერასტიშვილებად** და იმის ძმისწულებად, **5) გივისშვილებად,** ხოლო პირველი თავადობისა ადგილი და ამილახორობა სპასპეტობა იყო რევაზიშვილთა, რომელნიც უფროსნი იქნებოდნენ სახლში, ხოლო სხუათა აქუნდათ მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხნი და პატივი (საქ. სახ. მუზ., ხელნაწ. განყ-ბა. ფ. S, საქმე 550); „**თავადი გურჯი რევაზის შვილი**. ესენი არიან **ბარათაანთ** გვარისანი, გარნა გაუგვარდათ სახელი, სიმხნისა გამო, რომელ გურჯი რევაზად სახელდვეს თათართა, ოდეს ბრძოდენ მათ და რომელნიც ითარგმნების (**გურჯი რევაზ**) ქართველი რევაზ და ესე გვარი მიიღო რევაზმან დროსა მეფისა ვახტანგისისა წელსა **1703-სა** და მუნიდგან იწოდებიან გურჯი რევაზის შვილებად მისნი შთამომავლობანი და არიან რაოდენსამე სახლად სომხითსა შინა“ (საანდაზო ლექსები... 30); გაცვლის წიგნში (1671 წ.) მოწმეთა შორის მოხსენებულია შერმაზან რევაზაშვილი (საქ. სიზვ., I, 68); „ქ. გოშტაშაბიშვილის ამილღანბარისა ქ. აზიკს, 1721 წ. რევაზა რევაზაშვილი, მამილა რევაზაშვილი, ელიზბარა რევაზაშვილი“ (ვახუშტი, 55); დიდ თონეთში 1818 წელს სვიმონ ბერიანიძის შვილის გიორგის ნათლიად მოიხსენიება გაბრიელ რევაზიშვილი (სცსსა. ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ, №35, ფურ. 386-388); „ქ. წინანაურს რევაზიშვილი სეხნია“ (ვახუშტი, 56). **რევაზიშვილი** ნაწარმოებია კიდევ რამდენიმე წარჩინებულ საგვარეულოდან.

სოფელ კოდაში რევაზიშვილები მოიხსენიებიან 1781 წლიდან (აზიკი, ენაგეთი, დიდი თონეთი, კოდა, წინანაური).

რევიშვილი 1180
*ქუთაისი 595*
*თბილისი 177*
*სამტრედია 148*

**რევიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **რევი** (ალ. ღლ., სტუდენტთა კოლექცია, 181); **რევი** (გ. ლეონ., სახელები): **რ.** (პ. იგორ. მეფეთა სია, 317); **რ.**, (ქართლ., ცხ., I, 57).

რევ მართალი (ქრონიკ., I, 18): რევი მირიანის ძე (იქვე, 38); რევი, მირიან მეფის ძე (ქრონიკ., II, 519); ქუმსი რევიშვილი, მწიგნობარი (სიგელი მცხეთისა №25, წ. ქრონიკ., II, 437).

ბეჟანი და ზაალ რევიშვილები, აზნაურები 1721 წლ. აღწ. როსტომ და გუგუნა ნამანგლელევიშვილების მემამულეები, ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სკვირეთში: გიორგი რევიშვილი 1721 წლ. აღწ., მებატონე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სკვირეთში; სეხნია რევაზიშვილი, აზნ. 1721 წლ. აღწ. საამ და ედიშერ ბარათაშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ქციაში (ისს. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 441); ,,აქავ წყრის ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას აზნაურშვილი ბეჟან ზაალ, 1721 წ. (ვახუშტი, 120): ,,ქ. საამისა და ედიშერისა ქ. თაფანს 1721 წ. აზნაურაშვილი ამისი სეხნია რევიშვილი (იქვე, 119).

**რევანდაშვილი** (1558 წ.), საკ. სახ. **რევანდა** (ქრონიკ., II, 350); **რევანდა** (საქ. სიძვ., I, 356, 366, 344); ,,1558 წელს სიმონ მეფემ იოანე და ამილღაბარ ბარათაშვილებს უბოძა სოფელ დიდებაში ერთი მოსახლე. აქ მოსახლე რევანდაშვილი მისი მამულითურთ საუფროსოდ ერგო ამილღაბარ ბარათაშვილს" (საქ. სიძვ., II, 17); ,,ქ. გერმანოზაშვილის ოთარის ყმა ქ. გუდარეხს, 1721 წ. თამაზა რევანდაშვილი" (ვახუშტი, 135), ,,ქ. გოშტაშაბიშვილის ამილღანბარისა ,,. დიდებას 1721 წ. სეხნია რევანდაშვილი" (ვახუშტი, 53) (გუდარეხი, დიდება).

რეხვიაშვილი 4373
თბილისი 1484
ბოლნისი 746
ონი 372

**რეხვიაშვილი,** საკ. სახ. **რეხვია** (გ. ლეონ. სახელები). **იოსებ და ივანე რეხვიაშვილები** 1957 წელს გადმოსახლდნენ ჰიორიდან ასურეთში. ცხოვრობენ სოფლებში: გლოლა, ურავი, ჰიორა.

შდრ. რეხვიაშვილი (ასურეთი).

**რონიშვილი//რონაშვილი//ყორღანაშვილი** (1721 წ.), **რონ** (სპ.) ,,რვალისა", ,,სპილენძისა". აქედანაა ბაქარი რონიშვილი (ზ. ჭუმბ., ღედაენა ქართ., 365).

საკ. სახ. **რონი,** სოფ. მუხათი (საქ. სიძვ., II, 123); **რონი** (კოლხ., 56, ხორში); **რონა** (დოკ., II, 2); **იასე რონაშვილი (ყორღანაშვილი) გიორგის ძე,** 1737 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე **რონიშვილის (ყორღანაშვილის)** მიერ თავის ბიძაშ-

რონაშვილი 40
ქარელი 20
თბილისი 41
რუსთავი 3

რონიშვილი 566
თბილისი 205
ქუთაისი 107

ვილ ზაალ როსტომაშვილისათვის (დოკ., I, 266); „ქ. მუსხელიშვილის დემეტრესი სამღერეთს, 1721 წ. ბექუა როინაშვილი“ (ვახუშტი, 40).

| | |
|---|---|
| როსებაშვილი | 94 |
| *კასპი* | *38* |
| *თბილისი* | *20* |
| *ახმეტა* | *18* |
| როსებიშვილი | 80 |

**როსებთაშვილი // როსებაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **როსაბ** (საქ. სიძვ., III, 154); **როსებ** (საქ. სიძვ., II, 334); **როსეფ** (დოკ., I, 303); „ქ. სოლაღაშვილის იასეს ყმა ქ. მონასტერს, 1721 წ. სიყმია როსებთაშვილი“ (ვახუშტი, 140): „ქ. იარალაშვილის როშენისა სამაჩვეთს 1721 წ. აბრამა როსებაშვილი“ (იქვე, 62).

შდრ. გვარი როსება (მონასტერი, სამაჩვეთი).

**როსიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **როსაბ** (საქ. სიძვ., III, 154): **როსია** (ისტ. დოკ., I, 127); **როსაფ** (დოკ., I, 303). რ. კნინობითი ფორმა — **როსია**.

„ქ. მდივნის გიორგისა სამაჩვეთს, 1721 წ. ბოგანო როსიაშვილი“ (ვახუშტი, 69).

| | |
|---|---|
| როსტაშვილი | 21 |
| *დუშეთი* | *7* |
| *რუსთავი* | *6* |
| *თბილისი* | *5* |

**როსტაშვილი** (1721 წ.) წარმომადგარა სახელიდან **როსტომ. როსტომ** (სპ.) სპარსეთის ლეგენდარული გმირის სახელია და ამიტომ ხშირად ითარგმნება როგორც „ლომი“ ან „გმირი“. სინამდვილეში შედგება ორი სიტყვისაგან **რუსტ** „სიმაღლე“ (იგივეა, რაც რუს. рост) და ტაჰმ „ძალა“. სპარსულად გამოითქმის **რუსტამ**; აქედანვეა მიღებული რუსული რუსლან (ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართ., 365); კნინობითი ფორმებია: როსტია, როსტევან, როსტევანა, როსტია, როსტო, როსტოხანი; „ქ. იარალიშვილის ვახტანგისა ქ. სამაჩვეთს: პაპუა როსტაშვილი“ (ვახუშტი, 66).

| | |
|---|---|
| როსტიაშვილი | 1946 |
| *თბილისი* | *758* |
| *მცხეთა* | *418* |
| *საგარეჯო* | *363* |

**როსტიაშვილი** (1776 წ.), **როსტომ** (სპ.), სპარსეთის ლეგენდარული გმირის სახლია და ამიტომ ხშირად ითარგმნება როგორც „ლომი“ ან „გმირი“. სინამდვილეში შედგება ორი სიტყვისაგან **რუსტ** „სიმაღლე“ (იგივეა, რაც რუს. рост) და ტაჰმ „ძალა“. სპარსულად გამოითქმის რუსტამ; აქედანვეა მიღებული რუსული რუსლან.სპარსული ხალხური ეტიმოლოგიით, რომელიც დაცულია ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“, ამ სახელს საფუძვლად უძევს გამოთქმა ბერასთამ — „შვება ვიგრძენი“, „გავთავისუფლდი“ (ასე თქვა თითქოს როსტომის დედამ, რომელსაც ძალიან გაუჭირდა ამ გოლიათი ბავშვის შობა). ამ სახელის პოპულარობას ჩვენში დიდად შეუწყო ხელი ფირდოუსის „შაჰ-ნამემ“, რომელსაც ქართულ თარგმანში „როსტომი-

ნი'' ეწოდება, მაგრამ ეს სახელი ქართულში უფრო ადრეც გვხვდებოდა (X ს.), მისგან ნაწარმოებია გვარები: **როსტომაშვილი, როსტიაშვილი, როსტოშვილი** (როსტია, როსტო მოფერებითი ფორმებია) (იხ. ზ. ჭუმბ., 365), ქიტუა როსტომაშვილი, მოიხსენიება 1776 წ. მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული გიორგი ქებაძის მიერ თავისი ბატონის სახლეკაცის პაპუა თუმანიშვილისადმი (დოკ., II, 98); 1853 წ. როსტიაშვილები ცხოვრობენ სოფ. წყლულეთში. ამავე წელს იოსებ როსტიაშვილი საცხოვრებლად გადადის კახეთში (სოფ. მამკოდაში, დღევ. თბილისის-სამგორში) (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 339-346) (წყლულეთი).

| როსტომაშვილი | 1288 |
|---|---|
| თბილისი | 367 |
| საგარეჯო | 249 |
| თელავი | 180 |

**როსტომაშვილი // მეც[ი]ქკვიშვილი // ინაშვილი // სარდლიშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ინა**, ამავე ძირისაა: **ინაძე, ინაური, ინაიშვილი, ინალიშვილი.**

1843 წ. პატარა თონეთში მოიხსენიებიან: **მეც[ი]ქკვიშვილი, იგივე როსტომაშვილი, პეტრე როსტომაშვილი, იგივე ინაშვილი** (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, 1843 წ. ფურც. 310-322).

შდრ. როსტიაშვილი (პატარა თონეთი, მარაბდა).

**როსტომაშვილი // სარდლიშვილი** (1873 წ.), **როსტომ** (სპ.) სპარსეთის ლეგენდარული გმირის სახელია.

**როსტომაშვილი,** იგივე **სარდლიშვილი** მოიხსენიება დიდ თონეთში 1873 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №127, აღწ. №319, ფ. 175-209).

შდრ. **როსტომაშვილი — ინაშვილი, როსტიაშვილი** (დიდი თონეთი).

| როჭიკაშვილი | 295 |
|---|---|
| თბილისი | 116 |
| თელავი | 19 |
| რუსთავი | 8 |

**როჭიკაშვილი** (1698 წ.), საკ. სახ. **როჭიკა** (სახ. არქ. 1449 №1221; ალ. ღლ., 182); **როჭიკი,** ზგდი. მნიშვ. **ულუფა, საზრდო, ქირა, ჯამაგირი** (ქეგლ): **როჭიკ-ვახუშტი** როჭიკაშვილი, 1698 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვახუშტი როჭიკაშვილის მიერ დავით ქადაგიშვილისადმი (დოკ., I, 104-105), როსტომ, ბეჟან, ედიშერ და სხვა როჭიკაშვილები (იქვე, 581); ,,აქავ მარაბდას ეკლესიას ხიზანი როჭიკაშვილის ყმა ქიტუა'', 1781 წ. (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ; I, 171) როჭიკაშვილებიდან იღებენ სათავეს **ლიკაშვილები, კლდიაშვილები, ვარაზაშვილები** და სხვ. (მარაბდა).

**რუადაშვილი** (1721 წ.), ,,ქ. აბულფათიშვილის ბეჟანის ყმა ღებას: 1721 წ. **ხუცია რუადაშვილი**'' (ვახუშტი, 138).

# ს

საკაშვილი 526
თბილისი 155
მცხეთა 98
ახმეტა 77

**საკაშვილი** (1823 წ.), **ისაკ** (ძვ. ებრ.) „მოცინარი“ (სიტყვა-სიტყვით „ის გაიცინებს“). „ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, პატრიარქ აბრამის ცოლს სარას, რომელსაც დიდხანს შვილი არ ჰყავდა, უკვე მოხუცებულობის ჟამს უწინასწარმეტყველეს, რომ ვაჟი გაუჩნდებოდა. მან არ დაიჯერა ეს და გაეცინა. შემდეგ კი, როცა წინასწარმეტყველება აუხდა, ვაჟს **ისაკი** დაარქვა“ (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 346-347); **ისაკ** (დოკ., II, 124); კნინობითი ფორმებია: **საკა, სისაკა.**

**ისაკ**-ი როგორც **წმინდანთა** სახელი ეკლესიაში იზეიმებოდა 21 აპრილს, 21 სექტემბერს და 20 ნოემბრეს.

ნონია საკაშვილი, ქალიშვილი თამარი, ძმა დათუა საკაშვილი, მეუღლე ნანუა, ვაჟი არუთინა ქალიშვილი ორომსიმა, რძალი ანა, ვაჟი მოსია, ქალიშვილი თათია მოიხსენიებიან სოფ.ვაშლოვანში 1823 წლის აღწერაში (სცსსა, ფ.254, 1, 802, ფურ. 99-105).

საკაძე 196
თბილისი 131
მცხეთა 24
ბოლნისი 16

**საკაძე//თარხნიშვილი//ალიყულიშვილი** (1580 წ.), **საკაძენი** ადრე ტანის ხეობაში სახლებულან (დღევ. გორის რ.), მე-16 ს. ბოლოდან ნოსტეში გადასულან. გიორგი საკაძის შემდეგ მათი შთამომავალნი **თარხან-მოურავად** წოდებულან, ამჟამად კი **თარხნიშვილებად** არიან ცნობილნი (ქართლ. ცხ., IV, 35; გ. ჯამბურია, გიორგი საკაძე, თბ., 1964, გვ. 20-34); საკაძეებს ფრიდონის შვილებს და იოანეს მათი სამართლიანი კერძით ებოძათ 1580 წ. სამღერეთში, ახალშენში, აბელიაში (ის. ლორთქ., ქვ. ქართ., § 71-4, 71,565); მერაბ და სიაუშ საკაძეებს 1588 წ. ებოძათ შალვა ჯავახიშვილისა და მისი ძმების კერძი ოძისში (გამოურკვეველი მხარის) (იქვე, 71-518); გიორგი საკა-

ძმის ქალაქის ამირთამირას 1608 წ. ებოძა საბარათიანოში სოფ. [illegible]წანისი (იქვე, § 71-364); თაყა სააკაძეს 1626 წ. ებოძა საბარათაშვილის ბორცვის ჯვარი, ამოვარდნილი, ელამადათას ნაქონი (იქვე, § 71-128); სააკაძეები შვილები შიოშისა: გოდერძა, შერმაზანა, შიოშის [illegible]ყოფი ბუასანი 1643 წ. სამღერეთის, ახალშენის, ლორისთავის მებატონეები არიან (იქვე § 71-71, 565, 713); „როსტომ მეფემ უბოძა [illegible]ზ ბარათაშვილს ლორისთავს მდებარე ბეჟან სააკაძის კერძი [illegible]ელი, გოდერძისა და შერმაზანის მამის კერძს გარეთ“ (1643, III, [illegible] Hd 14445); სააკაძეები დიდის მოურავის შვილები: თარხანი, იორამი, მათი შვილები: გიორგი, ავთანდილ, წინამძღვარი, ქრისტეფორე, დათუნა, შიოშ, ზურაბი. 1663 წ. ჯავახიშვილებთან დამოყვრების გამო უბრუნებენ სააკაძეებს ნახევარ ოძისს (გამოურკვეველ [illegible]რეს, იქვე, § 71-518); ავთანდილ სააკაძე 1673 წ. გაცვლის წიგნში [illegible] ენაგეთში დასახელებულია მოწმედ (საქ. სიძვ., I, 69); ივანე სააკაძე, ნიკოლოზ და ბახუტა სააკაძეებთან ერთად 1717 წ. იხსენიება როგორც მებატონე სათვანეთში და ჩხიკვთაში.

**სააკაძე-ალიყულაშვილი ბახუტა,** დემეტრე, ვახუშტი, ზაზა, ზურაბი, იორამ, მერაბ, ყულგრძელი ნიკოლოზ, აზნაურ-მებატონეები, 1721 წ. აღწ. ყმები ჰყავდათ ქვ. ქართლში (**ისს. ლორთქ.**; დასახ. [illegible], 442-443); სააკაძეები ძველად ქვ. ქართლშიც ცხოვრობდნენ (იქვე, 443).

**გიორგი სააკაძე, გიორგი სიაუშის ძე, დიდი მოურავი** (დაახლ. 1570 წ. სოფ. ფული, – 3.X.1629 წ. ოსმალეთი), საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. საქართველოს გაერთიანებისათვის აქტიური მებრძოლი. სააკაძის წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ და თეძმის ხეობაში ჰქონდათ ფეოდალური სამფლობელო, რომლის ცენტრი იყო სოფ. ნოსტე. იქ ჰქონდა სააკაძეს სასახლე, ციხე-კოშკით და კარის ეკლესია, სოფ. ერთაწმინდას კი – საგვარეულო მონასტერი. სააკაძის სამფლობელოში 40-მდე სოფელი შედიოდა იქ მცხოვრები ყმა-გლეხებითა და მსახურებით (რომელთა ნაწილი შემდეგ გააზნაურდა) (ქსე.535).

**დიმიტრი სააკაძე** (დ. XVII-XVIII სს. მიჯნაზე, გ. დაახლ. XVIII ს. 80-იან წლებში), **ქართველი პოეტი**. იყო სოფ. ბობნევიდან (ატენის ხეობა); ზურაბ გიორგის ძე სააკაძე (გ. დაახლ. 1607 წ.), მეფე სიმონ I-ის დაახლოებული პირი, გიორგი სააკაძის ბიძა, ქართლის მეფის

**სახლთუხუცესი** 1590-1607 წწ.; **იორამ გიორგის ძე სააკაძე** (გ. 164 წ.) - გიორგი სააკაძის მესამე ვაჟი, ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ მამასთან და ოჯახთან ერთად ოსმალეთში გადაიხვეწა. მამის სიკვდილის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და იმერეთში ყვავილით გარდაიცვალა. **იორამ სააკაძის ჩამომავლები თარხნიშვილებად იწოდებიან** (იქვე, ქსე, 536); **სააკაძე პაატა გიორგის ძე** (გ. 1625 წ.) - გიორგი სააკაძის მეორე ვაჟი. მძევლად იყო ირანში შაჰ-აბას I-ის კარზე. 1625 წ. ქართლ-კახეთში აჯანყების დაწყების შემდეგ შაჰის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს და მამას გამოუგზავნეს საქართველოში, ტანი კი კათოლიკე მისიონერებს დაუსაფლავებიათ ისპაანში. მოგვიანებით გიორგი სააკაძემ თბილისელი ვაჭრების დახმარებით ფარულად ჩამოასვენა საქართველოში და საგვარეულო მონასტერში, ერთაწმიდაში დამარხა.

**როსტომ-ხან სააკაძე** (1588-1642/43 წ. მეშჰედი). სპარსეთის სამეფო კარზე მოღვაწე ქართველი მხედართმთავარი; **სიაუშ გიორგის ძე სააკაძე** (გ. დაახლ. 1606 წ.). გიორგი სააკაძის მამა. მეფე სიმონ I-ის უახლოესი თანამოღვაწე, მისი მრჩეველი - სალაროს მოლარე და მოურავი (სავარაუდოა თბილისისა); სააკაძეები (დემეტრე ალიყულაშვილი). სააკაძეები აზნაურებად იხსენიებიან 1721 წ. სიგელში (სიძვ., II, 176). ყველა სააკაძის ყმების საერთო ჯამი გამოთვლილია სწორად: 11 გამომღები, 7 ბოგანო (იას. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. I და II, 181); სააკაძე (1972 წ-მდე საცხენჰესი), სოფელი გარდაბნის რაიონში (მარტყოფის საკრებულო (აბელია, ახალშენი, ენაგეთი, სათვანეთი, სამღერეთი, ღორისთავი, ჩხიკვთა, ჯალდამი).

სააᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ 43
თბილისი 24
გორი 8
თელავი 2

**ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1728 წ.), სააკ. სახ. **საამ** (დოკ., I, 163); **საამ-ი** (საქ.სიძვ., II, 471); **საამა** (დოკ., II, 24); **საამ** 1721 წ. აღწ. მელიქიშვილი პაპუნას და ძმების უყმო აზნაური დიდ გორუმში (იას. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, §78); ედიშერ საამისშვილი მოიხსენიება მოწმედ 1728 წ. ყმისა და გაყრის წიგნში (დოკ., I, 224). საამიშვილი ბარათაშვილთა, ფიცხელაურთა და მაყაშვილთა შტო(განაყოფი) გვარია.

ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1304
გორი 540
თბილისი 303
საგარეჯო 129

**ᲡᲐᲑᲐᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), რთულფუძიანი (ორშემადგენლიანი) გვარი, საკ. სახ. **საბა** (ბერძ.) „ქ. საბის მცხოვრები“, ზოგან იგი ახსნილია როგორც ებრაული წარმოშობის სახელი, რომელ-

ნიშნავს „თავისუფლებას მოკლებულს“, „ტყვეს“ (ზ. ჭუმბ., 163).

**საბა** (ძვ. ებრ. თავისუფლებას მოკლებული; არაბ. მოხუცი, პაპა) (საქ. სიძვ., II, 35) (ალ. ღლ., 183); **გულა** საკ.სახ. (კოლხ., 48, ...ენაკი); **გულაია** (კოლხ., 103, ზუგდიდი, ალ. ღლ., 107); ...ქირმანის ხანისა დურნუკს: ...**ივანე საბაგულაშვილი**“ (ვახუშტი, ...).

**საბაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **საბა** ძვ. ებრ. თავისუფლებას მოკლებული, არაბ. მოხუცი, პაპა (საქ. სიძვ., II, 35); **საბაია** (კოლხ., ...ოდიში, ალ. ღლ., 183); ეს სახელი ერქვა არაერთ ქართველ მოღვაწეს, მაგალითად, ქართლის კათალიკოსი, **საბა,** I (523-552 წწ.), საბა II (1146-1159 წწ.), გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილი და თანამოღვაწე **საბა იშხნელი** (..,-.7 სს.) და სხვანი. ბერად შედგომის შემდეგ **საბა** ერქვა დიდ მწერალსა და ლექსიკოგრაფს **სულხან ორბელიანს** (1658-1725 წწ.). ძველად წესად იყო, რომ ბერად აღკვეცილ პირის სახელი უნდა შეეცვალა, ოღონდ ახალი სახელი ძველს ემთხვეოდა საწყისი ბგერით. სწორედ ასეთია სულხან-საბა. **საბა**-საგან ნაწარმოებია გვარები **საბაშვილი** და **საბიაშვილი** (**ზ. ჭუმბურ.**, ...ენა ქართ., 366); „...პაპა მაკარის ძე საბაშვილი, მეუღლე ელენე, ...ები გიორგი, ვანო, მაკარიძე, პეტრე, ქალიშვილები მართა მოიხსენიებიან 1823 წელს სოფ. ერტისში“ (სცსსა, ფ.254, 1, 802, ფურ. 93-98).

**საბამღვდლისშვილი** (1819 წ.), რთულფუძიანი საკ. საკ. საბა (ძვ. ებრ. თავისუფლებას მოკლებული; არაბ. მოხუცი, პაპა; საქ. სიძვ., II, 35); **მღვდელი** – სასულიერო პირი ქრისტიანული ეკლესიის მსახური, რომელიც საეკლესიო წესს ასრულებს, ხუცესი (ქეგლ); შესაძლოა სულაც გვარი მღვდელ საბასთანაა დაკავშირებული.

1819 წელს სოფ. წინწყაროში მცხოვრები სვიმონ საბამღვდლისშვილი ნათლავს შვილს ანას (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ, ფურ. 186).

| | |
|---|---|
| საბანაძე | 789 |
| ...ბოლოსი | 376 |
| ...ურიო | 163 |
| ...ულიავი | 43 |
| საბანიძე | 82 |

**საბანაძე** (1873 წ.), საკ. სახ. **საბანა,** ქსნის ხეობა, ლარგვისი, გვარში **საბანაძე** (ალ. ღლ., 183); საკ. სახ. **საბანი** (ილ. მაის., 140), შდრ. იოანე საბანის ძე (მწერალი, VIII ს.). ამავე ძირისაა: **საბანიძე, საბანაშვილი** (ქრონ., III, 784); ნ.საბანაძე, 1795 წ. 13 თებერვალი, ხეთაში საბანაძე (სცსსა, ფონდი 1450, დავთარი №26, საბუთი №220).

ღვევის მამასახლისი 1873 წ. იყო **საბანაძე**. წერა-კითხვის ერთ-ერთი მცოდნე ვერეს ხეობის სოფლებში.

**საბასკომბლიშვილი** (1781 წ.), რთულფუძიანი (ორშემადგენლიანი) გვარი. საკ.სახ. **საბა** და **კომბალი** (კომბლისა), მრგვალთავიანი დიდი ჯოხი (ქეგლ.). სავარ. მეტსახელიც. შდრ. საბახტარაშვილი, საბახტარიშვილი.

„აქავ მარაბდას საამიშვილების ყმა ტეტია საბასკომბლიშვილი 1781 წ.“ (ივ.ჯავახ., სეიძ., I, 170).

საგინაშვილი
1035
*თბილისი 410*
*საგარეჯო 377*
*თელავი 63*

**საგინაშვილი//ფარემუზაშვილი//ინდოშვილი//ზურაბიშვილი//დესპოზიშვილი//საგინოვი** (1699 წ.), საკუთარ სახელად ქცეული ანტიკური ეთნონიმი **საგინა**. პროკოპი კესარიელის ცნობით (VI ს. ჩვ.წ.ა), ჯიქებს ზემოთ **საგინები** („საგინა“) ცხოვრობდნენ (ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., I, 1960, 427).

სხვა ვარიანტით, **„თავადი საგინაშვილი.** ამათნი შთამომავლობანი არიან სპარსთ მთავრისა, **საგად** წოდებულისა, რომელიცა საგ მთავარი დაადგინა სალილ არაბმან, ამირად წოდებულმა. ესე საგ დაადგინა ტფილისსა შინა გამგედ წელსა ქრისტეს აქეთ 787-სა დროსა აშოტ მეფისასა და მერე ამა საგისა დაშთომილნი შთამომავლობანი იწოდნენ საგინაშვილებად **თავადად** მეფეთაგან და არიან ორად: 1) სომხითსა შინა მოსახლენი, კახეთსა შინა“ (საანდაზო ლექსები, ...41); საგინა ხიმშიაშვილი, ციცი ციციშვილის მამულში, მოიხსენიება 1699 წ. ყმის ჩუქების წიგნში, მიცემული ციცი ციციშვილის მიერ ოხიაყორჩი პატრონ როსებასადმი (დოკ., I, 47); საგინა ხევსური (დოკ., I, 16, 1616 წ.); ზაზა საგინაშვილი მოიხსენიება 1699 წ. „...ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ საგინასშვილმან ზაზამ თქვენ გოსტაშაბიშვილს მანგლელს ბატონს ნიკოლოზს ასე რომელ (sic) მოგყიდეთ ჩვენი ნასყიდი ჩხიკვთას **მამუკასშვილი შიო** და მისი შვილი მამუკა“ (საქ. სიძვ., I, 76).

**საგინაშვილებს** ყმები ჰყავდათ და მამულები ეკუთვნოდათ სოფლებში ჩხიკვთაში, არდისუბანში, ენაგეთში, კოდაში და სხვაგან; **„სეხნია საგინაშვილმა** არდისუბანში ვარდუა **მარქარაშვილს** მიჰყიდა თავისი სამკვიდრო მამული **მახარაშვილისა** და გიორგის საძოვრებამდე“; **ბექან საგინაშვილი – ფარემუზაშვილი** 1721 წ. აღწ. მება-

> ფარემუზაშვილი 64
> ფარემუზოვი 84
> ...ვე საგინაშვილ-ფარემუზაშვილები ...არიან (ი.ა.).

ტონე, ეკუთვნოდა მხარეები: ალგეთი, დბანისი, ქცია; **საგინაშვილ პაპუნას** – ალგეთი, დბანისი, ქცია, **პაატა საგინაშვილს** – ალგეთი, დბანისი; **დურმიშხან საგინაშვილს** – ალგეთი, დბანისი; **დათუნა საგინაშვილს** – ალგეთი, ქცია; **საგინაშვილ-ზურაბიშვილს** – ალგეთი, დბანისი, ქცია; **იოსაფათ საგინაშვილს** – ალგეთი, დბანისი; **ქაიხოსრო საგინაშვილს** – ალგეთი, ქცია; **საგინაშვილ-ინდოშვილს** – ალგეთი, ქცია; **როსტომ საგინაშვილს** – ალგეთი, სომხითი; **გორჯასპი საგინაშვილი** 1733 წ. ყიდის ჩხიკვთის მამულს, **ინდო საგინაშვილი** (აქედან **ინდოშვილი** – ი.ა.) 1717-1721 წ. ესარჩლება საგინაშვილ-ფარემუზაშვილს გაყიდული ადგილების გამო (სიძვ., №380); **იოსაფათ საგინაშვილი** 1721 შ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა ალგეთში, ეხნია საგინაშვილი ამოვარდნილი, მისი მამული 1717 წ. ებოძა სააკაძეებს; **ბესპაზ საგინაშვილი,** მოურავი ყაზანჩისა და ქვემო ორ-ლუსი (ის.ლორქ., ქვ.ქართლ., ნაწ.III და IV, გვ. 443-444); **საგინაშვილი-დესპოზიშვილი** (შდრ. **ბესპაზ**) დათუნა მოიხსენიება 1742 წ. სოფ.ბოგვს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (სცსსა, ფ.226, №3934); სოფ. ჩხიკვთაში მცხ. აზნაური ივანე ზურაბის ძე საგინოვი (საგინაშვილი) 1873 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ვაჟს კონსტანტინეს. მიმქმელი იყო ქართული პოლკის პორუჩიკი ივანე პაატას ძე **გურგენიძე** (ფ. 489, აღწ. 9, №6, თ/წ.1); **ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი** (15.XII. 1808-1887), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი; დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1826 წ. 1827 წლიდან მონაწილეობდა მრავალ ლაშქრობაში; **სოფელ კოდაში აღადგინა ქართული ეკლესია; გაბრიელ საგინაშვილი,** XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დასაწყისში ქართველი კალიგრაფი, დავით გარეჯის ბერი.

როგორც წესი, XVIII-XIX სს. მებატონეები რამდენიმე გვარს ატარებდნენ. ეს იმავე საგვარეულო სახელებიდან ნაწარმოები შტოგვარებია (იხ. ბარათაშვილები, ციციშვილები და სხვ.). საკუთარ სახელებიდან – **ფარემუზა, ინდო, ზურაბი გაჩნდა გვარები: ფარემუზაშვილი, ინდოშვილი, ზურაბიშვილი.**

მოგვიანებით რუსული გაფორმებით **საგინაშვილი (საგინოვი)**.

შდრ. თუმანოვი, ფალავანდოვი, ბარათოვი და მისთ. გახადეს. სუფ-იქსი შვილი, ფორმანტმა **ოვი** შეცვალა.

კანცელარიის მრჩეველ **ალექსანდრე ივანეს ძე საგინოვს** 1886 წელს მიწები ეკუთვნოდა პატარა ენაგეთს, მარაბდას, მაწევანსა და ჩხიკვთას. სულ მეორე – მესამე კატეგორიის 428 ქცევა, შემოსავალი 11 მან. და 20 კაპ. კაპიტან **როსტომ ივანეს ძე საგინოვს** 240 ქცევა, შემოსავალი 6 მან. და 10 კაპ., **ბექან როსტომის ძე საგინოვს** ჩხიკვთასა და მაწევანში – 40 ქცევა, შემოსავალი 1 მან. და 10 კაპ. პოლკოვნიკ **ივანე ბესარიონის ძე საგინოვს** – ბოგვში, ჩხიკვთაში, ხოპისში, კოდაში, კუმისში, ლოუბანში, შინდისში, მუხათში, იალღუჯაში, სოღანლუღში, გუდელისში, ბევრეთში, ტაბახმელაში – I კატეგორი-ის 195 ქცევა, მეორე – 640, მესამე – 250. შემოსავალი 49 მან. და 34 კაპ. **დიმიტრი როსტომის ძე საგინოვს** ჩხიკვთასა და მაწევანში ეკუთვნოდა 151 ქცევა, შემოსავალი შეადგენდა 3 მან. და 33 კაპ. **ივანე ზაქარიას ძე საგინოვს, მიხეილ და ნიკოლოზ ზაქარიას ძეებს** სოფლებში ჩხიკვთა და ხოპისი – 120 ქცევა, შემოსავალი 3 მან. და 5 კაპ. (ფ.254, აღწ. 3, №2057, ტიფლისის მაზრის მიწათმფლობელთა სია, ფურ. 1-145); საგინაშვილები იყვნენ ყმებიც. მაგალითად, ენაგეთის მცხოვრები სახაზინო ყმა იოსებ გიორგის ძე ერწოელი და მისი მეუღლე ნათლავენ შვილს დიმიტრის. მიმქმელი იყო სახაზინო ყმა გიორგი ივანეს ძე საგინაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1885 წ.).

სადუნაშვილი 307
*ქარელი 74*
*თბილისი 52*
*გორი 42*

სადუნიშვილი 539
*საჩხერე 284*
*თბილისი 95*
*ჭიათურა 54*

**სადუნიშვილი//სადუნაშვილი** (1523 წ.), **სა-დუნი** „სხუა და სხუას ენის მცოდინარე კაცი" (საბა).

**სადუნიშვილები** მოხსენიებული არიან ბარათაანთ გაყრის წიგნში 1523 წ. ისინი გაყოფისას შეხვედრიან გერმანოზ ბარათაშვილსა და მის ძმებს (ხელნ. ინსტ. Ad 1299); აბრამ, კაცია, პაატა სადუნაშვილები, სეხნია სადუნაშვი-ლი, წინამძღვარი 1672 წ. (იქვე, 68, 357, 361, 426); ბასილა სადუნაშვილი – მოლაშქრე. 1721 წ. აღწ. ამილღაბარ გოსტაშაბაშვილის უყმო აზნ. ენაგეთში (ისს. ლორთქ., §§ 78, 34); ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ენაგეთის უყმო აზნ. სადუნიშვილი მოხსენიებულია „2 მოლაშქრით"

ვახუშტი, 1721 წ. 181).

| | |
|---|---|
| საზანდარიშვილი | 202 |
| ქართლი | 130 |
| იმერეთი | 49 |
| გურია | 9 |

**საზანდარიშვილი** (1843 წ.), **საზანდარი** (საზანდრისა), სპ. 1. ჩვეულებრივ მრ. საზანდრები – დასი, რომელიც შედგება საზის, თარის, ჭიანურის დამკვრელთა და დაირის დამკვრელ-მომღერლისაგან. საზანდრების (დამკვრელების) დასტა (ქეგლ.). 2. იგივეა, რაც მესტვირე. შდრ. **არუთინაშვილი, მესტვირიშვილი, მექანარისშვილი, მედოლიშვილი, ჭიანურაშვილი.**

**დავით, კონა, გაბრიელ საზანდარაშვილები** მოიხსენიებიან პატარა თონეთში 1843 წ. (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფ. 323-329); 1831 წელს პატარა თონეთში დავით საზანდრისშვილს დაებადა ვაჟი ქართნიერ ცოლთან ივანე ბერუაშვილის ასულ მარიამთან. განათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ და სახელი ეწოდა აბრამი. მიმქმელად იქვე თონეთში მცხოვრები გლეხი ივანე ასრათასშვილი (489, №6, 121 ბ, ფურც. 38); ამავე სოფლელი გიორგი საზანდარისშვილი 1831 წელს შვილს უნათლავს თანასოფლელ მათე ხუსიაშვილს (489, აღწ. №6, 121 ბ, ფურ. 36).ს. **დღეს იწერებიან საზანდარიშვილებად.**

| | |
|---|---|
| საკაშვილი | 107 |
| ჯავახეთი | 42 |
| კახეთი | 25 |
| გურია | 14 |

**საკაშვილი** (1699 წ.), საკ. სახ. **საკ-ი** (თუშ.-გ. ცოცან.,). **საკო** (თუშ, ს. მაკალ., 163; ალ. ღლ., 296).

ენაგელი **ყაზარა საკაშვილი** (1699 წ.) მოწმედ იხსენიება **ძუბა გიუაშვილის** მიერ შიოსათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნში (იას. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. I და II...); გრიგოლ საკაშვილი იულონ ბატონიშვილის არზაში (1794 წ.), რომელიც ეხება მემამულე ყორღანაშვილის ყმების გრიგოლისა და საქუას ყმობას (სცსსა, ფ. 1450, დავთარი №10 საბ., 86).

შდრ. სააკაძე, სააკაშვილი, პაატაშვილი, პატაშვილი (ენაგეთი).

| | |
|---|---|
| სალამაშვილი | 156 |
| კახეთი | 102 |
| იმერეთი | 31 |
| გურია | 9 |

**სალამაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახ. **სალამა** (სოფ. მუხათში. კაცი, რომელიც მისალმებისას „გამარჯობის" მაგიერ ამბობს სალამი, სალამს ეძახიან), ან წარმომდგარია საკუთარი სახელიდან **სალამონ** (ქართლ. ცხ., I, 372); ნ.სოლომონ. „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა, ქ. ირაგას,

1721 წ. **მარქარა სალამაშვილი**" (ვახუშტი, 57).

შდრ. **სალამ,** თურქ. ქართ. გამარჯობა (ამავე ძირისაა **სალამაძე**) (69 სულია).

**ᲡᲐᲚᲣᲠᲯᲐᲖᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **სალუყაზან-ი** (ქრონიკ., II, 244); **სალუყაზანა** (ძვ. საქ., განყ. III, 41).

„ქ. საკარის მსახლობელი **სალურყაზანაშვილი**" (ვახუშტი, 312).

ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ
1590
*თბილისი 727*
*გურჯაანი 299*
*გორი 271*
ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲫᲔ 26

**ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **სამადა** (სახ. არქ., 1449, №2114; ალ. ღლ., 184).

**სამადასშვილი** (სიძვ., I, 397); „ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს, ბერუა სამადაშვილი (ვახუშტი, 25); ბერუა სამადაშვილი (იქვე); „ქ. თამაზ ყარაბუდახიშვილის მამულში 1721 წ. ქ. ხორხებს, ოსიყმე სამადაშვილი, ამირა სამადაშვილი, (ვახუშტი, 74). ს. ცხოვრობენ ქართლში (შიდა, ქვემო), კახეთში და სხვ.

ამავე ძირისაა: **სამადაძე//სამატაძე** (დურნუკი, მანგლისი, ხორხები).

**ᲡᲐᲛᲐᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **სამანდ-ი** (ალ. ღლ., 184).
„ქ. თამაზ ყარაბუდახიშვილისა 1721 წ. ქ.კარაქას, დათუნა სამანდაშვილი, თევდორორე სამანდაშვილი" (ვახუშტი, 74); „ქ. გერმანოზიშვილის ოთარის ყმა, ქ.ვერხვნალას, 1721 წ. პაპუა სამანდაშვილი" (ვახუშტი, 136).

**ᲡᲐᲛᲐᲚᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲡᲐᲛᲐᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1680 წ.), საკ.სახ. **სამალანა** (დოკ., I, 459). შდრ. **სამალ+ანა** (ალ.ღლ., სიძვ., II, 453); **სეხნია სამალანაშვილი,** მეფის გიორგი XI-ის განაჩენი, 1680 წ. (სიძვ., II, 427); **გიორგი სამალანიშვილი** – ფიცის განწესება, XVII საუკუნე (იქვე, 453); **სამალან სამალანიშვილი** იხსენიება 1727 წ. გაყიდულ ყმებში სანაცვლო ყმისა და მამულის მიცემულობის წიგნი, მიცემული მამუკა წერეთლის მიერ პაპუნა წერეთლისადმი (საქ. მუზ., №2787).

**ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ.სახ. ქცეული **სამება** ერთი ღმერთი სამგუამოვანი, ერთი არსება და ერთი უფლება (საბა, 293).

**სამებისა,** ლამაზა ხასადარის ყმა – ნასყიდობის წიგნი ორბელიანთა, 1620, მაისის 10 (სიძვ., II, 251); **სამება** ვარსიმაშვილი – მუგუთელი, ნასყიდობის წიგნი ორბელიანთა, 1704 წ. (სიძვ., II, 199); ბერუა სამებისასშვილი; იხსენიება 1670 წ. მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ბოლნელი ეპისკოპოსი იოსებ რევიშვილი აძლევს დოლმაზა შანშიაშვილს (დოკ., II, 11); **სამება** იყო სოფელიც ღლევ

…ითრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე. იხ. **ნიკოლოზ, იოვანე, …სებ, იოანე სამებელი** (დოკ., I, 380, 382, 395).

**ᲡᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), საკ. სახ. **სამ-ი** (კოლხ., 93, ჩხოროწყუ; …ლ. ღლ., 184); „აქავ ვაშლოვანს ხიზანი **სამიშვილი**, 1781 წ." (ივ. …ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 167).

ᲡᲐᲛᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 58
გარდაბანი 33
თბილისი 17
საგარეჯო 3

**ᲡᲐᲛᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **სამნა. სამნა** გოგაშვილი (სოფ. ერტისი), ნასყიდობის წიგნი ელიზბარ სოლაღაშვილისა, 1661 წ. აპრილის 16-ს (საქ. სიძვ., II, 462); სადუნიშვილის განაყოფი **სამნა** პაატა იხსენიება 1680 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ქაიხოსრო ბარა…თაშვილი აძლევს პაპუა ბარათაშვილს (დოკ., I, 67); „ავთანდილ …სუფრაჯის ყმა **სამნაშვილი ედიშერა** იხსენიება 1721 წ. სამების საღირა…შენში (ვახუშტი, აღწერა 114); დავითა სამნაშვილის არზა სამართლის …მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით, 1798 წ. 18 აგვისტოს (ქსძ, VIII, 484); „…ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში, …ქორიანეთს, 1721 წ. ...**გიორგი სამნაშვილი**" (ვახუშტი, 170).

ამავე ძირისაა: **სამნიასშვილი, სამნიაშვილი, სამნიაძე, სამნიძე** (საღირაშენი, სამებისა).

**ᲡᲐᲛᲜᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ სახ. **სამნუა** (სტატ. ცნ., XVIII საუკ. 138); „ქ. იარალაშვილის თეიმურაზისა სამაჩვეთს, 1721 წ. ...**ქიტია სამნუაშვილი** მოლაშქრე, **სამნუაშვილი მათე**" (ვახუშტი, 67, 69).

ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲣᲚᲘ 284
გარდაბანი 136
თბილისი 84
ახმეტა 14

**ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲣᲚᲘ // ᲛᲔᲮᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1843 წ.), საკ. სახელად ქცეული ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა **სამხარი** (შუადღე ჭამადი არს სამხარი, საბა, 295); 1843 წ. აღწ. სოფ. წვერში უცხოვრია გოგია სამხარაულ-მეხინაშვილს (ჯ. სონღულ., მასალ. ქართ. სახ... 1964, 129); შდრ. საკ. სახ. **მეხ-ი, მეხა**, აქედან მოფერებითი სახელი **მეხინა** (ალ. ღლ., 161).

ამავე ძირისაა: **სამხარაძე** (წვერი).

ᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 146
თბილისი 78
კასპი 31
გურჯაანი 15

**ᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), საკ. სახ. **სანა** (ი. მაისურ., 143); 1817 წ. სოფ. ვაშლოვანში მოიხსენიება **მანჩო სანიშვილი** (სცსსა, ფ. 254, №1, 477, ფ. 36).

ამავე ძირისაა: **სანაძე, სანაია, სანიაშვილი, სანოძე** (ვაშლოვანი).

სარალიძე 2968
თბილისი 581
ზესტაფონი 523
ქიათურა 665

**სარალიძე** (1924 წ.), საკ. სახ. **სარო** (ქრონ., II, 285); **სარუა** (სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 185), **სარელა** (საქ. სიძვ., II, 517).

**სარალიძე** სოფ. ბოგვში გადმოვიდა ქიათურის რაიონის სოფ. ეწერიდან (ყოფ. ჯვარაეწერი).

სარდლიშვილი 412
თბილისი 224
თეთრიწყარო 100
გარდაბანი 27

**სარდლიშვილი // როსტომაშვილი** (1721 წ.), საკ. სახელად ქცეული თანამდებობის სიტყვა **სარდალი** (სპ.), ჯარების უფროსი, – მხედართმთავარი (ქეგლ); შდრ. საკ. სახ. **სარდალი** (სტატ. ცნ., XVIII ს. )94).

სარდლისშვილი, შვილი სარდლისა. ასეთებად ისტორიაში ცნობილი არიან: ყაფლანიშვილები, მზექაბუკი, რამაზი, მამუკა, ზაზა და პაპუნა ციციშვილები (**იას. ლორთ.**, ქართ., III, და IV, ნაწ. 448); 1873 წ. აღწერაში დიდ თონეთში მოიხსენიებიან როსტომ და ანტონ **სარდლიშვილები**, იგივე **როსტომაშვილები** (სცსსა, ფ. 254, № 3, საქმე № 127, აღწ. № 319, ფურც. 175-209).

ამავე ძირისაა: **სარდალაშვილი, სარდალიშვილი** (დ/თონეთი, ორბეთი).

სარიშვილი 1279
თბილისი 336
ოზურგეთი 251
ლანჩხუთი 225

**სარიკაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **სარიკა, სარიკო** (მეგრ. საზღაპრო) (კოლხეთი, ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 155).

„ქ. თურქისტანიშვილის თურქისტანისა, ქ. მუხათს, 1721 წ. **ევანეზა სარიკაშვილი**“ (ვახუშტი, 80); სავარ. იგივე სარეკი, ნადირთ მოსალალავი (საბა, 298); **სარეკ-ი**, ურმის თვლების წინ ხელნებზე ქვეშიდან გარდიგარდმო მიკრული ლატანი; დაღმართზე ხარებს ედება უკანიდან და ურემს აჩერებს (ქეგლ., 394) (მუხათი).

სარიშვილი 1279
თბილისი 336
ოზურგეთი 251
ლანჩხუთი 225

**სარიშვილი**, შდრ. თურქ., **ყვითელი, სარი ქერა**; ამავე ძირისაა: **სარია, სარიაშვილი, სარუაშვილი**, შდრ. **სარუა**, იარალისშვილის ყმა, 1765 წ. ივნისის 4-ს, ბატონყმობის წიგნი მიცემული ეჯიაშვილების მიერ თავის ბატონ ლუარსაბისადმი (დოკ., II, 59); იქვე, სარუაშვილი ესტატე, 1509,

**სარიშვილი;** 1689-1717 წ. საჩივარი გიორგი ნაკაშიძისა გიორგი ბულაიშვილზე (საქ.მუზ. №10. 345).

**სარი** (სპ.) – აღმოსავლეთის ქვეყნებში (ინდოეთში და სხვაგან) ქალის სამოსი–გრძელი (4-5 მეტრამდე). ქსოვილი, რომელსაც გარკვეული წესით იხვევენ ტანზე. **სარი** ვაზზე შესადგომი ხე (ჯოხი). იგივეა რაც კვიპროსი. **საროს ტანი** (პოეტ.) იტყვიან მოხდენილ, წერწეტ ტანზე.

**სარნოშვილი** (1721 წ.), **სარნო,** გვარში **სარნოშვილი,** შდრ. **სარსევან,** გვარში: **სარსევანიძე** (ი.მაისურ., 144); **სარო** (ქრონიკ., II, 285); **სარუა** (ალ. ღლ., 185). **სარო** (სპ.)

„ქ. სუნბატ ქანანაშვილის ყმა ჯიგრაშენში 1721 წ. **ნიაზა სარნოშვილი** ბოგანო" (ვახუშტი, 90).

| | |
|---|---|
| სარქისაშვილი | 272 |
| მცხეთა | 157 |
| გურჯაანი | 87 |
| ლაგოდეხი | 7 |
| სარქისოვი | 1403 |

**სარქისაშვილი** (1721 წ.). საკ. სახ. **სარქისა** (დოკ., I, 584). ვახტაგაანთ სარქისა, მოიხსენიება 1679 წ. ოქტომბრის 27-ს. იხ. თავნასყიდობის წიგნი, მიცემული ვახტანგაანთ ნასყიდა და სარქისას მიერ ქალაქის მოურავ პაატა-ბეგ მანუჩარისშვილისადმი (სცსსა, ფ. – №21/9; დოკ., I, 61); სარქისა მემშვილდისშვილი, ყმების ნასყიდობის წიგნი, 1665 წ. (იქვე, 43), სარქისა მჭედლისშვილი, თაყა ჩარათაშვილის „მემკვიდრე ყმა" (იქვე, 68); სარქისა უმარილოშვილი (222) და სხვ.

შდრ. საკ. სახ. **სარგისა-ა.** სარგის თმოგველი, სარგის ჯაყელი, სარგის კაკაბაძე და სხვ.

გიგოლა და ზურაბა სარქისაშვილები იხსენიებიან ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ზაზა საგინაშვილი აძლევს ალმაზ ჩაჩიკასშვილს 1714 წ. (დოკ., I, 164); სარქისა მოლაშქრე. 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილის ყმა ტაშირის ხუცის სოფელში.

სარქისაშვილი პარუნ ალავერდის ძე 1721 წ. აღწ. ავთანდილ სუფრაჯის უყმო აზნაური გარისში.

ტერყაზარა სარქისაშვილი 1721 წ. აღწ. ბექან შერმადინაშვილის ყმა მირტაშენში (ისს.ლორთქ., წ. III-IV, 449); „ქ.ავთანდილ სუფრაჯისა 1721 წ. ქ. გარისს, აქავ ამისი **აზნაური პარუნ სარქისაშვილი** ალავერდა" (ვახუშტი, 115); „ქ. კანჭაშვილის თომას ყმა ენაგეთის ხალშენს, 1721 წ. ბერია სარქისაშვილი" (ვახუშტი, 139).

შდრ. გვარი სარგისაშვილი, ბარათაანთ გაყრის წიგნი, 1536 წ. მოგვიანებით რუსულ გაფორმებით სარქისოვი. **სარქისაშვილი ქართული გვარია.** იყვნენ აზნაურებიც და ყმა-გლეხებიც.

САФАРАШВИЛИ

САФАРАШВИЛИ 109
*გურჯაანი 41*
*საგარეჯო 18*
*რუსთავი 12*
САФАРИШВИЛИ 28
САФАРИДЗЕ 710

**ᲡᲐᲤᲐᲠᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **საფარა,** სადაურიობის აღმნიშვნელი ტერმინია. **საფარა** იყო სახელიც.

**საფარ** (ქართლ. ცხ,. II 411); ცნობილია **გაბრიელ საფარელი,** ათონის მონასტრის ქველმოქმედი (იხ. ალაპი ათონისა №27), მისი ძმა იონე საფარელი ბოლოს კათალიკოსად გამხდარა: **„იოანე კზი საფარელი“ იყო დავით აღმაშენებლის კრების თავმჯდომარე 1104 წ.** („ივერია“, 1892 წ. №260); „1752 წ. ივნისის ორს. სამართალი თეიმურაზ II-ისა გორელი იოსებ ოსინაშვილისა და ბაღდასარ საფარასშვილის საქმეზე, მოხსენიებულია საფარა (დოკ., II, 50); **ბექანა საფარასშვილი,** 1752 წ. (დოკ., II, 73); „კოდაზე ბარათაშვილის დავითის ყმა, 1781 წ. პაპუა საფარასშვილი“ (ივ. ჯავახ., სეიძ, I, 172); „აქავ ვაშლოვანს შაქარა საფარაშვილი მსახური ობოლი, 1781 წ., აქავ დურმიშხან და პაპა საფარაშვილები“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 166-167); საფარაშვილი... მეუღლე თალალა, ვაჟები: ასლანი, იაკობი, დისშვილი ზურაბი, ქალიშვილი ანა (ვაშლოვანი, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 99-105); ამავე ძირისაა **საფარიძე, საფარიშვილი. ს. ქართველები არიან (ი.ა.).**

შდრ. აზერბ. **საფაროვი,** სომხ. **საფარიანი.** (კოდა, ვაშლოვანი)

**ᲡᲐᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲡᲘᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1683 წ.); საკ. სახ. **საქია** საქ. სიძვ., II, 255).

**საქიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **საქია** (საქ. სიძვ.,I, 255).

**საქია** ყულიაშვილი, ნასყიდობის წიგნი ბარათაშვილის დბანელ ქრისტეფორესი, მიცემული 1665 წ. (საქ. სიძვ., II, 255); **საქიაშვილი** ევანეზა, იარალის, ვახუშტის და ასლამაზის მემკვიდრე ყმა, 1683 წ. იანვრის 5-ი. (დოკ., I, 74; სცსსა, ფ. №!,,?!).

„ქ. იარალაშვილის როსებისა, 1721 წ. ქ. ირაგას საქიაშვილი მამაჯანა“ (ვახუშტი, 64); **საქიასშვილი დავითა** – ნასყიდობის წიგნი ზურაბ ფანიაშვილისა, 1713 წ. ივნისის 7 (სიძვ., II, 317); „ქ. ყორღანაშვილის თაყასი, 1721 წ. ქ. ხორბუკს, თამაზა საქიაშვილი“ (ვახუშტი, 94); შდრ. სახელები: **საქილა, საქო, საქუა, საქულა.**

ამავე ძირისაა: **საქუაშვილი, საქიძე, საქანია, საიქიძე, საქოაშვილი.**

მოგვიანებით რუსულ-სომხური გაფორმებით სუქიასოვი (ს. შინდისი, გარდაბნის რ. თეთრი წყარო, კოდა, მუხათი).

| | |
|---|---|
| საქუაშვილი | 208 |
| [illegible] | 51 |
| [illegible] | 40 |
| თბილისი | 34 |

**საქუაშვილი** (1712 წ.), საკ. სახ. **საქუა,** იხ. **საქუა** ზადიკაშვილი (დოკ,. I, 151); რამაზ ყორღანაშვილის ყმა **საქუა** ზემელასშვილი (იქვე, 63); საქუაშვილი 1721 წ. ოქტომბრის 16-ს ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი სოლაღაშვილის მიერ ევანეზა ვარდიგულაშვილისათვის (დოკ., I, 151); ტაბახმელელი ბალდასარა საქუასშვილი იხსენიება 1736 წ. 25 თებერვალს თავდახსნილობის წიგნში, რომელსაც ელიზბარ და სხვა სოლაღაშვილები აძლევენ მელქოა საქუასშვილს (დოკ., I, 253); **დათუა საქუაშვილი, ხაბაზი,** მოიხსენიება 1782 წლის 7 სექტემბერს (ბრძანება მეფის ძის გიორგისა ზაალ გურამიშვილის ყმების შესახებ, საქ. სიძვ., III, 509). (წინწყარო, დურნუკი).

**სალათელაშვილი** (1823 წ.), **სალათ** (თურქ.) ინვალიდი, ხეიბარი შდრ. **სალათას ძილი.** ხანგრძლივი, ლეთარგიული, ავადმყოფური ძილი. საკ. სახ. **სალათელა** (დოკ., I, 584); **სალათელაანთ** ნარიმანა ესტატეშვილი მოიხსენიება 1732 წ. ყმების მიბარებისა და პირობის წიგნში, რომელიც იესე ყორღანაშვილს მიუცია თავის ბიძაშვილ ზაალისადმი (იქვე, 234); სოფ. მირზაბადში (ქ.თბილისის ერთ-ერთი უბანი) ანანიაშვილის, სეხნიაშვილის, სააკაშვილის, ღარიბაშვილის, ალავერდაშვილის, გოგიაშვილის გვართან ერთად მოიხსენიება თავად მინასა მინასაშვილის (ხოჯა მინასოვის) ყმად იაკობ სალათელაშვილი, მეუღლით თამარითურთ, ვაჟები: ანდრო, სოლომონი, ნიკოლოზი, ქალიშვილები: მარიამი, ელისაბედი, ანა (სცსს, ფ. 254, 1, 802, 1823 წ. ფურ. 295).

არტემ სარქისის ძე სალათელაშვილი ვარდისუბანში მცხოვრებ ესტატე გიორგის ძე პატიაშვილის ქალიშვილის არაოფიციალურ მიმქმელად არის აღიარებული (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, [illegible]წ. №1).

მოგვიანებით რუსული გაფორმებით **სალათელოვი.**

**სალათელოვი,** საკ. სახ. **სალათელა.** ნ. ყმების მიბარებისა და პირობის წიგნი, მიცემული იესე (ყორღანაშვილის) მიერ თავის ბიძაშვილის ზაალისადმი, იქვე, 1732 წ. სალათელაანთ ესტატეშვილი ნარიმანა (დოკ., I, 234).

„..სალათელოვი მიხა“ (კოდა) **(სალათელაშვილი-სალათელოვი ქართული გვარია).** სოფ. კოდაში სომხურმა ეკლესიამ სომეხ-გრიგორიანებად მონათლა, რუსებმა კი სალათელაშვილი სალათელოვად ჩაწერეს.

სალირაშვილი 656
*თბილისი 278*
*გორი 72*
*დუშეთი 68*
სალირიშვილი 35
სალირაძე 21

**სალირაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **სალირა** (**სალირა სალირაშვილი,** სოფ. ვაშლოვანი, 1873 წ. სცსსა, ფ. 254, 3, №112, საქმე №70, ფურც. 25-51); **სალირი,** საკ. სახ. ხევსურეთში, „**სალირ კოლონკელიძე**“ (ქართლ. ცხ., II, 94); ზედმნიშვნ. ყრუ (თურქ., ჭუმბ., 44); ამავე ძირისაა სალრიშვილი // სალირიშვილი // სალრიძე (სალირიძე) (ი. მაისურ., 145); „სალირა სალირაშვილი, გაბრიელ სალირაშვილი, მოიხსენიებიან სოფ. ვაშლოვანში 1873 წ.“ (სცსსა, ფ. 254, 3, №112, საქმე №70, ფურც. 25-51). შდრ.: ყრუაშვილი. შდრ. მთავარი სალირისძენი, დღევ. სალარაძეები.

საყევარაშვილი 96
საყევარიშვილი 28
საყევრიშვილი 69

**საყევარაშვილი** (1823 წ.), **საყევარ (საყევრისა),** გუთნის თავის ხარების წინა უღლეულების (ან ურემში მეორე უღელი ხარის) მისაბმელი ჭაპანი, ჯაჭვი, ძელი და მისთ (ქეგლ); **ოთარ ნინიას ძე საყევარაშვილი,** მეუღლე მარიამი, ძმები ვანო, იოსები, პეპანა, არაქელა, გიორგი, სიმონი, დავითი, ასლანი, და ტასო. დედა თალალა, მოიხსენიება 1823 წ. აღწერით სოფელ ერტისში (სცსსა, ფ.254, 1, 802, ფურ. 93-98).

საყვარელიძე 1254
*თბილისი 568*
*ზესტაფონი 196*
*ქუთაისი 74*

**საყვარელიძე** (1519 წ.), **საყვარელა** ქართული სახელია (შემოკლებით – საყვალა). აქედანაა გვარი **საყვარელიძე,** მნიშვნელობით მას შეესატყვისება **ამბაკო, დავით, ალაპიტე** (ზ. ჭუმბ., 163).

**„ჩვენი ყმა საყვარელ ნაკაშიძე“** სიგელი გურიელი მამია IV-ისა, მიცემული ზაალ ერისთავისადმი, 1764 წ. 14 თებერვალს“ (სიძვ., II, 520); **საყვარელა** (გ. ლეონ., სახელები), **საყუარელი** (ქართლ. ცხ., II, 493); **ანდრია საყვარელიძე მოქველი** – 1605 წ. აფხაზეთის კათალიკოსი (ქრონ., II, 174); **ევდემოს საყვარელიძე,** კათალიკოსი აფხაზეთისა – 1666-1673 წწ. (ქრონ., II, 483); **მელქისედეკ საყვარელიძე,** ეპისკოპოსი გელათისა 1519 წ. (ქრონ., II, 336).

ამავე ძირისაა: **საყვარელაშვილი, საყვარელია, საყვარლიშვილი** (დმანისი-ჯვარა, დღევ. დუმანისი).

**საწირაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **საწირა**, შდრ. **საწირავი** წირვისათვის (საბა, 306): „ქ. თაყა ყორღანაშვილის 1721 წ. შავთას **მახარა საწირაშვილი**" (ვახუშტი, 93).

**საწირე** სოფელია ტყიბულის რ-ში (შავთა).

**სახლისაშვილი** (1886 წ.), ნაწარმოები სახელიდან **სახლი**, ...მიანთა საცხოვრებელი (ან დაწესებულების) შენობა. შდრ. **სახე-ლაშვილი, სახელა** – მამაკაცის სახელია ფშავში. სახლთხუციშვილი, ...ს თანამდებობის ტერმინი სახლთუხუცესი; **სპირიდონ სახლისაშვი-ლი** მოიხსენიება სოფ. ვაშლოვანში 1886 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, 1611, ფურც. 29-84).

**სახულიშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **სახული** (არქ., 1891), **სახული** (ფარი, სვან., დედ. 2, ალ. ღლ., 186); **სარქის მამუკას ძე სახულიშვილი,** მეუღლე ქალია, შვილები პეტრე, გრიგორი, მარიამი (ვაშლოვანი, 1823 წ. სცსსა, ფ. 254. 1, 802, ფურ. 99-107).

**სევდიაშვილი** (1721 წ.), ქალის საკ. სახ. **სევდია** (ქრონიკ., II, 504), **სევდია** (მთიულ., ფასანაური, ალ. ღლ., 297).

„ქ. დავით აბაშიშვილის ყმა ქ. დიას 1721 წ. **თამაზა სევდიაშ-ვილი**" (ვახუშტი, 117). შდრ.: სევდია უგრეხელიძე (იურისტი).

სელეპანოვი 90
...ბილოსი 76
...წყარო 8
...ბანი 2
...
სელეპანაშვილია

**სელეპანაშვილი** (1823 წ.) // **ფარემუზაშ-ვილი** (1701 წ.), **სელ-ი**, ძვირფასი სკამი, სავარძელი, **პან, პანი** (პოლ.) – ბატონი (გადატ. მნიშვნ. ძვირფას სკამზე მჯდომი, ამაღლებული), **ფარ-ი**, ქართული ანბანის ოცდამეერთე ასოს ფ-ს სახელწოდება. **მუზა** (ბერძ.) (წიგნ.), პოეტური შთაგონების წყარო. აგრეთვე თვით პოეტური შთაგონება, შემოქმედება (ქეგლ); **სელეპანაშვილი** ამ მხარეში ცნობილი მემამულეების **ფარემუზაშვილების შტო-გვარია. ფარემუზაშვილი კი მებატონე-მემამულე საგინაშვილების შტო-გვარია.**

**სელეპანაშვილი,** იგივე **ფარემუზაშვილი** მოიხსენიება პატარა ჟინვეთს 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 19-20); ფარემუზას ...რი სოფელი მოიხსენიება ყაიყულში. მებატონე **თეიმურაზ ფარემუ-ზაშვილი,** შვილები: ფარემუზა, გიორგი 1725 წ., იხსენიებიან ჰრეში (ამჟამად სოფ. აღარაა), და მარტო თეიმურაზი იმავე 1725 წ. ისპიანში, ყდულობენ ისპიანს, ზურაბ ზურაბიშვილი, ჰრეში ელიზბარ ...რბელიანი (ის. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III და IV. § 71-310, 869);

ბექან ფარემუზაშვილს ყმები ჰყავდა ბოგვში, ჩხიკვთას, საწურბლებს, მაწევანს, ირდასუბანს, აბულმაგს (ვახუშტი, 152-153); კოდელმა ნიკოლოზ სეხნიაშვილმა 1820 წ. იქორწინა თანასოფლელ სვიმონა ბაგრატიშვილის ასულ ანაზე. თავსმდებად იყვნენ რამაზ და სოსია ბაგრატაშვილები, იმერელი დავითელა, ნონია ზურაბაშვილი (ფ. 489, №27; ფურ. 110) 1823 წლის აღწერით პატარა ენაგეთში მოიხსენიება **მინასა სელეპანაშვილი,** იგივე **ფარემუზაშვილი,** მეუღლით ხანუმა, ვაჟები: გიორგი, არუთინა, ივანე ძმა იოსები, მეუღლე იაგუნდა, ქალიშვილი ქეთევანი (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 19-20); 1882 წელს პატარა ენაგეთელი **ივანე მიხეილის ძე სელეპანოვი** დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შვილს უნათლავს თავისსავე სოფლელ გრიგორ გიორგის ძე ბეგიაშვილს (სცსსა, ფ.489, აღწ. 1); 1886 წ. აღწ. ენაგეთში მოიხსენიებიან გიგოლა, კონია, არუთინა, ივანე, გიორგი **სელეპანაშვილები** (სცსსა, ფ. 254, ), 802, ფურ. 1-16); **სელეპანა** იყო საკუთარი სახელიც. პატარა ენაგეთში დროებით მცხოვრებთა შორის მოიხსენიება **ზაქრო სელეპანის ძე ოსპეტაშვილი** (254, 1624, 1886 წ. ფურ. 11-42). კოდაში **ყარამან სელიპანას ძე ნიკოლოზაშვილი** (ფ. 254, აღწ. 3, 1621, 1886 წ. ფურ. 114); (პატარა ენაგეთი, ენაგეთი 1873 წლამდე ერქვა პატარა ენაგეთი). ქართულ ონომასტიკაში გაუთვითცნობიერებელ ზოგიერთ ვაი-მეცნიერს **სელეპანოვი** გადამთიელად მიაჩნია (რუსებიც კი ჰგონიათ). როგორც ითქვა **სელეპანაშვილი საგინაშვილი-ფარემუზაშვილიდან იღებს სათავეს,** რუსულ საბუთებში კი გვარები – საგინაშვილი, ფრემუზაშვილი, სელეპანაშვილი რუსული ფორმანტით „ოვი" გააფორმეს და **საგინოვად, ფარემუზოვად, სელეპანოვად** ჩაწერეს.

სეფიაშვილი 1182
*გურჯაანი 477*
*თბილისი 268*
*დედოფლისწყარო 141*
სეფაშვილი 729

**სეფიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **სეფია.** „1690 უჯარმისშვილს **სეფიას** და პაპუნას მიუყიდია გრძელში მიწა დაკარგულის მახარას შვილებისათვის – გიორგის, საბას მღვდელს, შოშიტას და დარჩიასთვის" (სიძვ., I, 75). „ქ. თამაზი ყარაბუდახიშვილი კლდეისას: **დათუნა სეფიაშვილი**" (ვახუშტი,) 74).

ამავე ძირისაა: **სეფაშვილი, სეფედავლასშვილი.**

შდრ. სოფელ აბელიანში **სეფიანოვი** (კახეთიდან გადმოსული სეფიაშვილები არიან) (კლდეისი). **სეფიაშვილები** არიან ებრაელებიც.

**სეჩიკაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **სეჩიკ-ი** (დოკ-. II- 294),

სესიკა (ჭიორა ონის რ.); შდრ. **სესიკია** (კოლხ., 50, ლეძაძე, ალ. გვ. 187); შდრ. **სესე, სესია.**

,,ქ. ხოსროხანიშვილისა, ქ. სამშვილდეს, 1721 წ. **გარსევანა სესიკაშვილი**" (ვახუშტი, 24).

**სეხნიაშვილი // ჯინჭველაშვილი** (1767 წ.), საკ. სახ. **სეხნია.** ნაზარალიხანის (ერეკლე I) სიგელი ზაალ აბაზაძეს შვილი სეხნიასადმი 1695 წ., საქ. სიძვ., II, 16).

ვახუშტით, თრიალეთის ახალქალაქს ჩაღრღანიძე **სეხნია** (14), [illegible] ჭიტებს წმინდის შიოს ყმა, მამასახლისი **სეხნია** (27), დიდ-ღომეთს მახარაშვილი **სეხნია** (32), სამღერეთს ბოგანო **სეხნია** მო-[illegible]ქრე (ვახუშტი, საქ-ოს სტატ. აღწ. XVIII ს-ში, 1907), მოლარე-თუხუცესი **სეხნია** (1722 წ. 1 იანვარი, ხელნ. ინსტ. 3812); ელიზბარ [illegible]ოაშვილი უჩივის შევიწროებას რუისელ **სეხნიაშვილს** (1767 წ. მაისი, საქ. სიძვ., ტ.II, 593); ,,ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა, კამარეთს, 1721 წ. **თურმანა სეხნიაშვილი**" (ვახუშტი, 58); ,,რევიშ-ვილის გიორგისა წრულეთს, 1721 წ. **ელიზბარა სეხნიაშვილი**" (ვახ-უშტი, 87); ,,ქ. გერმანოზიშვილი დათუნას ყმა ქაბელიას, 1721 წ. ქასიმედი სეხნიაშვილი" (ვახუშტი, 132); ,,კოდაში 1823 წ. იხსენიება [illegible]ქოლა **სეხნიაშვილი,** იგივე **ჯინჭველაშვილი,** მეუღლე ანა, შვილი [illegible]ელა, ძმა პეტრე, მისი მეუღლე თინათინი" (სცსს, ფ. 254, აღწ. 1, №803 წ. 1823 წ. ფურ. 7-10); კოდელი **სიმონა გიორგის ძე სეხნიაშვილი** 1874 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ჯვარს იწერს დიდ ენაგეთში მცხოვრებ გრიგოლ გოდერძაშვილის ასულ ეფემიაზე. თავმდებნი სასიძოს მხრივ სოფ. კოდიდან ყოფილან: **იოსებ თეთრაძე-თეთრასშვილი, ბაქრა გიორგის ძე ბაქრაძე, იოსებ იაკობის ძე მარინაშვილი** (მარინოვი), სასძლოს მხრივ დიდი ენაგეთი-დან არსენა თევდორეს ძე ხუციშვილი, დემეტრე ივანეს ძე გოდერ-ძიშვილი, ივანე პეტრეს ძე დალაქიშვილი (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1);

ამავე ძირისაა: **სეხნიაიძე, სეხნიაძე** (ი. მაისურ., 146).

სოფ. კოდაში ცხოვრობენ 1817 წლიდან (აბელია, კამარეთი, [illegible], წრულეთი).

**სვანიძე** (1568), **სვანი,** გვარადქცეული ეთნონიმი (ი. მაისურ., 146), ნ. სვანიძე, გელათის სიგელი 1568 წ. (ქრონ., II, 409); ,,**სვანიძე. არიან სვანეთის აზნაურნი მუნიდგან გადმოსულნი სვანის ძედ წოდებულნი**" (საანდაზო ლექსები... 136); **სვანიძე** სოფ. ასურეთში

ამბროლაურის რაიონის სოფ. ხიმშიდან გადმოსახლდა 1941 წ. ს. ადრინდელი.

(ასურეთი). სვანიძეთა ადრინდელი გვარია **ხარძიანი** (აქედანვე **ხარზიანი**). აძავე ძირისაა: **სვანიშვილი.**

სვიმონიშვილი 497
*თბილისი 143*
*გურჯაანი 91*
*თელავი 70*
ს. აბაშიძეთა შტო-გვარიცაა.

**სვიმონიშვილი // სვიმონაშვილი** (1721 წ.), **სიმონ** (ებრ.) „შესმენილი", „გამგონე" (სიტყვა-სიტყვით: „ღმერთმა გაიგონა", იგულისხმება, რომ ღმერთმა შეისმინა ლოცვა-ვედრება). ძველებური ფორმაა **სვიმონ**, კნინობითია: **სიკო, სისო, სიმონიკა, სიმონა** (ზ. ჭუმბ., 164). იხ. **სვიმონ გურიელი**, ს. კათალიკოზი (სხვადასხვა), ს. ბოროტი, ს. კარგარეთელი, კალიგრაფი, ს. ლოლოთეტი, ს. „მამა", ს. მთავარეპისკოპოსი, ს. საკვირველმოქმედი, ს. წმიდა. ს. ჭყონდიდელი, სვიმონ-პეტრე, კათალიკოზი ქართლისა და სხვ. (ქრონ., III, 668-69); სვიმონ I, მეფე, ლუარსაბის ძე (ქრონ: II, 54); სვიმონ II, მეფე, ბაგრატის ძე (იქვე, 442); სვიმონ მეფე იმერთა, ალექსანდრე IV იმერთა მეფის ძე (იქვე, 517); **სვიმონიშვილი გიორგი** – „1730 წ. ახლო. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული გოდერძა ყოინიძისა და სხვების მიერ მურვან მურვანისშვილისადმი" (დოკ., I, 229, 230); **სვიმონაშვილი** (საკ. სახ. სვიმონა); „1722-1738 წ. წიგნი, მიცემული დავით წერეთლის მიერ თავის ძმა პაპუნა წერეთლისადმი (დოკ., I, 451; საქ. მუზ. №10, 035); „კოდაზედ ბარათაშვილის დავითის ყმა, 1781 წ. **ბეკური სვიმონას შვილი**" (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 172); „ქ. სოლოღაშვილის ქაიხოსროს ყმა ლოუბანს. 1721 წ. **ბერი სვიმონაშვილი** (ვახუშტი, 143). ბოგველმა გიორგი სვიმონაშვილმა იქორწინა იქვე მცხოვრებ ბეჟანა ჩადუნისშვილის ქალ მართასთან. თავმდებად იყვნენ: ტეტია ბასილასშვილი, აბრამა ვარსიმაშვილი, გაბრიელა დონდუაშვილი, სავა გურგენაშვილი (489, აღწ. 6, საქ. 31. ფურ. 174,1826 წ.) (სვიმონიშვილი არის ასევე აბაშიძეთა და სხვ. გვართა შტო-გვარი).

**სვიმონმღვდლიშვილი** (1819 წ.), რთულფუძიანი საკ. სახ. **სვიმონ** (ძვ. ებრ. შემსმენელი, ყურადმღებელი; საქ. სიძვ., II, 37); **მღვდელი.** შდრ. საბამღვდლიშვილი.

ს. სვიმონმღვდლიშვილი სოფ. წინწყაროში 1819 წელს ნათლავს ვაჟს სვიმეონ-ს, მიმქმელი იყო იქვე მცხოვრები მღვდელი

დიმიტრი პავლესშვილი (სცსსა, სფ. 489, 6, 1 ბ, ფურ. 186).

**ᲡᲘᲓᲝᲜᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **სიდონა (სიდონია)** (კოლხ., 63, ქვ. ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 188) პლუს სუფიქსი **ძი**.

ქალის საკ. სახ. **სიდონ-ი** (პ. ინგორ., სვან., 2, 149), **სიდონია** (ალ. ღლ., 297); „ქ. საგინაშვილის ზურაბიშვილის ყმა ქ. ჩხიკუთას, 1721 წ. **იესე სიდონიძიშვილი**" (ვახუშტი, 154); ამავე ძირის უნდა იყოს: **სიდა** (ვახტანგ ბატონიშვილის ყმა, არაგველი; **სიდამონ, სიდომო** (აქედან გვარები: **სიდამონიძე, სოდომოსშვილი**). შდრ., დასახლებული ადგილი **სიდა**.

**ᲡᲘᲙᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), სავარ. წარმომდგარია სახელიდან **სიკ-ი, სიკალა, სიკო,** იხ. **სიკოია, სიკოლა, სიკონია** (ალ. ღლ., 188); 1817 წ. აღწერაში მოიხსენიება **ალიპა სიკრაშვილი** (იგივე **სიკიაშვილი**) (სცსსა, ფ. 254, №1, 477, ფ. 36).

ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
2433
*თბილისი 764*
*გურჯაანი 493*
*გორი 156*

**ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **სიმონ** (ძვ. ებრ.) „შესმენილი", „გამგონე" (სიტყვა-სიტყვით: „ღმერთმა გაიგონა", იგულისხმება, რომ ღმერთმა შეისმინა ლოცვა-ვედრება). ქართულში ფრიად გავრცელებული სახელია, ერქვა ორ მეფეს (XVI-XVIII სს.) და მრავალ გამოჩენილ პიროვნებას. ძველი ფორმაა **სვიმონ,** მოფერებითი ფორმებია: სიკო, სისო, სიმონიკა. ამ სახელისაგან წარმოქმნილია რამდენიმე გვარი: **სიმონიშვილი, სიმონიძე, სიმონია** და სხვანი (ზ.ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, 368); „ქ. ერასტი მდივანბეგის ნასყიდი ქ.თაფანს 1721 წ. **წატურა სიმონაშვილი**" (ვახუშტი, 231); **თათო სიმონიშვილი,** მეუღლე ელისაბედი, ქალიშვილი სოფიო, დისშვილები სიმონი, ანა (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18) (დიდი ენაგეთი, თაფანი).

**ᲡᲘᲜᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **სინია** (სინანა) (კოლხ., 109, ნახუნაო, სერგიეთი, ალ. ღლ., 297). **„აზნაურიშვილ-ბაგრატიშვილი ბაგრატის** ქ. წობას **მახარა სინანიშვილი**" (ვახუშტი, 170).

შდრ. **სინიაშვილი** (წობა). **სანაძე** 51 სული.

**ᲡᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **სინ-ი** (პ. ინგორ., სვან., 2, 121); **სინო** (ალ. ღლ., 188).

„ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში, ქ. ბალახაურს, 1721 წ. **ბერი სინიაშვილი**" (ვახუშტი, 159); **სინ** (უცხ.) აბჯარი, **სინა** (უცხ.) წყურილი (წყურიელი) გინა გამოცდა, სინა, რვალი არს უთეთრესი და მაკეთილ მეორადია, ხოლო სინა

უშავეს და უდარეს მისსა (საბა, 315).

**სინი** ჭურჭლეულის ერთ-ერთი სახეობა (ბალახაური).

სირაძე 3958
თბილისი 989
ოზურგეთი 526
ქუთაისი 398

**სირაძე,** შდრ. **სირი,** ზგდ მნიშვნ. **ჩიტი;** შდრ. ამირანის მითის პერსონაჟი სირა მჭედელი, ამავე ძირისაა **სირია** (ი. მაისურ. 148); სირაძეები სოფ. ასურეთში ამბროლაურის რაიონის სოფ. შხივანადან გადმოსახლდნენ 1941 წ. ცხოვრობენ სოფლებში: ბეთლევი, ბოგეული, გორი, პირველი ტოლა, ღადიში, შხივანა, ხიმში.

შდრ. **ჩიტაძე, ჩიტაშვილი, ჩიტიაშვილი, ჩიტაური, ჩიტუაშვილი.**

სისაური 1317
თბილისი 418
თიანეთი 139
მცხეთა 135

**სისაური,** საკ. სახ. **სისა** (ალ. ღლ., 188). **სისა** (ს. მაკალ., 276); ამავე ძირისაა: **სისოშვილი, სისოური** (თეთრი წყარო). **სისაურები** სათავეს იღებენ **ლიქოკელებიდან,** ხოლო სისაურებიდან თიანელი **გონჯილაშვილები.** სისაურების გვარის საფუძვლის ჩამყრელი იყო „სანაგის სანაგი“, სისაურებისა და სისაურებიდან შტონაყარ გვარებშიც **დორეულებიც, მწითურები, პატურაშვილები, უმიკაშვილები** ტრადიციული სახელი იყო სანაგი.

**სიქიაშვილი // საქიაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **საქია** (საქ. სიძვ., II, 255).

**პაპა და დავით სიქიაშვილები** მოიხსენიებიან ვაშლოვანში 1873 წელს (სცსსა, ფ. 254, ა3, №112, საქმე № 70, ფურც. 25-51).

მოგვიანებით **საკიაშვილი,** ზოგჯერ **სუქიასოვი** (მუხათი, ვაშლოვანი).

**სიხუაშვილი,** საკ. სახ. **სიხო,** დადასტურებულია (საქ. სიძვ., I, 16); **სიხუა** (გ. ბოჭორ., კახ., 138; ალ. ღლ., 189). ამავე ძირისაა **სიხაშვილი** (ჩხიკვთა). **(სიხაშვილი 318 სულია)**

სოლომონაშვილი 31
კასპი 14
თბილისი 11
გორი 5
სოლომონია 269

**სოლომონაშვილი** (1477 წ.), **სოლომონ** (ებრ. < „წყნარი“, „მშვიდობიანი“, კნინობითი ფორმებია: **სოლო, სოლიკო** (ზ. ჭუმბ., 164). შდრ. **სოლომონ ბრძენი. სოლომონ მაღალაძე** – 1690 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი მიცემული ფარსადან და სხვა ციციშვილების მიერ რევაზ და სხვა მაღალაძეთადმი

(დოკ., I, 87); სოლომონ ბატონიშვილი (იქვე, 420), სოლომონ მეჯინიბეთუხუცესი ბატონიშვილის სვიმონისა (!იქვე, 171); სოლომონ მეფე 1751 წ. საურის ამოკვეთის წიგნი, მიცემული სოლომონ I-ის მიერ ბილეიშვილებისადმი (საქ. მუზ., ფ. Hd, №10143); „კარსანს გლეხნი სამნი ღუინიასშვილი, სოლომონას შვილნი და მახარასშვილნი მათითა მამულითა“ (ანდერძის წიგნი მამისა მეჯინიბეთუხუცესისა ძმისწულ ზაქარიასადმი, 1477 წ.) (ხელნაწერ. ინსტ., Hd 1354; ქსძ, VIII, 821).

ამავე ძირისაა: **სოლომნიშვილი, სოლომონია, სოლომონიშვილი, სოლომონიძე** (მანგლისი).

| სოლოღაშვილი | 1027 |
| --- | --- |
| *თბილისი* | *421* |
| *მცხეთა* | *263* |
| *გურჯაანი* | *217* |

**სოლოღაშვილი // სოლაღაშვილი** (1619), საკ. სახ. **სოლოღა, სოლოღანა, ჰიორა,** ონის რ. (ალ. ღლ., 189); **სოლაღა,** ხევსურ., ბარისახო (იქვე); **სოლაღა** პაპუაშვილი, ზაზა საგინაშვილის ყმა, **სოლაღა,** ჩხუტელთ **სოლაღა** (დოკ., I, 135, 187); „**თავადი სოლოღაშვილი**. ესენი არიან ძველადვე ახალციხელნი კალმახის ადგილის გვარისანი. ამათი წინაპარი ვინმე გათათრდა და უწოდეს **სულაღად,** ხოლო ამის შთამომავლობისანი, რომელთაც მიიღეს მაჰმადიანობა, მოვიდნენ საქართველოსა შინა მეფობასა ბაგრატისასა წელსა 1375-სა და მეფემან მიიღო თავადობისა ხარისხითა და უბოძა გვარადაც სოლოღასშვილობა და არიან მუნიდგან მცხოვრები სომხითსა, რომელნიმე გარდმოვიდნენ რუსეთს და დაშთნენ, ხოლო სხვანი ამათნი დაშთნენ ქართლსავე შინა და აწ არიან: **იესეს შვილები, ზაზას შვილები** და სხვანი ძმანი ამათნი...“ (საანდაზო ლექსები... 28); **ნ.ზურაბ სოლოღაშვილი,** 1683 წ. (დოკ., I, 74); **სოლაღაშვილი ავთანდილ,** 1724 (იქვე, 205); **სოლოღაშვილები იყვნენ მებატონეები.** მათ ეკუთვნოდათ მამულები და ჰყავდათ ყმა-გლეხები ალგეთში, ჰაპალაში, კუმისში, საყალტუთნში, ურცევანში, ძველ გომარეთში, ტაბახმელაში, საღორისში, ტაგნაგეთში, ასურეთში, შინდისში და საქუდეში.

ცნობილნი არიან: **დათუნა სოლოღაშვილი,** შვილი შიოშისა, ძმა იორამისა, თამაზისა, განაყოფი ბიძინასი, მამა შიოშისა, ქაიხოსროსი, იესესი, იხს. მამასთან 1619-30 წ., 1646 წ. იგი და თამაზი ედავება ბიძინას ტაბახმელას (სიძვ., II, № 371); 1655 უმკვიდრებენ საღორელ გლეხებს (ის. ლორთქ., ნაწ. III, და IV, 455); ელიზბარ, სახლთუხუცესი ზურაბი და იესე, ზალია, ასლამაზ, იორამი, ავთანდილ,

ქაიხოსრო, იოთამ, ყაფარა, შიოშ და სხვ. სოლოღაშვილები 1721 აღწ. მებატონეებად იხსენიებიან (ვახუშტი); ბორბალოელ თა[...] **გაბრიელ სოლოღაშვილმა** იქორწინა ენაგეთელი თავადის ნიკო[...] ბარათოვის ასულ ანასტასიასთან. გვირგვინი უკურთხა ბორბა[...] სოფლის მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. თავსმდებნი იყვნენ თა[...] ბი: გიორგი, დიმიტრი, ქაიხოსრო და იოვანე **ბარათოვები** (489, [...] 6, საქ. 31, ფურ. 168, 1826 წ.).

სოიტაშვილი 126
*ქარელი 66*
*თბილისი 32*
*გორი 14*

**სოიტაშვილი // სოსიტაშვილი** (1769 წ.), [...] სახ. **სოსიტა**, სითარხნის წიგნი, 1665 წ. 1 მაისი ([...] I, 94); შდრ. **სოსია, სოსა, სოსიკო, სოტი, სოი[...]** გვარში: **სოტიშვილი** (ილ. მაისურ., 149); [...] **სოიტაშვილი**, ყმის ნასყიდობის წიგნი, მიც[...] გიორგი წარიხაძის მიერ შალვა ფავნელისშვილ[...] ში 1760 წ. (დოკ., II, 57; საქ. მუზ., ფ. Hd, № 2919); 1817 წ. აღწ. [...] ღოუბანში პრაპორჩიკ თავად ლუარსაბ ორბელიანის გლეხთა [...] მოიხსენიება გულია სოიტაშვილი (სცსს, ფ. 354, საქ. №1, ფ. 38-39).

სონღულაშვილი
794
*გურჯაანი 370*
*მცხეთა 205*
*თბილისი 172*

**სონღულაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **სონღუ[...]ლა** (სტატ. ცნ., XVIII ს. 159); **სონღულა** გვარში **სონღულაშვილი**, (ალ. ღლ., 189), **ალმაზ სონღულაშვილი**, მეუღლე თამარი, [...] ქები: თათუა, ყაზარა, აბელი, სოლომონი; [...] ვილი დათია, მეუღლე ოსანა, მეორე დისშვ[...] კონია, მოიხსენიება 1823 წ. აღწერით [...] ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 99-105). შდრ., **სონღუ[...]** საშუალო სიდიდის მტაცებელი ფრინველი შავარდნისებრთა ო[...] სა. ბინადრობენ ქართლსა და კახეთში.

**სოსიაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **სოსია** (საქ. სიძვ., II, 89), **სოსია** თოლიბედა (იქვე, 88); **სოსია**, ეგნატე, მდივნის ყმა (დოკ., II, 197). მისი კნინობითი ფორმებია: **სოსე, სოსება, სოსელა, სოსი[...]**, **სოსიკო, სოსიტა** და სხვ.

სოსიაშვილი 295
*გორი 145*
*თბილისი 91*
*ქარელი 27*

**სოსიაშვილი თევდორე,** მეუღლე მისი [...]ცა, ძმა მიხო, დედა თინათინი (ღოუბანი, 1823 [...] თ. 254, 1, 802, ფურ. 83-92); 1843 წ. აღწ. [...] ღოუბანში მოიხსენიება **თევდორე სოსიაშვ[...]** (სცსსა, ფ. 254, №), 2043, ფ. 271).

| | |
|---|---|
| სომხიშვილი | 1329 |
| [illegible] | 500 |
| [illegible] | 258 |
| [illegible] | 130 |
| სომხიაშვილი | 35 |

**სომხიშვილი // სომეხიშვილი // სომხიაშვილი // ელიაზარაშვილი** (1673 წ.). გვარი **სომხიშვილი** მიღებულია სადაურობის სიტყვიდან **სომხითი.** ისტორიის გარკვეულ პერიოდში ასე ერქვა ყოფილ **ბერდუჯს** (დღევ. ქვემო ქართლი). ზოგჯერ ჩანაწერებში გვხვდება არა სომხიშვილი, არამედ სომეხიშვილი, ისტორიულ დოკუმენტებში (მათ შორის კამერალური აღწერის [illegible]ლებში) **სომხიშვილები არიან მართლმადიდებლები და ტომით, [illegible]ნებით ქართველები.** ამირანა სომეხიშვილი, მოხსენიებულია [illegible]ლის წიგნში, 1673 წ. სოფ. ტბისში (საქ. სიძვ., I, 69); დათუნა სომეხიშვილი, ზაალ წინამძღვრიშვილის ნასყიდობის წიგნი, დათარიღებული 1697 წ. 21 მაისის რიცხვით (საქ. სიძვ., II, 172).

**ზერუა სომხიშვილი,** XVIII ს. პირველი ნახევარი, ამილღაბარ [illegible]ტაშაბიშვილების ყმების ნუსხა (დოკ., II, 30); „ქ. საამისა და [illegible]შერისა ქ. გარისს., 1721 წ. სოლთაშა სომხიშვილი, ვართანა სომხიშვილი“ (ვახუშტი, 118); „ახალშენს პაპუა სომხიშვილი“ (იქვე, 118), მანუჩარ ქავთარაშვილის ყმა ახალშენს, საფარა სომეხიშვილი, სომხიაშვილი სეხნია (121); მგელია სომხიშვილი, მარტყოფელი, 1756 წ. არზა მიცემული მარტყოფელი მგელია სომხიშვილის მიერ მეფე ერეკლე II-ისადმი (იქვე, 77): „...ქ. აქავე მარიამჯვარს, გიორგი სომხიშვილი 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 11); წინწყაროში მცხოვრებ [illegible] გადიგაშვილის ქალიშვილ მარიამის მიმქმელი 1818 წელს ყოფილა პეტრე სომხიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ, №29, ფურ. 184-187), 1828 წ. იანვრის 1-ს სათუმანიშვილის ყმა-მამულისა და გამოსა[illegible]ების ნუსხაში მოიხსენიებიან გიორგი მეხანჯლე **სომხიშვილი** და [illegible] შვილი ნინია **ელიაზარაშვილი** (დოკ., II, 258); **„მარაბდელ [illegible]ანა სომხიშვილს დაებადა ქალი კანონიერის ცოლის ჰვინტიაშვილის აბრამის ასულის ქეთევანისაგან და სახლი განათლა და მონათლა [illegible]ელმა აბრამამ, სახელი დაარქვა ეფემია. მიმქმელად იყო თანა[illegible]ელი იოსებ ტურაშვილი“** (489, №6, №98, 1830 წ. ფურ. 20); **1872 წ. სოფ. ზირბითში იხსენიება სოსია ნინიას ძე სომხიშვილი** (სცსსა, ფ. 254, №3, 116, ფ. 1); **1873 წ. აღწერაში ლუკა სომხიშვილის ოჯახი** აღწერის ფურცელში რეგისტრირებული არიან: **მართლმადიდებლები, ტომით ქართველები, მშობლიური ენა ქართული**

(სცსსა, ფ. 254, № 3, 1618, ფურც. 101-108) (ახალშენი, გარისი, ბოგვი, ენაგეთი, ერტისი, ზრბითი, მარაბდა წინწყარო).

| | |
|---|---|
| სოხაძე | 1870 |
| *თბილისი* | *721* |
| *ქუთაისი* | *399* |
| *ამბროლაური* | *164* |

**სოხაძე** (1829 წ.). საკ. სახელი **სოხა,** გვარში: **სოხაშვილი** ალ. ღლ., მცხეთის ტოპონიმია, 1975, 42); ბოგველ **გრიგოლ სოხაძეს** 1829 წელს დაებადა ვაჟი, მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. სახელი უწოდა საბა. ნათლია იყო თანასოფლელი ბერუა კიკოლაშვილი (489 აღწ. 6, №76, ფურ.3).

| | |
|---|---|
| სტეფანაშვილი | 137 |
| სტეფანიშვილი | 585 |
| სტეფანაძე | 465 |
| სტეფანიძე | 35 |

**სტეფანაშვილი // მთიულიშვილი** (1682). **სტეფანე** (ბერძ.) „გვირგვინი". ეს სახელი აგრეთვე ფართოდ გავრცელებულთა რიგს ეკუთვნის და სხვადასხვა ენაში შესულია ნაირნაირი ფორმით: გერმანულშია **შტეფან,** ფრანგულში – **ეტიენ,** უნგრულში – **იშტვან** და ა.შ. ძველ ქართულში გავრცელებული ფორმა იყო **სტეფანოზ,** რომელიც გვხვდება ჯერ კიდევ მცხეთის ჯვრის წარწერებში (VI ს.)I ამ სახელისაგან არის წარმოქმნილი გვარები: **სტეფანიშვილი, სტეფანია** და **ტეფნაძე (ზ. ჭუმბ.,** დედაენა ქართ., 369); **სტეფანე** – „...თავდებობითა და მინდობითა წმინდათა და უძლეველთა მოწამეა: სტეფანე, გიორგი, თევდორე, დიმიტრი, პროკოპი, ევსტათისათა" (1697 წ. სიძვ., II, 116); სტეფანა (სიძვ., III, 246); სტეფანია (დოკ., II, 198); სტეფანოზ (ქართლ., ცხ., I, 298); **ტატუა სტეფანასშვილი** – ნასყიდობის წიგნის პირი, 1682 წ. (სიძვ., II, 181); **ნონია სტეფანასშვილი,** ნასყიდობის წიგნი, 1789 წ. (იქვე, 475); „ქ.ქირმანის ხანისა დურნუკს: **ლამაზა სტეფანაშვილი** (ვახუშტი, 25); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა, ქ. ლიყურეთს, 1721 წ. **იმედა სტეფანაშვილი"** (ვახუშტი, 58); **ნინია სტეფანაშვილი,** მეუღლე ქეთევანი, ვაჟები სიმონი, დიმიტრი, იოსები, ზურაბი, ნინია და ანა (ბორბალო, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83); 1873 წ. აღწერით სოფ. ბორბალოს იასე და ალექსანდრე სოლოღოვების (სოლაღაშვილი) მამულში მოიხსენიებიან **ივანე მთიულიშვილი, ვაჟი იოსები** (იგივე **სტეფანეშვილები,** სცსსა, ფ. 254, აღწ. № 3, III, ფურც. 1-4)(ბორბალო, დურნუკი, ლიყურეთი, მუხათი).

| | |
|---|---|
| სუთიაშვილი | 184 |
| *თბილისი* | *67* |
| *მცხეთა* | *54* |
| *გორი* | *6* |

**სუთიაშვილი** (1721 წ.). საკ. სახ. **სუთია** (საქ. სიძვ., I, 69); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონი

დედოფლის სახასო, წინწყაროს 1721 წ., ალავერდა სუთიაშვილი (ვახუშტი, 103). ამავე ძირისაა გვარი სუთიძე.

**სუკდიაშვილი** (1721 წ.), რთული შედგ. სახელი **სუკა-ი** (პ. ინგორ., სვან., 2, 138) და გეოგრაფიული სახელი **დია** (იყო სოფელი დლევ. თეთრი წყაროს რაიონში).

„ქ. ავთანდილ სუფრაჯისა ქ. **დიას**, 1721 წ. **ბერუა სუკდიაშვილი**" (ვახუშტი, 115).

**სულაშვილი** (1630 წ.), საკ. სახ. **სულა**, მოიხსენიება XII ს. ძეგლში. „ს(უ)ლსა შავასყურისძისა სულასა (შ/ენდვე) ნ ღ (მერთმა) ნ" (ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977, გვ. 64); „ს(უ)ლსა კ(უირი)კე მოძღ(უ)რისა და მისი ძმისა სუ) (ლასა) და... შ(ეუნდვე) ნ ღ (მერთმა)ნ" (იქვე, გვ. 82); **სულა** ერისთავთ-ერისთავი, **სულა კალმახიძე**, **სულა** „ზოლავარი" (ქრონ., I, 669); **სულა** ერისთავი, გრიგოლ-სურამელის მამა – 1227-1230 წწ. (ქრონ. II, 97).

**თამაზა სულაშვილი** (ალაიანიდან) – 1630 წ. დეკემბრის 25-ს. ბატონყმობის (№) წიგნი, მიცემული გიორგი და ხუცია ალაიანელებ-ის მიერ შერმაზან და სხვა სუმბულიძეთადმი (დოკ., I, 22); „ქ. ყორღანაშვილის თაყასი ქ. შავთას, 1721 წ. ბოგანო **სულაშვილი**" (ვახუშტი, 93); 1817 წ. კოდაში თავად ლუარსაბ ორბელიანის ყმებს შორის მოიხსენიება გეო სულაშვილი (სცსსა. ფ. 254, საქ. №1, ფ. 40-43); **სულა** ამჟამად გავრცელებულია მოფერებითი ფორმით – სულიკო.

**სულა**-დან ნაწარმოებია გვარები: სულაძე, სულავა, სულაისძე, სულასძე, სულიაური, სულიაშვილი, სულიკაშვილი, სულუაშვი-ლი... (შავთა, კოდა).

**სულაძე** (1886 წ.), საკ. სახ. **სულა** (დოკ., I, 202); **სულა** (ტბეთის მატიანე, 455); **სულა** ა. გელოვანი; **სულა**, ა. გელოვანი; **სულა-ი**, 1074 წ. (ხელნაწ., 225; ალ. ღლ., 190).

**მოსე კაკუჩას ძე სულაძე** 1886 წელს სოფელ თეთრწყაროში გადმოსულა რაჭის მაზრის სოფელ ბარიდან (სცსსა, ფ. 254, აღწ., 3, 1610. ფურ. 98-99).

ამავე ძირისაა: **სულავა, სულაშვილი, სულიაური, სულიკაშ-ვილი, სულუაშვილი...** (სოფ. თეთრი წყარო). **სულასძეს, სულავასა და სულაშვილის გვარს ხურსისძე-ხურციძეების საგვარეულოსთან მივყავართ, ამ გვარის შტო-გვარებად ჩანან.** იხილეთ ჩვენი წიგნი

„ხურსისძე-ხურციძიდან რუსთაველამდე“.

ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 160
*ქარელი 52*
*თბილისი 27*
*თეთრიწყარო 14*
ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 28

**ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲡᲣᲚᲐᲘᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), თურქ., საკ. სახ. **სულეიმან.**

**სულეიმან,** შაჰნავაზის (ვახტანგ V) ძე, ნასყიდობის წიგნი, 1735 წ. (სიძვ., I, 137); **დავით, ომან სულეიმანისშვილი,** ნასყიდობის წიგნი დემეტრე ყაფლანიშვილისა, 1635 წ. გიორგობისთვის 3-ს (სიძვ., II, 379); **ქიტა სულაიმანაშვილი,** ნასყიდობის წიგნი, 1672 წ. (იქვე, 147); **სულეიმანიშვილი** იყო მებატონეც. „ქ. სულეიმანიშვილის ომანისა სამადლოს, 1721 წ. მამასახლისი გელიტაშვილი, ლიშხუაშვილი თევდორა, ხუციშვილი აბრამა, ბოგანო ბერუკა მოლაშქრე. ქ. საბეჭდავს, შადონაშვილი ოქრუა, ვარამაშვილი ბერია... და სხვ. ყმები ჰყავდა აგრეთვე სოფლებში, – უწყლო, გვარეთი, კწანისი, სამშვილდე, გარისი, ზემო ოლთისი“ (ვახუშტი, 51 - 52)№ „1828 წელს თონეთელ **თომა სულეიმანაშვილს** დაებადა ვაჟი, სახელი ეწოდა პავლე, მიმქმელად იყო სოლომონ შავშიშვილი“ (489, №6, 57, ფურ. 14); „...თონეთელი კონა სულეიმანასშვილი მოკვდა და დამარხა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ“ (იქვე, ფურ. 17); თონეთელ სახელმწიფო გლეხს თომა სულეიმანაშვილს და სჯულიერსა ცოლსა მისსა მზექალა გიორგის ასულს 1832 წელს დაებადათ ვაჟი აბრამი. მონათლა მღვდელმა სოლომონ ზურაბის ძე შავშიშვილმა (ფ. 489, აღწ., 6, საქ. 150, ფურ. 50); თომა სულეიმანაშვილი. მოიხსენიება დიდ თონეთში 1843 წ. (სცსსა, ფ.254. 1, 2043, ფ. 310-322).

ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 633
*თბილისი 369*
*ონი 98*
*რუსთავი 62*
ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲝᲕᲘ 272

**ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ//ᲡᲣᲠᲢᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. ქცეული **სულთანი, სულთნისა** (არაბ.), მეფის ტიტული ზოგ მაჰმადიანურ ქვეყანაში (ქეგლ. 414); სულთან-ზანგანი ხელმწიფე (ქრონ., III, 189); **სულთანა** ქევხა ღანუკელი, 1569 წ. ყმების შეწირულების წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი (დოკ., I, 7; სცაა, ფ. 226, №5529); ბასილა, გიორგი, კაცია სულთანაშვილები იხსენიებიან 1743 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელ-

საც იესე საგინაშვილი აძლევს თავის ძმისწულ როსტომ ბეჟანიშვილს (დოკ., I, 317); „ქ. საგინაშვილის ინდოშვილის ყმა ქ.ხოპის, 1721 წ. ხოსიტა სულთანაშვილი“ (ვახუშტი, 155).

| | |
|---|---|
| სულუაშვილი | 242 |
| თბილისი | 167 |
| კასპი | 59 |
| ამბროლაური | 1 |

**სულუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **სულა** (დოკ., I, 202); **სულა** (ტბეთის მატიანე, 455); კნინობითი ფორმებია: **სულამა, სულგულა, სულთამამა, სულია** (გვარში **სულიაშვილი**), **სულიკა** (გვარში **სულიკაშვილი**), **სულუა**...

„ქ. თარხნიშვილის მამუკასი და ზურაბისა, 1721 წ. ქ. ზემო ოძისს: **ივანა სულუაშვილი**“ (ვახუშტი, 39).

ამავე ძირისაა: **სულაძე, სულავა, სულაშვილი, სულიაური, სულიკაშვილი, სულიაშვილი** (ზემო ოძისი).

| | |
|---|---|
| სალხანაშვილი | 0 |
| სულხანიშვილი | 1393 |
| თბილისი | 618 |
| მცხეთა | 125 |
| თეთრიწყარო | 117 |

**სულხანაშვილი // სულხანიშვილი // ქრისტესიაშვილი** (1678 წ.), საკ. სახ. **სულხან** (საქ. სიძვ., II, 98); **სულხანა** (დოკ., I, 203); **სულხანა** (არაბ.) – „სამართლიანი“. აქედანაა გვარი სულხანიშვილი. **სულხანი** ერქვა ერის კაცობაში დიდ ქართველ მწერალს საბა ორბელიანს (**ზ. ჭუმბრ.**, დედაენა ქართ., 369); **სულხან** ენისელთა მოურავი, **სულხან** ბარათაშვილი (დოკ., I, 588); **სულხანა** იყო ქალის სახელიც. **სულხან** დედოფალი რუსუდანის კარის მდივანი, მწიგნობარი (იქვე). **სულხანა**, 1701-1711 წწ. ყაფლანიშვილების ყმა ჩარდახლუში (ის. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, გვ. 457); სულხან ამზუაშვილი, სულხან ბაზიერთუხუცესი, სულხან ბარათასშვილი, სულხან ბურდიაშვილი, სულხან გუდაძე (დოკ., I, 588); სულხან ედოფალ რუსუდანის კარის მწიგნობარი, საბუთის დამწერი (იქვე, 64), დათუნა, პეპენა, ელიზბარ, ბასილა., ნიკოლოზ, სვიმონ სულხანიშვილები (იქვე, 588); სულხანიშვილები ბასილა და სხვები, 1673 წ.: ყიდიან მამულს (ის. ლორთქ. III, § 21, გვ. 6); **სულხანიშვილი დათუნა** იხსენიება 1721 წ. მონასტერს (ვახუშტი, 144); „ქ. ხოსროხანიშვილის ყმა, 1721 წ. ქ. სამშვილდეს. „სულხანაშვილი თამაზა“ (ვახუშტი, 24); „ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა ღოუბანს, 1721 წ. სულხანაშვილი რევაზა“ (ვახუშტი, 143); „აქავ კოდაზედ 1781 წ. სარდალ-სალთხუცის ყმა ღოუბნელი სულხანასშვილი დავითა, სულხანასშვილი ოთარა შეუძლებელი“ (ივ. ჯავახ., საქ.

ეკ. ისტ. ძეგლ., I, 177); „ქ. ერასტი მდივანბეგის ნასყიდი ქ. თაფანს 1721 წ. სულხანაშვილი ზურაბა“ (ვახუშტი, 231); **„XVIII ს. ხევსურეთიდან ერწო-თიანეთში ჩამოსახლებულან... სულხანიშვილები** (რ. თოფჩ., 19); „ქ. ციციშვილის შიგამდეგის ზაზასი სამღერეთს, 1721 წ. სულხანაშვილი ასლანა“ (ვახუშტი, 33); გიორგი სულხანაშვილი, მეუღლე მაია, ვაჟები რევაზი, მეუღლე ანა, შვილები ზურაბი, ზაქრო, გაბო, დარეჯანი, ელისაბედი, ნინია, მეუღლე ანახანუმა, შვილები მიხო, ალექსი, დიმიტრი, მეუღლე მარიამი. გიორგის ძმა სულხანი, მეუღლე ქეთევანი, ვაჟები შიო, პეტრე, ქალიშვილები თამარი, ეფემია, დისშვილები სოლომონი, მეუღლე ელისაბედი, ქალიშვილები ანა, სალომე, ბარბარე, მეორე ძმა იოსები, მეუღლე ანა – ერთ ოჯახში ცხოვრობდა 29 სული, 15 მამაკაცი, 14 ქალი (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 83); იასე სულხანაშვილი. ძმები დემეტრე, პავლე, დედა თამარი (იქვე, ფურ. 84).

ლოუბანში მცხოვრები სოლომონ სულხანაშვილი 1826 წელს ნათლავს ვაჟს იაკობს. მიმქმელი ყოფილა ლოუბნელი ივანე აზარიაშვილი (489, 9, №31, 1826 წ.); იმავე წელს რევაზ სულხანაშვილი ნათლავს შვილს პეტრეს, მიმქმელია სოფ. ბორბალოში მცხ. პეტრე ქართლელიშვილი (იქვე, ფურ. 154).

ამავე ძირისაა: **სულხანაური** (ფშავი, დუშეთის რ., ი. მაისურ., 151) (თაფანი, კოდა, მონსტერი, სამშვილდე, სამღერეთი, ლოუბანი). სულხანიშვილები აზნაურები იყვნენ.

| | |
|---|---|
| სურამელი | 349 |
| *გორი* | *275* |
| *თბილისი* | *51* |
| *რუსთავი* | *8* |
| სურამელაშვილი | 200 |

**სურამაშვილი** (1658 წ.), საკ. სახელადქცეული სადაურობის სიტყვა **სურამელი**. სურამაშვილი (სიძვ., I, 443); როსტომ მეფის მიერ 1658 წ. ენაგეთში თავის დისწულ ასანბეგასათვის ნაბოძებ გლეხებს შორის მოხსენიებულია დათუნა სურამაშვილი (ის. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. I და II ...)

**სურამელები,** დიდ ფეოდალთა საგვარეულო XII-XIV სს. საქართველოში. სახელწოდება წარმოდგება მათი საგვარეულო მამულიდან – **სურამი** (ხაშურის რაიონი); უმეფობის ხანაში, როცა მონღოლებმა დუმნებად დაყვეს საქართველო (XIII ს-ის 40-იანი წლები), ქართლის დუმნის თავად გრიგოლ სურამელი დანიშნეს; შდრ. **სურამელი ბეგა I, XII ს. II ნახევარში მოღვაწე ქართველი**

**დიდგვარიანი ფეოდალი; სურამელი ბეგა II** (დაახლ. 125 - XIII ს. ბოლო) ქართველი დიდი ფეოდალი, ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი (ქსე, ტ. 9, 609).

ამავე ძირისაა: **სურამიშვილი, სურამელაშვილი, სურამლიშვილი** (ენაგეთი).

**სურამელაშვილი** (1721 წ.), საკ. სახელადქცეული სადარობის სიტყვა **სურამელა**, ამავე ძირისაა: **სურამელი, სურამლიშვილი** (ი. მაისურ., 151); **სურამელ-ი** (დოკ., I, 13); **სურამელა** (სახ. არქ., 1449, №350).

... **სურამელი ბეგა II,** საქართველოს მეფეების: დავით VI ნარინის, დავით VII ულუს, დემეტრე II-ისა და დავით VIII-ის კარის მოხელე – ვაზირი, მსახურთუხუცესი, გრიგოლ სურამელის ძე; გრიგოლ სურამელი XIII ს-ის 40-60-იანი წლების მოღვაწე, ქართველი დიდგვარიანი ფეოდალი, ქართლის ერისთავ სულა სურამელის ძე. მეფეების: რუსუდანისა და დავით VII ულუს კარის მოხელე, მსახუთუხუცესი 40-იანი წ. ბოლოდან, ვარამ გაგელის გარდაცვალების შემდეგ.

**რატი I სურამელი,** XII ს. II ნახევრისა და XIII ს. დასაწყისის ქართველი დიდგვარიანი ფეოდალი, შვილი ბეგა I სურამელისა და ხუაშაქ ცოქალისა. დემნა უფლისწულის აჯანყების შემდეგ გიორგი III-მ ქართლის ერისთავობა ჩამოართვა ამ აჯანყების მონაწილე ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელს და გადასცა რატი სურამელს. ამის შემდეგ სურამელები გახდნენ ერისთავთ-ერისთავები, ქართლის ერისთავები:

... **რატი II სურამელი, სულა სურამელი, ჰამადა, აჰმადა სურამელი** (ქსე, ტ. 9, 609-610).

„ქ. მდივნის ოთარისა, ზემო ოძისს მახარ სურამელაშვილი 1721 წ.“ (ვახუშტი, 45); გრიგოლ თედორეს ძე სურამელაშვილი (დ. 10.II.1915 წ. სოფ. ძეგვი, მცხეთის რაიონი).

**სურამელები** იხ. **სურამაშვილი** (ზემო ოძისი).

***<u>შენიშვნა:</u>*** **სუფრაჯი** (1694 წ.), საფარეშოს მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. სუფრაჯის ძირითადი მოვალეობა მეფის პირადი სამსახურის გამგებლობა იყო. ვახტანგ VI-ის დასტურლამალის მიხედვით, სუფრაჯს მეფის სუფრის გაშლა ევალებოდა.

სუფრაჯი, საპატიო, მეფის შინაური მოხელე და მასთან დაახლოებული პირი იყო. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამეფოს მმართველობაში. სუფრაჯის სახელო მსხვილ ფეოდალებს ეჭირათ. სუფრაჯი იყო, მაგალითად, **შადიმან ბარათაშვილი**. სუფრაჯის გვარს ატარებდნენ: **დავით და ავთანდილ აბაშიშვილები, ზურაბ და ნოდარ ზურაბაშვილები, ზურაბ ყაფლანიშვილი** (ქსე, ტ. 9, 615; ივ. ლორთქ., ქვ. ქართ., III და IV ნაწ. 457); სუფრაჯი ზოგიერთ მოვალეობას თავისი „კაცების" საშუალებით ასრულებდა. სუფრაჯი დედოფალსაც ჰყავდა. თბილისის ერთ-ერთ უბანს სუფრაჯიანთა უბანი რქმევია: „საღირაშენში ნაზირალიხანმა ზაალ ბარათაშვილს უბოძა ავთანდილ სუფრაჯის კერძი მამული".

**სუფრაჯები მებატონეები იყვნენ საბარათიანოში;** „ქ. ნოდარ სუფრაჯის ყმა ბეთენიას: საბაშვილი ამინა და სხვ. ყმები ჰყავდა სოფლებში: ენაგეთში, ფარცხისში, ოშეთში, ელფიაში, მჟავისში, ძველ აბანოში, ეგრისში, ფიწუთში, იფნარში, თოფრაყალაში, უკანდაღეთში, ანდრიაში.

ავთანდილ სუფრაჯს ყმები ჰყავდა: კიკეთში, საღირაშენში, გოლთეთში, ოშეთში, ფარცხისში, ზეულისტანში, ფიწოეთში, იფნარში, თოფრაყალაში, გარისი, ეცოთში, უკანდაღეთში, დიაში (ვახუშტი, 212-215).

| | |
|---|---|
| სუხაშვილი | 624 |
| თბილისი | 197 |
| კასპი | 175 |
| საგარეჯო | 115 |
| სუხიაშვილი | 949 |

**სუხაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **სუხა** (დოკ., I, 434); „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა წვერს 1721 წ. ...**ქიტუა სუხაშვილი**" (ვახუშტი, 119).

**სუხანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **სუხა** (ი. მაისურ., 151); **სუხანა** (დოკ., I, 46); ქ. ხოსროხანიშვილისა ქ. სამშვილდეს, 1721 წ. **ლამაზა სუხანაშვილი**" (ვახუშტი, 24); სოფ. ვარდისუბანში 1883 წელს გიორგი იოსების ძე სუხანაშვილი ნათლავს ვაჟს იოსებს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

ამავე ძირისაა: **სუხაშვილი, სუხიაშვილი, სუხიშვილი, სუხიტაშვილი** (ვარდისუბანი, სამშვილდე).

**სუხიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **სუხია** (საქ. სიძვ., II, 414); **სუხია** (ალ. ღლ., 191); „ქ. ბატონის ტფილელისა ქ. ღოლოვნას,1721 წ. გოდერძა სუხიაშვილი" (ვახუშტი, 47); „ავთანდილ სუფრაჯისა, 1721 წ. ქ. გარის კიკუა სუხიაშვილი" (ვახუშტი, 115); „ქ. სოლაღაშვილის

ქაიხოსროს მამულში, ქ. ტაგნაგეთს, 1721 წ. ... შერმაზანა სუხიაშვილი" (ვახუშტი, 144).

ამავე ძირისაა: **სუხაშვილი, სუხიშვილი, სუხიტაშვილი** (გარისი, ტაგნაგეთი, ღოლოვნა).

| | |
|---|---|
| სუხიტაშვილი | 1344 |
| *გორი* | *634* |
| *თბილისი* | *287* |
| *თელავი* | *139* |
| სუხიშვილი | 761 |

**სუხიტაშვილი** (1675 წ.), საკ. სახ. **სუხიტა**. გვარში: **სუხიტაშვილი** (ალ. ღლ., 191); **სუხიტა** ბერუასშვილი. 1703 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული დათუნა შატბერასშვილის მიერ ბერი ბესიასშვილისადმი (დოკ., I, 119); **სუხიტა** მაზიტასშვილი, ციცი ციციშვილის აზნაურის ყმა 1664 წ. საკანონოს გადახდის წიგნი, მიცემული ციცი და სხვა ციციშვილების მიერ დომენტი კ-ზისადმი (იქვე, 41); **სუხიტაშვილები**, ჭანდრელები, – 1675-1688 წწ. ორი კომლის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო ქაიხოსროშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისადმი (იქვე, 52); „ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა ქ. ტაგნაგეთს 1721 წ. ბექუა სუხიტაშვილი" (ვახუშტი, 14); **სუხიტაშვილი ქიტესა**, მეუღლე ხანუმა, შვილები ზურაბი, ვანო, დავითი, დიმიტრი მოიხსენიება დიდ ენაგეთს 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, 802, ფურ. 5-18); გიორგი ივანეს ძე სუხიტაშვილი, ძმები იაკობი, დავითი, ეფრემი, ბიძაშვილი თედო, მოიხსენიება დიდ ენაგეთს 1873 წლის აღწერაში (სცსსა, ფ. 254, № 3, საქმე № 115, № 136, ფურ. 189-220); გიორგი ივანეს ძე სუხიტაშვილი დიდ ენაგეთელი, მოიხსენიება 1882 წელს კოდელ მიხეილ იოსების ძე ბედიანიშვილის ქორწილში როგორც თავდები (სცსს, მეტრიკ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო № 1); იგივე ბოგველ მიხაილ აბრამის ძე აბულაძეს უნათლავს შვილს (იქვე, 1885 წ.).

| | |
|---|---|
| შდრ. სხილაძე | 1376 |
| *ზესტაფონი* | *609* |
| *თბილისი* | *257* |
| *ხარაგაული* | *173* |

**სხალაძე** (1721 წ.) – „ქ. სულეიმანიშვილის ომანისა ქ. ახალუბანს, 1721 წ. **სხალაძე**" (ვახუშტი, 52).

შდრ. **სხილაძე**, ზესტაფონის რ., ქედქედი, ხელვაჩაურის რ. (ახალუბანი).

**სხირტლაძე, სხირტლა**, მეტსახელი გვარში; **სხირტლაძე**, „სხირტლაძე, ხიმში, მთის კალთა (აბროლაურის რ., ი. მაისურ., 152).

# ტ

**ტაბელაშვილი** (1676 წ.), **ტაბელი** (ტბეთის მატიანე, 225); ტბელ-ი (პ. ინგორ., სვან., 2, 155).

„ოსიყმა ტაბელაშვილი მოიხსენიება მოწმედ ტბისში 1676 წ. ნასყიდობის წიგნში“ (დოკ., II, 8).

ტაველაშვილი 21
ტაველიშვილი 184
*საგარეჯო 71*
*თბილისი 59*
*გურჯაანი 35*
შდრ. ტაველიძე 50
ტაველური 28

**ტაველაშვილი // ტაველიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ტავა** (ალ. ღლ., 192); კნინობითი ფორმა: **ტაველა**.

„ქ. გერმანოზიშვილის ოთარის ყმა, 1721 წ. ქ.დმანისს ხოსრუა ტაველაშვილი“ (ვახუშტი, 136); „ქ. გერმანოზიშვილი დათუნას ყმა ქ.თაფანს 1721 წ. ნაობ ტაველიშვილი“ (იქვე, 134); მიხეილ ლაზარეს ძე ტაველიშვილი მცხოვრები სოფ. ფარცხისში 1882 წელს ნათლავს შვილს გრიგორს (სცსსა, ფ.489, აღწ. 9). (დმანისი-ჯვარა, თაფანი, ფარცხისი).

**ტანზაკერაშვილი** (1873 წ.), სავარ. მეტსახელი **ტანზაკერა**. შდრ. **ტანკიჩა, ტანტრა, ტანტრია, ტანტუა...**

„გიორგი ყორღანოვის (ყორღანაშვილი) დროებით ვალდებულ გლეხებად 1873 წ. ენაგეთის ახალშენს მოიხსენიებიან არტემ და იაგორ ივანეს ძე ტანზაკერაშვილები (სცსსა, ფ. 254, 3, 114, საქ. № 136, ფურც. 189-218); იქვე მოიხსენიება მიხეილ ივანეს ძე ტანზაკერაშვილი (ენაგეთის ახალშენი).

ტატიშვილი 1612
*თბილისი 980*
*გორი – 169*
*მცხეთა 99*

**ტატიშვილი // ტატიაშვილი // ფეიქრიშვილი** (1619 წ.), საკ. სახ. **ტატა**, დალაქი, ერისთავის ყმა (დოკ., II, 322); **ტატია**, ბასილა ფეიქრისშვილის შვილი (დოკ., I,51); **ათანასე ტატიშვილი**, მანგლისის მთავარეპისკოპოსი მოიხსენიება 1619 წელს სვიმონ II-ის მიერ გაცემულ წყალო-

ის წიგნში (დოკ., I, 18); ბეჟან, ბერი, დათუა, ლომი, რევაზ, სვიმონ და სხვ. ტატიშვილები, იხსენიებიან 1716 წ. ყმისა და მამულის სასყიდობის წიგნში, რომელსაც ზაალ გეთარსანასშვილი აძლევს მოურავის შვილიშვილ სოლომონს (დოკ., I, 171); „ქ. მანგლელის ყმა ქ. თონეთს, 1721 წ. ... ბედიანა ტატიაშვილი, ივანა ტატიაშვილი" (ვახუშტი, 111); ტატიშვილი (მანგლელი ეპისკოპოსი) (იქვე); გოგია **ტატიაშვილი,** იგივე **ფეიქრიშვილი,** მეუღლით ნინა, ვაჟიშვილები; სიმონა, სოლომონი, პავლე, ქალიშვილი პეპანა მოიხსენიება ვარდისუბანში (დღევ. შავსაყდარი); 1823 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 24-26); დიდ ენაგეთში ზაქარია ელიზბარის ძე პეტრიაშვილის ვაჟის გიორგის მონათვლისას 1881 წელს მიმქმელი ყოფილა მარიამ ბერუას ასული ტატიშვილი (სცსსა, ფ. 489. აღწ. 9. თეთრი წყარო 1).

ამავე ძირისაა: **ტატაშვილი, ტატალაშვილი, ტატანაშვილი, ტატიკიშვილი, ტატიური, ტატუაშვილი, ტეტელო,** გვარში **ტეტელოშვილი, ტეტუნაშვილი** და სხვ.

ქართველების გრიგორიანული წესით მონათვლის გამო ზოგ ადგილას **ტატიშვილი ტატინიანად** ჩაეწერა (ვარდისუბანი, თონეთი, მანგლისი). ტატიშვილი აზნაურული გვარია.

**ტატიაშვილი 114**
*გორი 133*
*გურჯაანი 117*
*თბილისი 82*

**ტატუაშვილი 509**
*თბილისი 205*
*დმანისი 119*
*თეთრიწყარო 76*

**ტატუაშვილი // ტატიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ტატუ** (ისტ. დოკ., I, 112); **ტატუა** (დოკ., II, 281); **ტატუა** (კოლხ., 97, ბალდა); **ტატია** (დოკ., II, 4).

1721 წ. აღწ. დიდ თონეთში მოიხსენიებიან **ბედიანა ტატიაშვილი და ივანა ტატიაშვილი.** შემდგომში გვარმა სახე იცვალა და **ტატუაშვილად** გაფორმდა.

თონეთელ სახელმწიფო გლეხს ივანე ანტონის ძე ტატუაშვილსა და მის სჯულიერ ცოლს მარიამ ალექსის ასულს დაებადათ ვაჟი პეტრე, მიმქმელად იყო თანასოფლელი იოსებ პაპუნას ძე პაპუნაშვილი (ფ. 498, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 51).

**ტერნაქაშვილი** (1721 წ.), ტერ სომხ. **მამაო** (წმ. მამაო), ნაკა, საკუთ. სახელი. შდრ. **ნაკაიძე, ნაკაშიძე, სვანეთში,** გვარი: **ნაკანი.**
„ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა. 1721 წ. ქ. კამარეთს:

ბექან **ტერნაკანაშვილი**“ (ვახუშტი, 58).

შდრ. **ტერნავანაშვილი, ტერფიჩხულაშვილი, ტერმოსესაშვილი, ტერზაქარაშვილი, ტერსიმონა მაქანდარაშვილი** (კამარეთი). სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ ქართველ მღვდლებს ფიჩხულაშვილს, მოსესაშვილს... წინ დაემატა სომხური **ტერ** (მღვდელი, მამაო)... შდრ.: ტერ-გრიგორიანი, ტერ-კაზარიანი, ტერ-კარაპეტიანი...

**ტერნავაშვილი** (1781 წ.), შედგენილია ორი სიტყვისაგან: **ტერ**. (სომხ.) მამა-ო (წმ.) და საკ. სახ. **ნავანა**//ნავა (არქ., 1886, ფარი, სვან., მამ., 7; ალ. ღლ., 168); ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი მღვდელი ყოფილა.

„ქ. ვაშლოვანს დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმა, 1781 წ. ... შაქრუა, არუთინა, დავითა, ოსეფა, პაპა **ტერნავანაშვილები**“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 166).

შდრ. **ტერფიჩხულაშვილი, ტერმარქარაშვილი, ტერზაქარაშვილი** და სხვ.

**ტერტერაშვილი**
1124
გორი 464
ახმეტა 350
საგარეჯო 86

**ტერტერაშვილი** (1721 წ.), **ტერტერა** (ტერტერასი), სომეხთა მღვდელი (ქეგლ.), შდრ. ქართ. **ხუცესი.** საკ. სახ. **ტერტერა** (დოკ., I, 239); ტერდავითა, 1678 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ესტატე ხოსიტაშვილის მიერ თავის განაყოფ ზურაბ, სულხან და ყალანდარ ჯიმშიტაშვილებისათვის (დოკ., I, 57); **ტერტერაშვილი,** 1656 წ. მარტის 21-ს. ყმობის წიგნი, მიცემული ველია და ასა მუსტაფაშვილების მიერ ბაინდურა და სხვა ტერტერაშვილისათვის (დოკ., 1, 37); ავთანდილა **ტერტერაშვილი,** 1685 წ. ღალის ამოკვეთის წიგნი, მიცემული მუხრანის ბატონის შვილის ბოვნელ ეპისკოპოსის ნიკოლოზის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისადმი (საქ. მუზ., №14, 178 Hd; დოკ., I, 76); „ქ. ციციშვილის ზაალისა ქ. სამღერეთს, 1721 წ. მანასია **ტერტერაშვილი**“ (ვახუშტი, 31). **ქართველი აზნაურები ტერტერაშვილები:** ავთანდილ, ზალია, ოვანეზა, თამაზა, 1721 წ. აღწ. იხსენიებიან ყაფლანიშვილების მემამულეებად, რომლებსაც უცხოვრიათ და ყმები ჰყოლიათ ქცია-ყარაბულაღში, გარისის მიწაზე სოფ. ლიპ-ში; **დათუნა ტერტარაშვილი, 1701-11; აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დილამაშენში.**

**ტერტერაშვილები:** უსუფა, ბექუა, მათაზა, მარქარა, 1701-11 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულენი დილამაშენში (**იას. ლორთქ.**, ქვ. ქართ., ნაწ. III და IV გვ. 271, 458). მოგვიანებით რუსული გაფორმებით **ტერტეროვი.**

შდრ. ქართული **მღვდელაძე, მღვდლიაშვილი, ხუციშვილი, ხუციაშვილი, ხუცაიძე, ხუციძე...** (ლიპი, სამღერეთი).

ტეტიაშვილი 175
*თელავი 63*
*საგარეჯო 62*
*თბილისი 16*

**ტეტიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ტეტია** (საქ. სიძვ., I, 198). **ტეტია** (თუშ., გ. ცოცან., ალ. ღლ., 193); **ტეტია** ზგდ. ქართლელთა მეტსახელი.

პაპა **ტეტიაშვილი** – 1738 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოთარ ალექსიშვილის მიერ ფარსადან ციციშვილისათვის (დოკ. I 275); „ქ. ფარემუზაშვილის ბეჟანის ყმა ჩხიკვთას 1721 წ. ... **თამაზა ტეტიაშვილი**" (ვახუშტი, 152); 1817 წ. აღწერაში ქაიხოსრო ორბელიანის ყმად სოფ. კოდაში მოიხსენიება გიორგი **ტეტიაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 40-43); სოფ. ღოუბანში მცხოვრები დავით **ტეტიაშვილი** 1818 წ. ნათლავს ქალიშვილ ნინოს, მიმქმელი ყოფილა ბახუტაშვილის მეუღლე თამარი (სცსსა, ფ. 489, 6, 1ბ, №24, ფურ. 145) (კოდა, ჩხიკვთა, ღოუბანი).

**ტვიფიაშვილი** (1721 წ.) სავარ. ხელობის აღმნიშვნელი სიტყვა **ტვიფრი.** ნ. **ტვიფრ-**ი რაიმე მასალაზე (ლითონზე) პირუკუღმა ამობურცული გამოსახულება ანაბეჭდის მისაღებად. ტვიფრავს, დატვიფრავს (ქეგლ., 419); შდრ. საკ. სახ. **ტვიბია // ტვიბიაშვილი, ტვიბია** (კოლხ., 101, კორცხელი, ალ. ღლ., 193); „ქ. დონდარაშვილის ზურაბისა ქ. ზრბითს **ბერუა ტვიფიაშვილი**" (1721 წ. ვახუშტი, 155).

ტიკურიშვილი 104
*თბილისი 36*
*თეთრიწყარო 34*
*რუსთავი 23*

**ტიკურიშვილი** (1865 წ.), სავარ. საკ. სახ. **ტიკარა,** შდრ. მეტსახელი **ტიკა,** გვარში: **ტიკაშვილი** (ალ. ღლ., 193); გადმოცემით მთხრ. გრ. ბეკარაშვილი, 7.8 წ., ჵარაბდის ბატონს ყორღანოვს (იგივე ყორღანაშვილს, ყმები უყიდია ახალგორში ძვ. სახელწოდებით სოფ. წირქულსა და მის მეზობელ სოფელში). ესენი ყოფილან: **ძეყორაშვილები,** ამჟამად **ბეკარაშვილები, მახარაშვილები, ხრიკულები** (დღევ. ტიკურიშვილები).

...სოფ. გოლთეთში 1873 წ. აღწ. ანტონ სოლომონის ძე ყორღანოვის (ყორღანაშვილის) დროებით ვალდებულ გლეხებად

მოიხსენიებიან ზურაბ ტიკურიშვილი, ანდრე ტიკურიშვილი და გაბრიელ ტიკურიშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, №113, საქმე №79, ფ. 383-386).

ამავე ძირისაა: **ტიკაშვილი, ტიკაძე, ტიკარიძე, ტიკიშვილი, ტიკურაშვილი.**

შდრ. **ციქურიშვილი** (ილ. მაისურ., 154) (გოლთეთი).

ტოგონიძე 1303
*თბილისი 526*
*ქუთაისი 145*
*წყალტუბო 133*
ტოგოშვილი 34

**ტოგონიძე,** სავარ. სახელმწოდებიდან **ტოგუნი** (მაღალი საჯდომი მოვლებული, საბა, 334).

ნ. **ტოგუნიძე** გიორგი. ნასყიდობის წიგნი, 1730 წ. ახლო, მიცემული გიორგი ტოგუნიძის მიერ მურვან. ბააკა და სხვა მურვანიშვილებისათვის (დოკ., I, 230; საქ. მუზ., №14, 158, Hd); ნ. შემდგომში **ტოგონიძე** ივანე დავითის შვილი, 1830 წ. დეკემბრის 10-ს. ხელშეკრულების წიგნი, მიცემული ივანე ტოგონიძის მიერ იაგორ ქეთხუდოვისათვის (დოკ., II, 260; საქ. მუზ., ფ. Qd №86). შდრ.: **ტოგოშვილი.**

**ტ.** ასურეთში ამბროლაურის რაიონის სოფ. ფარახეთიდან გადმოვიდნენ საცხოვრებლად 1941 წელს. ცხოვრობენ სოფლებში: სევა, ფარახეთი, ძეგლევი.

ტომარაძე 368
*თბილისი 278*
*ონი 31*
*ქუთაისი 29*

**ტომარაშვილი,** მეტსახელი **ტომარა,** როგორც კაცის, ისე ქალისა, შდრ. ვაშკარანი (ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა მთასადებელთა: გუალაგთა, ტომარათა, ველავარკთა, იანდიკთა, მხალთა, მახალაკეთა, შულდაკთა, ხალთასა, ჩაბუსა, ბალანტსა, თალისასა, ხილინდარსა, ჯუზდანსა, ჩალათასა და მისთანათა. იგივეა, რაც ჭურჭელი (საბა, 117).

ამავე ძირისაა: **ტომარაძე.** გადმოცემით შერქმეული გვარია ტომრების მკეთებლობის (ქსოვის) გამო (**ილ. მაისურ.**, 154).

ტურაშვილი 2311
*თბილისი 587*
*გორი 468*
*ყვარელი 226*

**ტურაშვილი** (1781 წ.), საკ. სახ. **ტურა, ტურია** (კოლხ., 93, ჩხოროწყუ; ისტ. დოკ., I, 66; ალ. ღლ., 195).

**ტურია,** გიორგი პაჭიჭაშვილის ბიძაშვილი, როგორც გააზატებული, მოხსენიებულია, თიანეთში 1736 წ. შედგენილ აზატობის განხილვის წიგნში, მიცემული თეიმურაზ II-ის მიერ გიორგი პაჭიჭასშ-

ᲢᲣᲠᲐᲕᲐ 535
ᲢᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 857
ᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 37

ვილისადმი (დოკ., I, 396); **ტურია** ვარდანაშვილი, 1655 წ. ყმების წყალობის წიგნით გივი გურამიშვილს რგებია (იხ. ყმობის წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ გივი გურამიშვილისადმი (დოკ., I, 367); **ომან ტურაშვილი** არის მოწმე პირობის წიგნისა, რომელსაც მღვდელი კოკორაშვილი 1791წ. აძლევს როსტომ და გიორგი დავითისშვილებს (დოკ., II, 161); კიკო, ხარიტონ ტურასშვილი მოხსენიებული არიან 1813 წ. მაისის 17-ს. სიღნაღის დროებითი სასამართლოს ბრძანებაში, რომლებსაც ბრალად ედებათ კარდენახში თავად ზაქარია ვაჩნაძოვის სახლის აკლება (საქ. მუზ., ფ. Hd. №2902; დოკ., II, 275); „აქავ მარაბდას საამიშვილების ყმა ივანე ტურაშვილი შეუძლებელი, 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ., ძეგლ., I, 170); სოფ. კოდაში 1817 წ. აღწ. თავად იოსებ ორბელიანის ყმად მოიხსენიება ნინია ტურაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 40.43); დემეტრე ტურაშვილი, მეუღლე მარინე, ვაჟები სოსია, კიკოლა, დათია, მოიხსენიებიან 1823 წლის აღწერით სოფ. მარაბდას (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 27-34).

ამავე ძირისაა: **ტურავა, ტურიშვილი, ტურიაშვილი, ტურიკაშვილი.**

შდრ. **ვეფხვაძე, ლომაძე, მგელაძე, მელაძე, მელია, ფოცხვერია, ფოცხვერაშვილი...** (მარაბდა, კოდა).

ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1095
*სიღნაღი 405*
*თბილისი 260*
*დედოფლისწყარო 116*
ᲢᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 123
ᲢᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ 44

**ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲢᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1636 წ.), საკ. სახ. **ტუხა** (გ. ლეონ., სახელები), **ტუხია** (საქ. სიძვ., I, 358); **ტუხაშვილი ბერინა** (საქ. სიძვ., I, 256); პაპუნა ტუხიაშვილი, გაცვლის წიგნი, 1636-1703 წწ. (საქ. სიძვ., I, 122); სიყმია ტუხიაშვილი – 1676 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დურმიშხან ფალავანხოსროშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბისშვილისადმი (დოკ., II, 8).

**ᲢᲧᲐᲞᲣᲜᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ტყაპუნა.** შდრ. **ტომარა, ტლოპა, ტილა** და მისთ. **ტყაპუნასშვილი** (საქ. სიძვ., I, 370); ბაადურა ტყაპუნაშვილი მოიხსენიება 1713 წ. აბულვარდიშვილის ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 247).

შდრ. **ტვლეპიაშვილი, საკვებავისშვილი, აპრიალასშვილი,**

**ლაწუნაშვილი, ბაღნიასშვილი, გოჭისშვილი, სამგლისშვილი, ცხრაპერანგასშვილი, ხელფეხიშვილი, ქაჩალაშვილი** და მისთ. (ახალშენი, ენაგეთის).

| ტყეშელაშვილი | |
|---|---|
| | 3849 |
| ქუთაისი 1125 | |
| თბილისი 901 | |
| ვანი 830 | |

**ტყეშელაშვილი**, საკ. სახ. **ტყეშელა**, გვარებში: **ტყეშელაშვილი, ტყეშელაძე, ტყეშელიაძე** (ალ. ღლ., 196); გადმოცემით ამ გვარის წინაპრები **კოზოლიები** ყოფილან. აფხაზეთიდან (წებელდიდან) გადმოსულან იმერეთში და **კოზოლაძეებად** ქცეულან, შემდეგ – **ხატისკაცებად**; ტყეშელაშვილების პირველი საცხოვრისი იმერეთში ბზვანი და მაღლაკი ყოფილა (**ი. მაისურ.**, 157). ტყეშელაშვილები რაჭაში ცხოვრობენ სოფლებში: პიპილეთი, საკაო, შეუბანი, ირჯო, ხვანჭკარა, ჯვარისა.

# უ

**უდრეკანაშვილი** (1676 წ.), სავარ. სახ. **უდრეკი, ძლიერი, მტკიცე, მოუდრეკავი.** საპირისპიროა **მოდრეკილი // მოდრეკილაძე** (გუდალეთი, კასპის რ.).

**უდრეკანაშვილი ბერიკა** მოიხსენიება მოწმედ სოფ. ტბისს **676** წ. ყმის ნასყიდობის წიგნში, მიცემული დურმიშხან ფალავანხოსროშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბისშვილისათვის (საქ. მუზ., Hd, №7596).

**უთალიშვილი 300**
*თელავი 246*
*თბილისი 22*
*რუსთავი 13*

**უთალაშვილი // უთალიშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **უთალა** (ჩამოუთალა), შდრ., **უთვალა** (დაუთვალა).

„ქ. მდივნის ოთარისა, ქ. ქვემო ოძის: 1721 წ. ივანა უთალაშვილი“ (ვახუშტი, 14).

**ულუხანაშვილი** (1721 წ.), რთული შედგენილი სახელი. საკ. სახ. **ულუ** (სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 197) პლუს **ხან-ა, ხანი.** „ქ. მიტაშენს მსახლობელი ზურაბის ყმა ვოსენა ულუხანაშვილი“ (ვახუშტი).

**უნაფქოშვილი 220**
*საგარეჯო 90*
*თბილისი 61*
*გარდაბანი 23*

**უნაფქოშვილი** (1873 წ.), სავარ. მეტსახ. **უნაფქო** (ნაფქვავის უქონელი, ღატაკი, უნაფქვობა – უფქვილობა, დაფქვილის უქონლობა (**ღ.მაისურ.**, 158); 1873 წ. აღწერით სოფ. მარაბდაში მოიხსენიება გიორგი უნაფქოშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 121-122, ფურც. 1-3, №228. ცხოვრობენ მარტყოფშიც.

**უნჯულაშვილი** (1671 წ.), საკ. სახ. **უნჯა** (ალ. ღლ., 197); კნ ფორმა **უნჯულა.**

**უნჯულაშვილი** 1671 წ. დასახელებულია მოწმედ სოფ. ენაგეთს (საქ. სიძვ., I , 71).

ურიადმყოფელი 406
ზესტაფონი 223
ხაშური 47
თერჯოლა 40
ურიათმყოფელი 21

**ურიათმყოფელი** (1886 წ.). ეთნონიმი (თურქი, თათარი, ოსმალო, სპარსი ძველი გაგებით), მყოფი, ვინც იმყოფება. მყოფელი იგივეა, რაც მყოფი.

სოფელ თეთრ წყაროში როგორც დროებით მცხოვრებელი 1886 წელს მოიხსენიება ნიკოლოზ გაბრიელის ძე **ურიათმყოფელი** (სცსსა, ფ. 254, აღწ. 3, 1610, ფურ. 1-99).

**ურდელაძე//ურდულაძე** (1721 წ.). საკ. სახ. **ურდულა. ურდულა** გვარში **ურდულაძე** (ალ. ღლ., 197); შდრ. **ურიგა**, გვარში: **ურიგაშვილი** (ი.მაისურ., 159); **ურგება,** გვარში: **ურგებაძე** (ი. მაისურ., 159).

„ქ. კანჭაშვილის თომას ყმა ქ. ბოცისჯვარს, 1721 წ. იოსებ ურდელაძე, გიორგი ურდელაძე" (ვახუშტი, 139).

შდრ. **ურდული** კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი გარდიგარდმო გასაყრელი კეტი. კარს ურდული გაუყარა (ქეგლ. 431). ამავე ძირისაა ურდულაშვილი.

**უსტაშვილი // უსტიაშვილი** (1783 წ.), საკ. სახ. **უსტია** (დოკ., I, 13); უსტაბაში (კნინ. ფორმა უსტა), თურქ. (ძვ.) ხელოსანთა ამქრის უფროსი, უფროსი ოსტატი (ქეგლ).

**ნაზარა უსტაშვილი** მოიხსენიება 1783 წ. ენაგეთში ნასყიდობის წიგნში, რომელსაც არუთინა უსტაშვილი აძლევს ერასტი გოსტაშაბიშვილს (დოკ., II, 127; საქ. მუზ., Hd №1366); აბრამ პეტრეს ძე უსტიაშვილი, შვილები; ივანე, სიკო აბრამის დისშვილები პეტრე, პავლე მოიხსენიებიან დიდ ენაგეთს 1873 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო )); დიდ ენაგეთში იქვე 1885 წ. მოიხსენიება პავლე გიორგის ძე უსტიაშვილი.

**უფლინება** (1818 წ.). საკ. სახ. **უფლისა** (ძვ. საქ., IV. განყ. III, 32); **უფლოს** (ქართლ. ცხ., 1, 9); შდრ. ალავერდა, ახვერდა და მისთ.

1818 წელს დიდ ენაგეთში გრიგოლ ერწოელის ქალიშვილ ეკატერინეს თავდებად მოიხსენიება **სოლომონ შავერდას ძე უფლინება** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

უფლისაშვილი 440
ჭიათურა 170
ტყიბული 77
თბილისი 65

შდრ. **უფლისაშვილი** (უფლისა, ღვთისადმი შეწირული, უფლის კუთვნილი) (ა.შანიძე, თეოფ. სახელი). შდრ.: **კვიჩიკაძე**.

# ფ

| | |
|---|---|
| **ფადარაშვილი** | 138 |
| *თეთრიწყარო* | *103* |
| *თბილისი* | *29* |
| *ბოლნისი* | *4* |

**ფადარაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ფადარ** სოფელ კოდაში 1781 წ. მოსულებად ჩანან ბევრელი (ამჟამად აღნიშნული სოფელი აღრაა), **ლაზარე** და **ფადარა**. **ლაზარედან** გაჩნდა გვარი **ლაზარიაშვილი**, ხოლო ფადარადან – **ფადარაშვილი**. ნ. „...**აქავ ბევრელი ლაზარე და აქავ ბევრელი ფადარი**“ (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 174); შდრ.: დღევ. **ფადარაანი, ლაზარაანი.**

შდრ. კოდაში ასეთივე გზით გაჩენილა გვარები: **ოსიყმაშვილი, პოჩიკაშვილი, ოჰანეზაშვილი, სარქისაშვილი, აზატაშვილი, მატიაშვილი, დალაქიშვილი, რევაზიშვილი, ყავილაშვილი** და სხვ (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 172-179).

**ფაზაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფაზ-ი, ფაზია** (ალ.ღლ., 198); „ქ. გერმანოზიშვილი დათუნას ყმა, 1721 წ. ქ. კოხტას, (კოხოტა)... დათუნა ფაზაშვილი“ (ვახუშტი, 133); „ქ. ყარაბუდახიშვილის გიორგისა ქ. კარაქას, კაცია ფაზაშვილი“ (იქვე, 73).

| | |
|---|---|
| **ფანიაშვილი** | 112 |
| *თბილისი* | *55* |
| *გორი* | *39* |
| *მცხეთა* | *6* |

**ფანიაშვილი** (1720 წ.), საკ. სახ. **ფანია,** გვარში: **ფანიაშვილი** (ალ. ღლ., 199); პეტრე ფანიაშვილი, ვ. ფანიაშვილი, 1710 წ. აზატობის წიგნი, მიცემული ვიღაც პირის მიერ რევაზა ქოქოლაძისადმი (დოკ., I, 147); „ქ. ჩხეიძის სეხნიასი ღორისთავს, 1721 წ. **სეხნია ფანიაშვილი**“ (ვახუშტი, 37).

ამავე ძირისაა: **ფანიშვილი.**

**ფარაშვილი** (1822 წ.), საკ. სახ. **ფარაგ** (ალ. ღლ., 199); შდრ. ცხვრის ფარა.

გიორგი ფარაშვილი მოიხსენიება სოფელ ენაგეთში 1822 წელს (სცსსა, ფ.489, 6, 1, ბ, №27).

ფარაჯანაშვილი 21
*თბილისი 11*
*გარდაბანი 4*
*თეთრიწყარო 4*

**ფარაჯანაშვილი//ფარეჯანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფარაჯანა,** გვარში: **ფარაჯანაშვილი //** მოგვიანებით რუსული გაფორმებით **ფარაჯანოვი** (ალ.ღლ., 199: – ი.ა.). **ფარაჯა** (თურქ.) იგივეა, რაც მაზარა.

საკ. სახ. **ფარეჯანა.** გვარში **ფარეჯანაშვილი, ფარეჯან** (ქრონიკ., II, 14); **ფარეჯან-ი** (ქართლ., ცხ., II, 294); **ანანა ფარეჯანასშვილი,** სითარხნის წიგნი, 1691 წ. (საქ. სიძვ., I, 119); „ქ. დათუნა გერმანოზიშვილის ყმა 1721 წ. ქ. ზას თამაზა ფარეჯანაშვილი" (ვახუშტი, 133); თბილისის უეზდის სოფელ ტბისში მცხოვრებელი სახაზინო ყმა აბრამ მიქელას ძე ფარაჯანაშვილი და სჯულიერი ცოლი მისი ელისაბედ გაბრიელის ასული ორივე მართლმადიდებლობითის სარწმუნოების აღსარისებისანი ნათლავენ ქალიშვილს ქრისტესიას. მიმქმელი ყოფილა ფარცხისში მცხოვრები გაბრიელ ბერუას ძე ბეგიაშვილი (1882 წ. სცსსა, ფ. 489, აღწ., 9, თეთრი წყარო 1); ტბისში მცხოვრები აბრამ მიქელას ძე ფარაჯანაშვილი დიდი ენაგეთის წმ. გიორგი ეკლესიაში 1884 წელს ნათლავს შვილს ნიკოლოზს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

შდრ. **მამაჯანაშვილი, ველიჯანაშვილი, ამირჯანაშვილი** და მისთ.

**ფარდონაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფარდონა.** შდრ. **ფარადა,** გვარში: **ფარადაშვილი, ფარაჯანა,** გვარში: **ფარაჯანაშვილი, ფარეშა//ფარეშ,** მეტსახელი გვარში **ფარეშიშვილი // ფარეშაშვილი, ფარეჯან** (ქრონიკ., II, 14); **ფარეჯან-ი** (ქართლ., ცხ., II, 294).

ფარემუზაშვილი 64
*თბილისი 17*
*თეთრიწყარო 17*
*კასპი 17*
ფარემუზოვი 84
(იგივე ფარემუზაშვილი-საგინაშვილებია)

**ფარემუზაშვილი // სელეპანაშვილი** (1721 წ.), საკ.სახ. **ფარემუზა** (საქ. სიძვ., II, 127); **ფარემუზ**-განჩინების წიგნი, 1785 წ. (საქ. სიძვ., I, 155); **ფარემუზ** მდივანი (იქვე, 493).

**ბექან, იესე, როსტომ ფარემუზისშვილები,** ნასყიდობის წიგნი, 1725 წ. (საქ. სიძვ., I, 85); **ფარემუზაშვილები იყვნენ მებატონეები.** შდრ. **საგინაშვილები:** ფარემუზას ორი სოფელი მოიხსენიება ყაიყულში (იას. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, §71-657,

658, 413, 534, 889, § 42); **თეიმურაზ ფარემუზაშვილი,** შვილები: **ფარემუზა,** გიორგი ყიდიან მამულს, 1725 წ. ბრეშში. თეიმურაზი იმავე 1725 წ. ყიდულობს ისპიანს, ხოლო ზურაბიშვილი ზურაბი – ჭრეშს (იქვე, 71-310, 869); 1823 წელს პატარა ენაგეთში (ამჟამად ენაგეთი) მოიხსენიება **მინასა სელეპანაშვილი, იგივე ფარემუზაშვილი** (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 19-20) „**სოფ. ქისტაურის მკვიდრთაგან ძირად მთიელებად თვლიან თავს ... ფარემუზაშვილები**", სავარაუდოა, რომ ქვ. ქართლში მცხოვრები ფარემუზაშვილები მთიულეთიდან არიან გადმოსული. დიდ ენაგეთსავე მცხოვრები **ამრუმელაშვილები** ატარებენ მეორე გვარსაც – **ერწველაშვილები, ერწოელები,** რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სოფ. ერწოდან არიან გადმოსული და დღესაც ამურველაშვილთა გვარში შემორჩენილი (პატრონომიკული სახელი) ერწველაანი სწორედ ამაზე მიგვანიშნებს; მოიხსენიებიან ფარემუზ ანდრონიკის ძე, ბექანისშვილი, ბოქაულთუხუცესი, მდივანი, მდივანბეგი, მეღვინეთუხუცსი, მსაჯული და სხვ. (ფ. მოიხსენიება 32-ჯერ); ფარემუზა მეჯინიბეთუხუცესი, მიღდისი, ნაზირი, სახლთუუხუცესი, ფრანგი და სხვ. (მოიხსენიება 31-ჯერ); ფარემუზაშვილი ზაალი, ქაიხოსრო, როინი, ბარამი, ბიძინა, როინ (მეორე), სანველა, როსტომი, ბექანი, ავთანდილი, ზაალი (მეორე), როსტომი (მეორე). ფარემუზოვი ივანე (სცსსა, კოლექცია № 1448, ნაწ. III, გვ. 39).

**საგინაშვილების** შტო-გვარია აგრეთვე **ფარემუზაშვილი.** შდრ. **საგინაშვილი, სელეპანაშვილი** (ბოგვი, პატარა ენაგეთი, ჩხიკვთა).

| | |
|---|---|
| ფარეშიშვილი | 295 |
| *თბილისი* | *166* |
| *თელავი* | *63* |
| *გარდაბანი* | *50* |

**ფარეშაშვილი** (1721 წ.), საკ. სახელადქცეული მოსაქმეობის ტერმინი **ფარეში** („შინამოსამსახურე", საბა) II, **ფარეშიშვილი** (ი. მაისურ., 163); **ფარეში** ბატატა, **ფარეში** გიორგი, მოიხსენიებიან 1688-1694 წ. ყმების მირთმევის წიგნში, მიცმული გიორგი ერისთავის მიერ ენისელთ მოურავი სულხანისადმი (დოკ., I, 371); ფარეში პაატა ალადაშვილი (იქვე, 420); „ქ. გერმანოზიშვილი დათუნას ყმა, ქ. მცოვრეთს 1721 წ. დათუა ფარეშაშვილი" (ვახუშტი, 133); „ქ. გერმანოზიშვილი ოთარის ყმა, 1721 წ. ქ. ცოვრეთს... მამუკა ფარეშაშვილი" (იქვე, 135); „ქ. **ხოსროხანისშვილისა** ქ. სამშვილდეს 1721 წ. გიორგი ფარეშიშვილი" (ვახუშტი, 24); „ქ. ვარაზაშვილის ლ-ჯარსა-

ბის ყმა, 1721 წ. ქ. გუდარეხს დათუა ფარეშაშვილი" (ვახუშტი, 137) (მცოვრეთი (ცოვრეთი) სამშვილდე, გუდარეხი).

**ფარილუსაშვილი** (1523 წ.), სავარ. წარმომდგარია ფარი+ლუსა. ლუსუმა, ლუსია (ქალის საკ. სახ.), შეერთებით. შდრ. **ფარაბეგ, ფარაღათა, ფარემუზა, ფაარეშა, ფარეჯანა.**

„...ერთწილად კიდევ ენაგეთს ფარილუსაშვილი, დაგუიდებია ზედა ველიჯანა (იხ. ბარათაანთ გაყრის სიგელი, 1523 წ. ქრონ., II, 349). (ენაგეთი).

ფარსადანაშვილი 86
*გარდაბანი 51*
*თბილისი 20*
*თეთრიწყარო 5*

**ფარსადანაშვილი** (1737 წ.), **ფარსადან** (სპ.) „ბრძენი" „სწავლული", „მეცნიერი". ფარსადან მეტად გავრცელებული სახელია. იგი ნესტან-დარეჯანის მამის სახელია „ვეფხისტყაოსანში".

**ფარსადან ბარათაშვილი** (დოკ., I, 27), **ფარსადან ზაალისშვილი** (იქვე, 289), **ფარსადან,** ლაზარე ბერძენიძის ბატონი (433), **ფარსადან** მაჩაბელი (162), **ფარსადან** ციციშვილი და სხვ.

ფარსადანიშვილი 137
*თბილისი 59*
*თელავი 30*
*გურჯაანი 28*
ფარსადანოვი იგივე
ფარსადანიშვილი 157

ზურაბა ფარსადანაშვილი, 1737 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე **როინაშვილ-ყორღანაშვილის** მიერ თავის ბიძაშვილის ზაალ როსტომაშვილისადმი (სცსსა, ფ. 226, №3908) (მუხათი).

**ფარსულაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფარსია, ფარსოა** (დოკ., I, 55); **ფარსელა,** XVII ს. ყმების ნუსხა (დოკ., II, 201); 1721 წ. აღწ. მებატონე სოლოღაშვილის გამომღებ ყმებს შორის სოფ. დრეში მოიხსენიება ნასყიდა **ფარსულაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 333, 1843 წ.).

შდრ. **ფარსიაშვილი, ფარსულაშვილი** (დრე).

**ფასინაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფასია** (საქ. სიძვ., I, 199), **ფასია** ბერინასშვილი (საქ. სიძვ., II, 150); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონი დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. ... ყაზარა და თემუა **ფასინაშვილები**" (ვახუშტი, 101).

შდრ. **ფასეიშვილი, ფასუაშვილი, ფასურიშვილი** (წინწყარო).

**ფაფრიანიშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ფაფრია** (ქარალეთი,

გორის რ., ალ. ღლ., 200); ფაფარი ცხენის კისრის თმა (საბა, 352).

„ქ. ციციშვილის//ბაადურიშვილის ზაალის ყმა, 1721 წ. დიდ-დოღეთს: ...**ბერუა ფაფრიანიშვილი**“ (ვახუშტი, 33).

**ფალილაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ფალილა**.

„ქ. ქავთარიშვილის სულხანის ყმა ქ. ანდრიას 1721 წ. ზურაბა და ტერტერა **ფალილაშვილები**“ (ვახუშტი, 123).

| | |
|---|---|
| ფეიქრიშვილი | 2970 |
| *თბილისი* | *1021* |
| *თელავი* | *225* |
| *საგარეჯო* | *224* |
| ბერაშვილი | 246 |

**ფეიქრიშვილი // ტატიაშვილი // ბერაშვილი** (1682), ხელობა-საქმიანობის ტერმინი **ფეიქარი** შდრ. გვარები: მდივნიშვილი, მენაბდიშვილი, მხატვრიშვილი, დურგლიშვილი, მონადირიშვილი, ხარატიშვილი, ზეინკლიშვილი, ხუროძე, ხუროშვილი. ნ. **ფეიქარი პაატა,** 1697 წ. იანვრის 1-ლს. ყმის ნაყიდობის წიგნი (დოკ., I, 101); ფეიქრიშვილი მამულა; ციცი ციციშვილის ყმა, 1682 წ. (იქვე, 71); 1818 წელს სოფ. ვარდისუბანში მოიხსენიებიან გიორგი პავლეს ძე და ანდრია სიმონის ძე ფეიქრიშვილები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); გოგია **ტატიაშვილი,** იგივე **ფეიქრიშვილი,** მეუღლე ანა, ძმა ნინია, მისი მეუღლე ქეთევანი, მეორე ძმა პეტრე, მეუღლე ნინო, ვაჟიშვილები: სიმონა, სოლომონი, პავლე, ქალიშვილი პეპანა, დისშვილი გოგია (იგივე ქიტესა), მეუღლე ბარბარე, გოგიას ძმები დავითი, იოსები, სიხარულა. ქიტესას ვაჟი მიხეილი, დედა ანა, სოფელ ვარდისუბანში (დღევ. შავსაყდარი), გადასულან ტფილისის მაზრის სოფ. მარტყოფიდან, ისინი აქ მოიხსენიებიან 1823 წლის აღწერით (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 24-26); ბეჟან **ფეიქრიშვილი,** იგივე **ბერაშვილი,** მეუღლე ლალუა, ვაჟი ავეტიკა, მოიხსენიება 1823 წელს სოფ. პატარა ენაგეთს (სცსსა, ფ. 245, 1, 802, ფურ. 24-26); ვარდისუბნელი პეტრე ფეიქრიშვილი ბორბალოში 1826 წელს ნათლავს შვილს დიმიტრის, მიმქმელი ყოფილა ბერუა კედელაშვილი. თავის მხრივ თვითონ ნათლავს იქვე მცხოვრებ თეოდორე ბიბილურის ქალიშვილ მელანიას (489, 6, №31, №25); „თბილისის უეზდის სოფ. ვარდისუბანში მცხოვრებელი ივანე თევდორეს ძე ფეიქრიშვილი და სჯულიერი ცოლი მისი მარიამ სოლომონის ასული ორნივე მართლმადიდებლობითის სარწმუნოების აღსარისებისანი არიან. მიმქმელად იყო სოფ. ვარდისუბანში მცხოვრები დიმიტრი ვარდანაშვილის ასული მართა. დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესია, მღვდელი ზაქარია ბარ-

ნოვი, ფსალმ., ილია თეთრაძე" (მეტრიკ. წიგ., არქ., 182, 1, 1881 წ.).

| | |
|---|---|
| **ფერიაშვილი** | 213 |
| თბილისი | 95 |
| გურჯაანი | 41 |
| გარდაბანი | 38 |

**ფერიაშვილი** (160 წ.), – **ფერია** სინაზეს, სიჩაუქეს ნიშნავს. იტყვიან ფერიასა გავსო. ფერია (უცხ.) მიონაი ქართულად (საბა).

ზაქარია ჭიჭინაძის მიხედვით გვარი Панаев ფანიაშვილისაგან მომდინარეობს (ზ. ჭ., საქართველოს ისტორიის მასალების დაწვა და დ. ბაქრაძის გარდაცვალების 25 წლისთავის შესრულების გამო, გაზ. „საქართველო", №3, 1915; ვ. სიდამონიძე, ი. პანაევი, რუისელი ფანიაშვილის შთამომავალი; სახ. გან., 13,VII, 1873).

როსტომ მეფემ 1658 წ. სოფ. ენაგეთს პაპუნა ბარათაშვილს აჩუქა ფერიაშვილისა და მირაქას მამული ზედ მოსახლე დავრეშათი და თამაზითურთ (ისს. ლორთქ., ქვ. ქართ. ნაწ. – I და II, ...).

**ფერიაშვილები** მოხსენიებული არიან დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1660 წლით (Hd – 830, ხელნაწ. ინსტ-ი); ფერიაშვილი გოლა, ფერიაშვილი ბადია (დოკ., I, 286) (ენაგეთი, გუდარეხი, ღორისთავი, არდასუბანი, წინწყარო).

**ფეროზიშვილი // ფერიზაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფეროზ**-ა (ქართლ. ცხ., I, 117); **ფეროზაშვილი** ელისბარა (საქ. სიძვ., I, 492); „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა, ქ. საღირაშენს, 1721 წ. ელიზბარა ფეროზაშვილი" (ვახუშტი, 121); „ქ. ზურაბიშვილის ბეჟანისა ქ. კამარეთს, 1721 წ. ლამაზა ფერიზაშვილი" (იქვე, 61) (ენაგეთი, კამარეთი, საღირაშენი).

**ფერუაშვილი** (1721 წ.), ქალის საკ. სახ. **ფერუა** (ურაველი, ასპინძის რ., ალ. ღლ., 302). „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. ლიყურეთს 1721 წ. **ბასილა ფერუაშვილი**" (ვახუშტი, 580.

**ფილასონაშვილი** (1721 წ.), სავარ. შედგენილი სახელი, მამაკაცის საკ. სახ. **ფილა** (თუშ., ს. მაკალ., 163) და ქალის საკ. სახ. **სონა** (სოფ. მუხათი, თეთრი წყაროს რ.).

„ქ. სააკაძე მერაბისა მანასა ფილასონაშვილი, ბეჟიტა ფილასონაშვილი" (ვახუშტი, 48). (ენაგეთი).

**ფინაჩიშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ფინაჩა** (სოფ. მუხათში ალექსი დევლახაშვილის მეტსახელი იყო **ფინაჩა**. - ი.ა.).

**ფინაჩი** სპ. (საუბ.): 1. ფეხსაცმლის დამკერებელი, მეჯღანე, 2. გადატ. უხეირო, უვარგისი ხელოვანი (ქეგლ. 446); „ქ. სოლოღაშვი-

ლი ზურაბის ყმა, ქ. საღორისი, 1721 წ. ... **ბერუა ფინაჩიშვილი**" (ვახუშტი, 146).

ფირადაშვილი 22
ფირალიშვილი 86
თბილისი 52
გურჯაანი 7
გორი 7

**ფირალაშვილი//ფირალიშვილი** (1721 წ.), საკ. სახელდაქცეული ზგდი. მნიშვნ. სიტყვა **ფირალი** (ყაჩაღი, გაქცეული. ქეგლ); ფირალა (დავთ., II, 220); **ფირალა** (საქ. სიძვ., II, 422); „ქ. სულემანიშვილის ომან-ისა ქ. გვარეთს ფირალიშვილი იხ., 1721 წ." (ვახუშტი, 52).

ფირიაშვილი 192
მცხეთა 107
თბილისი 72
ახალგორი 6

**ფირიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფირა, ფირია, ფირუა, ფირა, გვარში**: ფირაშვილი (იხ. მაისურ., 167); ფირი, ხწველი დოკ., I, 216); პაპუა ფირიასშვილი, დავითა ფირიაშვილი, ფირიაშვილი (დოკ., I, 99, 51, 595); „ქ. მან-გლელის ყმა მანგლის: ....1721 წ. ივანა ფირი-აშვილი" (ვახუშტი, 110).

ამავე ძირისაა: **ფირალაშვილი, ფიროაშვილი, ფირუაშვილი, ფირყულაშვილი, ფირცხალავა** (მანგლისი, ენაგეთი).

ფირუაშვილი 68
გორი 61
თბილისი 7

**ფირუაშვილი** (1643 წ.), საკ. სახ. **ფირუა**. შდრ. **ფირან, ფირია, ფირო, ფიროა, ფირუზი, ფირუ-ზა, ფირუნია.**

**ფირუა** ხუდადაშვილი, 1742 წ. ყმის ნასყ-იდობის წიგნი, მიცემული ომან გერმანოზის-შვილის მიერ გიორგი თავაქალაშვილისადმი (დოკ., I, 308); ფირუაშვილი მისი მამულითა და ქონებით როს-ტომ მეფემ 1643 წ. 22 თებერვალს სოფ. ენაგეთს უბოძა ფარსადან ბარათაშვილს (საქ. სიძვ., I, 143); ზუბიტა ფირუასშვილი, 1679 წ. ყმის შვილების ნასყიდობის წიგნი, მიცემული თამაზა ქემაროზაშ-ვილის მიერ თავიანთ განაყოფ როსტომასადმი (დოკ., I, 59); 1721 წ. აღწ. სოფ. დრეში მოიხსენიება გოგია ფირუაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 333, 1843 წ.); „ქ. გარაყანიძის ბერისა თეთრწყაროს, 1721 წ. ...გოგია ფირუაშვილი" (ვახუშტი: 49); „ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა ქ. ტაგნაგეთს, 1721 წ. საქია ფირუაშვილი" (იქვე, 144) (დრე, ენაგეთი, თეთრი წყარო, ტაგ-ნაგეთი, სამშვილდე).

ფირუზაშვილი 121
*მცხეთა 73*
*თბილისი 43*
*რუსთავი 4*

**ფირუზაშვილი** (1721 წ., **ფირუზ** (ირან.) „ფირუზი" (ძვირფ.ასი ქვა). ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა ნიშნავს „სინათლით სავსეს", „ნათელს". ფირუზი ცისფერია და სწორედ ამიტომ შეურქმევიათ ასეთი სახელი, ხოლო ამ ძვირფასი ქვის სახელწოდება შემდგომ ადამიანის სახელად ქცეულა (შეადარეთ იაკინთე, ოქრო, ლალი, ზურაბ და სხვ). (**ზ. ჭუმბ.**, დედაენა ქართ,. 371); საკ. სახ. **ფირუზ-ა** (სოფ. კოდა, **ფირუზა** მარქარაშვილი), **ფირუზა** (გ. ლეონ., კოლექცია); ,,ქ. არის საბართაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. ... ფირუზაშვილი ზურაბა, ფირუზაშვილი პაპა, ფირუზაშვილი ტერფარსელა, ფირუზაშვილი საქუა, ფირუზაშვილი მჭედელი" (ვახუშტი, 101) (წინწყარო).

ფირყულაშვილი 51
*თბილისი 6*
*საგარეჯო 44*
*თელავი 1*

**ფირყულაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფირყულა** (საქ. სიძვ., II, 470); ,ქ. ციციშვილის შიგამდეგის ზაზასი სამღერეთს, 1721 წ. ქ. ახალშენს **თამაზა ფირყულაშვილი**" (ვახუშტი, 33).

ფიფიაშვილი 101
ფიფია 7142
*წალენჯიხა 2608*
*ზუგდიდი 2589*
*თბილისი 817*

**ფიფიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფიფი** (ალ. ღლ., 202); ,,ქ. ფარემუზიშვილის ბეჟანის ყმა 1721 წ. ირდისუბანში თამაზა ფიფიაშვილი" (ვახუშტი, 153).

შდრ. **ფიფაიშვილი, ფიფია** (ირდისუბანი).

ფიჩხულაშვილი
20-სულზე
ნაკლებია

**ფიჩხულაშვილი//ტერფიჩხულაშვილი//ფიჩხულოვი** (1871წ.). **ფიჩხული** ხრამპალუხი (საბა). ფიჩხული (დღევ. ხრამული) თევზის ერთ-ერთი სახეობა. „თევზზე დიდმა მოთხოვნილებამ და დანიშნულებამ ქართველთა ყოფაცხოვრებაში შექმნა თევზის კულტი" (ლ. **მელიქსეთბეგი,** მეგალ. კულტ. საქ-ში. თბ., 1938); 1860-იან წლებში სოლომონ ფიჩხულაშვილს მიუღია სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და გვარს წინ დამატებია ტერ (ტერფიჩხულაშვილი). 1871 წ. აღწ. მოიხსენიებიან: სოლომონ ტერფიჩხულაშვილი, მეუღლე მაია, შვილები: ვანო და გიორგი; იქვე

მოხსენიებულია ტერფიჩხულაშვილი ივანე (სცსსა, ფ. 254, №1, ფ. 113-120); 1890-იანი წლებიდან რუსული დაბოლოებით გაფორმდა გვარი ფიჩხულოვი. 1987 წლიდან ფიჩხულაშვილი, თევზთა და მწერთა სახელები გვხვდება გვარებში: **თევზაძე, კოლონია, კოღუაშვილი, მუმლაძე, ქინქლაძე, ფუტკარაძე, ჭინჭველაშვილი...** (მარაბდა).

**ფონჯავიძე,** სავარ. საკ. სახ. **ფონჯავ**-ი(ა). ამავე ძირის უნდა იყოს: **ფონაძე, ფონია, ფონიავა.**

შდრ. **ფონაძე, შავრა** (ამბროლაურის რ.).

**ფონჯავიძეები** ამბროლაურის რაიონის სოფ. კრიხიდან ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს (ასურეთი).

**ფრანგიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ფრანგ**-ი (ტბეთის სულთა მატიანე, 89); **ფრანგი** (პ. ინგორ., სვან., 2, 150).

„1721 წ. ქ. ზას, **ფრანგიშვილი**“ (ვახუშტ, 124). **ქვ. ქართლში ფრანგიშვილები აზნაურები იყვნენ.**

შდრ. **ფრანგულა** (ისტ. დოკ., I, 139); **არაბიძე, არაბული, თურქესტანიშვილი...** (ზა).

**ფრიდონაშვილი 647**
*გურჯაანი 208*
*თბილისი 161*
*დუშეთი 110*

**ფრიდონიშვილი 163**
*თბილისი 87*
*რუსთავი 25*
*ლაგოდეხი 20*

**ფრიდონიშვილი** (1721 წ.), **ფრიდონ** (ირან.) „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გმირის სახელია; ეტიმოლოგია დაუდგენელია ამ სახელის შემოკლებული ფორმაა ქართულში **ფიდო.** ძველად ფრიდონის გვერდით გვხვდებოდა აგრეთვე **აფრიდონ**. აქედანაა გვარი **აფრიდონიძე** (ზ. ჭუმბ., 167).

ფრიდონ გლურჯიძე (დოკ., I, 275); ფრიდონ ფალავანდისშვილი (იქვე, 435);

„ქ. გერმანოზიშვილის ოთარის ყმა 1721 წ. ქ. ზას ოქრუა ფრიდონაშვილი“ (ვახუშტი, 135); „ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს, 1721 წ. გიუა ფრიდონაშვილი“ (იქვე, 25); „ქ. აბულფათიშვილის ბეჟანის ყმა დიდებას 1721 წ. სამნუა ფრიდონაშვილი“ (ვახუშტი, 138).

ნ. რუსული გაფორმებით **ფრიდონოვი** (ზა, დურნუკი, დიდება).

**ფრისელაშვილი** (1831 წ.) „მარაბდას მცხოვრებელს თავად ივანე ბარათოვის გლეხს, ივანე გიორგის ძე ფრისელაშვილს, დაებადა ვაჟი თევდორე, კანონიერ ცოლთან თინათინ ივანეს ასულთან,

სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა იაკობ ხუროვმა. მიმქმელად იყო ამავე სოფელში მცხოვრებელი გლეხი სოლომონ პაპას ძე პაპიაშვილი“ (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, 1832 წ. ფურ. 23) (მარაბდა).

**ფჴვილიაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ფჴვილია**. შდრ. **ფეტვიაშვილი, მუხუდოშვილი, ცერცვაძე, ხორბალაშვილი, ხორბალაძე, უნაფქოშვილი, დაფქვიაშვილი** და მით. (წინწყარო).

**ფშატაშვილი** (1721 წ.), **ფშატა, ფშატია** (მეტსახელი, სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 204); „ქ. საგინაშვილის პაპუასი ბოგვს, 1721 წ. ბოგანო **ფშატაშვილი**“ (ვახუშტი, 150).

# ქ

ქადაგიშვილი 1156
თბილისი 416
სიღნაღი 278
გურჯაანი 259

**ქადაგაშვილი** (1886 წ.), სავარ. **ქადაგიშვილი. ქადაგი** ზოგადი მნიშვნ. **მქადაგებელი, მოქადაგე**; რელიგიური რიტუალის შემსრულებელი, ხატის მსახური. ისაკა ქადაგაშვილი მოიხსენიება სოფ. ვაშლოვანში 1886 წ. (სცსსა, ფ. 254, №3, 1611, ფურც. 29-84).

ამავე ძირისაა **ქადაგიძე, ქადაგიშვილი** (ვაშლოვანი).

ქავთარაშვილი 600
ახმეტა 478
ყაზბეგი 50
თბილისი 32
ქავთარიშვილი 60

**ქავთარაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქავთარა/ /ქავთარ** (სპ.) „მტრედი" (შეადარეთ იონა); სხვაგვარი ეტიმოლოგიით: **„აფთარი"** (ზ, ჭუმბურ., 167); **გიორგი ქავთარაშვილი** 1721 წ. აღწ. **მემამულე** სოფ. ქციას; **სულხან ქავთარაშვილი, მემამულე** ანდრიას, სამღერეთის ახალშენს და ქციას; სულხანა ქავთარაშვილი ანდრიას, სამღერეთს, ქციას; **იონათამ ქავთარაშვილი** – **მემამულე** ქციას. ქავთარაშვილი მანუჩარის ქალი მარიამი 1721 წ. აღწერით ნაქურდევში ჰყდის ერთ საკომლოს; ედიშერ და იესე ქავთარაშვილები 1746 წელს სწირავენ ნათლის მცემელს რატევნელ გლეხს (იხ. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV). **ქავთარაშვილების** ერთი შტო **ბარათაშვილებიდან** მოსცინარეობს.

ამავე ძირისაა **ქავთარაძე** (გოხნარა).

**ქავთარაძე** (1720 წ.), საკ. სახ. **ქავთარა**. უძველესი გვარსახელია. ნ. ქავთარ სოლოღაშვილი, ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი სოლოღაშვილის მიერ ევენეზა ვარდიგულასშვილისადმი, 1712 წ. ოქტომბრის 16-ს (დოკ., I , 151); ქავთარ თიანელი, 1750 წ. (იქვე, 424); ნ. ქავთარაძენი, ფიცისა და კარის წიგნი, მიცემული

ციხისთავ ზურაბ აბაშიძის მიერ პაპუნა წერეთლისადმი 1720-1735 წწ. (დოკ., I, 445); **ქავთარაძე** გიორგი, იესე, იონათამ, მანუჩარ, ოტია, პაპუნა, შალვა, შოშია (იქვე, 595); მთიულეთის ქავთარაძეთა (სოფ.: დგნალი ვაშლობი, **ქავთარაანი,** ჩაბარუხი, წიფორქიქიანი) თიკუნებია: ხიზალიანი, ათილიანი, დეგილიანი), **ქავთარაძე – ველთაურისშვილი (ველთაურიანი),** გოჭიანი, თადლიანი, სიხნიანი და სხვ. (მაკალ., მთიულეთი, 78); ნ. ვახუშტით: ქავთარაძე ათილა (აქედან ათილანი), ქავთარაძე – ველთაურის შვილი (ველთაურიანი), ქ. ხიზალა (ხიზალიანი), ქ. სეხნია (სეხნიანი) და ა.შ. (461, 463).

ამავე ძირისაა **ქავთარაშვილი** შდრ. **ქავთარაისძე** (ასურეთი, ღვევი, ზირბითი).

| |
|---|
| ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ 7592 |
| *ქობულეთი 2132* |
| *ტყიბული 863* |
| *ზესტაფონი 725* |

| |
|---|
| ᲥᲐᲗᲐᲛᲘᲫᲔ 253 |
| ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ 124 |

**ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ** (1884 წ.), მეტსახელი **ქათამა // ქათამაშვილი.** შდრ. საკ. სახ. **ქართამი** (ქართლ. ცხ., I, 32, 3344) (–ქათამაძე– ი.მაისურ., 170); სვიმონ პეტრეს ძე ქათამაძე 1884 წელს შვილს უნათლავს სოფ. გოლთეთში მცხოვრებ პავლე გიორგის ძე ადუაშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1) (გოლთეთი). შდრ.: **ქათამიძე.**

**ᲥᲐᲘᲧᲣᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.). „ქ. ყორღანაშვილის თამაზასი ციხიას, 1721 წ. ასატურა ქაიყუბათაშვილი“ (ვახუშტი, 95) (ციხია).

**ᲥᲐᲘᲮᲝᲡᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ // ᲗᲐᲕᲐᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1675 წ.), **ქაიხოსრო** (ირან.) „სახელოვანი თავადი“.

**ქაიხოსრო,** საქართველოს ვექილი (დოკ., I, 304); ქაიხოსრო ქაიხოსროშვილი 1675-1688 წ. ორი კომლის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსროს მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისადმი (სოფ. ჭანდარი, დოკ., I, 52) (ენაგეთი).

**ᲥᲐᲚᲗᲐᲛᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), ქალის საკ. სახ. **ქალთამზე** (სტუდ. კოლექცია, ფშ., მაღაროსკარი, ალ. ღლ., 303); „ქ. მონასტერს ქაიხოსროს ყმა, 1721 წ. ...**მამუკა ქალთამზაშვილი**“ (ვახუშტი, 144) (მონასტერი ალგეთის ხეობაშია).

**ᲥᲐᲛᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ., საკ. სახ. **ქამალა** (სახ. არქ., 1449, №418); **ქამალ-ი** (გ. ბერ., ჯავახური ლექსიკ., 1981 წ., ალ. ღლ., 204).

„ქ. არის საბართაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, ... **პაპუა ქამალაშვილი**“ (ვახუშტი, 102); „აქავ მარაბდას

ზაზა **ქამალაშვილი** 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 170). (მარაბდა, წინწყარო). შდრ.: **ქამალაძე** (31 სულია დაფიქსირებული).

**ᲥᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1886 წ.), **ქამელა**, მეტსახელი (ხიზაბავრა, ასპინძის რაიონი), **ქამილა** (სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 204); **გიორგი ქამულაშვილი** მოიხსენიება 1886 წლის აღწერაში სოფ. ვაშლოვანს (სცსსა, ფ. 254, №3, 1611, ფურც. 29-84).

ᲥᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 271
*გორი 199*
*თბილისი 63*
*კასპი 2*

**ᲥᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ქანარ**. (დოკ., I, 351). „ქ. საკარის მსახლობელი ბოგანო **ქანაშვილი**“ (ვახუშტი, 313) (საკარისი).

**ᲥᲐᲜᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ქანანა** (დოკ., I, 597). **ქანანაშვილი ოთარა**, ყმაზე უდაობის წიგნი, მიცემული ბოლნისის მამასახლის ზალიას მიერ ქაიხოსრო ყორღანაშვილისადმი (1746 წ. ივნისის „ნახვარს“, დოკ., I, 330); „ქ. ქანანაშვილები სუნბატასი ჯიგრაშენს...“ (ვახუშტი, 90); „ქანანაშვილები: გიუა, გიუა (მეორე), გოდერძა, პაპუა, სულხანა, ფარსადანა, შერმაზანა, 1721 წ. აღწ. უყმო დამოუკიდებელი აზნაურები ჯავშანიანში“ (ის. ლორთქ., დასახ. ნაშ., 464); „ქანანაშვილები: აღათანგი, ზურაბი, როინა, სარნოშვილი, სუმბატა, ფარემუზა, ფარემუზ (მეორე), ფარსადან აზნ., 1721 წ. აღწ. მებატონეები, ყმები ჰყავდათ ქციაში“. (ჯიგრაშენი).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 3283
*თბილისი 1322*
*ხაშური 177*
*ქუთაისი 152*
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 21

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.) ეროვნების გამომხატველი სიტყვა **ქართველი**-დანაა.

**ქართველიშვილი** (გავრცელებული გვარია დასავლეთ საქართველოში, უდრის „ქართლელის შვილს“ – აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში გადასულან) (**ზ.ჭუმბურ.**, დედაენა ქართ., 310).

**ქართველიშვილები** სოფელ წინწყაროში დიდხანს **გურჯიშვილებად** იხსენიებოდნენ, დღეს ისინი **გურჯიევებად** ეწერებიან და ტომი, ჩამომავლობა ბერძენი უწერიათ.

**ბერო ქართველიშვილი** მოიხსენიება სოფ. მუხათში 1817 წ. (სცსსა, ფ. 1449, საბ. №460; ხელნ. ინსტ. Hd 5385); 1818 წ. წინწყაროში მცხოვრებ მიხაილ თოფრაყალაშვილის ვაჟის ლაზარეს მიმქმელი ყოფილა კირიაკე ქართველიშვილი. მოგვიანებით **გურჯიევი**. **გურჯი** (თურქ.) **ქართველი** (სცსსა, ფ. 489, 6, 1, ბ, №29, ფურ.

184-187); პატარა ენაგეთში მცხოვრები გიორგი პეტრეს ძე ქართველოვი (ქართველიშვილი) 1873 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ქალიშვილ ნატალიას. მიმქმელად მოიხსენიება გიორგი ქრისტიანოვი (ტრისტესიაშვილი) (ფ. 489, აღწ. 9, №6, თ/წ. 1); პატარა ენაგეთში მცხოვრები გიორგი პეტრეს ძე ქართველოვი (ქართველიშვილი) 1874 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს შვილს იაკობს, მიმქმელი ყოფილა ამავე სოფლელი ანდრო გიორგის ძე მაისურაძე (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); გიგოლა და გიორგი ქართველოვები ქართველნი, სარწმუნოებით მართლმადიდებლები მოიხსენიებიან 1886 წ. აღწერით სოფ. ენაგეთს (სცსსა, ფ. 254, №1624, ფურც. 11-42); გიორგი ქრისტესიას ძე ქრისტესაშვილის (ქრისტინოვი) ვაჟის დავითის მომნათვლელი ყოფილა ანდრია პეტრეს ძე ქართველოვი (ქართველიშვილი) (მეტრ. წიგ. ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1).

**ქართველიშვილის** ძირისაა **ქართველაძე**. შდრ.: (მეგრ.) **ქორთუა**.

შდრ. **კახელიშვილი, კახეთელიძე, თუშიშვილი, რაჭველიშვილი, მეგრელიშვილი** და მისთ (პატარა ენაგეთი, მუხათი, წინწყარო).

| | |
|---|---|
| ქართლელიშვილი | 527 |
| გურჯაანი | 308 |
| თბილისი | 88 |
| საგარეჯო | 46 |

**ქართლელიშვილი** (1826 წ.), საკ. სახ. **ქართლელი**. სოფ. ბორბალოში მცხოვრები გიგოლა **ქართლელი** 1822 წელს შვილს უნათლავს იქვე მცხოვრებ ნინია გიუაშვილს (სცსსა, ფ. 489, 6, 1-ბ. №27). „1826 წ. აგვისტოს 19 მოკუდა თევდორე ქართლელის ძე, დაიმარხა მღუდლის ანანასი ლიპარიტოვისგან" (489 აღწ. 9, №28, 1826 წ. ფურ. 241); ბორბალოში მცხ. პეტრე ქართლელიშვილი 1826 წელს შვილს უნათლავს ლოუბნელ რევაზ სულხანაშვილს (489, 9, №31, 25); „ქართლელიშვილი, შაშიანი (გურჯაანის რ.); სადაურობის სიტყვა ქართლელი" (**ი. მაისურ.**, 171).

ამავე ძირისàა **ქართლელი** (ბორბალო).

**ქარქუსაშვილი** (1854 წ.), სავარ. რთული შედგენილი სახელია. **ქარ-ი** (პ. ინგოროყვა, სვან., 2, 145); **ქუსა(შ)** (კოლხ., 14, კახათი, ალ. ღლ., 209). ქარ+ქუსა.

ქარქუსაშვილი სოფ. ახოტაში (არხოტა) მოსულა 1854 წელს (სცსსა, ფ. 254, № 2, 183, ფ. 377-378).

შდრ. **ქაროშვილი, ქარსიძე, ქარსაულიძე, ქარსანიშვილი.** (არხოტა).

ქებაძე 1198
თბილისი 348
გორი 202
ზესტაფონი 86

**ქებაძე** (1817 წ.), საკ. სახ. **ქება**, „თეკლიეთ ვაჟნი: დავით და **ქება**, მათი და ბორენა“ (ტბეთის მატიანე, 20); ზაალ სოლაღაშვილის ყმად 1817 წ. სოფ. ბორბალოში მოიხსენიება **კვირია ქებაძე** (სცსსა, ფ. 254, №1, საქმე 477); კვირია ქებაძე, მეუღლე ელისაბედი, დისშვილი გიორგი, დათუა, რძალი ელენე, ქალიშვილები: თინათინი, თამარი (ქებაძეთა გადმოცემით, მათი წინაპრები იერუსალიმის მონასტრის გლეხები ყოფილან) (ბორბალო, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83); მარაბდაში მცხოვრებმა გიორგი ქებაძემ 1829 წელს იქორწინა მარაბდაშივე მცხოვრებ გიორგი ხუციშვილის ქალ მართასთან, გვირგვინი უკურთხა აბრამ ხუროშვილმა. თავდებნი იყვნენ: ნაცვალი სოლომონ ტერფიჩხულაშვილი, ივანე მეღვინისშვილი, ივანე ბერიაშვილი, ტეტია გულდამაშვილი (489, აღწ. 6, №76, ფურ. 4); სოფელ ფარცხისში 1874 წელს მოიხსენიება ეფემია თევდორეს ასული ქებაძე (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1). (ბორბალო, ფარცხისი).

**ქებარაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქება** (ტბეთის მატიანე, 20); ქება შესხმა დიდებისა გინა კეთილთა მისთა წარმოთქმა, გინა მადლობა, გინა მოთხრობა ქუელისმოქმედობისა მისისა (საბა, 366), შდრ. მქებარე, მქებელი, ნაქები, საქებელი და მისთ. საკ. სახ. ქებარა (თელეთი, გარდაბნის რ.).

„**ქ. ციციშვილის ბაადურიშვილის** ზაალისა 1721 წ. ქ. დიდდაღეთს დემეტრე ქებარაშვილი“ (ვახუშტი, 32).

ამავე ძირისაა ქებაძე, ქებასშვილი (დიდი დაღეთი).

ქეთიაშვილი 81
ახმეტა 74
გურჯაანი 3
თბილისი 2

**ქეთიაშვილი** (1721 წ.), ქალის საკ. სახ. **ქეთ-ი** (ალ. ღლ., 304); **ქეთია** (საქ. სიძვ., II, 437); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილახორისა ქ. აგვდანეთს, 1721 წ. ივანა ქეთიაშვილი“ (ვახუშტი, 53).

შდრ. **ქეთა, ქეთე, ქეთევან, ქეთეონ, ქეთინო, ქეთო** და სხვ. (აგვდანეთი).

**ქემურაშვილი** (1721 წ.), რთული შედგენილი საკ. სახელი: **ქემა+მურა.** სავარ. მოფერებითი სახელიც **ქემურა.**

„ქ. ციციშვილის-ბაადურიშვილის ზაალისა 1721 წ. ქ. დიდ-

დაღეთს, დათუნა ქემურაშვილი“ (ვახუშტი, 32).

ქენქაძე 914
თბილისი 228
კასპი 84
ახალგორი 169

**ქენქაძე, ქენქაანი** სოფელია ახალგორის რაიონში (ი. მაისურ., 172). **ქენქა**, გვარში: **ქენქაძე** (ალ. ღლ., 206). (ორბეთი).

**ქერუაშვილი** (1737 წ.), საკ. სახ. **ქერა** (საქ. სიძვ., III, 563); **ქერა** (მეტსახელი, სოფ. კოდა); კნ. სახელი **ქერუა**.

ბერუა **ქერუაშვილი** მოიხსენიება სოფ. წრუელეთში 1737 წელს (დოკ., I, 272).

**ქესაგანაშვილი** (1721 წ.) „ქ. აფხაზიშვილის ჩხიკვთას, 1721 წ. ხოსიტა **ქესაგანშვილი**“ (ვახუშტი, 158).

**ქვაბულაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქვაბულ-ი** (გ. ლეონ., სახელები; გვარში: **ქვაბულიძე**; ალ. ღლ., 206); „ქ. გერმანოზიშვილი დათუნას ყმა ქ. მცოვრეთს 1721 წ. გურასა ქვაბულაშვილი“ (ვახუშტი, 133). შდრ.: დღევანდელი **ქვაბელაშვილი**.

**ქვაკვნეტიაშვილი** (1830 წ.), მეტსახ. **ქვაკვნეტია**. შდრ. **ქვასროლიაშვილი, ქვაჭრელაშვილი, ქვახარშიაშვილი...**

თონეთელ გლეხს ალავერდა ქვაკვნეტიაშვილს 1830 წ. დაებადა ქალი. სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ. სახელი უწოდა ანა. ნათლიად იყო თონეთში მცხოვრები გიორგი თაყნიაშვილი (489, №6, 98, ფურ. 38); თონეთში მცხოვრებ იმედა ქვაკვნეტიაშვილს დაებადა ვაჟი კანონიერ ცოლ შავერდა შავერდაძის ასულ ელისაბედთან. სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ. სახელი ეწოდა იმედა. მიმქმელად იყო თონეთში მცხოვრები გლახა მჭედლიშვილი (489, №6, 121-ბ, ფურ. 35); თონეთში მცხოვრებ ალავერდა ქვაკვნეტიაშვილს 1821 წ. მოუკვდა ქალი ანა, დამარხა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ (ფ. 489, აღწ. 6, საქ. №121-ბ, ფურ. 38).

**ქვახარშიაშვილი // ქვახარშაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ქვახარშია** (გ. შატბერ., ჭაშნიკი, 138); შდრ. **ქვაწვია** (იქვე); ძუნწის ეპითეტი თეთრი წყაროს რაიონში (ავტ. მასალ.). „ამ გვარის ზოგიერთ წარმომადგენელს ევფიმისტური მიზნით გადაუკეთებია როგორც **ქვახარიშაშვილი**“ (ილ. მაის., 173); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. მაქანდარა ქვახარშაშვილი“ (ვახუშტი, 103).

ქვრივიშვილი 1655
თბილისი 659
კასპი 281
ქარელი 244

**ქვრივიშვილი** (1721 წ.), სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა **ქვრივი** (უცოლო, უქმრო, ცოლგანაშვები, ქმარგანაშვები, გარდაცვლილის მეუღლე).

„ქ. ფიტარეთის წინამძღვარი, 1721 წ. **ბექუა ქვრივიშვილი**" (ვახუშტი, 171); ქ. თამაზ სარდლის ნასყიდობა ბერთა-ქარს, იესე ქვრივიშვილი" (ვახუშტი, 228); „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. ავაზანს, 1721 წ. გიუა ქვრივიშვილი" (ვახუშტი, 169); „ქ. ერასტი მდივანბეგის ნასყიდი ქ. თაფანს 1721 წ. პაპუა ქვრივიშვილი" (ვახუშტი, 231) (ფიტარეთი, ლიპი, ავაზანი, თაფანი, პატიმანი).

**ქვრივიძე, ქვრივი**. ადამიანის ყოფის, მდგომარეობის აღმნიშვნელი. **ქვრივი** ქალი, რომელსაც ქმარი მოუკვდა, ან კაცი, რომელსაც ცოლი მოუკვდა. შდრ. **ქვრივიშვილი // ქრივიშვილი** (ჩხიკვთა).

**ქიზბარაშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ქიზბარა (ქიმბარა)** (სოფ. თელეთი); სოსია ქიზბარაშვილი, მეუღლე მართა, ვაჟი ავეტიკა, ქალიშვილი მარიამი, მაია, ძმა ზურაბი ქიზბარაშვილი, მოიხსენიება ვაშლოვანში 1823 წ. (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 99-105).

**ქილაძე** (1721 წ.), **ქილა** (არაბ.). ცილინდრული ჭურჭელი. **ქილა** სხუათა ენაა, ქართულად დერგი ჰქვიან (საბა, 368).

„ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა, 1721 წ. ქ.ტბის... ქილაძე" (ვახუშტი, 120). (ტბისი).

ქიტესაშვილი 582
თბილისი 113
გურჯაანი 100
ახმეტა 90
ქრისტესიაშვილი 683

**ქიტესაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქიტესა** (ქრისტესა-ქრისტესია), **წაკუაშვილი** (დოკ,. I, 117); აბრამა ქიტესასშვილი, ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დემეტრე ბარათაშვილის მიერ დემეტრე ყაფლანიშვილისადმი, 1728 წ. (დოკ., I, 224); „ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა ღოუბანს; ქიტესაშვილი ქიტესა" (ვახუშტი, 143). 1728 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნით დემეტრე ბარათაშვილი დემეტრე ყაფლანიშვილზე სოფ. ანდრიას ჰყიდის ყმა-გლეხს ქიტესასშვილს (დოკ., I, 224); **ქიტესაშვილთა** ძველი გვარი **გოგოჭური** ყოფილა. გადმოცემით, მათი წინაპარნი გამოქცეულან ხევსურეთიდან სისხლის აღების ნიადაგზე (**ილ. მაისურ.**, 174); „ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ღოუბანს ...**აზნაურშ-**

ვილი ქრისტესიაშვილი ბეჟან“ (ვახუშტი, 140) (ანდრია, ღოუბანი).

ამავე ძირისაა **ქრისტესიაშვილი.**

| | |
|---|---|
| ქიტიაშვილი | 1618 |
| *თბილისი* | *453* |
| *ხაშური* | *335* |
| *გურჯაანი* | *211* |
| ზვარაძე | 448 |

**ქიტიაშვილი // ზვარაძე** (1672 წ.), საკ. სახ. **ქიტია,** გიორგი ვარამაშვილის განაყოფი, ბატონყმობის წიგნი, მიცემული გიორგი ვარამაშვილის მიერ სახლისუხუცესი ქაიხოსრო (ბარათაშვილისადმი). 1628 წ. თებერვლის 19-ს (დოკ., I, 21); თამაზა ქიტიასშვილი, შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული **თამაზა ქიტიასშვილის** მიერ მღთისია ოთინასშვილისადმი. 1741 წ. იანვრის 25-ს (დოკ., I, 294); თამაზა ქიტიაშვილი, მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მითარას მიერ ალავერანა საფარაშვილისადმი, 1672 წ. (სცსსა, ფონდი, 226, № 3615); „ქ. მანგლელის ყმა მანგლისს, 1721 წ. ... ქიტიაშვილი აბრამა, ბერუა ქიტიაშვილი“ (ვახუშტი, 110); **„ქ. ციციშვილის სარდლიშვილის** ზაზასი ქ. ენაგეთს, 1721 წ. რევაზა ქიტიაშვილი“ (ვახუშტი, 37); „ქ. ყორღანაშვილის თაყასი, 1721 წ. ქ. შავთას, აბრამა ქიტიაშვილი“ (იქვე, 93); 1843 წ. აღწერით პატარა თონეთში მოიხსენიება ივანე **ქიტიაშვილი იგივე გვარაძე** (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურც. 310-329).

ამავე ძირისაა **ქიტესაშვილი, ქიტიშვილი, ქიტოშვილი, ქიტუაშვილი** (ენაგეთი, მანგლისი, პ/თონეთი, შავთა).

**ქიტილაშვილი//დემეტრაშვილი** (1843 წ.), საკ. სახ. **ქიტა** (დოკ., I, 225); **ქიტესა** (დოკ., I, 117); გვარში: **ქიტესაშვილი.** შდრ. **ქიტე, ქიტელა, ქიტია, ქიტისა, ქიტო, ქიტოა, ქიტუა,** მეტსახელი, შემონახულია ნადაშვილის გვარის სახინჯარში; ქიტელაანი (ალ. ღლ., ქიზ. ტოპონ., 44); 1843 წ. აღწერით პატარა თონეთში მოიხსენიება **პავლე ქიტილაშვილი, იგივე დემეტრაშვილი** (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურც. 310-32).

იხ. **დემეტრაშვილი** (პატარა თონეთი).

| | |
|---|---|
| ქიტუაშვილი | 568 |
| *თბილისი* | *272* |
| *გურჯაანი* | *109* |
| *მცხეთა* | *62* |

**ქიტუაშვილი//ქიტუნაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქიტუა** (ნ.ქიტუა ბერძნისშვილი, როსტომაშვილი, შაშვაძე და სხვ.) (დოკ., I, 598). ამავე ძირისაა: ქიტე, ქიტელა, ქიტესა, ქიტია, ქიტისა, ქიტო, ქიტოა, კნინობითი ქიტუნა (ალ. ღლ., 208); „ქ. მანგლელის ყმა მანგლის, 1721 წ. ... თათარა **ქიტუნაშვილი**“ იქვე, 171); „ქ. გერამანოზიშვილი დათუნას

ყმა ქ. ვერხვნალას 1721 წ. **ზაქუტა ქიტუაშვილი**“ (იქვე, 134) (ვერხვნალა, მანგლისი, ფიტარეთი).

| | |
|---|---|
| ქობულაშვილი | 657 |
| *თბილისი* | *269* |
| *მცხეთა* | *258* |
| *გარდაბანი* | *36* |
| ქობულაძე | 1691 |
| ქობულია | 342 |

ქობულაშვილი//ქვებულაშვილი//ქობულისძე//ბიორბიშვილი (1696 წ.), საკ. სახ. **ქობულ** (ათონ., 141), **ქობულ-ი** (გ. ლეონ., სახელები); **ქობულაშვილი** უძველესი გვარია. მისი ძველი ფორმაა **ქობულის ძე**. მთავართა გვარებში ვახუშტი წერს: „ხოლო გვარნი მთავართა მათ ძველთანი ესენი არიან: **ქობულის ძე, დონაური, არელმანელი, ბაღუაში, რომელი იყო ლიპარიტის ძე**...“ (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 13); „**თავადი ქობულაშვილი**. ამათი წინაპარნი იყვნენ **ქობულად** წოდებულნი უკვე **882** წლიდან. სუმბატ მეფე როცა აფხაზეთს წავიდა, თან გაჰყვნენ **ქობულისძენიც**. ქობულთა შვილთაგანი დაშთნენ გურიას ადგილსა **ქობულეთსა** წინა და იყვნენ მუნ. შემდგომად მეფემან დავით კახთმან შეირთო ცოლად გურიელის ასული თინათინ. ამას მოჰყვა მზითევში **ქობულოვი** და დედოფლის შუამდგომლობით მიიღო მეფემან თავადობის ხარისხსა შინა და დაასახლა რუის პირსა ადგილსა“ (საანდაზო ლექსები, ...29); **ქობულაშვილი**, (მცხეთის) მემკვიდრე (ყმა), საალაპო წიგნი, მიცემული ქადაგის არქ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილისადმი (1696 წ. სცსსა, ფონდი, 226, № 5060). ქობულაშვილი, მცხეთის მემკვიდრე ყმა (დოკ., I, 99); ამავე ძირისაა ქვებულაშვილი. იხ. „ქ. კუმისს ქვებულაშვილი შავერდა (1721 წ. აღწ. ვახუშტი, 146); „ხოლო წელსა 1752, ქკ-ს უმბ შეიკრიბნა ამანვე მხედრობანი ლეკთანი და მოადგა ყვარელსა. მაშინ ციხესა ყვარელისასა შეაშველა მეფემან და უთავა მათ **თავადი ბებურიშვილი პაპა**, მდივანი **სოლომონ ქობულოვი, თაყაშვილი ფარემუზ, რატიშვილი ბექან, ნამორაძე ერასტი** და სხვანიცა მრავალნი კეთილშობილნი და გლეხნი და განამაგრეს ციხე იგი, და ლეკთა, ვინათგან ვერა რაიმე ჰყვეს უკუნიქცნენ სირცხვილეულნი“ (მასალები საქართველოს ისტორიისათვის... 8-9); თამაზ ქობულაშვილი (ქვებულაშვილი) იყო კანცელარიის მოხელე. მას გადაუწერია „დასტურლამალი“ XIX ს-ის დასაწყისში დავით რექტორის ხელნაწერიდან. იგი ერთგვარად ედავება ამ უკანასკნელს, რომ სოფლები კახეთს ეკუთვნის და არა ქართლსაო.

შემდგომში **თ. ქობულაშვილი (ქობულოვი) თავადად მოიხსენიება.** ცნობილია აგრეთვე **სიმონ ქობულაშვილი,** რომელიც 1804 წლის აჯანყების დროს თავის შვილებთან ერთად ფარნაოზ უფლისწულის მხარეზე გადასულა. ამ დროს სიმონი თელავის სამაზრო სასამართლოს წევრია. „გულითადს მადლობას ვუცხადებ **თავად ევგენი დავითის ძე ქობულაშვილს** და მისს მეუღლეს კნეინა **ნინოს,** რომელთაც კახეთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიას შემოსწირეს 48 მანეთად ღირებული ორ ფუთიანი ზარი და 5 მანეთად ღირებული ატლასის ოდიკი, სულ 53 მანეთისა; გარდა ამისა ეკლესიის შეკეთებასაც დამპირდნენ.

ბალიჭის სამრევლოს მღვდელი იაკობ ჯანელიძე“,
(გაზ. „ივერია“, № 133, 1900 წ.).

„**ალბულახი**. კვირას, 27 მაისს, მდ. ხრამზე გამართულ ხიდის კურთხევა მოხდა... თავად ჯანდიერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც დიდი მადლობა გამოუცხადა ბოქაულ გუგუშვილს დაუღალავი შრომისათვის და **თავად გენო ქობულაშვილს,**[1] რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო ხიდის ასაშენებლად ხის მასალა“ (გაზ. „ივერია“, № 114, 1901 წ.).

მამასახლისი **იოსებ გიორგიშვილი,** იგივე **ჩერქეზა ქობულაშვილი (ქობულოვი),** მეუღლე სარა, დისშვილი, მათე, მეუღლე მარიამი, ვაჟი სოლომონი (ლოუბანი, 1823 წ. სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 83-92).

**ადამ ბეჟანის ძე ქობულაშვილი,** მეუღლე ლალუა, შვილები: ბეჟან, იაკობ, დავით, ასლან, მალალა, ბარბარე; **ყაზარ დავითის ძე ქობულაშვილი,** ძმა ზურაბ ქობულაშვილი, დედა თამარი; **პეპანა ფარემუზის ძე ქობულაშვილი,** მეუღლე თალალა, ქალიშვილი თალალა, ძმა **გაბო ქობულაშვილი,** დედა სარა; არუთინ თათუას ძე **ქობულაშვილი,** მეუღლე ანა, შვილები სოსია, გოგია, შაშლე, ვანო, დედა მაგდალინა (1823 წ. კუმისი სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 124).

„ლოუბანს მცხოვრებს **მათე ქობულაშვილს** 1828 წელს დაებადა ვაჟი, სახელი ეწოდა გიორგი, ნათლია იყო ივანე პეტრიაშვილი“ (489, აღწ. №6, 57, ფურ. 32); **ივანე ქობულაშვილი** ვაჟს ილარიონს

---

[1] ქობული – გოდორივით კაწანია, სადაც შესაყვარებლად ცხვარ-ბატკანს ამწყვდევდნენ.

უნათლავს თავისსავე სოფლელ პეტრე ვარამაშვილს (იქვე, ფურ. 33) (ლოუბანი).

ქოზაშვილი 508
*თბილისი 104*
*ბორჯომი 82*
*თელავი 67*

**ქოზაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქოზა** (ლუკა 8,3), **ქოზა** (სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 208) (წინწყარო).

**ქოროღლიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქოროღლი** (გურჯაანის რაიონი); **ქოროღლ-ი** (ავლ. ქარელის რ., ალ. ღლ., 208); **ქოროღლი,** ლეგენდარული პირი.

„ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს: ... **ქოროღლიშვილი ზალია**" (ვახუშტი, 101); „გადმოცემით, კოჯრის ციხის მშენებლობაში ქოროღლის მოხმარებიან გლეხები. მშენებლობის დამთავრების შემდეგ „ქოროღლი" მათ უხვად გამასპინძლებია. სადღეგრძელოში მადლობა რომ გადაუხდია, უთქვამს: ვისაც სურვილი გაქვთ, ამიერიდან შეგიძლიათ იწოდოთ ქოროღლიშვილად. აქედან გაჩნდა გვარი ქოროღლიშვილი" (ინფორმ. პავლე ქოროღლიშვილი, 88 წ. კოჯორი. 1986 წ.) (წინწყარო). **ქოროღლიშვილთა ადრინდელი გვარი გოგებაშვილი ყოფილა.**

ქოსაშვილი 240
*თბილისი 137*
*კასპი 64*
*ონი 16*

**ქოსაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ქოსა. ქოსა** სხუათა ენაა, ქართულად პოპლიკა და კოსაკი (საბა, 371).

**ქოსაისძე** მოხსენიებულია თამარ მეფის სიგელში „მკაზმავად წყაროისა გლეხნი **ქოსაისძენი** (ილ. მაისურ., 176).

„ქ. ავთანდილ სუფრაჯისა ქ. ფარცხისს: შერმაზანა ქოსაშვილი" (ვახუშტი, 4).

შდრ. **ქოზაშვილი** (იგივე ივანე ბერუევი, ლევან ქოზიევი, მამასახლისი ლევან ყაზის ძე ქოზაშვილი (სოფ. არხოტა, სცსსა, ფ. 254, №2, 188, გვ. 377-378, 1854 წ.).

ამავე ძირისაა **ქოსოსძე.** იხ. **ქოსოსძე გიორგი,** იაბერ, სვიმონ (ქრონ., II, 80), **ქოსოსძენი,** სასეფო გლეხნი"... ესე გლეხნი **ქოსაისძენი** ფუძელ ერთი, კუამლად გ" (იქვე, 80) (ფარცხისი, არხოტა). **ქოზაშვილები** ოსებიც არიან.

**ქოქონაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქოქონა.** შდრ. **ქოქია** (მეტსახელი, მთიულ., ს. მაკალ., 125; გვარში **ქოქიაშვილი**); **ქოქოლ-ი** (ტბეთის მატიანე, 583); **ქოქოსა,** გვარში: **ქოქოსაშვილი** (ალ. ღლ., 209).

„ქ.ავთანდილ სუფრაჯისა ქ.დიას 1721 წ. თევდორე და თამაზ ქოქონაშვილები“ (ვახუშტი, 115-116) (დია).

**ქოჩინთაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქოჩა**, გვარში: **ქოჩაშვილი** (ალ. ღლ., 209); შდრ. **ქოჩაკ-ი, ქოჩელში, ქოჩია,** აქედან კნინობითი **ქოჩინთა.** „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონი დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. **საქუა ქოჩინთაშვილი**“ (ვახუშტი, 103) (წინწყარო).

| | |
|---|---|
| ქოჩორაშვილი | 411 |
| *თბილისი* | *177* |
| *თეთრიწყარო* | *82* |
| *გარდაბანი* | *31* |

**ქოჩორაშვილი** (1612 წ.), **ქოჩორი** მეგრულად შემოკუეცილი თმა (საბა,, 371); **ქოჩორ-ი** ადამინის თავის ზემო ნაწილის თმა. თმა გადაივარცხნა (ქეგლ, 457);

**ქოჩორა** (ქოჩორასი) ქოჩრის მქონე, ქოჩრიანი, ქოჩრიანი ბიჭი // ქ.ვარია (ფიგურ.) (იქვე, 457).

**ქოჩორა,** მეტსახელი, წითელმთა, ოზურგეთის რ., ნუკრიანი, სიღნაღის რ. (ალ. ღლ., 209).

**ქოჩორა,** საკ. სახ. მოიხსენიება XVIII ს. ყმების ნუსხაში (დოკ., საქ. სოც. ისტ.-დან, II, 201).

**თათულა ქოჩორაშვილი** 1612 წ. (სცსსა, ფ. 1450-1-84);

**ქოჩორაშვილი, ქოჩორასშვილი** (1695 წ. II, 18, სცსსა, ფ. 1450-8-85); „ქ. კანჭაშვილის თომას ყმა ენაგეთს, 1721 წ. ქოჩორაშვილი დათუნა“ (ვახუშტი. 138).

„**ქვეშს მცხოვრებელს სოლომონ ქოჩორაშვილს (მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონეს, ქართველს) დაებადა ვაჟი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა ბესარიონ ღუდუმიძემ.** სახელად ეწოდა თომა. მიმქმელად იყო ქვეშს მცხოვრები ანა ბოშიშვილი (489, აღწ. 6, საქ. 31, ფურ. 190, 1826 წ.); სოლომონ ქოჩორაშვილს მოუკვდა შვილი თომა, აზიარა იმავე მღვდელმა (იქვე, ფურ. 194).

ენაგეთის ახალშენში 1873 წელს გიორგი ყორღანაშვილის დროებით ვალდებულ გლეხებად მოიხსენიებიან: **გალო თათოს ძე ქოჩორაშვილი,** შვილები: კონა, გლახა, გალოს ძმა მურადა, მურადას შვილები: არტემა, შაქარა, მოსია, მოსიას შვილები: არსენა, კარაპეტა, გალოს დისშვილი კუნწულა (დღეს კუნწულაანთს ეძახიან), გიგოლას ძე, სარქისა (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220). პატარა ენაგეთს 1882 წელს დავით იორდანეს ძე აბულაძის ქალიშ-

ვილი ეკატერინე მოუნათლავს არდისუბანში მცხოვრებ გლეხს ისაკ გრიგორის ძე ქოჩორაშვილს (სცსსა, მეტრ. წიგ. ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1). გრიგორ ქოჩორაშვილის ასული გაიანე 1883 წ. დიდ ენაგეთში შვილს უნათლავს თევდორე ბერიას ძე გზირიშვილს (იქვე). **„კონა ქოჩორაშვილი მოიხსენიება 1906 წ. დაბა მანგლისში“** (სააქტო ქაღალდი, №199, დაბა მანგლისი, 1906 წ. 11 აპრილი); „ვანო ქოჩორაშვილი მოიხსენიება 1912 წ. მანგლისში“ (ტიფლისის საოკრუგო სასამართლო, 1912 წ. 31 დეკემბერი, საქმის №17783.

მოგვიანებით ზოგჯერ **ქოჩოროვი.** ქოჩოროვი სომხურად აღიარებული რუსული გაფორმების ქართულფუძიანი გვარ-სახელი, წარმომდგარი ქოჩორაშვილისაგან (ქოჩორა, საკ. სახელი და ზოგჯერ მეტსახელიც). ქართველების გრიგორიანული წესით მონათვლის გამო კუმისისა და თბილისის მახლობელი ზოგი სოფლის მცხოვრებნი სომხებად მოუნათლავთ. მსგავსი გვარსახელებია: **ლაღიევი** (ლაღიძე), **ზაალოვი** (ზაალიშვილი), **მდივანოვი** (მდივნიშვილი, მდივანი), **ქოჩოროვი** (ქოჩორაძე, ქოჩორაშვილი), **გურასპოვი** (გურასპაშვილი, გურასპაული) (**შავშელი,** ქართველი გრიგორიანები, თბ., 1906 წ.; მუხათი, ენაგეთი, ბოგვი, მანგლისი).

| | |
|---|---|
| ქოქოსაძე | 403 |
| თბილისი | 159 |
| ამბროლაური | 50 |
| ტყიბული | 38 |

**ქოქოსაძე** წარმომდგარია მეტსახელიდან **ქოქია** (მთიულეთი, ს. მაკალათია, გვ. 125): მესტსახელის (გვარის) ძირია **ქოქი**: ვისიმე ქოქი გაწყდეს (გაწყდა) წყევლაა: ვისიმე გვარი, ჯიში, ჯილაგი ამოვარდეს.

გვაქვს სახელები: **ქოქოლი, ქოქორა,** გვარებში: **ქოქორაძე, ქოქორია ქოქოსა, ქოქოსაშვილი, ქოქოსაძე, ქოქოშა** მეტსახელი შემონახულია შოშიაშვილის გვარის სახინჯარში ქოქროსაანი (ქიზიყის ტოპონიმია, I, 82, 42).

ამავე ძირისაა: **ქოქიაშვილი.**

გვართან დაკავშირებით ორი სახის გადმოცემა არსებობს.

ვიღაც მისიონერმა ინდოეთიდან ჩამოიტანა **ქოქოსის პალმა,** აქედან გაჩნდა მეტსახელი **ქოქოსა** და შემდგომ იგი დაედო საფუძვლად ქოქოსაძეთა გვარს.

ძველ საუკუნეებში მესხეთში იყო პროფესია **„ქოქოს“** ლევ.-მელიარატორი, არხების გამყვანი, ჭაობების ამომშრობი). აქედან გაჩნდა გვარი ქოქოსაძე.

ამ გვარის წარმომადგენლებს უფრო მართებულად მიაჩნიათ მეორე ვარიანტი და ამბობენ, რომ **ქოქოსაძე, ქოქოსაშვილი** ხელობა-საქმიანობა „ქოქოსისაგან" მომდინარეობსო (მთხრობელები: თ. წერეთელი, თ. ქოქოსაძე).

**ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1712 წ.), **ქრისტესაშვილი** (თეოფორული გვარი, ი. მაისურ., 176).

**ქრისტესია** ქართული სახელია, რომელსაც საეკლესიო კალენდარი **ქრისტეფორეს** შესატყვისად მიიჩნევდა. აქედანაა გვარი **ქრისტესიაშვილი.** ამ სახელის ხალხური ფორმაა ქიტესა, შემოკლებით – ქიტა, ქიტო (აქედან გვარები: ქიტიაშვილი, ქიტოშვილი). ქიტესას უდრის აგრეთვე მეგრული ქიტსია – **ქრისტესია (ზ.ჭუმბურ.,** დედაენა ქართ., 372); „ლოუბანს ბექან ქრისტესიაშვილი და მისი ძმა ნიკოლოზი მოიხსენიებიან მოწმეებად 1712 წ. ყმების ნასყიდობის წიგნში, რომელსაც გიორგი სოლაღაშვილი აძლევს ევანეზა ვარდიგულაშვილს" (დოკ., I, 151); დიდ ენაგეთს 1871 წელს ზაქარია გიორგის ძე პეტრიაშვილის ვაჟის დავითის მომნათვლელად მოიხსენიება გიორგი ქრისტესიას ძე ქრისტინოვი (ქრისტესაშვილი) (მეტრ. წიგ. ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო № 1. დიდი ენაგ. წმ. ეკლესია); სოფ. პატარა ენაგეთში მცხოვრები იასე გიორგი ძე ქრისტესიაშვილი (ქრისტიანოვი) 1881 წელს შვილს უნათლავს თავისსავე თანასოფლელს გიორგი გაბრიელის ძე მესტვირიშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. № 1).

ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 23
*კასპი 17*
*თბილისი 5*
*მცხეთა 1*
ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 23
ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ 1215

**ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1829 წ.) სადაურობის სიტყვა **ქსოვრელი; ქსოვრისი** სოფელია მცხეთის რაიონში. შდრ. **ქსოვრელი, ქსოვრელიშვილი,** ერტისს მცხოვრებმა ზურაბა ქსოვრელაშვილმა 1829 წელს იქორწინა ენაგეთს მცხოვრებ კედელაშვილის ქალ ნინოსთან. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონციმაკურიძემ. თავდებნი ვაჟის მხრივ ნინია აზარიაშვილი, ქალის მხრივ – პეტრე კეკელიშვილი (489, აღწ. 6, №76, ფურ. 4).

ᲥᲣᲛᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 766
*გურჯაანი 281*
*თბილისი 246*
*ყვარელი 57*
ᲥᲣᲛᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 121

**ᲥᲣᲗᲘᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), საკ. სახ. **ქუთა, ქუთია** (ალ. ღლ., 209).

**ᲥᲣᲛᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ქუმსი** (საქ. სიძვ., II, 27); **ქუმსა** (მთიულ., ფასანაური); **ქუმსია** (დოკ., I, 279; ალ. ღლ., 209).

„ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში, ქ. მირტაშენს 1721 წ. ნიკოლოზის ყმა ბერუა ქუმსიაშვილი“ (ვახუშტი, 160). „ქ. მიტაშენს იასეს ყმა: **თამაზა ქუმსიაშვილი**“ (იქვე, 336).

ქურციკაშვილი 317<br>
*თელავი 170*<br>
*ახმეტა 54*<br>
*თბილისი 39*

ქურციკიშვილი 86<br>
ქურციკიძე 1859

**ქურციკაშვილი** (1710 წ.), საკ. სახელადქცეული ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა. იხ. **ქურციკ-ი** (ტბეთის მატიანე, 81, 443; სტატ. ცნ., XVIII ს., 418); მთიულ., ფასანაური (ალ. ღლ., 210); **ქურციკა** ნაცვლიშვილი, ყმისა და მამულის ნასყიდობის წ.იგნი, მიცემული ზაალ თარხნიშვილის მიერ სახლთუხუცესს ამილბარ მაღალაძისათვის (1722 წ. ნოემბრის 5-ს, დოკ., I, 198); შდრ. **ქურსიკი** (მაკ. ფშავი, 148); დათუნა ქურციკაშვილი, შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფოცხვერა მგელიაშვილის მიერ გასპარა ყარაყაშაშვილისადმი (1710 წ. სექტემბრის 12-ს. დოკ., I, 144); ამავე ძირისაა: ქურციკაძე. ქურციკიძე მარაბდაში მოიხსენიება 1781 წლიდან.

**ქუჩიკიშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქუჩიკ-ი** (ალ. ღლ., 210); **ქუჩიკო** (იქვე), **ქუჩუკა**, **„ქუჩუკ“** თურქ. მცირე, პატარა (ი. მაისურ., 177).

„ქ. მიტაშენს მსახლობელი ზურაბის ყმა 1721 წ. **დათუა ქუჩიკიშვილი**“ (ვახუშტი, 334).

ქუცნაშვილი 73<br>
*თიანეთი 47*<br>
*დუშეთი 12*<br>
*ახმეტა 7*<br>
ქუცნიაშვილი 253

**ქუცნაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ქუცნა** (იერუსალ., 140; ალ. ღლ., 210); მეტსახელი **ქუცნა** (სოფ. მუხათი).

„ქ. აბულფათიშვილის ბეჟანის ყმა 1721 წ. ქ. ტბისს... **ოქრუა ქუცნაშვილი**“ (ვახუშტი, 138).

**ქუცურიშვილი** (1870 წ.), მეტსახელი **ქუცურა** (გლოლა, ონის რ., ალ. ღლ., 210); შდრ. **ქუც-ი, ქუცა, ქუცო, ქუცუ, ქუცუცა**. შიო და თამაზა ქუცურიშვილები, დუშეთის მაზრის სოფ. ხადადან სოფელ ლასტისციხეში გადმოსულან 1870 წელს (სცსსა, ფ. 254, №3, 241, 1873 წ. ფ. 593-596); 1886 წელს საცხოვრებლად მოდიან ოჯახებით ანდრო და გრიგოლ ქუცურიშვილები (სცსსა, ფ. 254, №3, 1622, №63, ფ. 43-53, 1886 წ.).

# ღ

**ღანბარაშვილი** (1750 წ.), საკ. სახ. **ღანბარა** (საქ. სიძვ., I, 66). **გიორგი ღანბარაშვილი** მოიხსენიება 1750 წელს“ (დოკ.., I, 346). იხ. **ღანბარაანთ ამირანაშვილი გიორგი** (დოკ., II, 39).

ღარიბაშვილი 1844
*თბილისი 595*
*გურჯაანი 416*
*დუშეთი 239*
ღარიბაძე 25

**ღარიბაშვილი** (XII ს.) – „**ღარიბი**“, გარეშე წერილში სწერია უცხოსა ჰქვიან (საბა, 346); ევფიმისტური სახ. სახ. **ღარიბა** (ი. მაისურ., 178); **ღარიბ-ი** (არაბ.) მცირე ქონების პატრონი, მცირე შემოსავლის მქონე, ხელმოკლე, უქონელი (საპირისპ. მდიდარი) (ქეგლ., 459).

გვარი **ღარიბაისძე** მოიხსენიება XII საუკუნეში. **ღარიბშა** მოიხსენიება 1477 წ. (დოკ., I, 4); საკ. სახ. **ღარიბა** (დოკ., II, 202); „აქავ ბურდული თამაზას შვილი ნიკოლა, მახარა და ღარიბა“ (ვახუშტი, 430); „აქავ ილიაური ამონისშვილი ალხაზი და ღარიბა (იქვე, 436); არაგვის საერისთაოში ღარიბასშვილი (444); ერწოს სოფ. კვერნაულში მოიხსენიებიან ღარიბაშვილები (**რ-თოფჩ.**, 30); სოფ. ქვეშში 1741 წ. მოიხსენიება ღარიბაშვილი (დოკ., I, 295); ღარიბაშვილი, ვაზისუბანი (გურჯაანის რაიონი). „ქ. მუხრანის ბატონის ალიყულიხანისა თელეთს, 1721 წ. იესე ღარიბაშვილი (ვახუშტი, 18); „ქ. დიდს ჰიტებს წმინდის შიო-მღვიმეს შეწირული ამილახორისა, 1721 წ. ქიტია ღარიბაშვილი“ (იქვე, 27); „ქ. ციციშვილის შიგამდეგის ზაზასი ქ. დაღეთს, შიუა ღარიბაშვილი“ (იქვე, 33); „ქ. ქვეშს ღარიბაშვილი ოსია“ (იქვე, 60); „ქ. იფნობს ღარიბაშვილი თამაზა“ (იქვე, 162); ენაგეთში მცხოვრებ პეტრე ღარიბაშვილსა და მის მეუღლეს 1820 წ. შეეძინათ ვაჟი იოსები, მონათლა თანასოფლელმა გიორგი ამინაშვილმა. განათლა ბორბალოს სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის შტატის მღვდელმა პავლე გიორგიშვილმა, გიორგოვმა (ფ. 489, №6, №5, ფურ. 103); ზურაბა ღარიბაშვილი 1851

წელს მოიხსენიება სოფელ მუხათში (სცსსა, ფ. 55, საქმე № 39, ფურ. 126-127); 1873 წ. აღწერით მუხათს ელენე ერისთავის დროებით ვალდებულ გლეხებად მოიხსენიებიან ზურაბ, ალექსი და არტემა ღარიბაშვილები (სცსსა, ფ. 254, №2, ფურ. 169); დიდ ენაგეთს 1873 წელს ივანე ბარათაშვილის დროებით ვალდებულ გლეხებად მოიხსენიებიან: სოლომონ პეტრეს ძე ღარიბაშვილი, შვილები: თათო, თედო, დათიკა, ნიკულა, სოლომონის ძმა ვანო, ივანეს შვილი არსენა. სარწმუნოებით მართლმადიდებელნი, ჩამომავლობით – ქართველები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); დიდ ენაგეთელი დავით ნიკოლოზის ძე კიკოლაშვილი ნათლავს ქალიშვილ სალომეს. მიმქმელი ყოფილა პეტრე პეტრეს ძე ღარიბაშვილი (სცსს, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1879 წ.);1881 წლის 20 მაისს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესიის მიერ შედგენილ საეკლესიო დავთარში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „**თბილისის უეზდის სოფელ დიდ ენაგეთში მცხოვრებელი სახელმწიფო ყმა პეტრე სოლომონის ძე ღარიბაშვილი და სჯულიერი ცოლი მისი მარიამ ივანეს ასული ორნივე არიან მართლმადიდებლობითის სარწმუნოების აღსარისებისანი, ქართველნი.** მიმქმელი იყო ამავე სოფლის მცხოვრებელი გლეხთაგანი ეთერ სოლომონის ასული ჟამიერაშვილის მეუღლე. ეკლესიის მართლმადიდებელი მღვდელი **ზაქარია ბარნოვი (ვასილ ბარნოვის მამა).** ფსალმუნი ილია თეთრაძე; იქვე მოიხსენიება დავით სოლომონის ძე ღარიბაშვილი (სცსსა, მეტრ. წიგ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო, 1, 1881 წ.); დიდ ენაგეთელი სახელმწიფო ყმა პეტრე სოლომონის ძე ღარიბაშვილი, მეუღლე მარიამ ივანეს ასული ნათლავენ შჳილს დარიას (იქვე); დიდ ენაგეთელი დავით სოლომონის ძე ღარიბაშვილი, მართლმადიდებელი, ქართველი, თხოულობს თავისსავე სოფლელს სვიმონ იაკობის ძე ჯოიაშვილის ასულს ქეთევანს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1884 ზ.) (დიდი ენაგეთი, დიდი დაღეთი, მანგლისი, მუხათი, ჯორჯიაშვილი). **ღარიბაშვილების ადრინდელი გვარია ნარიმანიძე.**

**ღალეთაშვილი** (1817 წ.), სავარ, ზედმ. სახ. **ღალეტა,** ქვ. გომი, კასპის რ. (ალ. ღლ., 211). შესაძლოა გვარადქცეული სადაურობის სიტყვა **ღოღეთი** (ღოღეთი სოფ. ქარელის რ-ში).

„სოლომონ ღალეთაშვილი მოიხსენიება 1817 წ. კოდაში" (სცსსა, ფ. 55, საქმე №39, ფურც. 23).

ლვედაშვილი 786
სიღნაღი 515
რუსთავი 96
თბილისი 89

**ლვედაძე,** საკ. სახ. **ლვედა** (ალ.ღლ., 211); **ლვედია,** მეტსახელი, ხიზაბავრა, ასპინძის რ. (იქვე, 211); ლვედი მოქნილი ტყავის მოგრძო და ვიწრო ანაჭერი, ლვედის ქამარი. ბორბლებს შორი გადაჭიმული თასმა ან თასმისნაირი ქსოვილი მოძრაობის გადასაცემად // ასეთი თასმა რაისამე შემოსაკრავად (ქეგლ., 460).

ამავე ძირისაა: **ლვედაშვილი** (დრე).

**ლვედერიძე** (1871 წ.), საკ. სახ. **ლვედა,** გვარში: **ლვედაშვილი, ლვედე** (კოლხ., 3, ჩხოროწყუ, ალ. ღლ., 211); **ლვედია,** მეტსახელი, ხიზაბავრა, ასპინძის რ.

1871 წელს სოფ. ღოლოვნაში მოიხსენიება სახელმწიფო გლეხი გრიგორ ივანეს ძე **ლვედერიძე.**

ლვინიაშვილი 3608
თბილისი 1115
გურჯაანი 407
ქარელი 403

**ლვინიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ლვინია** (საქ. სიძვ., II, 184, კოხნარი, ჩოხატაურის რ., ალ. ღლ., 211); **ლვინია,** რამინასშვილი, ბერდიკელი (დოკ., I, 120); **ლვინია,** რევაზასშვილი, ამლიველი (იქვე, 412); **ბაგური ესტატეს ძე ლვინიასშვილი,** 1747 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დათუა მაჭარასშვილის მიერ ვიღაც ნიკოლოზისათვის (დოკ., I 335); ღვთისავარ ლვინიაშვილი, 1797 წ. წყალობის წიგნი, მიცემული ზურაბ გარაყანიძის მიერ იაბერ დავითაშვილისათვის (დოკ., II, 186).

**ლთისიაშვილი // ლვთისიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ღვთისია** (დოკ., II, 92); **ღვთისია** (თუშ., გ. ცოცან.); **ღვთისო, ხვთისო, ხთისო, ხთისია, ხთისიკა** (ხევსურ., ბარისახო, ალ. ღლ., 211); „ქ. სოლალაშვილის ზურაბის ყმა ქ. სალორისს, 1721 წ. შემაზა ლთისიაშვილი“ (ვახუშტი, 146); „ქ. კუჭიაშვილის ქ. ვარდისუბანს 1721 წ. ლთისიაშვილი მოლაშქრე ბოგანო“ (ვახუშტი, 11); ვარდისუბანში მცხოვრები სახაზინო ყმა სოლომონ დავითის ძე ლვთისიაშვილი, მეუღლე სოფა დიმიტრის ასული 1883 წ. ნათლავენ შვილს იოსებს, მიმქმელი ყოფილა ამავე სოფელში მცხოვრები ივანე გიორგი ძე კედელაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

შდრ. **ახვერდაშვილი, ალავერდაშვილი, ხუდავერდაშვილი, უფლისაშვილი...** (ვარდისუბანი, სალორისი).

**ღოლიაშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ღოლო, ღოლია.** აქედან გვარი: **ღოლიაშვილი.**

„ქ. არის საბარათაშვილოში ბატონი დედოფლის სახასო, წინწყაროს, 1721 წ. **გოგინა ღოლიაშვილი**" (ვახუშტი, 103).

შდრ. მცენარე **ღოლო.**

ღონენაშვილი 28
გორი 13
თბილისი 11
რუსთავი 2

**ღონენაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ღონენა** (დოკ., I, 367); **ღონენა** (მასალ., II, 164); **ღონენა** ავალიშვილი (დოკ., I, 366), **ღონენა** ნადირაძე (იქვე, 464); „ქ. ციციშვილის რევაზისა დიდ დაღეთს გიორგი ღონენაშვილი" (ვახუშტი, 34)0.

ღონღაძე 3524
ხაშური 985
თბილისი 745
ხარაგული 393

**ღონღაძე** (1818 წ.), საკ. სახ. **ღონღა,** გვარში: **ღონღაძე** (ალ.ღლ., ლაგოეთის ტოპონიმია, 1981, 56,212); ფარცხისში 1818 წელს ნიკოლოზ პეტრეს ძე ადოლაშვილის თავდებად მოიხსენიება **სოლომონ ივანეს ძე ღონღაძე** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ №1); სოლომონ ივანეს ძე ღონღაძე მოიხსენიება 1882 წელს სოფ. ფარცხისში, როგორც გიორგი ანდრიას ძე ბეგიაშვილის თავდები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); იგივე პიროვნება ნათლავს შვილს იოვანეს. მიმქმელი ყოფილა ფარცხისში მცხოვრები დავით გლახას ძე მიდელაშვილი (იქვე); 1831 წელს თონეთში მცხოვრებ პეტრე ღონღაძეს დაებადა ვაჟი სვიმონი კანონიერ მეუღლე დავით ბოჭორმის ასულ თინათინთან. მიმქმელად იყო შოხისში მცხოვრები **აზნაური ბესარიონ ყავრისაშვილი** (489, №6, 121ბ, ფურ. 35).

ღოღაძე 259
თბილისი 68
გორი 61
ქარელი 29

**ღოღაძე,** საკ. სახ. **ღოღა.** ღოღათუბანი არის ხარაგაულის რაიონში. ღოღათუბანი ამავე გვარით დასახლებული სოფელია.

შდრ. **ღონღაძე** (დიდი თონეთი).

**ღრეულიშვილი** (1721 წ.),

ღრეული 83
თბილისი 32
რუსთავი 3
ბათუმი 1

**ღრეული...** გიორგი წმიდა (საგარეჯოს რ.) (ი.მაისურ., 180) „ქ ფიტარეთს წინამძღვრისა 1721 წ. **ღრეულიშვილი**" (ვახუშტი, 171).

ამავე ძირისაა: **ღრეული,** იხ. კაცია **ღრეული** (დოკ., I, 599).

| | |
|---|---|
| ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 93 |
| *სამტრედია* | 34 |
| *თბილისი* | 33 |
| *საგარეჯო* | 7 |
| ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ | 57 |

**ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ღრუბელა** (ჩუმლაყი, გურჯაანის რ., გვარში: **ღრუბელაშვილი**. **ღრუბელა-ი** (ხევ., ს. მაკალ., 168; ალ. ღლ. 212); საკ. სახ. **ღრუბელა** (მუხათი).

„ქ.ზაზუნაშვილის ბეჟანისა ქ. ელფიას: **ბერუა ღრუბელაშვილი**“ (ვახუშტი, 125).

**ᲦᲣᲙᲣᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **ღუკე**-დან ნაწარმოები ფორმაა **ღუკუ+ზა** (ალ. ღლ., 213).

„ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, 1721 წ. წინწყაროს: ...**ბერუა ღუკუზაშვილი**“ (ვახუშტი, 102).

**ᲦᲣᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ღუტა** (სვან., 12, ნანარი); კოლხ., 36, ბანძა, ალ. ღლ., 213). **ღუტია** (ალ. ღლ., აქვე). შდრ.: **ღუტიშვილი, ღუტიძე**.

„ქ. ნოდარ სუფრაჯის ყმა ელფიას **იასონ ღუტიაშვილი**, 1721 წ.“ (ვახუშტი, 113).

# ყ

**ᲧᲐᲓᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყადია, ყადი., ყადორა** (ალ. ღლ., 213; დოკ; I, 590). აქედან გვარები: **ყადიაშვილი, ყადიშვილი, ყადამაშვილი.**

იხ. **ყადინაანთ სტეფანა,** საბუთის დამწერი (დოკ., II, 97); ყადიაშვილი დავითა, ყადიშვილი ელისბარა (დოკ., I, 599). „ქ. ციციშვილის ზაალიშვილის ქაიხოსროსი 1721 წ. სამღერეთს ემინა **ყადამაშვილი**" (ვახუშტი, 34). **ყადი** (თურქ) მოსამართლეს ნიშნავს. **ბოლქვაძეების ნაწილი ყადიოღლებად** ჩაწერეს.

| | |
|---|---|
| ᲧᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 75 |
| *თბილისი* | *44* |
| *რუსთავი* | *4* |
| *საგარეჯო* | *27* |

**ᲧᲐᲕᲐᲠᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ // ᲧᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1876 წ.). გადმოცემით წინაპართა საქმიანობის საფუძველზეა შექმნილი (წინაპარნი ყავრის გამომხდელნი იყვნენ) (ი. მაისურ., 181); 1876 წელს სოფელ გოლთეთში მოიხსენიება ანდრეა სოსიას ძე ყავრისშვილი (489, 9, 1).

**ᲧᲐᲕᲠᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1831 წ.), **ყავარა,** მეტსახელი გვარში: **ყავრიშვილი** (ალ. ღლ., 213); **ყავრიშვილ-ი,** გადმოცემით წინაპართა საქმიანობის საფუძველზე შექმნილი (წინაპარნი ყავრის გამომხდელნი ყოფილან); სოფ. მოხისში მცხოვრები აზნაური ბესარიონ ყავრისაშვილი, 1831 წელს ვაჟს უნათლავს თანასოფლელ პეტრე ღონღაძეს (489, №6, 121ბ, ფურ.35).

**ᲧᲐᲖᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყაზან** (ქართლ. ცხ., II, 299), **ყაზანა** (კოლხ., ს. მაკალ., 276); „ქ. ციციშვილის ბაადურიშვილის ზაალისა 1721 წ. ქ. დიდაღეთს **ამირანა ყაზანაშვილი**" (ვახუშტი, 33) (დიდი დაღეთი).

| | |
|---|---|
| ᲧᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 821 |
| *გორი* | *202* |
| *ახმეტა* | *151* |
| *კასპი* | *135* |

**ᲧᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ყაზარ** (თურქ.), **ყასაბი,** საკ. სახ. **ყაზარა** ვაშლოვნელი, 1745 წ.

შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი ჯავახიშვილის მიერ როსტომა ყორღანაშვილისათვის (დოკ., I, 327); **ყაზარია** (მეტსახელი, გლოლა ონის რ. ალ. ღლ., 213); **ყაზარა** მერაბაშვილი, 1741 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი და სხვა თურქისტანისშვილების მიერ ყალოანთ გიმული, გიორგი და სხვა თურქისტანისშვილების მიერ ყალოანთ გიორგისა და პაპასადში (საქ. მუზ., №955 Ad; დოკ., I, 299); გიორგი ყაზარასშვილი, დავითა ყაზარასშვილი, 1725 წ. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბეჟან ბიძინაშვილის მიერ ულანცაანთ დავით და სტეფანასათვის (დოკ., I, 212); „ოჰანეზ ყაზარაშვილი როგორც თავად დიმიტრი ორბელიანის ყმა მოიხსენიება ვაშლოვანში 1817 წ.“ (სცსსა, ფ. 254, №1, 477, გვ. 36); „ქ. ყორღანაშვილის თაყასი, 1721 წ. ქ. ენგეთს ყაზარაშვილი“ (ვახუშტი, 93); „ოჰანეზ ყაზარაშვილი, მეუღლე ანა, ვაჟები: ყაზარა, პეტროსა, სიმონი, რძალი მართა, პეტროსას ვაჟები: კიკოლა, თათუა 1823 წ. მოიხსენიებიან სოფ. ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 99-105); პეტრე ყორღანაშვილის დროებით ვალდებულ გლეხად სოფ. ენაგეთის ახალშენს 1873 წელს მოიხსენიება სარქის მატიას ძე ყაზარაშვილი, შვილები: ბაგრატა, ანტონი, ჯორჯიაშვილში ყაზარაშვილები აღარ არიან, შემორჩენილია სახინჯარი ყაზარაანი (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220); **ყაზარაშვილები** ამჟამად ენაგეთში მცხოვრები **ყაზიშვილები** არიან.

**ყაზარაშვილების** შტო-გვარია სოფ. კუმისში **საყევრიშვილი**. ახალსოფელში (თეთრი წყაროს რ-ნი) **მარტიაშვილი** (დ/დაღეთი, ლიპი, ენაგეთი, ვაშლოვანი). (შდრ. კაზაროვი).

**ყაზიაშვილი** (1817 წ.), საკ სახ. **ყაზა** (ალ.ღლ., 213); შდრ. **ყაზარა, ყაზარია, ყაზია, ყაზიმა, ყაზო, ყაზრო** (იქვე, 214); იყო **ყაზის** სოფელი ყაიყულში (იას. ლორთქ., § 71-721ა, § 42).

ამავე ძირისაა: **ყაზანაშვილი, ყაზაზაშვილი, ყაზარაშვილი, ყაზაიშვილი, ყაზუაშვილი, ყაზამაშვილი, ყაზიბეგიშვილი.**

**ყაზინაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ყაზა, ყაზია,** აქედან გვარი: **ყაზაიშვილი, ყაზაზიშვილი, ყაზანაშვილი, ყაზინაშვილი, ყაზუაშვილი, ყაზიბეგისშვილი,** შდრ. **ყაზან, ყაზავათ, ყაზახა, ყაზარა, ყაზბეგი, ყაზიბეგ, ყაზიმა, ყაზო, ყაზრო, ყაზუა** და სხვ. (ალ. ღლ., 214); **ყაზუასშვილი ბერი,** დათუნა, დემეტრა, ივანა, პაპუნა, შიო (საქ. სიძვ., I, 325); **ყაზანაშვილი რამაზ,** მდივანბეგი (საქ. სიძვ., III, 217); „ქ.

ვარაზაშვილის ლუარსაბის ყმა, 1721 წ. ქ. მარაბდას, ...**ბერუა ყაზინაშვილი**" (ვახუშტი, 138).

**ᲧᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ 343**
*გორი 174*
*თბილისი 116*
*ქუთაისი 14*

**ᲧᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყაზა** (ვახუშტი, 435); **ყაზია** (ხევ., გერგეტი); **ყაზო** (მეტსახელი, ხაზიბავრა, ასპინძის რ., **ყაზრო** (სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 214).

დიდ ენაგეთში დროებით მცხოვრები მიხეილ გიორგის ძე **ყაზიშვილი** ნათლავს ვაჟს პორფირეს. მიმქმელი ყოფილა გოლთელი ნიკოლოზ ივანეს ძე თიგიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ"წ, 1, 1871 წ.); გოლთეთელი სახელმწიფო ყმა გიორგი პავლეს ძე ყაზიშვილი და მისი მეუღლე ნანა ზაქარიას ასული 1881 წელს ნათლავენ ვაჟიშვილს ნიკოლოზს. მიმქმელი ყოფილა გოლთეთელი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თიგიშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); დიდ ენაგეთელ მიხეილ ყაზიშვილის ასულს ცოლად ირთავს ამავე სოფლელი ივანე აბრამის ძე უსტიაშვილი (იქვე, 1885 წ); შიო პავლეს ძე ყაზიშვილი (გოლთეთი) ნათლავს შვილს ოლღას, მიმქმელი ყოფილა ბორბალოელი ვასილ იაკობის ძე ვარსიმაშვილი (იქვე, 1884 წ.). შდრ. ყაზიაშვილი.

**ᲧᲐᲖᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყაზა** (სვან., 2, ცხუმარი, ნუკრიანი, სიღნაღის რაიონი; ალ. ღლ., 213); **ყაზუა**, მეტსახელი, მუხათი, თეთრი წყაროს რ. „ქ.საჩინოშვილის ფარსადანისა ეშვისწყაროს 1721 წ. **ყაზუაშვილი...**" (ვახუშტი, 75).

**ᲧᲐᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყაითო** (რაჭისუბანი, ბოლნისის რ., ალ. ღლ., 214); შდრ. **ყაითმაზა**.

„ქ. რევიშვილის სვიმონისა 1721 წ. ქ. ახალშენს... **ნასყიდა ყაითაშვილი**" (ვახუშტი, 87).

**ᲧᲐᲚᲐᲜᲓᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 37**
*თბილისი 12*
*ახმეტა 3*
*თელავი 22*

**ᲧᲐᲚᲐᲜᲓᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყალანდარი** (დოკ., II, 13); ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვიდან **ყალახ-ი** (ყალნისა) (ძვ.), ბეგარა, გადასახადი (იხ. ქეგლ. 464); **ყალანდარ** თუმანის-შვილი, 1666 წ. ყმის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი ბატონიშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის (დოკ., I, 43); **ყალანდარ თუმანიშვილი,** ყალანდარა თუმანიშვილი (იქვე, 49, 53); ყალანდარ, ზურაბ მდივან ჯიმშიტაშვილის ძმა, 1678 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი,

მიცემული ესტატე ხოსიტაშვილის მიერ თავის განაყოფ ზურაბ, სულხან და ყალანდარ ჯიმშიტაშვილებისათვის (საქ. მუზ., №12, Sd; დოკ., I, 57); „ქ. საამისა და ედიშერისა, 1721 წ. ქ. ენაგეთს ყალანდრიშვილი“ (ვახუშტი, 118).

**ყამაზაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ყამზა** (კოლხ., ს. მაკალ., 277); **ყამარზა** (ისტ. დოკ., I, 59).

„ქ. ავთანდილ სუფრაჯისა ქ. ეცოს 1721 წ. **ყამაზაშვილი გიორგი**“ (ვახუშტი, 115).

**ყარაბუდახიშვილი** (1742 წ.), საკ. სახ. **ყარაბუდახ** შიოშბეგისშვილი მოიხსენიება 1653 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული უსუფბეგ ასანბეგიშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის (საქ. მუზ., №10. 026ბ Hd; დოკ., I, 36); **ყარაბუდახიშვილები იყვნენ მებატონეები. გიორგი ყარაბუდახიშვილს ყმები ჰყავდა დმანისს, ირაგას, სარკინეთს, კარაქას, ლიყურეთს, სავანეთს, დარბას, ძველქვეშს; ყარაბუდახიშვილ თამაზის** – კლდეისას, სარკინეთს, ხორხებს, კარაქას (ვახუშტი, 72-74); ლუარსაბ ყარაბუდახიშვილისგან 1761 წ. ერთ ჯვარელ-დმანისელ გლეხს იხსნის ნინოწმინდელი (იხ. **ლორთქ.**, ქვ. ქართ., ნაწ. III და IV, §71-921); ლუარსაბ ყარაბუდახიშვილი 1742 წ. სოფ. ბოგვს მოიხსენიება მოწმედ ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში (დოკ., I, 309).

შდრ. **ბუდახაშვილი.**

ყარაგვეზაშვილი 26
*დედოფლისწყარო 19*
*ახალციხე 1*
*თბილისი 6*

**ყარაგოზიშვილი // ყარაგვეზაშვილი** (1523 წ.), თურქ. საკ. სახ. **ყარაგვეზ** (**ყარაგუეზშავთვალა // ყარაგოზაშვილი // ყარანგოზაშვილი** (ი. **მაისურ.**, 183); ყარაგოზა მოხსენიებულია 1662 წ. სითარხნის წყალობის წიგნში; ხარატში შენგან აშენებული ყარაგოზას ნასახლები მამული“ (დოკ., I, 368); დავით X-ის განჩინებით ბარათაშვილთა გაყრისას (1523 წ.). გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას გოსტასაბს, ფალავანხოსროს შეხვედრია ენაგეთს: „ერთ წილად ყარაგოზაშვილი, დაგუიდებია ქოშტამა“ (ხელნ. ინსტ. Ad; 1299); გივი ყარაგოზისშვილი//ყარაგოზიშვილი 1738 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე თულაშვილის მიერ გივი ჩოლაყაშვილისადმი (დოკ., I, 277, 401).

**ყარაგოზაშვილები მოგვიანებით იყვნენ აზნაურები.**

| | |
|---|---|
| ᲧᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 219 |
| თბილისი | 81 |
| კასპი | 80 |
| რუსთავი | 21 |

**ᲧᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ყარ** (მყრალი, ყარს), საკ. სახ. **ყარა** (ათაბ., 274), შდრ. **ყარამან-ი** (სპ. „გმირი") (გ. ლეონ., სახელები).

**ყარა-ასლან** (ქრონიკ., III, 392); **ყარასშვილი** ომარ (იქვე, 325).

**ᲧᲐᲠᲐᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყარახანა** (ყარახანა ახაშვილი, დოკ., I, 196); **ყარახანა** დუთაშვილი (იქვე, 196); ყარახანა სულხანაშვილი (იქვე, 174). შდრ. გორახანა, ულუხანა, მურდახანა.

„ქ. ქავთარაშვილის სულხანის ყმა ახალშენს, 1721 წ. ამზა ყარახანაშვილი" (ვახუშტი, 123); „ქ. მიტაშენს იასეს ყმა, 1721 წ. ივანე ყარახანაშვილი" (იქვე, 336); „ქ. საკარის იაგანას ყმა ყარახანაშვილი" (იქვე, 353); „ქ. გოსტაშაბიშვილის ამილღანბარისა ქ. ანდრიას 1721 წ. ზურაბა ყარახანაშვილი" (იქვე, 56). მოგვიანებით **ყარახანოვი** (კარახანოვი). **ასეთი გვარით მონათლეს მღებრიშვილები სოფ. შინდისში (გარდაბნის რაიონი).**

**ᲧᲐᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყარა, ყარუა** (**ყარამან, ყარან-ი**, ყარო, ალ. ღლ., 214); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, 1721 წ. წინწყაროს **ზურაბ ყარუაშვილი**, იქავ **ყარუანთ მანდენა**" (ვახუშტი, 101, 103).

**ᲧᲐᲠᲩᲘᲮᲐ(Ს)ᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყარჩიხა**. 1721 წ. აღწ. ამილახორის უყმო აზნ. სომხითის კატავეთში (ისს. ლორთქ., § 78); **ყარჩიხანაშვილი** – პატარა კაცი. 1721 წ. აღწ. მებატონე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ქციაში. დასტურლ. მეძაღლეთუხუცესი (ისს. ლორთქ., § 132, 76, 128). „ქ. ყარჩიხანაშვილი პატარკაცისა ნახიდურს, 1721 წ. ღულიაშვილი ყაზარა, ბოგანო საქუაშვილი" (ვახუშტი, 19); იხ. **ყარჩიხან** (// **ყარჩიღახან**), სარდალი (ქრონიკ., III, 369, 376).

**ᲧᲐᲧᲐᲩᲝᲨᲕᲘᲚᲘ** (1874 წ.), მცენარიდან „ყაყაჩო", ნაწარმოები გვარია. შდრ. ბალამწარაშვილი, ბზიშვილი, ბიაშვილი, იაშვილი, ვარდიაშვილი, ეკალაძე, კიპაროიძე (კვიპაროსიძე), ხორბალაძე, მარცვალაძე...

ზაქარია ივანეს ძე ყაყაჩოშვილი (ყაყაჩოვი) მოიხსენიება, სოფ. ტბისში 1874 წელს (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1).

**ᲧᲐᲩᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), მეტსახელიდან **ყაჩო** (ალ. ღლ., 235). კნინობითი ფორმით **ყაჩია, ყაჩიკა**.

„ქ. მირტაშენს იესე ყაჩიკაშვილისა ირემაშვილის ნასყიდას მამული აყრილი 1721 წ.“ (ვახუშტი, 160).

ყელბერაშვილი 345
თბილისი 176
თეთრიწყარო 130
რუსთავი 22

**ყელბერაშვილი** 1721 წ., მეტსახ. **ყელბერა** გადმოცემით, შერქმეული იყო წინაპრისათვის, რომელსაც ყელზე ჩიყვის ამონაზარდი ჰქონda. მისი ძველი გვარი **მაისურაძე** ყოფილა (ილ. მაისურ., 184).

„ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ღოუბანს 1721 წ.“ ყელბერაშვილი იესე“ (ვახუშტი, 140); „აქავ კოდაზედ სარდალ-სახლთუხუცის ყმა ღოუბნელი ყელბერას შვილი მამუკა. აქავ ღოუბნელი მეორე ყელბერას შვილი ეგნატე“; ღოუბნელი ბექანა ყელბერაშვილი 1818 წელს ნათლავს ვაჟიშვილს გლახას, მიმქმელი იყო ნინია გერმანოზიშვილის მეუღლე მარიამი (სცსსა, ფ. 489, 6, 1ბ, ფურ. 144, №24).

შდრ. **ყელგრეხა**, გვარში: **ყელგრეხაშვილი, ყელღერა** – მეტსახელი, ყელმოღერებული კაცისა, გვარში **ყელღერაშვილი** (ალ. ღლ., 215).

ნ. ვახუშტით: **ყელიაშვილი** (43); **ყელმაღლიშვილი** (31), **ყელიგრეხაშვილი** (134) (კოდა, მუხათი, ღოუბანი).

ყაველაშვილი 2160
ქიათურა 665
თბილისი 354
ლაგოდეხი 317

**ყავილაშვილი // ყაველაშვილი** (1871 წ.), სავარ. გვარი **ყაველაშვილი**. საკ სახ. **ყაველა**, გვარში: **ყაველაშვილი** (ალ. ღლ., 213); საღირაშენში 1871 წ. დროებით მცხოვრებად მოიხსენიება პეტრე სოსიას ძე ყავილაშვილი, რომელსაც შეურთავს ამავე სოფლელი სოსია გოგინაშვილის ასული სოფიო (მეტრ. წინ., ფ. 489, აღწ. 9. თეკარი წყარო №1, 1871 წ. დიდი ენაგ. წმ. გიორგის ეკლესია).

ყვავილაშვილი 198
თბილისი 118
თეთრიწყარო 47
რუსთავი 29

**ყვავილაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ყვავილა**, გვხვდება სოფ. კოდაში. **„პოჩიკაშვილი ყვავილა ნონიას ძე, პოჩიკაშვილი ყვავილა იაკობის ძე** და სხვ. **პოჩიკაშვილ ყვავილამ** აწარმოვა გვარი **ყვავილაშვილი.**

ყველაშვილი 1130
ყველიაშვიმლი 161
ყველაიძე 170

ამავ ძირისაა: **ყვავილაძე, ყვავილი** არის აგრეთვე სოფელი დუშეთის რ-ში. კოდაში გადმოსული თუში იჭარაულთა ოჯახი შეეკედლა ყვავილაშვილს და მათ გვარზე დაეწერა. მათ დღესაც თუშიკოაანთ ეძახიან („თუშიკოანთ სიმონა).

**ᲧᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ყველაანი** (დუშეთის რ.); ამავე ძირისაა: **ყველაურიძე, ყველაშვილი, ყველუტაშვილი,** (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. 33), **ყველიაშვილი** (ორბეთი).

**ᲧᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. ყველა, გვარებში: **ყველაიძე, ყველაშვილი** (ალ. ღლ., 215).

,**ყველაიძე, ყველაანი** (დუშეთის რ.), ამავე ძირისაა ყველაურიძე, ყველაშვილი, ყველიაშვილი (ი. მაისურ., 185); „ქ. ციციშვილის ბაადურაშვილის ზაალისა, 1721 წ. ქ. დიდ დალეთს **ზურაბა ყველიაშვილი**" (ვახუშტი, 32).

**ᲧᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), სავარ. რთული შედგენილობის სახელი, **ყიზი+ბარა**(ი). შდრ. ყიზილა, ყიზელბაქ-ი, ყინდორა, ყინტორა, შადბერ, შაბაშელა, შავგელ, ვაშყან და მისთ. **ქიმბარ-ა** (დღევ. სოფ. თელეთში); „სოფ. ვაშლოვანში, თავად დიმიტრი ორბელიანის ყმად. 1817 წ. მოიხსენიება **სოსია ყიზბარაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №1, 477, გვ. 36).

**ᲧᲘᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყიზია** (ძვ. საქ. IV განყ. III, 64). შდრ. ყიზილა, ყიზელბაქ-ი, ყიზლა (ალ. ღლ., 215-216); „ქ. მანუჩარ ქავთარაშვილის ყმა ქ. ანდრიას 1721 წ. **ბექუა ყიზიაშვილი**" (ვახუშტი. 122).

**ყიზლარაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. სახელადქცეული ტოპონიმი ყიზლარი ადგილია კასპიის ზღვისპირეთში.

„ქ. ქავთარაშვილის სულხანის ყმა ახალშენს 1721 წ. **თამაზა ყიზლარაშვილი**" (ვახუშტი, 123).

• **ᲧᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ყილა**, მეტსახელი, ქსნის ხეობაში, ლარგვისი (ალ. ღლ.- 216).

„ქ. მიტაშენს მსახლობელი ზურაბის ყმა 1721 წ. **აკოფა ყილაშვილი**" (ვახუშტი. 34).

| | |
|---|---|
| ᲧᲘᲠᲘᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 47 |
| ᲧᲘᲠᲘᲛᲔᲚᲘ | 126 |
| ᲧᲘᲠᲘᲛᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 138 |
| ᲧᲘᲠᲘᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 72 |

**ᲧᲘᲠᲘᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲧᲘᲠᲘᲛᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1843 წ.), საკ. სახ. **ყირიმ** (სან., 8, მულახი); **ყირიმ-ი** (კოლხ., 93, ჩხოროწყუ); **ყირიმია** (კოლხ., 28, სალხინო; ალ. ღლ., 216); „**ბერო ყირიმელაშვილი** მოიხსენიება 1843 წ. აღწ. დიდ თონეთში" (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფურც. 310-322). დიდ თონეთში 1885 წელს კონსტანტინე სვიმონი ძე მჭედლიძის თავდებად მოიხსენიება **სვიმონ ბერუას ძე ყირიმელაშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

შდრ. **ყრიმელ-ი**, გვარადქცეული სადაურობის სიტყვა; ამავე ძირისაა: **ყრიმლიშვილი, ყრმელაშვილი** (დიდი თონეთი).

ႷႨႴႨႠႬႨ 2790
*თბილისი 1096*
*ქუთაისი 424*
*ბაღდათი 129*

ႷႨႴႨႠႬႨ (1843 წ.), **ყიფი**. ზოგადი მნიშვნ. **ამაყი** (საბა, ამაყთან). „ამაყი სხვათა ენაა, ქართულად ყიფი“ (ი. ბაგრატიონი, იხ. ქუთათელაძე, ი. ბაგრატიონის ქართული ლექსიკონი, თბ., 1975, 189); „**ყიფი**, მედიდური, აქედან ყიფიანები“, ი. გრიშაშვილის მინაწერი „დავითიანის“ 1948 წლის გამოცემის 114-ე გვერდზე (იხ. ი.გრიშაშვილის ბიბლიოთეკა — მუზეუმის კატალოგი, თბ., 1977, გვ. 81; იხ. ი. მაისურ., 185-186); „**აზნაური ყიფიანი**. ამათი წინაპარნი იყვნენ ძველადვე **ყიფთაგანნი,** რომელნიცა დაშთა დროსა არჩილ მეფისასა იმერეთს, ოდეს მოვიდა მურვან ყრუ, წელსა ქრისტეს აქეთ 669 და ოდეს აბაშიძეები მოვიდნენ ქართლს, ესენიც გარდმოყვნენ და მიუბოძა მეფემან ვახტანგ სურამის კერძოდ მამული და არიან მუნიდგან მცხოვრებნი ქართლში და მოხსენებულ ტრაქტატსა შინა. ამათნი გვარნი რომელნიმე სახლობენ სვანეთსა, ახალციხეს, იმერეთსა და ქართლში“ (საანდაზო ლექსები... 119); **ხოსია ყიფიანი** XVIII ს. პირველი ნახევარი, ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხა, ... ქ. მოლავს აზნაურშვილი ყიფიანი ხოსია (დოკ., II, 31); **გიორგი ყიფიანი**, 1764 წ. თავდებობის წიგნი ხახუტა და სხვა ბლუაშვილების (იგივე ხერხეულიძეების) მიერ გიორგი ყიფიანისადმი მიცემული (დოკ., II, 58). ბლუაშვილ ხერხეულიძეების შტოგვარადაა მიჩნეული.

**ყიფიანი აზნ.** 1713 წ. გოსტაშაბიშვილების მემამულე ხორბ·ეკ-ში (**ისს. ლორთქ.**, ნ. III და IV, 894); **ხოსია ყიფიანი აზნ.** 1721 წ. ალწ ამილაბარ გოსტაშაბიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმა ჰყავდა მოლავში (იქვე, § 134, 123).

ამავე ძირისაა: **ყიფიანიშვილი** (საქ. სიძვ., II, 138; დოკ., I, 310).

ႷႭႰႠႬႠႸႥႨႪႨ 218
*გორი 119*
*თბილისი 84*
*ბორჯომი 8*

ႷႭႰႠႬႠႸႥႨႪႨ (1817 წ.), **ყორანა**, მეტსახელი გვარში: **ყორანაშვილი** (ალ. ღლ., 216); **ყორან-ი**, მოზრდილი ფრინველი, აქვს შავი მბზინავი ფრთაბუმბული; **ყორანა** ითქმის ძალიან შავ კამეჩზე, ცხენზე.

1817 წელს ვანხტანგ დიმიტრის ძე ორბელიანის მამულში სოფელ კოდაში მოიხსენიებიან პაპა და იაკობ კაფიას ძე ყორანაშვილები (ფ. 254, აღწ. 1, საქ. 477, ფურ. 43).

**ყორღალიძე** (1781 წ.), საკ. სახ. **ყორღანა** (ისტორ. მასალ., 108); **ივანა ყორღალიძე** 1742 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული მანუჩარ თულაშვილის მიერ საქართველოს ვექილ ქაიხოსროსადმი (დოკ., I, 304); „ქ. ერტისი, 1781 წ. თბილელის ყმა ზაზა ყორღელიძე და ამისი შვილი გიორგი" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 167).

| | |
|---|---|
| ყორღანაშვილი | 411 |
| *საგარეჯო* | *121* |
| *თბილისი* | *95* |
| *სიღნაღი* | *84* |
| ყორღანოვი | 20 |

**ყორღანაშვილი // როინაშვილი // როსტომაშვილი //არდაზდიანიშვილი // არდაზიანი // მერაბისშვილი // ავდროზანაშვილი // ავდორზანაშვილი // მდივანაშვილი** (1523 წ.) – **ყორღან-ი** (ყორღნისა) თურქ. 1. (ძვ.) მეზობლების მიწებს შორის გაკეთებული სასაზღვრო ნიშანი, ქვების გროვა მიწაში – **სამანი.** სასაზღვრო ყორღნები. 2. საფლავზე გაკეთებული მაღალი ბორცვი (იცოდნენ ძველად, ასეა დასაფლავებული სოფელ მუხათში **ანა-ბაჯი** (ქეგლ, 467); საკ სახ. **ყორღანა.** (ისტორ. მასალ., 108); **ყორღანა-ყორღანაშვილი,** 1737 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული **იასე როინაშვილისა** და **ყორღანაშვილის** მიერ თავის ბიძაშვილ **ზაალ როსტომაშვილისათვის** (სცსსა, ფ. 226, №3908; დოკ., I, 267); **ყორღანა ციხისელი მებატონე,** ბაინდურასშვილების ბატონი, 1693 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნაზარალიხანის მიერ ვახტანგ ბარათაშვილისათვის (დოკ., I, 92).

**ყორღანაანი,** იყვნენ მებატონეები. იხ. 1710 წ. მაისის 10-ს ხარჯის გარიგება ბარათაანთ და ყორღანაანთ ყმებისა, შესრულებული მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით ზურაბ ერისთავის ძისა და წინწყაროს წყაროს მამასახლისის ავთანდილას მიერ სახასო ყმათა ნუსხით (საქ. მუზ., №10, 380, Hd; დოკ., I, 143).

**ყორღანაშვილები:** ავთანდილა, ავთანდილა (მეორე), ასლამაზა, ზაზა, თამაზა, იონათამ, კახაბერ, კაცია, მანუჩარი, ნაზარა, ოთარა, პაპა, პაპა (მეორე), ხოსიტა. 1721 წ. აღწ. უყმო დამოუკიდებელი აზნ. ალგ-ის ციხიაში (ის. ლორთქ., § 24, 77, 83, 121, 131); დასტურლ. კახაბერი, პაპა, კაცია, მეორე პაპა – ხაზირის ასნაფები, მანუჩარ – სარქარი, ასლამაზა – ყაფიჩი (მეკარე პ.უ.), ავთანდილა იასაული (ის. ლორთქ., 471).

**ყორღანაშვილები,** აზნ. §34, იგივე **არდაზდიანიშვილები, მერაბისშვილები, ავდროზანაშვილები** 1523 წ. ედავებოდნენ ქავთარ ბარ-

ათაშვილის შვილს ციხიას (§71, 814); ლალა ფაშის დროს **არდაზდიანიშვილებს (ყორღანაშვილების წინაპართ)** უშოვიათ მეფე სვიმონისაგან მოქრისი, ფიცხისი და შავთა (§71-448, 671, 753); **ყორღანაშვილები-ავდროზანაშვილები-არდაზდიანაშვილები-მერაბისშვილები** იხს. 1702 წ. (სიძვ., I, №370); 1635 (ისტ. საბ. IV); **ასიტა ყორღანაშვილი-ავდროზანაშვილი** 1702 წ. უმკვიდრებენ აკურისში ორ კომლს (ის. ლორთქ., §71-25); **ყორღანაშვილი-არდაზდიანიშვილი მერაბ** 1735 წ. ედავება ტფილელს სოფ. ფიცხისს (იქვე, §71-671). **აბაშ ყორღანაშვილი, მერაბიშვილი** 1736 წ. ედავება ტფილელს უკან დაღეთს (იქვე, §71-185); **ყორღანაშვილი არდაზიანი** 1742 წ. სოფ. ვანეთი (დოკ., I, 311); ყორღანაშვილები აზნ. გოდერძა, ზაალი, როინაშვილი თამაზა, კვესია, პაპის ყმა, როინაშვილი ედიშერი, როინაშვილი თამაზა მეორე, როინიშვილი ფარსადან, ფარემუზა, ფრიდონა, ქაიხოსრო, 1721 წ. აღწ. მებატონეები, ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ ალგეთში (იქვე, §76, 121). დასტურლ., ფრიდონი – ყაფიჩი, გოდერძა – შიგამდეგი, ზალია, ედიშერი – ნაზირის ასნაფები: ყორღანაშვილები: ედიშერ, ფარსადან, ქაიხოსრო (ერთად) აზნ. 1721 წ. აღწ. მებატონეები, ცხოვრობდენ ალგეთში, ყმები ჰყავდათ თრიალეთში (ის. ლორთქ., 472); ყორღანაშვილები: თაყა, ტარიელ აზნ. 1721 წ. აღწ. მებატონეები, ცხოვრობდნენ ალგეთში (იქვე, 472).

**ყორღანაშვილი ოსეფა** 1784 წ. მოიჯარადრე **მებატონე ელიზბარ დავითაშვილისა** სომხით სოფ. გოლში (იქვე, 472); ყორღანაშვილის მერაბ მდივანის შვილები: შაველა, მდივანი, იარალი, შვილის შვილები ავთანდილ და პაპუა. 1664 წ. ებოძა მერაბის შვილებს სამახარობლო, წინათვე ნაქონი კომლი ენაგეთში (იქვე, 472); **ყორღანაშვილი შიოშ აზნ.** 1721 წ. აღწ. ბაქარ მეფის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ალგ-ში" **(ის ლორთქ.,** §134, 121); ყორღანაშვილები მოგვიანებით რუსული გაფორმებით ყორღანოვები, „...1886 წ. აღწერით ყორღანოვებს: ქაიხოსრო შანშეს ძე ყორღანოვს ვანეთში ეკუთვნოდა 92 ქცევა მეორე, ხოლო 100 მესამე კატეგორიის სასარგებლო მიწა, შემოსავალი, 3,18 კაპიკი; ნიკოლოზ გრიგოლის ძე ყორღანოვს ენაგეთში შესაბამისად 40 და 15, შემოსავალი 1,83 კაპ.; ვასილ სოლომონის ძე ყორღანოვს პატარა ენაგეთს მეორე კატეგორიის 4 ქცევა, შემოსავალი 0,16 კაპ.; ივანე სოლომონის ძე ყორღანოვს დიდსა და პატარა ენაგეთს 1, 22-2 ქცევა, შემოსავალი 1

მან. 1 კაპ.; მიხეილ სოლომონის ძე ყორღანოვს იმავე სოფლებში ჰქონდა სულ 5 ქცევა მიწა, შემოსავალი 26 კაპ.; ვლადიმერ სტეფანეს ძე ყორღანოვს პატარა ენაგეთს ჰქონდა მეორე კატეგორიის 5 ქცევა მიწა, შემოსავალი 20 კაპ.; ანტონ და ადამ სოლომონის ძე ყორღანოვებს ჰქონდათ I კატეგორიის მიწა 3 ქცევა, მეორე 144, ხოლო მესამე 280 ქცევა, შემოსავალი 10 მან. 27 კაპ.; დავით, ალა და პანო ყორღანოვებს პატარა ენაგეთს ჰქონდათ 3, 122, 100 ქცევა, ე.ი. სულ სამივე კატეგორიის 225 ქცევა, გადასახადი 6 მან. და 69 კაპ.; იოსებ და პანო ყორღანოვებს მარაბდას ჰქონდათ I კატეგორიის 120, ხოლო მეორე კატეგორიის 95 ქცევა, შემოსავალი 16 მან. და 10 კაპ. პატარა ენაგეთს მიწები ჰქონდათ; სტეფანე სოლომონის ძე ყორღანოვს, ყორღანოვების ქვრივს, ეკატერინეს, ზაალს, მიხეილს, ზაქარიას, ვლადიმერს, ელისაბედს, ალექსანდრეს (არდისუბანი, ახალშენი – ენაგეთისა, ვანეთი, ჯიგრაშენი).

**ႷႭႰႾႫႠႦႠႸႥႨႪႨ** (1741 წ.), საკ. სახ. **ყორხმაზ** (დოკ., I, 31); ყორხმაზა ყორღანაშვილი, 1668 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ელიზბარ ზუნბადაშვილის მიერ ქაიხოსროვ ყორღანაშვილისადმი (დოკ., I, 45); ყორხმაზაშვილი, 1741 წ. მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზურაბ ზურაბისშვილის მიერ ქაიხოსრო ორბელიანისადმი (სცსსა, ფ. – № 1315; დოკ., I, 295).

ႷႭႹႠႸႥႨႪႨ 228
*გურჯაანი 187*
*თბილისი 15*
*რუსთავი 10*

**ႷႭႹႠႸႥႨႪႨ** (1781 წ.), საკ. სახ. **ყოჩა, ყოჩია** გვარში: **ყოჩაშვილი, ყოჩიაშვილი, ყოჩიშვილი.**

საზ. სახ. **ყოჩია.** გვარში: **ყოჩიაშვილი, ყოჩიშვილი** (ალ. ღლ., 216); „აქავ კოდაზედ იოანე მდივან ბეგის ყმა 1781 წ. **ფარემუზა ყოჩაშვილი**" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ. I, 179). „ქ.იარალაშვილის როსების სამაჩვეთს: ფარსადანა ყოჩაშვილი (ვახუშტი, 62).

ႷႭႹႨႸႥႨႪႨ 360
*თბილისი 75*
*გორი 62*
*ახალგორი 35*

**ႷႭႹႨႸႥႨႪႨ** (1818 წ.), მეტსახელი **ყოჩი** (სოფ. **არდისუბანში ყოჩი შალიკო**); საკ. სახ. ყოჩია, გვარში: **ყოჩიაშვილი, ყოჩიშვილი** (ალ. ღლ., 216).

1818 წელს ნინია ბუნტურის ქალთან დიდ თონეთში იქორწინა **კიკოლა ყოჩიშვილმა.** თავდები იყო **ნინია ყოჩიშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ, №35. ფურ. 386-388).

**ყრიალაშვილი** (1873 წ.), სავარ. მეტსახელიდან **ყრიალა**. შდრ. **ყვირილა** (ალ. ღლ.), **ყელღერა** (მთქმელი შაქრი ყელღერაშვილი, ი. მაისურ., 184). ყლიგრეხა, გვარში (ყლიგრეხაშვილი), ყლბერა, გვარში ყლბერაშვილი, ყაბულა, მეტსახელი კმაყოფილი კაცისა და მისთ.

„**გლახა ყრიალაშვილი**, მისი შვილები: გიორგი, იოსები, დიმიტრი, ნიკოლოზი. ზოგჯერ **კრიალაშვილებადაც** მოიხსენიებიან. **იოსებ შერმაზანის ძე კრიალაშვილი**, ძმა მისი სოლომონი“ (სცსსა, ფ. 254, № 3, 111, გვ. 162). იოსებ გიორგის ძე ყრიალაშვილი 1818 წელს მოიხსენიება სოფელ ბოგვში. ყოფილა ანდრია პეტრეს ძე მელიქაშვილის მეჯვარე (სცსსა, ფ. 489, აღწ. თ/წ. №1); ქრისტესია დავითის ძე ყრიალაშვილი, გლახა გიორგის ძე ყრიალაშვილი მოიხსენიებიან სოფ. პატარა თონეთში 1882 წელს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); ბოგვში 1881 წ. მოიხსენიება გლახა გიორგი ძე ყრიალაშვილი (იქვე; ბოგველი სახელმწიფო ყმა იოსებ გიორგის ძე ყრიალაშვილი 1881 წელს შვილს უნათლავს დიდ ენაგეთში მცხოვრებ **შალვა შიოს ძე კიკოლაშვილს** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1). (ბოგვი, პატარა თონეთი).

| | |
|---|---|
| ყრუაშვილი | 590 |
| *თბილისი* | *187* |
| *ყვარელი* | *65* |
| *ამბროლაური* | *53* |

**ყრუაშვილი, ყრუა,** მეტსახელი გვარში: **ყრუაშვილი. ყრუა,** მეტსახელი, სტუდ. კოლექცია (ალ. ღლ., 216); შდრ. ყელღერა, ყვავა, ყვრილა, ყინწა, ყიყინა, ყურა, ყურშავი (გვარში ყურშავიშვილი), ყურცქვიტა და მისთ.

შდრ. გვარები: **ცხვირაშვილი, ქაჩალაშვილი, ქაჩლიშვილი, წელღიაშვილი, ყურშავიშვილი, ყურფარაშვილი** (ყურფარა-ფართოყურებიანის აღსანიშნავად, ი. მაისურ., 187).

**ყრუაშვილები** ამბროლაურის რ-ის სოფ. ხოტევიდან ასურეთში გადმოვიდნენ 1941 წელს.

**ყუზანაშვილი** (1781 წ.), სავარ. საკ. სახ. **ყაზა, ყაზუა,** შდრ. გვარი **ყაზინაშვილი, ყაზუაშვილი** და მისთ. შდრ.: ყუზა, ყუზანა.

„აქავ ვაშლოვანს, დემეტრე ეშიკალაბაშის ყმა, 1781 წ. „**გოგია ყუზანაშვილი**“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ, I, 167); სახინჯარი ყუზანაანი (იქვე, 148); „ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, 1721 წ. წინწყაროს მელქუა ყუზანაშვილი, ბექუა ყუზანაშვილი ამისი განაყოფი ხოსია“ (ვახუშტი, 101-102); აქვე მოიხსენიება ყუზანაშვილი ავთანდილა (101).

| | |
|---|---|
| ႷႳႪႨႠႸႥႨႪႨ | 369 |
| გორი | 118 |
| დმანისი | 102 |
| თბილისი | 62 |
| კოდა | 12 |

**ႷႳႪႨႠႸႥႨႪႨ** (1721 წ.), საკ. სახ. **ყულია**, იხსენიება 1619 წ. მაისის 21, შიოშ სოლოღაშვილის ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 405); „ქ. სამეხრეოს (დღევ. წინწყარო. – ი.ა.) 1721 წ. **ყულია თარხანაშვილი**" (ვახუშტი, 10); „ქ. სოლოღაშვილის ყაფარის ყმა 1721 წ. ქ. კუმისს **ყულია ყულიაშვილი**" (ვახუშტი, 149); „ქ. წერაქვს **ოლქია ყულიაშვილი**" (იქვე, 249); „ქ. ირაგას 1721 წ. ზალუა ყულიაშვილი, ქ. სვიმონა ყულიაშვილი, ამისი ყმა პაპა მამულაშვილი, ქ. თამაზა ყულიაშვილი, ამისი ყმა სალამაშვილი მარქარა" (ვახუშტი, 57); მელქო ბარამის ძე ყულიაშვილი მოიხსენიება 1882 წელს სოფ. ფარცხისში, როგორც გიორგი ანდრიას ძე ბეგიაშვილის თავდები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1).

**ირაგაში ყულიაშვილები იყვნენ აზნაურები** (კოდა, ფარცხისი).

**ႷႳႰႸႨႠႸႥႨႪႨ** (1523 წ.), მეტსახელი **ყურშია**. შდრ. **ყურშა** (მეტსახელი), **წელლია, ქვახარშია, ხემშია, ქვაწვია, ცხრაპერანგა, ექვსშაურა, ოქროპირა** და მისგან ნაწარმოები გვარები: **წელლიაშვილი, ქვახარშიაშვილი, ხემშიაშვილი, ქვაწვიაშვილი, ცხრაპერანგაშვილი, ექსვშაურაშვილი, ოქროპირაშვილი** და მისთ. გაიხსენეთ გვარები: **ავბეწვასშვილი, არახველაშვილი, არუჭამიაშვილი, თუშივაშვილი, თითილოკაშვილი, კუჭიაშვილი (კუჭაშვილი), მარხვაიძე, შიმშილაშვილი, პურიჭამიაშვილი**. შდრ. **ყურშავი**, გვარში: **ყურშავიშვილი, ყურშიტა // ყურშიტაშვილი, ყურშუბა // ყურშუბაშვილი** (ალ. ღლ., 217).

დავით X-ის განჩინებით ბარათაშვილთა გაყრისას (1523 წ.) გერმანოზსა და მის ძმებს... შეხვედრია ენაგეთს: ...**ყურშიაშვილი** (ხელნ. ინსტ. Ad. 1299).

**მოგვიანებით ყურშიაშვილები აზნაურები იყვნენ** (ენაგეთი).

# შ

**ᲨᲐᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **შალვას** კნინობითი ფორმიდან **შალა, შაალ** (სოფ. მუხათში შალვა (**შალა ახუაშვილი**.-ი. ა.) „ქ. ჩოლოყაშვილის ზურაბის ყმა, 1721 წ. ქ. გუდელის, ...გასპარა **შაალაშვილი**" (ვახუშტი, 146). „...**ზალუა შაალაშვილი, შერმაზანა შაალაშვილი**" (იქვე, 147).

| | |
|---|---|
| ᲨᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 46 |
| *თბილისი* | *23* |
| *დუშეთი* | *17* |
| *გარდაბანი* | *2* |

**ᲨᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1781 წ.), სახ. **შაბა**. „ბორბალოს 1781 წელს სამა საგინაშვილს ჰყავდა ყმები: დავითა... **შაბა**, გაბრიელ და პაპა **შაბაშვილები**" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 167). **შაბას** კნინობითი ფორმებია: **შაბანა, შაბელ, შაბია, შაბუ, შაბუა, შაბურ, შაბურა**. აქედან გვარები: **შაბიაშვილი, შაბურიშვილი, შაბანაძე, შაბერაშვილი, შაბურისძენი** (ბორბალო).

**ᲨᲐᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **შაგელა, შაბელა**, აქედან გვარები: **შაგელაშვილი, შაბელაშვილი**.

„ქ. იარალიშვილის ვახტანგისა ქ. სამაჩვეთს 1721 წ. **შაგელაშვილი**" (ვახუშტი, 66).

**ᲨᲐᲓᲣᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.) საკ. სახ. **შადინ-ი** (ქართლ. ცხ., II, 394); შადინის მოფერებითი ფორმაა: **შადუმა**. შდრ. სახინჯარი შადინაანი (დოკ., II, 47); „ქ. ციციშვილის ლიპარისა დიდ დალეთს 1721 წ. **დათუნა შადუმაშვილი**" (ვახუშტი, 35).

| | |
|---|---|
| ᲨᲐᲕᲑᲔᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 48 |
| *თბილისი* | *29* |
| *ბოლნისი* | *6* |
| *დმანისი* | *5* |

**ᲨᲐᲕᲑᲔᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), მეტსახელი **შავბერუა**. შდრ. **შავდათუა, შავდემეტრე, შავზაქარა, შავტუხა, შავმატია, შავდარჩუა...**

„ქ. საკარისის ორსავეში **შავბერუაშვილი**" (ვახუშტი, 375).

**ᲨᲐᲕᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **შავერა**. შდრ. **შაველ-ი, შაველ-ა, შავერდ-ა** (ალ. ღლ., 217); „ქ.

საგინაშვილის ქაიხოსროს ყმა ქ. ჩხიკუთას, 1721 წ. **შავერაშვილი** (ვახუშტი, 154.

ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ 580
*თბილისი 244*
*ქარელი 49*
*რუსთავი 45*

**ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1679 წ.), საკ. სახ. **შავერდა** ნ. სიგელი როსტომ მეფისა, ბოძებული ეჯუბისშვილის დონდარისათვის, 1651, ,,...შვილთა თქუენთა შავერდის და გამრიკს" (საქ. სიძვ., III, 2); **შავერდა ასლანაშვილი,** 1619 წ. მაისის 21 (ნასყიდობის წიგნი შიოშ სოლაღაშვილისა) (სოფ. კუმისი) (საქ. სიძვ., II, 406); **შავერდა,** 1735 წ. აპრილის 19-ს (დოკ., I, 241); **სამანა შავერდაშვილი,** 1679 წ. (დოკ., I, 59); ,,ქ. გერმანოზიშვილი არტემის ყმა ქ. ანდრიას 1721 წ. **ბერია შავერდაშვილი**" (ვახუშტი, 134).

ᲨᲐᲕᲘᲐᲜᲘᲫᲔ 23
*თბილისი 13*
*თეთრიწყარო 3*
*ტყიბული 2*

**ᲨᲐᲕᲘᲐᲜᲘᲫᲔ** (1820 წ.), სავარ მეტსახელი **შავი.** სოფ. ვაშლოვანს 1873 წ. აღწერით **დავით შავიანიძე** მოიხსენიება სასოფლო სასამართლოს მამასახლისად (სცსსა, ფ. 254, 3, №113). 1820 წელს საბა შავიანიძის ვაჟი თამაზი განათლა ერტისის სოფლის მღვდელმა გიორგი აზარიაშვილმა. მიმქმელი იყო იაკობ ზაზიაშვილი (489, №6,5, თ/წ. 1); იგივე საბა შავიანიძე იმავე წელს ვაჟ იოანეს უნათლავს ლოუბნელ გიორგი ჩომახაშვილს (იქვე).

ერტისში მცხოვრები დავით იოსების ძე შავიანიძის ძე 1881 წელს არის გიორგი თამაზის ძე მანაშვილის თავდები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

ამავე ძირისაა: **შავაძე, შავგულიძე, შავიძე, შავიშვილი, შავკაციშვილი** (ერტისი, ვაშლოვანი).

ᲨᲐᲕᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ 686
*თბილისი 287*
*გორი 163*
*თეთრიწყარო 123*

**ᲨᲐᲕᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), შდრ. ტოპონიმი **შავში. შავშიშვილი** კარალელი, ციცი ციციშვილის მემკვიდრე ყმა (1727-1736 წწ. (დოკ., I, 223); ,,ქ. ღიას **სიყმია შავშიშვილი,** 1721 წ." (ვახუშტი, 116); თონეთელი ხარიტონ ზაქარიას ძე შავშიშვილი 1818 წელს ჯვარს იწერს ფარცხისში მცხოვრებ გრიგორ მიდელაშვილის ასულ მართაზე. თავდებნი იყვნენ: ასლან პავლეს ძე სარდალაშვილი, დიმიტრი ანდრიას ძე და დიმიტრი ზაქარიას ძე შავშიშვილები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1);

შავშიშვილი გრიგორ იოსების ძე 1882 წელს არის პატარა თონეთში მცხოვრებ ესტატე გარსევანის ძე ხელაძის თავდები (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); დიდ თონეთში 1885 წელს კონსტანტინე სვიმონის ძე მჭედლიძის თავდებად მოიხსენიება შერმაზან სოსიას ძე შავშიშვილი, ხოლო სასძლო ელისაბედ ნინიას ასულ დესპოტაშვილის მხრიდან იგივე შერმაზან და ანდრია დიმიტრის ძე შავშიშვილები (იქვე, 1885 წ.) (ასურეთი, დია, პატარა თონეთი).

**ᲨᲐᲕᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲨᲐᲕᲗᲕᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1832 წ.), მეტსახელი **შავთვალა**. შდრ. შავტუხა, შავხალა, შავხელი, გვარში: შავხელიშვილი.

1832 წ. კოდაზე მცხოვრებ თავად ქაიხოსრო ორბელიანის გლეხს დავით თამაზის ძე ლაზარეშვილს და მის სჯულიერ ცოლს მაია იოსების ასულს შეეძინათ ქალი ეფემია. მიმქმელად იყო მარაბდას მცხოვრებელი სახელმწიფო გლეხი ნასყიდა შავთვალაშვილი" ამავე ძირისაა **შავთვალაძე** (62 სულია) (ფ. 489, აღწ. 36, საქ. 150, ფურ. 23).

ᲨᲐᲗᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 22
ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 2547
*თბილისი 467*
*ახმეტა 414*
*თელავი 244*

**ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **შათირი** (შიკრიკი) თანამდედობა-საქმიანობის ტერმინი. საკ. სახ. **შათირი** (საამილახვ. დავთ., 18); „ქ. ჩინჩხურს მსახლობელი: დმანელის ყმა **შათირი**" (ვახუშტი, 329); **შათირისშვილი** მოიხსენიება 1714 წელს ირდასუბანში ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული ზაზა საგინაშვილის მიერ ასლამაზ ჩაჩიკაშვილისათვის (დოკ., I, 165).

**შათირისშვილი // შათირიშვილი** (საქ. სიძვ., 354, 367) (ირდისუბანი).

ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 831
*თბილისი 249*
*მცხეთა 144*
*დუშეთი 79*
ᲠᲝᲭᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 295

**ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲠᲝᲭᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **შალიკა** (ისტ. დოკ., I, 17); მსხვილი ფეოდალური საგვარეულო ძველ საქართველოში. წინარე გვარი **როჭიკაშვილი** ყოფილა: **„როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან"** (ვახუშტი, ქართ. ცხ., IV, 34): **„თავადი შალიკაშვილები** არიან საათაბაგოდან მოსული. მას შემდეგ, რაც ისინი განუდგნენ ათაბეგს, რომლის შორეული ნათესავებიც იყვნენ, სვიმონ მეფემ 1550 წელს დიდი

პატივით მიიღო და „ესრეთვე უწოდებენ **როჭიკაშვილებათ** სახელისა გამო ამათ წინაპარსა. ესენი სცხოვრობენ გაღმა მხარეს ქართლისა სკრად წოდებულისა და არიან აწ ორ სახელად: **კილახლას შვილები, ბეციაშვილები,** გვართა ამათგანნი, რომელნიმე გარდასახლებულ არიან რუსეთსა შინა ადრითვე და რომელნიმე სახლობენ ახალციხესა შინა“ (საანდაზო ლექსები... 22); **შალიკაშვილი ბერუა,** გიორგი, გოგი, ზურაბ, ვახტანგ, თამაზ, თამაზა, მისტან, პატრონი (დოკ., I, 602); **ნაზირი ედიშერ შალიკაშვილი** მოიხსენიება მებატონედ 1721 წ. აღწერით სამღერეთს (ის. ლორთქ.. ქვ. ქართ., 231).

ამავე ძირისაა: **შალიკაძე, შალიკავა, შალიკიანი** (მანგლისი, სამღერეთი, ღოლოვნა.

**შაიკაშვილი** (1740 წ.0, სავარ. საკ. სახ-დან: **შიო, შიოშ, შიოშა, შიუკა.**

**დოლმაზა შაიკაშვილი** მოიხსენიება ენაგეთში 1740 წ. (დოკ., I, 290).

შალუტაშვილი 354
*კასპი 106*
*თბილისი 73*
*გორი 57*

**შალუტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **შალუტი** (საეკლ. საბ., I, 74); **შალუტა ჩხუტიშვილი,** 1601 წ. (ყმის ნასყიდობის წიგნი, საბუთი მცხეთის ეკლესიია (№461; დოკ., I, 14); **თევდორა შალუტასშვილი** (იქვე, 602); **შიო შალუტაშვილი,** 1727 წ. (მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შიო შალუტაშვილის მიერ ბეჟანისა და მისი შვილის ლუარსაბისადმი, დოკ., I, 222); „ქ. თულაშვილის გიუნასი ქ. ზრბითს, 1721 წ. **შალუტა შალუტაშვილი**“ (ვახუშტი, 86).

**შამირანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **შამირან** შდრ. **ამირან/ /ამირანაშვილი.**

**შამირანასშვილი,** არზა ნონია გიგაურისა მამულის თაობაზე ანტონ I-ის ოქმით, 1807 წ. 16 დეკემბერი (სცსსა, ფ. 1448, საბ. №776): „ქ. თულაშვილის ასლანისა ქ. ზრბითს: **შამირანაშვილი**“ (ვახუშტი, 85).

შანშაშვილი 343
შანშიაშვილი 652
*თბილისი 294*
*დუდოფლისწყარო 82*
*გარდაბანი 73*

**შანშაშვილი // შანშიაშვილი // პაპიაშვილი // დოლმაზაშვილი // მარტიროზაშვილი // ბოზიბაშვილი** (1670 წ.), საკ. სახ. **შანშე. შამშე, შანშე** (ძვ. ებრ.). „მზე“ (შეადარეთ სამსონ) ან (სპ.) „მეფეთ-მეფე“ (შაჰინ-შაჰ, შან-შა). შესაძლებელია, რომ დიდი ფონე-

ტიკური მსგავსების მიუხედავად, აქ ჩვენ გვქონდეს ორი სხვადასხვა წარმოშობის სახელი, რომელთაგან პირველი მომდინარეობს ძველი ებრაულიდან, მეორე კი სპარსულიდან. უფრო გავრცელებულია მეორე ფორმა – **შანშე**. ამ სახელით საქართველოს ისტორიაში ცნობილია რამდენიმე პირი, მათ შორის XII ს. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე **შანშე მხარგრძელი,** ძე ზაქარია მხარგრძელისა. **შანშე** ჰქვია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის" გმირი ქალის, ლელას მამას. შანშე ერქვა მეფე ერეკლე II-სთან დაახლოებულ პირს. ამ სახელისაგან მომდინარე გვარებია: **შანშაშვილი, შანშიაშვილი** (იხ. **ზ. ჭუმბ.,** დედაენა ქართ., 374).

**შანშიაშვილები იყვნენ აზნაურები.** ქაიხოსრო შანშიაშვილს ყმები ჰყავდა სახუნდარას, კერძოდ ბახტიერაშვილი ფარსადანა, დავითაშვილი ბეჟუა, აცუტს ფირიბეგა, ბოგანო ზაქარა მოლაშქრე, ხორნს ბოგანო ალიხანა მოლაშქრე. ჯამი: კომლი სამი, ბოგანო სამი (ვახუშტი, 270); გიორგი შანშიაშვილს სახუნდარს შანკრაშვილი ნავასართა, ხასიაშვილი დავითა, ზაქარაშვილი ბადია, პაპუა... ბოგანო ბაინდურა. პატარა სახუნდარს: ვართიკაშვილი ვართიკა, ბორისოფელს: ბოგანო ანდრიასა. პატარა სახუნდარს: ნადირაშვილი. შანში-სოფელს და ტანძუტს; მიქელა შანშიაშვილს ყმები ჰყოლია სოფლებში: სახუნდარა, აცუტი, სოსანი, ბორი-სოფელი, პატარა სახუნდარი, სამწევრისი. პაპა და ახვედრა შანშიაშვილებს: სახუნდარს, სოსანს, ბორი-სოფელს, პატარა სახუნდარს; ამავე სოფლებში ყმები ჰყოლიათ როსტომა და ნაზარა შანშიაშვილებს.

„ქ. შანშიაშვილების, პაპიაშვილთა, დოლმაზაშვილთა ნაზარასი, ამათი საერთო სამსონს კ"ია თავი და ა ამაში მიქელს ხელი არა აქვს.

ჯამი: კომლი ორი და ბოგანო სამი" (**ვახუშტი,** 269-273).

შანშიაშვილები: ალიხანა, თამაზა, მირიანა, ოსეფა, საფარა, საფარა (მეორე), შაველა, შანშე დამოუკიდებელი უყმო **აზნაურები** სახუნდარში.

**შანშიაშვილები:** გიორგი, მიქელა, ნაზარა, პაპა, ახვედრა, ქაიხოსრო, 1721 წ. აღწ. **მებატონეები,** ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სომხითში. დასტურლ. ქაიხოსრო მერიქიფე, გიორგი და პაპა-სუფრაჯები, ნაზარა-იასაული.

**შანშიაშვილები:** პაპიაშვილები, დოლმაზაშვილები, ნაზარა (ერთად) 1721 წ. აღწ., მებატონეები, ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სომხითში.

**შანშიაშვილი დოლმაზა** (აქედანაა გვარი **დოლმაზაშვილი**). შვილები: ნასყიდა, როსტომი, იხსენიება 1670 წ. და 1693 წ. **შანშიან მარტიროზაშვილი ბეგთაბეგი**, 1721 წ. აღწერით მებატონე, ცხოვრობდა და დედოფლის სახასოდან გაცემული ყმები ჰყავდა სმხ-ში. დასტურლ.-დედოფლის მდივანი (მა) შანშიაშვილი. 1721 წ. აღწ. მებატონე. ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა თრიალეთში. შანშიაშვილი პაპუა, ჩათვლილია უყმო აზნაურად თრიალეთის ხოირეთში; შანშიაშვილი როსტომ, შვილი დოლმაზისა, ძმა ნასყიდასი. 1721 წ. აღწ. მებატონე. 1703 წ. ნასყიდასთან ერთად ყიდულობს მიწებს თალას (თელას) სოფელში; 1716 წ. სხვა დოლმაზაშვილებთან ერთად ყიდულობს მიწებს ზემო ბოლნისში (იას. **ლორთქიფანიძე**, ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 474); **შანშიაშვილთა** შტო-გვარია აგრეთვე **გოგიბაშვილი**. იხ. **დოლმაზაშვილი**; შანშიაშვილი აღა სოფ. კოდიდან ქალიშვილ მარინეს უნათლავს დავით ავგაროზაშვილს 1818 წ. (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ, ფურ. 163) (გუდარეხი. ბედენი, კოდა). შანშიაშვილ-გოგიბაშვილ-მარტიროზაშვილიდან რუსულის გავლენით გაჩნდა ქართველი მარტიროსოვი.

**ᲨᲐᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **შარა** (შდრ. **შარაძე, შარაბი**, გვარებში: **შარაბიძე, შარაბიშვილი, შარანა** გვარში: **შარანაშვილი**.

„ქ. საკარის მსახლობელი 1721 წ. **შარანაშვილი**".

ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ 1301
*თბილისი 366*
*ხელვაჩაური 185*
*ქუთაისი 131*

**ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ,** საკ. სახ. **შარაბ-ი**, გვარებში: **შარაბიძე, შარაბიშვილი** (ალ. ღლ., 218), **შარაბიძისშვილი** (დოკ., II, 4).

ნ. **იოანე შარაბიძისშვილი**, 1809 წ. საქ. მუზ., ფ. Od, № 751. **შარაბიძეები** ამბროლაურის რაიონის სოფ. ხოტევიდან გადმოვიდნენ 1941 წელს ცხოვრობენ სოფლებში: ზემო სხვავა, მოტყარი, სადმეტი, სხვახვა, ხოტევი. (ასურეთი).

**ᲨᲐᲠᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1832 წ.) საკ. სახ. **შარუმ-ი** (გ. ლეონ., სახელები); **შარუმა** (ალ. ღლ., 219); მარაბდაში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხს იოსებ მიხრამის ძე შარმიაშვილს 1832 წ. დაებადა ვაჟი ანთიმოზი, უკანონო ცოლთან იოსებ ბიბილურის ასულ თინათინთან. მონათლა მღვდელმა იაკობ ხუროშვილმა. მიმქმელად იყო თანასოფლელი გლეხი ივანე გიორგის ძე ფრისელიშვილი (ფ. 489, აღწ. №6, 150, ფურ, 21).

ᲨᲐᲠᲣᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ 139
*თბილისი 72*
*გარდაბანი 30*
*თეთრიწყარო 9*

**ᲨᲐᲠᲣᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1866 წ.), საკ. სახ. **შარუმა** (ხევსურ., ს. მაკალ., 192); **შარუმ** (გ. ლეონ., სახელები).

გიგოლა და ცაციკა შარუმაშვილები 1866 წ. დუშეთის მაზრის სოფ კაიშაურიდან გადმოდიან საცხოვრებლად სოფ. წყურვილეთში (სცსსა, ფ. 254, №3, 131, საქმე №358, ფ. 105-110, 1873 წ.) (ორბეთი, წყურვილეთი).

**ᲨᲐᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **შაუ** (კოლხ., ს. მაკალ., 276); **შაუა** (დოკ., I, 173). **შაუა** იყო აგრეთვე სოფელიც (იხ. შაუაელი ყორღანაშვილი, საბუთის დამწერი) (დოკ., I, 39).

**შაუა სულხანაშვილი,** 1716 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შაუა სულხანაშვილის მიერ დავითა დოლმაზაშვილისათვის (დოკ., I, 173) (სამღერეთი).

ᲨᲐᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1102
*თბილისი 484*
*კასპი 173*
*საგარეჯო 169*

**ᲨᲐᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **შაქარა** (ისტ. დოკ., I, 147); **შაქარა** (ნიკორწმინდა, ამბროლაურის რ., ალ. ღლ., 219). შდრ. შაქრო (ქართული სახელია, მიიჩნევა **ზაქროს (ზაქარიას)** ვარიანტულ ფორმად, თუმცა შეიძლება მისგან დამოუკიდებლად იყოს წარმოქმნილი (**ზ. ჭუმბ.**, 169).

შაქარა კოკირისშვილი (დოკ., 447); შაქარა ქონაშვილი (დოკ., I, 219); ბატატა შაქარასშვილი 1702 წ. ვენახის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გოგია და სხვა შაქარასშვილების მიერ ზაზა და სხვა ჩივაძეთადმი (დოკ., I, 118); „ქ. ახალშენს კანჭაშვილისა შაქარაშვილი შერმაზანა, 1721 წ.“ (ვახუშტი, 139).

„ქ. თორნეთს 1721 წ. მანგლელის ყმა: შაქარაშვილი ოქრუა,შაქარაშვილი ბერუა“ (ვახუშტი, 111).

**ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **შალამბარა**. შდრ. **შალანა** (მეტსახელი შავი კაცისა, ა. გვენც., ანაგა); **შალუბათა** (დოკ., I, 55). ნ. გვარი: **ამბარაშვილი.**

„ქ. სოლღაშვილის გიორგისა ქ. მამისდაბას 1721 წ. **თევდორე შალამბარაშვილი**“ (ვახუშტი, 147). შდრ. შალაშვილი.

**ᲨᲐᲚᲣᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲨᲐᲚᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **შალუბათა** (დოკ., I, 55).

**შალუბათა,** ბერუა შაჰყულაშვილი, **შალუბათა,** მღებრისა ბეროასშვილი, **შალუბათა** ჭონების ოსტატი (დოკ., I, 74, 81, 311); „ქ. ციციშვილ-ზაალიშვილ ქაიხოსროსი სამღერეთს, 1721 წ. **ლამაზა შალუბათაშვილი**“ (ვახუშტი, 34).

> შაშვიშვილი 327
> *თელავი 227*
> *ახმეტა 44*
> *თბილისი 33*

**შაშვიშვილი** ( 1721 წ.), საკ. სახელად ქცეული ფრინველის სახელი **შაშვი(ა)** (არქ., 1887, სტეფანწმინდა, ხევ., დედ., 13; ალ. ღლ., 219).

„ფრინველთა სახელები გვაქვს შემდეგ გვარებში: **გვრიტიშვილი, გნოლიძე, კაკაბაძე, კარანაძე (ყარანაძე), ყორანაშვილი, ქორიძე, ქურიძე, ქირია (ქირი** – მეგრულად „ქორი“), **ჯაჯანაშვილი, ჯაჯანიძე (ჯაჯა** აგრეთვე ქორს ნიშნავს სამეგრელოსა და გურიაში), **ძერია, მიმინოშვილი, სონღულაშვილი (სონღული** აგრეთვე მიმინოს ჰქვია), **შაინიძე, შანიძე** (შაინ//შანჰინ – „თეთრი ქორი“) **შევარდენიძე, კაჰკაჰიშვილი, მალაღურიძე, მწყერაძე, ნიბლაძე, სირაძე, სირია** (სირი- ძველი ქართულით ჩიტს ნიშნავს), **ჩიტალაძე, ჩიტაძე, ჩიტაია, ჩიტაიშვილი, ჩიტიაშვილი, ჩიტაური, ჩხიკვაძე, ჩხიკვიშვილი, ჩხარტიშვილი, (ჩხარტი**-იგივე ჩხართვია გურულ დიალექტში)... **კვატაშიძე, მამალაძე, ქათამაძე...**“ (იხ. **ზ. ჭუმბ.**, დედაენა ქართ., 316); **ბატიაშვილი, კოკონაშვილი** (იხვის ჭუჭულს ჰქვია) და სხვ.

**შახფაზაშვილი//შახფაზოვი** (1817 წ.), საკ. სახ. **შახ-ი** (კოლხ., ს. მაკალ., 149); საკ. სახ. **შახფაზა** (კოდა, 1781 წ.) **ფაზ-ი** (სტუდ კოლექცია, ალ. ღლ., 198), **ფაზია** (ისტ. დოკ I, 83).

ნ. **შახი** (საუბ.) ეშხი, ლაზათი // შახს არ გაიტეხს (საუბ.), იგივეა, რაც იხტიბარს არ გაიტეხს. შახიან-ი (საუბ.) ეშხიანი, ლაზათიანი (ქეგლ, 471).

**ფაზა** (ფრ. ბერძნულიდან) ცალკეული სტადია, მომენტი რაიმე მოვლენის, პროცესის და მისთ. განვითარებაში მოლაპარაკება ახალ, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა (იქვე, 441).

1897 წლამდე **შახფაზაშვილები,** შემდგომში **შახფაზოვები. შახფაზოვები** არიან აისორები და ქურთებიც (კოდა).

> შაყულაშვილი 984
> *თბილისი 396*
> *ბორჯომი 300*
> *გორი 153*

**შაჰყულაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **შაჰყულა** (იხ. დოკ., I, 603). სავარ., რომ ჩვენ აქ ორ სხვადასხვა წარმოშობის სახელთან გვაქვს საქმე,

რომელთაგან პირველი მომდინარეობს სპარსულიდან-**შაჰ-ი** სპ. ირანში (სპარსეთის) მეფე (ქეგლ, 471), **ხოლო** მეორე კი, საკ. სახელიდან **ყულია/ /ყულა** (ვახუშტი). შდრ. **შაჰველი** (თუმანიშვილი). მეფის მწიგნობარი, შაჰნავაზ მეფე, შაჰნავაზ, მეფეთ-მეფე, **ხელმწიფე**, შაჰნაზარ მეფე (არჩილი).

შემდგომში ჰ ამოვარდა და მივიღეთ **შაყულაშვილი,** იოსებ შაყულაშვილი სოფ. ღოლოვანში გადმოსულა 1885 წ. საცხოვრებლად გორის მაზრის სოფ. კარალეთიდან (სცსსა, ფ. 254, №3, 1613 წ. ფურც. 171-196) (ფარცხისი, ღოლოვნა).

| | |
|---|---|
| შემაზაშვილი | 99 |
| *ასპინძა* | *31* |
| *რუსთავი* | *26* |
| *გორი* | *14* |

**შემაზაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **შემაზა** (საქ. სიძვ., II, 481). **შემაზაშვილი გარსევან** (საქ. სიძვ., I, 392); შემაზაშვილი გიორგი, თაყა (იქვე, 383). „ქ. **ციციშვილის ზაალაშვილის ქაიხოსროსი** სამღერეთს, 1721 წ. სოლაღა შემაზაშვილი" (ვახუშტი, 34); **შემაზაშვილები იყვნენ მებატონეებიც.** „შემაზაშვილი უყმო, შემაზაშვილი ზაალი, შემაზაშვილი ხოსიტა, 1721 წ. აღწ. ყმები ჰყავდათ სოფ. კარაქას" (**ივს. ლორთქ.**, ქვ. ქართლ., III და IV ნაწ. 231) (კარაქა, სამღერეთი).

შდრ. **შერაძე**. საკ. სახ. **შერე.**

**შერეული** (1873 წ.), სავარ. იგი სხვა სოფლიდან მოსულს უნდა აღნიშნავდეს. შდრ. ახალკაცი, ახალმოსულიშვილი ან შეწირული (მებატონის მიერ მონასტრისათვის შეწირული ყმის ოჯახს გვარად შერჩენია შეწირული (ზ. ჭუმბ., 46) (ერტისი).

| | |
|---|---|
| შერმაზანაშვილი | 372 |
| *გარდაბანი* | *199* |
| *თბილისი* | *151* |
| *ბოლნისი* | *11* |

**შერმაზანაშვილი // მარქარაშვილი // მოლოდინაშვილი** (1721 წ.), **შერმა, შარმა** (სპარ.), სინდისი, ნამუსი, სირცხვილი, პატიოსნება. **ზან** – უბრ. სუფიქსია. შდრ. **შერმადინ** (არაბ-სპარს.) "სარწმუნოების სინდისი".

საკ. სახ. **შერმაზან** (დიკ., I, 50); **შერმაზან-ი** (გ. ლეონ., სახელები); **შერმაზანა** (დოკ., I, 74); შდრ. შერმაზანას სოფელი (ივს. ლორთქ., ქვ. ქართ., 475); შერმაზან დიასამიძე (1558 წ., II, 425); შვრმაზან, არზა ჯავახიშვილების სამართლის მიცემაზე ერეკლე მეორის ოქმით 1790 წ. 15 იანვარი (სცსსა, ფ. 1448, საბ. №8824); ესტატე შერმაზანასშვილი, პირობის წიგნი მიცემული იმეულ გიორგელას მიერ თავის ბატონისადმი 1721 წ. (დოკ., I, 152); **მარქარაშვილი,** იგივე **შერმაზანაშვილი,** მოიხსენიება 1831 წ. აღწ.

სოფ. მუხათში (254, 3, 231, ფურ. 221-222, ფურ. 1-17, 1873 წ.); იქვე მოიხსენიებიან კიკოლა და გლახა შერმაზანაშვილები; **გლახა შერმაზანაშვილი, იგივე მოლოდინაშვილი,** მეუღლით ბარბარე, შვილები: დათუა, გიორგი, შერმაზანა, ქეთევანი, ხანუმა მოიხსენიება კაპიტან დიმიტრი საგინოვის გლეხად სოფ. ბოგვში 1823 წელს (სცსსა, ფ, 254, 1, 802, ფურ. 1-5).

1823 წ. შემდეგ რუსული გაფორმებით **შერმაზანოვი** (ბოგვი, კოდა, მუხათი).

**ᲨᲔᲠᲝᲚᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ., რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ორი სხვადასხვა წარმოშობის სახელთან, რომელთაგან პირველი მომდინარეობს საკ. სახელიდან **შერე** (გ. ლეონ., სახელები, ზემობარი, ონის რ.) და მეორე კი თურქულიდან ოღლი(ა)-''შვილი''.

,,ქ. ციციშვილის ადამასი დაღეთს **მამულა შეროლლაშვილი**'' (ვახუშტი, 36).

**ᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **შია.** შდრ. **ხემშიაშვილი // ხიმშიაშვილი, უნაფქოშვილი, წივილაშვილი.**

,,ქ. ქირმანის ხანისა დურნუკს, 1721 წ. **ქიტია შიაშვილი**'' (ვახუშტი, 26).

**ᲨᲘᲝᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲨᲘᲝᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1706 წ.), საკ. სახ. **შიოშა** (ქართლ. ცხ., I, 14)); **შიოშ** (დოკ., I, 51); შიოში (იქვე, 1); **შიოშა** (იქვე, 465).

,,ჩხიკვთის მამასახლისი შიოშ მოწმეა გოსტაშაბ ბარათაშვილისა და ოსიყმა ბუქლულაშვილს შორის საზღვარზე დავის გარიგების წიგნისა ([XVIII]. Hd-1568); გიორგი, ავკელი შიოშაშვილი, 1706-1733 წწ. სამართალი ტარიელ გლურჯიძისა და სხვათა გიორგი შიოშაშვილისა და სვიმონ ჯავახიშვილის საქმეზე (დოკ., I, 132); გიორგი შიოშიშვილი, 1713 წ. საზღაურის წიგნი, მიცემული გიორგი შიოსშვილის მიერ დურმიშხან გურამისშვილისათვის (დოკ., I, 386) (ჩხიკვთა).

**ᲨᲘᲝᲨᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **შიოშ** უნდა მომდინარეობდეს **სიაოშ**-ისაგან, რომელიც წარმოშობით ირანული სახელია და ,,შავგრემანს'', ,,შავ მამაკაცს'' ნიშნავს. ძველ ქართულში შემოსულია **შიოშ**-ის ფორმით, ამ უკანასკნელისაგან კი მიღებულია საბოლოო ფორმა **შიო** (აქედან გვარი **შიოშვილი**) (**ზ. ჭუმბ.,** დედაენა ქართ., 375).

მეორე კომპოზიტი მიღებულია თურქული სიტყვისაგან **ბეგ**-ი, რაც ფეოდალს, მემამულეს ნიშნავს. ამრიგად, **შიოშ+ბეგ**-ის შეერთებით გაჩნდა გვარი **შიოშბეგიშვილი**. შდრ. **ასანბეგიშვილი, ალიბეგაშვილი, ამირბეგაშვილი, შანიბეგაშვილი, ურდუბეგაშვილი, უჩუმბეგაშვილი, ხაზარბეგიშვილი** და მისთ.

**შიოშბეგიშვილი ყარაბუდახ, შიოშბეგიშვილი მოსესა** (დოკ., I, 605) (კლდეისი).

ᲨᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ 1262
*თბილისი 395*
*გურჯაანი 287*
*საგარეჯო 222*

**ᲨᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ//ᲮᲣᲮᲐᲫᲔ//ᲬᲐᲛᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **შიო** (ისტ. დოკ., I, 39). ისტ. ცნობილია წმ. მამა-**შიო** (919 წ.) (ქრონიკ., I, 74). მისი მოფერებითი ფორმებია: **შიუკა** და **შიოლა** (ამათგან მოდის გვარები: შიუკაშვილი, შიოლაშვილი). საქართველოში მოღვაწე ასურელ მამათა შორის ერთს შიო ერქვა (VI ს.). მისი სახელი და წოდება შიო მღვიმელი ფსევდონიმად აირჩია გამოჩენილმა საბავშვო პოეტმა შიო ქუჩუკაშვილმა (იხ. **ზ. ჭუმბ.,** დედაენა ქართ., 375). შდრ. შიოშბეგიშვილი.

**შიოშვილი,** იგივე **ხუხაძე** კიკოლა ანუ ნიკოლოზი, მეუღლე დარეჯანი, შვილები: შიო, გიორგი, ზაქარია, ვანო, გრიგორი, სალომე, დისშვილი გიორგი მოიხსენიება სოფ. დიდ ენაგეთს 1823 წლის აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18); **სოლომონ შიოშვილი, იგივე წამალაშვილი,** მოიხსენიება სოფ. დიდ ენაგეთში 1823 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18).

**ნ. ხუხაძე, წამალაშვილი** (დიდი ენაგეთი, ღოლოვნა, ჩხიკვთა).

**ᲨᲘᲠᲘᲛ[Ნ]ᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1843 წ.), საკ. სახ. **შირიმი** (ალ. ღლ., 221); სავარ. გადატ. საფარი, ნიღაბი. შდრ. **შირმა.**

იაკობ შირიმ[ნ]აშვილი, შვილები: გიგოლა, ზაქარია, გიორგი 1843 წ. აღწ. მოიხსენიება ვარდისუბანში (დღევ. შავსაყდარი) (სცსსა, ფ.254, 1. 2043, ფ. 267).

შდრ. **შირიაშვილი** (ვარდისუბანი).

ᲨᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ 383
*სიღნაღი 122*
*თბილისი 117*
*ლაგოდეხი 97*

**ᲨᲘᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲨᲘᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1817 წ.), საკ. სახ. **შიხა** (ალ. ღლ. 221). ამავე ძირისაა **შიხაშვილი**. ამ გვარით დასახელებულ უბანს შიხიანხევი (შიხიანთხევი) ეწოდება. ყვარ-

ᲨᲘᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 260
*თბილისი 140*
*თეთრიწყარო 88*
*რუსთავი 28*

ლის რაიონში არის სოფელი **შიხიანი** (ილ. მაის., 194). ამავე ძირის უნდა იყოს შიხაიდარიშვილი, შიხიბეგისშვილი, შიხინაანთ დემეტრეს შვილი ავთანდილი, შიხანასშვილი, შიხის შვილი, (დოკ., I, 6050); თავად დავით ბარათოვის (ბარათაშვილის) გლეხად 1823 წ. აღწ. დიდ ენაგეთს მოიხსენიება სტეფანე შიხუაშვილი, მეუღლე მაია, შვილები დარჩია, გიორგი, მართა, ხეჩო შიხუაშვილი, მეუღლე ორომსიმა, ქალიშვილი ოსანა, დისშვილები: ავეტიკა, გოგია, ავეტიკას მეუღლე დარეჯანი, დედა მაია. გეო შიხიაშვილი, მეუღლე მაია, შვილები: დანელა, სოლომონი, ელისაბედი, ხორეშანი, მართა (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18); 1873 წელს მოიხსენიებიან სოსია შიხიაშვილი, შვილები ვანო, სისუა, სოსიას ძმა თათუხა, შვილები არჩილი, გლახა, აბელა, გიორგი, საქუა, მიხა გიგოლას ძე შიხიაშვილი, ძმები: იაგორა, ზაქარია, პეპანა დარჩოს ძე შიხიაშვილი, აბელ დარჩოს ძე შიხიაშვილი, ძმა გიგოლა, არტემ გიორგის ძე შიხიაშვილი, დავით ხეჩოს ძე შიხიაშვილი, შვილები: სერგო, გრიგოლა ხეჩოს ძე შიხილაშვილი, შვილები: არსენა, გიორგი, ბაგრატა, ნინია ხეჩოს ძე შიხიაშვილი, სოსია ხეჩოს ძე შიხიაშვილი, სოსია ხეჩოს ძე შიხიაშვილი, შვილები: სარქისა, არუთინა, იაგორ ივანეს ძე შიხიაშვილი, ვაჟი სარქისა (სცსსა, ფ. 154, №3. საქმე №115, №136, ფურ. 189-220) (დიდი ენაგეთი, კოდა, ჯორჯიაშვილი).

**შობელაშვილი** (1721 წ.), საკ.სახ. **შობელა** (ქუთაისის საყდრის დავთ., 15); **შობელა** (ძვ. საქ., IV, განყ. III, 15 ; ალ. ღლ., 221); „ქ. ბურვილს სახასო, ...**გოგია შობელაშვილი**, 1721 წ." (ვახუშტი, 374).

**შოშიაშვილი 1412**
*თბილისი 352*
*თელავი 243*
*გარდაბანი 232*

**შოშიაშვილი** (1781 წ.), საკ. სახ. **შოშია**, (ძვ. საქ., IV, განყ. III, 21); **შოშია** ბესალიასშვილი პაატას ძე, 1609 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შანშე ჯავახიშვილის მიერ გიორგი ცალქალამანიძისადმი (დოკ., I, 15); შოშია გედევანიშვილი, კუპატაძე, მუჯირი, ფალავანდიშვილი, ქავთარაძე, ჯაფარიძე (იქვე, 82, 110, 263, 434, 446, 463); გიორგი შოშიასშვილი, 1703 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული დათუნა შატბერასშვილის მიერ ბერი ბესიასშვილისათვის (სცსსა, ფ. 226, №115, დოკ., 1, 119); **შოშიაშვილი** მახარე, მეუღლე ქეთევანი, ვაჟი გიორგი, მეუღლე ანა, ვაჟები: ვანო, სოლომონი,

გაბო, ქალიშვილი ნინო, 1823 წ. იხსენიებიან ბორბალოში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83); 1826 წელს იქვე მოიხსენიება მახარე სოფ. ბორბალოს თავად ქაიხოსრო სოლაღაშვილის პორუჩიკის ყმად მოიხსენიება მაკარ შოშიაშვილი (სცსსა, ფ. 254, №1, ფურც. 88-95); იქვე, 1873 წ. აღწ. იასე და ალექსანდრე სოლაღაშვილების მამულში ყოფილან მახარე და მიხეილ შოშიაშვილები (სცსსა, ფ. 254, აღწ. №3, №111, ფურც. 1-4) (ბორბალო, ერტისი).

**შოშიტაიშვილი** 81
**შოშიტაშვილი** 427
*თბილისი 134*
*მცხეთა 125*
*გორი 89*

**შოშიტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **შოშიტა** (ქართლ. ცხ., IV, 859); **შოშიტა** (დოკ., I, 473); **შოშიტა-ი** (საქ. სიძვ., III, 128): „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. ლიყურეთს 1721 წ. **დათუნა შოშიტაშვილი**" (ვახუშტი, 58): „ქ. ბატონის ტფილელისა, ქ. ღოლოვნას, 1721 წ. იოსება შოშიტაშვილი" (ვახუშტი, 47).

**შოშიტა // შოშიტაიშვილი** (ლიყურეთი, ღოლოვნა).

**შტელიშვილი** (1721 წ.), სავარ. მეტსახელიდან **შტერ-ი**. **რ-ს** ამოვარდნით მივიღეთ **შტელი**.

„ქ. ლიპს **შტელიშვილი მერაბ**" (ვახუშტი, 228).

**შუბლაძეშვილი** (1823 წ.), მეტსახელი **შუბლა**, შემონახულია ჯოხარიძის გვარის სახინჯარში: **შუბლაანი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 73); საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გარისის მიწაზე გადმოსვლისას **ძე-ზე** თუ **ურ-ზე** ნაწარმოებ გვარს ხშირად „შვილ"-ს უმატებდნენ. შდრ. **ბერიძე//ბერიძეშვილი, აფციაური// აფციაურიშვილი, წიკლაური // წიკლაურიშვილი** და ა. შ.; თავად ორბელიანის გლეხად დიდ ენაგეთში 1823 წელს მოიხსენიება დავით შუბლაძეშვილი, მეუღლე ხამფეროვანა, ქალიშვილი ბარბარე (სცსსა, ფ. 254, 1. 892, ფურ. 5-18).

**შუბლაძე** 1414
*თბილისი 390*
*სამტრედია 183*
*აბაშა 169*

**შუბლაძე** (1884 წ.), მეტსახელი **შუბლა**, შემონახულია ჯოხარიზის გვარის სახინჯარში. შუბლაანი (ალ. ღლ., ქიზიძის ტოპონიმია, 1982, 73).

ალბულაღში (დღევ. თეთრი წყარო) 1884 წ. მოიხსენიება **ზაქარია სვიმონის ძე შუბლაძე** (სცსსა, ფ. 489, აღწ, 9, თ/წ. №1). (ალბულაღი (თეთრი წყარო).

შდრ. **შუბლაძეშვილი**.

# ჩ

ჩადუნაშვილი 56
*თეთრიწყარო 34*
*თბილისი 7*
*რუსთავი 15*

ჩადუნელი 3578
*ბორჯომი 898*
*ხაშური 767*
*თბილისი 672*

**ჩადუნაშვილი** (1823 წ.) **ჩადუნელის** გვართან დაკავშირებით ი. მაისურაძე წერს: „სავარაუდოა მომდინარეობდეს დასახლებული პუნქტის სახელიდან და იყოს გვარადქცეული სადაურობის სიტყვა. (**ჩადუნა** მცენარის სახელია, გვიმრის ერთ-ერთი სახეობა; ქეგლ), თუმცა ამას ეწინააღმდეგება ამავე ძირის **ჩადუნაშვილის** (საღირაშენი, თეთრი წყაროს რ.,) არსებობა, რომელიც **ჩადუნას** საკ. სახელად გულისხმობს" (**ი. მაისურ.**, 195); კაპიტან გიორგი ბარათოვის გლეხად დიდ ენაგეთში 1823 წელს მოიხსენიება ბეჟანა ჩადუნაშვილი, მეუღლე თამარა, ქალიშვილები მართა, მაია (სცსსა, ფ. 254, 1,802, 1823 წ. ფურ. 5-15); „ენაგეთში მცხოვრებ **ბეჟანა ჩადუნაშვილს** დაებადა ვაჟი, დაერქვა ივანე. ნათლია იყო იქვე მცხოვრები **ნინია კეკელიშვილის** ცოლი" (489, აღწ. 6, 57, 1828 წ. ფურ.26); „იაკობ და ივანე ჩადუნაშვილები საღირაშენში მოიხსენიებიან 1873 წლის აღწერაში" (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №126, აღწ. №289, ფურ. 675-686); სახაზინო გლეხი ივანე ბეჟანის ძე ჩადუნაშვილი მოიხსენიება სოფ. საღირაშენში 1881 წ. (მეტრიჩ. წიგ. 182, 1, 1881 წ.); იოსებ ივანეს ძე ჩადუნაშვილი და გივი ივანეს ძე ჩადუნაშვილები 1882 წელს მოიხსენიებიან სოფ. საღირაშენში (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); საღირაშენში 1883 წელს მოიხსენიება გიორგი ივანეს ძე ჩადუნაშვილი (იქვე, 1883 წ.); საღირაშენში მცხოვრები გიორგი ივანეს ძე ჩადუნაშვილი შვილს ელისაბედს უნათლავს **ივანე იოსების ძე ახსიაშვილს** (იქვე, 1885 წ.).

ამავე ძირისაა: **ჩადუნელი** (ბოგვი, საღირაშენი, მარაბდა).

ჩეკურაშვილი 147
*თბილისი 47*
*მცხეთა 39*
*გარდაბანი 27*
ჩეკურიშვილი 980

**ჩაკურაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჩეკურა** (**ჩეკი, +** ბოლოსართი-ურ, ი. მაისურ., 198). **ჩაკური** (ალ. ღლ., 223); **ჩეკურა ჩეკურაშვილი,** ...ქ. ერწოს XVIII ს. პირველი ნახევარი, ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხა (დოკ., II, 30); " ქ. საგინაშვილის დათუნასი ჩხიკვთას, 1721 წ. ტარიელა ჩაკურაშვილი" (ვახუშტი, 153).

**ჩალაძე** (1823 წ.), **ჩალა** (ბზე); **ჩალა,** მეტსახელი გვარებში: **ჩალაძე, ჩალაშვილი, ჩალაური** (ალ. ღლ., 223); გადმოცემით, **ჩალაძეთა** წინაპრები **სიდამონიძეები** ყოფილან, ქართლიდან ბატონს გაქცევიან და პირველად ნაკიეთში ჩასახლებულან (**ილ. მაის.**, 196); მამასახლისი **ბერო ჩალაძე,** მეუღლე მართა, ვაჟი მამუკა, ქალიშვილი ანა (ბორბალო, 1823 წ., სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 77-83); "ტფილისის უეზდის სოფელსა ბორბალოს მცხოვრებ, საბატონო ყმას ბერუა ჩალაძეს დაებადა ვაჟი კანონიერის ცოლის დავითას ასულ მართასაგან. სახლი რაჭაში ცხოვრობენ სოფლებში: საკაო, ურავი, უწერა, ძეგლევი. განათლა და მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. სახელი ეწოდა გიორგი (ფ. 489, აღწ. 5, საქ. №150, 1832 წ. ფურ. 13).

**ჩალაძეები** ასურეთში საცხოვრებლად გადმოვიდნენ 1957 წელს (ასურეთი, ბორბალო).

ჩაფიძე 1830
*ტყიბული 376*
*ჭიათურა 272*
*თერჯოლა 229*

**ჩაფიძე** (1721 წ.), საკ. სახ. **ჩაფა, ჩაფო** (ალ. ღლ., 323); **ჩაფიჩაძე**: მომღერლები **დები ჩაფიჩაძეები,** სავარ. საკ. სახ. **ჩაფიჩა (ჩა** ბოლოსართია), შდრ. ჩაფიძე (ი.მაისურ., 197); **ჩაფ-ი,** თიხის მოზრდილი ცალყურა, დაბალყელიანი და ფართოპირიანი ჭურჭელი. ღვინის საწყაო, დაახლოებით ერთი ფუთის ტევადობისა // ამ რაოდენობის ღვინო (ქეგლ, 527); „ქ. ფარემუზაშვილის ბეჟანის ყმა ქ. მაწევანს, 1721 წ. ...ივანე ჩაფიძე" (ვახუშტი, 153) (მაწევანი). ჩ. ხელობა-საქმიანობის გვარადაა მიჩნეული.

ჩაჩანაშვილი 35
*გარდაბანი 10*
*თბილისი 24*
*გორი 1*

**ჩაჩანაშვილი** (1874 წ.), საკ. სახ. **ჩაჩანა** (ალ. ღლ., 224); შდრ. **ჩაჩა,** მეტსახელი, **ჩაჩიკა, ჩაჩიტა, ჩაჩო...** (იქვე); ასურეთელი პეტრე იოსების ძე ჩაჩანაშვილი (რუსული გაფორმებით ჩაჩანოვი) 1874 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლე-

სიაში შვილს უნათლავს ვარდისუბანში (დღევ. შავსაყდარი) მცხ-ოვრებ დავით იოსების ძე კედელაშვილს (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1).

ამავე ძირისაა გვარები: **ჩაჩავა, ჩაჩაური, ჩაჩაურაშვილი, ჩაჩაშ-ვილი, ჩაჩიბაია, ჩაჩიკაშვილი, ჩაჩუა...** (ასურეთი).

| | |
|---|---|
| ჩაჩანიძე | 3028 |
| თბილისი | 889 |
| ქიათურა | 679 |
| ლაგოდეხი | 200 |

**ჩაჩანიძე**, საკ. სახ. **ჩაჩანა** (ალ. ღლ., სტუდ. კოლექცია, 224); შდრ. **ჩაჩა, ჩაჩაური, ჩაჩიკა, ჩაჩიტა.**

გვარები: **ჩაჩაშვილი, ჩაჩიკაშვილი.**

ჩ. დღეს დიდ ირაგაში ბერძნებად არიან აღიარებულნი.

**ჩაჩაშვილი** (1721 წ.), **ჩაჩა,** მეტსახელი (ალ. ღლ., 224); შდრ. ჩაჩ-ი, ჩაჩანა.

„ქ. ციციშვილის სახლთუხუცის ედიშერისა 1721 წ. ქ. ცხ-ოირეთს ბერია ჩაჩაშვილი" (ვახუშტი, 30).

ამავე ძირისაა: **ჩაჩავა, ჩაჩაური, ჩაჩაურაშვილი, ჩაჩიბაია, ჩაჩი-კაშვილი, ჩაჩუა** (ცხოირეთი).

**ჩაჩიკაშვილი // ჩიჩიკაშვილი** (1536 წ.), საკ. შახ. **ჩაჩიკა** (თ. ენუქ., მასალა, 5, 203).

**მამაცა ჩაჩიკაშვილი აზნაური,** 1536 წ. სიგელით იოთამ ბარ-ათაშვილის მემამულე, ყმები ჰყავდა ირდასუბანში, მირტაშენში, მუ-გუთში (იქვე, 478); ჩაჩიკაშვილი, ერთი კომლის პატრონი კამარეთში 1792 წ. (ისს. ლორთქ., დასახ. ნაშრ. №71-315); **აზნაური ჩაჩიკაშვილი ბექანი** 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ქციაში (იქვე, 477); **ჩაჩიკაშვილები**: ერაჯი, ნიკოლოზ, ქაიხოსრო, 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულეები, ცხოვ-რობდნენ ქციაში, ყმები ჰყავდათ დბანისში და ქციაში (იქვე, 477); ზურაბი, 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა ქციაში, ყმები ჰყავდა ალგეთში (ნასყიდი), დბ-ში და ქციაში. 1701-11 წ. აღწ. ყმები ჰყავდა ვანში, მარაბდაში, მარტაშენში, მუგუთში, დბ-ის მწყნეთში, ცხოვრობდა მუგუთში (ისს. ლორთ., (№№ 36, 37, 30, 49, 50, 53, 58, 11, 138, 34); იესო 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა ქც-ში (№79). ჰყავდა ყმები დბ-ში და ქც-ში. (№№ 36, 37, 30, 40, 50, 53, 58. №34); მარაბდას ზურაბ ჩაჩიკაშ-ვილის ყმა: გოჩიაშვილი სიყმა, ბოგანო დათუა, აყრილი ქიტუა (ვახუშტი, 179); „მუხათს მცხოვრებელს აზნაურ ქაიხოსრო ჩაჩიკაშ-

ვილს დაებადა ვაჟი, სახლი გაუნათლა და მონათლა კოდის სოფლის მღვდელმან, სახელი ეწოდა გრიგოლ, 19 აპრილი, მიმქმელად იყო კუმისში მცხოვრებელი მახარებელი ხოსიტაშვილი" (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1. ბ, ფურ. 162); „1828 წელს მუხათში მცხოვრები ქაიხოსრო ჩაჩიკაშვილი მოკვდა და დამარხა მღვდელმა აბრამმა" (489, აღწ. №6, 57, ფურ. 11) (კოდა, მუხათი).

**ჩეკურაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჩეკურა** (ჩეკი, ბოლოსართი, ურ, ი. მაისურ., 198); „ქ. გოსტაშაბაშვილის ამილღანბარისა ქ ერწოს 1721 წ. **ჩეკურა ჩეკურაშვილი**" (ვახუშტი, 54); „ქ. ზაალაშვილის პატარა ზურაბისა ქ. ლიყურეთს სეხნია ჩეკურაშვილი" (იქვე, 58) (დიდი თონეთი, ერწო, ლიყურეთი).

ჩერქეზიშვილი 1046
*თბილისი 388*
*სიღნაღი 106*
*კასპი 99*

**ჩერქეზიშვილი** (1886 წ.), გვარდაქცეული სადაურობის სიტყვა, წარმომდგარი **ჩერქეზ**-ისგან. **ჩერქეზები** – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ტომების (ყაბარდოელების, ადიღელების...) საერთო სახელწოდება (ქეგლ); **ჩერქეზა** იყო აგრეთვე საკუთარი სახელიც.

**თავადი ჩერქეზის შვილები.** „მოსრულნი ჩერქეზ ქიმონიდგან და ადგილისა გამო მიიღეს გვარად ჩერქეზის შვილობა და თავადობა თამარ მეფისავე დროსა და აწცა არიან მოსახლედ მანავს: **1) რამაზის შვილები, 2) ჯანასლანას შვილები, 3) გიორგის შვილები, 4) ნიკოლაოზასშვილები** და სხვანი" (საანდაზო ლექსები...38); ჩერქეზიშვილი მიხეილ გრიგორის ძე 1886 წელს საღირაშენში საცხოვრებლად გადმოსულა გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევიდან (სცსსა, ფ. 254, №3, 1631, ფურც. 1019); დიდ თონეთს 1818 წელს **ჩერქეზა ჩერქეზიშვილს** დაებადა შვილი სალომე, მიმქმელი იყო ბერუა ბერიანიძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1 ბ, №35, ფურ. 386-388); 1885 წელს თავადი შერმაზან ჩერქეზოვი, მცხოვრები სოფ. ტბისში, ქალიშვილ დარიას ათხოვებს პატარა თონეთში მცხოვრებ ჩინოვნიკის შვილ ლეონ დიმიტრის ძე თეთრაძეზე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1).

ჩერქეზოვი 59
იგივე ჩერქეზიშვილია

**ჩერქეზოვები (ჩერქეზიშვილები) იყვნენ თავადები.** მამულები ჰქონდათ გურჯაანში, თოხლიაურში, მანავში. ლევან ლევანის ძე-1/36-ს, ევსტაფი გიორგის ძე-1/36-ს, სიმონ და ბარძიმ იოსების ძეები-1/36-ს,

გიორგი ბაადურის ძე-1/42-ს, იასონ ბაადურის ძე-1/72-ს, ბესარიონის მემკვიდრენი-ადამა, ქეთევანი, ბარბარე და ანა-1/24-ს. სულ მათი მფლობელობა შეადგენდა 8788 ქცევაზე მეტ მიწას (სცსსა, ფ. 254, აღწ. 3, საქ.. 2057, გვ. 146-157).

შდრ. **აფხაზიშვილი, ქართველიშვილი, ფრანგიშვილი, კახელიშვილი.**

ჩ. შტო-გვარია **ჯანასლანაშვილი** (დიდი თონეთი, საღირაშენი, ტბისი).

ᲩᲘᲕᲐᲫᲔ 524
*თბილისი 243*
*თეთრიწყარო 64*
*ქუთაისი 55*
ᲩᲘᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 60

**ᲩᲘᲕᲐᲫᲔ//ᲩᲘᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჩივა** (გვარებში: **ჩივაძე, ჩივაშვილი // ჩივიაშვილი** (ი. მაისურ., 199).

**სეხნია ჩივაძე,** საბუთის დამწერი, 1768 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მზექაბუკ ჯავახიშვილის მიერ სოლომონ და დავით თარხნიშვილებისადმი (საქ. მუზ., ფ. №2589); იოანე ჩივაძე, 1811 წ. პირობის წიგნი, მიცემული სათარხნოს აზნაურთა მიერ სოლომონ თარხან-მოურავისადმი (დოკ., II, 232); „ქ. მუსხელაშვილის დემეტრესი 1721 წ. ქ. ლიპს... ბერუკა ჩივაძე, ნასყიდა ჩივაძე" (ვახუშტი, 41); 1831 წ. სოფელ თონეთში გლახა მჭედლიშვილის ვაჟის, გიორგის, მიქმელად მოიხსენიება ამავე სოფელში მცხოვრები გულვარდა ჩივაძე (489, №6, 121 ბ, ფურ. 35); პატარა თონეთში მცხოვრებ პავლე მეხრიშვილის ვაჟის ნათლიად იმავე წელს მოიხსენიება გულვარდა ჩივაშვილი (იქვე, ფყრ. 38), მურადა ჩივაძეს დაებადა ვაჟი, სახელი ეწოდა გაბრიელი. ნათლიად იყო თონეთსავე მცხოვრები დავით ლამაზასშვილი (იქვე, 38).

ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ 2175
*ჭიათურა 538*
*თბილისი 516*
*ზესტაფონი 207*

**ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ** (1872 წ.), საკ. სახ. **ჩინჩალა** (ალ. ღლ., 225); **გიორგი ჩინჩალაძე,** 1737-1757 წწ. საქვრივოს გამორთმევის წიგნი, მიცემული მებატონე გიორგი თურქისტანიშვილის მიერ გიორგი ჩინჩალაძისადმი (საქ. მუზ., №1227; დოკ., I, 273); **იასე ჩინჩალაძე ბოქაულთუხუცესი (ბოქაულ-ი** თურქ. მეფის რუსეთში პოლიციის მოხელე, რომელსაც ებარა უბანი (ქალაქში) ან მაზრის ნაწილი (სოფლად)-1727-1736 წ. ყმის დანებების წიგნი (დოკ., I, 223); გიგო შაქარის ძე ჩინჩალაძე, შვილებით სიმონი, დიმიტრი, ვასილი გადმოსულა 1872 წ. გორის

მაზრის სოფ. ფლავიდან (სცსსა, ფ. 254, №3, 116, ფ. 1) (ზირბითი).

ჩინჩილაკაშვილი 20
თბილისი 20

**ჩინჩილაკაშვილი//ჭინჭილაკიშვილი** (1817 წ.), **ჭინჭილაკი** ურმის თვალის ჭილიბი (საბა, 446). მეტსახელი **ჭინჭილაკი** აქედან გვარი: **ჭინჭილაკიშვილი;** გადმოცემით ამ გვარის წინაპარი ხშირად კარგავდა ჭინჭილაკს და სულ მის ძებნაში იყო. ამიტომ შეერქვათ მეტსახელი, აქედან გვარი: ჭინჭილაკიშვილები. დღესაც სოფ. მუხათში ადგილს **ჭინჭილაკაანთ ნაბაღრებს** ეძახიან (ინფორ. ვარდო ახუაშვილი); შემდგომში **ჭ** რუსულმა **ჩ**-მ შთანთქა და გაჩნდა გვარი **ჩინჩილაკაშვილი.**

სოფელ მუხათში **ჭინჭილაკაშვილები** მოიხსენიებიან 1817 წლიდან. 1880-იანი წლებიდან თბილისში გადავიდნენ. ჩ. იხსენიებიან სოფელ კუმისშიც. გვარს არაფერი აქვს საერთო ჩინჩილაქთან (ი.ა.).

**ჩიპ[ფ]ლახაშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ჩიპ[ფ]ლახა,** მოიხსენიება სოფ. მუხათში 1781 წელს (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 177); „მუხათში 1817 წელს თავად ზურაბ ორბელიანის ყმა ნინია ჩიპლახაშვილი" (სცსსა, ფ. 254, №1, საქმე 477, ფურ. 40-45); მუხათს მცხოვრებს ნონია ჩიპლახაშვილსა და მის მეუღლეს 1820 წელს შეეძინათ ქალიშვილი ელისაბედი. მონათლა კოდის წმინდა მთავარმოწამის გიორგის ეკლესიის შტატის მღვდელმა აბრამ ხუროშვილმა (ფ. 489, №6, №5, №27, ფურ. 108). (მუხათი).

**ჩიტაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჩიტა** (დოკ., I, 357); **ჩიტა** (ძვ. საქ. IV, განყ. III, 14); **ჩიტა-ი** (პ. ინგორ., სვან., 2, 144); „ქ. სულეიმანიშვილის ომანისა, 1721 წ. ქ. ტბის: ბერია ჩიტაშვილი" (ვახუშტი, 53); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. ლიყურეთს: მახარა ჩიტაშვილი" (იქვე, 58) (ლიყურეთი, ტბისი). ამავე ძირისაა გვარები: **ჩიტაია (1435 სული), ჩიტავა (27 სული), ჩიტაიშვილი (415), ჩიტაური (513), ჩიტაშვილი (1193), ჩიტაძე (1436), ჩიტეიშვილი (340), ჩიტია (218), ჩიტიანი (79), ჩიტიაშვილი (449), ჩიტიშვილი (1455), ჩიტიძე (682), ჩიტუაშვილი (126),** და სხვ.

ჩიტალაძე 182
თბილისი 79
ამბროლაური 42
თელავი 9

**ჩიტალაძე,** საკ. სახ. **ჩიტ-ი** (კოლხ., 61, ლესიჭინე); **ჩიტაია** (კოლხ., 37, გაჭედილი); **ჩიტა** (დოკ., I, 357) (ალ. ღლ., 225); **ჩიტალ-ი,** „...მესამე გვერდი ჩიტალის საძოვრამდინ", 1697 წ. (საქ. სიძვ. II, 117).

**ჩიტალაძეები** ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელიდან ას-ურეთში საცხოვრებლად გადმოვიდნენ 1941 წელს. რაჭაში ცხოვ-რობენ ლარსა და სადმელში.

**ჩიტიაშვილი** (1661 წ.), ქალის საკ. სახ. **ჩიტო.** მისი კნინო-ბითია: **ჩიტია, ჩიტუა, ჩიტუნა, ჩიტუნია, ჩიტოლია.** გვხდება მეტსახე-ლი **ჩიტაც.** გვხვდება ვაჟის სახელადაც. მისგანაა წარმოშობილი გვარები: **ჩიტაია, ჩიტაძე, ჩიტია, ჩიტოშვილი, ჩიტუაშვილი...**

**მახარა ჩიტიაშვილი** და მისი შვილები, 1671 წ. დასახელებული არიან მოწმეებად გაცვლილობის წიგნში, რომელიც შეუდგენიათ ამ კუთხის მებატონე გოსტაშაბიშვილებსა და აზნაურ ასანბეგიშვილებს (საქ. სიძვ., I, 68); ჩიტიაშვილები მოიხსენიებიან უფრო ადრეც 1661 წ. (იქვე, 39).

**ჩიტიშვილი** (1818 წ.), საკ. სახ. **ჩიტა**: დიდ თონეთში სიხარუ-ლა მჭედლიშვილის თავდებად მოიხსენიება **ბერი ჩიტიშვილი** (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, 1ბ).

ამავე ძირისაა: **ჩიტაია, ჩიტავა, ჩიტაიშვილი, ჩიტეიშვილი, ჩიტალაძე (ჩიტალა; ჩიტა+ბლსრთი-ალა), ჩიტაური, ჩიტაშვილი, ჩიტაძე, ჩიტიანი, ჩიტოშვილი, ჩიტუკაშვილი.**

**ჩიტუაშვილი** (1724 წ.), საკ. სახ. **ჩიტუა** (დოკ., 1-160). ნ. „ქ. შუშნიას შვილი ჩიტუა" (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 34); **ჩიტუა** პანკელას შვილი (იქვე, 8). **ჩიტუა** გიორგაშვილი (170); **ჩიტუა** ნაზარაშვილი (დოკ., I, 160, 170); ჩიტოას შვილი კალატოზი სანველა, თავისი მამულით სოფ. კუმისს მებატონე იესე სოლოღაშვილს მიუყიდნია ქაიხოსრო ორბელის-შვილისადმი (1736 წ. თებერვლის 20-ს. დოკ., I, 254).

ამავე ძირისაა: **ჩიტაძე, ჩიტაშვილი, ჩიტიაშვილი.**

**ჩიტუაშვილები კოდაში ჩანან 1851 წლიდან.**

| | |
|---|---|
| ჩიფაშვილი | 46 |
| *გურჯაანი* | *30* |
| *თბილისი* | *4* |
| *თელავი* | *1* |

**ჩიფირაშვილი // ჩიფარაშვილი // ჩიფრაშვილი** (1871 წ.), საკ. სახ. **ჩიფა,** გვარში **ჩიფაშვილი, ჩიფე, ჩიფო,** მეტსახ. **ჩიფირა.**

ჩხიკვთაში მცხ. **ზაქარია ზურაბის ძე ჩიფარაშვილი** 1874 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორ-გის ეკლესიაში ნათლავს შვილს ნინოს. მიმქმე-ლი იყო ჩხიკვთელი დიმიტრი მანის ძე საგინოვი (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); ვარდისუბნელი (იგივე შავსაყდრელი) ზაქარია გიორგის ძე

ჩომახაშვილი დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 1874 წ. შვილს უნათლავს თავისსავე სოფლელ ივანე გიორგის ძე ჩიფარაშვილს (ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1); ღოუბანში მცხოვრებელი სახელმწიფო გლეხის პავლე პეტრეს ძე აბულაშვილის სასძლოს სოფ. ჩხიკვთაში მცხ. მართა ივანეს ასული გაგელიძის თავდებნი გლეხნი ჩხიკვთიდან ყოფილან. გივია დავითის ძე ჩიფირაშვილი (მეტრიკ. წიგ. ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1, 1871 წ., დიდი ენგეთის წმ. გიორგის ეკლესია), ჩხიკვთაში 1873 წელს მოიხსენიება სოლომონ ივანეს ძე ჩიფრაშვილი (ფ. 489, აღწ. 9, №6, თ/წ. 1); ზაქარია ზურაბის ძე ჩიფარაშვილი (იქვე). (ჩხიკვთა).

**ჩიჩიბაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ჩიჩიბა**. შდრ. **ჩიჩა** (მეტსახელი, ალ. ღლ., 226); **ჩიჩილა, ჩიჩვირა...**

,,ქ. ფიტარეთის წინამძღვრის ნასყიდი კამარეთს: **სეხნია ჩიჩიბაშვილი, ბერუა ჩიჩიბაშვილი, ბექუა ჩიჩიბაშვილი**'' (ვახუშტი, 232).

**ჩიჩინიკაშვილი** (1523 წ.), ქალის საკ. სახ. **ჩიჩი** (სვან., 2, ცხუმარი), **ჩიჩილ** (სვან., 8, მულახი; ალ. ღლ., 309) და საკ. სახ. **ნიკა** (შდრ. ნიკოლოზი).

**ჩიჩინა** (ბევრი ეჩიჩინა, ურჩია, ესაუბრა და მისთ.). ...ბარათაშვილების გაყრის წიგნით გერმანოზს, თაყას, გოსტაბს და ფალავანხოსროს ერგოთ ახალშენში მცხოვრები აზნაურები... **ჩიჩინიკაშვილები** (1523 წ. Ad-1299-ა).

| |
|---|
| ჩომახაშვილი 455 |
| *თბილისი 172* |
| *გურჯაანი 111* |
| *თეთრიწყარო 105* |

| |
|---|
| შდრ. ჩომახია 60 |
| ჩომახიშვილი 69 |
| ჩომახიძე 689 |

**ჩომბახაშვილი // ჩომახაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჩომახი** (ალ. ღლ., 226).

ნ. **ჩომახაშვილი**. ,,ქ. კიპრუკჲს, ქ. **აზნაურშვილი ჩომახაშვილი ოთარი**'' (ვახუშტი, 172); ამავე ძირისაა: **ჩომახიძე**, გოჩა-ჯიხაიშის ჩომახიძეებში რამდენიმე შტოს ზედმეტი სახელია (,,საგინებელი'') ცნობილი: **ბუ, მოზვერი, მუშკია, ტორმუზი** და სხვ. (ნ. **ილ.მაისურ.**, 202); ღოუბნელი ნინია ჩომახაშვილი 1818 წელს ნათლავს ვაჟს შიოს, მიმქმელი ყოფილა პეტრე გოგოლაშვილი (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, №24, ფურ. 145); იმავე წელს იოსებ ჩომახაშვილი ნათლავს შვილს იოსებს, მიმქმელად მოიხსენიება ღოუბანში მცხოვრები იმერელი ივანე (იქვე). **დავით ჩომბახაშვილი,** ვაჟები გოგია, მეუღლე მარიამი, ვაჟები პავლე,

სოლომონი, ზაქრო, ვანო, ქალიშვილი ელისაბედი, მეორე ვაჟი ნინია, მეუღლე ნინო, ვაჟები: პაპა, გაბო, ქალიშვილები: ქეთევანი, მაია, სოფიო, მესამე ვაჟი იოსები, მეუღლე ბარბარე, ვაჟები: ზურაბი, შიო, დავითი, ქალიშვილი თინათინი, მეოთხე ვაჟი პეტრე, მეუღლე ბარბარე, ვაჟი სიმონი, ქალიშვილი ელისაბედი, მეხუთე ვაჟი გლახა, მეუღლე ეფემია. სულ ოჯახი შედგებოდა 27 სულისაგან, მამაკაცი-16, ქალი-11 (სცსსა, ფ. 254, 1, 802, 1823 წ. ფურ. 84); 1843-1858 წ. მასალებში თავად ლუარსაბ ორბელიანის მამულში მოიხსენიება **გოგია ჩომახაშვილი**. მისი ოჯახი 16 სულისაგან შედგებოდა. მეუღლე მარო, შვილები: პაპა, გაბრიელი, დიმიტრი, ქალიშვილები: მაია, სოფიო, იოსები, მეუღლე ბარბარე, ვაჟები: სიმონი, გიორგი, კონა, ქალიშვილები: ელისაბედი, მარგალიტა, ვაჟი გლახა, მისი მეუღლე ელენე, ვაჟიშვილი აბრამი, ქალიშვილები: კატრინა ანა (სცსსა, ფ. 254, საქ. №1, ფ. 38-39); (ამ ოჯახიდან მოდის დღევ. ჩამოხაშვილების ჩამომავლობა). ჩომახაშვილები ქვ. ქართლში მემამულე-აზნაურები იყვნენ. და ორბელიანთა შტო-გვარად ითვლება.

ამავე ძირისაა: **ჩომახიძე** (კოდა, მარაბდა, ლოუბანი).

| | |
|---|---|
| ჩოქური | 514 |
| *თბილისი* | *145* |
| *თეთრიწყარო* | *91* |
| *რუსთავი* | *66* |

**ჩოქური** (1774 წ.), საკ. სახ. **ჩოქურა**, გვარში: **ჩოქურაშვილი** (ალ. ღლ., 226) (შეხვეტილია). შდრ. **ჩოქურნი.**

| | |
|---|---|
| ჩოხელი | 2573 |
| *თბილისი* | *1088* |
| *დუშეთი* | *380* |
| *მცხეთა* | *251* |
| ჩოხელაშვილი | 35 |

**ჩოხელი** (1774 წ.), საკ. სახელად ქცეული სადაურობის სახელი **ჩოხი** (ფასანაურის თემში დღევ. დუშეთის რაიონი).

**ჩოხელები** ცხოვრობდნენ მონასეულში (მანასეური, ვახუშტით), ჩოხელთ-კარში, დოლას-ქედში, საჩალის ჭალაში, სიჯანაანსა და თოთიაურთ-კარში, ჩოხში, გუდამაყარში, ჭოჭოხში.

ჩ. ნაყარი გვარებია: **ჩოხელი ივანეს შვილი, ბექანის შვილი, დათვას შვილი** (ვახუშტი, 452); **ჩ. მელისშვილი, ლაზარესშვილი,** (იქვე 453); **ჩ. გამიხარდასშვილი, თათარის შვილი, ბერდის შვილი, ბექანის შვილი, ზაზას შვილი, მგელას შვილი, მგელის შვილი, ჯაბანის შვილი,** (იქვე, 465); **ჩ. პატარკაცის შვილი, მამუკას შვილი, ბექანის შვილი,** (იქვე, 467); **ჩ. ბალიჩას შვილი, ვაჟიკას შვილი, იმედას შვილი** (იქვე, 472) და სხვ. **ჩოხელები**

იყოფიან: **ლაზარიანი** და **შეღლიანი** (ს. მაკალ., მთიულეთი, 78); **აფციაურისა** და **ჩოხელის წინაპარი გვარად თაგაური ყოფილა** (ქისტი). გადმოცემით, ორ ძმა **თაგაურს, აფსა** და **ჩალს,** ქისტეთში კაცი მოუკლავთ, მესისხლეობას გამოქცევიან და გუდამაყარში შეხიზნულან. აქ **აფი**-საგან **აფციაურები** წარმოშობილან, **ჩალი**-საგან კი **ჩოხელები** (ს. მაკალ., მთიულეთი, 79).

გარისში მცხოვრები ჩოხელები თავს „ჩოხიდან" მოსულებად თვლიან (თეთრი წყარო).

| | |
|---|---|
| ჩუბინიძე | 6139 |
| *თბილისი* | *1026* |
| *ჭიათურა* | *974* |
| *ქუთაისი* | *840* |
| ჩუბინაშვილი | 191 |
| ჩუბინიშვილი | 87 |

**ჩუბინიძე** (1871 წ.), **ჩუბინ-ი** (ძვ.) – მარჯვე, აუცდენლად მსროლელი (ქეგლ).

**გიორგი გიორგის ძე ჩუბინიძე** მოიხსენიება სოფ. ბოგვში 1871 წელს (სცსსა, ფ. 489, ღწ. 9, თეთრი წყარო №1). **ჩუბინიძე** და **ჩუბინაშვილი** ერთიდა იგივე გვარადაა მიჩნეული.

| | |
|---|---|
| ჩხეიძე | 3799 |
| *თბილისი* | *1181* |
| *ქუთაისი* | *394* |
| *ზესტაფონი* | *266* |

**ჩხეიძე** (1643 წ.) მსხვილი ფეოდალური საგვარეულო ძველ საქართველოში, **„მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლებელი"** (ვახუშტი, ქართლ. ცხ., 36), უძველეს ფორმად მიჩნეულია **ჩხეტიძე** (ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფ. 119); **ჩხეიძეთა სამფლობელო ტერიტორია საჩხეიძოდ იწოდებოდა** (ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდ. ხანის დას. საქ-ს სოც. პოლიტიკური ისტორიიდან, სათავადოები, I, 1973; ი. მაისურ., 203).

„**თავადი ჩხეიძეები** ძველადვე იმერეთის საერისთაოს ჩიხორად წოდებულის თავადები არიან, რომელიცა იყვნენ დროსა ნარინ დავითისა ბაგრატიონისა ცნობილნივე თავადად წელსა ქრისტეს აქეთ **1237**-სა და რომელ უკანასკნელ ამათნი სახლის შვილნი იწოდნენ ერისთავად რაჭისა, ხოლო შემდგომად ამისა ამა ერისთავთაგან დამდაბლებულნი სახლის კაცნი თვისნი მოვიდნენ ქართლსა შინა და მეფემან ვახტანგმან მიუბოძა ადგილნი სურამის კერძოდ და დაასახლა მუნ წელსა 1668, და არიან მუნიდგან მოსრულნი ქართლში და აგრეთვე იმერეთში დაშთომილნი ჩხეიძენი და სხვადასხვა სახლად მოსახლენი" (საანდაზო ლექსები.. 18); ...**ჩხეიძე. თავადნი გამოჩენილნი** თეიმურაზ და როსტომის დროს 1636 წ. ბაგრატ მეფემ **1635 წ. შოშიტა ჩხეიძე დასვა რაჭის ერისთავად** (იქვე, 133); **ჩხეიძე**

**სეხნია** მოლარეთხუცესი; 1721 წ. აღწ. გარეშე მებატონე, მისი ქალი **ანახანუმ** – ცოლი **ვახტანგ ორბელიანისა** (იას. ლორთქ., ქვ. ქართ., წიგნი III -IV, 478); ჩხეიძე სახლისუხუცესი მოიხსენიება ენაგეთს 1643 წ. ყმისა და მამულის საჯილდაოდ წყალობის წიგნში მიცემული როსტომ მეფის მიერ ფარსადან და სხვა ბარათაშვილთათვის (დოკ., ი, 27).

| | |
|---|---|
| ჩხეტია | 1065 |
| ჩხეტიანი | 1786 |
| ჩხეტიაშვილი | 26 |

**ჩხეტია,** საკ. სახ. **ჩხეტ**-ი (ქართლ., ცხ., II, 521). „**ჩხეტიანი,** ზემო სვანეთი (ჩარკვიანი, სვანეთი 240); ამავე ძირისაა **ჩხეტია;** იხ. ჩხეიძე" (ი. მაისურ., 203); ჩხეიძე მსხვილი ფეოდალური საგვარეულო ძველ საქართველოში, „მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლებელი" (ვახუშტი, ქართლ. ცხ., 36). უძველეს ფორმად მიჩნეულია ჩხეტიძე (ა. **შანიძე,** ქართ. გრამ. საფ., 119).

| | |
|---|---|
| ჩხიკვაძე | 3247 |
| *თბილისი* | *739* |
| *ჩოხატაური* | *398* |
| *ქუთაისი* | *348* |
| ჩხიკვიშვილი | 498 |

**ჩხიკვაიძე//ჩხიკვაძე** (1876 წ.), მეტსახ. **ჩხიკვა** (ი. მაისურ., 203); კოდელი იოსებ ივანეს ძე ჩხიკვაიძე ამავე სოფლის ეკლესიაში 1876 წ. ნათლავს ვაჟს იოსებს. მიმქმელი იყო დიდ ენაგეთელი თევდორე გიორგის ძე გოდერძაშვილი (489, 9, 1).

ამავე ძირისაა: **ჩხიკვაძე, ჩხიკვიშვილი,** გურიის ძველი ჩანაწერებით **მჩხიკვაძე, მჩხიკვიშვილი.** მსგავს გვარებში მართრონია.